

ISSN—0132—6066



საქართველოს  
სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-ე  
1984

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

4. 1984

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,  
ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 4

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

675-9  
1984  
WY

ენისა და ლიტერატურის  
სერია

(63)

СЕРИЯ  
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი  
ТБИЛИСИ

4. 1984

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლმეგობარი: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. გვაზარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. შეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)  
პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია  
1984, № 4.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

---

გადაეცა წარმოებას 27.8.84; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.3.85;  
ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მალალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 18,2; სააღრიცხვო-  
საგამომცემლო თაბახი 15,7; ტირაჟი 1750; შეკვ. 2628; უეც 05111; ფასი 1 მან. 20 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



შინაარსი

წერილები

ლ. კიკნაძე, ახალი მასალები იოანე ბაგრატიონის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ 5

ვ. ჩერედნიჩენკო, მხატვრული დროის სპეციფიკა და დროულ შეფარდებათა ტიპოლოგია ლიტერატურულ ნაწარმოებში 24

ზ. გამსახურდია, რუსთველი და ანტონი I (პ. რუსთველის სარწმუნოებრივი იდეალი) 42

ე. ქელიძე, გრიგოლ ნოსელის თხზულების „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“ გამოცხადილი ძველ ქართულ მწერლობაში 52

გ. სიხარულიძე, ზღაპრის შესწავლა საბჭოთა საქართველოში (1921—1941 წწ.) 66

ე. მეტრეველი, Ier. 14 ხელნაწერის ანდერძის გაგებისათვის 79

გ. ნინუა, ფსევდონიმების „დიდაქტიკური ებისტოლე“ და მისი ქართული თარგმანი 92

ნ. მელიქიშვილი, იოსებ ფლავიოსის „იუდეველთა სიძველეთა“ მთარგმნელის ვინაობისათვის 103

დ. ქლდუაძე, დიალექტიკები დემნა შენგელიას ენაში 116 ?

თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, არქაული მოვლენებისათვის ფერეიდნულში (ზმნა) 123

უ. ცინდელიანი, ძიებანი ძველი ქართულის ლექსიკიდან: კერი, განკერული 130 +

ქ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში (5. ლექსიკურ-სემანტიკური კალკები ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებში) 138

გ. თუშმალიშვილი, ზოგიერთი თურქული ბოტანიკური ტერმინის შესახებ „იადი-გარ დაუდში“ 156

ნ. გურგენიძე, თურქულიდან ნასესხებ პატრონიმთა სტრუქტურისა და სემანტიკისათვის ქართულში 162 +

ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, II 172 ?

ნ. ქვანია, კომორგანულ თანხმოვანთა დისტრიბუცია ტიგრეშში 177

ცნობები და შენიშვნები

ო. კიკტიშვილი, იბნ ალ-ფაჰიმ ალ-ჰამადანის გეოგრაფიული ნაშრომის ტაშკენტის ხელნაწერის შესახებ 180

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ო. გაბიძაშვილი, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი 185

ა. ონიანი, ქართველურ ენათა დიაქრონიული მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ 192

ქრონიკა და ინფორმაცია

მ. ნატრიაშვილი, ეგნატე ნინოშვილის საიუბილეოდ 203

ივანე ლოლაშვილი 204

ივანე ჭავთარაძე 205

## СОДЕРЖАНИЕ

### Статьи

Л. А. Кикнадзе, Новые сведения о русско-грузинском словаре, приписываемом Иоанну Багратиони . . . . .	5
В. И. Чередииченко, Специфика художественного времени и типология временных отношений в литературном произведении . . . . .	24
З. К. Гамсахурдиа, Руствели и Антоний I . . . . .	42
Э. Г. Челидзе, Отголоски сочинения Григория Нисского «Ответ шести дней» в древнегрузинской литературе . . . . .	52
Г. Ю. Сихарулидзе, Изучение сказки в Советской Грузии (1921—1941 гг.) . . . . .	66
Е. П. Метревели, К толкованию одного колофона Иерусалимской рукописи № 14 . . . . .	79
Г. А. Нишуа, «Дидактическое послание» Псевдо-Макария и его грузинский перевод . . . . .	92
Н. Г. Меликишвили, К вопросу о грузинском переводчике «Иудейских древностей» Иосифа Флавия . . . . .	103
Д. Г. Жгенти, Дialeктизмы в языке Д. Шенгелая . . . . .	116
Ф. Г. Утургандзе, Д. З. Чхубианишвили, Дж. Ш. Гиунашвили, К архаическим грамматическим явлениям в ферейданском (глагол) . . . . .	123
У. Е. Цинделиани, Из древнегрузинской лексики QERI, GANQERULI... . . . .	130
К. Д. Данелиа, Следы иноязычного влияния в древнегрузинских письменных памятниках (5. Семантические кальки в древнегрузинских версиях библейских книг) . . . . .	138
Г. В. Тушмалишвили, О некоторых турецких ботанических терминах в «Иадигар дауди» . . . . .	156
Н. А. Гургенидзе, О структуре и семантике заимствованных из турецкого языка патронимов . . . . .	162
С. С. Джикиа, Из истории слов восточного происхождения, II . . . . .	172
Н. А. Жвания, Дистрибуция гоморганных согласных в языке тигре . . . . .	177

### Сообщения и заметки

О. В. Цкитишвили, О ташкентском списке географического труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани . . . . .	180
--	-----

### Критика и библиография

Э. П. Габидзашвили, Значительная страница из грузинско-византийских литературных взаимоотношений . . . . .	185
А. Л. Ониани, О некоторых вопросах диахронической морфологии грузинских языков . . . . .	192

### Хроника и информации

М. Х. Натришвили, К юбилею Эгнате Ниношвили . . . . .	203
---	-----

<b>И. А. Лолашвили</b> . . . . .	204
----------------------------------	-----

<b>И. И. Кавтарадзе</b> . . . . .	205
-----------------------------------	-----

Содержание серии языка и литературы журнала «Мацне» за 1984 год, №№ 1—4 . . . . .	206
---	-----

## ლია კიკნაძე

## ახალი მასალები იოანე ბაგრატიონის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ

1787 XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იოანე ბაგრატიონს, მრავალმხრივსა და საინტერესო მოღვაწეს. ბიოლოგია, მედიცინა, გრამატიკა, ლექსიკოგრაფია, ისტორია, ესთეტიკა, ფილოლოგია, მხატვრობა, მუსიკა, პოეზია, მთარგმნელობითი მუშაობა — მარტო ჩამოთვლაც კი მისი ინტერესების სფეროებისა ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის იოანეს მრავალფეროვან საქმიანობაზე. 1801 წ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ტახტის სხვა მემკვიდრეებთან ერთად რუსეთში გადასახლებული იოანე ბატონიშვილი სათავეში ჩაუდგა პეტერბურგის ქართული კოლონიის კულტურულ საქმიანობას და ბევრი სასიკეთო რამ ვააკეთა ქართველი ხალხისათვის.

განსაკუთრებით საინტერესოა მისი ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა, რითაც მან გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოში ამ დარგის განვითარების საქმეში. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია მისი დიდი ღვაწლი, აღწერული და გამოყოფილია ის ხელნაწერებიც, რომლებიც იოანეს ლექსიკოგრაფიულ მოღვაწეობას ასახვენ<sup>1</sup>. აქ არის როგორც ქართული განმარტებითი, საბუნებისმეტყველო, ისე ორ- და სამენოვანი ლექსიკონები ან მათი ფრაგმენტები. სულ აღრიცხულია 15-ზე მეტი ლექსიკონი, თუ ჩავთვლით სალექსიკონო მასალებსაც<sup>2</sup>.

ასეთი დიდი შრომის ჩატარება მარტო ლექსიკოგრაფიის დარგში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგერთი ლექსიკონი დიდტიანიანია და 40.000 სიტყვას შეიცავს, ერთი აღამიანისთვის წარმოუდგენელია. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც თავის „სიტყვის კონას“ 30 წლის განმავლობაში ქმნიდა. ასევე დიდი შრომა მოითხოვა რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენამ ნიკო ჩუბინაშვილისაგანაც, რომელიც ამ წიგნის შესახებ წერდა: „ფასი არ დაედება, ამისთვის, რომ ჩემი ცხოვრება სრულებით ამის შრომაზედ გამიტარებია“<sup>3</sup>. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ იოანე ბატონი

<sup>1</sup> ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბილისი, 1967. მისივე, იოანე ბაგრატიონის ავტოგრაფული ნუსხების მოშობილვა, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწ. ინსტ. მოამბე, ტ. I, თბ., 1959. მისივე, იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი“, თბილისი, 1975.

<sup>2</sup> მ. კელენჯერიძე, რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები XVIII—XIX საუკუნეებისა, თბილისი, 1961. ტრ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის ლიტერატურაში“, თბილისი, 1939. აღ. ლლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბილისი, 1983.

<sup>3</sup> მ. კელენჯერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 22—24.

<sup>4</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, Спб., 1894, გვ. 32.



ქართული  
ენციკლოპედია

ნიშვილს ამ რთულ საქმეში ჰყოლოდა დამხმარენი, რომლებიც სამშობლოდან მოშორებით სიამოვნებით ეწეოდნენ თანამემამულეთათვის სასარგებლო საქმიანობას და პატრიოტულ ვალს ამით იხდიდნენ.

იოანე ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით საინტერესოა რუსულ-ქართული ლექსიკონი. ეს ლექსიკონი ჩვენამდე 2 ნუსხითაა მოღწეული: ერთია ორტომეული ლექსიკონი და დაცულია თბილისში<sup>4</sup>, მეორეა ექვსტომეული და დაცულია ლენინგრადში<sup>5</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ლექსიკონების წყაროდ მიჩნეულია რუსეთის აკადემიის ექვსტომიანი ლექსიკონი<sup>6</sup>.

მკითხველს რომ წარმოადგენა შევეუქმნათ, თუ რას წარმოადგენს რუსულ-ქართული ლექსიკონის წყარო, მოკლედ შევეხებით მის რაობას<sup>7</sup>.

„რუსეთის აკადემიის ლექსიკონი“, რომლის I გამოცემა 1789-1794 წლებში განხორციელდა, წარმოადგენს რუსული ენის განმარტებით ლექსიკონს, რომელიც ასახავს რუსული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი და საინტერესო პერიოდის — XVIII ს. II ნახევრის ვითარებას. ლექსიკონი შეიცავს ნეიტრალური, ე. ი. მეტყველების ყველა სფეროში ხმარებული, ლექსიკონის გარდა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში გამოყენებულ, რელიგიურ რიტუალებსა და სამხედრო ცერემონიალთან დაკავშირებულ, ხალხში და სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებულ სიტყვებსა და ფორმებს, სლავური (რომელშიც იგულისხმებოდა ძველსლავური, ძველბერძნული და საეკლესიო წიგნებიდან ამოკრეფილი ბერძნულ-ლათინური ნასესხობანი) და დიალექტურ-ეთნოგრაფიული პლანის ლექსიკონს, საეკლესიო სლავური ენის მოდელის მიხედვით შექმნილ ხელოვნურ ფორმებს. აქვეა წარმოდგენილი სპეციალური ლექსიკონი ცოდნის სხვადასხვა დარგიდან (ბუნებისმეტყველება, ქიმიკა, მათემატიკა), ხოლო უცხოური სიტყვებიდან მხოლოდ ის, რაც დიდი ხნის დამკვიდრებული იყო რუსულ ენაში.

ეს უზარმაზარი მასალა დალაგებულია ეტიმოლოგიური ძირების, ე. წ. ბუდობრივი პრინციპის, მიხედვით, რის გამოც ერთ ბუდეში თავმოყრილია დიდი ოდენობის სიტყვები. ეს ვითარება ფორმათა მოძებნას მეტად ართულებდა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ნაწილს ახლდა განმარტებულ ფორმათა საძიებელი. ამიტომ ბოლო მე-6 ტომის გამოსვლისას, ე. ი. 1894 წელს, გადაწყდა ახალი, II გამოცემის განხორციელების საკითხი, რომელშიც სიტყვანი გაწყობილი იქნებოდა ანბანთრიგის მიხედვით. ეს გამოცემა განხორციელდა 1806-1822 წლებში. II გამოცემა პირველისგან სიტყვანის დალაგების პრინციპის გარდა სხვაობს იმითაც<sup>8</sup>, რომ მოძველებული და ხელოვნური წარმოების სიტყვები, რომელთა სიუხვეს ერთი ძირის ირგვლივ მათი თავმოყრაც განაპირობებდა,

<sup>4</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2328.

<sup>5</sup> ლენინგრადის სალტიკოვ-შჩერდინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება, ი. ბატონიშვილის კოლექცია № 272.

<sup>6</sup> ლ. კ. თათელიანი, დაეთ და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, გვ. 68.

<sup>7</sup> ამ ლექსიკონის I გამოცემას ეძღვნება ი. რუდაკოვს სპეციალური ნაშრომი, რომელშიც განხილულია ლექსიკონის შექმნის ისტორია, მისი წყაროები, სიტყვათა განმარტების პრინციპები. იხ. Рудакова И. Ф., «Словарь Академии Российской» 1789—1794, Ленинград, 1965 (Автореферат).

<sup>8</sup> ლექსიკონის ამ ორი გამოცემის ურთიერთმარტების საკითხი საკმაოდ რთულია და მოითხოვს შემდგომ მუშაობას. ამჟამად ზოგიერთი მონაცემის აღნიშვნით დაეკმაყოფილებით.



აქ ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი. შემცირებულია აგრეთვე „სლავური“ სახელწოდებით აღნიშნული სიტყვების მოცულობაც (მხოლოდ ძირითადი ბირთვია გადასული II გამოცემაში). ჩვენი დაკვირვებით, II გამოცემაში არ გადასულა ერთი ნაწილი საბუნებისმეტყველო სიტყვებისა, რომლებიც I გამოცემაში განმარტებული იყო. სამაგიეროდ, მათ ნაცვლად II გამოცემაში შეტანილია სხვა ტერმინები და სახელწოდებები „ბუნების სამი სამეფოდან“, ზოგიერთი სიტყვის განმარტება შემცირებულია ან პირიქით, გაზრდილია ან ახალი განმარტებითაა შეცვლილი...

სამეციალისტების აზრით, „რუსეთის აკადემიის ლექსიკონი“ მეტად ფასეულია არა მარტო რუსული სალიტერატურო ენის ისტორიის გასათვალისწინებლად, არამედ თანამედროვე ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისითაც, რამდენადაც მასში პირველად დაამუშავებული „რუსული სიტყვების მნიშვნელობების განმარტებების სისტემა“<sup>9</sup>. იგი საყურადღებოა იმითაც, რომ ლექსიკონში მოცემული „სიტყვის აზრობრივი დახასიათების ტიპები და მოდელები“ წარმოადგენს ბაზას უფრო სრულყოფილ განსაზღვრებებისათვის შემდეგდროინდელ განმარტებითს ლექსიკონებში<sup>10</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იოანე ბატონიშვილმა რუსულ-ქართული ლექსიკონი შექმნა „რუსეთის აკადემიის ლექსიკონის“ არა მთლიანი, არამედ შერჩევითი თარგმნის საფუძველზე<sup>11</sup>. მიუხედავად ამისა, რუსულ-ქართული ლექსიკონი საკმაო მოცულობისაა და დაახლოებით 40 000 სიტყვას შეიცავს.

რამდენადაც რუსულ-ქართული ლექსიკონი ორენოვანია და ამდენად, მხოლოდ რუსული სიტყვანის შესატყვისობების ჩვენებას ისახავს მიზნად, თბილისური ნუსხა (H 2328), ბუნებრივია, უნდა წარმოადგენდეს რუსული სიტყვანის ქართულ თარგმანს. ეს, რა თქმა უნდა, ასეც არის უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ საკმაოდ ხშირად ქართულ შესატყვისის თან ახლავს მოკლე განმარტება, არცთუ იშვიათად — ვრცელიც. ვრცელი განმარტებების შედარებამ რუსეთის აკადემიის ლექსიკონის ორივე გამოცემის შესაბამის განმარტებებთან აშკარა გახადა, რომ ქართველი მთარგმნელი იყენებს I გამოცემას<sup>12</sup>.

რაც შეეხება ლენინგრადულ ნუსხას, იგი თბილისური ნუსხის გადათეთრებულ ცალს წარმოადგენს, რომელიც მოცულობით და განმარტებების სისრულით არსებითად არ განსხვავდება მისგან<sup>13</sup> და თუ მაინც არის მცირედი განსხვავება, ეს უპირველესად ეხება სიტყვათა რიგს (ლენინგრადულში უფრო დახვეწილია იგი) და იმ ცოტაოდენ სხვაობას ლექსიკაში, რომლითაც შევსე-

<sup>9</sup> Рудакова И. Ф., დასახ. ნაშრ., გვ. 3.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>11</sup> ლ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

<sup>12</sup> ლ. ქუთათელაძის აზრით (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 72), მთარგმნელი „სარგებლობს ორივე გამოცემით, უფრო კი მისდევს და უპირატესობას ანიჭებს მეორეს“. პატივცემული მკვლევარი შეტყობაში შეუყვანია სიტყვებს: совок, совхозраствю, совхозстаю, რომლებიც მას რუსული ლექსიკონის I გამოცემაში ვერ აღმოუჩენია და ამდენად II გამოცემიდან მომდინარე მთარგმნევი, მაშინ როდესაც საშივე ეს ფორმა არის I გამოცემაში: совок, сую, сованне-ბუღეშია მოთავსებული, დანარჩენი ორიც I გამოცემის V ტომშია.

<sup>13</sup> ლ. ქუთათელაძეს მაინცა (იქვე, გვ. 73), რომ ლენინგრადული ნუსხა თბილისურის გადამუშავებული ცალია, რომელიც შევსებულია რუსული ლექსიკონის II გამოცემის სიტყვანის მიხედვით და განმარტებებსც ერთადაა წარმოდგენილი, ე. ი. დენის გამეორების ცდაა ტომთა



ბულია ლენინგრადული ნუსხა. აქ მხედველობაში გვაქვს სიტყვები, რომლებიც მთარგმნელს უნებურად გამოარჩენია (сок, солнце, соловей, соболь ...), ლენინგრადულ ნუსხაში კი შეტანილი და განმარტებულია<sup>14</sup>. ვფიქრობთ, ლენინგრადულ ნუსხაში ჩამატებულ სიტყვათა რაოდენობა ბევრი არ უნდა იყოს და ამდენად ეს ორი ნუსხა არც მოცულობით<sup>15</sup> და არც განმარტებების მიხედვით ბევრად არ უნდა სხვაობდეს ერთმანეთისაგან<sup>16</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იოანე ბატონიშვილის თარგმანი ზმირ შემთხვევაში აზრობრივია, ქართულ ბუნებასთან შეხამებული და „საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობილი“. არაიშვიათად სიტყვების, განსაკუთრებით სამკურნალო ბალახთა, განმარტებისას მათი გავრცელების არეალად მოხმობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხე<sup>17</sup>.

რაც შეეხება ამ ხელნაწერების ავტოგრაფობის საკითხს, სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ორივე ნუსხის რუსული სიტყვანი ნაწერია უცნობი კალიგრაფიული ხელით, ქართული კი ავტოგრაფულია<sup>18</sup>. აღნიშნულია ისიც, რომ ი. ბატონიშვილს ამ რთულ საქმეში ჰყოლია დამხმარე, რომელიც თბილისური ნუსხის — H 2328-ის 115r-დან აგრძელებს სამუშაოს ბოლომდე (ორივე ტომი შეიცავს 981 ფურცელს). ამავე ხელით ჩანს ნაწერი ლენინგრადული ნუსხის I და III ტომებიც. „მაშასადამე, ეს ერთი პირი (რომლის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია) განუყრელად თანამშრომლობს იოანესთან“, — აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში<sup>19</sup>. იქვე გამოთქმულია აზრი, რომ თბილისური ნუსხაში „განმარტებათა დიდი უმეტესობა მიწერილია იოანეს ხელით“<sup>20</sup>, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, რამდენადაც 981 ფურცლიან ნაშრომში 115 ფურცელი (რომელიც იოანეს ხელითაა ნაწერი) „დიდ უმეტესობას“ არ წარმოადგენს და თანაც იოანეს განმარტებების სწორედ დიდი უმეტესობა გადახაზული და ახალი განმარტებებითაა შეცვლილი, ან კიდევ, დახვეწილი და შევსებულია „დამხმარის“ მიერ. რაც შეეხება უცნობი პირის მიერ დაწერილ ნაწილში იოანეს შესწორებებს, ისინი უმნიშვნელოა: იოანე ქართულ შესატყვისს აქა-იქ უმატებს სინონიმებს, ხოლო განმარტებებს სა-

რაოდენობითაც და სისრულითაც. ჩვენ ამ ორი ნუსხის ვრცელი განმარტებები შევლდართ ერთმანეთს. აღმოჩნდა, რომ ბევრ შემთხვევაში განმარტებები აბსოლუტურად იდენტურია, ზმირად მთარგმნელის დიალექტობები და შედლომებიც კი უცვლელადაა გადატანილი. არის შემთხვევები, როდესაც თბილისური ნუსხის არასწორად ამოკითხვის შედეგად ლენინგრადულ ნუსხაში განმარტება დამახინჯებულია, ზოგჯერ ორი სხვადასხვა სიტყვის განმარტება გავრთიანებულია და ერთ სიტყვასთანაა მიწერილი. საკმაოდაა „კალმის ცლოპილებანი“, განსაკუთრებით, მე-5 ნაწილში, და ა. შ. ასე რომ, ლენინგრადული ნუსხის „გადამუშავებულ“ ცალად წარმოადგენა, ვფიქრობთ, მართებული არ უნდა იყოს.

<sup>14</sup> ასო ს-ს ფარგლებში ეს ჩამატებები თეიმურაზ ბატონიშვილს უნდა ეკუთვნოდეს (იხ. ლ. ქუთათელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 76).

<sup>15</sup> მ. კეულენჯერიძის აზრით (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 31), თბილისური ნუსხა 20 ათას სიტყვას შეიცავს, ლენინგრადული კი — 40 ათასს, რაც არ არის სწორი.

<sup>16</sup> შემდგომი მუშაობა ამ ნუსხათა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საშუალებას მოგვცემს მეტი კონკრეტულობა შევიტანოთ საკითხში.

<sup>17</sup> ლ. ქუთათელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 68. მ. კეულენჯერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 30, აღ. დლოტი, დასახ. ნაშრ., გვ. 195.

<sup>19</sup> ლ. ქუთათელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 74.

ერთოდ არ ეხება. იგრძნობა, რომ „დამხმარემ“ გაცილებით უკეთ იცის რუსული, ვიდრე იოანემ.

ასე რომ, „დამხმარე“ ძირითადი შემსრულებელი ჩანს ამ რთული და შრომატევადი საქმისა.

ვინ არის ეს „დამხმარე“?

ლენინგრადის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში მივაკვლიეთ მეტად საინტერესო მასალას, რომელშიც პირდაპირ დასახელებულია ამ უცნობი პირის ვინაობა. ეს არის ვასილ მათეს ძე ჭილაევი (ჭილაძე).

ჩვენთვის საინტერესო ცნობა დაცულია საქმეში<sup>21</sup>, რომელიც შეიცავს ვასილ ჭილაძის სამსახურში აღდგენის შესახებ თხოვნის წერილებს. აქედან 3 ვ. ჭილაძეს ეკუთვნის (2 საქართველოს მთავარმმართველის პაულუჩის სახელზეა დაწერილი, ხოლო 1 — შინაგან საქმეთა მინისტრის ო. კოზოდავლევისადმი), ორი — იოანე ბატონიშვილს (ო. კოზოდავლევისა და განათლების მინისტრის რაზუმოვსკის სახელზე). აქვეა მეფის ასულ რიფსიმეს თხოვნაც.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ი. ბაგრატიონის თხოვნა რაზუმოვსკისადმი (1814 წ. 3 მარტისა), რომელიც ეხება ვასილ ჭილაძის სამსახურში აღდგენის აუცილებლობას და მის დიდ დამსახურებას რუსეთის აკადემიის ექსტრემიანი ლექსიკონის თარგმნის საქმეში. წერილი მოგვაქვს მთლიანად:

«Как поводом народного благополучия бывает всегда народное просвещение и образование умов, вводя людей в благоденствие, возводит их вместе с тем на верх счастья, то по сему из любви к отечеству моему по скудности ученых или классических книг на грузинском языке, по причине частого разорения в прежние времена края моего нашего неприятели, предположил я перевесть с российского на грузинский диалект словарь в шести томах состоящий, как первый фундамент или самонужнейший материал всей словесности, к исполнению чего возложил я сии дела на надв. советника Чилаева, жительствоющего Кавказской Губернии в гор. Моздоке, как на человека никакою службою незанятого и весьма основательно, по личной мне известности, сведущего в том и другом диалекте.

Г. Чилаев с самого прибытия своего в здешнюю столицу, т. е. с прошлого 1812 года, по поручению от меня занимался сим общепользным упражнением денно и ночью в виду моем, который расположил по новой лучшей системе алфавитического порядка и окончив совершенно, ныне представил ко мне.

Остается теперь мне распорядиться только к изданию сего перевода в свет в пользу российских раненных инвалидов, каковое предположение надеюсь я в непродолжительном времени произвести в самое действо. Но прежде, нежели приступлю я к сему, первейшим и истинным долгом поставляю себе, Сият. Граф, отдавая истинную справедливость как долговременным, так и толико полезным трудам н. с. Чилаева, подъятым им в переводе шести книг Академического Словаря, составляющего общепользный предмет словесности для воспитывающегося юношества во

<sup>21</sup> ЦГИАЛ, Ф. 1284, оп. 4а, 1811 г., кн. 32, д. 296.



всемиловнейше открытом в Грузии для дворянства благородном училище, по неимению для воспитанников Лексикона с Российским переводом, толико в оном нуждающемся, всепокорнейше просить Ваше Сиятельство о исходатайствовании ему Чилаеву у Государя Императора приличного трудам его вознаграждения, как в воздаяние помянутых трудов его, так и в самое поощрение на будущее время к подобным упражнениям, тем более что весьма мало имеется людей надежных, могущих переводить искусно на сии языки классические книги.

Н. С. Чилаев в настоящем его чине состоит с начала прошлого 1808 года, знака отличия никакого не имеет и с прибытия его в здешнюю столицу из Грузии, где он был Советником в Палате Суда и Расправы, он уже не на службе. Поведения он прямо соответствующего званию своему, по сему повторяя просьбу мою, всепокорнейше прошу, Ваше Сиятельство, почтить меня исходатайствованием за сие соответственного ему воздаяния, каковое приму в собственное от Вашего Сиятельства одолжение.

В надежде Вашего снисхождения к справедливому моему о г. Чилаеве у Вашего С - а предстательству с совершеннейшим почтением и преданностью имею честь быть.

Сият. граф, Мой государь, В. С-а покорнейший слуга  
Царевич Грузинский Иоанн.

როგორც ვხედავთ, იოანე ბატონიშვილს, რომელსაც კარგად ესმოდა განათლების ფასი, გადაუწყვეტია რუსეთის აკადემიის ექვსტომიანი ლექსიკონის, როგორც „სიტყვიერების უპირველესი საფუძვლის,“ თარგმნა ქართულად და ეს საშუალო საქმე მიუხედავად ვასილ ჭილაძისთვის, რომელიც ფრიად განსწავლული ყოფილა ქართულ და რუსულ ენებში. იგი 1812 წ. შესდგომია ამ საქმეს და „დღე და ღამე მუშაობით“ დაუმთავრებია კიდევ 1814 წელს იოანე ბატონიშვილის ზედამხედველობით. ამასთანავე რუსული სიტყვანი გაუწყვია „უკეთესი სისტემის“ — ანბანური რიგის მიხედვით, რომელიც რუსულ ლექსიკონს არ ჰქონია<sup>22</sup>. ი. ბატონიშვილი ხაზს უსვამს მთარგმნელის საფუძვლიან განათლებას და ასეთი პირების სიმცირეს, რომელთაც კლასიკური წიგნების თარგმნა შეუძლიათ. ამ დიდი შრომის საფასურად იოანე მოითხოვს ვ. ჭილაძის დაჯილდოებას. ამასვე თხოვს იგი ო. კოზოდავლევსაც (1814 წ. 6 მარტი): «Осмеливаюсь просить... дабы не мог оставаться столь долговременный и общепользныи труд Н. С. Чилаева без всемиловнейшего воззрения»<sup>23</sup>.

იოანე ბატონიშვილს კარგად ესმის, რომ ამ რთული სამუშაოსთვის დაჯილდოება ვასილ ჭილაძის თავგანწირული შრომის შედეგის აღიარებაც იქნებოდა და წახალისების დიდი სტიმულიც შემდგომი საქმიანობისათვის.

იოანე ბატონიშვილის ამ თხოვნის საპასუხოდ რაზუმოვსკი მას ატყობინებს (1814 წ. 7 მარტი), რომ კარგად ესმის ჭილაევის დამსახურება, რომელმაც „ასეთი მნიშვნელოვანი საქმე შეასრულა“, ამიტომ წინადადებით მიმართა მინისტრთა კაბინეტს მისი დაჯილდოების შესახებ<sup>24</sup>.

<sup>22</sup> ანბანთრიგზე გაწყობის იდეა იოანე ბატონიშვილს უნდა გასჩენოდა რუსეთის აკადემიის ლექსიკონის II გამოცემის საფუძველზე, რომლის 2 ტომი უკვე დაბეჭდილი იყო (1806 წ. და 1809 წ.).

<sup>23</sup> ЦГИАЛ, Ф. 733, оп. 118, 1814 г., д. 283.

<sup>24</sup> ЦГИАЛ, Ф. 797, оп. 2, 1818 г., д. 9085.

როგორც ჩანს, იოანეს თხოვნას და რაზუმოვსკის მცდელობას ვ. ჭილაძის დაჯილდოების შესახებ შედეგი არ მოჰყოლია და 1814 წ. ივლისში იოანე ბატონიშვილი კვლავ უგზავნის წერილს შესაბამის უწყებას. მოვიყვანო ამონაწერს: «Не имея повода к новому возложению на сего преподобного чиновника других интересных поручений по неполучению им еще за помянутые его достохвальные подвиги вознаграждения, осмеливаюсь повторить всепокорнейшую прежнюю мою просьбу...» და შემდეგ აკრძალვებს: «дабы не терять времени можно было мне занять чиновника сего и другими полезными для общего блага отечества препоручениями»<sup>25</sup>.

იმავე წლის ივლისში რაზუმოვსკი ისევ ეხმინება იოანე ბატონიშვილს, რომ მან სტატს-მდივან მოლჩანოვს სთხოვა ვ. ჭილაძის დაჯილდოების დაჩქარება, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ თხოვნას არავითარი ნაყოფი არ გამოუღია და „ყოველგვარი მსვლელობის გარეშე“ დარჩენილა<sup>26</sup>.

1814 წლის 14 დეკემბრით დათარიღებულ წერილში<sup>27</sup> იოანე ბატონიშვილი ვ. ჭილაძეს უკვე საქართველო-იმერეთის უწყმინდესი მმართველის სინოდის თბილისის კანტორაში პროკურორად განწესებულად მოიხსენიებს და ისევ თხოულობს მისი დიდი შრომისათვის დაჯილდოებას.

როგორც ვხედავთ, იოანე ბატონიშვილს შესანიშნავად ესმის ვასილ ჭილაძის მიერ ჩატარებული შრომის სიმძიმეც და მისი დიდი მნიშვნელობაც. ჩვენ კი გავკვირვება გვიბყრობს, როგორ მოახერხა ორ წელიწადში ვასილ ჭილაძემ მართლაც უზარმაზარი სამუშაოს შესრულება, „დღე და ღამ მუშაობდაო“ — იოანეს ეს ნათქვამი სრულ სიმართლეს უნდა ასახავდეს.

ამასვე გვიდასტურებს ვასილ ჭილაძის, უკვე საქართველო-იმერეთის უწყმინდესი მმართველის სინოდის თბილისის კანტორის პროკურორის, მიერ გოლიცინისათვის გავგზავნილ 1915 წ. მუშაობის ანგარიშში — „უწყებებში“ ჩართული წერილი (1815 წ. 26 ნოემბრისა), რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი მისი თავგანწირული შრომა „რუსეთის აკადემიის ლექსიკონის“ თარგმნის პროცესში. მოვიყვანო ამონაწერს:... «Сживал при сем упражнении для общей пользы по 18-ти часов в сутки не вставая с места... Чрез которые не только получил я от обыкновенного сидения болезни, но и потерял половинного зрения ...» და რომ ეს რუსულ-ქართული ლექსიკონი შექმნილია «потом и немощными трудами...»<sup>28</sup>.

თუ თვალს გავადევნებთ ვ. ჭილაძის რუსულ-ქართული ლექსიკონის ბედს ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალების მიხედვით, მეტად საინტერესო სურათს დავინახავთ.

როგორც იოანე ბატონიშვილის ოფიციალურ წერილებში (რაზუმოვსკისა და კოზოდავლევისადმი) იყო აღნიშნული, 1814 წ. მარტში ეს ლექსიკონი უკვე მზად იყო და იოანეს ისღა დარჩენოდა, „განაკარგულება გაცეა მის დასაბეჭდად“. ეს ლიტონი სიტყვები რომ არ არის, დაადასტურა იმავე არქივში მიკვლეულმა 1816 წ. 23 დეკემბრით დათარიღებულმა დოკუმენტმა<sup>29</sup>, რომელიც წარმოადგენს ი. ბატონიშვილის თხოვნას განათლების სამინისტროსადმი მის-

<sup>25</sup> ЦГИАЛ, Ф. 733, оп. 118, 1814 г., д. 283.

<sup>26</sup> ЦГИАЛ, Ф. 797, оп. 2, 1818 г., д. 5085.

<sup>27</sup> ЦГИАЛ, Ф. 733, оп. 118, 1814 г., д. 283.

<sup>28</sup> ЦГИАЛ, Ф. 796, оп. 96, 1815 г., д. 78.

<sup>29</sup> ЦГИАЛ, Ф. 1263, оп. 1, 1816 г., д. 102.



თვის 30 ათასი მანეთის სესხად მიცემის თაობაზე რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმანის დასაბეჭდად.

ამ დოკუმენტში რუსეთის აკადემიის ლექსიკონი უკვე იოანე ბატონიშვილის თარგმნილად არის გამოცხადებული. მოვიყვანთ ციტატას: «...Между прочими занятиями успел перевести на Грузинский язык Академический Словарь, переложил оный для удобнейшего изыскания всех слов по Азбучного порядку, каковой словарь не имеет»<sup>30</sup>.

იოანე ბატონიშვილის ეს განცხადება არ უნდა იყოს გასაკვირი, რამდენადაც რუსულ-ქართული ლექსიკონის დაბეჭდვის ნებართვის მიღება რუსეთის მთავრობისაგან იმ დროს შეეძლო მხოლოდ ცნობილ და დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას, სწორედ ისეთს, როგორიც იოანე ბატონიშვილი იყო. ამასთანავე ლექსიკონის დაბეჭდვა დიდ ხარჯებს მოითხოვდა, რაც, რა თქმა უნდა, ვასილ ჭილაძეს არ გააჩნდა, იოანე ბატონიშვილს კი რუსეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი ჰქონდა 100 000 მან. მამულის საყიდლად. ამიტომ ამ თხოვნაში ლექსიკონის იოანეს ნაღვაწად გამოცხადება სრულიად ლოგიკური და გასაგებია. მით უმეტეს, რომ ი. ბატონიშვილს გარკვეული წვლილიც მიუძღვის ამ ლექსიკონის შექმნაში, როგორც თარგმნის ინიციატორს, ხელმძღვანელსა და რედაქტორს. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ვ. ჭილაძეც არ ყოფილა ლექსიკონის იოანეს სახელით დაბეჭდვის წინააღმდეგი, თუ იგი მას შრომას არ დაუკარგავდა და გარკვეულ მატერიალურ ანაზღაურებას მიაგებდა. მოვიყვანთ ამონაწერს: «Его Сиятельство имеет желание...издать словарь сей под единственным своим именем, что охотно я с моей стороны ему и уступаю, лишь бы не были труды мои чрез то оставлены без внимания...»<sup>31</sup>

აღსანიშნავია, რომ იოანეს ხელმძღვანელობით რუსულიდან ქართულად მთარგმნელთა მთელი ჯგუფი იღვწოდა, რომლის წევრები დიდ პატივად შერაცხნენ ქართველი ბატონიშვილის ყოველგვარ დავალებას და, როგორც ჩანს, პრეტენზიებსაც არ აცხადებდნენ თავიანთი შრომის ნაყოფზე. ამიტომ ადვილი შესაძლებელი გახდებოდა იოანეს ხელში გავლილი და ნარედაქციევი მასალისთვის მისი სახელის მიკუთვნება. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროს ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა მთელი კოლექტივის ნაღვაწის მიკუთვნება ხელმძღვანელისა და რედაქტორისათვის. სწორედ ეს უნდა იყოს საფუძველი იოანე ბატონიშვილის სახელთან დაკავშირებული იმ დიდი მემკვიდრეობისა, რომელიც ერთი პიროვნების ფიზიკურ შესაძლებლობებს აშკარად აღემატება.

ლექსიკონის დასაბეჭდად საჭირო თანხის უქონლობის გამო იოანე ითხოვეს მიეცეს 30 ათასი მან. იმ კაპიტალიდან, რომელიც გამოყოფილი აქვს რუსეთის მთავრობის მიერ მამულის საყიდლად, ან სესხად. ამ თხოვნაზე განათლების სამინისტრო უპასუხებს, რომ სესხის მიცემა არ შეუძლია ხაზინის მდგომარეობის გამო, ხოლო მისთვის გამოყოფილი კაპიტალიდან სხვა დანიშნულებით თანხის გაცემა საერთოდ შეუძლებელია. გრაფ. ა. არაჩქევეის მიერ იმპერატორისათვის იოანეს თხოვნის მოხსენების შემდეგ იმპერატორმა ბრძანა სახსრების გამოწახვა ლექსიკონის დასაბეჭდად, მაგრამ ალექსანდრე I-ის ეს განკარგულება არ შესრულდა<sup>32</sup>.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> ЦГИАЛ, Ф. 797, оп. 2, 1818 г., д. 9085.

<sup>32</sup> ЦГИАЛ, Ф. 1263, оп. I, 1816 г., д. 102.

იოანე ბატონიშვილი კვლავ ავგზავნის ანალოგიური შინაარსის წერილებს, მაგრამ ამჯერადაც მის თხოვნას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთის იმპერიის სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების მაშინდელი მინისტრის გოლიცინის 1817 წ. 12 ივლისის წერილიდან ირკვევა, რომ ყველა თანხა განაწილებულია და არავითარი საშუალება არ არის დახმარებისა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამავე წერილში კარგად ჩანს დახმარებაზე უარის თქმის ჭეშმარიტი არსი—ამ ლექსიკონის დაბეჭდვის საჭიროების უქონლობა. მოგვყავს ამონაწერი გოლიცინის წერილიდან: «Самые же книги Царевича едва ли могут быть полезны ныне, когда в Грузии, как довольно известно, едва ли есть такие ученые, которые могли бы заниматься словесностью и имели нужду в таком словаре»<sup>33</sup>.

ასე დამთავრდა ლექსიკონის დაბეჭდვის პირველი ცდა.

ამ წიგნის დაბეჭდვის საკითხი დასმულა 1818 წელსაც, როდესაც საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს წერილით მიუმართავს სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრ გოლიცინისათვის. მოვიყვანთ ამონაწერს: «... Одно только усердие мое к пользам Грузии убедило меня труды его (ლაპარაკია ვასილ ჭილაძეზე—ლ. კ.) довести до сведения Вашего.»<sup>34</sup>

თეოფილაქტე მაღალ შეფასებას აძლევს ვასილ ჭილაძის რუსულ-ქართულ ლექსიკონს და მის თავგანწირულ შრომას: «такого труда, какой принял на себя Г. Чилаев, никто здесь не вынесет...»<sup>35</sup> ხაზს უსვამს ამ საჭირო წიგნის მნიშვნელობას საქართველოსთვის და მოითხოვს მის დაბეჭდვას სახელმწიფოს ხარჯზე. აქვეა ვ. ჭილაძის წერილი თეოფილაქტესადმი ლექსიკონის თარგმნის ისტორიის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ იოანე ბატონიშვილის დავალება მას სიამოვნებით მიუღია: «... С истинным удовольствием принял на себя его поручение и занимался безпрестанно, окончив оное с желаемым успехом»<sup>36</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონის დაბეჭდვის მცდელობის პირველ ეტაპზე, როგორც იოანე ბატონიშვილის წერილიდანაც ჩანს, სრული თანხმობა სუფევდა მის მთარგმნელსა და იოანე ბატონიშვილს შორის, რამდენადაც იოანე „საქებ ღვაწლად“ («достохвальные подвиги») მიიჩნედა ვ. ჭილაძის თავგანწირულ შრომას. ვ. ჭილაძეც არ იყო წინააღმდეგი, როგორც ზევით ითქვა, ლექსიკონის იოანეს სახელით დაბეჭდვისა, თუ მისი დამსახურება არ იქნებოდა დავიწყებული. წიგნის დაბეჭდვის მცდელობის II ეტაპზე კი მათ შორის გამწვავებული ჩანს ურთიერთობა. ამის მიზეზი უნდა იყოს იოანე ბატონიშვილის სურვილი—თავის შექმნილად გამოაცხადოს ლექსიკონი და მხოლოდ თავისი სახელით გამოისცეს იგი. იოანე ბატონიშვილის პასუხში (1818 წ. 13 ივლისს) გოლიცინის წერილზე, რომელშიც მინისტრი იოანესგან ვ. ჭილაძის თარგმნილ ლექსიკონს მოითხოვს წიგნის ავტორიანობის გარკვევის მიზნით, იოანე ვ. ჭილაძის დიდ შრომას „რუსეთის აკადემიის ლექსიკონის“ თარგმნის საქმეში უკვე მოკრძალებულად წარმოგვიდგენს. მოვიყვანთ ციტატას: «...Он действительно был мною

<sup>33</sup> ЦГИАЛ, Ф. 733, оп. 118, 1814 г., д. 283.

<sup>34</sup> ЦГИАЛ, Ф. 797, оп. 2, 1818 г., д. 9085.

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> იქვე.



употреблен в переводе сей книги, но равно и прочие были ~~сотрудники~~, которые так же принимали участие в сем общеплезном деле»<sup>37</sup>.

აქვე ნათქვამია, რომ ვ. ჭილაძემ შესაფერისი ანაზღაურებაც მიიღო იოანე ბატონიშვილისაგან. ამის გარდა, იოანეს უთხოვია ვ. ჭილაძის საქართველოში გამგზავრების წინ რაზუმოვსკისთვის მისი ვლადიმირის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოება (რაც არ მომხდარა, როგორც ზემოთ ითქვა). ამავე წერილში იოანე ბავრატონი გოლიცინს წიგნის შემქმნელად წარმოუდგენს თავს: «Изволите требовать доставить к Вам предложенный мною на грузинский язык Российский Академический Словарь для напечатания оного на счет казны... Я не имею возможности сам от себя издать книгу сию, стоящую мне сверх семнадцатилетних трудов, значительных издержек...»<sup>38</sup>

იოანე ბატონიშვილის თქმით, 1817 წ. მთავრობის მიერ ლექსიკონის გამოცემაზე უარის თქმის გამო მან შეწყვიტა მის მოწესრიგებაზე ზრუნვა და ამიტომ მხოლოდ 2 ნაწილია გადაეთურებული და გასაგზავნად უვარგისია, რისთვისაც ბოდიშს უხდის გოლიცინს: «... Я очень сожалею, что не могу удовлетворить требования Вашего присылкою сей неоконченной книги...»<sup>39</sup>

ამავე საქმეში წარმოდგენილია ვ. ჭილაძის საინტერესო წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ „რუსეთის აკადემიის ლექსიკონის“ მთარგმნელი მხოლოდ ისაა და რომ დამხმარედ ერთადერთი იოანე ბატონიშვილი ჰყავდა, რომელიც ხანდახან ეხმარებოდა ქართული სიტყვების შერჩევაში. მოვიყვანთ ციტატას: «В предложении сего словаря трудился единственно я только один без всякого со стороны кого-либо пособия, кроме его самого Царевича, который отыскивал мне иногда некоторые слова Грузинские...»<sup>40</sup>

აქვე იგი წერს, რომ მისი პეტერბურგიდან წამოსვლის დროისათვის, ე. ი. 1815 წ. იანვრისათვის, ლექსიკონის პირველი 3 ტომი უკვე თეთრად იყო გადაწერილი.

რაც შეეხება ანაზღაურებას, ვ. ჭილაძეს იოანესგან მიუღია მხოლოდ 550 მან. სხვადასხვა დროის განმავლობაში, მაშინ როდესაც თვითონ იოანე ბატონიშვილი ამ ლექსიკონზე გაწეულ შრომასა და ხარჯებს 20 000 მანეთით განსაზღვრავს<sup>41</sup>.

ამ საქმეში კიდევ ერთი წერილია ვ. ჭილაძისა, რომელშიც, როგორც თვითონ ამბობს, იგი იძულებულია იოანე ბატონიშვილის შესახებ სიმართლე განაცხადოს. ამასთანავე ითხოვს ეს საიდუმლოდ დარჩეს, რამდენადაც იოანე ბატონიშვილი მისი კეთილისმყოფელია: «Да ненатурально, чтобы он мог быть мне в сих трудах помощником по неумению им не только читать и писать по-русски, даже говорить, поелику он всегда говорит с русскими чрез переводчика»<sup>42</sup>.

აქვე იოანეს მოქმედებით გულდაწყვეტილი ვასილ ჭილაძე დასძენს, რომ

<sup>37</sup> ЦГИАЛ, Ф. 797, оп. 2, 1818, д. 9085.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> ЦГИАЛ, Ф. 1284, оп. 6, I отд., II стол, 1821 г., д. 26.

<sup>42</sup> ЦГИАЛ, Ф. 797, оп. 2, 1818 г., д. 9085.



ეგზარქოსი თეოფილაქტე «Видит и более умеет по справедливости ценить труды прошедшие и настоящие, нежели царевич Иоанн»<sup>43</sup>.

რასაკვირველია, წიგნის ავტორობის თაობაზე პაექრობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ლექსიკონის დაბეჭდვის საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

ლექსიკონის დაბეჭდვის საკითხი დასმულა მოგვიანებითაც — 1821 წ. სექტემბერში. საქართველოს და იმერეთის სამეფო სახლების მთავარ პრისტავს ახლოპკოვს იოანე ბატონიშვილის თხოვნის საფუძველზე წერილით მიუმართავს შინაგან საქმეთა მინისტრ კოჩუბეისათვის იოანე ბატონიშვილის მიერ თარგმნილი ლექსიკონის დაბეჭდვის თაობაზე სახელმწიფოს ხარჯით<sup>44</sup>. ახლოპკოვის ვამოანგარიშებით ლექსიკონი დაიჭერდა 500 ფურცელს და, თუ თეთრ ქაღალდზე დაიბეჭდებოდა 1200 ცალად ელირებოდა 25 ათასი მანეთი, რაც საკმარისი იქნებოდა იოანე ბატონიშვილის მიერ გაწეული შრომისა და ხარჯების ასანაზღაურებლად (როგორც ზემოთ ითქვა, იოანეს თქმით ლექსიკონი 20 ათასი მან. დაჯდა). კოჩუბეის ახლოპკოვის ეს წერილი გაუცენია გოლიცინისთვის, რამდენადაც მიზანშეწონილად უცენია წიგნის გამოცემა მისი უწყების მეშვეობით. გოლიცინს კი მისთვის წარუდგენია რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმნის მთელი ისტორია, დაწყებული იოანე ბაგრატიონის 1814 წ. მარტის წერილით და დამთავრებული წიგნის დაბეჭდვაზე უარის თქმის ვადაწყვეტილებით. გოლიცინს არ დავიწყებია იმის აღნიშვნაც, რომ იოანეს წერილში ლექსიკონის მთარგმნელად მიჩნეულია ჭილაძე, რომელიც ამჟამად საქართველო-იმერეთის უწყმინდესი მმართველის სინოდის კანტორაში მუშაობს პროკურორად. აღნიშნულია ისიც, რომ იოანე ბატონიშვილი ამ დიდი შრომისათვის ითხოვდა ჭილაძის დაჯილდოებას, რაზეც იგი მაშინვე წარუდგენიათ კიდევ, მაგრამ ეს წარდგინება შემდგომი „მსვლელობის გარეშე“ დარჩენილა. აქვე განმეორებულია ის არგუმენტებიც, რის გამოც უარი ეთქვა იოანე ბაგრატიონს ლექსიკონის დაბეჭდვაზე<sup>45</sup>.

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, აღარც დასმულა ამ ლექსიკონის დაბეჭდვის საკითხი.

ასე გადაწყდა ბედი წიგნისა, რომელსაც შეეძლო დიდი სამსახური გაეწია რუსული ენის შესწავლისა და რუსულიდან ქართულად თარგმნის საქმეში (როგორც ცნობილია, მთარგმნელობითი მუშაობა დიდ მნიშვნელობას იძენდა როგორც საქართველოში, ისე პეტერბურგისა და მოსკოვის ქართულ კოლონიებში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი ერთ-ერთი პირველი სრული რუსულ-ქართული ლექსიკონია საცნობარო ლიტერატურის ნაკლებობის პირობებში შექმნილი, რომელიც, სპეციალისტების აზრით, თარგმნითი ლექსიკონის ფარგლებს სცილდება და თარგმნით-განმარტებითი ლექსიკონის სახეს ატარებს. ამიტომ მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და სასურველია დაიბეჭდოს<sup>46</sup>. ამავე დროს თარგმნისას გამოყენებული სინონიმური შესატყვისები იმდენად საინტერესოა, რომ „მიზანშეწონილი იქნება მისი გამოყენება-გათვალისწინება თანამედროვე სინონიმური ლექსიკონების შედგენისას“<sup>47</sup>.

<sup>43</sup> იქვე.

<sup>44</sup> ЦГИАЛ, Ф. 1284, оп. 6, II отд. II стол, 1821 г., д. 26.

<sup>45</sup> იხ. აქვე, გვ. 13.

<sup>46</sup> ალ. ლლონტი. ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983, გვ. 195.

<sup>47</sup> მ. კულენჯერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 34.



აქვე დავსძენთ, რომ პირველი რუსულ-ქართული ლექსიკონი<sup>48</sup> შვილისა დაიბეჭდა მხოლოდ 25 წლის შემდეგ — 1846 წ. ამ ლექსიკონის საფუძვლად ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონი დაედო. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ნ. ჩუბინაშვილი არ იცნობდა იოანეს ლექსიკონს<sup>49</sup>, რაც, შესაძლებელია, საეჭვო გახდეს ამ ლექსიკონების ურთიერთშეჯერების შედეგად. მით უმეტეს, რომ ცნობილია ნიკო და დავით ჩუბინაშვილების მიერ იოანეს ბუნებისა და ქართული ლექსიკონების (ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა განყოფილების H 31<sub>3</sub> და H 31<sub>1</sub>) გამოყენების ფაქტები<sup>49</sup>.

იოანე ბაგრატიონის თარგმნილადაა ცნობილი აგრეთვე „საბუნებისმეტყველო ლექსიკონი“<sup>50</sup>. ანდერძის მიხედვით თარგმანი შესრულებულია 1814 წ. იოანე ბატონიშვილის მიერ. თარიღმა აღვვიძრა კითხვა: ხომ არ მიუღია ვასილ ჭილაძეს ამ ლექსიკონის თარგმნაში მონაწილეობა? ლექსიკონის გაცნობისას აღმოჩნდა, რომ იგი თავიდან ბოლომდე (შეიცავს 301 ფურცელს) ვ. ჭილაძის ხელითაა ნაწერი და, მაშასადამე, შესაძლებელია მას ეთარგმნა კიდეც (იგი, როგორც ზემოთ ითქვა, 1814 წ. დეკემბერში ჯერ კიდეც პეტერბურგშია). ეპვი საესებით დადასტურდა, როცა დავადგინეთ, რომ საბუნებისმეტყველო ლექსიკონის წყარო იგივეა, რაც რუსულ-ქართული ლექსიკონისა — ე. ი. „რუსეთის აკადემიის ლექსიკონის“ I გამოცემა. ამის შემდეგ ამ ორი ლექსიკონის შექმნის პროცესი ადვილი წარმოსადგენი გახდა: რუსული აკადემიური ლექსიკონის თარგმნისას ვ. ჭილაძე რუსულ-ქართული ლექსიკონის მასალას (რომელშიც, რასაკვირველია, შესულია საბუნებისმეტყველო სიტყვებიც) თარგმნიდა ისე, როგორც შეეფერებოდა ორენოვანი ლექსიკონის მიზანდასახულობას, ე. ი. რუსულ სიტყვას უწერდა ქართულ შესატყვისს, ადეკვატურ ეკვივალენტს (თუმცა გამონაკლისის სახით მოკლე ან საკმაოდ ვრცელ განმარტებასაც ურთავდა), ხოლო საბუნებისმეტყველო ლექსიკონისთვის მასალას ამოკრეფდა რუსული სიტყვიდან, ცალკე წიგნში იწერდა და მის დედნიესულ ვრცელ განმარტებებს შეუმოკლებლად, დაწვრილებით თარგმნიდა. საფიქრებელია, რომ საბუნებისმეტყველო ლექსიკონი იქმნებოდა რუსულ-ქართული ლექსიკონის პარალელურად, რუსული ლექსიკონიდან შესაბამისი მასალის ამოკრეფის კვალდაკვალ. შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ უკვე ამოკრეფილ საბუნებისმეტყველო სიტყვათა თარგმნას ვ. ჭილაძემ ხელი მოჰკიდა რუსულ-ქართული ლექსიკონის დამთავრების შემდეგ, ე. ი. 1814 წ. მარტიდან და წლის ბოლომდე დაამთავრა კიდეც (როგორც აღენიშნეთ, წიგნს თარგმნის თარიღად 1814 წ. უხის). ასეა თუ ისე, ორივე ლექსიკონი ერთი და იმავე შემოქმედებითი პროცესის შედეგია და, ამდენად, მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს.

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსიკონის შექმნაში უფრო აქტიურად მონაწილეობს იოანე ბატონიშვილი. იგრძნობა, რომ იგი სოლიდურ ცოდნას ფლობს

<sup>48</sup> მ. კელენჯერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

<sup>49</sup> ლ. ქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი“, 1975, გვ. 67, 79, 85.

<sup>50</sup> S 3986. სრული სათაური ასეთია: „ბუნებისმეტყველება ანუ შეკრება ლექსთა სხუთა და სხუთა ბუნებითა ისტორიათაგან ანანსა ზედა ასხმითა, რომელნიცა შეადგენენ სამაჲ სამეფოთა ბუნებისათა, ესე იგი ცხოველთასა, მცენარეთასა და აღნაკუქთთასა გინა ილუკროსა ქვებითურთ ცხადითა განმარტებითა თესვისისა, ნიშნებისა და ქმარებისა მათისათა და წოდებითა სახელთასა რუსულსა, ლათინურსა და ქართულსა ენასა ზედა“.



ბიოლოგიაში. განსაკუთრებით შესამჩნევია მისი წვლილი ლექსიკონის პირველ გვერდებზე. აქ იგი აერცობს განმარტებებს და რუსულ სიტყვანს უმატებს სალექსიკონო ერთეულებს. მთელი წიგნის მანძილზე კი, რუსულ-ქართული ლექსიკონის მსგავსად, თარგმნილ სახელწოდებებს აზუსტებს, ავსებს ქართული სინონიმებით და სისტემატურად უწერს გვერდით ქართული ასოებით თათრულ შესატყვისებს<sup>51</sup>. აქვე აღვნიშნავთ, რომ იოანე ბაგრატიონის მიერ დამატებული საბუნებისმეტყველო სიტყვები ბევრი არ არის (რამდენიმე ათეულს არ აღემატება) და მათგან ზოგიერთი რუსეთის აკადემიის ლექსიკონის II გამოცემიდანაა ამოღებული, ზოგიერთი კი საერთოდ არ აღმოჩნდა რუსული ლექსიკონის არც ერთ გამოცემაში. ამგვარ ჩამატებათა წყაროდ სავარაუდებელია რომელიმე სპეციალური ბიოლოგიური ლექსიკონი (ცერძოდ რომელი, ამას შემდგომი ძიება გაარკვევს). შესაძლებელია, მათი ნაწილი იოანე ბაგრატიონს განემარტა პირადი გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე. საერთოდ შეიმჩნევა, რომ საბუნებისმეტყველო ლექსიკონში იოანე ძირითადად ზრუნავს ქართული შესატყვისების დახვეწა-დაზუსტებაზე, ჭილაძისეულ ვრცელ განმარტებებს კი არ ეხება და ისინი რჩება ისევე, როგორც მთარგმნელმა გადმოიღო. ეს ასეა მთელი წიგნის მანძილზე (გარდა რამდენიმე შემთხვევისა წიგნის დასაწყისში). შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაშიც თარგმნის მთელი სიმძიმე ვასილ ჭილაძის მხრებზეა გადასული.

ლენინგრადის სახელმწიფო საისტორიო არქივში კიდევ ერთი საინტერესო ცნობა მოიპოვება. ვასილ ჭილაძის ერთ-ერთ თხოვნაში, რომელიც საქართველოს მთავარმმართველ პაულუჩის სახელზეა დაწერილი და სამსახურში აღდგენას ეხება, იგი სამსახურიდან გათავისუფლებას მთავარმმართველ ტორმასოვის მისაღმი ცუდი განწყობილებით ხსნის და, საერთოდ, უჩივის მის უყურადღებობას. მოვიყვანთ ამონაწერს: «... Не хотел удостоить никакого внимания, как равно и за предложение Уложения Царя Вахтанга на Российский язык при исполнении настоящей должности, какового здешнее правительство не имело до того в переводе, что стоило мне нарочитого и долговременного труда»<sup>52</sup>.

როგორც ვხედავთ, ვ. ჭილაძეს ჯერ კიდევ სასამართლო ექსპედიციაში მუშაობის დროს, ე. ი. 1806—1811 წლებში, უთარგმნია ქართულიდან რუსულად ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, რომელსაც მთარგმნელის „გულმოდგინე და ხანგრძლივი შრომა“ დასჭირვებია. ამ წიგნის თარგმნა, მართლაც, სოლიდურ ცოდნას მოითხოვდა არა მარტო ქართული და რუსული ენებისას, არამედ ქართული სამართლისა და სასამართლო ტერმინოლოგიისასაც<sup>53</sup>. ჩვენ შევეცადეთ დაგვეჩვენა ეს თარგმანი ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, მაგრამ უშედეგოდ. შესაძლებელია, იგი გამოიყენა თვითონ ვ. ჭილაძემ, როდესაც მთავარმმართველ ერმოლოვის მიერ დაინიშნა „ვახტანგის სამართლის“ მთარგმნელი კომისიის წევრად 1822 წელს<sup>54</sup>. როგორც ცნობილია, 4 კომისიის თარგმანთა

<sup>51</sup> თათრული შესატყვისები მიუჭირია სალექსიკონო ერთეულამდე Мирра(163<sup>v</sup>).  
<sup>52</sup> ЦГИАЛ, Ф. 1284, оп. 4а, 1811 г., кн. 32, д. 296.  
<sup>53</sup> სხვათა შორის, მთავარმმართველი კნორინგი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორ პეტრიევს ამ სამუშაოს შესრულებისათვის ხელუხასის „პენსიონად“ გადაქცევას დაპირებია, მაგრამ პეტრიევს „ვახტანგის კანონთა“ თარგმნისათვის თავი აუბრუნებია (იხ. ზემოდასახელ. საარქივო მასალი).

<sup>54</sup> А. Цагарели, Сведения... გვ. 26.  
 2. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 4

საქ. სსრ კ. ბარკსის  
 სს. სს. რესპუბ.  
 ბიბლიოთეკა



საფუძველზე (რტიშჩევის, მირიან ბატონიშვილის, ველიამინოვისა და ქარქოლოვის) 1828 წ. სენატმა გამოსცა ქართული სამართლის კრებულის რუსული თარგმანი, რომელიც ამ კომისიების თარგმანთა კომპილაციას წარმოადგენს<sup>55</sup> და რომელშიც ვასილ ჭილაძის, როგორც ერმოლოვის კომისიის წევრის, წვლილიც არის საგულვებელი.

ახლა მოკლედ ვასილ ჭილაძის სხვა, ჩვენთვის ცნობილი, თარგმანების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა საცავშია გაბნეული.

ვასილ ჭილაძის სახელი, როგორც მთარგმნელისა, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია<sup>56</sup>. მას მოიხსენიებენ იოანე ბატონიშვილის ახლობელ პირთა შორის, რომლებიც იოანეს დავალებით იღვწოდნენ და მისადმი დიდი პატივისცემით იყვნენ განმსჭვალულნი. ყველა მის თარგმანს (რაც ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილია) თავი რომ მოვუყაროთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია 2 თარგმანი: „პლატონის სიტყვა ალექსანდრე I-ის კურთხევის დროს 1801 წ. 15 სექტემბერს“<sup>57</sup>, თარგმნილი 1802 წ. და დ. პრესლერის „მხაზველობითი ხელოვნების კანონი“<sup>58</sup>, თარგმნილი 1804 წ. პეტერბურგში (ნაწილი თარგმნილია გ. ფირალოვის მიერ), რომელსაც წინ უძღვის იოანე ბატონიშვილისადმი ღრმა პატივისცემით განმსჭვალული მიძღვნა. სსრკ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დაცულია ვ. ჭილაძის თარგმანი „პეტრე I-ის საზოგადო რეგლამენტი ანუ წესდება“<sup>59</sup>. თარგმანი შესრულებულია 1803 წ. პეტერბურგში. თარგმანს ახლავს წინასიტყვაობა რუსულად და ქართულად. ქართულ წინასიტყვაობაში მთარგმნელი მკითხველს ამცნობს, რომ ეს მისი პირველი თარგმანია (პლატონის სიტყვა, ალბათ, მისი სიმცირის გამო სათვალავში არ ჩაავდო), რომელსაც ხელი მოჰკიდა „ნიშნად ერთგულებისა მამულისა“ მისისადმი და რომ ბედნიერად ჩათვლის თავს, თუ თანამემამულეებს ასიაშოვნებს „მცირედითა ამით შრომითა“. ამ თარგმანისათვის რუსეთის მთავრობამ ვ. ჭილაძე ბრილიანტის ბეჭდით დააჯილდოვა.

თბილისის გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ვ. ჭილაძის თარგმანი „რაჲ არნ თანამდებობანი კაცისა და მოქალაქისანი“<sup>60</sup>. ეს არის ს. პუფენდორფის «О должностях человека и гражданина» (გერმანულიდან თარგმნილი რუსულად 1726 წ.)<sup>61</sup>. თარგმანს თარიღი არ მოეპოვება. მას

<sup>55</sup> Р. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, Ленинград, 1956, с. 105—107.

<sup>56</sup> მის თარგმანებს იცნობენ: ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII საუკუნეებში, თბ., 1960, გვ. 253, 260. ლ. ქუთათელაძე, იოანე ბატონიშვილის „ქართული ლექსიკონი“, თბ., 1975, გვ. 6. ელ. მაკავარიანი, იოანე ბატონიშვილის ცნობა კედლის მხატვრობისა და ტილოს ფერწერული ხატების შესრულების შესახებ, ვ. „ხელოვნება“, 1972, № 7. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება, თბ., 1972, გვ. 171. აქვე დაესქენით, რომ ივ. ლოლაშვილის 1982 წ. პუბლიკაციაში „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის“ (თბ., 1982 წ., გვ. 203) ვასილ ჭილაძე (ჭილაშვილი) მთარგმნელთა შორის არ იხსენიება. იგი, როგორც ჩანს შემთხვევითაა გამოჩენილი, რამდენადაც „მცირე უწყების“ ავტორგრაფულსა (H 2134. 497r) და არაავტორგრაფულ (S 3677, 74r) ნუსხეებში თავში „ახალნი მთარგმნელნი ქართველანი“ მოხსენიებულია იგი: „იოანე მღვდელი ჭილაშვილი, სტეფანე, ამისი ძმა და ვასილი, ამისივე ძმა“.

<sup>57</sup> H 2470.

<sup>58</sup> H 2375.

<sup>59</sup> E14.

<sup>60</sup> 12943.

<sup>61</sup> В. Сопиков, Опыт Российской библиогр., Спб., 1814, № 3256, 3257.

წინ წამძღვრებული აქვს მიძღვნა „ყრმათადმი“, რომელიც მეტად საინტერესოა ვ. ჭილაძის პიროვნების დასახასიათებლად. მთარგმნელს შესანიშნავად ესმის განათლების ფასი და ნამდვილი პატრიოტის მოვალეობა სამშობლოს წინაშე: „ყოველსა შვილსა მამულისასა თანა-აძს... რათა დღითი დღე შეძლები-სამებრ თვისსა უმეტეს განამრჩობლებდეს და აღაორძინებდეს თს შორის გულსმოდგინებითა მეცადინობასა ხმევად ძალთა და შემძლებლობათა გონებისა თვისსათა სასარგებლოდ საზოგადოებისა და თანამემამულეთა თვსთა“. მისი, ახალგაზრდობის „ბედნიერებისა და კეთილდღეობის ტრფილის“, ერთადერთი სურვილია „ხალისი და გულსმოდგინებაჲ სწავლისადმი ეამითი ეამად უმეტეს ყუაოდეს და ორძილობდეს საზოგადოდ შვილთა შორის ქართულთასა“<sup>62</sup>.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია ვ. ჭილაძის თარგმანი ნაწარმოებისა „სჯულდებანი რუსეთის საიმპერიოსანი“<sup>63</sup>, თარგმნილი 1804 წ. ეს არის დავით თუმანიშვილის მიერ გადაწერილი ნუსხა (დამოწმება ახლავს დიმი. ორბელიანისა, რომ „ასლი ნამდვილთან სწორია“). თარგმანი წარმოადგენს სჯულდებათ ანუ კანონებს „სხტათა და სხტათა სამართლის წიგნთაგან გამოკრებულთა“. ესენია: ზღვის სამსახურის, სამხედრო, პოლიციის ტიბიკონები, „უქაზების“ წიგნები, მეფე ალექსი მიხეილის ძის წესდება... ამ თარგმანისათვის ვასილ ჭილაძე მეორეჯერ დააჯილდოვეს ბრილიანტის ბეჭდით.

ეს თარგმანი გვაფიქრებინებს, რომ ვ. ჭილაძე კარგად იყო გარკვეული სასამართლო საქმეთა რეპერტუარში. ამასვე უნდა ადასტურებდეს მისივე ცნობა ვახტანგ მეფის სამართლის რუსულად თარგმნის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ვ. ჭილაძეს 1812 წლისთვის რუსულიდან ქართულად (და ქართულიდან რუსულად) თარგმნის საქმით გამოცდილება ჰქონია. ალბათ, ამიტომ დაავალა სწორედ მას რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმნის რთული და საპატიო საქმე იოანე ბატონიშვილმა.

ახლა მოკლედ ვასილ ჭილაძის ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტის შესახებ. ვასილ მათეს ძე ჭილაძე წარმოშობით იმერეთის ჭილაძეთა შტოს უნდა ეკუთვნოდეს. ამის დასტურად, ვფიქრობთ, გამოდგება 1787 წ. იმერეთის მეფე დავითის მიერ გაცემული სიგელი მოზდოკში მცხოვრები ვასილ ჭილაძისა და მისი ძმებისათვის (ივანე, ევორ, სტეფანე) აზნაურის წოდების ბოძების თაობაზე<sup>64</sup>. იოანე ბატონიშვილის ჩვენთვის საინტერესო წერილშიც, რომელიც ზემოთ დაწვრილებითაა განხილული, ვასილ ჭილაძე მოიხსენიება, როგორც „კავკასიის გუბერნიის ქ. მოზდოკში“ მცხოვრები. თუ რა დროს დასახლდნენ ჩრდილო კავკასიაში ვასილ ჭილაძე და მისი ძმები, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. „აქტების“ მონაცემების მიხედვით ისინი „ძველი დროიდან რუსეთის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ“<sup>65</sup>.

ვ. ჭილაძე და მისი ძმები, როგორც ჩანს, ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. ამას ადასტურებს მათთვის თავადობის წოდების დამტკიცების თხოვნის (რომელიც ერთვის ჭილაძეების თავადობის დამადასტურებელ სოლომონ II-ის ხელმოწერილ სიგელს) საპასუხოოდ საქართველოს პროკურორის მიერ შეკრებილი

<sup>62</sup> ლიტ. მუხეუმი, № 12943.

<sup>63</sup> საქ. ცსსა, ფ. 1446, № 52.

<sup>64</sup> Акты, собр. Кавказской Археограф. комиссией, т. VI, ч. II, зб. 358.

<sup>65</sup> იქვე.



ქართული

ენების ცენტრი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

ცნობები, რომ მათ იმერეთში არავითარი მამული, სოფელი და აზნაურები არ გააჩნიათ და რომ მოზღოვში ფლობენ ერთ ხის სახლს და ერთადერთ ყმა გლეხს<sup>66</sup>. საინტერესოა, რომ მოზღოვში მცხოვრები ქილაძეები კავშირს არ წყვეტენ საქართველოსთან და მონაწილეობენ მის ცხოვრებაში. მაგ., ვასილის ძმა ეგორი (გიორგი), რომელიც 1794 წ. 15 წლის ასაკში გააზვავნეს გარსევან ჭავჭავაძესთან პეტერბურგში, იქიდან კურირად გამოუგზავნიათ სიგანგებო დავალებით ერეკლე მეორესთან, რომელთანაც დაუტოვებიათ მთარგმნელად. ეგვევ ეგორ მათეს ძე ქილაძე 1803 წ. გაუყოლებიათ გამცილებლად ლაზარევის მოკვლისათვის ბელგოროდში გადასახლებულ მარიამ დედოფლისათვის<sup>67</sup>.

ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი საგულისხმოდ ცნობებს გვაწვდის ვ. ქულაძის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხის შესახებაც. პაულუჩის სახელზე დაწერილი (1811 წ. ოქტომბრის) ვასილ ქილაძის წერილიდან ირკვევა<sup>68</sup>, რომ იგი ამ დროს უმუშევარი ყოფილა. გაუთავისუფლებიათ 1811 წ. სასამართლოს ექსპედიციაში (Экспедиция Суда и Расправы) მუშაობისაგან, სადაც 1806 წლიდან მსახურობდა. მის გათავისუფლებას საფუძვლად დასდებია გორის მაზრის თავად იასე მიახაბლის უნებართვო წასვლა საზღვარგარეთ ალექსანდრე ბატონიშვილთან და იქიდან დაბრუნების შემდეგ სასამართლოს ექსპედიციის მიერ მისი დანაშაულის „ლმობიერად“ განხილვის ფაქტი. ასეთ მკაცრ სასჯელს ვ. ქილაძე ხსნის საქართველოს მთავარმმართველ ტორმასოვის მისდამი ცუდი განწყობილებით. თხოვნაში მოყვანილია მისი სამსახურებრივი დახასიათება და ნამსახურობის ნუსხა, საიდანაც ირკვევა, რომ ვ. ქილაძე 1795 წლიდან რუსეთის სამსახურში იმყოფება, კერძოდ, მოზღოვის სასაზღვრო სასამართლო კანცელარიაში, რის შემდეგაც კავკასიის ხაზზე ქართველ ბატონიშვილებთან პრისტავად დაუწყია მუშაობა. მალე პეტერბურგში საგარეო საქმეთა კოლეგიაში გადაუყვანიათ მთარგმნელად (სწორედ აქ მუშაობისას უთარგმნია ზემოაღნიშნული ორი ნაწარმოები, რისთვისაც ორივეჯერ ბრილიანტის ბეჭდით დაუჯილდოვებიათ). 1806—1811 წლებში სასამართლოს ექსპედიციაში მსახურობდა მრჩევლად, რაც „აქტების“ მონაცემებითაც დასტურდება<sup>69</sup>. აქვე ნათქვამია, რომ ქართული და რუსული ენების კარგი ცოდნით იგი დიდად უწყობდა ხელს ექსპედიციის წარმატებას მუშაობაში. წელიწადნახევარი უმუშავია ექსპედიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. დიდი მონაწილეობა მიუღია ელისავეტპოლის პროვინციაში ქირის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რისთვისაც დაუჯილდოვებიათ კიდევ და სხვა.

მეორე წერილში (1812 წ. 26 ნოემბრისა)<sup>70</sup>, რომელიც ისევ პაულუჩის სახელზეა დაწერილი (თუმცა ამ დროს პაულუჩი უკვე გაწვეულია საქართველოდან), ვ. ქილაძე უჩივის თავისი ოჯახის უკიდურეს გაჭირვებას და კვლავ სამსახურში განწესებას ითხოვს. მესამე წერილიც (1814 წ. იანვრისა) ანალოგიური შინაარსისაა და დაწერილია ო. კოზოდავლევის სახელზე<sup>71</sup>. ამ წერილებს

<sup>66</sup> იქვე.

<sup>67</sup> საქ. ცსსა, ფ. 2, № 243.

<sup>68</sup> ЦГИАЛ, Ф. 1284, оп. 4а, 1811 г., кн. 32, д. 296.

<sup>69</sup> Акты..., т. IV, 1870 г., გვ. 458.

<sup>70</sup> ЦГИАЛ, Ф. 1284, оп. 4а, 1811 г., кн. 32, д. 296.

<sup>71</sup> იქვე.

ვერ მიუპყრიათ უმაღლეს ჩინოსანთა ყურადღება და საქმეში ჩარეულა იოანე ბატონიშვილი იმ წერილებით, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ.

ვ. ჭილაძის ოჯახის უკიდურესი გაჭირვება, როგორც ჩანს, გულთან ახლოს მიუტანია მეფის ასულ რიფსიმეს, რასაც ადასტურებს ამავე საქმეში არსებული მისი თხოვნა ო. კოზოდავლევის სახელზე მასთან გარდაცვლილი წინამძღვაროვის ნაცვლად პრისტავად ვ. ჭილაძის დანიშვნის შესახებ<sup>72</sup>.

გორის ეპისკოპოსი დოსითეოსიც უდანაშაულოდ მიიჩნევს ვ. ჭილაძეს და 1814 წ. აგვისტოს თხოვნაში მის სამსახურში განწესებას მოითხოვს. საინტერესოა, რომ სხვა დამსახურებათა შორის იგი ასახელებს ვ. ჭილაძის მიერ „რუსეთის აკადემიის ლექსიკონის“ თარგმნის ფაქტსაც. მოვიყვანთ ციტატას: «Чилаев известен кроме того и по знаниям своим, ибо он перевел с российского на грузинский язык Словарь Академический, могущий быть весьма полезным для его единоземцев»<sup>73</sup>.

ვ. ჭილაძის განწესებას საქართველოში პროკურორად მეტად საჭირო საქმედ თვლის თელავის არქივისკოპოსი დოსითეოსიც და მისი განათლება და გამოცდილება ამის დასტურად მიაჩნია. მისი თქმით, საქართველოში მუშაობისას მას ხალხი დიდად ენდობოდა და პატივს სცემდა<sup>74</sup>.

მაგრამ ვ. ჭილაძის წერილშიველიანი ოჯახი უმეშვერობის პერიოდში ყველაზე მეტად მაინც იოანე ბაგრატიონისგან უნდა ყოფილიყო დავალებული. ეს იოანეს მორალურადაც ევალებოდა, რამდენადაც ვ. ჭილაძე ასრულებდა მის დავალებებს და ასრულებდა საქმის ცოდნით, დიდი მუყაითობითა და სიბეჯითით.

ვ. ჭილაძეც, თავის მხრივ, მაღლიერი იოანეს მორალური და მატერიალური დახმარებისა, თავისი თავგანწირული შრომის ნაყოფს იოანეს თარგმნილად აცხადებს და წიგნის ანდერძშიც თავისი ხელით წერს ამის დამადასტურებელ სიტყვებს. ასე მოქმედებს იგი ორივე ლექსიკონის შემთხვევაში.

ასე გადაიქცა ვ. ჭილაძის თარგმნილი რუსეთის აკადემიის ლექსიკონი იოანე ბატონიშვილის ნაღვაწად და დღემდე განუყრელად უკავშირდება მის სახელს.

1815 წლის დამდეგიდან ვასილ ჭილაძე უკვე თბილისშია და ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მას „აქტების“ ცნობის მიხედვით 1815 წლის 8 მაისს მთავარმმართველ რტიშჩევისათვის გაუგზავნია საქართველო-იმერეთის უწმინდესი მმართველის სინოდის თბილისის კანტორის გახსნის ცერემონიალის დაწვრილებითი აღწერა<sup>75</sup>. აქვეა მისი წინადადებები საეკლესიო გადასახადების დანიშნულების შეცვლის შესახებ<sup>76</sup>. სინოდის კანტორის ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით ვასილ ჭილაძე საქმის მცოდნე, ენერგიულ და ავტორიტეტულ პიროვნებად წარმოგვიდგება. საქართველოს მაშინდელი მთავრობაც, როგორც ჩანს, აფასებდა მის უნარსა და გონების გამჭრიახობას და ჩინებითა და ორდენებით აჯილდოებდა მას, მაგ., 1818 წელს Коллежский Советник-ის ჩინი

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> იქვე.

<sup>74</sup> ЦГИАЛ, Ф. 797, оп. 2, 1814 г., д. 5714.

<sup>75</sup> Акты..., т. V, 1873 г., გვ. 443.

<sup>76</sup> იქვე, გვ. 414.



მიუცია<sup>77</sup>, 1819 წ. წმ. ანას ორდენით დაუჯილდოებია<sup>78</sup>. 1820 წ. ვასილ-ქიქნაძე უკვე სახელმწიფო მრჩევლის (Статский Советник-ის) ჩინით იხსენიება<sup>79</sup>. 1822 წელს მთავარმმართველ ერმოლოვის წინადადებით ვ. ჭილაძეს ირჩევენ ვახტანგ VI-ის სამართლის რუსულად თარგმნის კომისიის წევრად<sup>80</sup>. იგი დახასიათებულია როგორც ქართული და რუსული ენების საუკეთესო მცოდნე და სასამართლო წარმოების პრაქტიკაში კარგად გათვითცნობიერებული პირი.

როგორც ვხედავთ, ვასილ ჭილაძე საინტერესო პიროვნება ჩანს სამსახურებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც.

მასაღამე, ახალმცველული საარქივო მასალების მიხედვით იოანე ბაგრატიონის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული და საბუნებისმეტყველო ლექსიკონების ნამდვილ შემოქმედად წარმოგვიდგება ვასილ მათეს ძე ჭილაძე. „დამხმარის“ ტიტული სრულებით არ ასახავს რეალურ ვითარებას და, ამდენად, არ შეეფერება ვ. ჭილაძის მიერ ჩატარებულ უზარმაზარ სამუშაოს, რამდენადაც იგი სწორედ ძირითადი შემსრულებელია ამ მნიშვნელოვანი, შრომატევადი და საპატიო საქმისა.

ორივე ლექსიკონი — რუსულ-ქართული და საბუნებისმეტყველო — მიღებულია ერთი და იმავე შემოქმედებითი პროცესის — „რუსეთის აკადემიის ლექსიკონის“ I გამოცემის თარგმნის შედეგად და ამდენად მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს.

ამ ლექსიკონების შექმნის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება იოანე ბაგრატიონს, როგორც თარგმნის ინიციატორსა და ხელმძღვანელს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი, როგორც რედაქტორის, წვლილი ლექსიკონების (განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო ლექსიკონის) შევსებისა და ქართული მასალის დაზუსტება-დახვეწის სფეროში.

რადგანაც ვ. ჭილაძე იოანე ბატონიშვილის დავალებითა და ხელმძღვანელობით იღვწოდა და „რუსეთის აკადემიის ლექსიკონის“ თარგმნის პერიოდში დავალებული იყო მისგან მატერიალურად თუ მორალურად, მან თავისი შრომის ნაყოფი იოანე ბატონიშვილის შექმნილად გამოაცხადა იმ ანდერძებში, რომლებიც დაურთო ლექსიკონებს. ასე დაუკავშირდა ვ. ჭილაძის მიერ შექმნილი წიგნები, ერთ შემთხვევაში, რუსულ-ქართული და, მეორე შემთხვევაში, საბუნებისმეტყველო ლექსიკონი იოანე ბაგრატიონის სახელს და შემდგომ თაობებში ცნობილი გახდა (ანდერძების წყალობით) როგორც მის მიერ ნაღვაწი.

Л. А. КИКНАДЗЕ

## НОВЫЕ СВЕДЕНИЯ О РУССКО-ГРУЗИНСКОМ СЛОВАРЕ, ПРИПИСЫВАЕМОМ ИОАННУ БАГРАТИОНИ

В истории грузинской литературы начала XIX века особое место занимает многосторонний и плодотворный деятель Иоанн Багратиони.

<sup>77</sup> საქ. ცსსა, ფ. 489, საქმე № 402.

<sup>78</sup> იქვე, საქმე № 904.

<sup>79</sup> ЦГИАЛ, Ф. 796, оп. 100, 1819 г., д. 898.

<sup>80</sup> А. Цагарели, Сведения... გვ. 25—27.



С начала XIX века он возглавил творческую деятельность петербургской грузинской колонии и многое сделал на благо своей родины.

По мнению специалистов особо важна его заслуга в области лексикографии, в частности, в создании двух словарей: русско-грузинского и по естествознанию. Русско-грузинский словарь известен по двум спискам: тбилисский двухтомник (Н 2328 Института рукописей АН ГССР) и ленинградский шеститомник (№ 272 собрания Ц. Иоанна Гос. публ. библиотеки им. Салтыкова-Щедрина). Словарь по естествознанию дошел до нас в одном списке (S 3986 Инст. рукописей). Эти словари основаны на фундаментальном «Словаре Академии Российской» (САР).

В статье подробно рассмотрены нововывявленные данные ЦГИАЛ, по которым переводчиком САР представляется Василий Матвеевич Чилаев (Чиладзе), рукой которого написаны тбилисский список русско-грузинского словаря (Н 2328) и словарь по естествознанию. Эти оба словаря созданы на основе перевода первого издания САР, т. е. являются результатом одного и того же творческого процесса и тесно связаны друг с другом. Русско-грузинский словарь создан путем отборочного перевода русского словника, где к словам, расположенным по алфавиту, приписаны лишь адекватные соответствия по-грузински (за малым исключением), как это подобает двуязычному словарю. А в словаре по естествознанию к словам приписаны пространные пояснительные статьи, переведенные с русского словаря целиком, без сокращения, как требовало назначение словаря. Можно полагать, что эти словари создавались одновременно.

Интенсивная работа над переводом САР велась в Петербурге в 1812—1814 годах под непосредственным руководством и наблюдением И. Багратиони, который, сознавая всю тяжесть и важность труда В. Чиладзе, по окончании перевода неоднократно требовал от русского правительства награждения переводчика за «достохвальные подвиги».

В статье отмечен вклад И. Багратиони в дело создания этих словарей: инициатива перевода САР, непосредственное руководство, редакторская работа по уточнению грузинских эквивалентов обоих словарей, добавление новых слов по естествознанию и др. Показаны также старания И. Багратиони и В. Чиладзе для осуществления публикации русско-грузинского словаря.

В исследовании рассматриваются некоторые моменты из биографии В. Чиладзе, связанные с работой над словарями, и другие его переводы.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის  
საარქივო ფონდების განყოფილება

წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

В. И. ЧЕРЕДНИЧЕНКО

 СПЕЦИФИКА ХУДОЖЕСТВЕННОГО ВРЕМЕНИ И ТИПОЛОГИЯ  
 ВРЕМЕННЫХ ОТНОШЕНИЙ В ЛИТЕРАТУРНОМ  
 ПРОИЗВЕДЕНИИ

Как известно, время является объектом изучения многих научных дисциплин, как естественных, так и гуманитарных. Художественное время является фундаментальной проблемой для целого ряда наук, в числе которых должны быть названы эстетика и искусствоведение, литературоведение и психология, языковедение и семиотика. Рост интереса к категории художественного времени предопределен помимо общих и опосредованных причин специфическими и непосредственными, среди которых решающее значение имеет четко обозначившийся в последние десятилетия подход к художественному произведению как к эстетическому феномену, «особому типу реальности». При таком подходе обнаруживается исключительная роль пространственных и временных отношений в конструировании и восприятии художественной действительности.

С целью выявления специфики художественного времени следует соотнести его с физическим и психическим временем. Корреляцию между физическим, психическим и художественным временем можно осуществить достаточно корректно, если принять в качестве исходного тезис, что время оформляется в процессе возникновения более ранних и более поздних событий, обнаруживающих определенную взаимосвязь. Под событием мы будем понимать любое поддающееся фиксации изменение, любой сдвиг, происходящий в физической, психической или литературной действительности. Тогда очевидно, что наличествующая совокупность физических событий даст нам историю бытия или (если речь идет об индивидуе) историю жизни, совокупность психических событий (психических актов) — историю души, а совокупность литературных событий — историю особым образом организованного сообщения (восприятия) или сюжет. Таким образом, только сюжетное время литературных событий как структурно значимое время, принципиально сопоставимое с физическим и психическим временем, может представлять категорию «художественное время».

Остановимся более подробно на таких ключевых для уяснения проблемы художественного времени терминах, как «событие» и «сюжет». Литературное событие есть нечто происшедшее в литературной действительности, любой фиксированный сдвиг в художественной кар-



тине мира, мироощущении того или иного лица (персонажа, субъекта) или его поведении. При таком подходе любое зафиксированное движение (внешнее или внутреннее, осуществленное или предполагаемое), любой жест независимо от значимости квалифицируется как событие<sup>1</sup>. Этот сдвиг реализуется на морфологическом уровне, как правило, либо с помощью предикативных форм глагола, либо с помощью существительных, имеющих значение отвлеченного действия (т. е. существительных, мотивированных глаголами). Смена же слов или, точнее, смена актов восприятия слов происходит не в литературной действительности, а в физической, отражая ход физического времени. «Когда мы слышим предложение, — пишет Б. Рассел, — первое и второе слова более смежны друг с другом, чем первое и третье. Таким способом, посредством пространственной (рассмотренной выше — В. Ч.) и временной смежности, элементы нашего опыта могут быть организованы в упорядоченное многообразие. Мы можем признать, что это упорядоченное множество является частью упорядоченного множества физических событий и упорядочено тем же самым отношением»<sup>2</sup>.

Таким образом, сюжет понимается нами как совокупность событий «в той последовательности, в какой они даны в произведении» (Б. Томашевский), а событием, которое выступает в качестве наименьшей сюжетной единицы, квалифицируется любой фиксированный (а значит, вычленимый) сдвиг. Такой подход не позволяет, с одной стороны, сузить понятие сюжета до совокупности одних узловых моментов действия, с другой — расширить его до суммы всех речевых актов. Следствием такого подхода является:

1. признание сюжетности лирического стихотворения;
2. принципиальная допустимость существования «нулевого сюжета», когда сумма речевых актов не конструирует событийного ряда (подробнее об этом см. ниже).

Наряду с терминами «событие» и «сюжет» продуктивными представляются нам термины «временной сегмент» и «временное поле». Временной сегмент, являющийся структурной единицей поля, понимается нами как временной объем одного обособленного события или совокупности не разобренных друг с другом событий (то есть событий, расположенных по принципу сильной последовательности). Временное поле произведения — это сумма всех временных сегментов. Ряд параллельно совершающихся событий можно условно приравнять к одному событию.

Объем сюжетного поля не совпадает с объемом всего художественного поля произведения, уступая последнему за счет наличия несо-

<sup>1</sup> Ср. также: Теория литературы. Основные проблемы в историческом освещении. М., 1964, т. 2, с. 422, 425, 427, 433; Индивидуально-художественный стиль и его исследование, Киев—Одесса, 1980, с. 108.

<sup>2</sup> Б. Рассел, Человеческое познание, М., 1957, с. 365.



бытийных, т. е. **несюжетных**, (невременных) элементов, необходимых для пополнения информации об изображаемом, утверждения мировоззренческой позиции автора и других целей (теоретически возможно и наложение обоих полей). Поэтому вызывает возражение трактовка Г. Т. Маргвелашвили сюжетного поля как «языкового поля» и сюжетного времени как «временности речи», «времени языка»<sup>3</sup>. Такая трактовка неверна еще и потому, что «художественный текст характеризуется многоярусностью иерархически организованных уровней: идейно-смыслового, сюжетно-композиционного и языкового»<sup>4</sup>. В то же время широко используемые Г. Т. Маргвелашвили термины «сюжетное поле», «временное поле» следует признать продуктивными и для литературоведческого анализа. Сравнивая экзистенциальное поле с сюжетным, исследователь, в частности, пишет: «Совершенно другие условия наблюдаются на сюжетном поле художественных произведений. Здесь мешающих факторов как таковых нет. По крайней мере, их всегда стараются избегать при хорошем стиле. Все, что случается на подобном поле, должно иметь отношение к развиваемому сюжету, оно должно быть сюжетным, оно должно помогать развитию сюжета, раскрытию образов главных героев. Для несюжетного материала <...> нет места на временном поле художественных сюжетов»<sup>5</sup>. Такая нормативная поэтика (ср. требование Эдгара По: «Во всем произведении не должно быть ни одного слова, которое прямо или косвенно не вело бы к единой задуманной цели»<sup>6</sup>) не учитывает, однако, художественной роли несюжетных элементов и не охватывает всего многообразия художественных задач. Отметим также, что сюжетное время, само по себе эстетически значимое, совершенно безразлично как к большей или меньшей значимости тех или иных расположенных на его поле событий (в художественной действительности мелкие и крупные события эстетически приравнены), так и к их правдоподобию или неправдоподобию (в плане наличия аналога в физической действительности).

Ввиду того, что на сегодняшний день просматриваются лишь контуры общей теории художественного времени, создание которой остается задачей на достаточно отдаленное будущее, следует с самого начала строго очертить сферу употребления термина «художественное время». Как мы уже показали, этот термин в строгом значении может употребляться как эквивалент терминам «событийное время» или «сюжетное время». В этом своем качестве он способен фигурировать в качестве обозначения некой общеэстетической категории, обслуживаю-

<sup>3</sup> См.: Г. Т. Маргвелашвили, Сюжетное время и время экзистенции, Тбилиси, 1976, с. 11, 27, 36, 67.

<sup>4</sup> Индивидуально-художественный стиль и его исследование, с. 107 (выделено мной — В. Ч.).

<sup>5</sup> Г. Т. Маргвелашвили, Сюжетное время и время экзистенции, Тбилиси, 1976, с. 18.

<sup>6</sup> Э. По, Новеллистика Натаниела Готорна. — В кн.: Эстетика американского романтизма, М., 1977, с. 130.

шей все виды искусства, лишь **нестрого**, если учесть, что подведение систем временных отношений в различных видах искусства под один общий временной знаменатель (в данном случае — сюжетно-временной) наталкивается на значительные трудности ввиду значительного отличия специфических языков этих систем и отсутствия нормативной типологии видов искусства. Что же касается изучения временных отношений в отдельных видах искусства, то ввод терминов «литературное время», «живописное время», «музыкальное время» по всей видимости оправдан на данном этапе состояния проблемы. На наш взгляд, во избежание путаницы необходимо обозначить этими терминами лишь структурно значимое для данного вида искусства время, каковым в случае художественной литературы является событийное (сюжетное) время. Однако в литературоведении под термином «художественное время» понимается все, что так или иначе связано с проблемой времени. Истоки путаницы в том, что временные отношения в литературном произведении могут быть:

1. непосредственно реализованы;
2. схематично обозначены;
3. переосмыслены;
4. подвергнуты анализу.

Схематичное изображение временных отношений осуществляется, как правило, за счет употребления соответствующих лексических показателей времени (настоящее, давно, вчера, раньше и т. д.).

Переосмысление временных отношений происходит за счет употребления слов, обозначающих время, в непрямом значении (например, «настоящее» в значении «всегда»).

Анализ (оценка) времени и временных отношений выражает позицию автора или персонажа и принимает в произведении самые разнообразные формы — от пространных рассуждений на тему времени (примером могут служить соответствующие пассажи в средневековом «Романе о Розе») до образной характеристики времени («время летит соколом» — Некрасов).

Очевидно, что именно непосредственная реализация временных отношений, оформляющая сюжет и вызывающая у читателя ощущение хода (течения) времени, является наиболее важным способом для понимания эстетической природы феномена времени. Следует отметить, что временные отношения реализуются с помощью как грамматических средств (морфологических форм), так и надграмматических (семантики, синтаксиса, композиции).

После всех этих предварительных замечаний можно перейти к вопросу о соотношении физического, психического и художественного времени, имеющему принципиальное значение для уяснения специфики последнего. Прежде всего договоримся, что под «физическим временем» мы будем понимать время того материального мира, в котором живет человек (время макромира). Свойства времени в мега- и мик-



ромире нас интересовать не будут. Имея в виду психическое и художественное время, мы будем ориентироваться на некий инвариантный тип восприятия, присущий современному цивилизованному человеку. Различные аномалии или своеобразные отклонения в восприятии времени человеком нами не учитывались. В нашу задачу не входил также анализ эволюции чувства времени в ходе культурно-исторического процесса<sup>7</sup>.

Итак, психическое время есть ощущаемое, воспринимаемое, представляемое и мыслимое время любых, могущих быть ощущенными, воспринятыми, представленными и мыслимыми, событий безотносительно к их эстетической значимости. Отличие художественного времени от психического состоит, во-первых, в том, что художественное время, являясь ощущаемым, воспринимаемым и представляемым временем событий, не апеллирует к мыслительной деятельности субъекта; во-вторых, в том, что в его рамках могут быть реализованы только эстетически значимые события. Подчеркивая различия между психическим и художественным временем, не следует упускать из виду их глубокое генетическое родство: оба являются временем внутреннего опыта индивида и шире — человеческих коллективов. Это родство поддается естественной интерпретации: художественное время отпочковалось от психического в ходе культурно-исторического процесса на той его стадии, когда зародилось искусство. Отмеченные выше отличия требуют двух уточнений. Во-первых, поскольку в рамках художественного времени события не обсуждаются и не оцениваются (то есть не требуют умозаключающей работы мысли), а непосредственно переживаются в чувственной форме, естественнее соотносить художественное время с теми областями психического времени, которые не затрагивают мыслительных процессов (сенсорное; перцептуальное время). Во-вторых, для ограничения объема понятия следует говорить об эстетически значимых событиях литературной действительности (литературных событиях), поскольку не все эстетически значимые события являются событиями литературной действительности. Исходя из этого, можно дать два варианта дефиниции — развернутый (А) и краткий (В), причем краткий представлен тремя синонимичными формами (В<sub>1</sub>, В<sub>2</sub>, В<sub>3</sub>).

Художественное (литературное) время:

— психически переживаемое (ощущаемое, воспринимаемое, представляемое) время эстетически значимых событий, локализующихся в литературной действительности (А);

— перцептуальное время литературных событий (В<sub>1</sub>);

<sup>7</sup> Этот сложный вопрос хорошо разработан советскими учеными И. Г. Франк-Каменецким, М. М. Бахтиным, Д. С. Лихачевым, М. И. Стеблин-Каменским, А. Я. Гуревичем и другими. Из исследований, появившихся в последнее время, отметим труд М. Д. Ахундова «Концепции пространства и времени» (М., 1982), в котором использован обширный фактический материал.

- образное время литературных событий ( $B_2$ );
- чувственное время литературных событий ( $B_3$ ).

Психическая природа художественного времени означает, что **вне воспринимающего субъекта оно не существует**. Психическая обусловленность художественного времени приводит к определенной вариантности его восприятия, при которой адресат (читатель) может приписать художественному времени ряд функций, не предусмотренных отправителем (автором). Указанное расхождение может явиться также следствием временной разобщенности отправителя и адресата, причем вероятность расхождения в восприятиях между отправителем и адресатом тем больше, чем больший промежуток физического времени их разделяет. Можно сформулировать это правило несколько иначе. Вероятность искажения первоначального смысла эстетической информации тем больше, чем больший промежуток физического времени разделяет отправителя и адресата. Таким образом, художественное время **исторически обусловлено**. Тем не менее указанное расхождение нельзя считать бесконечно прогрессирующей тенденцией. Сдерживающими факторами являются, с одной стороны, инвариантность ряда психических функций, с другой — ретроспективность некоторых фаз культурно-исторического процесса.

Проблема соотношения художественного и физического времени аналогична проблеме соотношения психического и физического времени, решаемой в рамках теории отражения<sup>8</sup>, с учетом того, что художественное время есть определенным образом конструируемое психическое время. Этот факт художественной преднамеренности толкает исследовательскую мысль на поиск схем, лежащих в основе такого конструирования. Художественное время уже психического по объему, поскольку к вводимым в его круг событиям предъявляются определенные требования, но шире физического в силу того, что на материальные объекты налагается больше ограничений, чем на идеальные. Необходимо учитывать еще один аспект соотношения: художественное время функционирует в рамках физического. Это взаимодействие неоднозначно для различных видов искусства и литературных родов.

Следует отметить, что в художественной действительности **метрический аспект не играет той роли, какую он играет в психической или, тем более, в физической**. Так, оформление того или иного порядка следования событий в тексте и того или иного типа связи между ними не требует обязательного учета таких факторов, как датировка событий, длительность событий, длительность межсобытийных интервалов. Разумеется, эти факторы, будучи зафиксированными, выполняют определенную художественную функцию, а в ряде случаев даже берут на себя роль регулятора действия (датировка событий в хрониках; указания на дату действия, длительность действий и интервалов

<sup>8</sup> О соотношении психического и физического времени см., например: Л. М. Веккер. Психические процессы, Л., 1981, т. 3, с. 213—214, 240—245.



между ними, содержащиеся в ремарках к пьесам и др.). Однако они не могут участвовать в процессе непосредственной реализации временных отношений и всегда выполняют служебную роль, предоставляя читателю (зрителю) дополнительную концептуальную (уточняющую, поясняющую) информацию. Даже если датировка событий — единственный способ установить их порядок, можно говорить о ней лишь как о внешнем композиционном приеме, призванном либо провести, либо усилить связующие линии между событиями на сюжетном поле (что может иметь место, в частности, при рыхлой композиции).

Если в тексте литературного произведения отсутствует прямое указание на дату или длительность того или иного события, эта информация в некоторых случаях может быть извлечена косвенно — путем предположений или логических умозаключений. Однако такой поиск сопряжен с выходом в физическую действительность, что уменьшает эффективность подобных исследований.

Таким образом, изучение метрического аспекта представляется нам малоперспективным и почти ничего не дающим для понимания эстетической природы художественного времени, хотя в порядке исключения можно сослаться на работу Г. Волошина «Пространство и время у Достоевского». Скрупулезный анализ пространственной и временной метрики в романах Достоевского (исследователем были составлены даже специальные планы к «Преступлению и наказанию», «Идиоту» и «Братьям Карамазовым») позволил автору сделать вывод, научная ценность которого несомненна: «<...> у Достоевского поражает необычайная быстрота действия и то мастерство, с которым располагает он массу действующих лиц на самом ограниченном пространстве»<sup>9</sup>. Необычайная точность расчета во времени и пространстве, по мнению Г. Волошина, нужна была Достоевскому для создания высокохудожественной иллюзии реальности изображаемого.

В литературном произведении художественная метрика (длительность, о которой повествуется) обнаруживает определенную взаимосвязь с физической метрикой (длительностью самого повествования, т. е. продолжительностью восприятия текста читателем). Регулируя эту последнюю (т. е. затягивая или убыстряя повествование), автор дает читателю возможность составить более полное представление о повествуемой длительности. В качестве примера можно сослаться на замечание Ю. Н. Тынянова: «<...> замедленный рассказ Гоголя о том, как цирюльник Иван Яковлевич ест хлеб с луком, вызывает комический эффект, так как ему уделено слишком много времени <...>»<sup>10</sup>.

Несмотря на физическую (нехудожественную) природу длительности повествования (продолжительности восприятия текста читате-

<sup>9</sup> Г. Волошин. Пространство и время у Достоевского. — *Slavia*. 1933, гоџник XII, сеџит 1—2, с. 162.

<sup>10</sup> Ю. Н. Тынянов. Проблема стихотворного языка, Л., 1924, с. 119.



лем), ученые-филологи проявляли к ней определенный интерес, причем малоизученность проблемы была одной из причин часто наблюдавшегося отождествления физического и художественного аспектов. С другой стороны, в узкоспециальном значении проблема длительности фигурирует уже в самых древних стиховедческих трактатах. На рубеже IV—V вв. вопросами соотносительной длительности слогов, стоп, строк и стихотворений заинтересовался Августин Аврелий, который полагал, что главным препятствием к построению универсальной шкалы длительности является то обстоятельство, что «стих более короткий, но произносимый более протяжно, займет больше времени, чем стих более длинный, но произнесенный быстро»<sup>11</sup>. Четкое разграничение художественной и физической метрики принадлежит Б. В. Томашевскому, который писал: «В художественном произведении следует различать фабульное время и время повествования. Фабульное время — это время, в которое предполагается совершение излагаемых событий, время повествования — это то, которое занимает прочтение произведения (соответственно — длительность спектакля). Это последнее время покрывается понятием **объема произведения**»<sup>12</sup>. Исследователем были выделены такие составляющие художественной метрики, как абсолютная и относительная датировка момента действия (1), указания на временные интервалы, занимаемые событиями (длительность) (2), создание впечатления этой длительности (исходя из объема речей, нормальной длительности действий и других косвенных признаков) (3)<sup>13</sup>. К сожалению, топологический аспект проблемы выпал из поля зрения Б. В. Томашевского, который, по всей видимости, полагал, что проводимого им разграничения «фабульного времени» (понимаемого лишь в метрическом аспекте) и «времени повествования» достаточно для уяснения проблемы времени в литературном произведении.

Несмотря на недостаточную ясность проблемы, можно с уверенностью утверждать, что длительность повествования является переменной **физической** величиной, значение которой зависит от следующих факторов:

1. характер изображенных событий;
2. количество изображенных событий;
3. структура сюжетного времени (определяющая степень участия памяти и воображения в процессе восприятия);
4. насыщенность (плотность) текста;
5. объем текста;
6. темпоритм повествования;
7. установка перцепиента;

<sup>11</sup> См.: Исповедь Блаженного Августина, епископа Иппонского, Кн. XI, гл. 26.

<sup>12</sup> Б. В. Томашевский, Теория литературы. Поэтика, 5-е изд., М.—Л., 1930, с. 143—144.

<sup>13</sup> Там же, с. 144.



8. психофизиологические особенности процесса восприятия (скорость осуществления реакций и др.);

9. внешние условия восприятия.

Именно в рамках длительности повествования положение Д. С. Лихачева «функцию времени имеют все детали повествования»<sup>14</sup> обретает силу закона. Даже такие технические детали, как графическая форма стиха или размер шрифта, которым набран текст, оказывают влияние на длительность повествования. Явно ошибочным следует признать, на наш взгляд, замечание Ю. Н. Тынянова о том, что в поэзии, в отличие от прозы, «время (имеется в виду длительность повествования — В. Ч.) совсем неощутимо»<sup>15</sup>.

Временные отношения любого литературного произведения могут быть проанализированы с помощью отношений «раньше—позже» и «прошедшее—настоящее—будущее». Рассмотрим эти отношения.

Процедура разграничения художественного настоящего, прошедшего и будущего наталкивается на значительные трудности ввиду реляционного значения точки отсчета в литературном произведении. Необходимым условием разграничения временных планов является **определение настоящего**. Если мы обратимся к проблеме **физического настоящего**, то обнаружим, что среди исследователей нет единства мнений, несмотря на то, что этот вопрос обсуждался на протяжении всей истории развития философской мысли. И хотя так называемой перипатетической доктрине о непротяженности грани, разделяющей прошедшее и будущее, отдали дань многие блестящие умы человечества, следует признать справедливым замечание (подкрепленное корректным доказательством) Дж. Уитроу, что такое настоящее «является математической идеализацией подобно безразмерной точке в геометрии»<sup>16</sup>. Отсюда следует естественный вывод, что оно «не может рассматриваться как теоретический коррелят «теперь» нашего чувственного опыта познания, которое <...> явно обладает некоторой длительностью»<sup>17</sup>. Большого прогресса добились философы и психологи, занимавшиеся проблемой **психического настоящего** (У. Джемс, Т. Рибо, А. Бергсон, В. Вундт, Б. Рассел, Г. Вудроу, П. Фресс, Дж. Уитроу, Л. Веккер и др.). Значительную роль при этом сыграли успехи экспериментальной психологии. Психическое настоящее с точки зрения современной науки — это интервал, включающий часть прошедшего и часть будущего<sup>18</sup>. Не потому ли «большинство наших высказываний о

<sup>14</sup> Д. С. Лихачев, *Поэтика древнерусской литературы*, М., 1979, с. 216.

<sup>15</sup> Ю. Н. Тынянов, *Проблема стихотворного языка*, Л., 1924, с. 119.

<sup>16</sup> Дж. Уитроу, *Естественная философия времени*, М., 1964, с. 103. Доказательство приведено на с. 203—218.

<sup>17</sup> Там же, с. 203.

<sup>18</sup> См., например: П. Фресс, *Восприятие и оценка времени*. — В кн.: *Экспериментальная психология*, М., 1978, вып. VI, с. 100; Л. М. Веккер, *Психические процессы*, Л., 1981, т. 3, с. 222, 245, 281; Дж. Уитроу, *Естественная философия времени*, М., 1964, с. 103, 108—109.



настоящем времени (или даже все) неизбежно затрагивает прошедшее и будущее» (О. Есперсен)<sup>19</sup>

Особо сложной задачей является разграничение временных планов в литературном произведении, в особенности в лирическом стихотворении, где постоянно ощутима угроза транспозиции значений одного плана в другой, чаще всего — в план настоящего, возникающая в связи с тем, что лирический род противится изображению событий, четко локализованных на различных участках временного поля и не втянутых в эпицентр тесно переплетающихся сиюминутных переживаний одного лица. Тем не менее лирика упорно сопротивляется тем априорным ограничениям, которые налагает на нее род, активнейшим образом осваивая (и грамматически, и художественно) прошедшее и будущее. Недооценка прошедшего и будущего применительно к лирической поэзии (которая наиболее непосредственно отображает внутреннюю жизнь человека) восходит к давней научной традиции. Тенденция к недооценке (но отнюдь не к игнорированию) роли лирического прошедшего и будущего явственно прослеживается у А. А. Потебни, формула которого «лирика — это настоящее» находит все большее число приверженцев. В приведенном виде формула по существу означает снятие проблем грамматического и художественного времени в поэзии. Эта формула, однако, не может быть понята вне того контекста, из которого ее обычно изымают<sup>20</sup>.

Д. С. Лихачев считает, что художественное прошедшее «в известной мере» (судя по контексту — в значительной) ассимилируется с настоящим читателя: «Читатель, сознавая, что он имеет дело с прошедшими событиями, настолько, однако, в них погружается, что начинает чувствовать в известной мере это прошлое своим настоящим. Читатель как бы живет двойной жизнью: своей и читаемого им произведения. Вот почему развитие художественного времени есть в конечном счете развитие по преимуществу одной его формы — формы художественного настоящего времени»<sup>21</sup>. Таким образом, художественное прошедшее, по мнению Д. С. Лихачева, подчиняется читательскому настоящему, что и доказывает преимущественное развитие художественного настоящего. Однако «свое настоящее» читателя — это не художественное время, а **физическое**: именно поэтому вызывает возражение как тезис о подчинении первого второму, так и идея наведения мостов от читательского настоящего к художественному настоящему. Принципиальное возражение вызывает рассмотрение в качестве составных частей художественного времени таких несопоставимых (несравнимых) систем, как сюжетное, авторское и читательское время. Тем не менее этой схеме придерживается подавляющее большинство

<sup>19</sup> О. Есперсен, *Философия грамматики*, М., 1958, с. 303.

<sup>20</sup> См.: А. А. Потебня, *Из записок по теории словесности*. — В кн.: А. А. Потебня, *Эстетика и поэтика*, М., 1976, с. 448—450.

<sup>21</sup> Д. С. Лихачев, *Поэтика древнерусской литературы*, М., 1979, с. 334.



современных исследователей (как советских, так и зарубежных), что приводит в конечном счете к разногласию и путанице. Так, З. Я. Тураева, автор одной из наиболее солидных работ о художественном времени, в отличие от Д. С. Лихачева отказывает художественному времени в «настоящести» на том основании, что настоящее событий (персонажей) заведомо разобщено (физически!) с настоящим как автора, так и читателя. Странный тезис «все описанное в произведении воспринимается как имевшее место» красной нитью проходит через всю работу З. Я. Тураевой<sup>22</sup>. Позиция Д. С. Лихачева вызвала принципиальные возражения со стороны Л. Я. Ермиловой. Время у Д. С. Лихачева «выдвигается впереди других факторов, — пишет Л. Я. Ермилова, — принимая множество форм, как субъективное переживание. Отсюда условность и расплывчатость границ подразделений художественного времени. Отсюда его метаморфозы. Нам кажется, что категория времени в художественных произведениях является понятием или средой, подобной сознанию и личности, с широким диапазоном психического синтеза, что не может не входить в процессы творчества»<sup>23</sup>. Стремясь преодолеть одну крайность, Л. Я. Ермилова впадает в другую: уподобление времени сознанию или личности является глубоким методологическим заблуждением. Частая ссылка на нерасчлененность перцептуального времени является довольно сомнительным доводом в пользу провозглашения единственной реальности настоящего: невозможность разграничения есть одновременно невозможность вычленения какой-либо отдельной части целого — можно говорить в этом случае лишь о единственной реальности времени как такового. Допущение такого разграничения, однако, автоматически не устраняет угрозу девальвации прошедшего и будущего: ретроспекция и прогноз есть точка зрения на прошедшее и на будущее **из настоящего**. Тем не менее, на наш взгляд, содержащаяся в ретроспекции и прогнозе **апелляция к прошедшему и будущему** имеет гораздо более существенное значение, чем чисто формальная отнесенность этой апелляции к настоящему моменту, нередко игнорируемая сознанием (возможно частичное или полное вытеснение настоящего на периферию сознания или, говоря иначе, абстрагирование от настоящего). Это относится, в первую очередь, к литературе, где, наряду с активным участием художественного настоящего, идет процесс интенсивного освоения памятью и воображением художественного прошедшего и будущего.

Реальность художественного прошедшего и будущего побуждает к поискам путей для разграничения временных планов, но основная трудность заключается в выборе универсального критерия (грамма-

<sup>22</sup> См.: З. Я. Тураева, Категория времени. Время грамматическое и время художественное, М., 1979, с. 50, 60, 211.

<sup>23</sup> Л. Я. Ермилова, Психология творчества поэтов-лириков Тютчева и Фета, М., 1979, с. 9.

тического, логического и т. д.) для определения **точки отсчета** в литературном произведении ввиду ее реляционности (подвижности), неоднозначности и замаскированности. Реляционный характер точки отсчета в литературном произведении является, с одной стороны, следствием полисемичности художественных знаков, с другой — следствием особенностей протекания времени в психике человека (реляционность психического настоящего или «теперь»). Глубже всех эту реляционность «теперь» подчеркнул Г. Рейхенбах, хотя его попытку сузить психическое настоящее до каждого акта мышления следует признать слишком умозрительной: «Акт мышления является событием и, следовательно, определяет положение во времени. Если наши переживания всегда имеют место в пределах «теперь», то это означает, что каждый акт мышления определяет точку отсчета. Мы не можем избежать момента «теперь», потому что любая такая попытка представляет собой акт мышления, и, следовательно, определяет «теперь». Любая мысль обладает точкой отсчета, потому что сама мысль определяет эту точку. Этот факт выражается в грамматике при помощи правила, что каждое предложение должно содержать глагол, то есть указательно-рефлективный знак, указывающий время события, о котором идет речь, ибо время глагола имеет указательно-рефлективное значение»<sup>24</sup>. Применительно к лирическому стихотворению понятие точки отсчета для разграничения временных планов (т. е. условного настоящего) теряет всякий смысл, если на сюжетном поле развернут ряд последовательных событий. О точке отсчета имеет смысл говорить лишь в том случае, если события группируются не относительно друг друга (как в случае смены последовательных событий), а относительно **одного** четко зафиксированного на сюжетном поле и максимально приближенного к моменту повествования события (что может иметь место в случае смены непоследовательных событий). При этом недопустимо отождествлять эту точку отсчета с наиболее интенсивно переживаемым **событием-ядром**, четко отграниченным от других событий временного поля. Такое событие-ядро не обязательно должно находиться в поле настоящего времени (хотя такое положение вещей, возможно, больше устраивает лирическую поэзию) — так, в стихе могут быть структурно противопоставлены два плана — прошедшее (в котором локализовано это эстетически сверхценное событие-ядро) и настоящее (в рамках которого может, например, переживаться отсутствие этого события). Таким образом, применительно к лирическому стихотворению возможны следующие варианты:

1. необоснованность введения точки отсчета (условного настоящего);
2. установление только одной такой точки.

Для лирической поэзии характерна также более тесная (по срав-

<sup>24</sup> Г. Рейхенбах, *Направление времени*, М., 1962, с. 358—359.



нению с эпосом) связь художественного настоящего с грамматическим настоящим.

В свете сказанного вырисовываются несомненные преимущества критерия «раньше—позже» как универсального критерия, не требующего соотнесения события с каким-либо временным планом. На основе критерия «раньше—позже» устанавливается порядок следования событий в тексте — правильный (хронологически упорядоченный) или неправильный (хронологически неупорядоченный). Правильный порядок иллюстрируется сменой **последовательных** событий, неправильный — сменой **непоследовательных** событий. Оба типа смены воссоздают художественное время, причем возможны их различные соотношения в тексте. Так, например, последовательность может реализовываться на отдельных участках повествования, тогда как в целом повествование может представлять собой смену **непоследовательных** событий (и наоборот). Типы могут быть представлены и в «чистом» виде — последовательность используется, как правило, при воспроизведении природных явлений (пейзажная лирика) — это связано с тем, что порядок явлений внешнего мира строго регламентирован ограниченным набором возможностей для развития и жестко детерминированными связями, противящимися какой-либо значительной деформации на уровне художественного времени. При воссоздании внутреннего мира персонажей чаще используется тип **непоследовательной** смены как более отвечающий темпоральной структуре психических процессов. В принципе любой процесс (природный и психический) можно описать с помощью как одного, так и другого типа смены. Второй тип смены, обладающий более широким набором возможностей для развития, может обраться в произведении различными невременными (мировоззренческими) наслоениями, тормозящими ход художественного времени. Следует отметить, что хотя он предоставляет творящему (и соответственно перцепиенту) большую свободу творчества (восприятия), эстетический эффект от реализации обоих типов может быть равнозначным. Таким образом, установление факта последовательности/непоследовательности является наиболее плодотворным, обеспечивающим необходимую объективность, методологическим принципом при исследовании временных отношений в художественной литературе и, в особенности, в лирике. В рамках последовательности могут быть выделены такие формы взаимоотношений событий, как **сильная последовательность** (отсутствие временной разобщенности событий) и **слабая последовательность** (наличие временной разобщенности событий). В рамках **непоследовательности** можно выделить такие основные формы взаимоотношений событий, как **позже—раньше** (1), **позже—раньше—раньше** (2), **позже—раньше—позже** (3), **раньше—позже—раньше** (4). В качестве дополнительной меры здесь можно прибегнуть и к анализу отношения «прошедшее—настоящее—будущее» как к локальной операции, подчиненной анализу отношения

«раньше—позже» и утрачивающей свое значение за границами **последовательности**.

Проблема невременного как художественного, а не идеологического фактора фактически не исследована, если не считать весьма ценных в методологическом отношении указаний Д. С. Лихачева<sup>25</sup>. В этой связи укажем на предпринятую нами попытку (нуждающуюся в дальнейшей детализации) вычленения и классификации невременного фактора в поэзии<sup>26</sup>. Поскольку художественное время обретает смысл лишь при наличии более ранних и более поздних событий, между которыми можно установить фундаментальную связь, невыполнение любого из двух условий делает изображение **невременным**. Разумеется, невременной характер изображаемого не означает возможности его локализации по ту сторону времени (поэтому термин «вневременное» представляется нам менее удачным). Речь идет либо об отвлечении от временной характеристики изображаемого, либо о неактуальности таковой. Художественное время воссоздает не столько объект изображения, сколько способ изображения. И не любой, а именно тот, необходимыми условиями выявления которого являются демонстрация смены событий и наличие фундаментальной связи между ними. Художественного времени не воссоздают:

1. фиксация событий, между которыми невозможно установить отношение «раньше—позже»;
2. фиксация событий, между которыми невозможно установить причинно-следственные или какие-либо другие фундаментальные связи.

Частными случаями при этом являются:

1. фиксация объектов и событий в «состоянии покоя»;
2. фиксация объектов, рассредоточенных в пространстве;
3. фиксация мыслительных образов.

Из событий, не поддающихся анализу с точки зрения отношения следования можно выделить:

- а) одновременные события;
- в) несопоставимые (несравнимые) события (события, относящиеся к различным рядам).

Относительно последних П. Фресс пишет: «<...> разрозненные события мы сможем упорядочить, лишь прибегнув к определенным умственным конструкциям: использование ориентиров и учет порядка следования и интервалов между событиями»<sup>27</sup>. Мы имеем в виду слу-

<sup>25</sup> См.: Д. С. Лихачев, Поэтика древнерусской литературы, М., 1979, с. 213—214, 216—218, 333—334.

<sup>26</sup> См.: В. И. Чередниченко, О разграничении художественного времени и невременного в поэзии, Сообщения АН ГССР, 1981, т. 103, № 1, с. 217—219.

<sup>27</sup> П. Фресс, Восприятие и оценка времени.—В кн.: Экспериментальная психология, М., 1978, вып. VI, с. 94. Ср.: «<...> мы устанавливаем временной порядок с помощью памяти и нашего непосредственного опыта временной последовательности» (Б. Рассел, Человеческое познание, М., 1957, с. 367).



чай, когда разрозненные события не удается упорядочить указанным способом. Что же касается фиксации одновременных событий, то, как мы уже указывали, никакого значения не имеет тот факт, что с одними событиями мы знакомимся раньше, с другими позже (специфика восприятия языкового материала) — в литературной действительности эти события не следуют друг за другом, а сосуществуют. Мы будем воспринимать одновременные события, с одной стороны, вне их длительности, с другой — как рассредоточенные в пространстве, а не сменяющие друг друга во времени.

Сложнее обстоит дело с фиксацией на связанных либо слабосвязанных друг с другом событий. Если даже разрозненные события и удастся упорядочить вышеуказанным способом, встает вопрос о наличии какой-либо фундаментальной связи между ними. Общеизвестный субъективизм в восприятии времени человеком может привести в данном вопросе к практически неограниченному исследовательскому произволу. Какие события считать безусловно взаимосвязанными, а какие — не связанными друг с другом? Д. С. Лихачев пишет: «Время в художественной литературе воспринимается благодаря связи событий — причинно-следственной или психологической, ассоциативной <...>. События в сюжете предшествуют друг другу и следуют друг за другом, выстраиваются в сложный ряд, и благодаря этому читатель способен замечать время в художественном произведении, даже если о времени в нем ничего специально не говорится»<sup>28</sup>. Несмотря на то, что уже сам подход к литературному произведению как к системе, обладающей смыслом и единством, означает автоматическое признание некой связи между изображенными событиями, для воссоздания временных отношений существенна возможность установления именно причинно-следственной, этой «генетической», по меткому выражению Д. И. Блохинцева, связи между событиями — сугубо ассоциативная связь событий, принципиально игнорирующая какие-либо причинно-следственные отношения, безусловно, препятствует воссозданию временных отношений. Вся сложность проблемы в том, что нет такой методики, которая сумела бы провести разграничительные линии между деформацией причинно-следственных связей, воссоздающей и не воссоздающей временные отношения или, другими словами, практически невозможно проверить события на прочность сцепления друг с другом — она может быть разной в восприятии различных людей. Нашему воображению, вступающему в условный мир художественных образов, присуще устанавливать связь практически между любыми событиями. Поэтому наша задача в этом направлении сводится к поиску и вычленению логически обоснованных **причинно-следственных** связей между событиями<sup>29</sup>. Художественное время, таким образом, обре-

<sup>28</sup> Д. С. Лихачев, *Поэтика древнерусской литературы*, М., 1979, с. 213.

<sup>29</sup> Установление факта наличия/отсутствия причинно-следственной связи между физическими событиями не представляет такой трудноразрешимой задачи: «Ес-



дает смысл лишь при наличии более ранних и более поздних событий, между которыми можно установить в первую очередь причинно-следственные связи.

Теперь перейдем к фиксации объектов и событий в «состоянии покоя». Целый ряд природных явлений, объектов крайне медленно изменяется во времени. Ритм жизни таких статичных объектов не совпадает с ритмом человеческой жизни, поэтому эти объекты существуют в нашем воображении как бы независимо от хода времени. Не будем, однако, забывать, что художественное время воссоздает не столько объект изображения, сколько способ изображения. Статичный объект можно изобразить в динамике (геологические катаклизмы в поэзии Володина), а подвижный — в статике. Статичное состояние объекта может быть постоянным или временным, но оно никогда не будет временным. Именно поэтому мы говорим не о фиксации статичных объектов и событий, а о фиксации объектов и событий в «состоянии покоя».

Некоторые описания ориентированы на фиксацию пространственных координат объектов, причем представляемое пространство может быть относительно большим (пейзаж) или малым (портрет). В восприятии пространства ведущую роль играет зрение<sup>30</sup>. Поскольку глаз, в отличие от фотообъектива, не может регистрировать все детали с одинаковой точностью, для фиксации большого числа сосуществующих объектов необходимо сперва сосредоточить внимание на одном объекте (или одной группе объектов), затем на другом и т. д., причем логика визуального восприятия требует «скольжения взгляда» в определенной последовательности, учитывающей (при относительно нейтральной мотивации) как положение наблюдателя, так и локализацию объектов в той или иной плоскости, степень удаленности объектов, их величину и другие факторы. Однако фиксация смены визуальных актов художественного времени не воссоздаст, если за ней не стоит смена событий.

Далее отметим, что мыслительные образы (в отличие от перцептивных) принципиально не могут быть локализованы в рамках художественного времени (как и художественного пространства) в силу их абстрактности. Мыслительные образы формируют выключенное из времени художественное обобщение, прерывающее событийную канву повествования. Мыслительная деятельность автора или персонажа в форме оценки происходящего в литературной действительности, комментариев к нему (так называемые отступления от текста) также про-

---

ли между двумя данными событиями в принципе невозможна причинная взаимосвязь, их называют несравнимыми с точки зрения отношения «раньше-позже». (А. М. Мостепаненко, Пространство и время в макро-, мега-, и микромире, М., 1974, с. 65—66).

<sup>30</sup> См. об этом: Э. Вюрпилло, Восприятие пространства. — В кн.: Экспериментальная психология, М., 1978, вып. VI, с. 142—143, 221.



текает за пределами художественного времени, умножая информацию о происходящем и тем самым прерывая событийную канву повествования. Следует иметь в виду, что не всякое отступление имеет невременной характер: оно может содержать вставной эпизод со своим автономным событийным временем.

Проблема невременного связана с проблемой художественного времени, причем возможны самые различные сочетания временных и невременных элементов в тексте. С одной стороны, невременное может входить в текст как элемент временной структуры, с другой, невременное и временное могут быть структурно противопоставлены друг другу. Всевозможные остановки времени могут еще резче оттенить ход времени, с большей убедительностью продемонстрировать его бег. В этом и подобных случаях проблема невременного является частью проблемы времени. Но ставка на невременное может иметь более глобальный характер — можно говорить о невременной организации целых произведений (стихотворений, например) и даже группы произведений. В этом случае проблема невременного является самостоятельной проблемой, противостоящей проблеме времени, и учет невременного фактора поможет уточнить удельный вес и функции художественного времени в рассматриваемой художественной системе.

Подведем итоги. Типология временных отношений в литературном произведении может быть представлена в следующем виде:

1. Последовательность (Р—П; Р—П—П);

1.1. Сильная последовательность (отсутствие временной разобщенности событий);

1.2. Слабая последовательность (наличие временной разобщенности событий).

2. Непоследовательность

2.1. Позже—раньше (П—Р);

2.2. Позже—раньше—раньше (П—Р—Р);

2.3. Позже—раньше—позже (П—Р—П);

2.4. Раньше—позже—раньше (Р—П—Р).

Приведенная классификация может иметь более дробные подразделения (подтипы), а также включать смешанные (осложненные) подразделения (подтипы). Следует принять во внимание, что данная классификация учитывает лишь самые основные и простые формы следования более поздних и более ранних событий в рамках непоследовательности — многообразие вариаций здесь практически неисчерпаемо, но в принципе сводимо к четырем выделенным инвариантам. Следует также иметь в виду, что отношение «раньше—позже» есть отношение каждого последующего члена к каждому предыдущему (то есть отношение Р—П—Р, например, означает, что второе событие произошло после первого, а третье — до второго).

Анализ временных отношений, осуществленный автором на ма-

териале русской (Пушкин, Лермонтов, Фет, Ахматова), польской (Словацкий, Каспрович), грузинской (Бараташвили) и англоязычной (Шелли, Эдгар По) поэзии полностью подтвердил продуктивность предложенной классификации, которая в целом исчерпывает типы временных отношений в лирике и может быть также применена при анализе временных отношений в других литературных родах.

На основе предложенного нами исследования невременных отношений может быть построена также типология невременных отношений (отчасти смыкающаяся с несозданной еще типологией пространственных отношений) в литературном произведении. Основанием для построения типологии невременных отношений может служить невозможность установления отношения «раньше—позже», а также невозможность установления причинно-следственных отношений между событиями. Наиболее часто встречающиеся формы невременной организации — это **пространственная организация**, ориентирующаяся на фиксацию объектов, рассредоточенных на тех или иных участках пространственного поля (дескриптивная лирика), **конструкция уравнивания** (уравнивания), с помощью поэтических формул типа «Люблю», «Помню», втягивающая в свой круг и произвольно уравнивающая различные ряды ощущений, различные фазы невязанных событий, и **конструкция обобщения**, замораживающая какие бы то ни было временные (и пространственные) отношения и играющая заметную роль в дидактической поэзии и философской лирике.

Отдел теории литературы Института истории грузинской литературы им. Ш. Руставели АН Грузинской ССР

Представлена Институтом истории грузинской литературы им. Ш. Руставели АН Грузинской ССР

ზვინალ ბამბახაშვილი

## რუსთველი და ანტიონი I

## 3. რუსთველის სარწმუნოებრივი იდეალი\*

ჩვენი დროის მკვლევართა ერთ ნაწილს ახასიათებს ევროპული კულტურის ისტორიისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მოვლენის ხელოვნურად გადმონერგვა ქართულ ნიადაგზე, ქართულ სინამდვილეში ძიება ისეთი მოვლენებისა, რომელნიც ევროპისათვის უფრო იყო დამახასიათებელი. ჩვენი აზრით, როდესაც ევროპული რენესანსის ნიშნების ძიებას იწყებენ ქართულ, ბიზანტიურ და საერთოდ აღმოსავლურ სამყაროებში, აქ ჩვენ ტერმინოლოგიურ აღრევასთან გვაქვს საქმე.

რენესანსი ჩვეულებრივ წარმოდგინება როგორც „სქოლასტიკის არტახეზიდან“ ადამიანის პიროვნების განმათავისუფლებელი მოვლენა, როგორც „შუა საუკუნეთა ბნელეთის“ გამფანტველი ნათელი, რომლის განმკვიდრების შემდეგ მოხდა აღორძინება მანამდე დევნილი ანტიკური კულტურისა, განთავისუფლება ადამიანის პიროვნებისა, წინა პლანზე წამოწევა ჰუმანისტური იდეალებისა. რენესანსი განიხილება როგორც ემანსიპაცია ადამიანური ცოდნისა.

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია. კათოლიკური ეკლესია სდევნიდა ანტიკურ კულტურას, ბოჭავდა ადამიანურ პიროვნებას ბევრი თვალსაზრისით, მაგრამ თვით დასავლეთის კულტურის მასშტაბითაც გადაჭარბებულია რაღაც ტოტალური ბნელეთის ბატონობის წარმოდგენა შუა საუკუნეთა ევროპაში.

რაც შეეხება ბიზანტიურ და ქართულ სამყაროებს, აქ შეუძლებელია რენესანსის ნიშნების ძიება და ისიც მათი ლოკალიზება ამა თუ იმ საუკუნეში, როგორც ამას სჩადის ზოგი მკვლევარი, ვინაიდან ელინური და ელინისტური კულტურის დევნა მართლმადიდებლობის მიერ შეუძლებელიც იყო, რადგანაც მართლმადიდებლური კულტურა ერთგვარი გენეტიკური გაგრძელებაა ამ კულტურებისა. ხოლო პიროვნების დათრგუნვა, მისი შებოჭვა თეოლოგიის „არტახეზით“ წარმოუდგენელიც იყო იმ ქვეყნებში, სადაც იმპერატორები, მეფეები და იერარქები ტოლერანტულად იყვნენ განწყობილნი თვით უკიდურესი ერეტიკოსების მიმართ და მათ სიტყვიერად დარწმუნების მეთოდს მიმართავდნენ, კოცონზე დაწვის ნაცვლად. ანტიკურ კულტურას, განსაკუთრებით მწერლობას, ფილოსოფიასა და მეცნიერებას, არათუ ახშობდა მართლმადიდებლობა, არამედ ავითარებდა, ქრისტიანულად გარდაქმნიდა და ორგანულად ისისხლხორციებდა. (გამონაკლისი იყო ანტიკური სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი დარგი — სკულპტურა, რომელიც განიხილებოდა როგორც კერპთაყვანისმცემლობის გადმონაშთი და ამიტომ კანონგარეშე იყო გამოცხადებული).

მართლმადიდებლურ სამყაროში, განსაკუთრებით კი საქართველოში, ადა-

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ.: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 1,2

მიანის პიროვნება არ იყო დათრგუნული, აზროვნების თავისუფლებას არ აზომბდა ეკლესია. ქართული ქრისტიანული ხატები ზმირად წარმართული გემ-მებით იყვნენ შემკობილნი; ქართულ მწერლობაში, თვით სასულიერო მწერლობაში ანტიკური ავტორებისა და გმირების ქებით მოხსენიება არ ითვლებოდა მკრეხელობად. არსებობს მართლმადიდებლური ფრესკები, სადაც გამო-სახულია პლატონისა და არისტოტელეს ცადამაღლება. ადამიანის ზორციელი მშვენების აპოთეოზია ქართული ქედური და ფრესკული ხელოვნება, სადაც სულის თავისუფლება არასოდეს იყო შებოჭილი „დოგმატური არტანებით“. ქართულ არქიტექტურაში არ იყო უგულვებელყოფილი წარმართული ეპოქის ხელოვნების ტრადიციები.

რენესანსის საუკეთესო განსაზღვრებაა, ჩვენი აზრით, არა „სქოლასტიციზ-მის ბნელეთიდან ადამიანის პიროვნების გამოხსნა“, არამედ ე ლ ი ნ უ რ - ქ რ ი ს - ტ ი ა ნ უ ლ ი ს ი ნ თ ე ზ ი<sup>1</sup>. თუ რენესანსის ასეთ გაგებაზე ვისაუბრებთ, ამ-გვარი სინთეზი ყოველთვის იყო საქართველოში, როგორც ამას გვიმოწმებს ქართული კულტურის ისტორია. ამიტომ სიტყვის პრეფიქსი „რე“, რომელიც ნიშნავს რაიმე მოვლენის ხელახლა წარმოშობას საქართველოს სინამდვი-ლესთან მისადაგებით სავსებით ზედმეტია. საქართველოში უწყვეტად მიმდინა-რეობდა ელინურ-ქრისტიანული სინთეზი, ისევე როგორც ბიზანტიაში. ამიტომ ვერავითარი რენესანსი აქ ვერ იქნებოდა.

ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, თითქოს ჰუმანიზმი საერთოდ არ არსე-ბობდა „შუა საუკუნეთა ბნელეთში“ და იგი უფრო გვიანდელ ეპოქაში წარ-მოიშვა. ასეთ მკვლევართ ავიწყლებათ, რომ სახარება თავად საფუძველი ჰუ-მანიზმისა, ადამიანის პიროვნების ყურადღების ცენტრში დაყენების პრობლე-მა სწორედ სახარებამ წამოაყენა უწინარეს ყოვლისა. ქრისტეს სახეა თავად უმაღლესი იდეალი ჰუმანიზმისა, პიროვნების ემანსიპაციისა და განღმერთობი-სა. ქრისტეს იდეალი, ღმერთკაცის იდეალი, ამავე დროს ჰარმონიული პიროვ-ნების იდეალია, რომლის შესახებაც გოეთე ამბობდა: „დაე განვითარდეს სუ-ლიერი კულტურა, დაე, მიადწიოს ადამიანის სულმა მისთვის შესაძლებელ სი-მალეს, იგი მაინც ვერ გადააჭარბებს ზნობრივ სიღიადეს ქრისტიანობისას რავგარადაც იგი იხატება ჩვენ წინაშე სახარებებში.... მე თუ მკითხავენ, თაყ-ვანს სცემ თუ არა მას (ქრისტეს) მე მივუგებ: დიახ, თაყვანს ვცემ, ვინაიდან ეხედავ მასში გამოცხადებას ღვთაებრივი მორალისას“ (ეკერმანთან საუბრები).

ადამიანური პიროვნების სრულყოფის იდეალი ამგვარადვე ესმოდათ შუა საუკუნეებში და, თუ ცალკეულ სასულიერო პირთა რიგორიზმი და ექსტრე-მიზმი აზომბდა აქ-იქ პიროვნების თავისუფლებას, სდევნიდა ანტიკურ კულ-ტურას, ეს სულაც არ ნიშნავს საყოველთაო დაბნელებას სულიერი ცხოვრები-სას, რავგარადაც ზოგიერთს წარმოუდგენია შუა საუკუნეები.

რაც შეეხება შუა საუკუნეთა საქართველოს, ამ საქართველომ მოგვცა პირწმინდა რენესანსული აზროვნება, ხელოვნება და კულტურა, მოგვცა დავით აღმაშენებელი და რუსთველი, რომელნიც გაუტოლდებიან რენესანსის ეპო-ქის ნებისმიერი ევროპული ქვეყნის დიდ ჰუმანიტებს.

კონფესიური შეზღუდულობა და ფანატიზმი უცხო იყო როგორც დავით აღმაშენებლისათვის, ასევე რუსთველისთვის. დავით აღმაშენებელმა სარწმუ-ნოებაში განმტკიცებამდე სკეპტიციზმის ეტაპიც კი გაიარა: „პოი რამ უწყი

<sup>1</sup> იხ. E. Shurè, Les prophetes de la Renaissance, Paris, 1920.

რად არს კონცხსა მას და რასა თაყვანს ევსცემთ“, — ამბობდა იგი სეგტიცხოვლის ხილვისას და თან როდი მალავდა თავის ექვემდებარებას არამედ საჯაროდ აცხადებდა. წარმოდგინეთ მსგავსი საჯარო განცხადება ქრისტიანი მეფისა იმ ეპოქის რომელიმე ევროპულ ქვეყანაში! განა არ მიუთითებს ეს ფაქტი აზროვნების თავისუფლებაზე შუა საუკუნეთა საქართველოში? ან თუნდაც გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის ტოლერანტობა სხვა რელიგიების მიმართ, პატივისცემა სხვა სარწმუნოებებისადმი, განა უპრეცედენტო არ არის ეს ყოველივე შუა საუკუნეებში? განა იმ ეპოქისთვის უპრეცედენტო არ არის ჩვენი მეფეების კრედი: „რაცა თვალთა არა ვიხილო, არა ვიწამო“?

მეოცე საუკუნეში მსოფლიო მასშტაბით იწყება ეკუმენური (ბერძ. მსოფლიო) მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს შერიგებას სხვადასხვა კონფესიური მრწამსებისას, ჰარმონიული ურთიერთგაგების დამყარებას მათ შორის, ეკლესიათა დაახლოებას, შეუწყნარებლობის აღმოფხვრას. ეკუმენიზმის წინამორბედი გვიან იყო შუა საუკუნეების ევროპაში ტამპლიერული და როზენკროიკერული მოძრაობა და აგრეთვე გოეთე, რომელიც თავის ფრაგმენტში „იღუმალებანი“ გვაძლევს იდეას მსოფლიოს 12 რელიგიის შერიგებისას და ჰარმონიული ურთიერთშერწყმისას. ამას ყოველივეს შეიძლება ეწოდოს ადრეული რელიგიათაშორისი ეკუმენიზმი. ამგვარი ეკუმენიზმი ბუნებრივად ახასიათებდა ქართულ სინამდვილეს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, რაც ცხადი ხდება, თუ დავეკვირდებით დიდი ქართველი მოღვაწეების დამოკიდებულებას სხვა კონფესიური მიმდინარეობებისადმი. სარწმუნოებბრძივი იდეალი ძველ საქართველოში ესმოდათ უწინარეს ყოვლისა როგორც შემწყნარებლობის, კეთილგანწყობილების გამოვლენა სხვა ეროვნებისა და მრწამსის, განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანთა და მოძღვრებათა მიმართ. ამადაც იყო ესოდენ ხშირი სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანთა გაქრისტიანება და გაქართველება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე ქართულ სამონასტრო კერებში ჩვენი ქვეყნის გარეთ (გავიხსენოთ რაქდენი, აბო, ეესტათე მცხეთელი, ყუბასარ ნაყივჩაღარი, თევდორე რუსყოფილი და მრავალნი სხვანი).

ქრისტიანული იდეალი ადამიანობისა, ქველმოქმედებისა, კეთილშობილებისა იმდენად შეესისხლბორცა ქართულ ბუნებას, რომ ცხოვრებისეულ სინამდვილეში ვლინდებოდა როგორც მისი თანდაყოლილი თვისება და არა როგორც სწავლითა და წვრთნით შეძენილი რამ. ჭეშმარიტი ქართული ბუნება ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ გათიშულობას, განკერძოებულობას, არატოლერანტობას სარწმუნოებბრძივს, ეროვნულს, ტომობოივს თუ ქონებრივს ნიადაგზე აღმოცენებულს. რჩეული ქართველი ადამიანები განსაკუთრებული სრულყოფით ავლენდნენ მუდამ ამ თვისებას, რაც რელიგიურ სფეროში ეკუმენიზმით გამოიხატებოდა.

როგორც ცნობილია, მეთერთმეტე საუკუნეში მოხდა განხეთქილება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის თეოლოგიური დოგმატების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის ნიადაგზე. ბიზანტია და დასავლეთ ევროპა ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკებად იქცნენ. მართალია, საქართველო იმე-

<sup>2</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღრმა რელიგიური რწმენისა და მისწრაფების ადამიანებს ხშირად ახასიათებთ გავლა სექტაციზმისა და უარყოფის ეტაპებისა. გავიხსენოთ დოსტოევსკის სიტყვები, რომელნიც ეხება მის ათვისტ ოპონენტებს: „ამ საბარლოთათვის უცხოა თვით ის ძალა ღვთის უარყოფისა, რომელიც ჩემში ბოზობობდა წლების მანძილზე.“



მად ბიზანტიის ერთმორწმუნედ რჩებოდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, განხორციელების შედეგებს ჩვენში არ გამოუღია ისეთი ნაყოფი, როგორც ეს სსრკ-ში ხდებოდა ბერძნული ეკლესიისათვის. ქართული ეკლესია მაღალი პოზიციებიდან უჭერტდა ამ გათიშვას; იგი კვლავ ინარჩუნებდა მთლიანობას თავის წიაღში, არ ემხრობოდა მოწინააღმდეგე ბანაკთან არც ერთს, უფრო მეტიც, იმთავითვე ეძიებდა ეკუმენური გზით კვლავ შეერთებას კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიებისას.

რაოდენ დიდი სულიერი ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა გიორგი მთაწმინდელს, რათა მას ეკლესიათა გათიშვიდან 12 წლის შემდეგ პირუთვნელად ეთქვა ბიზანტიის იმპერატორისათვის: ბერძნულ სჯულში აღრითვანვე მრავალი წვალება შემოვიდა, „ხოლო ჰრომთა ვინაიდან ერთგზის იცვენს ღმერთი არაოდეს მიღრეკილ არიან და არცა ოდეს წვალება შემოსრულ არსო მათგან“. როგორც პატრი მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავდა, გიორგი მთაწმინდელი იმთავითვე წინააღმდეგი იყო წვრილმანი კონფესიური განსხვავებების ნიადაგზე ეკლესიათა გათიშვისა, ისევე როგორც ჩვენი სხვა საეკლესიო მოღვაწენი: ეფთვიმე გრძელი და იოანე პეტრიწი, რომელნიც რომს დადიოდნენ სალოცავად და აღიარებდნენ პაპის ავტორიტეტს, გიორგის მსგავსად (აღსანიშნავია, რომ წმ. იოანეს, წმ. ეფთვიმეს და წმ. გიორგის ნეშთი რომს წასვენეს 1250 წელს, ათონის ივერთა მონასტრის ქართველები ლათინთა მონასტრის ბერებთან მეგობრობდნენ, ხოლო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველი ბერები ტამპლიერ რაინდ-ბერებთან იყვნენ დაახლოებულნი. რომელთა მოსახსენებლებიც გვხვდება ჯვრის მონასტრის აღაპებში).

„ვეფხისტყაოსანში“ აირეკლა საუკეთესო თვისებები ქართული ხასიათისა, ქართული ბუნებისა. ქრისტიანული ზოგადადამიანური იდეალის გარდა ვეფხისტყაოსანში საოცარი სისავსით გამოვლინდა ქართული სული, ქართველი კაცის მსოფლმხედველობა და მსოფლშეგრძნება, რომელიც რელიგიური აღმსარებლობის სფეროში იმთავითვე ეკუმენური იყო თავისი ბუნებით, რამდენადაც ეკუმენიზმი უმაღლესი ჰუმანიზმია, უმაღლესი სინთეზი კაცობრიობის ეთიკურ, ფილოსოფიურ და რელიგიურ ძიებათა. ამიტომაც პოულობდნენ და პოულობენ მკვლევარნი ვეფხისტყაოსანში ყველა რელიგიისა და ფილოსოფიური მოძღვრების ანარეკლებს, ოღონდ არა ეკლექტიკური შენაერთის სახით, არამედ სინთეზის სახით, უმაღლესი ერთიანობის სახით.

ქართული მეცნიერების ორი ისეთი სოლიდური ავტორიტეტი, როგორიც იყვნენ ნიკო მარი და იუსტინე აბულაძე, ვეფხისტყაოსანის ავტორს მუსულმანად თვლიდნენ. მართალია, ნ. მარმა თავისი მეცნიერული მოღვაწეობის შემდგომ ეტაპებზე თავად უარყო ეს მოსაზრება, მაგრამ არ შეიძლება თქმა იმისა, რომ მარი ზერელე დაკვირვებამ მიიყვანა ხსენებულ დასკვნამდის და რომ მისი კონცეფცია მხოლოდ ზოგიერთი ტერმინისა და გამოთქმის ვერგაგებაზე იყო დაფუძნებული. არც ის თვალსაზრისია სწორი, თითქოს რუსთველი იძულებულია ისლამური რელიგიისათვის დამახასიათებელი ტერმინები და რიტუალები მოიხსენიოს მხოლოდ იმიტომ, რომ პოემის მოქმედება პირობითად ისლამურ ქვეყნებშია გადატანილი. მთავარი და განსაკვივრებელი ფაქტი მაინც ის არის, რომ ვეფხისტყაოსანში სუფევს ისლამის სული და ამავე დროს ქრისტიანული სული. იგრძნობა, რომ ავტორი ღრმა ქრისტიანია, ოღონდ არა იმ გაგების ქრისტიანი, რომელიც ყველა სხვა რელიგიას და თვით ქრისტიანობის სხვა კონფესიურ ნიუანსებს გმობს და ემიჯნება, არამედ ისეთი, რომელიც მიელ-



ტვის რელიგიათა შერიგებას, ერთი ჰარმონიული საყოველთაო რელიგიურ ნიადაგზე. იგი ისეთივე ქრისტიანია, როგორც დავით აღმაშენებელი, რომელსაც ძალუძს ლოცვა როგორც ქრისტიანულ ეკლესიაში, ასევე მეჩეთშიც და სინაგოგაშიც. იგი ბაბილონურ ენათა განყოფის მსგავს ტრაგედიად თელის რელიგიათა განყოფას და მიელტვის სინთეზს, ოლონდ, ცხადია, ამას ღიად ვერ იქადაგებს, ვინაიდან მისი ეპოქის კაცობრიობა ჯერ არ არის მომწიფებული ამგვარი იდეებისათვის.

ეზოტერულ ქრისტიანობას სწორედ ამგვარი ეკუმენიზმი ახასიათებდა<sup>3</sup> შუა საუკუნეებში, საკმარისია განვიხილოთ ჯვაროსან ტამპლიერთა, ანუ ტაძრელთა, ორდენის მოღვაწეობა პალესტინაში, რომელნიც ისლამურ სიმბოლოებს ქრისტიანულს უხამებდნენ, ისლამიდან ღებულობდნენ ესთეტიკური თვალსაზრისით ყოველივე საუკეთესოს და ქრისტიანულ ტრადიციებზე ამყნიდნენ. ტამპლიერთა გზით შემოვიდა ევროპაში აღმოსავლური სიბრძნე. მათ მრავალი რამ ისწავლეს მუსულმან ბრძენკაცთაგან, ვინაიდან ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ისმაელიტების მოძღვრებთან. მართალია, იმ ეპოქაში ფანატიზმი და ურთიერთსიძულვილი სუფევდა ერებსა და რელიგიებს შორის, მაგრამ, როგორც ფრანგი მკვლევარი ე. შერპანტიე აღნიშნავს ტამპლიერებთან დაკავშირებით, „ელიტა ძველთაგანვე მიელტვოდა რელიგიებსა და ფილოსოფიურ მოძღვრებებს შორის სინთეზს, როგორც მაგალითად ესეველები პალესტინაში“ (J. Cherpantier, Die Templer, Stuttgart, 1965, გვ. 125). ამას ხელს (უწყობდა ისტორიული პირობებიც. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, როდესაც სულთანმა სალაჰ-ედ-დინმა (სალადინმა) დაამარცხა ჯვაროსნები, კეთილმეგობრული ურთიერთობა დამყარდა ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის, ვინაიდან ჯვაროსნებმა სალადინის მაგალითზე დაინახეს, რომ არაქრისტიან „ურჯულოთა“ შორისაც შესაძლოა გამოჩნდეს ისეთი ქველი და კეთილშობილი რაინდი, როგორიც იყო ეს მბრძანებელი. ტრუბადურებს შორის იყვნენ ისეთნიც, რომელნიც თავიანთ სიმღერებს ქაირული ღაზელების სტილზე ქმნიდნენ. სილონის მპყრობელი რენო ქრისტიანობას და ისლამს, ჯვარსა და ნახევარმთვარეს ერთობაში აღიღებდა და ხოტბას ასხამდა. აქ იბადებოდა ევროპისა და აზიის ურთიერთვაება, მაჰმადიანები ქრისტიანდებოდნენ, ხოლო ქრისტიანები ისლამს ღებულობდნენ ისე, რომ არ კარგავდნენ თავიანთ ძირებს, ხოლო სუფიზმის დიდი წარმომადგენლები არ მალავდნენ თავიანთ სიმპათიებს „ისას“ ცხოველმყოფელი რელიგიის მიმართ და ხშირად აშკარადაც აღიარებდნენ მის პრიორიტეტს ისლამის წინაშე (იხ. აგრეთვე H. Corbin, L'initiation Ismaelite ou l'esoterisme et le verbe, Paris, 1973.)

ასეთივე სულისკვეთებით გამოირჩეოდა იმ ეპოქის მეტად ღრმა და საინტერესო მოაზროვნე, ფრანცისკანელი სქოლასტიკოსი, ფილოსოფოსი რაიმუნდ ლულუსი, რომელიც ღრმად სწავლობდა ისლამის ეზოტერიზმს და ცდილობდა შერიგებას მაჰმადიანებისა და ქრისტიანებისას. იგი ამგვარი ეკუმენიზმისთვის ბოლოს ქვეით ჩაქოლეს ფანატიკონებმა (იხ. იქვე, გვ. 128). უფრო მეტიც, ზოგიერთი ევროპელი მოაზროვნე მაჰმადიანობას ქრისტიანულ სექტად

<sup>3</sup> ტერმინი „ეკუმენიზმი“ ამჯერად ჩვენ მიერ იხმარება უფრო ფართო გაგებით, როგორც სხვადასხვა რელიგიათა შერიგებისაკენ სწრაფვა და არა თანამედროვე საეკლესიო ეკუმენური მოძრაობის გაგებით, რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ ქრისტიანული ეკლესიების შერიგებას.



თვლიდა, არიოზის ერესის ნიადაგზე წარმოშობილად (ჩვენი აზრით, უფრო სწორად ბელოსის).

ტამპლიერთა ოცნება იყო ხალხთა ისეთი ერთობის შექმნა, სადაც აღარ იქნებოდა განსხვავება და დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე. ასეთი საზოგადოების საწყისად მიაჩნდათ მათ თავიანთი ორდენი, რომელიც უნდა ყოფილიყო პირველსახე „მშვიდობის ტაძრისა ყველა კაცთათვის“ (*Templum omnium hominum pacis*). ასეთ მშვიდობის ტაძარში კი, ცხადია, ილოცებდა ყველა ის, ვისთვისაც კონფესიური შეზღუდულობა არ იქნებოდა ბარიერი თავის მოყვასთან სულიერი ძმობისა და მეგობრობის დასამყარებლად. ეერარ დე ნურვალი თავის *Les Illuminés*-ში აღნიშნავდა: „ტაძრელი რაინდები ჯვაროსანთა შორის ყველაზე მეტად ცდილობდნენ აღმოსავლური კულტურის შერწყმას რომაულ-კათოლიკურ ქრისტიანულ აზროვნებასთან“, ხოლო დიდი ფრანგი ისტორიკოსის მიშლეს სიტყვებით რომ ვთქვათ: „იღეა ტაძრისა, უფრო მაღალი და საყოველთაო, ვიდრე იღეა ეკლესიისა, თავს დასტრიალებდა ყველა რელიგიას. ეკლესიას აქვს დასაწყისი, ტაძარს კი არა. ყველა დროში იგი იყო სიმბოლო რელიგიის მარადიულობისა... ეკლესია არის საგანე ქრისტესი, ხოლო ტაძარი საგანეა სულიწმიდისა.“ ტაძრელთა ორდენი იერუსალიმში დამკვიდრდა იმ ადგილას, სადაც გადმოცემით იყო სოლომონის ტაძარი, როგორც მათ ერქვათ *Milites Christi templique Solomonis* — ქრისტესმეორე რაინდნი სოლომონის ტაძრისა, რაც მოასწავებდა ეკლესიური ქრისტიანობისა და სოლომონისეული სიბრძნის (ეზოტერიზმის) სინთეზს.

ტამპლიერები და სხვა ეზოტერული მიმდინარეობანი აღგნენ იმ თვალსაზრისს, რომ მსოფლიოს ყველა რელიგიები წარმოშობილნი არიან კაცობრიობის ერთი დიდი პირველრელიგიიდან და ყველა განკერძოებული კულტი ბოლოსდაბოლოს უნდა დაუბრუნდეს ამ ერთიანობას. ამგვარი თვალსაზრისი თანდათანობით მკვიდრდება თანამედროვე მეცნიერებაშიც. რელიგიათა შედარებითი შესწავლის, მათი სიმბოლიკის გაშიფვრის შედეგად ცხადია, რომ მათ ჰომოგენური იდეები ასაზრდოებენ და დიდ რელიგიებს გაცილებით მეტი რამ აერთებს, ვიდრე ყოფს.

ტამპლიერთა გვიანდელი მემკვიდრეა როზენკროიცერთა ორდენი, რომელიც აგრეთვე რელიგიათა სინთეზირებას ისახავდა მიზნად და რომლის ემბლემაა ვარდებიანი ჯვარი (ჯვარი — ქრისტიანობის სიმბოლო, ხოლო ვარდი — ისლამისა).

ქართულ ბუნებას საუკეთესოდ ეთვისებოდა ამგვარი მსოფლმხედველობა, ამიტომაც იყვნენ, როგორც აღვნიშნეთ, მეთორმეტე საუკუნეში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველი ბერების სულიერი ძმები სწორედ ტამპლიერთა ორდენის თავკაცები, რომელთა სახელებიც მოიხსენიება მონასტრის აღაპებში. საფიქრალაია აგრეთვე, რომ დიდგორის ომში მონაწილე რაინდთაგან უმრავლესნი ტამპლიერები იყვნენ, მით უფრო, რომ არსებობს გადმოცემა იერუსალიმის მეფე ბალდუინ II-სა და დავით აღმაშენებელს შორის ღრმა სულიერი მეგობრობისა და ამ მეფის ქართლში სტუმრობის შესახებ. ვეფხისტყაოსანიც ამგვარი უნივერსალური ეკუმენური სულითა გამსჭვალული, ვინაიდან მისი ეპოქის სულიერი ელიტა ამ იდეებით საზრდობდა. მართალია, მუყრანი და მულიმნი გაკილულნი არიან ვეფხისტყაოსანში, მაგრამ მუჟაფი ტარიელისა და ნესტანის საფიცარი წიგნია, ხოლო ავაანდილი მიზგითში ქრისტიანულად ლოცულობს (ჩვენი აზრით, სტროფი, რომელშიც მოიხსენიება მიზგითი უნდა,



აღდგეს, ინტერპოლაცია რომ იყოს იგი, ვინაიდან ეს სტროფი მათემის სულის  
ესადაგება). ვეფხისტყაოსანში აირეკლა ქრისტიანობის ეთიკურ მხარე და ის-  
ლამის ესთეტიკური მხარე გასაოცარ ერთიანობაში. აი, რა აძლევდა გამოჩენილ  
ქართველ მეცნიერებს საბაბს იმის მტკიცებისას, რომ პოემის ავტორი მუსულ-  
მანი იყო.

ალ. ხახანაშვილი აღნიშნავდა: „საქართველოში მუდამ თავისუფლება იყო  
სხვადასხვა სარწმუნოებისა, მთავრობა არათუ უშლიდა, არამედ განურჩევლად  
ყველას მფარველობდა და შემწეობას აძლევდა. ეს იყო მიზეზი, რომ სომეხ-  
გრიგორიანებმა მართლმადიდებელ ქართველებში გაავრცელეს თავიანთი სარ-  
წმუნოება, რამდენიც შეეძლოთ. XIII საუკუნიდან კი მისიონერებმა კათოლი-  
კობა გაავრცელეს.“ („პეტერბურგის უწყება“, 1899 წ.).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ სხვაგვარი თვალსაზრისით  
უნდა შევხედოთ ქართველი სასულიერო ელიტის: საბა ორბელიანის, დომენ-  
ტი კათალიკოსის, ბესარიონ კათალიკოსის, ანტონ კათალიკოსის და სხვათა მიერ  
კათოლიკობის მიღებას. ჩამორჩენილი, რეაქციული ფრთა ქართული სამღვდ-  
ლოებისა და ზოგი სახელმწიფო მოღვაწე ყოველივე ამას უწოდებდა „გაფრან-  
გებას“, რჯულისა და ლამის სამშობლოს დაღატ. მაგრამ ეს ყოველივე პო-  
ლიტიკური შორსმჭერტელობის გარდა განპირობებული იყო ეკუმენური შეგ-  
ნების მაღალი დონით, რომელიც გააჩნდათ ამ იერარქებს, უწინარეს ყოვლისა  
მათი ქართული ბუნებიდან და ღრმა და ყოველმხრივი განათლებიდან გამომ-  
დინარე. გარდა ამისა, ეს იყო ლტოლვა დიდი წინაპრების ტრადიციების აღორ-  
ძინებისა, ვინაიდან საქართველო, როგორც მ. თამარაშვილიმა დაამტკიცა, XIV  
საუკუნემდე ინარჩუნებდა იმ ეკლესიურ მთლიანობას, რომელიც დაკარგა ბი-  
ზანტიამ და დასავლეთმა ჯერ კიდევ XI საუკუნეში.

ანტონის „გაკათოლიკება“ უნდა განვიხილოთ აგრეთვე როგორც დასავ-  
ლური ორიენტაციის გამარჯვება თეიმურაზისა და ერეკლეს დროინდელ საქარ-  
თველოში, აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თეიმურაზ II-ს ანტონის წინააღმდეგ  
ბრძოლაში წარმართავდნენ პროსპარსულად განწყობილი ძალები. თეიმურაზი  
თავისი კონსერვატიზმით პროგრესის მოწინააღმდეგე ძალების ბანაკში აღმოჩ-  
ნდა და წააქეზა ზაქარია გაბაშვილის ჯგუფი ანტონის წინააღმდეგ, ხოლო ერეკ-  
ლე მეორე, რომელსაც ისეთივე ეკუმენიზმი და დასავლური ორიენტაცია ახა-  
სიათებდა როგორც ანტონ კათალიკოსს, მას იცავდა და შეძლებისდაგვარად  
ეხმარებოდა (ამიტომაც მონათლა ორივენი „მწვალებლებად“ ზაქარია ხუცეს-  
მა). ერეკლეს ფარული სიმპათიები კათოლიციზმის მიმართ იმაშიც გამოვლინ-  
და, რომ მან კათოლიკობისათვის განდევნილი იოანე ორბელიანი ექსორიდიდან  
დააბრუნა, ხოლო მისიონერ ბატრებს იგი ყოველნაირად ეხმარებოდა და  
მფარველობდა ერთხანს, სანამ გრიგორიანთა შფოთი არ ატყდა ტფილისში ამ  
ნიდაგზე. (ბოლოს ერეკლემაც ხელი აიღო კათოლიკეთა დაცვაზე).

რაში გამოიხატებოდა ანტონის „გაკათოლიკება“? ნიშნავდა თუ არა ეს  
მართლმადიდებლობის დაღატს, ტიპიკონისა და საეკლესიო წესის შეცვლას,  
წინაპართა ტრადიციების უგულვებელყოფას? ანტონი ისე „გაკათოლიკდა“, რომ  
მართლმადიდებლობა არ დაუთმოა<sup>4</sup>. მართალია, ანტონმა გორის უფროსი პატ-  
რის, იოანე ნორჩელის წინაშე აღიარა კათოლიკური სარწმუნოება, როგორც ამ-

<sup>4</sup> ამიტომაც ამბობდა ვახუშტი: „შეუთქვეს კახთ ანტონ კათალიკოსს ფრანგობა მტრობით  
და განაძეს“ (იხ. საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 392).

ბობენ, მაგრამ სინამდვილეში ეს „ალიარება“ გამოიხატებოდა იმაში, რომ მან სიტყვიერად სცნო ორად ორი დოგმატი კათოლიკობისა: პაპის, ვითარცა მღვდელმთავრის, ავტორიტეტი და სულიწმიდის ძისაგან გამომავლობა (ე. წ. Filioque). წერილობით კი მას არც ეს პუნქტები უღიარებია, თუმც ზაქარია ხუცესი ყოველნაირად ეძებდა „მიწყალეს“ თარგმანებაში ამგვარი „მწვალებლობის“ ნიშნებს.

რაც შეეხება ნამდვილ მწვალებლობას, ანტონი მიუხედავად თავისი ეკუმენური მისწრაფებებისა და ფართო შემწყნარებლობისა, ყოველთვის უკომპრომისო იყო მწვალებელთადმი. ამის პირველი მაგალითია „შზამეტყველება“, რომელიც სომხური მონოფიზიტური მწვალებლობის მკაცრი მხილებაა. თუმც ეს ყოველივე არ გადადიოდა სომეხთადმი ეროვნულ სიძულვილში, პირუკუ, ანტონი ავითარებდა და აღრმავებდა ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობას, სომხური მწერლობის ნიმუშების ქართულად გადმოღებით. იგი ქართული საქმის სამსახურში აბამდა მართლმადიდებელ სომეხებს. (ერთ-ერთი ასეთი იყო ზაქარია მადინაშვილი, რომელსაც პარტიზ მურადიანის მეცნიერულ „ფანტასტიკაში“ ვეცნობით როგორც ანტონის „წინამორბედს“, ვითომდაც მასზე 50 წლით ადრე მცხოვრებს და, ცხადია, „შთამავონებელს“ და „მოდღვარს“ მისსას. თუმც, როგორც მ. ქაეთარიაშვილი გვამხატვრობის მურადიანის თურმე არცე იცნობს ჯეროვანად ზ. მადინაშვილის წერილებს, რომლებშიც საპირისპირო მტკიცდება. იხ. მ. ქაეთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1977).

სამაგიეროდ, კათოლიკე მისიონერები კიდევ უფრო დიდ დათმობებზე მიდიოდნენ მართლმადიდებლობის წინაშე: წმ. ბასილის ორდენი ბერძნული მართლმადიდებლური ტიპიკონით სარგებლობდა, რაც გაცილებით დიდი კომპრომისი იყო, ვიდრე ფილიოკის ალიარება. ანტონი და ერეკლე ზედავდნენ, რომ მოძალებული ისლამის აგრესიის პირობებში, როდესაც ჩრდილოეთიდან აღთქმული დახმარება ჯერაც იგვიანებდა, მათ უნდა ეძებნათ გზები ევროპისაკენ, რათა გადაერჩინათ ქრისტიანობა საქართველოში. ანტონის, ისევე როგორც საბას, ვაკათოლიკება მართლმადიდებლობას კი არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ მის გადაარჩენას ისახავდა მიზნად, ვინაიდან ევროპის ქმედითი დახმარების გარეშე თავად მართლმადიდებლობა დგებოდა უცილურესი საფრთხის პირისპირა. ეს არ ესმოდა ქართველი სამღვდლოების იმ ნაწილს, რომელმაც ანათემა გამოუცხადა საბას და ანტონს.

ანტონ კათალიკოსის თხზულებებიდან ირკვევა, რომ იგი არა მხოლოდ გონებისმიერი ზედვით ქურეტდა ეკლესიათა კვლავ შეერთების აუცილებლობას. „შზამეტყველებაში“ მოჩანს, რომ ეს გათიშვა ეკლესიებისა ანტონისათვის იყო პირადი ტრაგედია, ღრმა განცდიის საგანი უწინარეს ყოვლისა. ცხარე ცრემლით გლოვობს იგი ამ გათიშვას, ამ დარღვევას ღვთაებრივი ერთობისას, რამაც კაცობრიობა, მისი თვალსაზრისით, განსაცდელში ჩააგდო: „ხოლო აქა ცრემლითა ფრიადითა ჟამი არს წერად, და რათა მაქუნდეს კალამი მწუხარებისა ალთა შინა წთობილი, ხოლო კვეთილი მახვილთაგან საგონებელთა მომკვლელთასა და მელანი, ნაზავი ცრემლითა. ვაიმე!, ვაიმე! განიყვნეს ეკლესიანი სძალნი ქალწულნი, შვენიერნი მნათობნი აღმოსავლისა და დასავლისა ცის კიდეთანი, რომელსა ერთ სამე ეწოდებოდა ეკვლესიაი და არა ორ.... ერთისა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა არა სადმე განყოფითა თანა კერძოსა მისისათა დაიხსნების სრულებად... არამედ უმჯობეს იყო, რათამცა ორთა ნაწილთაგანი იგი შედგმულდებაი დაუხსნელ იყო“ (გვ. 522). აქედან ცხადი, ხდება თუ რად



მიელტვოდა იგი ეკლესიათა კვლავ შერიგებას. ეს მისი მაღალი პოპულარობიდან გამომდინარეობდა, ვინაიდან მას სურდა ყოფილიყო „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ და არა „შუღლი, გათიშულობა და შეუწყნარებლობა. ამიტომ მის მიერ „კათოლიკობის მიღებას“ სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, ხოლო საქმით მას არ დაუთმია მართლმადიდებლური სჯული.

ანტონ კათალიკოსში საოცრადაა შერწყმული, ერთი მხრივ, მისტიკოსის, თეოლოგოსის, პოეტისა და, მეორე მხრივ, საერო განმანათლებელ-ფილოსოფოსის, მეცნიერის თვისებები. იგი იყო არა მარტო სასულიერო მოღვაწე, არამედ მეცნიერული და ფილოსოფიური აზრის კორიფე იმპერატორულ საქართველოში. თუმც ზოგიერთი მკვლევარი იმის გამო, რომ ანტონი თარგმნიდა რაციონალისტურ ფილოსოფიურ თხზულებებს, მას რაციონალისტად რაცხს. ეს არ არის მართებული. ანტონი ცდილობდა მისდროინდელი საქართველო არ ჩამორჩენოდა ევროპულ განათლებას, ცდილობდა განეკეთებინა ფილოსოფიური აზროვნების კულტურა საქართველოში, ამიტომაც ეწეოდა ამგვარ მოღვაწეობას. ამიტომაც შემოიღო მან „გნოსინი აზნაურთა და თავისუფალთა ცნობათანი“, ე. ი. თავისუფალი შემეცნება. რაც შეეხება რაციონალიზმს, იგი მისტიკისადმი დაპირისპირებული მსოფლმხედველობაა. განა შეიძლებოდა რაციონალისტი ყოფილიყო მისტიკური თეოლოგიის უდიდესი წარმომადგენელი საქართველოში?

როდესაც ანტონ კათალიკოსს საზავენ დოგმატიზმის, ეკლესიური პურიტანიზმისა და რიგორიზმის განსახიერებად, რომელიც წვაგდა ვეფხისტყაოსანს და ანადგურებდა ყოველივე ცოცხალს და პროგრესულს, ჩვენ ამ წარმოდგენას უნდა დავუპირისპიროთ ანტონი, როგორც თავისუფალი მოაზროვნე, ენციკლოპედისტი, პოეტი და ღვთისმეტყველი, მთარგმნელი და მწიგნობარი, უაღრესად ტოლერანტული და სათნო პიროვნულ ურთიერთობაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქველმოქმედი, გლახაკთა შემწე. იგი, სულიერი მეუფე საქართველოსი, ზვაგობით როდი დაცქერდა თავის უმდაბლესთ, არამედ იყო „მსახურ ყოველთა“, თავმოდრეკილი, თვინიერი, მოყვარული თვით თავისი მტრებისაც კი (როგორი სიყვარულით დაიტირა მან თეიმურაზ II). მის ჰუმანიზმზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აშული საიათნოვა იმდენად იყო მითამამებული საქართველოს ეკლესიის საქეთმპყრობელთან, რომ კალამბურებსაც კი უთხზავდა მას (თუმც მას აროდეს აკლდა მოწყალეობა ანტონის ხელიდან).

ასევე მითამამა მას მისდამი იერარქიულად დაქვემდებარებული პირი, ხუცესი ზაქარია, რომელიც იმდენად გაკადნიერდა, რომ ოპოზიციას ჩაუდგა სათავეში და ბოლოს ტახტიდანაც კი გადააყენებინა ანტონი თეიმურაზ II-ს.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ანტონ კათალიკოსის შემოქმედების შესწავლა გვეხმარება რუსთველოლოგიურ კვლევაში, ვეფხისტყაოსანის რთული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ტერმინების, სიმბოლოებისა და ალეგორიების გაშიფვრაში. ცხადი ხდება, რომ ანტონი იყო არა მოძულე და მღევნელი რუსთველისა, არამედ თავად უღრმესი რუსთველოლოგი, რუსთველის პოეზიაზე და ფილოსოფიაზე აღზრდილი კაცი, რომლის მსოფლმხედველობა, საღვთისმეტყველო ფილოსოფიური აზროვნება, თვით სტილისმიერი არქიტექტონიკაც კი მისი ქმნილებებისა, რუსთველურ ტრადიციას ეყრდნობა და ავითარებს. ანტონი თავად იყო „შოთაებრი კაცი“, როგორც იგი უწოდებს სარგის თმოგველს, იგი იყო უკანასკნელი მოპიკანი რუსთველისეული საქართველოსი, ადამიანის რუსთველისეული იდეალის პრაქტიკულად განმახორციელებელი არა

მხოლოდ თავისი სიბრძნის მეტყველებით, არამედ პირადი ცხოვრებით დაწეობითაც.

З. К. ГАМСАХУРДИА

## РУСТВЕЛИ И АНТОНИИ I

### Резюме

Труд ставит целью изучение взаимоотношений между творчеством Руствели и грузинским церковным писателем XVIII века. католиком Антонием I (Багратиони). Исследование показывает, что богословское мышление Антония I в ряде его произведений носит отпечаток влияния афоризмов и максим Руствели, в которых отражаются богословские концепции поэта. В частности анализируются некоторые места из неизданного труда Антония I «Богословие», который хранится в Ин-те рукописей им. К. Кекелидзе, а также из труда «Вопросы и ответы» («Мзаметквелеба») и «Размерная речь» («Цкобилситкваоба»). В труде отмечается, что мировоззрения обоих писателей выработывались под влиянием ареопагитической богословской школы и носят отпечаток влияния ареопагитических трактатов.

Параллельное рассмотрение некоторых мест поэмы «Витязь в барской шкуре» и трудов Антония I выявляет интересные совпадения в терминологии, отдельных мыслях и концепциях. Отмечается также, что Антоний I, опасаясь реакционного крыла тогдашнего грузинского духовенства, был вынужден скрывать свое преклонение перед «мирским» поэтом Руствели и критически высказывался о нем.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

## ე ზ ი რ ი ბ რ ზ ე ლ ი მ ი

 გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ი ს „ პ ა ს უ ხ ი მ ა შ ს ტ ა მ ა თ დ ლ ე მ ა თ ე ს “  
 ბ ა მ ო მ ა ხ ნ ი ლ ი ძ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ მ წ მ ი რ ლ ო ბ ა შ ი

ნოსელის ნაწერების თარგმნა, რასაც სათავე დაედო VI—VII სს-ში, გიორგი მთაწმიდლის მიერ დასრულდა XI ს. 60-იან წლებში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქრისტეშობის საკითხავის ეფრემ მცირისეულ თარგმანს, გრიგოლ ნოსელის შრომების ქართული კორპუსის ჩამოყალიბების ზედა ზღვრად შეგვიძლია XI ს. 60-იანი წლები დავდოთ.

„პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“, რომელიც XI ს. 50-იან წწ.-ში ქართულად თარგმნა გიორგი მთაწმიდელმა, წარმოადგენს შესაქმის დასაწყისი მუხლების განმარტებას. ამ თხზულებამ კარგა ხანია მიიპყრო გვიანანტიკური და ადრებიზანტიური აზროვნების მკვლევართა ყურადღება. გრიგოლ ნოსელი სამყაროს დაბადების ბიბლიურ სურათს ფილოსოფიური ალეგორიზმის პრინციპებით აღიქვამს, შესაქმის შესახებ ადრექრისტიანულ მოძღვრებას გარეგნულ სიმარტივეს აცლის და ღრმა აზრით მსკვალავს მას. ნისის ეპისკოპოსის მიზანია სიმარტივეში დაფარული მომენტების გამჟღავნება, ბუნდოვან თხრობაში მწყობრი ფილოსოფიური სისტემის ამოცნობა, რის გამოც დიდი კაპადოკიელი მოაზროვნე ანტიკური ფილოსოფიის მდიდარ მემკვიდრეობას ქრისტიანობის წიაღში აქცევს, ცდილობს სწორედ ანტიკური ფილოსოფიის საშუალებით გამოთქვას ბიბლიური შესაქმის არსი.

ნოსელის ჰექსემერონული შრომის გავლენა, ვფიქრობთ, ცხადად არის გამჟღავნებული ძველი ქართული მწერლობის ზოგ ძეგლში. მათგან, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იქცევს გიორგი მცირის „ცხოვრება გიორგი მთაწმიდლისა“, სადაც ვხვდებით ზუსტ ტექსტობრივ პარალელებს ნისის ეპისკოპოსის თხზულების ქართულ თარგმანთან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ნოსელის თხზულება (ისევე, როგორც გიორგი მცირისა) ეპისტოლის სახითაა წარმოდგენილი და იგი გაგზავნილია მისი ძმის, პეტრე სებასტიელისადმი. ეპისტოლის დასასრულს ავტორი ასე მიმართავს ადრესატს: „შენმანცა სიბრძნემან და კაცად კაცადმან, რომელიცა მიემთხვოს (ეპისტოლეს) შესძინენ ნაკულუსა მას ზედა და განასრულენ, რამეთუ არცა ორთა მათ მწულილთა ქურივისათა დააყენეს მდიდართა იგი მისაცემელი, არცა რომელთა ტყავნი იგი და შეშა და ბალანი მოართუეს მოსეს განსრულებად კარვისა, დააბრკოლეს ოქროსა და ვეცხლისა და თუალთა პატიოსანთა შეწირვა“ (A—55, 257). ეს აღგილი სიტყვისიტყვით გამეორებულია გიორგი მცირის მიერ, „და შენმანცა სიბრძნემან და კაცად-კაცადმან, რომელიცა მიემთხვოს, შესძინენ ნაკულუევანებასა ამას ზედა და განასრულენ, რამეთუ არცა ორთა მათ მწულილთა ქურივისათა დააყენეს მდიდართა იგი მისაცემელი, არცა რომელთა-იგი ტყავნი და შეშა და ბალანი მოართუეს მოსეს განსრუ-

ლებად კარვისა, დააბრკოლეს ოქრომ და ვეცხლი და თუალთა პატიოსანებად წირვად“ (5, გვ. 206—207).

გიორგი მცირის თხზულებაში ასეთი ზუსტი ციტირება კიდევ დასტურდება, შევიდართ, მაგალითად:

ნოსელის „პასუხი“

და ჩუენდაცა უკუე საუყარელ იყოს, უკუეთუ სწორად ბალნისა მის შეირაცხოს ჩუენი ესე გულისკმის-ყოფად, გარნა ზოლო ექმენინ თქუენისა ძოწუელისა და ოქროსა შეთხზული პორფირი შემამკობელ სიტყუსა ჩუენისა შესამოსელსა, რომელსა ეწოდების გულისკმის-ყოფა, გამოცხადება და ჰემშარიტება, ვითარცა იტყვს მოსე, რომელმან ეგვეთარი იგი შემშადა მღელთმოძღურისა შესამოსელსა ზედა, ბრძანებისაებრ ღმრთისა, რომელსა შეუენის დიდება და სიმტკიცე თანა მხოლოდ შობილით ძითურთ და ყოვლად წმიდით სულით აჟ და მარადისა და უკუენითი უკუენისამდე, ამინ! (A—55, 257).

გიორგი მცირის „ცხოვრება“

ხოლო ჩემ შორის არარად პატიოსანთავანი იპოვა, რათამცა სულიერი ესე კარავი შემემყო, გარნა ზოლო ბალანი... არამედ ძოწუელმან და პორფირმან თქუენმან განაშუენენ იაკინთისა თანა და ბისონისა ოქროშეთხზულმან... გულისკმის-ყოფისა, გამოცხადებისა და ჰემშარიტებისა მიერ განშუენებულმან, ვითარცა იტყვს მოსე, რომელმან-იგი ეგვეთარი შემშადა მღელთმოძღურისა შესამოსელსა ზედა ბრძანებისაებრ ღმრთისა, რომელსა შეუენის დიდება და სიმტკიცე თანა მხოლოდ შობილით ძითურთ და ყოვლად წმიდით სულით აჟ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე, ამინ! (5, გვ. 207).

ნოსელი თავის ეპისტოლეში ერთგან მიუთითებს, რომ ბასილ დიდი ქადაგებდა მრავალრიცხოვანი მრევლის წინაშე. გიორგი მცირეს ეს ეპიზოდიც გამოუყენებია. შევიდართ:

„პასუხი“

(ბასილ დიდი) „ესეოდენთა ერთა ზრახვლა ეკლესიისა შინა ბერეულთა სიზრავლეთასა“ (A—55, 242).

„ცხოვრება“

(გიორგი მთაწმიდელი) „ასწავლიდა ესოდენსა ამას სიზრავლესა“ (5, გვ. 171).

განსახილველი ძეგლის შემდეგი კვალი არსენ იყალთოელთან გვხვდება. ამ უკანასკნელმა, როგორც ცნობილია, „დოგმატიკონის“ შედგენისას ქართულად თარგმნი იოანე დამასკელის თხზულება „გამოკრებანი წამებთანნი“<sup>1</sup>, რომელიც ოცდაათი თავისგან შედგება და თითოეული მათგანი შეიცავს ამა თუ იმ საკითხის შესახებ ეკლესიის მამათა შრომებიდან გამოკრებილ ადგილებს. თხზულების მეცხრამეტე თავს ეწოდება „სალმროთასა ნებისათს“... საკითხის გასაცხადებლად დამასკელს პირველ რიგში ციტატა მოჰყავს ნოსელიდან და წყაროს შემდეგნაირად უთითებს: „ნოსელი სიტყუს-გებასა შინა ექუსთა დღეთასა“ (იხ. ზელნ. S—1463, გვ. 161).

კ. კეკელიძემ „დოგმატიკონის“ შესწავლისას ყურადღება მიაქცია აღნიშნულ ადგილს და დამასკელის მიერ მითითებულ წყაროდ მიიჩნია გრიგოლ ნოსელის თხზულება „კაცისა შესაქმე“ (3, გვ. 186; 2, გვ. 57). ძნელი დასაშვებია, რომ დამასკელის მიერ მითითებული თხზულება იყოს „კაცისა შესაქმე“. „სიტყუსგება ექუსთა დღეთა“ არის იგივე „პასუხი ექუსთა მათ დღეთათს“. ეს აზრი დაადასტურა ციტირებული ადგილის გაცნობამაც. დამასკელს მოხ-

<sup>1</sup> ეს თხზულება არ უნდა იყოს დამასკელის *ἐκὰρ παρὰ ἀλλήλους*-ს მინისეული ტექსტი, როგორც ფიქრობდა კ. კეკელიძე (3, გვ. 186), თუმცა ავტულების პრინციპით ისინი მსგავსი არიან. ქართული თარგმანი დამასკელის მინისეულ ტექსტს საერთოდ არ ეთანხმება არც თავების მიმდევრობით, არც მოხმობილი ციტატების მხრივ.

მობილი აქვს ერთი ნაწყვეტი ნოსელის „პასუხიდან“. რამდენადაც ნაწყვეტი ვრცელია, ვიდრე ვით მხოლოდ დასაწყისი ნაწილი:

გიორგი მთაწმიდელი

არსენი იყალთოელი

ხოლო პირველ გამოცეხადმდე ძალსა სიტყუათა მათ აღწერილთასა ეგონებ, ვითარმედ ამისი ჯერ არს აღსაარებაჲ სიტყუასა შინა ჩუენსა, რამეთუ ღმრთისა ბუნებასა შინა ნებასა თანა ძლიერებაჲ შეერთებულ არს...

საქმარ-ყოფად ეგონე პირველ გამოკლევასა წინამდებარეთა სიტყუათასა ამისი აღსაარებაჲ სიტყუასა მიერ, ვითარმედ საღმრთოჲსა ბუნებისა შორის თანამორბედ ძალისა არს ნებაჲ... (S—1463, 161r—161v).

ამგვარად, დამასკელის კრებულის XIX თავში მოხმობილია ციტატა ნოსელის ჩვენთვის საინტერესო ეპისტოლიდან, რომელიც არსენ იყალთოელმა ხელმეორედ თარგმნა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აღნიშნულ ნაწყვეტზე მთარგმნელის, ე. ი. არსენ იყალთოელის, მიერ დართული „შეისწავე“, რომელიც გვაუწყებს შემდეგს: „შეისწავე, ვითარმედ (იოანე დამასკელი. — ე. ჰ.) მას საკითხავსა იტყუს ნოსელისასა, მამისა გიორგის თარგმნილსა, რომელ არტანუჯისა კრებამან განკუთთა და ბერმან ეფთჳე გრძელმან; შ-მე, დარღუევისა მისისა ველყოფაჲ, არა უწყით, თუ რომლითა სულითა იკადრა, რომელსა აქა წმიდაჲ იოანე დამასკელი განცხადებულად გრიგოლ ნოსელისად აღიარებნ მას ყოფად და ყოვლისა საყურისა უმაღლეს შეასმენს უგუჳნურებასა განკუჳთისა მისისა მკადრებელთასა“ (S—1463, გვ. 161).

ამ ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ მამა გიორგის, ანუ გიორგი მთაწმიდლის, მიერ თარგმნილი „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“ ექვეთიმე გრძელს განუკუთთა არტანუჯის კრებაზე. ეპისტოლის განკვეთის მიზეზი, ვფიქრობთ, უნდა იყოს თხზულების მკვეთრად გამოხატული დაპირისპირება ბასილის მიერ „ექუსთა დღეთაში“ გამოთქმულ აზრებთან. რამდენადაც ბასილი ორთოდოქსის დიდი ავტორიტეტია, მისდამი წინააღდგომა ზოგი ქართველი ორთოდოქსის მიერ ერეტკულად შეირაცხა. ქვემოთ საშუალება გვექნება, გავცნოთ ნოსელისა და ბასილი დიდის აზრობრივი დაპირისპირების ზოგ მომენტს.

შემდეგ მითითებას ნოსელის ეპისტოლეზე სულხან-საბას ლექსიკონში ვხვდებით. ლექსიკოგრაფს ეპისტოლიდან ამოულია ორი იშვიათი სიტყვა: „ფილაქი“ და „ძნონი“ და ნოსელის თხზულებიდან შესაბამისი ციტატებიც მოუყვანია.

აქამდე ჩვენი საუბარი ეხებოდა განსახილველი ძეგლის პირდაპირ თუ არა-პირდაპირ დამოწმებას ძველ ქართულ მწერლობაში. ამჯერად, ყურადღებას მივაქცევთ ქართულ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებაზე „პასუხის“ გავლენის საკითხს.

ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს „თამარიანის“ 102-ე სტროფის ორი ტაეპი, რომელიც სამყაროს შექმნის მომენტს ეხება:

სიტყვთ ყენა წყალნი, ზეცისა ძალნი  
დაბაღნა ხანსა ერთჳამიერსა.

სანამ ციტირებული ტაეპების განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სამყაროს შექმნის ბიბლიური სურათი ხშირად ქცეულა ქრისტიან მოაზროვნეთა განხილვის საგნად. საეკლესიო მამათა ჰექსემერონული კომენტარები განსაკუთრებით ვრცლად წარმოაჩენს ოთხი ელემენტისგან მატერიალური სამყაროს აგების პროცესს. გასათვალისწინებელია ისიც,



რომ ქრისტიან ეგზეგეტთა უმრავლესობა ოთხი ელემენტის მარადიული თანაბარძალოვნების და თანასწორობის შესახებ აზრს არ იზიარებდა. ბიბლიური ექვსი დღისადმი მიძღვნილ ვრცელ კომენტარებში, რომლებმაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭეს ქრისტიანულ მწერლობაში, ბასილი დიდი ხშირად უსვამს ხაზს რაოდენობის მხრივ წყლის სხვა ელემენტებზე უპირატესობას (ამავე აზრის იყო ტერტულიანე, აგრეთვე მელიტონ სარდელი).

ამასთან, როცა ბასილ დიდი რაოდენობის მხრივ წყალს აძლევს უპირატესობას, იგი ეყრდნობა შესაქმის I, VII მუხლს, სადაც ზეციური წყლებია მოხსენიებული („და განყო ღმერთმან შორის წყლისა, რომელი იყო ქუეშე კერძო სამყაროჲსა და შორის წყლისა ზედა კერძო სამყაროჲსა“). კაპადოკიელი თეოლოგი პირდაპირი აზრით განმარტავს აღნიშნულ მუხლს („წყალი წყლად გულისაჲსა-გყოთ“) და იქვე მიუთითებს, რომ ზოგიერთნი „მიზნითა იგავთა-ათა და უმაღლესთა გულისკმის-ყოფათაჲთა სახისმეტყუელებასა შეევედრნეს და იტყუან, ვითარმედ ძალნი სულიერნი და უჯორცონი მოესწავებინან იგავით „წყალთა“ მიერ... გარნა ესევეითარნი ესე სიტყუანი, ვითარცა სიზმართა აჲსნანი და დედაბერბრნი ზღაპარნი, წარვდევნეთ ჩუენგან“ (1, გვ. 38).

როგორც ვხედავთ, ბასილი მკვეთრად უპირისპირდება ისეთ მოაზროვნეებს, რომლებსაც ბიბლიის „წყლები“ სახისმეტყველებით გაუგიათ და მათში ზეციური, ანუ სულიერი, ძალები ამოუკითხავთ.

„თამარიანის“ ციტირებულ ტაეპებში „ზეცისა ძალთა“ დაბადება „წყალთა“ დაბადებისას არის წარმოდგენილი, რის გამოც თავისთავად ცხადია, ჩახრუხადისთვის „წყალნი“ ნივთიერ წყალს არ გულისხმობს. ჩვენი აზრით, იგი „ზეციურ წყლებს“ აღნიშნავს. მისი შინაარსის გასარკვევად, აგრეთვე ბასილისეული კრიტიკის ადრესატის დასადგენად, საჭიროა, გავითვალისწინოთ ე. პეპინის სიტყვები: „ძველთაგანვე დამკვიდრებული ტრადიცია უსაყვედურებს ორიგენეს ზეციურ წყალთა ალეგორიული განმარტების გამო. მათში იგი სულიერ ძალებს ხედავდა“. ამგვარი განმარტების უადრესი მოწმობა დაცულია ეპიფანეს ცნობილ Panarion-ში. უფრო ცხადად იგივე აზრი ეპიფანემ გამოთქვა იოვანე იერუსალიმელისადმი მიწერილ ეპისტოლეში, რომელიც მხოლოდ ლათინური თარგმანით შემოგვინახა იერონიმე: ო რ ი გ ე ნ ე ა მ ბ ო ბ ს, რ ო მ ს ა მ - ყ ა რ ო ს ზ ე დ ა წ ყ ა ლ ნ ი წ ყ ა ლ ნ ი ა რ ა რ ი ა ნ, ა რ ა მ ე დ ა ნ - გ ე ლ ო ზ უ რ ი ძ ა ლ ი ს ს ი მ ტ კ ი ც ე ე ბ ი (15, გვ. 399). (Dicente Origene de aquis, quae super firmanentum sunt, non esse aquas, sed fortitudines quasdam angelicae potestati).

თვით იერონიმე თავის შრომაში „იოანე იერუსალიმელის წინააღმდეგ“ მსგავს ცნობას გვაწვდის: ო რ ი გ ე ნ ე ს ა ზ რ ი თ, „წყალნი რომელნიც წერილის თქმით ცათა ზედა არიან, წმიდა და ზეციურ ძალებს წარმოადგენენ“ (15, გვ. 400).

ორიგენე „შესაქმისადმი“ მიძღვნილ ჰომილიაში მიუთითებს: „სულიერია ის წყლები, რომლებიც სამყაროს ზევით არიან“ (15, გვ. 400).

ფსალმუნთა კომენტარებში ორიგენე უფრო ცხადად გამოთქვამს თავის აზრს: „ცათა ზედა (მდებარე) წყალნი სიტყვიერ (-გონიერ) ძალებს მოასწავებენ“ (15, გვ. 402).

როცა VI ს-ში იუსტინიანე დიდმა ორიგენეს საწინააღმდეგო მასალები შეკრიბა, თავის წიგნში „Liber Adversus Origenem“ ასეთი მამხილებელი, მისი ფიქრით, მწვალებლური აზრი შეიტანა: „ორიგენე თვლიდა, რომ „ცათა ზედა



(მდებარე) წყალნი სულიერი და სიტყვიერი (-გონიერი) ძალები არიან“ (15, გვ. 399).

აღნიშნული ტექსტი მცირედი ცვლილებებით ანათემის სახით შევიდა ორიგენეს საწინააღმდეგო მეექვსე კანონში, რომელიც სხვა კანონებთან ერთად 543 წ. გამოქვეყნდა და იმავე წლებში დამტკიცდა რომის პაპის მიერ (15, გვ. 399).

ორიგენეს სახისმეტყველებამ მოწინააღმდეგეებთან ერთად თანამოაზრენიც პოვა. ზეციური წყლები იგულისხმება დიოდორე ტარსელის სიტყვებში τὰς ἀόρατους δυνάμεις, τὰς ἀόρατους οὐσίαις („უხილავ ძალთა მიერ“, „უხილავ არსთა მიერ“) (იხ. 15, გვ. 404). ლათინურ სამყაროში aquae super caelos ზეციურ ძალთა სახით ნაწილობრივ გამოვლინდა პილარი პუატეილთან, მოგვიანებით კი — ავგუსტინესთან. ეს უკანასკნელი ეგზეგეტიკური მოღვაწეობის დასაწყისში იზიარებდა ორიგენეს ალეგორიზმს, რომელსაც იგი გაეცნო რუფინუსის მიერ ლათინურად თარგმნილი ორიგენეს „შესაქმის ჰომილიების“ გზით. თავის ცნობილ „აღსარებაში“ იგი წერდა: „ვფიქრობ, რომ არსებობენ სხვა წყალნიც, სამყაროს ზევით (მდებარე), უკვდავნი და მიწიერი ხრწნილები-საგან განშორებულნი“ (15, გვ. 407—408).

ამგვარი აზრი ავგუსტინემ კვლავ გაიმეორა თავის შრომაში „ღვთის ქალაქი“, მაგრამ გადმოსცა იგი არა თავისი სახელით, არამედ მისი ავტორობა სხვებს მიაწერა (nonnulli putauerint). შემდეგში, ავგუსტინეს გზით, ორიგენეს აზრი ანონიმის („ზოგიერთები“, „ვინმე“) სახელით გავრცელდა. მასზე მიუთითებენ იოანე დიაკონი, გრიგოლ დიდი, ისიდორე სევილიელი და სხვები (იხ. 15, გვ. 408).

ბასილ დიდი მკვეთრად დაუპირისპირდა ორიგენეს ალეგორიზმს ზეციურ წყალთა შესახებ, მაგრამ გრიგოლ ნოსელმა მიიღო წყალთა სახისმეტყველებითი განმარტება და თავის შესაქმისეულ განმარტებებში ვრცელი ადგილი დაუთმო მას: „მაშა, წყალი იგი... უმაღლესისა ზედვისა მიერ უხილავთა მათ ძალთა სავსებისა მომასწავებელად გულისკმა-ვყავთ“ (A—55, 246 v). „ბუნებისა ხოლო მის წყლისათუს... ვინმეა იყო გონიერად განმკითხველი საქმეთა და არამცა სხუად რადმე და არა ზოგადად წყლად გულისკმა-ყო ბუნებაი მისი და უჯორცოთა და უხილავთა ბუნებათა მიმართ აღიყვანა სახისმეტყველებაი მისი“ (A—55, 247).

სავარაუდებელია, ბიბლიურ წყალთა სახისმეტყველებითი გააზრება, მათი „ზეციურ ძალებთან“ გათანაბრება ნოსელის თხზულების გზით შემოვიდა ქართულ მწერლობაში. შესაძლებლად მიგვაჩნია ვიფიქროთ, რომ სწორედ იგი წარმოადგენდა „თამარიანის“ ციტირებული ტაეპების წყაროს. ზემოაღნიშნული ტაეპების „ზეცისა ძალნი“ სხვაგვარად ესმის ე. ხინთიბიძეს. პატივცემული მკვლევარი შენიშნავს: „მოყვანილ ნაწყვეტში გადმოცემულია ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის ამბავი. ეჭვს არ იწვევს, რომ ზეცისა ძალნი, რომელთა შექმნაზე საუბარია წყლის შექმნის შემდეგ (ხაზი ჩვენია — ე. ჰ.), მხოლოდ და მხოლოდ ვარსკვლავებს, მატერიალურ ზეციურ სხეულებს შეიძლება ნიშნავდეს“ (6, გვ. 61). უნდა აღვნიშნოთ, რომ „თამარიანის“ ციტირებულ ტაეპში საუბარია არა თანამიმდევრულ შესაქმეზე, არამედ მყისიერზე, წამიერზე, ანუ უდროოზე (ხანსა ერთ-წამიერსა). „ზეცისა ძალნი“, ჩახრუხაძის აზრით, შეიქმნა არა „წყლის შექმნის შემდეგ“, არამედ „წყალთა“ დაბადების თანადროულად. ამგვარი რამე კი ნივთიერ აკულუთიურ შესაქმეს არ უნდა ნიშნავ-

დეს. ქრისტიან ეგზეგეტთა აზრით, მყისიერად შეიძლება შეიქმნას ან მთლიანად, უწყსრიგო და „განუწყალებელი“ მატერია (მსგავსი პლატონისეული წინასწარ-არსებული მატერიისა), სადაც არც წყალნია“ გამოყოფილი, არც ციური მნათობები (ბასილ დიდის), ანდა იდეალური, სულიერი სამყარო, რომელიც შეიცავს ზეციურ ძალებს და რომელიც ბიბლიაში აღვგორიულად წოდებულია როგორც „წყალნი“.

ვფიქრობთ, „თამარიანში“ სწორედ ეს უკანასკნელი აზრია ასახული. „ზეცისა ძალნი“ პოეტისთვის ციურ მნათობებს არ ნიშნავს. ამას, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ ხილული სამყაროს, კერძოდ შეიდი მნათობის და, შესაბამისად, შეიდი ცის შექმნა აღწერილია მომდევნო ტაეპში: „სთნდა შექმნა ცისა, შეიდ-სვეტ-მტკიცისა“.

ჩვენი აზრით, დაწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩახრუხაძის „ზეცისა ძალნი“ აღნიშნავს სულიერ, სპირიტუალურ არსებებს, რომელთა სიმბოლოა ბიბლიური „წყალნი“. სავარაუდოა, პოეტის უშუალო წყარო გრიგოლ ნოსელის „პასუხი“ იყოს.

ამჯერად ყურადღება უნდა შევანიჭოთ შემდეგ საკითხზე: ხომ არ შეიძლება გვეფიქრა, რომ ნოსელის მოძღვრება შესაქმნის შესახებ აირეკლა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის პირველ ორ სტროფში?

სანამ აღნიშნულ საკითხს შევეხებოდეთ, ვფიქრობთ, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ქრისტიან ეგზეგეტთა შორის სამყაროს შექმნის ბიბლიური სურათი არაერთგვაროვნად განიმარტებოდა. ცალკეული მომენტების შესახებ ხანგრძლივი კამათი საბოლოოდ ორად დაჯგუფდა და თითოეულმა მხარემ ღრმა ფილოსოფიურ-თეოლოგიური დასაბუთება მიიღო, ერთი მხრივ, ბასილი დიდის თხზულებაში „ექუსთა დღეთაჲ“, ხოლო, მეორე მხრივ, ნოსელის ჩვენთვის საინტერესო „პასუხში“.

რამდენადაც „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის პირველ-მეორე სტროფი სწორედ ქრისტიანული შესაქმნის პოეტურ ვარიაციებს შეიცავს, სავარაუდოა მათში ასახვა ეპოვება აღნიშნული კამათის ფონზე შემუშავებული ინტერპრეტაციების ზოგ მომენტს. ამგვარი მომენტების გამოსავლინებლად აუცილებელი გვეჩვენება ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის ზემოდასახელებული თხზულებების ზოგადი დახასიათება.

ნოსელისა და ბასილი დიდის კოსმოგონია, როგორც ვთქვით, არ თანხვედბა ერთმანეთს. საერთო ქრისტიანულ საფუძველზე ისინი შესაქმნის განსხვავებულ სურათს გვაძლევენ. ეს განსხვავება ძირითადად ეხება გენეზისის დროის საკითხს. ბასილი, რომლისთვისაც ბიბლიის არაალეგორიული განმარტებაა ნიშანდობლივი, მიიჩნევს, რომ შესაქმნისეული სიტყვები „დასაბამად ქმნა“ სამყაროს დროში შექმნას გულისხმობს („დასაბამად ქმნა“, ესე იგი არს, ყამიერი ესე დასაბამი“, I, გვ. 7), თუმცა ავტორი იქვე მიუთითებს, რომ „დასაბამი“ მყისიერებას მოასწავებს (ამდენად „უყამობას“) და რომ „მყის უყამოდ დაიბადა სოფელი“. სამყაროს წამში დაბადებას ბასილი მხოლოდ გაკვრით ახსენებს და ამგვარ აზრს სხვებს მიაწერს: „სხუათა თარგმანთა უცხადესად-რე გამოთარგმნეს და თქუეს, ვითარმედ „თავად“ დაჰბადა ღმერთმან, ესე იგი არს მსწრაფლ და მყის“ (I, გვ. 8).

მყისიერი შესაქმნე ნოსელის კოსმოგონიის საფუძველდამდები აზრია, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“ ამ პრობლემის გაცხადებას ისახავს მიზნად. ჯ. კალაპანის სწორი შეფასებით, „გრიგოლი საკმაოდ ცხადად ამბობს, რომ



კრეაცია მყისიერია და რომ შექმნილ სამყაროში თესლოვან ძალას (სტოქე-  
რი აზრი, რომელიც მოგვიანებით საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენა ავგუს-  
ტინემ) ხელეწიფება, ღეთის შემდგომი ჩარევის გარეშე, გამოაჩინოს უამიერად  
აღსრულებადი ცვლილებები, რომლებსაც ადგილი აქვთ შექმნილ არსთა შო-  
რის“ (9, გვ. 35). ასევე, ჯ. ლანდერი შენიშნავს, რომ „გრიგოლმა განმარტა  
ექვსი დღე არა პირდაპირი აზრით, არამედ გადმოსცა იგი, ვითარცა მყისიერი  
შესაქმე. შესაქმის მყისიერების შესახებ აზრი მან, ალბათ, ფილონისგან აიღო“  
(14, გვ. 72). ამგვარ აზრს გამოთქვამენ პ. ჩერნისი (10, გვ. 25—33), ე. ეილსო-  
ნი (13, გვ. 56), ა. ბურნაკასი (8, გვ. 38), პ. ცემპი (18, გვ. 38—51).

მიუხედავად იმისა, რომ ბასილი მყისიერ შესაქმეს გაკვრით ახსენებს,  
მაინც საყურადღებოა, თუ რას გულისხმობს მასში. მკვლევრები ამ საკითხს  
გვერდს უვლიან, რამდენადაც ბასილისთვის „მყისიერება“ არსებითი არ არის.  
ჩვენი აზრით, „მყისიერების“ ბასილისეული ახსნა წინააღმდეგობრივია გრი-  
გოლისეულ „მყისიერებასთან“ და ამდენად საკითხი ეხება არა ერთი და იმავე  
მოძღვრებისათვის („მყისიერი შესაქმისათვის“) მეტ-ნაკლები მნიშვნელობის მი-  
ნიჭებას (ბასილისთვის მეორეხარისხოვანია, ნოსელისთვის — არსებითი), არა-  
მედ თვით „მყისიერების“ სხვადასხვაგვარ გააზრებას.

ნოსელის შეხედულება ზოგადად ასეთია: ღვთიური ნება, მისი წინასწარ-  
განზრახვა არის ყველაფრის წყარო. ღმერთის ძალა და სურვილი განუყოფე-  
ლია. ამიტომ ის, რაც მან მოისურვა, დროის გარეშე, მყისიერად საქმედ იქცა.  
ესაა პირველი, ანუ ნამდვილი შესაქმე, რომლის შედეგსაც უხილავთა, გო-  
ნიერ არსებათა სფერო წარმოადგენს. ეს სფერო შეიცავს განზოგადებულ  
იდეებსაც (სიმძიმე, ფერი, ვითარება, გემო და სხვა), ანუ პოტენციურ ძალებს,  
„თესლებს“, რომელთა „შეზიარებითაც“ დროში (ექვს დღეში) თანდათანობით  
იქმნება მატერიალური სამყარო. ესაა ე. წ. მეორე შესაქმე. პ. ჩერნისის თქმით,  
„გრიგოლი ფიქრობს, რომ ღმერთმა შექმნა ჯერ იდეალური სამყარო, რომე-  
ლიც ღვთიურმა თვალმა წაშლი დაბადა. მატერიალური სამყაროს შესაქმე მოს-  
დევს მას განვითარების თანამიმდევრული წესით. გონიერთა დაბადება არაფერ  
სიძნელეს არ წარმოადგენს, რამდენადაც მათი თვისებები უზენაესი არსების  
თვისებებია: მაგრამ აუხსენელია, თუ როგორ შეიქმნა არამატერიალურიდან მატ-  
ტერიალური. გრიგოლი ახდენს მატერიისგან მისი თვისებების აბსტრაქტირებას,  
რომლებიც თავისთავად გონიერები არიან და არა მატერიალურიები; და რამ-  
დენადაც ნივთიერება სხვა არა არის რა, თუ არა არამატერიალური, გონიერ  
იდეათა ნერთი, აღარ არსებობს (გრიგოლის აზრით. — ე. ჭ.) წინააღმდეგობა  
იმის თქმაში, რომ ნივთი შეიქმნა გონიერი, არამატერიალური ღმერთის მიერ“  
(9, გვ. 26). ასევე ე. გეი შენიშნავს, რომ გრიგოლს „მატერია სულიერ თვისე-  
ბებამდე დაჰყავს“ (12, გვ. 32). აი, თვით გრიგოლის სიტყვები: ღმერთმა „ყოვე-  
ლად ძლიერთა მით ნებითა თუსითა აღაგო და დაჰბადა, ესე იგი არს: სუბუქი  
და მძიმე, მტკიცე და თხელი, ლბილი და მაგარი, ნოტია და კმელი, ცივი და  
მკურვალე, ფერი და სახე, მრგვალი და განშორებული, — ესე უკუე ყოველნი,  
თავით თუსით და განთესებულად, გულისზრახვანი არიან წულილნი და გონე-  
ბანი, რამეთუ არარაჲ არს ამათგანი თავით თუსით ნივთ, არამედ შეერთოს რაჲ  
ერთი ერთისა თანა, მაშინ იქმნების ნივთ“ (A—55, 243 v).

გრიგოლის აზრით, ღმერთმა განზრახვისთანავე, წაშლი მატერიალური სამ-  
ყაროს მოდელი შექმნა, რომელიც შემდეგში ღვთის უშუალო ჩარევის  
გარეშე თავისთავად გასაგნდა ექვს დღეში. შესაქმის I მუხლი („დასაბა-

მად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ“), ნოსელის აზრით, სწორედ ამ შესაქმნე მიგვითითებს. მომდევნო მუხლიც („ხოლო ქუეყანაჲ იგი იყო უხილავ და განუმზადებელ და ბნელი ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისაჲ იქცეოდა ზედა წყალთა“) უხილავთა შესაქმნეს ეხება, რასაც, ნოსელის მითითებით, ადასტურებს სიტყვები „უხილავ და განუმზადებელ“. ეს უკანასკნელი, მისი თქმით, „უკორცობას“ მოასწავებს. შესაქმნიული „უფსკრულის“ განმარტებისას ნოსელი უპირისპირდება ორიგენეს და „უფსკრულში“ ღვთისგან განდგომილ ძალთა ნაცვლად წყალთა, ანუ ზეციურ ძალთა, სიმრავლის მომასწავებელ სიმბოლოს ზედაეს („უფსკრული რაჲ მესმეს წერილთა შინა, სიმრავლისა წყალთაჲსა მომასწავებელად ვიტყვ“, A—55, 247). რაც შეეხება „ბნელს“, ისიც სიმბოლურად უხილავ შესაქმნეზე მიანიშნებს. ნოსელის აზრით, მატერიალური შესაქმე მხოლოდ მესამე მუხლიდან იწყება („და თქუა ღმერთმან: „იყავნ ნათელი“). თუ პირველ-მეორე მუხლი უხილავთა დაბადებაზე მოგვითხრობდა, „აწ ყოველივე მოსწრაფებთა შჯულისმდებლისაჲ ესე არს... რაჲთა ხილულთა ამათ შემკობაჲ და დაბადებაჲ გჯუენოს ჩუენ“ (A—55, 245).

რაც შეეხება ბასილი დიდის ეგზეგეზას, უნდა აღინიშნოს, რომ „მყისიერება“, რომელზეც იგი ლაპარაკობს, გულისხმობს არა უხილავი, ანუ სულიერი, არამედ მხოლოდ მატერიალური სამყაროს ნივთიერად, აღრეული და უწყესრიგო სახით წამში დაბადებას. ხილული სამყაროს პოტენციური არსებობა, ანუ ნოსელის „თესლოვანი ძალები“ (λογoi σπαραγματαi), ბასილისთვის უცხოა. შესაქმნის დასაწყისი მუხლი „დასაბამად ქმნა“ ბასილ დიდის მიერ გავებულია, როგორც მატერიის ნივთიერად დაბადება. ამიტომაც, რომ კესარიელი თეოლოგისთვის მომდევნო მუხლის სიტყვები „ბნელი“, „წყალი“, „განუმზადებელი“ და სხვა მხოლოდ მატერიალურ შესაქმნეს ასახავს და არა ზეციურ ძალებს. მაგალითად „განუმზადებელი“, რომელიც ნოსელმა „უკორცობის“ მომასწავებლად გაიგო, ბასილის მიერ ახსნილია, როგორც მიმანიშნებელი იმაზე, რომ მიწა ჯერ კიდევ არ იყო შემკული მცენარეებით, ცხოველებით, ადამიანით. რაც შეეხება „უხილავს“ („ხოლო ქუეყანაჲ იყო უხილავ“), ბასილის აზრით, ეს სიტყვა, ერთი მხრივ, ცხადყოფს, რომ ადამიანი არ იყო შექმნილი და ვერაფერ „იხილავდა“ შექმნილ ქვეყანას, ხოლო, მეორე მხრივ, დედამიწის ზედაპირი დიდძალი წყლით იყო დაფარული და ხმელეთი არ ჩანდა.

ამგვარად, განსხვავება ბასილისა და გრიგოლის შესაქმნიულ სურათს შორის ისაა, რომ ეს უკანასკნელი პირველ შესაქმნელ მიიჩნევს იდეალური, გონიერი სამყაროს დაბადებას, რომელიც პოტენციურად შეიცავდა მატერიალური სამყაროს წარმოშობა „თესლოვანი ძალებს“, მატერიალური სამყაროს მოდელს, მის ეიდოსს, რასაც ბასილ დიდი დუმით უვლის გვერდს და ნოსელისაგან განსხვავებით „შესაქმნის“ I თავის პირველ და მეორე მუხლს პირველქმნილი, უწყესრიგო მატერიის მნიშვნელობით განმარტავს, უარყოფს მათ ალეგორიზებას.

თუ შევაჯამებთ, ნოსელის ეგზეგეზის თანახმად, ღმერთმა შექმნა ნივთიერი სამყაროს მხოლოდ „თესლოვანი ძალები“, მატერიალური სამყაროს მხოლოდ მოდელი, მისი სახე, ეიდოსი, საიდანაც ღმერთის უშუალო, აქტიური ჩარევის გარეშე განხორციელდა ნივთიერი „სოფლის“ თანდათანობითი, დროში განგრძობილი შესაქმე.

როგორც მიუთითებს ი. შელდონ-უილიამსი, გრიგოლის აზრით, „შესაქმე იყო ღვთიური ნების მხოლოდ ერთი ქმედება (a single act) დროის გარეშე.



მისგან გამოიშალა მყისიერად ყველა საგნის შესაძლებლობა, რომლებიც, იყენენ რა თესლთა მსგავსნი, განვითარდნენ ღვთიურის შემდგომი ჩარევის გარეშე (without further divine intervention) თანდათანობით ყველა იმ მოვლენად, რომლებიცგანაც უნდა აგებულყო და აიგო კიდევ სამყარო“ (17, გვ. 447).

ამგვარად, გრიგოლის აზრით, ნამდვილ შესაქმნეს მხოლოდ ერთხელ, დროის გარეშე, ანუ მყისიერად, ჰქონდა ადგილი, როდესაც შეიქმნა პარადიგმატული, პოტენციური, იდეალური, თესლთა მსგავსი სამყარო, გონიერთა სფერო. ყოველივე დანარჩენი არის არა შესაქმნე (მათ მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ამგვარი სახელი), არამედ ერთხელ ქმნილის რეალიზაცია, გასაგნება, „სუბსტანტიფიკაცია“.

„ვეფხისტყაოსანი“ ასე იწყება: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა“. ამგვარი დასაწყისი ყურადღებას იქცევს იმით, რომ ავტორი მასში არღვევს ბიბლიური შესაქმნის რიგს: სამყაროს შექმნა „შესაქმნის“ მხოლოდ VI მუხლში გვხვდება ცის, მიწის, ნათლის გაჩენის შემდეგ.

რატომ არ იწყებს რუსთველი „ცით“ („დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ“)? მიემართოთ ისევ ნოსელის თხზულებას.

ეპისტოლეში ბიბლიის პირველი მუხლის „ცა“ გაგებულა არა როგორც ხილული სამყაროს ერთი ნაწილი (ისევე, როგორც ქვეყანა, მნათობი, ჰაერი და სხვ.), არამედ როგორც ყოველივეს მომცველი, როგორც სამყარო თვითონ, რომელიც ღმერთმა უშუალოდ შექმნა, როგორც გონიერთა სფერო, ხილული ქვეყნის სახე, ნიშნით (ზემოთ ვნახეთ, რომ ნოსელი შესაქმნის I თავის I და II მუხლებში მხოლოდ გონიერთა, ანუ უხილავთა, სფეროს დაბადებას ხედავს). შესაქმნის I თავის I მუხლის „ცა“ ყველაზე ადრე დაიბადა და მთელ შესაქმნეს მოიცავს, მთელი შექმნილი სამყაროა.

ნოსელის კოსმოგონიის ამოსავალი აზრი სწორედ ისაა, რომ შესაქმნის I მუხლში მოხსენიებული ცა მართლა ცა (ე. ი. სამყაროს ერთი ნაწილი) კი არ არის, არამედ მთლიანი შესაქმნის მომცველი „სოფელი“, რომელსაც „ცა“, როგორც იგი შემდეგ იტყვის, ეწოდა მხოლოდ წერილთა ჩვეულებისამებრ. სინამდვილეში ეს „ცა“ გონიერთა სამყაროს, ანუ პარადიგმატულ შესაქმნეს ნიშნავს, რომელიც პოტენციურად ხილულ სამყაროსაც შეიცავს.

როცა რუსთველი ქრისტიანულ კოსმოგონიას გადმოგვცემს, ვფიქრობთ, იგი „სამყაროს“, რომელშიც, ცხადია, შესაქმნის დასაბამს გულისხმობს („რომელმან შექმნა სამყარო“), ბიბლიურ „ცას“ უხამებს („დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ“), ბიბლიური „ცის“ აზრით ხმარობს, მაგრამ არა მატერიალური ცის. ვითარცა შესაქმნის ერთი ნაწილის აზრით, არამედ, ჩვენი ვარაუდით, იგებს ამ უკანასკნელს წინამორბედ ქრისტიან ალეგორისტთა მსგავსად და შესაქმნის პირველ მუხლში მოხსენიებულ ცას ყოველსიმომცველი უხილავი, მყისიერად დაბადებული, პარადიგმატული სფეროს სიმბოლოდ მოიაზრებს.

შესაქმნისეული ცის ამგვარი გაგება ჯერ კიდევ იუდაიზმში არსებობდა. ე. პეპინი შენიშნავს: „ძველ იუდაიზმსა და ქრისტიანობაში ხშირად ვხვდებით ისეთ განმარტებას, სადაც შეს. 1, I „ცა“ მიჩნეულია, ვითარცა არამატერიალური და გონიერი შესაქმნე“ (15, გვ. 390). თავისთავად ბიბლიური „სამყარო“ (შეს. 1, VI) ალეგორისტთა მიერ განიმარტებოდა, როგორც უხილავი ცის გასაგნებული სახე, მისი მატერიალური გამოვლინება.

„შესაქმნისეულ“ ცაში აბროსი მედიოლანელი *intelligibiles natura*-ს ხედავს; უფრო ადრე ფილონი მას *νοητὴ καὶ ἀσπαράξ*-ს უწოდებს, ხოლო მას-

ში არსებულ ძალებს **νοησιμ: φῦσις**-ს. ევსები კესარიელი — **διόματον καὶ νοσρον ὁμοίαν**; ავეუსტინე — **intellectualis natura, intellegibilis creatura** და სხვ. (იხ. 15, გვ. 390—391).

რუსთველი ქრისტიანული შესაქმის გადმოცემისას „სამყაროს“, ბიბლიური „ცის“ მნიშვნელობით ხმარობს, ამ უკანასკნელს კი, ვფიქრობთ, მოიაზრებს ალევგორიულად, ვითარცა ყოვლისმომცველ, უხილავ სამყაროს, საფიქრელია, რუსთველის წყარო ამ შემთხვევაში სწორედ ნოსელის „პასუხი“ იყოს. აქვე გავიხსენოთ, რომ, ნოსელის აზრით, კემმარიტი შესაქმე მხოლოდ ერთხელ განხორციელდა ღვთის მიერ წამში. მის შედეგს სწორედ შესაქმის I მუხლის ცა, ანუ მთლიანი სამყარო, ხილული ქვეყნის პარადიგმა წარმოადგენს. ყოველივე დანარჩენი წამიერად გასაგნდა (და არა „შეიქმნა“) ბუნებრივი კანონების მიხედვით.

სტროფში „შექმნა“ მხოლოდ „სამყაროს“ მიემართება. სხვა შემთხვევაში აღწერილია უხილავი, პოტენციური, პარადიგმატული სფეროს თანდათანობით, ანუ წამიერი, განხორციელება (და არა „შესაქმე“). ავტორი აღნიშნავს ჭერ „ზეგარდმო არსთა“ სულითყოფას, ანუ გაცხოველებას, განსულიერებას. ე. ხინთიბიძე მათში „ანგელოსთა სამყაროს“ ხედავს (6, გვ. 47). უნდა აღვნიშნოთ, რომ ანგელოსთა სამყარო შესაქმის დასახამია (= I ტაეპის „სამყაროს“) და მისი აკოლუთიურ შესაქმეში ჩართვა, ჩვენი აზრით, მიზანშეუწონელია. ვფიქრობთ, „ზეგარდმო არსნი“ („ზევიდან არსნი“, ანდა „ზედა არსნი“) გულისხმობს ციურ მნათობებს, რომლებიც, რუსთველის აზრით, სულიერია, გაცხოველებულია. „ზეგარდმო“ იმასაც ნიშნავს, რომ არსებობს კიდევ „ქვედა“ არსი. მესამე ტაეპში ვკითხულობთ: „ჩვენ კაცთა მოგვეცა ქვეყანა“. სწორედ „ქვეყანა“ ქვედა არსი. მეოთხე ტაეპში ადამიანის (და არა „ადამიანობის“ — *ἀνθρωπότης*, რომელიც უხილავთა შესაქმის დროს შეიქმნა) ხორციელად დაბადებას წარმოგვიჩენს, რომელიც წოდებულია „ხელმწიფედ“ („მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“). ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ხელმწიფე, ერთი მხრივ, ნამდვილ მეფეზე მიანიშნებს, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგადად, ადამიანზე, რომელსაც გრიგოლი თავის „კაცისა შესაქმეში“ სწორედ „მეფეს“, ხელმწიფეს უწოდებს („და ამისთვის შეიყვანა (ღმერთმან) კაცი სოფლად უკანასკნელ დაბადებულთა... რამთა იყოს მეფე დაბადებითგანვე მისით ... იყოს სახითა შემოქმედისაგან“ (4, გვ. 72—73).

პირველ სტროფთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, თუ რატომ იწყებს რუსთველი ხილული სამყაროს გამოჩენების აღწერას „ზეგარდმო არსნიდან“, მაშინ როცა ციური მნათობები ქვეყნის, ანუ მიწის, შექმნის შემდეგ არის წარმოდგენილი ბიბლიაში. ვფიქრობთ, აქაც წყარო ნოსელია, რომელიც სამყაროს სამ ნაწილად, სამ ცალ გაყოფისას აღნიშნავს: „**ვ ი წ ყ ო თ ზ ე მ ო ა თ გ ა ნ ვ ე და ვ ი ტ ყ ო დ ი თ და ბ ა დ ე ბ ა ს ა არ ს თ ა ს ა**, რამეთუ შემდგომად ზოგადისა მის და ერთობითისა ნათლისა... ურიცხვ ესე სიმრავლე ვარსკულავთაა განეფინა“ (256 v). ცხადია, ნოსელი გვერდს ვერ აუვლიდა „შესაქმის“ რიგს, მაგრამ ალევგორიული მეთოდის გამოყენებით და მყისიერი შესაქმის დაშვებით მან ეს პრობლემაც გადაჭრა: „და ესე იქმნა დღესა მეოთხესა (ბიბლიის მიხედვით მნათობები IV დღეს შეიქმნა. — ე. ქ.) და არათუ ნათელი მაშინ შეიქმნა, არამედ თუთება და საყურებდა ნათელთა ერთად შეკრებულისაგან სიმრავლედ მნათობთა განიყო, რომლისაგან გამოჩნდეს (და არა „შეიქმნეს“. — ე. ქ.) დიდნი იგი მნათობნი და უბრ-



წყინვალესნი სხუათანი, რომელ არს მზე და მთოვარე, რომელსა დასახელდა „წყებაჲ პირველსავე მას დაბადებასა ნათლისასა იქმნა“ (A—55, 256). ნათელი, როგორც ბიბლიაში ვკითხულობთ, ხილულთა შორის ყველაზე ადრე გამოჩნდა. შესაქმნის I თავის პირველი ორი მუხლი, გრიგოლის აზრით, სულიერი სამყაროს დაბადებაზე მოგვითხრობს, ხოლო მესამე ხილული ქვეყნის გამოჩენას წარმოგვიდგენს, რასაც სათავე სწორედ ნათელმა ანუ ცეცხლმა დაუდო.

როგორც ვხედავთ, რუსთველი ხილული სამყაროს წარმოშობის აღწერას ნოსელის მსგავსად „ზემოთგანვე იწყებს“.

აღნიშნული ასპექტით განვიხილოთ მეორე სტროფის ორი ტაქტი:

„ჲ, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა,  
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა“.

ადგილის სიმცირის გამო ჩვენ ამჯერად გვერდს ვუვლით პირველი ტაქტის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზს, მხოლოდ ზოგადად აღვნიშნავთ, რომ მ. გოგიბერიძის მიხედვით მასში გატარებული არისტოტელესული აზრი იმის შესახებ, რომ ღმერთმა საგნებს მხოლოდ ფორმა, ანუ სახე, მიანიჭა, თვით საგნები კი (ანუ მატერია) შეუქმნელია. როგორც შენიშნულია, პირველი სტროფის ყოვლისშემქმნელ (მათ შორის მატერიის შემქმნელ) ღმერთთან ეს აზრი შეუთავსებელია (6, გვ. 187—188). ი. ლოლაშვილი „სახეში“ ყოველგვარი ცხოველის პირველ გვამს ვითხულობს, ზ. გამსახურდიამ „სახეს“ არქეტებს უთანაბრებს და მასში ზეციური ადამის სხეულს ხედავს. ორივე აზრი, ვფიქრობთ, საფუძვლიანად უარყო ე. ხინთიბიძემ (6, გვ. 171—176). რაც შეეხება თვით ე. ხინთიბიძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ტანის სახე“, არისტოტელესგან გამომდინარე, „სულს“ გულისხმობს, ჩვენი აზრით ეს შეხედულება ბევრ წინააღმდეგობას აწყდება (ზოგ მათგანზე მიუთითა ზ. გამსახურდიამ).

უპირველესად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ, თუ რუსთველი პირველ სტროფში შესაქმნის ქრისტიანულ გააზრებას ემყარება, ასეთივე ვითარება უნდა გვექონდეს მეორე სტროფშიც (სხვა საკითხია, თვით ქრისტიანული გააზრება რა წყაროებით სარგებლობდა). ამასთან, ყურადღებას იმსახურებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ერთი ნიშანი: როცა რუსთველი რაიმე აზრს მთელი სტროფის მანძილზე გადმოგვცემს, იგი ხშირად აღნიშნული აზრის შეკვეცილ სახეს იმეორებს მომდევნო სტროფის დასაწყის ნაწილში. ამის კარგი ნიმუშია პოემის სახელგანთქმული სტროფი, რომელშიც მზე გამოცხადებულია „მზიანი ღამის“, „ერთარსება ერთის“, „უფამო უამის“ ხატად, მზე, რომელსაც მორჩილებენ ციერნი და რომელიც ადამიანის ბედს განაგებს ანუ ღვთიური ძალმოსილებითაა აღბეჭდილი. მომდევნო სტროფის პირველი ტაქტი შემოკლებით იმეორებს უკვე თქმულს: „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“. ამგვარი ნიუანსობრივად შეცვლილი გამეორება რუსთველის პოეტური მეტყველების არსებითი მომენტია.

ჩვენთვის საინტერესო ტაქტში წინა პირველი სტროფის მსგავსად „შექმნაზე“ საუბარი (შენ შექმენ). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქრისტიან ალეგორისტთა აზრით, რომელიც განსაკუთრებით ნოსელთან გამოიკვეთა, შესაქმნის მხოლოდ ერთხელ, წამიერად ჰქონდა ადგილი და მის შედეგს ხილული სამყაროს პარადიგმა, ანუ გონიერთა სფერო, წარმოადგენს. ყოველივე დანარჩენი მყისიერი, თესლის მავგარი შესაქმნის მატერიალიზაციას წარმოადგენს ღვთის





უშუალო ჩარევის გარეშე. ღმერთი უშუალოდ ქმნის მხოლოდ სახეს, პერსონაჟს მას. ჩვენი აზრით, რუსთველის ფრაზა „ჰე ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე“ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმ პარადიგმატულ სამყაროს, რომელიც პირველი სტროფის პირველ ტაეპში გვხვდება. შევადაროთ: რომელმან შექმნა სამყარო — ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე. ვფიქრობთ, რომ პირველი სტროფის „სამყარო“ და მეორე სტროფის „სახე“ იდენტური ცნებებია. „სამყაროში“. ვფიქრობთ, ხილული სამყაროს პარადიგმა, უხილავთა სფერო, ანუ წამში აღსრულებული მთლიანი შესაქმე, მოიაზრება. ამასვე უნდა გულისხმობდეს „სახეც“, ე. ი. იგი, ჩვენი აზრით, აღნიშნავს მთელი ხილული სამყაროს პროტოტიპს, სახეს, პარადიგმას, რომელიც უშუალოდ ღმერთმა შექმნა.

რაც შეეხება „ყოველ ტანს“, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ „სახე“ „სამყაროს“ ფარდია, „ყოველი ტანი“ უნდა იყოს პირველი სტროფის II—IV ტაეპებში აღწერილი ხილული შესაქმის ადეკვატური, ე. ი. მასში უნდა მოვიპოვოთ „ზეგარდმო არსნი“, „ქვეყანა“ და „ადამიანი“ (ნორციელი).

ე. ხინთიბიძის აზრით, რუსთველის ტანი ნიშნავს ცოცხალ სხეულს, ბერძნულ **τὸ σῶμα**-ს და არა მატერიას, ნივთს (მღე ἦ) (7, გვ. 178).

ცხადია, ტანი ანუ გვამი, როგორც ე. ხინთიბიძე აღნიშნავს, სწორედ **τὸ σῶμα**-ს შეეფარდება და არა ἦ **მღე**-ს, მაგრამ საინტერესოა, თვით **τὸ σῶμα** რა მნიშვნელობას შეიცავს.

ცნობილია, რომ უკვე არისტოტელეს დროს ბანალურად იყო ქცეული აზრი სამყაროს ვითარცა „ცხოველი არსების“ (**τὸ ζῶον**) შესახებ, რომელსაც თავისი ტანი თუ გვამი (**τὸ σῶμα**) აქვს. ეს აზრი ანტიკური ფილოსოფიის ყველა მონაკვეთში იჩენს თავს. სტოიკოსები სამყაროს „ორგანიზმს“ უწოდებდნენ (16, გვ. 76). პლოტინის აზრით, სამყარო ისე ცურავს სულში, როგორც ბადე ზღვაში (7, გვ. 220).

კარგადაა ცნობილი ისიც, რომ ანტიკურ მოაზროვნეთა აზრით ყოველ პლანეტას საკუთარი ტანი აქვს, საკუთარი სხეული. ხილული შესაქმე უხილავის ტანით შემოსევა და სხვა არაფერი.

რუსთველის „ყოველი ტანი“ ხილულ სამყაროში არსებულ ცოცხალ სხეულთა სიმრავლეს ცხადყოფს, რომლებიც, კერძოდ, პირველ სტროფშია ჩამოთვლილი: „ზეგარდმო არსნი“ (-ციუტრნი მნათობები), ქვეყანა (-დედამიწა) და ადამიანი.

ამგვარად, ვფიქრობთ, რუსთველის ტაეპი ასე გაიაზრება: ღმერთმა შექმნა ყოველი სხეულის პარადიგმა, სახე, არქეტიპი, რომელსაც სიმბოლურად შესაქმისეული „ცა“ განასახიერებს და რომელსაც რუსთველი პირველ სტროფში „სამყაროს“ უწოდებს. შევადაროთ: სახე — სამყარო; ყოველი ტანი — ზეგარდმო არსნი, ქვეყანა, ადამიანი.

როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, ნოსელისათვის ღმერთი მხოლოდ „სახის“ შემქმნელია, ტანი კი იქმნება სახისგან ბუნებრივი კანონზომიერებებით ღვთის უშუალო ჩარევის გარეშე. ქრისტიან ეგზეგეტთა აზრით, „ყოველი ტანის“, ანუ ხილული სამყაროს, დაფარული მიზეზი არის სატანა. აი, რას წერს ორიგენე: „დასაბამად ყველა გონიერი არსი (**νῆες**) წმიდა იყო: დემონებიც, სულებიც, ანგელოზებიც. ისინი ემსახურებოდნენ ღმერთს და აღასრულებდნენ მის მცნებებს. ემპაკმა, რომელიც იყო ერთ-ერთი მათგანი, თავისუფალი არჩევანის გამო მოისურვა ღმერთთან დაპირისპირება და ღმერთმა უარყო იგი. ყველა სხვა ძალი დაეცა მასთან ერთად და ერთნი, რომლებსაც დიდი ცოდვა მიუ-



ეროვნული

ბიბლიოთეკა

ძლოდათ, დემონებად იქცნენ, უფრო ნაკლებ ცოდვილნი — ანგელოზებად, კიდევ უფრო ნაკლებნი — მთავარანგელოზებად და ამგვარად, ყველამ საკუთარი შეცდომის შესაბამისი წილი მიიღო. დარჩა სულელები, რომლებსაც იმდენი ცოდვა არ ჰქონდათ, რომ დემონებად ქცეულიყვნენ, არც იმდენად წმიდა იყვნენ, რომ ანგელოზები გამხდარიყვნენ. ღმერთმა ამიტომ შექმნა ეს ქვეყანა და შეაერთა სული სხეულთან დასჯის მიზნით...“ . უ. დანიელუს შეფასებით, ორიგენე ფიქრობს, რომ თავდაპირველი არსებობა მთლიანად სულიერი უნდა ყოფილიყო. დაცემის გამო ყველამ შეიმოსა ხორცი ანუ მიიღო ტანი („Par la chute tous revêtent des corps“; 11, გვ. 215).

ცნობილ თხზულებაში „De Principiis“ ორიგენე ნათლად ამბობს, რომ „ყოველი გონიერი ქმნილება, უხორცო და უხილავე, დაუდევრობის გამო ეცემა თანდათან დაბალ ხარისხებამდე და იმ ადგილთა ბუნების თანახმად, სანამდეც დასცა, გონიერი ქმნილება იღებს ტანს: მაგალითად, თავდაპირველად ეთერულ სხეულს, შემდეგ ჰაეროვანს, შემდეგ, მიწასთან მიახლოებისას, იმოსება უფრო უხეში ტანით, ხოლო, საბოლოოდ, უკავშირდება ადამიანურ ხორცს“ (11, გვ. 216).

მართალია, შემდეგში არ გაიზიარეს ორიგენეს წმიდა სულიერება და ანგელოზთა შორის ცოდვის არსებობა, მაგრამ ერთი რამ საყოველთაოდ იქნა აღიარებული: ზილული სამყაროს შექმნა, ანუ ტანის შემოსვა (პლანეტების ტანი, მიწისა, ადამიანისა), გამოწვეულია მხოლოდ სატანის არსებობით, მის მიერ ადამიანის შეცდენით. ზილული სამყაროს შექმნის ფარული მიზეზი ცოდვაა, რომელიც სატანიდან მომდინარეობს.

ღმერთი ნივთიერი არსებობის მინიჭებით ადამიანს საშუალებას აძლევს თანდათანობით განწმენდით გამოისყიდოს ცოდვა და დაუბრუნდეს დაკარგულ სიმაღლეს, აღიდგინოს თავის თავში ღვთის ზატი.

რუსთველის ფრაზაში „სახე ყოვლისა ტანისა“ („სახე“ ერთია, „ტანი“ კი მრავალი), ვფიქრობთ, „სახე“ არის ღმერთის მიერ შექმნილი სულიერი სამყარო, რომლისთვისაც უცხო იყო ტანებად დაყოფა. „ტანის“ შექმნელი, როგორც ვთქვით, ფარულად არის არა ზეციური სამყარო, არამედ სატანა, რომელმაც დაცემისას დასაბამი მისცა „ტანით“ შემოსვას. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ ითხოვს რუსთველი სატანის დაძლევის (II სტროფის II ტაეპი), რაც თავის მხრივ „ყოველი ტანის“ დაძლევის, მათ გავლას (ქვეყანა — ზეგარდმო არსნი) და სულიერ სამყაროში შესვლას გულისხმობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ შესაქმნის რუსთველური აღწერის ერთ-ერთი სავარაუდო წყარო, საფიქრელია, ყოფილიყო გრიგოლ ნოსელის ჰექსემერონული კომენტარები, რომლებსაც ძველ ქართულ მწერლობაში შესამჩნევი კვალი დაუტოვებიათ.

#### დამოწმებული ლიტერატურა

1. ბასილ დიდი, ექუსთა დღეობა, ტექსტი გამოსცა და გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბ., 1947.
2. კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1956.
3. კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XI, თბ., 1973.
4. შატერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ვლ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.

5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1967.
6. ხინთიბიძე ე., მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, თბ., 1975.
7. Armstrong A. H., Plotinus, შიგნიდან: The Cambridge History of Later Greek and early Medieval Philosophy, Cambridge, 1967.
8. Bournakas A., Das Problem der Materie in der Schöpfungsllehre des Gregor von Nyssa, Freiburg, 1972.
9. Callahan J. F., Greek Philosophy and the Cappadocian Cosmology, Dumbarton Oaks Papers, 12, 1958.
10. Cherniss H. F., The Platonism of Gregory of Nyssa, Berkeley, 1930.
11. Danjélou J., Origène, Paris, 1948.
12. Gaith J., La Conception de la Liberté chez Grégoire de Nyse, Paris, 1953.
13. Gilson E., History of Christian Philosophy in the Middle Ages, London, 1955.
14. Ladner G. B., The Philosophical Anthropology of Saint Gregory of Nyssa, Dumbarton Oaks Papers, 12, 1958.
15. Pépin J., Théologie Cosmique et Théologie Chretienne, Paris, 1964.
16. Pohlenz M. Die Stoa, Göttingen, 1959.
17. Sheldon — Williams I. P., The Greek Christian Platonist tradition from the Cappadocians to Maximus and Eriugena, შიგნიდან The Cambridge History of Later Greek and Early Medieval Philosophy, Cambridge, 1967.
18. Zemp P., Die Grundlagen heilsgeschichtlichen Denkens bei Gregor von Nyssa, München, 1970.

Э. Г. ЧЕЛИДЗЕ

ОТГОЛОСКИ СОЧИНЕНИЯ ГРИГОРИЯ НИССКОГО  
«ОТВЕТ ШЕСТИ ДНЕЙ» В ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ  
ЛИТЕРАТУРЕ

Резюме

Указанное сочинение Григория Нисского, переведенное на грузинский язык в 50-х годах XI в. Георгием Мтацминдели, представляет собой толкование первых стихов «творения». Это экзегетическое произведение оказало большое влияние на древнегрузинскую литературу. Георгий Мцире два раза привлекал цитаты из данного памятника. Интересные сведения сообщает о нем Арсен Икалтоели (Арсен, собственно, сообщает, что на Артануджском церковном собрании монах Евфимий Длинный отлучил данное произведение от церкви). Две лексические единицы из данного произведения представил Сулхан-Саба Орбелиани в своем толковом словаре грузинского языка с указаниями на соответствующий источник. На наш взгляд, экзегеза Нисского отражена в 102-ой строфе произведения Чахрухадзе «Тамариани», где библейские «небесные воды», наподобие Нисского, признаются символом, олицетворяющим небесные, духовные силы. По нашему мнению, ниссианская интерпретация библейского сотворения прослеживается и в I—II строфах пролога «Витязь в тигровой шкуре», описывающих картину сотворения мира.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ჰელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა ე. ჰელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

5. მა ც ე ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 4



## გიორგი სიხარულიძე

## ზღაპრის შესწავლა საბჭოთა საქართველოში (1921—1941 წწ.)

ზღაპრული ეპოსის მეცნიერული შესწავლისათვის პოხიერი ნიადაგის მომზადება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა შესაძლებელი (პ. უმიკაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი), თუმცა პირველი წარმატებული ცდა ამ მიმართებით უფრო ადრეც გვხვდება, „როცა ამ ქანრის ლიტერატურულ გადამუშავებას მიჰყვეს ხელი“<sup>1</sup>.

გასული ასწლეულის უკანასკნელ მეოთხედსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოცემულმა ზეპირსიტყვიერების კრებულებმა ახალი იმპულსი მისცა ქართული ფოლკლორისტული აზრის განვითარებას. ამ მხრივ ზღაპრული ეპოსის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლ. აღნაშვილის<sup>2</sup>, თ. რაზიკაშვილის<sup>3</sup>, ე. თაყაიშვილის<sup>4</sup> მოღვაწეობას. მათ გვერდით ბეჭითად იღვწოდა ხალხური შემოქმედების არაერთი ენთუზიასტი-შემკრებიც, მაგრამ რევოლუციამდე ქართული ზღაპრების შეკრებისა და მეცნიერული კვლევის გეგმაზომიერად წარმართვა, მოპოვებულ მასალათა გამოცემა ძნელი იყო; ამ უმნიშვნელოვანეს წანამძღვართა გარეშე კი მკვლევრებს სერიოზული წარმატების იმედი არც უნდა ჰქონოდათ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ხალხური შემოქმედების მეცნიერულ კვლევასაც. გამოჩენილ ქართველ ფოლკლორისტთა უფროსი თაობა (ს. გორგაძე, ვ. ბარნოვი, თ. ბეგიაშვილი, ა. შანიძე, ვ. კოტეტიშვილი) ენერგიულად შეუდგა ქართული ხალხური შემოქმედების შემსწავლელი დისციპლინის საფუძვლის ჩაყრას. მაგრამ იმავეთვე ნათელი იყო, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადასაწყვეტად ერთი თაობის ძალისხმევა არ იკმარებდა. ყოველ შემთხვევაში, ამის უტყუარი დასტურია ქართული საბჭოური ფოლკლორისტული აზრის განვითარების მთელი ომამდელი ისტორია, განსაკუთრებით, ოცდაათიანი წლების შუახანები, როცა საბჭოთა ეპოქაში აღზრდილი ახალგაზრდა ფოლკლორისტები (მ. ჩიქოვანი, ქ. სიხარულიძე და სხვ.) წინამორბედთა ტრადიციების გათავისებობით, მეცნიერული კვლევის თვისებრივად ახალ — მარქსისტულ აღმართს შეუდგნენ.

ფოლკლორისტიკის საკვანძო საკითხებზე თაობათა შეხმიანების თავისებურ სურათს იძლევა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შესანიშნავი ქანრის — ზღაპრის შესწავლა საქართველოში გასაბჭოების შემდეგ (1921—1941 წწ.).

<sup>1</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, კომენტარებითა და ლექსიკონით, თბილისი, 1938, გვ. XXXII.

<sup>2</sup> ხალხური ზღაპრები, შემკრები ლ. აღნაშვილი, თბილისი, 1891.

<sup>3</sup> ხალხური ზღაპრები, 1—2 ტ., შემკრები თ. რაზიკაშვილი, თბილისი, 1909.

<sup>4</sup> ძველი საქართველო, 1—2, 4 ტ., რედაქტორი ე. თაყაიშვილი, თბილისი, 1909—15.

საკუთრივ ტერმინი „ზღაპარი“ ჯერ კიდევ ძველ ქართულ სალიტერატურო ძეგლებში გვხვდება. ამდენად, „ეს ფოლკლორული ქანრი საქართველოში აღრიდანვე“ უნდა ყოფილიყო ცნობილი<sup>6</sup>. გვიან, XIX საუკუნეში „ზღაპარს“ ენაცვლებოდა „არაკი“, რომელიც მ. ჩიქოვანმა „იგავის“ სინონიმად<sup>7</sup> ჩათვალა და შენიშნა, რომ ეს ორი ბოლო ტერმინიც გვხვდება IX—XI სს. ქართულ მწერლობაში<sup>8</sup>.

სწორედ ამგვარად — ცნებათა თუნდაც ზოგიერთი ასპექტის წარმოჩენით — უნდა დაწყებულიყო ზღაპრის შესწავლა, როგორც მოითხოვს მეცნიერული აზრის განვითარების შინაგანი ლოგიკა, მაგრამ ოციანი წლების პირველი ნახევარი საამისო საშუალებას არ იძლეოდა, ამიტომაც თ. ბეგიაშვილს არც მიმოუხილავს ტერმინთა ისტორიულ-ფილოლოგიური თავისებურებანი, მათი ურთიერთმიმართება. იგი მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის რაობით დაინტერესდა და არაკი ღირსშესანიშნავ მოვლენათა გაიდვალეზულ გადმოცემად მიიჩნია (თან მასში მითოლოგიურ შეხედულებათა კვალის მოძიებას დაეშურა)<sup>9</sup>. არაკის კონტურის გამოკვეთა მეტ კონკრეტულობას საჭიროებდა, რაც ქართულ ფოლკლორისტიკას საშუალებას მისცემდა მკვეთრად გაემიჯნა იგი ზეპირსიტყვიერების სხვა ქანრებისაგან.

საფიქრებელია, „არაკი“ იმ ოდინდელ ხალხურ მოთხრობათა აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი (ან მისი გვიანდელი ნაცვალი) იყოს, რომლებიც შემდგომ ზღაპრებად „შემკვერდა“. იგავის სათავეც მსგავს ქმნილებებშია საძიებელი, თუ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ საზოგადოების განვითარების რომელიმე ეტაპზე (უდავოდ, პირველყოფილ ეპოქაში) უძველესი საყოფიერო მოთხრობები ალევგორიული სიმბოლიკით იტვირთება და ადამიანთა გარკვეული ერთობის (გვარის, ტომის, ხალხის, ერის) ზნეობრივი ტრადიციის აკუმულაცია-ტრანსმისიას ემსახურება.

ქართული ზღაპრული ეპოსის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი კლასიფიკაციის საკითხის გადაწყვეტას. ამ პრობლემას პირველად საბჭოთა პერიოდში თ. ბეგიაშვილი შეეხო (1925 წ.) და ზღაპრები სამ ჯგუფად დაყო: 1. მითურ-ჯადოსნურ (სასწაულებრივ) ზღაპრებად; 2. ზნეობრივ (საყოფაქციო) და 3. ცხოველთა (პირუტყვთა) ეპოსად<sup>10</sup>. მოგვიანებით (1938 წ.) მ. ჩიქოვანმა მართებულად შენიშნა, რომ ამგვარი კლასიფიკაცია ჯერ კიდევ ა. ხახანაშვილთან გვხვდება, რომელიც, თავის მხრივ, გასული ასწლეულის ოთხმოცდაათიანი წლების ფოლკლორისტთა შეხედულებას იზიარებდა<sup>11</sup>. ამრიგად, თ. ბეგიაშვილმა რატომღაც გვერდი აუარა ა. აარნეს სისტემას, რაც იმ ხანებში ხალხური შემოქმედების მკვლევართა გაცხოველებული მსჯელობის საგანი იყო.

როგორც ცნობილია, ა. აარნემაც ზღაპრების სამი ჯგუფი ჩამოაყალიბა: 1. ცხოველთა ეპოსი, 2. საკუთრივ ზღაპრები, 3. ანეგდოტები. რა თქმა უნდა,

<sup>6</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. XIII.

<sup>7</sup> შტრ. არაკი სომხურად იგავის ჰქვიან“. ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV<sub>1</sub>, ლექსიონი ქართული, თბილისი, 1965, გვ. 64.

<sup>8</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. XV.

<sup>9</sup> თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, წ. 1, თბილისი, 1925, გვ. 112.

<sup>10</sup> თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, წ. 1, გვ. 114.

<sup>11</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. XLIV.

უნაკლო არც ეს დაყოფა გახლდათ<sup>11</sup>, მაგრამ ფინელი მეცნიერის კლასიფიკაცია უდავოდ ანგარიშგასაწევი იყო, რაც თავის დროზე კარგად გაითვალისწინა საბჭოთა მკვლევარმა ნ. ანდრეევმა და მნიშვნელოვნად სრულყო აარნესული სისტემა.

აღნიშნული საკითხი ჩვენში საფუძვლიანად მიმოიხილა მ. ჩიქოვანმა, რომელმაც სწორედ კლასიფიკაცია მიიჩნია ქართული ზღაპართმცოდნეობის ცენტრალურ პრობლემად. აქვე მეცნიერმა ღირსებისამებრ მიუხლო ა. აარნეს დამსახურებას<sup>12</sup>, მაგრამ ქართული ეპოსის თავისებურებათა გათვალისწინებით, სავსებით მართებულად, ახალი კლასიფიკაცია შეიმუშავა.

მ. ჩიქოვანმა ზღაპრები ექვს ჯგუფად დაყო: 1. ცხოველთა ეპოსი; 2. ჯადოსნური (მისნური) ზღაპრები; 3. ნოველისტური (საყოფიერო) ზღაპრები; 4. საგმირო ეპოსი; 5. ლეგენდები და 6. ანეგდოტები. მართალია, ავტორს არც ეს კლასიფიკაცია მიაჩნდა სრულყოფილად<sup>13</sup>, მაგრამ ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიის თვალსაზრისით მისეული დაყოფა, უდავოდ, ყველა წინამორბედზე სრულყოფილია და დღემდე სანიმუშოა ქართველ ზღაპართმცოდნეთათვის.

სწორედ აღნიშნულ კლასიფიკაციათა დარად ხდებოდა ზღაპრული ეპოსის თითოეული ჯგუფის სპეციფიკურ ნიშანთა დადგენა ომამდელ პერიოდში.

1921 წელს ს. გორგაძემ ასე გააღვივა ინტერესი ცხოველთა ეპოსის მიმართ: „ვის არ ახსოვს ბავშვობისას გავონილი არაკები: „კატა და მამალი“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „გერიტი“, „მელია და მწყერჩიკა“ და... სხვანი, სადაც მოქმედ პირებად ცხოველები და ფრინველებია გამოყვანილი, რომელთაც მიეწერება ადამიანისებური გრძნობა, აზროვნება და მოქმედება, ხალხის ამგვარ ნაწარმოებთ ეწოდება ცხოველთა ეპოსი“<sup>14</sup>. ამრიგად — საკმაოდ რიგინად განისაზღვრა ზღაპრის ერთ-ერთი სახეობის რაობა.

გავიდა რამდენიმე წელი და პირველად ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში დაისვა ცხოველთა ეპოსის გენეზისის საკითხი. ამ პრობლემით თ. ბეგიაშვილი დაინტერესდა<sup>15</sup> და იგი „უძველეს დროს“<sup>16</sup> (როცა ადამიანი მეჯოგეობას მისდევდა) დაუკავშირა.

<sup>11</sup> ასე მაგალითად, ზღაპართა მეორე ჯგუფი — საკეთრიე ზღაპრებისა (ჯადოსნური, ზღაპარ-ლეგენდები, ზღაპარ-ნოველები, ზღაპრები ბრიყვი ეშმაკის შესახებ) მეტად გადაიტვირთა.

<sup>12</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. XLIII.

<sup>13</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. XLIV.

<sup>14</sup> ს. გორგაძე, ჩვენი ხალხური პოეზია პარალელებით ახალი ქართული მწერლობიდან, ქუთაისი, 1921, გვ. 114.

<sup>15</sup> ცხოველთა ეპოსის წარმოქმნაში თ. ბეგიაშვილი სავსებით მართებულად აკუთვნებდა მნიშვნელოვან როლს ცხოველთა გაღმერთებას და მიუთითებდა ამ მოვლენის კვალზე ქართულ ზღაპრებში. მოგვიანებით ეპოთოსალამ შეცვალა ადამიანის პოზიცია, რამაც განაპირობა ცხოველთა ეპოსის „სახუმარო“ ამბად ქცევა. ამასთან, ადამიანსა და პირტუყვს შორის ზოგიერთ მსგავსებაზე ყურადღების გამახვილებამ ცხოველთა ეპოსის ზნეობრივი ელფერი შესძინა. იხ. თ. ბეგიაშვილი, დსახ. ნაშრომ., გვ. 127.

<sup>16</sup> შტრ. ფრ. ენგელსი წერდა: «Уже с того весьма отдаленного времени, когда люди.. пришли к тому представлению, что их мышление и ощущения не есть деятельность их тела, аособой души, обитающей при его смерти.—уже с того времени они должны были задумываться об отношении этой души к внешнему миру» (ზახი ჩვენია — გ. ს.). იხ. Ф. Энгельс, Л. Фейербах и конец немецкой классической философии; К. Маркс и Ф. Энгельс, Избр. произв., т. 1, Москва, 1935, გვ. 333—334.

უფრო ვრცლად შეეხო ამ საკითხს მ. ჩიქოვანი. მეცნიერის შეხედულებით, ბუნებისგან თავდაღწეულმა ადამიანმა საკუთარი კულტურული სამყარო („მეორე გარემო“) შეიქმნა. გარდაქმნა ბუნება და თავადაც გარდაიქმნა. სწორედ ეს პროცესია ასახული ზღაპრულ ეპოსში (საზოგადოდ ფოლკლორში). განიდაგებულმა შრომამ თანდათან გამოავლინა და გამოარჩია უნარიანი ადამიანები; „მათი სიტყვა და საქმე“ ხალხური შემოქმედების ცენტრალურ თემად იქცა. დროთა ვითარებაში ხალხის რჩეულთა შესახებ შეთხზული თქმულებები მხატვრულად დაიხვეწა და „ზეპირი მოთხრობების სახით ფართოდ გავრცელდა“<sup>17</sup>.

მ. ჩიქოვანი ზღაპრის წარმოშობას მაღალგანვითარებული ფოლკლორის ეპოქას, კერძოდ, წინა კლასობრივ ხანას უკავშირებდა<sup>18</sup> (ეს მოსაზრება შემდეგ თ. ბეგიაშვილმაც გაიზიარა<sup>19</sup>). მ. ჩიქოვანის მართებული შეხედულებით, ზღაპარი ახალი საფეხურია ფოლკლორის განვითარებაში. თუ მითის მიხედვით, „ადამიანი გარემოს მონაა“, ზღაპარში უკვე „ადამიანი ბატონობს გარემო სინამდვილეზე. ეს არის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარე ზღაპრისა, როგორც ფოლკლორული შემოქმედების ახალი საფეხურისა“<sup>20</sup>.

ზღაპრული ეპოსის შესწავლას დაუკავშირეს ქართველმა ფოლკლორისტებმა მონათესავე სიუჟეტთა საკითხის მიმოხილვაც. თ. ბეგიაშვილმა ყურადღება მიაქცია სხვადასხვა მოდემის ხალხების ცხოველთა ეპოსში მსგავსი სიუჟეტების არსებობას (რაზეც ჭერ კიდევ XIX საუკუნეში მსჯელობდნენ ძმები გრიშები და მათი მიმდევრები) და გამოთქვა ვარაუდი, რომ ზღაპრები ცხოველთა შესახებ უნდა შექმნილიყო „იმ დროს, როდესაც სხვადასხვა ერები დაახლოებულად ცხოვრობდნენ“<sup>21</sup>. აქაა, მკვლევრის რწმენით, მსგავსი მოტივების არსებობის მიზეზი. თ. ბეგიაშვილს აღარ დაუზუსტებია „სხვადასხვა ერთა დაახლოებულად ცხოვრების“ დრო, მით უფრო, რომ 1. „ერა“ გაცილებით გვიანდელი წარმონაქმნია და 2. ერთა გლობალურ კონტაქტებს მხოლოდ ჩვენი ეპოქა თუ ახორციელებს. ამასთან, მონათესავე სიუჟეტები ერთმანეთისაგან შეტად დაშორებულ („მოწყვეტილ“ — ვ. კოტეტიშვილი) ხალხთა ფოლკლორშიც გვხვდება<sup>22</sup>. ცხადია, ამ მოვლენის ახსნა მარტოოდენ ერთა პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთგავლენით შეუძლებელია. როგორც მიუთითებდა მ. ჩიქოვანი, სათავე მსგავსი სიუჟეტებისა (რაც ყოველ ეროვნულ ეპოსში საერთაშორისო<sup>23</sup> ფონდის გამორჩევის საშუალებას იძლევა) ერთა განვითარების ერთგვარსაფეხურია. ამასთან, მეორე მხრივ, თითოეული ერის ზეპირსიტყვიერებაში მოიპოვება „სხვაგან არარსებული“ სიუჟეტები და მოტივები, რაც, უდავოდ, განპირობებულია ყოველი ერის ისტორიული განვითარების თავისებურებებით<sup>24</sup>.

<sup>17</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. VII.

<sup>18</sup> იქვე, გვ. VII.

<sup>19</sup> თ. ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1941, გვ. 13.

<sup>20</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. LXVII.

<sup>21</sup> თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, წ. I, გვ. 127.

<sup>22</sup> ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, II წიგნი, თბილისი, 1965, გვ. 338.

<sup>23</sup> ზღაპარი საერთაშორისო მოვლენად გამოცხადდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ, როგორც აღნიშნავდა ვ. კოტეტიშვილი, „მთელს მსოფლიოში ზღაპართა ტიპოლოგიამ რაღაც 50-მდე ფაბულარული სქემა მოგვცა, რაც საფუძვლად უდევს... მთარულ ზღაპართა ურიცხვ რაოდენობას“. იქვე, გვ. 338.

<sup>24</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. LIV—LV.



1925 წელს თ. ბეგიაშვილმა განაცხადა: ცხოველთა ეპოსს მრავალფეროვნებით ადგილი უკავია<sup>25</sup>. ეს მოსაზრება ქართულ საბჭოთა ზღაპართმცოდნეობას შეუშოვნებლად არ მიუღია. ოცდაათიანი წლების მიწურულს მ. ჩიქოვანმა სამართლიანად უარყო თ. ბეგიაშვილის შეხედულება და ხაზგასმით აღნიშნა: „ცხოველთა ზღაპრები ქართულ ეპოსში შედარებით უმნიშვნელო ადგილს იჭერს“<sup>26</sup>.

ომამდელ ქართველ ფოლკლორისტთაგან მხოლოდ თ. ბეგიაშვილმა სცადა ზნეობრივი ზღაპრის<sup>27</sup> დახასიათება და მის საფუძვლად (ცხოველთა ეპოსის დარად) მითოლოგიური ზღაპრები მიიჩნია<sup>28</sup>, რითაც გაიზიარა მითოლოგთა სკოლის შეხედულება აღნიშნულ საკითხზე<sup>29</sup>. თ. ბეგიაშვილის მიხედვით, თავდაპირველად ზღაპარს ხელოვნურად მიატმანსინდნენ ხოლმე რაიმე ზნეობრივ სენტენციას, მაგრამ შემდეგ ზღაპრის შეკვეცამ და მისი შინაარსის „ერთგვარმა“ ალეგორიულობამ ხელი შეუწყო უწინდელი „არაკის“ (ამბის. — გ. ს.) დიდაქტიკურ („იდეალური ხასიათის“) იგავ-არაკად გადაქცევას, სადაც „ცხოველთა სახით“ ადამიანების ზნეჩვეულებანი, ადათებია გადმოცემული<sup>30</sup>.

ზნეობრივი ეპოსის ევოლუციის კვალად, ადამიანის დახასიათებას მისი ქცევის შეფასება მოჰყვა. თ. ბეგიაშვილის რწმენით, აქა ზღაპარში უმცროსი ძმის, გერის, საზოგადოდ, დაბეჩავებული პერსონაჟების იდეალურ სახეთა წარმოშობის სათავე<sup>31</sup>. უფრო გვიან აღნიშნულ მოვლენას კლასობრივი თვალსაზრისით განიხილავდა მ. ჩიქოვანი და მასში, საცხებით სწორად, „სოციალური დიფერენციაციის ანარეკლს“ ხედავდა<sup>31</sup>. მეცნიერის ეს მოსაზრება რამდენადმე შემზადებული იყო ვ. კოტეტიშვილის დაკვირვებით ზღაპარში რეალურისა და ფანტასტიკურის ურთიერთობის თაობაზე. რა თქმა უნდა, ზღაპრის ძირითადი საყრდენი რეალობაა<sup>32</sup>, რომელიც დროთა ვითარებაში ფანტასტიკურ სამოსელში გაეხვია. მაგრამ რა თანაფარდობაა ზღაპარში რეალურისა და „მოგონებულ ტყუილს“ (საბა) შორის? ამ კითხვაზე დამაჯერებლად გასცა პასუხი ვ. კოტეტიშვილმა. „ფანტასტიკა იქ იწყება, — მიუთითებდა მეცნიერი, — სადაც რეალები ჰკარგავენ პირდაპირ ფუნქციას და... ან გადატანითი მნიშვნელობა ეძლევათ, ან შეტოლებითი, ანდა განყენების გზით იქმნება მსგავსი ნიშნების კომპლექსი, რომელსაც სინამდვილეში პირდაპირი შესატყვისი აღარ აქვს“<sup>33</sup>.

<sup>25</sup> თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, წ. I, გვ. 126.

<sup>26</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. XLV.

<sup>27</sup> მკვლევარი ზნეობრივ ეპოსს ხალხის „პრაქტიკულ მორალურ ფილოსოფიად“ თვლიდა. თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, წ. I, გვ. 125.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 120.

<sup>29</sup> ეს მოსაზრება ევროპის ბურჟუაზიული ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის დღესაც დიდაქტიკურია. იხ. Дж. Кокхьяра. История фольклористики в Европе, Москва, 1960, გვ. 249. ჩვენში კი — ჯერ კიდევ 1938 წელს მ. ჩიქოვანი ხაზგასმით მიუთითებდა: „ზღაპარი ძველი მითების დანალექი არ არის, როგორც მას მითოლოგიური სკოლის მამამთავარი გრ იმიწარმოადგენდა. „ქართული ხალხური ზღაპრები“, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. VIII.

<sup>30</sup> თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, წ. I, გვ. 127.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 113.

<sup>32</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. XI.

<sup>33</sup> შდრ. ვ. ლენინი წერდა: „უოველ ზღაპარში არის სინამდვილის ელემენტები... თხზ., მე-4 გამოცემა, ტ. 27, გვ. 107.

<sup>33</sup> ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, წ. II, გვ. 3.



20—30-იან წლებში ქართველმა ფოლკლორისტიკმა სცადეს ზღაპრის ფუნქციის გარკვევა. 1925 წელს გამოთქმული მოსაზრებით, თ. ბეგიაშვილმა ზღაპრის დანიშნულებად მსმენელთა გართობა<sup>34</sup> (ზნეობრივ დარიგებასთან ერთად) მიიჩნია<sup>35</sup>. ჩანს, მკვლევარი ზღაპრული ეპოსის გვიანდელ ფუნქციას გულისხმობდა, თორემ ისტორიულად, როგორც მიუთითებდა ქ. სიხარულიძე, ზღაპრის „პრაქტიკული დანიშნულება საგრძნობია თითქმის ყოველ მის დეტალში“<sup>36</sup>.

ომამდელი ქართული საბჭოთა ფოლკლორისტიკის დამსახურებაა ზღაპრის მთქმელის წარმოჩენაც. მ. ჩიქოვანმა კარგად შენიშნა, მეზღაპრის შემოქმედებითი აქტიურობა თქმის პროცესში. მისი დაკვირვებით, მეზღაპრე ხშირად რთავს ცნობილ სიტუეტში ახალ ყოფით თუ სათავედასაველო მომენტებს, ცვლის მოქმედების მდინარებას, თხრობის მანერას, პოეტური თქმებით ამდიდრებს ზეპირსიტყვიერების ნიმუშს, ხანაც მთქმელი ერთი ზღაპრის ორ — მოკლე და ვრცელ ვარიანტსაც იძლევა. დახელოვნებული სიტყვის ოსტატები ხშირად ეჯიბრებიან ერთმანეთს. „შეჯიბრი ზოგჯერ მეტად სერიოზულ სახეს იღებს და საჩუქრად ერკემალიც გამოიყოფა“<sup>37</sup>.

1938 წელს გამოცემულ „ქართულ ხალხურ ზღაპრებში“ მ. ჩიქოვანმა საფუძვლიანად მიმოიხილა ზღაპრული (უპირატესად, ცხოველთა) ეპოსის კომპოზიციის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მკვლევარმა მიუთითა ცხოველთა ზღაპრების კომპოზიციურ სიმარტივეზე ჯადოსნურ ეპოსთან შედარებით, რაც უმთავრესად გამოწვეულია ცხოველთა ზღაპრებში ეპიზოდებისა და პერსონაჟების სიმცირით, გამომსახველ საშუალებათა მინიმუმამდე დაყვანით<sup>38</sup>.

ცხოველთა ეპოსის ძირითადი კომპოზიციური მომენტი, მ. ჩიქოვანის შეხედულებით, გმირთა და ძმობილებით გაშინაარსებული ცხოველთა შეხვედრაა<sup>39</sup>. დამოზილება ოთხ-ხუთ პერსონაჟზე მეტს შორის არასოდეს ხდება. ამასთან, შეხვედრა ყოველთვის როდი მთავრდება დამძობილებით. ამის მიხედვით, მეცნიერმა შეხვედრის ორი სახე გაარჩია — უარყოფითი და დადებითი<sup>40</sup>.

ზღაპრის კომპოზიციის თავისებურება ვლინდება ტიპურ განმეორებებს<sup>41</sup> და ფორმულებშიც. ამ მნიშვნელოვან ელემენტებთანაა დაკავშირებული ცხოველთა ზღაპრებში, ერთი მხრივ, შეხვედრა და დიალოგი, ხოლო, მეორე მხრივ, — თხოვნა და მიმართვის მი-

<sup>34</sup> ორი ათეული წლის შემდეგ ქ. სიხარულიძემ ნაწილობრივ გაიზიარა ეს მოსაზრებ და ზღაპარი „ერთგვარ ვასართობად“ ჩათვალა. იხ. მისი „ქართული ზღაპრების სოციალური ფუნქციისათვის“, „ლიტერატურული ძიებანი“, II, თბილისი, 1944, გვ. 235.

<sup>35</sup> თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, წ. I, გვ. 112.

<sup>36</sup> ქ. სიხარულიძე, ქართული ზღაპრის სოციალური მოტივების შესწავლისათვის, თბილისი, 1939, გვ. 126.

<sup>37</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. XX.

<sup>38</sup> იქვე, გვ. XLV.

<sup>39</sup> დღესდღეობით ეს მოსაზრება ვაზიარებულია. იხ. ფ. ზანდუკელი, ცხოველთა ეპოსის სტრუქტურის საკითხები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 1, გვ. 60.

<sup>40</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. XLV—XLVI.

<sup>41</sup> თანამედროვე ქართული საბჭოთა ფოლკლორისტიკა ამ აზრსაც მხარს უჭერს. იხ. ფ. ზანდუკელი, დასახ. წერილი, გვ. 56.



ზეზი. დიალოგი პროზით ან ლექსით გადმოიცემა, ზოგჯერ — შერეულად (პროზითაც და ლექსითაც). პირუტყვთა ეპოსს (ზღაპრის სხვა სახეობათაგან განსხვავებით) უფრო დიალოგის სალექსო ფორმა ახასიათებს<sup>42</sup>.

ცალკე მიმოიხილა მ. ჩიქოვანმა ზღაპრის დასაწყისი და დასასრული.

მეცნიერმა ამბის დასაწყისის ორი ძირითადი ტიპი განასხვავა: თბრობით-რეალისტური და რელიგიურ-ხოტბითი. პირველი გვხვდება ცხოველთა ეპოსში, ლეგენდებში, თქმულებებსა და ანეგდოტებში. თბრობით-რეალისტური დასაწყისი ორგვარია. კონკრეტული (მაგალითად: „იყო ერთი მელა. მუღამა მარტო დაცუნცულედა“) და აბსტრაქტული<sup>43</sup> (მაგალითად: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი მელია“). მათ შორის ის განსხვავებაა, რომ თუ თბრობით-კონკრეტულ დასაწყისში მხოლოდ „იყო“ გვხვდება, თბრობით-აბსტრაქტულში ფორმულა გავრცობილია: „იყო და არა იყო რა“<sup>44</sup>.

სხვა ვითარებაა ჯადოსნურ ზღაპრებში. აქ განირჩევა თბრობით-რელიგიური დასაწყისი ორი ნაირსახეობა: ხოტბითი და დალოცვითი. პირველი აღიარებს „ღვთის აბსოლუტურ სიმშვენიერესა და კეთილმყოფლობას“ (მაგალითად: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“). დალოცვით დასაწყისში კი, ამასთან ერთად, „გამოთხოვილია მსმენელთა დამწყალობება“ (მაგალითად: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“). ამრიგად, „რელიგიურ-დალოცვითი დასაწყისი ხოტბითი შესავლის გავრცობილი სახეა“<sup>45</sup>.

ზღაპრის დასასრულში მ. ჩიქოვანმა სამი სახეობა გამოყო:

1. ამბის მოწამებობითი დასასრული, რომელიც უფრო ცხოველთა ეპოსშია გავრცელებული (მაგალითად: „საწყალი დათვი მოკვდა, მელა კი გაიქცა“);

2. ამბის მაგიურ-შელოცვითი დასასრული. ეს სახეობა ორგვარია: ადგილის დალოცვითი და მსმენელთადმი მიმართული; ზოგჯერ ორივე გაერთიანებულია. მაგალითად:

„ქირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე;

ქატო იქ დავაგდე, ფქვილი აქ მოვიტანე.

კურდღელი წამოვაფრინე შამბსა და ყინტორაშია.

დამისხი, დამალევინი, თუ გიდგა ტიკპორაშია“<sup>46</sup>

(ხაზი ჩვენია — გ. ს.)<sup>47</sup>

<sup>42</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. XLVI.

<sup>43</sup> ამქამად მიანჩით, რომ თბრობით-კონკრეტული დასაწყისი ნიშანდობლივია ნოველისტური ზღაპრებისათვის, ხოლო თბრობით-აბსტრაქტული — ჯადოსნური ეპოსისათვის. როგორც ცნობილია, ორივე ამ სახეობას ემსაგებება ცხოველთა ზღაპრები. ამიტომაც მათში გავრცობილი დასაწყისი გვხვდება და გაუფრცობელიც. იხ. ფ. ზანდუკელი, დასახ. წიგრი, გვ. 58.

<sup>44</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. XLVII—XLVIII.

<sup>45</sup> იქვე, XLIX—L.

<sup>46</sup> იქვე, VIII—IX.

<sup>47</sup> მოქმედი „საზღაურს“ ითხოვს. მსგავს მოვლენაზე რუსულ ფოლკლორში ვამახვილა ყურადღება ბ. სოკოლოვმა: «... традиционные формулы-заклучения, связанные с явным намеком на необходимость вознаграждения, нередко в сказках и в своей окаменелой форме свидетельствуют о происхождении их из былой среды профессионалов». (ხაზი ჩვენია — გ. ს.) იხ. Б. Соколов, Русский фольклор, вып. 2, Москва, 1930, გვ. 75.

3. ამბის წმინდა ღირიკული დასასრული („არა მატყუდუნა რი ტაპური ფორმულები, არამედ მოკლე ლექსები და მათი ვარიანტები“). მაგალითად:

„კაცმა ისეთი უნდა სიქვას, შიგ ტყუილი არ ერიოს, უნდა ღმერთი მოიფონოს, კაცი რომ კაცს მოერიოს. დაჰკარ და დაჰკარ, ფანდურო, კარგა მძლიე ბანია, შე გამოთლილო ლეისო, ვერ დავაჰარბებს ბალია, სულ შენ მაგონებ ლექსებსა, ნახვარ შენი ბრაღია.“<sup>48</sup>.

მ. ჩიქოვანის დარად, თ. ბეგიაშვილმაც გამოიკვლია აღნიშნული საკითხი და 1941 წელს ზღაპრის კომპოზიციის შემდეგი ძირითადი ნიშნები ჩამოაყალიბა:

1. მოქმედების განმეორება (მეტწილად, სამგზის);  
2. შინაარსის აგება ერთ ან ორი მთავარი გმირის მოქმედებაზე (მხოლოდ ზოგიერთი საბავშვო ზღაპარი ეფუძნება მეორეხარისხოვან პერსონაჟთა მოქმედებას);

3. სიუჟეტის სამსაფეხურიანობა: ა). მოსამზადებელი მოქმედება (პერსონაჟი წინასწარ ჩადის რაიმე გმირობას); ბ). მთავარი მოქმედება ვითარდება შემქმნდროებულად და მკვეთრად; გ). კვანძის გახსნა<sup>49</sup>. აღნიშნულს თ. ბეგიაშვილმა დასძინა, რომ ზღაპრის მთავარი ნიშანი მაინც მისი ფორმაა (სიუჟეტი, კომპოზიცია, სტილი), ანუ, როგორც თავად ამბობდა, — „ფორმა მისი აღნაგობისა, თხრობისა“. ამის გათვალისწინებით მკვლევარი მკვეთრად მიჯნავდა ჯადოსნურ და საყოფაცხოვრებო ზღაპრებს<sup>50</sup>.

მ. ჩიქოვანისა და თ. ბეგიაშვილის დასკვნებს ზღაპრული ეპოსის კომპოზიციის შესახებ არ დაუკარგავს აქტუალობა დღესაც — ზღაპრის მეცნიერული კვლევის თანამედროვე ეტაპზეც.

ომამდელმა ქართულმა საბჭოთა ფოლკლორისტიკამ საკმაო ინტერესი გამოიჩინა ქართული ზღაპრების პერსონაჟთა მიმართ, რითაც ჩვენი ეპოსის კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს მიაპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება.

თავდაპირველად კვლევა სისტემური არ იყო.

1925 წელს თ. ბეგიაშვილი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ სცადა არ გაეზიარებინა ჯერ კიდევ 1895 წელს გამოთქმული მოსაზრებანი ზღაპრული ეპოსის ფანტასტიური პერსონაჟის დევის შესახებ<sup>51</sup>.

„დევი, ქართველთა თქმულებით, უსხეულო არსება კი არ არის, — შენიშნავდა თ. ბეგიაშვილი, — როგორც ამას ზოროასტრის მოძღვრება ქადაგებდა, იგი ხორციელია, დიდი ტანისა, რამდენიმე თავით...“ დევი მოკვდავია, ბრიყვი და მშიშარა; ზოგჯერ უკავშირდება „მიწიერ დედაკაცს“. დევის ტანზე გრძელი ბალანი ასხია და შემზარავი სახე აქვს<sup>52</sup>.

<sup>48</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. LII—LIII.

<sup>49</sup> თ. ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, გვ. 158.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 157.

<sup>51</sup> ეს მოსაზრება ა. ხახანაშვილს ეკუთვნოდა. იხ. მისი: Очерки по истории грузинской словесности, вып. I, Народный эпос и апокрифы, Москва, 1895, с. 83.

<sup>52</sup> თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 117—118.



საქართველო  
ენციკლოპედია

მ. ჩიქოვანმა ყურადღება გაამახვილა ზოგიერთ მსგავსებებზე ადამიანსა და დევს შორის (საქმიანობა — მიწათმოქმედება, ნადირობა, მეჭოგეობა და სხვ.). „დევნი ნახევრად ადამიანური არსებაა“, თუმცა იგი მანც კაცთა მოდგმის დაუძინებელი მტერია. მართალია, დამორჩილებული დევი ადამიანს სამსახურსაც უწევს, მაგრამ მასზე სავსებით დანდობა არ შეიძლება (ეს გმირის განსაცდელის მომასწავებელია). დევი, დიახაც, მოკვდავია. მისი სული ყუთში ჩამწყვდეული ტახის (თუ ირმის) თავში განსახიერებულ ფრინველშია. ადამიანისაგან განსხვავებით, დევს სამი სული აქვს: ღონისა, გონისა და სიცოცხლისა. მხოლოდ ამ უკანასკნელის („სული-ფრინველის“<sup>53</sup>) ნოკვლის შემდეგ განუტევებს სულს დევი<sup>54</sup>.

ოცდაათიანი წლების შუახანებში ქართული საბჭოთა ზღაპართმცოდნეობის წინაშე არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა დაისვა. მათ შორის, უდავოდ, საყურადღებო იყო ქართული ეპოსის მეორე, არანაკლებ საინტერესო მოვლენის, ასევე ფანტასტიური პერსონაჟის — ფასკუნჯის ფუნქციის მეცნიერული კვლევისა და თვით სახელწოდების წარმომავლობის ახსნის ცდები.

1935 წელს ი. მეგრელიძემ განმარტა: „...Фашқунд, resp. Фасқунд ‘mag’, ‘вестник’, ‘вещая птица’<sup>55</sup> ...“ მანვე მიუთითა ფასკუნჯის გარეგნულ ნიშნებზეც: «Он похож на ‘грифа’, ‘орла’, ‘коршуна’ и ‘ястреба’»<sup>56</sup>. შემდეგი საინტერესო დასკვნა ი. მეგრელიძემ ამ ზღაპრული არსების ფუნქციის შენაცვლებასთან დაკავშირებით გააკეთა: ზოგჯერ ფასკუნჯს ორბი ენაცვლება<sup>57</sup>, შენიშნა მეცნიერმა.

1938 წელს მ. ჩიქოვანმა, ნ. მარის შეხედულებაზე დაყრდნობით, ორბი — არწივის, ხოლო ფასკუნჯი სპარსული სიმურღის ორიუღად მიიჩნია (მეგრულ ფოლკლორში ფასკუნჯის ბადალი არწივია)<sup>58</sup>.

რამდენადმე უფრო გვიან — ორმოცდაათიანი წლებში აღნიშნულ მოსახერებათა უფლებამოსილება ექვეყნეშ დადგა<sup>59</sup>. ეს ითქმის ი. მეგრელიძისა და მ. ჩიქოვანის მიერ გაზიარებულ ნ. მარის მეორე შეხედულებაზეც იმის შესახებ, რომ პირველყოფილი ადამიანი სამყაროს სამ ნაწილად ყოფდა — ზეცად (ზესკენლად), შუაცად (შუასკენლად ანუ დედამიწად) და ქვეცად (ქვესკენლად)<sup>60</sup>. მაგრამ აღნიშნული შეხედულების უარყოფა მხოლოდ 1953 წელს მოხდა, მანამ კი — ოცდაათიანი წლების შუახანებში საკმაოდ გულ-

<sup>53</sup> შდრ. ხალხური: „რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტვით გაგვიფრინდება“.

<sup>54</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. LIX—LX.

<sup>55</sup> И. В. Мегрелидзе, Животный мир в языке и фольклоре, АН СССР, академику Н. Я. Марру—45, Москва-Ленинград, 1935, გვ. 284.

<sup>56</sup> იქვე, გვ. 285.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. LXXX—LXXXII.

<sup>59</sup> თანამედროვე შეხედულებით, თავდაპირველად ფასკუნჯი სიმურღს „მხოლოდ ნაწილობრივ ან შეიძლება რაიმე ნიშნით ემსგავსებოდა“ და მოგვიანებით შეიქცა უცხო არსების დამახასიათებელი „ფრინველური თვისებებით“. დროთა ვითარებაში სიმურღის ფუნქცია ქართულ ზღაპრებში არწივის დაეკისრა, რამაც „სრულიად განტვირთა ფასკუნჯი სიმურღის თვისებებისაგან...“ იხ. მ. ჩიქოვანი, ფასკუნჯი ქართულ ზღაპრულ ეპოსში, ქართული ფოლკლორი, III, თბილისი, 1969, გვ. 255. 264.

<sup>60</sup> მ. ჩიქოვანი, ანტიმარქსისტულ და ევლგარიზატორულ შეხედულებათა წინააღმდეგ საბჭოთა ფოლკლორისტიკაში, ლიტერატურული ძიებანი, VIII, თბილისი, 1953, გვ. 59—60.

მოდგინე კვლევა მიმდინარეობდა ფასკუნჯის საცხოვრისსა და თვით სახელის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით.

მ. ჩიქოვანმა დაიმოწმა ფეშური ზღაპარი („ფაშგუნდი“? — გ. ს.), რომლის მიხედვითაც ფასკუნჯი ქვესკნელში ბინადრობს და ლინგვისტურად დაანაწევრა ხაზგასმული სიტყვა: ქვე-სკნ-ელ-ი. მკვლევრის ვარაუდით, „სკნ“ „ცა“-სთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ისევე როგორც ფასკუნჯისეული „სკუნ“. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ელემენტი „ჯ“<sup>61</sup>, რომელშიც ალბათ იგულისხმება „მცხოვრები“, „მყოფი“, „მჯდომი“. რაც შეეხება „ფა“-ს. იგი „პრეფიქსული წარმოშობის ფორმაა“. ამრიგად, პალეონტოლოგიურ ძიებათა მიხედვით, „ფასკუნჯი“ ნიშნავს „ცამცხოვრებს“, უფრო ზუსტად, „ზეცის ბინადარს“. აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ თავად ფოლკლორი დაეჩინებით მიუთითებს, რომ ფასკუნჯი (როგორც არწივი, ორბი, ჩიტვი) მაინც ქვესკნელი სეული არსებობს, ვინაიდან ქვესკნელს აკავშირებს დედამიწასთან...<sup>62</sup>.

ასეა თუ ისე, სწორედ „ცაშვი“ (ქვესკნელი ქვე-ცაა) ცხოვრებაა ფასკუნჯის არსებითი თვისება, თუმცა სხვა მოსაზრებით — იგი ადამიანის მსგავსი „მიწაზე მცხოვრები ძლიერი ორფეხიანი არსებაცაა...“<sup>63</sup> ამასთან, ფასკუნჯი მეტყველებს, მკურნალია და გრძნეული<sup>64</sup>.

სრულიად განსხვავებულია ფასკუნჯის გაგება სვანეთში: აქ იგი უმწეო სულდგმულს ჰქვია, „რომლის ტყავისაგანაც არის გაკეთებული დიდი სიმტკიცის ღვედი“<sup>65</sup> (ხაზი ჩვენია. — გ. ს.).

მ. ჩიქოვანმა შეძლო ერთადერთი სწორი ასხნა მოექმენა აღნიშნულ წინააღმდეგობათათვის. მისი შეხედულებით, „განსხვავებული თვისებები ფასკუნჯმა საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შეიძინა“<sup>66</sup>.

მ. ჩიქოვანს იმათივე შესამოწმებლად მიაჩნდა ნ. მარის მოსაზრება ოსურ ფოლკლორში „ფასქონძის“ („ფასკუნჯის“) სვანეთიდან გადასვლის თაობაზე, მით უფრო, რომ ოსურ ზეპირსიტყვიერებაში ეს არსება მრავალთავიანია (რაც შემდგომ შექნილი თვისებებია), თანაც „ფასქონძი“ გაცილებით დახვეწილია, ვინემ სვანური არსება. ოსური თქმულებები, მ. ჩიქოვანის მართებული მოსაზრებით, ქართულენოვან ფოლკლორს უახლოვდება<sup>67</sup> („ფასქონძი“ „ფასკუნჯის“ ახალი ენობრივი გაფორმებაა). ანგარიშგასაწევი ისიც, რომ „ფასკუნჯის“ შესატყვისი „პასკუქ“ («Птица зверонравная») დასტურდება სომხურშიც, თუმცა ზოგჯერ მის ადგილს სომხურივე „Sirampg“ იჭერს<sup>68</sup>.

<sup>61</sup> შტრ. კ. ტრევერის შეხედულებაზე დაყრდნობით მ. ჩაჩავა ვარაუდობს, რომ „ჯ უნდა იყოს ძალის მნიშვნელობის“, მით უფრო, თუ მეგრულში ძალის — ჯოლორი არის. ნ. მარის აზრით, კი ტერმინი ფასკუნჯი სწორედ მეგრულ-ქანურ დიალექტზეა წარმოშობილი, რაზედაც მიუთითებს შიშინა ბეგრების სიმრავლე. იხ. მ. ჩაჩავა, დასახ. წერილი, გვ. 259.

<sup>62</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. 283—284, აგრეთვე: გვ. XLVII. ამ მოსაზრებას ერთგვარი სახეცვლილებით იზიარებს მ. ჩაჩავა. იხ. მისი დასახ. წერილი, იქვე.

<sup>63</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. LXXXVI.

<sup>64</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. LXXIX—LXXXI.

<sup>65</sup> იქვე, გვ. LXXXVIII. სწორად ვარაუდობს მ. ჩაჩავა: „ჩანს, რომ სვანების ფანტაზიაში ფასკუნჯი მხოლოდ დიდი სიძლიერის ატრიბუტად ჩარჩენილია“. იხ. მისი—დასახ. წერილი, გვ. 261.

<sup>66</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. LXXXVI—LXXXVII.

<sup>67</sup> დღეს ეს აზრი გაზიარებულია. იხ. მ. ჩაჩავა, დასახ. წერილი, გვ. 263.

<sup>68</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. XC.



ქართული საბჭოთა ფოლკლორისტიკის ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებოა ხალხური ზეპირსიტყვიერების ქართულ მკვლევართა მოსაზრებანი ჩვენი ზღაპრული ეპოსის კიდევ ერთი პოპულარული პერსონაჟის — წიქარას შესახებ.

პირველად ამ საკითხით ვ. კოტეტიშვილი დაინტერესდა და შენიშნა: „წიქარას“ ტიპის ზღაპრის ვარიაციებია მრავალი მოდგმის... თქმულებანი მითიური ხარების შესახებ“<sup>69</sup>. ეს აზრი დღეს მართებულადაა გაზიარებული ქართულ ფოლკლორისტიკაში<sup>70</sup>. მეორე, უფრო მოკლე გამოთქვამით, მეცნიერმა მიუთითა ავესტურ ხარ „აბუდალზე“ („aevu-data“<sup>71</sup>), „რომლისგანაც სხვა არსებები წარმოიშვნენ“<sup>72</sup> თანამედროვე ქართულმა ფოლკლორისტიკამ ყურადღება მიაქცია ამ საკითხსაც<sup>73</sup>.

ვ. კოტეტიშვილის „ხალხური პოეზიის“ გამოსვლის წლისთავზე აღნიშნული პრობლემის კვლევას ი. მეგრელიძე „წიქარას“ ეტიმოლოგიის გარკვევით შეუდგა. თავდაპირველად მეცნიერმა ამ სიტყვის ელემენტი „ქარ“ „ხარ“-ს დაუკავშირა, ეს უკანასკნელი კი — „ლორსა“ და „ქორს“ (როგორც გადაადგილების საშუალებანი ზღაპრებში), ხოლო შემდეგ, ნ. მარის თანახმად, ამ მწკრივში ჩააყენა ზანური „ჯოლორიც“ (ძაღლი) და მივიდა ბასკურ „u-da+gar-a“-მდე (სიტყვასიტყვით — „წყლის ძაღლი“). ეს გადასვლა ი. მეგრელიძემ „მატერიალურ-სოციალური ფუნქციის“ ერთგვარობასთან ერთად იდეოლოგიური მნიშვნელობითაც («... они заменяют друг друга, как тотем»). ახსნა<sup>74</sup>. ამის შემდეგ მკვლევარმა „წიქარას“ ორი საწყისი ბგერის „წი“-ს ხარის მნიშვნელობით მოძიება სცადა, რაც, მართალია, ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ მაინც გამოთქვა ვარაუდი, რომ „წი“ G (TilTi) ელემენტის ნაშთია, ხოლო „ქენ“ მისი („წი“-ს) დერივატი. პალეონტოლოგიურად „ქენ“ („ქენება“) „ცხენს“ ნიშნავს, ხოლო, ფუნქციონალური სემანტიკის მიხედვით, ხარი იმედროულად ცხენიცაა<sup>75</sup>.

ი. მეგრელიძის სხვა მოსაზრებით, სალაპარაკო ქართულში ძერა-წერო იგივეა, რაც ქორი<sup>76</sup> — სამივე ფრინველია: «А раз птица, значит она же и небо, — да счелна мквლევაარი, — так как целое и часть носят одно и то же название, а раз 'небо' и 'птица', то то же и 'лошадь', так как лошадь означала 'птицу' и 'бык' со своим семантическим рядом». მეცნიერმა არც ბოლოკიდური<sup>77</sup> „წიქარა-ა“ დატოვა უგულისყურად. მისი შეხედულებით, იგი ნიშნავს: «Дитя, 'отрок', 'сын' т. е. ti-gar-a, дитя земли...»<sup>78</sup>.

<sup>69</sup> ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 345.

<sup>70</sup> თ. ოქროშიძე, ქართული ჯალღონური ზღაპრის პერსონაჟები (ხარი), ქართული ფოლკლორი, III, თბილისი, 1969, გვ. 147.

<sup>71</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. 135.

<sup>72</sup> ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 353.

<sup>73</sup> თ. ოქროშიძე, დასახ. წერილი, გვ. 135—136.

<sup>74</sup> И. В. Мегрелидзе, Животный мир в языке и фольклоре, упом. сборник, გვ. 281.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 284.

<sup>76</sup> И. В. Мегрелидзе, Животный мир в языке и фольклоре, упом. сборник, გვ. 284.

<sup>77</sup> იქვე, გვ. 284. თანამედროვე თვალსაზრისით, „წიქარა წითელი ხარის სახელია“. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბილისი, 1964, გვ. 1142.

<sup>78</sup> როგორც ცნობილია, ამ სამი ათეული წლის წინათ ქართულმა საბჭოთა ფოლკლორისტიკამ მკაცრად გაილაშქრა პალეონტოლოგიური მეთოდის წინააღმდეგ. იხ. მ. ჩიქოვანი, დასახ. წერილი, გვ. 53, 55.

მოყვანილი მსჯელობის თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ მასში ნათლად გამოსჭვივის ღირსებანი ნ. მარის პალეონტოლოგიური მეთოდისა, რომელიც თავის დროზე დიდ გასაქანს აძლევდა მკვლევართა შემოქმედების წარმოსახვას<sup>78</sup>.

ქართული ზღაპრის პერსონაჟების შესწავლა განაგრძო მ. ჩიქოვანმა, რომელმაც მოკლედ, მაგრამ საკმაო სისრულით დაახასიათა ბევრი მათგანი. მეცნიერმა მართებულად მიიჩნია ცხოველთა ეპოსის ცენტრალურ „მოქმედ ძალებად“ მელა, დათვი და მგელი<sup>79</sup>.

გონებამახვილი, მოხერხებული მელა, საზოგადოდ, ცბიერებისა და უნდობლობის განსახიერებაა („ბოლოდროინდელ ზღაპრებში მელა იგავ-არაკისებური გმირია...“). საყურადღებოა ის გარემოება, რომ სხვა ერთა ფოლკლორისაგან განსხვავებით, ქართულ ეპოსში მელა ხშირად მარცხდება. ამასთან, მისი მოქმედების არე, ჩვეულებრივ, სცილდება ცხოველთა ზღაპრებს და ჯადოსნურ ეპოსამდე აღწევს, სადაც „მელა ადამიანის დამხმარე და ბედის მაჩვენებელია“<sup>80</sup>.

თუ ცხოველთა ეპოსში დათვი კეთილი, უწყინარი და, ამასთან, მეტად გულუბრყვილო პერსონაჟია (მელასთან მეგობრობა მისთვის მიწყევ საველალოდ მთავრდება), ჯადოსნურ ზღაპრებში იგი ქალს უახლოვდება და მასთან ცხოვრობს. დათვის ნაშიერნი, ჩვეულებრივ, უძლეველი გმირები არიან. ამ შემთხვევაში, მ. ჩიქოვანის მართებული ვარაუდით, „დათვის ტოტემის შორეულ გამოძახილთან უნდა გვეკონდეს საქმე“<sup>81</sup>.

უფრო ლაკონიურად დაახასიათა მეცნიერმა მელასაგან დაბრყვებული გაუმაძღარი მგელი, უსუსური ცხოველებისაგან დაჩაგრული ლომი, კატის მოსარჩლე ვეფხვი<sup>82</sup>.

ჯადოსნური ეპოსის პერსონაჟთაგან მ. ჩიქოვანმა გამოარჩია ადამიანის შემეწე ცხოველები, ფრინველები, ქვეწარმავლები, სასწაულებრივი საგნები, რომლებიც „მომხიბლავ ფანტასტიკურ გარემოს ჰქმნიან“. ამ ჯადოსნურ კალეიდოსკოპშია ჩაბმული ციური რაშები<sup>83</sup>, ქვესკნელისეული ცხვრები, ირემი, შველი (მზეთუნახავის ხატი) და სხვ.<sup>84</sup>

დასასრულ, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ეპოქაში ქართველმა ფოლკლორისტებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ზღაპრის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. აღნიშნულ პერიოდში (1921—1941 წწ.) ხალხური ეპოსის ქართველმა მკვლევარებმა წამოჭრეს და გადაწყვიტეს ზღაპართმცოდნეობის არაერთი პრობლემა (მაგალითად, ქართული ზღაპრის კლასიფიკაციის, წარმოშობის, კომპოზიციური თავისებურების, პერსონაჟთა გალერეის და სხვ.), რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ზღაპართმცოდნეობის ჩამოყალიბებაში.

<sup>79</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. LX—LXII.

<sup>80</sup> იქვე, გვ. LVIII.

<sup>81</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. LVIII.

<sup>82</sup> იქვე, გვ. LVIII—LIX. მ. ჩიქოვანმა მიაქცია ყურადღება აგრეთვე ადამიანის ერთგული მეგობრის ძალის უმნიშვნელო როლსაც ქართულ ხალხურ ზღაპრებში. იქვე, გვ. LIX.

<sup>83</sup> შტრ. «Среди сказочных животных, зверей и птиц первое место принадлежит в грузинских сказках коно, Грузинские сказки, сост. Н. Долидзе, Москва, 1937, გვ. 4.

<sup>84</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. LIX.

Г. Ю. СИХАРУЛИДЗЕ

## ИЗУЧЕНИЕ СКАЗКИ В СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ (1921—1941 гг.)

### Резюме

Подготовка материальной базы для научного изучения сказочного эпоса в Грузии становится возможной со второй половины 19-го века, хотя первые успешные попытки в этом направлении встречаются у нас гораздо раньше, когда началась литературная обработка этого фольклорного жанра.

Изданные в последней четверти прошлого столетия и в начале нашего века сборники устной словесности дали новый импульс к изучению грузинской сказки, но все же до революции трудно было надеяться на успех исследовательской деятельности в этом направлении.

Лишь с установлением советской власти в Грузии были созданы благоприятные условия для научного изучения народного творчества. В этой связи особо плодотворными оказались тридцатые годы, когда советские фольклористы (М. Чиковани, К. Сихарулидзе и др.) начали изучение грузинской сказки, основываясь на марксистско-ленинской методологии.

В советскую эпоху (в частности, 1921—1941 гг.) грузинские исследователи народного творчества поставили и решили немало проблем сказочного эпоса (классификации, генезиса, композиционных особенностей грузинской сказки и т. д.), что сыграло решающую роль в формировании грузинского советского сказковедения.

В статье дан критический обзор развития грузинской советской фольклористической мысли в связи с изучением грузинской сказки в первом двадцатилетии установления советской власти в Грузии.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება  
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა



## ელენი მატრევილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

## Ier. 14 ხელნაწერის ანდერძის გაგებისათვის

პროფ. ალ. ცაგარელი ერთ-ერთი პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელმაც ადგილზე შესწავლა სინა-იერუსალიმისა და ათონის ხელნაწერები, შეადგინა და გამოაქვეყნა მათი აღწერილობანი და მის მიერვე მოპოვებული წყაროებისა და დიდძალი ლიტერატურის საფუძველზე დაწერა და გამოაქვეყნა იერუსალიმისა და სინის მთის ქართული კოლონიებისა და სამწერლობო კერების ისტორია. ალ. ცაგარლის წიგნი «Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае»<sup>1</sup> დღესაც რჩება ძირითად და ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ ამ საკითხების შესასწავლად.

ცხადია, პროფ. ალ. ცაგარელს, ამ საქმის პიონერს, არ შეეძლო ყველაფერი ერთნაირი სიღრმით და სიზუსტით წარმოეჩინა. დღეს ახალი მასალებისა და გამოკვლევების საფუძველზე ბევრი რამ სწორდება ალ. ცაგარლის დასახელებულ წიგნში. მაგრამ არის ალ. ცაგარლის გამოკვლევებში მოყვანილი ისეთი ფაქტებიც და მოსაზრებებიც, რომლებმაც დროთა ვითარებაში ტრადიციის სიმტკიცე შეიძინეს და როგორც აქსიომები უკრიტიკოდ გადადიოდნენ შემდგომი თაობის მკვლევართა გამოკვლევები. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ის, თუ ვისი ინიციატივითა თუ ბრძანებით ააშენა გიორგი-პროხოტრემ იერუსალიმში ჯვრის მონასტერი.

ამ საკითხთან დაკავშირებით ა. ცაგარელი თავის ზემოთ დასახელებულ წიგნში წერდა: «...Он (იგულისხმება გიორგი-პროხოტრე. — ე. მ.) строит или возобновляет Крестный монастырь, близ Иерусалима „по приказанию и при содействии блаженного мужа Евфимия Афонского...“<sup>2</sup>. ამ ცნობის წყაროდ ავტორი ასახელებს მის მიერვე შესწავლილ ხელნაწერს იერ. 105, რომლის აღწერილობა გამოქვეყნებულია იმავე წიგნში.

ამ ცნობაში მოულოდნელი და მიუღებელი არაფერი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ გავლენას, რომელიც მოაპოვეს პირველმა ათონელებმა ათონზე დამკვიდრებისთანავე, ე. ი. X საუკუნის 70-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი ქართველთა სავანის აშენების შემდეგ (980—82 წწ.). ეს გავლენა ერთნაირად ვრცელდებოდა როგორც საქართველოზე, ასევე საზღვარგარეთის კულტურის კერებში მოღვაწე ქართველებზე. კარგად იცოდნენ ათონზე ქართველთა პირველი სავანის მშენებლობის შესახებაც პალესტინაშიც. „იოანე და ეფთვიმის ცნობებიდან“ ვგებულობთ, რომ როდესაც პირველი ათონელები გამოეყვნენ ათანასეს ლავრას და განიზრახეს დამოუკიდებელი ქართული მონასტრის აშენება, მათ მრავალი დამხმარე აღმოუჩნდათ. ერთ-

<sup>1</sup> А. Цагарели. Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, 33. 42, ППС, IV, вып. I, СПб, 1888. ამასვე იხიორებს 44 და 92 გვერდებზე.

<sup>2</sup> იქვე, Приложение I, № 105.

ერთი ასეთი დამხმარე მოევლინა ქართველებს ათონზე ილარიონ კანანახის, აღდგომის დიაკონის სახით: „იყენენ პირველთაგან დიდებულნი კაცნი“, გვამცნობს „ცხოვრების“ ავტორი, და პირველ რიგში ასახელებს მას: „ილარიონ კანანახი, აღდგომისა დიაკონი. პირველ შენებასა მონასტრისასა მოსრულ იყო აქა და მისსა იკონომოსობასა აღეშენა მონასტერი და ვითა თუსსა ძმასა ხედვიდეს მამანი ჩუენნი. და ევედრა მათ, რამათა წარვიდეს იერუსალემს. და წარმგზავნეს მუნ და მრავალნი წელნი დაყვნა დიაკონობასა შინა, და მამათა მრავალ გზის მიუწერეს და კულად მოიყვანეს აქავე. და პირველსაცა მოსლვასა და მეორესაცა, რომელ მოილო ვეცლად და ოქროდ და სტაგრადა და სავდრად, უფროას ოცისა ლიტრისა იყო. და მას მისცეს მოწაფე და გაკუეთილი შეუქმნეს, თავისა კრასოკუელისა კიდე, კოკაჲ ერთი ღვინო თუესა შინა და ყველი ერთი. და სამი ლიტრაჲ ზეთი, და დღივ ერთი პური. და ეს იყო გაკუეთილი მისი“<sup>3</sup>.

ექვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის კანანახი ილარიონი ტომით ქართველი იყო (სხვათა შორის, ეს არის ყველაზე ადრეული ცნობა ქართველების აღდგომის ეკლესიაში მოღვაწეობის შესახებ). ილარიონს ვაუგია ათონზე ქართველთა მონასტრის მშენებლობის დაწყების ამბავი და წასულა ათონზე. იგი ქართულ საკრებულოს იკონომოსად განუწყესებიათ. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ილარიონი კვლავ გამგზავრებულია იერუსალიმში, სადაც რამდენიმე წელი დაუყვია, ხოლო შემდეგ, ათონელ მამათა დაბეჭოთებითი თხოვნით, კვლავ დაბრუნებულია ქართველთა მონასტერში. ორგზის ჩამოსვლის დროს მას შემოუწირავს 20 ლიტრაზე მეტ საფასურის ვერცხლი და განძეულობა.

ცხადია, ასეთ ვითარებაში არ შეიძლება იერუსალიმისა და პალესტინის ქართულ კერებში მცხოვრებ ქართველებს, კერძოდ კი საბაწმიდელ ქართველებს, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გიორგი-პროხოზორეც, სანამ ჯვრის მონასტრის მშენებლობას შეუდგებოდა, არ სცოდნოდათ ათონზე ქართველთა მოღვაწეობისა და პირველი ქართული სავანის მშენებლობის ამბავი და პირველ ქართველ ათონელ მამათა მოღვაწეობაც. ამიტომ არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ ეფთვიმეს რჩევა მიეცა გიორგი-პროხოზორესთვის იერუსალიმში ქართველთა მონასტრის აგებაზე. ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ შემდგომ ქართველმა მეცნიერებმა გაიმეორეს ალ. ცაგარლის მოსაზრება და არავის აღძვრია სურვილი ამ ცნობის შემოწმებისა იმ წყაროების მიხედვით, რომელსაც ალ. ცაგარელი ასახელებდა (იერუსალიმის ხელნაწერი № 105).

პირველად ალ. ცაგარლის მოსაზრების ჭეშმარიტებაში ეჭვი შეიტანა ლ. მენაბდემ. მან შეუძღვებლად მიიჩნია, ეფთვიმე მთაწმიდელი ყოფილიყო გიორგი-პროხოზორესთვის მონასტრის აშენების იდეის მიმწოდებელი, ვინაიდან მშენებლობა ჯვრის მონასტრისა უნდა დაწყებულიყო ეფთვიმეს გარდაცვალების შემდეგ. ამის საფუძველზე ლ. მენაბდემ გამოთქვა ვარაუდი, რომ ალ. ცაგარლის მიერ ამ ცნობის წყაროდ მითითებულ იერ. 105 ხელნაწერის ანდერძში მოხსენიებული ეფთვიმე არის არა ეფთვიმე მთაწმიდელი, არამედ ეფთვიმე გრძელი, წყაროსთაველი, პროხოზორესა და ჯვრის მონასტრის მშენებლობის თანამედროვე მოღვაწე.

<sup>3</sup> ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვიმისი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბ., 1946, გვ. 41, § 84.

იმოწმებს რა კ. კეკელიძის, ე. მეტრეველის, ი. აბაშიძის, ა. შანიძისა და გ. წერეთლის ნაშრომებს ამ საკითხთან დაკავშირებით, ლ. მენაბდე წერს: „როგორც დამოწმებული ციტატებიდან ჩანს, მკვლევარნი უკავშირებენ პროზორეს ეფთვიმე ათონელს (955—1028). მას მიიჩნევენ ჯვრის მონასტრის მშენებლობის ინიციატორად და მშენებლობასაც ამის მიხედვით ათარიღებენ. რა შუაშია ექვთიმე ათონელი? რა კავშირშია იგი პროზორესთან ან ჯვრის მშენებლობასთან? აღსანიშნავია, რომ ჯვრის მონასტრის მშენებლობის ინიციატორად და გიორგი-პროზორეს აღმზრდელად ექვთიმე ათონელს სხვა მკვლევარნიც მიიჩნევენ. პირველად ეს აზრი ა. ცაგარელმა გამოთქვა, შემდეგ იგი უყოყმანოდ მიიღო და გაიმეორა ბევრმა მეცნიერმა. რამდენად სწორია ექვთიმეს მიჩნევა პროზორეს აღმზრდელად?“<sup>4</sup> — სვამს საკითხს ლ. მენაბდე და ცდილობს მასზე გასცეს პასუხი.

ამრიგად, ლ. მენაბდემ მიზნად დაისახა ორი საკითხის გადაწყვეტა: 1. იყო თუ არა ეფთვიმე მთაწმიდელი გიორგი-პროზორეს აღმზრდელი. 2. იყო თუ არა ეფთვიმე, როგორც აღმზრდელი გიორგი-პროზორესი, ამავე დროს ინიციატორი ჯვრის მონასტრის მშენებლობისა.

ამ საკითხთან დაკავშირებით იხილავს რა ცნობილ წყაროებს, ლ. მენაბდე ასკვნის: «არა გვაქვს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ ექვთიმე ათონელი გიორგი-პროზორეს მასწავლებლად და ჯვრის მშენებლობის ინიციატორად მივიჩნიოთ... საფუძვლებელია, მკვლევართა შეცდომა გამოიწვივა ერთი ხელნაწერის ცნობამ: „ჯვარი აამენა მამამან პროზორე, ბრძანებითა და მოღუწებითა კურთხეულისა კაცისა მამისა ეფთუმესითა“<sup>5</sup>. მოყვანილი ციტატისათვის ლ. მენაბდე იმოწმებს ა. ცაგარლის, რ. ბლეიჯისა და ნ. მარის მიერ გამოქვეყნებულ იერუსალიმის ხელნაწერთა აღწერილობებს<sup>6</sup>. მაგრამ რადგან ანდერძში მოხსენიებული ეფთვიმე, ლ. მენაბდის აზრით, შეუძლებელია იყოს ეფთვიმე მთაწმიდელი, ამიტომ ის სხვადასხვა არგუმენტის საფუძველზე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ანდერძის ეფთვიმე არის არა ეფთვიმე მთაწმიდელი, როგორც ამას წარმოადგენს ალ. ცაგარელი, არამედ სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგად ცნობილი ეფთვიმე გრძელი<sup>7</sup>, რომელიც ლ. მენაბდის აზრით, წყაროსთაველი ბერი იყო და წყაროსთავედ დამოწმავა მას გიორგი-პროზორე, შემდგომ ჯვრის მონასტრის მამუნებელი. ამ მსჯელობის საფუძველზე ლ. მენაბდე ასკვნის: თუ ვინმე შეიძლება ყოფილიყო ინიციატორი ჯვრის მონასტრის მშენებლისა, ეს უნდა ყოფილიყო გიორგი-პროზორეს მოძღვარი ეფთვიმე გრძელი წყაროსთაველი.

სანამ ლ. მენაბდის მიერ დასმულ საკითხებზე გაცემდეთ პასუხს, განვიხილოთ ალ. ცაგარლის მიერ შემოდასახელებული ხელნაწერი და მისი ანდერძები.

<sup>4</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 83. სხვათა შორის, ა. ცაგარელი გიორგი-პროზორეს ბიოგრაფიას შემდგენიარად წარმოადგენს შემოდასახელებულ ნაშრომში: პროზორე კლარჯეთიდან ჩავიდა ათონზე, იქ აღიკვეცა ბერად, ხოლო იქიდან გაემგზავრა იერუსალიმში. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110. საამისო საბუთები მკვლევარს არ მოჰყავს.

<sup>5</sup> ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 84; მისივე, ძველი ქართული კერების ძეგლი, ტ. I, თბ., 1962, გვ. 434.

<sup>6</sup> კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, IV, თბ., 1940.

<sup>7</sup> მ. ბაყალი, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 4



საქართველო  
 ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის საინტერესო იერუსალიმური ხელნაწერი გადაწერილია 1055 წელს და შეიცავს ბასილი დიდის „სწავლანს“. ხელნაწერი აღიწერა ალ. ცაგარლის (№ 105)<sup>7</sup>, რ. ბლეიკის<sup>8</sup> (14), ნ. მარის (№ 7)<sup>9</sup> და ც. ქურციკიძის<sup>10</sup> მიერ. ვინაიდან საყოველთაოდ მიღებულია იერუსალიმის ხელნაწერების ბლეიკისეული აღრიცხვა, ამიტომ ქვემოთ ამ ხელნაწერს ჩვენ მოვიხსენიებთ მე-14 ნომრით.

დასახელებულ აღწერილობებში ამ ხელნაწერის შედგენილობა და აღმდგომ-მინაწერები სხვადასხვა რაოდენობითა და მოცულობით არის მოყვანილი. ყველაზე სრული და ზუსტია ნ. მარის აღწერილობა.

ამ აღწერილობიდან პირველ რიგში მოვიყვანთ ხელნაწერის იმ ანდერძს, რომლის მიხედვითაც ალ. ცაგარელს ჯერის მონასტრის აშენების ინიციატივად მიაჩნია კურთხეული კაცი მამა ეფთვიმე მთაწმიდელი.

#### ა. ცაგარელი (№ 105)

დაიწერა და განსრულდა შ<sup>ა</sup> ესე წიგნი სულთა განმანათლებელისა... დიდისა ბასილისი მონასტრისა შინა ჯუარისასა, რომელი აღაშენა წმიდამან მამამან პროხორი ბრძანებითა და მოღუაწებითა კურთხეულისა კაცისა მამისა ეფთვიმისათა, — ქრისტემან მიეციე მადლი კეთილი! კელითა უღირსისა ბერისა იოანე დვალისადათა და შკლისა ჩემისა კურთხეულისა მიქელისათა, — ლოცუა ჰყავდ წმიდანო მამანო! (ფ. 486).

#### ნ. მარი (№ 7)

დაიწერა და განსრულდა შ<sup>ა</sup> ესე წიგნი სულთა განმანათლებელი წ<sup>ა</sup>დისა და ლთმ<sup>ა</sup>სლისა შ<sup>ა</sup>მისა ჩ<sup>ა</sup>ნისა დიდისა ბასილისი მონასტრისათს ჯ<sup>ა</sup>რისა, რ<sup>ა</sup>ი აღ<sup>ა</sup>შენა წ<sup>ა</sup>ნ მ<sup>ა</sup>მ<sup>ა</sup>ნ პ<sup>ა</sup>რ<sup>ა</sup>ხ<sup>ა</sup>რ<sup>ა</sup>მ, ბ<sup>ა</sup>რ<sup>ა</sup>ძანებითა და მოღ<sup>ა</sup>წებითა კ<sup>ა</sup>ხ<sup>ა</sup>ლისა კ<sup>ა</sup>ცისა შ<sup>ა</sup>მისა ეფთვიმისითა, ქ<sup>ა</sup>ნ მიეციე მადლი კ<sup>ა</sup>თლი, კ<sup>ა</sup>ლითა უღირსისა ბერისა იოანე დვალისადათა და შ<sup>ა</sup>კლისა ჩემისა კ<sup>ა</sup>ხ<sup>ა</sup>ლისა შ<sup>ა</sup>ქლისითა. ლ<sup>ა</sup>ც<sup>ა</sup> ყ<sup>ა</sup>ნთ, წ<sup>ა</sup>ნო მამანო, და რ<sup>ა</sup>ი დაგუეკლოს, შენდობა ყავთ“ (გვ. 17).

ანდერძის ტექსტში დასმული სასვენი ნიშნების მიხედვით შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ როგორ ესმით ტექსტის ესა თუ ის ადგილი აღმწერლებს. რ. ბლეიკის მიერ გამოქვეყნებულ ანდერძში ჩვენთვის საინტერესო ნაწილში სასვენი ნიშნები საერთოდ დასმული არ არის, ამიტომ ამ ტექსტზე არ შევჩერდები. რაც შეეხება ალ. ცაგარელს, მან წინადადება: „ბრძანებითა და მოღუაწებითა კურთხეულისა კაცისა მამისა ეფთვიმისათა, — ქრისტემან მიეციე მადლი კეთილი!“ — მიაკუთვნა წინა ფრაზას, რის შედეგადაც მივიღეთ: წიგნი დაიწერა „მონასტრისა შინა ჯუარისასა, რომელი აღაშენა წმიდამან მამამან პროხორი, ბრძანებითა და მოღუაწებითა კურთხეულისა კაცისა მამის ეფთვიმისათა, — ქრისტემან მიეციე მადლი კეთილი!“ ბოლოში დასმული ძახილის ნიშნით მან სრულიად გამიჯნა ეს წინადადება მომდევნო ფრაზისაგან: „კელითა უღირსისა ბერისა იოანე დვალისადათა...“ ასე წაკითხული ტექსტის მიხედვით კურთხეული მამის ეფთვიმეს ბრძანებითა და მოღუაწებით პროხორეს აუშენებია ჯერის მონასტერი. ამ გაგების შესაბამისად, როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, ალ. ცაგარელმა შემდეგნაირად

<sup>7</sup> А. Цагарели, Памятники..., Приложение I, № 105.

<sup>8</sup> R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibl. patriarcale grecque à Jerusalem, O. C., 1922—23, № 3—4, № 14.

<sup>9</sup> ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბ., 1955.

<sup>10</sup> ბასილი კისარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, თბ., 1983, გვ. 021—024. თხუთმეტობედ წლის წინ იგივე ხელნაწერი აიწერა ჩემ მიერ იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა სრული აღწერილობის შედგენის მიზნით. აღწერილობა გამოქვეყნებული არ არის. ანდერძში ვიცავთ აღწერილობების ორთოგრაფიას და სასვენი ნიშნებს.

თარგმნა და განმარტა ეს აღგილი თავის გამოკვლევაში: «Он (გიორგი-პროხო-რე. — ე. მ.) строит или возобновляет Крестный монастырь, близ Иерусалима „по приказанию и при содействии блаженного мужа Евфимия Афонского“<sup>11</sup>. „ათონელი“ ანდერძში არ არის, ეს ალ. ცაგარლის შეტანილია თარგმანში.

ცაგარლისეული ინტერპრეტაცია ანდერძის ტექსტის არასწორ წაკითხვა-სა და გაგებას ემყარება. სინამდვილეში ხელნაწერის ანდერძი, დაწერილი გადამწერის იოანე დვალის მიერ, გვამცნობს ამ ხელნაწერის შექმნის ისტორიას: დაიწერა და განსრულდა ბასილი დიდის „სწავლანის“ წიგნი პროხო-რეს აშენებულ ჯერის მონასტერში ბრძანებითა და მოღვაწეებითა კურთხეუ-ლისა კაცისა, მამისა ეფთვიმესითა, უღირსისა ბერისა იოანე დვალისა და მისი შვილის კურთხეულის მიქაელის ხელით.

ამრიგად წინადადება: „ბრძანებითა და მოღუაწებითა კურთხეულისა კა-ცისა მამისა ეფთვიმესითა“ ეკუთვნის არა ჯერის მონასტრის აშენებას, არა-მედ ბასილის „სწავლანის“ წიგნის გადაწერასა და განსრულებას. ექვთიმე კი წიგნის მომგებელია და არა ჯერის მონასტრის აშენების განმკარგულებელი.

კურთხეული კაცი მამა ეფთვიმე რომ ბასილი დიდის „სწავლათა“ ხელ-ნაწერის მომგებელია, ეს კარგად ჩანს ამავე ხელნაწერის სხვა ანდერძიდან. „სწავლანის“ ბოლოს კეთილბოძით: „მადლი და დიდებამ ღმერთსა, ყოვლი-სა კეთილისა მიზეზსა. განსრულდა წიგნი წმიდისა ბასილისი ჯუარისთვს. იესუ ქრისტე, აღიდგ სულითა მამა პროხორე, ჯუარისა მაშენებელი, და აღუტოცენ ცოდვანი მამასა ე ფ თ ვ ს მ ე ს (I), მ ო მ გ ე ბ ე ლ ს ა ა მ ი ს ს ა, კურ-თხეულსა სულითა, ა-ნ“ (478v).

უშუალოდ ამ ანდერძს მოსდევს უფრო წვრილად ნაწერი: „უღირსნი ამისნი მწერალნი იოანე და მიქაელ ლოცვასა მოგვკსენენით, წმიდანო მა-მანო“.

ამრიგად, სურათი სრულიად ნათელია, ბასილი დიდის „სწავლათა“ ხელ-ნაწერი გადაიწერა 1055 წელს ჯერის მონასტერში, მონასტრის მაშენებლის პროხორეს მამობაში. ხელნაწერის მომგებელი ყოფილა მამა ეფთვიმე, კურ-თხეული სულითა, ხოლო მწერალნი იოანე და მიქაელ დვალეები, ცნობილი მწიგნობარნი და კალიგრაფეები. ასე ესმოდა ეს ანდერძი ნ. მარს, რასაც ამტკი-ცებს ანდერძის ტექსტში დასმული სასვენი ნიშნები.

თუ რა დამოკიდებულება არსებობდა ჯერის მამა პროხორესა და ხელ-ნაწერის მომგებელ ეფთვიმეს შორის, ამის შესახებაც ცნობებს გვაწვდის ხელნაწერის ბოლოს მოთავსებული ძალზე დაზიანებული ანდერძი, რომელიც აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს ნ. მარს: ანდერძი დაწერილია ხელნაწერის მომგებლის ეფთვიმეს სახელით, დამწერია — ხელნაწერის გადამწერი იოანე დვალი: „...ვ ე მ ო წ ა ფ ე ლ-თ შ ე მ ო ს ი ლ ს ა და წ მ ი დ ა ს ა პ რ ო-ხ ო რ ე ს, რომელმან დიდითა მოღუაწებითა შეუენიერად და კეთილად აღა-შენა მონასტერი ცხოველს-ყოფელისა პატივოსნისა ჯუარისა და დასხნა მას შინა ყოველნივე შეუენიერნი და კეთილნი წიგნნი საღმრთონი. ხოლო არა იყო მუნ შეუენიერი ესე და საწადელი, განმანათლებელი სულითა წიგნი, თქუ-მული წმიდისა ლ-თ შე[მოსილისა ბასილისი]“. აქედან ანდერძს აკლია დაზიან-

<sup>11</sup> А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

პროზორეს სვინაქსარულ ცხოვრებაში ჯვრის აშენების შესახებ მისი ძალზე მცირეა. საბაწმიდისა და უდაბნოში ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ პროზორემ „ღმრთისა განგებით იწყო შენებად მონასტრისა მახლობელად იერუსალმსმ დასავლეთით კერძო, რომელსა უწოდიან ჟუარისა მონასტერი. და აღაშენა და განასრულა და შეამკო ეკლესიაჲ ყოვლითა სამკაულითა. და შეკრიბნა მას შინა ძმანი მოღვაწენი და მობაძენი სათნოებათა მისთანი, რიცხუთ ვითარ ოთხმოცნი, და განუჩინა მათ წესნი და კანონი მონასტრისაჲ მსგავსადვე წმიდისა საბაჲს ლავრისა. და კუალად აღაშენა იმრუსალმს ქსენადუქი, ვრცელი და შეუნიერი. ვითარ სრულ-ყო ესე ყოველი შეწევნითა ღმრთისაჲთა, მერმე მოუძღურდა გუამი მისი ფრიადის შრომისა და სიბერისაგან“<sup>15</sup>.

პროზორეს სვინაქსარული ცხოვრება დაწერილი უნდა იყოს სულ მალე პროზორეს გარდაცვალების შემდეგ პროზორეს მოწაფის მიერ.

ჯვრის მონასტრის აშენების ისტორიის შესახებ ცნობები შემოუნახავს კიდევ რამდენიმე წერილობით წყაროს. ერთ-ერთი მათგანია გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება, საიდანაც ვგებულობთ, რომ 1056 წელს იერუსალიმში ჩასულ გიორგი მთაწმიდელს ჯვრის მონასტერი მშენებარე დახვდა („ნეტარი მამა პროზორე მამინ ოდენ ჟუარის მონასტერსა აშენებდა“) <sup>16</sup>. ამის თაობაზე კ. კეკელიძე სამართლიანად შენიშნავს: „უნდა ვიფიქროთ, რომ 1042 წელს დასრულებული იყო მთავარი ტაძრის მშენებლობა, ხოლო რაც შეეხება მის მორთვასა და სენაკების აგებას, ეს 1056 წელსაც არ იყო სავსებით დასრულებული“<sup>17</sup>. მართლაც, ჩვენ არ ვიცით, თუ ჯვრის მონასტრის დიდი კომპლექსის რომელი ნაწილი შენდებოდა გიორგი მთაწმიდლის იქ ყოფნის დროისათვის. ამრიგად, ჯვრის მონასტრის მთელი კომპლექსის მშენებლობის დასრულების დროდ 1056-57 წლები უნდა მივიღოთ. ხოლო საკუთრივ როდის უნდა აშენებულიყო ჯვრის მონასტრის ძირითადი ნაწილი და რა დროიდან იყო ის მომქმედი მონასტერი, ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ხელნაწერი, რომელიც დღეისათვის დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (M—13). ეს საინტერესო ხელნაწერი ამ ბოლო წლებში მკვლევართა მიერ სხვადასხვა თვალსაზრისით იქნა შესწავლილი<sup>18</sup>. არსებობს აგრეთვე ამ ხელნაწერის აღწერილობანიც<sup>19</sup>.

ავთორაფული ლიტერატურის ძეგლები“, წ. IV (სვინაქსარული რედაქციები XI—XVIII სს.). მსგვე ეკუთვნის ამავე წიგნში შესული პროზორეს სვინაქსარული ცხოვრების უკანასკნელი პუბლიკაცია გამოკვეთითურთ.

<sup>15</sup> ძეგლები, IV, გვ. 346.

<sup>16</sup> ძეგლები, II, გვ. 144.

<sup>17</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 103.

<sup>18</sup> ვ. შეტრეველი, ვ. ავლიშვილი — ბიბლიოფილი და კოლექციონერი, საიუბილეო კრებული, კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე, თბ., 1959, გვ. 247—261; ილ. აბულაძე, სომხურ-ქართული-ფილოლოგიური შტუდიები, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962, გვ. 111—144; P. Орбели, К исследованию грузинского палимпсеста из лавры св. Саввы, сб. Эллинистический Ближний Восток, Византия и Иран, М., 1967, გვ. 125—134; მ. ვანესბროკი, ლენინგრადის პალიმპსესტური მრავალთავი: „მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი“, VI, თბ., 1978, გვ. 81. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 1980, გვ. 84—87.

<sup>19</sup> რ. ორბელის აღწერილობა M-13-ისა გამოქვეყნდება ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის II ტომში. ვ. შეტრეველის აღწერილობა

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ხელნაწერი, რომელიც შეიცავს იოანე ოქროპირის იოანეს თავის სახარების ეფთვიმისეულ თარგმანებას, წარმოადგენს კონვოლუტს, რომლის პირველი ნაწილი შეიცავს 1—125 ფურცელს, დაწერილს XI საუკუნის ნუსხურით; II ნაწილი — 126—469 ფურცელს, დაწერილს აგრეთვე XI საუკუნის ნუსხურით. ტექსტს ერთვის იოანესა და ეფთვიმეს ტრადიციული ანდერძები<sup>20</sup> (483—486).

ტექსტს ერთვის აგრეთვე ხელნაწერის გადამწერის მიქაელ ჩიხუარელის<sup>21</sup> ანდერძები. მოვიყვანთ რამდენიმეს:

ანდერძი, რომელიც უშუალოდ მოსდევს იოანე იბერის ანდერძს: „ხოლო დაიწერა გელითა გლახაკისა და მწარედ ცოდვილისა მიქაელ ჩიხუარელისაჲ ლავრასა დიდსა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაასსა, ბრძანებითა ღმერთშემოსილისა წმიდისა მამისა და მოძღურისა ჩემისა გიორგი ჭუარელისაჲთა მეფობასა ბერძენთა ზედა მიხაელისსა, ხოლო ქართველთა ზედა ბაგრატ კურაპალატისასა, ამას წმიდასა ზედა მამასახლისობასა ფრიად ბერისა ელიაასსა..“ (487r).

ამ ანდერძს უშუალოდ მოსდევს მთავრულით ნაწერი: „ქრისტე შეიწყალე მღვდელი მიქაელ დვალი, რომელმან გარდაწამებასა ამის წიგნისასა ფრიად ილუაწა“ (487r).

ამ ანდერძიდან ცნობილი ხდება, რომ ხელნაწერი გადაწერილია საბაწმიდაში ელიას მამასახლისობას გიორგი ჭვარელის ბრძანებით. ხელნაწერის გადაწერის დროისათვის ჭვარი უკვე აშენებულია და გიორგი-პროხოზრე ჭვარელის სახელით არის ცნობილი. გადამწერია მიქაელ ჩიხუარელი, რომელსაც გადაწერაში (შემოწმებაში) ეხმარებოდა მიქაელ დვალი. უფრო ზუსტ ცნობებს ხელნაწერის გადაწერის დროისა და ვითარების შესახებ გვაწვდის უკანასკნელი ვრცელი ანდერძი, რომელიც თვითონ ვიორგი-პროხოზრეს ეკუთვნის.

გიორგი-პროხოზრეს ამ ანდერძის დიდი ნაწილი თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ნ. მარის მიერ გამოქვეყნებულ პროხოზრეს ანდერძს<sup>22</sup>, რომლის ხელნაწერს მან მიაკვლია იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტებში<sup>23</sup>. ამ ფრაგმენტის შესახებ ნ. მარი წერს: «В связке отдельных листов и тетрадей, доставленных из Крестного монастыря, немало интересного... Особенно бросились в глаза шесть пергаменных листов из Толкования И. Злотоуста на Евангелие. С 2в листа имеем известную запись Иоанна с каталогом переводов его сына Евфимия, за которой следует следующая собственноручная запись основателя Крестного монастыря».

გამოქვეყნდება იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში, რომელიც მზადდება ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ.

<sup>20</sup> ყველაზე ადრეული დადასტურება ამ ანდერძებისა გვაქვს Ath. 10-ში, რომელიც ეფთვიმეს ავტოგრაფული ნუსხაა და შეიცავს მათეს თავის თარგმანებას. იხ. ივ. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982, გვ. 58—68. ივ. ლოლაშვილის სწორი დაკვირვებით, იოანეს თავის თარგმანებთან თავის შედგენილი ეს ანდერძი იოანე იბერის მიერ, დროთა ვითარებაში სხვადასხვა ხელნაწერში შეორდება ზოგიერთი ცვლილებით. მცირე დამატებებით დაერთო აგრეთვე ეს ანდერძი მათეს თავის ეფთვიმესეულ თარგმანებასაც, რომელიც შეიცავს დამატებით ცნობებს მათეს თავის თარგმანების ქართულად თარგმნის შესახებ.

<sup>21</sup> ჩიხუარელი ჩანს sin. 5 ხელნაწერის ერთ-ერთ ანდერძშიც. იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვეთი II, თბ., 1979, გვ. 27.

<sup>22</sup> მსგავსება M-13-ისა და მარისეული ფრაგმენტის პროხოზრეს ანდერძებს შორის აღნიშნული აქვს ლ. მენაბდეს, იხ. დასახ. შრომა, გვ. 83.

<sup>23</sup> ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 86.

ნ. მარის ამ ცნობებიდან არ ჩანს, თუ სახარების რომელი თავის თარგმანში ერთვოდა გიორგი-პროხოზრეს ანდერძი — მათესას თუ იოანესას. ერთი აშკარაა, რომ ხელნაწერის ფრაგმენტი, რომლის მიხედვითაც ნ. მარმა გამოაქვეყნა გიორგი-პროხოზრეს ანდერძი, M-13-ის ანალოგიურია. პროხოზრეს ანდერძი კი ორივე ხელნაწერში თითქმის იდენტურია. M-13 ხელნაწერში პროხოზრეს ანდერძის ტექსტი დაზიანებულია, ადგილ-ადგილ არ იკითხება. ნ. მარის ტექსტი უკეთ არის შენახული. აშკარაა, რომ M-13 ხელნაწერის ანდერძის წყაროა ნ. მარისეული ტექსტის პროხოზრეს ანდერძი. ოღონდ, თავისი დედნისაგან განსხვავებით, M-13-ის ანდერძი გავრცობილია დასაწყისში ლოცვის ფორმულებით და მოსახსენებლობით ბოლო ნაწილში. ამასთანავე, ანდერძს ერთვის ცნობები საკუთრივ M-13-ის შესახებაც, რომელიც, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა ნ. მარისეულ ფრაგმენტებში<sup>24</sup>.

მოგვყავს ორივე ანდერძის საერთო ადგილები ერთმანეთის გვერდით:

## M-13

## მარისეული ფრაგმენტი

„მ. მოწყალებითა ყოვლად წმიდისა არსებადაუბადებელისა სამებისაათა, რომლისა სახელი კურთხეულ არს უკუნიითი უკუნისამდე, და მისა მიმართ მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა და უმეტეს ქურთხეულსა დედოფლისა უკუნისა წმიდისა ღმრთისმშობელისა, ... ძლიერებითა... ყოვლად პატოისნისა საუფლოსა ჭუარისათა...“

ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხოზრე, სახელად ოდენ მღვდელი, ხოლო საქმით არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებლად წმიდასა ამას ცხოველსმყოფელისა ჭუარისა ადგილსა, და თანა [მოგებად]\* წმიდათა ამით წიგნთა თარგმანთა სახარებისათა იოვანეს თავისასა და მათესას სრულებთ, პირველად სალოცველად ღმრთივმკობილისა ყოველთა მნათობისა წმიდისა მამისა, მოძღურისა ჩემისა, სულდიდებულისა არსენის სულისათეს, კვალად, ღმრთივმოსილისა [მოძღურისა ჩემისა] იოვანეს სინელისათეს და სულთა მშობელთა ჩემთასა იოვანესა და [რიანუშისსა] და სულიერად და ჰორციელად დათა და მათა ჩემთასა და ყოველთა თვსთა ჩემთა ცოცხალთა და მიცვლებულთათეს სალოცველად<sup>25</sup>.

„სახელითა ღმრთისათა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისათა და ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატოისნისა ჭუარისათა, ... და მეოხებითა ყოველთა წმიდათადაც, რომელნი სათნო უყვენეს უფალსა ჩვენსა იესუ ქრისტეს,“

ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხოზრე, სახელად ოდენ მღვდელი, ხოლო საქმით არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებლად წმიდასა ამას ცხოველსმყოფელისა ჭუარისა ადგილსა, და თანა მოგებად წმიდათა ამით წიგნთა თარგმანთა სახარებისათა დ თავად განყოფილთა, მათესა და იოვანესა სრულთა, სალოცველად სულისა ჩემისა და ღმრთივმოსილისა წმიდისა მამისა და მოძღურისა ჩემისა არსენის სულისათეს, და ღმრთივმოსილისა მოძღურისა ჩემისა იოვანეს სინელისათეს და მშობელთა ჩემთა სულისათეს — იოვანესა და რიანუშისსა“.

M-13-ში ანდერძი გრძელდება მოსახსენებლებით და ცნობებით ამ ხელნაწერის შექმნის შესახებ: „და დავსხენ ამასვე წმიდასა მონასტერსა ჭუარს და ვინ რაათაეა მიზეზითა იკადროს და გამოავუნეს, შე-მცა-ჩუნებულ არს“

<sup>24</sup> ანდერძებისათვის ვსარგებლობ ჩვენი აღწერილობებით, რომლის ტექსტებიც ადგილზე (ლენინგრადში) კიდევ ერთხელ შეამოწმა თამილა მგალობლიშვილი.

\* [მოგებად] — გადაწერის გამოჩენია.

<sup>25</sup> კვლარატულ კაგებში ჩასმული სიტყვებით აღდგენილია M-13-ის დაზიანებული ადგილები მარისეული ფრაგმენტის მიხედვით.





წინაშე ღმრთისა... და ვინ ესე ჩუენი დადებული დაამტკიცეს. ანდერძის შემდეგ მთავრულით გამოყოფით წერია: „ოდეს ესე დაიწერა და განსრულდა, ქრონიკონი იყო 688, ინდეტიონი — 3“, ე. ი. 1038 წელი.

გიორგი-პროხოზეს ამ ორი ანდერძის შედარებისა და შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: 1. მიქაელ ჩიხუარელს ხელნაწერი M-13 გადაუწერია იმ ხელნაწერიდან, რომელსაც ახლდა ნ. მარის მიერ ფრაგმენტებში გამოვლენილი გიორგი-პროხოზეს ანდერძი. ეს ანდერძი კი გიორგი-პროხოზემ დაურთო მისივე ბრძანებით გადაწერილ მათესა ან იოანეს თავთა თარგმანების ერთერთ ხელნაწერს. ფრაგმენტმა არ შემოგვინახა ცნობა, თუ სახარების რომელი თავის თარგმანების ნაწილია პროხოზეს ანდერძი—მათესი თუ იოანესი. მაგრამ ვარაუდის გამოთქმა აქაც შესაძლებელია: მათესა და იოანეს თავთა თარგმანები თავისი დიდი მოცულობის გამო არ შეიძლება ერთ ხელნაწერში მოთავსებულ იყო. ამიტომ პროხოზეს, როგორც ამ ორივე ხელნაწერის მომგებელს, მომგებლის ანდერძი უნდა დაერთო უკანასკნელი წიგნისათვის, ე. ი. იოანეს თავისათვის. ამას ისიც გვიდასტურებს, რომ პროხოზეს ანდერძი უშუალოდ მოსდევს იოანე იბერის ცნობილ ბიბლიოგრაფიული ხასიათის ანდერძს, რომელიც თავიდანვე დაერთო იოანეს თავის სახარების თარგმანს. უძველესი დადასტურება ამ ანდერძისა შემოგვინახა იოანეს თავის თარგმანების ეფთვიმეს ავტოგრაფულმა ნუსხამ-Ath. 10, რომელიც 1002 წლით არის დათარიღებული. ამრიგად, ნ. მარის მიკვლეული ფრაგმენტი პროხოზეს ანდერძითურთ იოანეს თავის თარგმანების კუთვნილებაა. აქედან გადაწერა გაბრიელ ჩიხუარელმა თარგმანების ტექსტი პროხოზეს ანდერძითურთ.

2. გაბრიელ ჩიხუარელმა M—13 ხელნაწერი გიორგი-პროხოზეს ბრძანებით გადაწერა. ამიტომ მომგებლის ანდერძის შესადგენად მან ისარგებლა თავისი დედნის პროხოზისეული ანდერძით და ჩართო იგი M—13 ხელნაწერის მომგებლის ანდერძში თითქმის უცვლელად, დაურთო მას შესავალი ნაწილი და ბოლო ნაწილი, სადაც უკვე საკუთრივ M—13 ხელნაწერის შესახებაა ცნობები. M—13 ხელნაწერის პროხოზეს ანდერძის დამატებულ-გაგრძობილი ნაწილები სტილისტურად სხვაობენ პროხოზეს ანდერძის პირველი (მარისეული) ვარიანტისაგან და მიქაელ ჩიხუარელის დაწერილი უნდა იყოს. ჩანს ჩიხუარელმა, პროხოზეს დაველებით, თვითონ შეადგინა მომგებლის ანდერძი, რისთვისაც ისარგებლა დედანზე დართული გიორგი-პროხოზეს ანდერძით, რომელიც, ნ. მარის აზრით, თვით პროხოზეს ხელით დაწერილი უნდა იყოს.

3. ორივე ხელნაწერი გადაწერილია საბაწმიდაში გიორგი-პროხოზეს ბრძანებით. ჯერ გადაიწერა M—13-ის დედანი, ხოლო შემდეგ 1038 წელს—M—13. ორივე ხელნაწერი გადაწერილია ჯვრის მონასტრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, როგორც ეს პროხოზეს ანდერძებიდან ჩანს. პირველი, საფიქრებელია, განკუთვნილი იყო საბაწმიდის მონასტრისათვის, ხოლო M—13 გიორგი-პროხოზემ საბაწმიდური ნუსხიდან გადააწერინა გაბრიელ ჩიხუარელს, რათა შეეწირა უკვე აშენებული ჯვრის მონასტრისათვის. ე. ი. 1038 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ჯვრის მონასტრის მშენებლობა დამთავრებულია, ხელნაწერების გადაწერა მონასტრისათვის მიმდინარეობს საბას ლავრაში.

4. M—13 ხელნაწერის ხასიათი—ის კონვოლუტია, XI ს. ორი სხვადასხვა ხელნაწერისაგან არის შედგენილი—გაფიქრებინებს, რომ 1038 წელს გაბრიელ



ჩიხუარელის მიერ გადაწერილი ხელნაწერი დროთა ვითარებაში საგრძნობლად დაზიანდა და სერიოზულ რესტავრაციას თხოვლობდა. ამან გამოიწვია ხელნაწერის 1—125 ფურცლების შეცვლა სხვა ანალოგიური ხელნაწერის ფურცლებით. ხელნაწერის განახლებისათვის რომ დიდი სამუშაოა ჩატარებული, ამას გვიდასტურებს ურბნელ მთავარეპისკოპოსის ანდერძი, რომელიც მოთავსებულია M—13 ხელნაწერის 489r-ზე; „ღირს ვიქმენ მე ურბნელ მთავარეპისკოპოსი ვლასი შეეკახმად წიგნისა ამისიოვანეს სახარების თარგმანისა, რამეთუ ჟამთა სიგრძისა განრყუნილ და უხმარქმნილიყო და ჩუენ ახლად, ბრძანებითა და ჯერჩინებითა მამისა ჩ(უე)ნისა ტფილელ მთავარეპისკოპოსისა ბარნაბასითა შეეკახმეთ... ხოლო შეიკახმა წმიდაი ესე თარგმანი ქკნსა სწმ (1560)“<sup>26</sup>. საფიქრებელია, იოვანეს თარგმანების ხელნაწერი (1—125 ფ.), რომლითაც ვლასიმ აღადგინა ჩიხუარელის ხელნაწერი, M—13 ხელნაწერის დედანიცაა<sup>27</sup> და იოანეს თავის თარგმანების პირველი საბაწმიდური ნუსხაც, რომლის ბოლო ნ ფურცელს (იოანე იბერიისა და გიორგი-პროხოვს ანდერძებს) ნ. მარმა მიაკვლია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ხელნაწერთა ფრაგმენტების შეკვრაში.

ჯვრის მონასტრის მშენებლობის დამთავრების დროისათვის (1038 წ.) მონასტრს, ბუნებრივია, არ ექნებოდა ჯერ თავის სკრიპტორიუმი და არც მწიგნობარ-გადაწერთა საჭირო კადრი ეყოლებოდა. ჯვრის მონასტრის ძმათა საკრებულო, იმ დროისათვის, ალბათ, მცირერიცხოვანი, მონასტრის სამშენებლო სამუშაოებით იყო დაკავებული. ამიტომაც, რომ მონასტრის მშენებლობის პარალელურად გიორგი-პროხოვს ზრუნავდა და უკვეთავდა ჯვრის მონასტრისათვის ხელნაწერების გადაწერას სხვა ქართულ სამწიგნობრო კერებში, კერძოდ საბაწმიდას, სადაც გიორგი-პროხოვს ჯვრის მონასტრის მშენებლობის დამთავრებამდე ხანგრძლივად მოღვაწეობდა<sup>28</sup>. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ჯვრის მონასტრის საკრებულოს წევრები გამოთავისუფლდნენ მშენებლობაზე მუშაობისაგან, ზოგმა მათგანმა მოჰკიდა ხელი ხელნაწერების გადაწერას. ამის კარგი დადასტურებაა ბრიტანეთის მუზეუმის „მამათა ცხოვრებანის“ ცნობილი ხელნაწერი Add. 11281<sup>29</sup>.

ხელნაწერის გადაწერა დაიწყო, დასრულდა და შეიმოსა ჯვრის მონასტრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ. ამ ხელნაწერის მრავალრიცხოვანი ანდერძებიდან<sup>30</sup> ვგებულობთ: ხელნაწერის გადაწერია შავი იოანე. მან ხელნაწერის გადაწერა დაიწყო ჯვრის მონასტრის მშენებლობის დამთავრების უმაღლეს, რაშიც, როგორც ჩანს, თვითონაც იღებდა მონაწილეობას. ამაზე, ჩვენი აზრით, უნდა მიუთითებდეს ერთ-ერთი ანდერძი: „ღირს ვიქმენ

<sup>26</sup> ჯვრის მონასტერში ურბნელი ვლასისა და ბარნაბა თბილელების მოღვაწეობა დაზიანებული ხელნაწერის აღდგენა-აიქმებისათვის კარგად არის ცნობილი.  
<sup>27</sup> ძნელი დასაჯერებელია, რომ XI ს. 30-იანი წლებისათვის საბაწმიდაში კიდევ მეორე ნუსხა არსებულობდა იოანეს თავის სახარებისა, რომელსაც გამოიყენებდა დედნად ჩიხუარელი.  
<sup>28</sup> ახლად გაშენებული ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე ზრუნავდნენ შავი მთის ქართულ სკრიპტორიუმებშიც (იხ. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი P-3, გადაწერილი 1040 წელს).  
<sup>29</sup> ხელნაწერი აღწერილია და გამოცემული ვ. იმნაიშვილის მიერ: „მამათა ცხოვრებანი“ (ბრიტანეთის მუზ. ქართ. ხელნაწერი XI ს.), თბ., 1975.  
<sup>30</sup> ანდერძ-მინაწერები გამოქვეყნებულია ი. იმნაიშვილის დასახ. წიგნის 320—326 გვერდებზე.



გლახაკი და ფრიად ცოდვილი... შთაერდომილი უფსკრულსა ცოდვისსა შვე  
 იოანე დაწერად ამას წიგნსა „წმიდათა მამათასა“ ბრძანებითა და ლოცვითა  
 წმიდისა მამისა სულიერისა მოძღურისა პროხოლისითა თავისა სიგლახაკი-  
 თა, რომელ კურთხეულმან მიქაელ მეფემან ევლოგიაა გაყო და სადაითცა  
 ქრისტემან მოიღის, გავასრულე და შევმოსე და დაედევ წმიდასა ამას ად-  
 გილსა ჭუარისასა, რომლისა შტნებასა თანა ვშავდებოდე ურჩი  
 ესე... სალოცველთად ღმრთიეშემგობილთა მოძღურთა ჩემთა იოვანეს და  
 პროხოლი მამისა...“ (გვ. 325).

დიდი უშუალობით დაწერილი შავ იოანეს ანდერძით თვალწინ გეხატება  
 პალესტინის მცხუნვარე მზით ჯვრის მონასტრის მშენებლობაზე მძიმე შრო-  
 მაში გარუჯული იოანე, რომელსაც სიშავისათვის შავი იოანე შეერქვა.

მშენებლობის დასრულების შემდეგ იოანემ მიმართა თავის მოძღვარს  
 რჩევისათვის, თუ რითი მიუტანოს მონასტერს სარგებელი. მოძღვარს ურჩე-  
 ვია წერისთვის მოეციდა ხელი. ეს იყო, ჩანს, მისი ხელობაც: „მ, წმიდანო  
 ღმრთისანო, ესე ჩემი ნაწერი ვიცი, რომელ უნდო არს, გარნა ველსაქმარი  
 სხუა არაა ვიცოდე და ლოცვისათჳს უდებ ვიყავ და მოწყინე. ღმრთიე გან-  
 ბრძნობილმან იოვანე მოძღუარმან მიბრძანა: „წერდი, უგუწუროო“. ღმრთ-  
 მან აღიდე სული მათი“ (გვ. 323).

შავ იოანე რომ ჯვრის მონასტრის პირველი საკრებულოს წევრი იყო, რო-  
 მელმაც თავს იღვა მონასტრის აშენებასა და მის ორგანიზაციაზე, პირველ რიგ-  
 ში მონასტრის ბიბლიოთეკის შექმნაზე ზრუნვა, ესეც კარგად ჩანს იოანეს  
 ერთ-ერთი ანდერძიდან: „ქრისტე, მფლობელო ყოველთა საუკუნეთათო, აღი-  
 დენ სულითა მოძღუარი და მამაა ჩუენი გიორგი და ყოველნი შვილნი მთ-  
 ნი სულიერნი, რომელნი შემოგუკრიბნა წმიდასა ამას ადგილსა, რომელი დი-  
 დითა შრომითა მიჰმადლნა ღმერთმან, და აღაშენა ყოველთა სულთა შესავედ-  
 რებლად. და მე, უღირსი და ყოველთა შვილთა მისთა უნარჩევესი კადნიერ  
 ვიქმენ დაწერად თავისა სიგლახაკითა წიგნსა ამას, რომელსა ზედა მაქუნდა  
 გულსმოადგინებაა ფრიადი და ლოცვაა მოძღურისაა სრულიად, მით ჯელ  
 ვყავ, ყოველთა ლოცვა ყავთ იოვანშტუს“ (გვ. 322—323).

ამრიგად, შავ იოანე ჯვრის მონასტრის საკრებულოს პირველი შემად-  
 გენლობის წევრია, საკრებულოსი, რომელიც გიორგი პროხოორეს მხარში  
 ამოუდგა მონასტრის მშენებლობაში, რომლის ადგილი მას (პროხოორეს) „დი-  
 დითა შრომითა“ მოუპოვებია. მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოძღვრის  
 ლოცვა-კურთხევით იოანე შესდგომია ხელნაწერის გადაწერას იმპერატორ  
 მიქაელის მიერ იერუსალიმში განაწილებული სახსრებით (ევლოგიით). არ  
 არის გამორიცხული, რომ ეს სახსრები ჯვრის მონასტრის სხვა საკიროების-  
 თვისაც იქნა გამოყენებული.

ამრიგად, „მამათა ცხოვრებანის“ ხელნაწერი ერთ-ერთი პირველია, რომე-  
 ლიც გადაიწერა საკუთრივ ჯვრის მონასტრის საკრებულოში. ამ დროიდან  
 უნდა ვივარაუდოთ ჯვრის მონასტერში სკრიპტორიუმის შექმნა (თუმცა არც  
 ამის შემდეგ შეწყვეტილა ის დიდი დახმარება, რომელსაც უწყევდენ საქარ-  
 თველოსა თუ საზღვარგარეთ არსებული კულტურული ცენტრები და სკრიპ-  
 ტორიუმები ახლად აშენებულ მონასტერს ბიბლიოთეკის გამდიდრების საქ-  
 მეში). შავ იოანე კი ერთ-ერთი პირველი გადაწერია ახლად აშენებული  
 ჯვრის მონასტრის ძმობის წევრთაგან. ხელნაწერის გადაწერა შავ იოანეს  
 დაუწყია მონასტრის მშენებლობის დამთავრების უმაღლეს, ე. ი. 1038 წლის

ახლო ხანებში. ამიტომ ხელნაწერის გადაწერა დამთავრებულად უნდა ვთვალოთ 1039—40 წლებში, ე. ი. ბიზანტიის იმპერატორის მიქაელ მეორე ზეობის დროს (1034—41), რომლის გაგზავნილი ევლოგიით დაიწერა და შეიმოსა ეს ხელნაწერი.

Е. П. МЕТРЕВЕЛИ

## К ТОЛКОВАНИЮ ОДНОГО КОЛОФОНА ИЕРУСАЛИМСКОЙ РУКОПИСИ № 14

Резюме

В грузинской научной литературе господствовало мнение проф. А. Цагарели относительно того, что строительство Крестового монастыря в Иерусалиме было начато Прохором по инициативе Евфимия Святогорца являлся † 1028). В своем суждении А. Цагарели основывался на интерпретации колофона иерусалимской рукописи № 14.

В статье показано, что колофон ученым понят неправильно. В связи с этим снимается предположение, что Евфимий Святогорец был инициатором строительства Крестового монастыря.

## ბულნარა ნინუა

ფსევდონაგარის „დიდაქტიკური ეპისტოლე“ და მისი ქართული  
თარგმანი

მაკარი მეგვიპტელის სახელით ცნობილი „დიდაქტიკური ეპისტოლე“ ქართულად ექვთიმე მთაწმიდელმა თარგმნა. ეპისტოლის ტექსტი, რომელიც ექვთიმეს მიერვე თარგმნილ 26 თავისაგან შემდგარ „სწავლათა“ კრებულში რიგით პირველია, გამოქვეყნებულია. ქართულ ხელნაწერებში ამ თხზულებასაც, ისევე როგორც დანარჩენ 25-ს, „სწავლა“ ჰქვია<sup>1</sup>.

ფსევდონაკარის „დიდაქტიკურ ეპისტოლესა“ და გრიგოლ ნოსელის „Περὶ τῶν κατὰ θῆον σχόπου καὶ τῆς κατὰ ἀλήθειαν ἀσκήσεως“—ს შორის ძველთაგანვე შემჩნეული მჭიდრო ტექსტობრივ-იდეოლოგიური ნათესაობის პრობლემისადმი მიძღვნილმა ვ. იეგერის შრომამ — „ადრექრისტიანული ლიტერატურის ორი ახლად აღმოჩენილი ძეგლი: გრიგოლ ნოსელი და მაკარი“<sup>2</sup> — ჩვენამდე გვიან მოაღწია. იგი ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ წიგნში „ფსევდონაკარის თხზულებათა ქართული ვერსია“ არ ასახულა, თუმცა ვ. იეგერის მაკარის ამ თხზულებასთან დაკავშირებით მიღებული კვლევის შედეგი ჩვენთვის ცნობილი იყო სხვა ავტორთა შრომებიდანაც და მის მიერ გამოცემული გრიგოლ ნოსელის თხზულებათა კორპუსიდანაც<sup>3</sup>, რაც აისახა კიდევ ჩვენი პუბლიკაციის გამოკვლევაში.

ვ. იეგერის აღნიშნულ შრომას ერთვის ფსევდონაკარის „დიდაქტიკური ეპისტოლის“, ანუ, როგორც მას უწოდებენ, „ეპისტოლის მონაზვნებისადმი“, XI—XIII საუკუნეების ბერძნული ხელნაწერების მიხედვით მის მიერვე მომზადებული ტექსტი. ეს ხელნაწერებია: Cod Vat gr 694 (XII—XIII სს) = B; Cod Vat gr 710 (XII—XIII სს) = A; Cod Jer gr S. Saba 157 (XII) = H. Par gr 973 (1045 წ.) ხელნაწერს 1968 წელს მიაკვლია ჟ. დარუზესმა და მანვე გაარკვევა, რომ ეს არის ფსევდონაკარის კრებული (ადრე იგი ბასილი დიდს მიეწერებოდა), დღევანდელ კლასიფიკაციაში მას IV ტიპად მიიჩნევენ<sup>4</sup>. ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ამ ტიპის კრებულის ერთ-ერთი ადრეული ნუსხა უნდა ყოფილიყო ექვთიმეს თარგმანის წყარო. Cod Par gr 973 კი შეიძლება ქართული თარგმანის მოდელად ჩაითვალოს. ცხადია, ვ. იეგერის გამოცემაში ამ ხელნაწერის ჩვენება ასახული არ არის.

<sup>1</sup> ფსევდონაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. ნინუამ, თბ., 1982, გვ. 156—198.

<sup>2</sup> Two rediscovered works of ancient christian literature: Gregory of Nyssa and Macarius by Werner Iaege, Leiden, 1954. ამ შრომის ფოტოპირი ვაშლიანთა ასპირანტმა ედიშერ ჭელიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასწავებთ.

<sup>3</sup> Gregorii Nysseni, Opera Ascetica, ed. W. Iaege, J. P. Cavarinos, V. W. Callahan, VIII, I, Leiden, 1963.

<sup>4</sup> ფსევდონაკარის თხზულებათა ქართული ვერსია ..., გვ. 38—42.

ვ. იეგერის მიერ გამოქვეყნებული AB ხელნაწერები ადრე შეისწავლა ჰ. ლორენსმა<sup>6</sup>. მან დაასკვნა, რომ A-ში გვაქვს ეპისტოლის მოკლე ექსცერპტი, თუმცა ზოგჯერ იგი მინც ავსებს B-ს. ორსავე ხელნაწერს აკლია დასაწყისი. A-ში შენახულია ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ მოსდევს ეპისტოლის შესავალ ნაწილს, B უფრო ნაკლებია. დასაწყისი აკლია H ხელნაწერსაც<sup>7</sup>. ვ. იეგერის გამოცემული ტექსტის სქოლიოებიდან ჩანს, რომ AH იწყება ერთნაირად, B — უერთდება ცოტა ქვემოთ.

„დიდაქტიკური ეპისტოლის“ დასაწყისი ბერძნული ტექსტი ვ. იეგერს აღდგენილი აქვს იმ ბერძნული ვერსიის მიხედვით, რომელიც ხელნაწერებში ეფრემ ასურს მიეწერება და რომელიც გამოცემულია<sup>7</sup>. ამ ტექსტს მკვლევარი აღნიშნავს E ლიტერით. E-ს არ გააჩნია „ეპისტოლის მონაზვნებისადმი“ ბოლო ნაწილი.

ვ. იეგერის მიერ ტექსტის გამოსაცემად გამოყენებული ხელნაწერები ჯგუფდება ასე: AB და EH. ხელნაწერთა ეს ორი ჯგუფი, გამომცემლის დასკვნით, წარმოგვიდგენს „დიდაქტიკური ეპისტოლის“ ორ რედაქციას, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და ერთად იძლევიან ამ თხზულების სრულ ტექსტს.

ვ. იეგერი მაკარის სახელით ცნობილი „დიდაქტიკური ეპისტოლით“ დანტერესდა გრიგოლ ნოსელის მემკვიდრეობის შესწავლისას. გრიგოლ ნოსელის ტრაქტატს „ჰეშმარიტი ასკეტური ცხოვრების შესახებ“ რომ ენათესავენოდა მაკარის ერთ-ერთი თხზულება, ამას XIII საუკუნის ხელნაწერის (Vat gr 1433) მინაწერიც ადასტურებს. ვ. იეგერი აღნიშნავს, რომ ეს მინაწერი ვადასულა Cod Par gr 399-ში (XVI ს.). Cod Vat gr 1433 ვადაწერილია Cod Vat gr 1907-დან (XII ს.). ამ უკანასკნელში აღნიშნული მინაწერი არ არის. აქედან გამომდინარე ვ. იეგერი ასკვნის, რომ ყოველ შემთხვევაში XIII საუკუნეში სწავლულმა მკითხველმა თუ ვადაწერმა შენიშნა არსებული მსგავსება და გამოიტანა ის დასკვნა, რომელიც ბუნებრივი იყო მისი დროისათვის: გრიგოლ ნოსელმა ისარგებლა მაკარის ეპისტოლით, რადგან ეპისტოლის ავტორი მისთვის მაკარი დიდი მეგვიპტელი იყო, რომელიც გრიგოლზე ადრე მოღვაწეობდა.

ვ. იეგერი განიხილავს ამ საკითხის კვლევის ისტორიას. გამოყოფს XX საუკუნის დასაწყისის ორ მკვლევარს: ი. სტიგლმაიერს და ლ. ვილეკურს. ამ მეცნიერებს ხელთ ჰქონდათ გრიგოლ ნოსელისა<sup>8</sup> და მაკარის<sup>9</sup> ჩვენთვის საინტერესო თხზულებების ის ვარიანტები, რომლებიც მინის P. G.-ში იყო დაბეჭდილი. გვიან აღმოჩენილი მასალა, რომელიც ვ. იეგერმა გამოიყენა (მაკარის „ეპისტოლე მონაზვნებისადმი“ და გრიგოლის ტრაქტატის ვრცელი რედაქცია), მათთვის უცნობი იყო.

ი. სტიგლმაიერმა 1910 წელს გამოაქვეყნა შრომა<sup>10</sup>, რომელშიაც ასეთი დასკვნებია წარმოდგენილი: 1. მაკარის ეპისტოლე ეყრდნობა გრიგოლ ნოსე-

<sup>6</sup> Dörries, Symeon von Mesopotamien, Die Überlieferung der messalianischen „Makarios“-Schriften, Texte und Untersuchungen zur Geschichte der althristlichen Literatur, 55, 1; Leipzig, 1941.

<sup>7</sup> იხ. ვ. იეგერის გამოცემული ტექსტი, გვ. 233, 235; 237; 277.

<sup>8</sup> Ephraemi Syri, Opera graece; ed. Assemani, t. III, Romae, 1746, გვ. 324—356.

<sup>9</sup> P. G., t. 46; გვ. 287—306.

<sup>10</sup> P. G., t. 34; გვ. 409—441.

<sup>11</sup> J. Stiglmayr, Makarios der Große und Gregor von Nyssa, Theologie und Glaube, II, 1910 (შრომას ვუთითებთ ვ. იეგერის წიგნის მიხედვით).



ლის ტრაქტატს; 2. ეპისტოლის ავტორი არ უნდა იყოს მაკარი დიდი მეგვიპტელი; 3. ორსავე თხზულებაში არის ადგილები, რომლებიც ორსავე ავტორს ახასიათებს, მაგრამ მაკარის ეპისტოლეში არის ისეთი ტექსტიც, რომელსაც პარალელი არ გააჩნია გრიგოლის ჰომილიაში, რაც მაკარის ინტერპოლაციებს უნდა წარმოადგენდეს.

ლ. ვილეკურმა 1920 წელს შეისწავლა იგივე მასალა და მის მიერ ბრიტანეთის მუზეუმში აღმოჩენილი VI საუკუნის სირიული ხელნაწერი (Br M 727, Add 12 175, 534 წლისა), რომელიც შეიცავს „ეპისტოლის მონაზვნებისადმი“ შემოკლებულ ვარიანტს<sup>11</sup>. ამ აღმოჩენამ ლ. ვილეკურს მისცა საშუალება „დიდი ეპისტოლის“ შექმნის მიახლოებით თარიღად V საუკუნე ჩათვალა. მისი დასკვნები ასეთია: 1. „დიდი ეპისტოლე“ იყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში ავტორი მსჯელობს იმაზე, რომ ადამიანი ღმერთმა შექმნა ვნების (πάθη), ცოდვის გარეშე. ღმერთმა მისცა კაცს თავისუფალი ნება. *πάθη* არის სულიერი ცოდვის შედეგი. ღმერთს სურს კაცი გაანთავისუფლოს ვნებათაგან, მაგრამ კაცს არ შეუძლია სულში ცოდვა არ ჰქონდეს. მეორე ნაწილი შინაარსით სრულიად განსხვავდება პირველისაგან. აქ ლაპარაკია სამონასტრო ძმობის ცხოვრებაზე. განხილულია მონასტრის წინამძღვრისა და მონაზვნების ურთიერთობის საკითხი.

გრიგოლის ჰომილიაც ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი ეხება რელიგიური ცხოვრების მიზანს (*σχοιράς*), მეორე ნაწილი კი ძალიან ახლოს დგას მაკარის „დიდი ეპისტოლის“ მეორე ნაწილთან.

2. მაკარის ეპისტოლის II ნაწილი მსგავსებასთან ერთად შეიცავს განსხვავებულ მთელ წინადადებებს და ბოლოს რამდენიმე პარაგრაფს, რომელთაც არ გააჩნიათ პარალელი გრიგოლის ჰომილიაში. ამიტომ, ლ. ვილეკურის დასკვნით, გრიგოლის ჰომილია არის მაკარის ეპისტოლის ინტერპოლაცია.

3. გრიგოლის ჰომილიის I და II ნაწილები ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, მაკარის ეპისტოლის I და II ნაწილები კი არა. აშკარად იგრძნობა, რომ ეს უკანასკნელი მექანიკური შენაერთია.

4. მაშასადამე, ამბობს ლ. ვილეკური, დიდი ეპისტოლის I ნაწილი თავდაპირველი სახით არ შემონახულა. მაკარის ეპისტოლის I ნაწილის მოდელი შემონახულია გრიგოლის ჰომილიის I ნაწილის სახით, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ, ისევე როგორც ჰომილიის მეორე ნაწილი, პირველიც შემოკლებული უნდა იყოს ეპისტოლის სავარაუდო პირველ ნაწილთან შედარებით.

5. ი. სტიგლმაიერის და სხვათა გამოკვლევებმა ლ. ვილეკური დაარწმუნეს, რომ ეპისტოლის ნამდვილი ავტორი მაკარი დიდი მეგვიპტელი არაა. ეპისტოლე შექმნილია გრიგოლ ნოსელის მოღვაწეობის ხანაზე გვიან. ეს ფაქტორიც და გრიგოლ ნოსელის დიდი ავტორიტეტიც, რომელიც გამორიცხავს გრიგოლის ინტერპოლატორად ჩათვლის შესაძლებლობას, ლ. ვილეკურს აკეთებინებს ასეთ დასკვნას: ტრაქტატი ჰეშმარიტი ასკეტური ცხოვრების შესახებ არ ეკუთვნის გრიგოლ ნოსელს. იგი წარმოადგენს მაკარის სახელით ცნობილი ეპისტოლის გადაკეთებას.

6. მაკარის რელიგიური იდეების წყაროდ ლ. ვილეკურს მიაჩნია ბერების ერეტიკული ერთობის — მესალიანობის იდეალები.

<sup>11</sup> L. Villecaurt, La grande lettre grecque de Macaire, ses formes textuelles et son milieu litteraire, Revue de l'Orient Chrétien, vol. 22, 1920, pp. 29—56.

ვ. იეგერი ამ გამოკვლევათა განხილვის შემდეგ ამბობს, რომ მეცნიერთა ყველა დასკვნა დამყარებულია ამ ორი თხზულების მსგავსების მხოლოდ გარეგნულ ნიშნებზე. იგი დიდად აფასებს ჰ. დორიესის კვლევის შედეგებს, რომლის მიერ ფსევდომაკარის ეპისტოლისათვის მიწოდებულმა ახალმა მასალამ მას დიდი სამსახური გაუწია, მაგრამ არც ჰ. დორიესს და არც სხვა მკვლევართ დაუსვამთ საკითხი ამ ორი თხზულების თეოლოგიური შინაარსისა და ენის ფორმის შედარების შესახებ, მაშინ როდესაც, ვ. იეგერის აზრით, სწორედ ამ გზით შეიძლება ნამდვილი ავტორის დადგენა.

ახალდმოჩენილმა ხელნაწერმა მასალამ, რომელშიაც სხვა სახით წარმოდგა როგორც გრიგოლის ტრაქტატი, ასევე ფსევდომაკარის ეპისტოლე, და ამ მასალის თეოლოგიურმა და ენობრივ-სტილისტიკურმა ანალიზმა ვ. იეგერს მისცა საშუალება სხვაგვარად წარმოედგინა ამ ორი თხზულების ურთიერთმართების სქემა.

ჰ. დორიესის მიერ ახლადდმოჩენილმა მასალამ დაადასტურა ლ. ვილეკურის ზოგი დასკვნა: „დიდი ეპისტოლე“ მართლაც ორი მექანიკურად შეერთებული ნაწილისაგან შედგება. ჰ. დორიესმა გააკვირა, რომ I ნაწილი უდრის მაკარის სახელით ცნობილი „50 სასულიერო ჰომილიიდან“ მე-40 ჰომილიას. ასე დადგინდა, რომ P. G.-ს 34-ე ტომში 409—442 გვერდებზე დაბეჭდილი „დიდი ეპისტოლე“ არის მე-40 ჰომილიისა და მაკარის სახელით ცნობილი „ეპისტოლის მონაზვნებისადმი“ მექანიკური შენაერთი.

ჰ. დორიესის მიერ აღმოჩენილი „ეპისტოლე მონაზვნებისადმი“ არის ფსევდომაკარის „დიდი ეპისტოლის“ ორიგინალი. იგი მართლაც უფრო გავრცობილია იმ ნაწილში, რომელიც დაცული იყო ადრე „დიდი ეპისტოლედ“ წოდებული თხზულების II ნაწილის სახით.

გარდა ამისა, ვ. იეგერმა ახლადმიკვლეული ხელნაწერების საფუძველზე შეავსო გვიანდელ პერიოდში გადამწერ-რედაქტორთაგან შემოკლებული გრიგოლ ნოსელის თხზულების „*Περὶ τοῦ κατὰ μέτρον σχοιῆν καὶ τῆς κατὰ ἀλήθειαν ἀσκήσεως*“ და გამოაქვეყნა კიდევ პირველად 1952 წელს<sup>12</sup>.

გრიგოლ ნოსელის ტრაქტატის მის მიერ აღდგენილი კრიტიკული ტექსტისა და მაკარის „ეპისტოლის მონაზვნებისადმი“ შედარებამ ვ. იეგერს მისცა საშუალება გამოეტანა შემდეგი დასკვნები:

1. ამ ორი თხზულების უდიდესი ნაწილი მართლაც საოცრად ახლოს დგას ერთმანეთთან. 2. ფსევდომაკარის „ეპისტოლეს მონაზვნებისადმი“ მეტი აქვს ბოლო 20-მდე გვერდი. 3. იმ ფარგლებში, რომელიც ორსავე თხზულებას აქვს, ძირითადად საერთოა ბიბლიური წყაროების ციტიცია. 4. საერთოა თეოლოგიური ტერმინოლოგია. 5. მაკარის „ეპისტოლე მონაზვნებისადმი“ წარმოადგენს გრიგოლის ტრაქტატის „ქეშმარიტი ასკეტური ცხოვრების შესახებ“ სრულ პერიფრაზს. 6. მაკარი თავის ეპისტოლეში საკუთარ აზრებსაც ამატებს. ამ მიზანს ემსახურება ის ბოლო ოცი გვერდი, რომელსაც პარალელი არ გააჩნია გრიგოლის თხზულებაში.

ვ. იეგერი ასაბუთებს, რომ გრიგოლ ნოსელის ტრაქტატი „ქეშმარიტი ასკეტური ცხოვრების შესახებ“ ამ ავტორის უკანასკნელი ნაწარმოებია. ასეთი

<sup>12</sup>. ჩვენ ხელთა გვაქვს ამ ტექსტის ბოლო გამოცემა: Gregorii Nysseni, Opera ascetica, ed W. Jaeger, ... Leiden, 1963, გვ. 40—89.





დასკვნის გამოტანის საშუალებას მკვლევარს აძლევს გრიგოლის სხვადასხვა ბათა აშკარა კვალი ტექსტში.

ტრაქტატი „ქეშმარიტი ასკეტური ცხოვრების შესახებ“ დაწერილია მონაზონთა თხოვნით. ეს ჩანს ტექსტიდან. ტრაქტატი ემსახურება ასკეტური ცხოვრების მიზნისა და წესის ჩამოყალიბებას და საერთოდ ასკეტიზმის იდეალების გავრცელებას. ვ. იეგერის აზრით, ეს არის ინსტრუქცია ბერების მომდევნო თაობებისათვის, თუმცა თავიდან გრიგოლს თხოვნით მიმართეს ერთ-ერთი კონკრეტული ძმობის წევრებმა (ვ. იეგერის ვარაუდით, ბასილი დიდის მიერ პონტოში დაარსებული მონასტრის ბერებმა), მაგრამ ამ კონკრეტული თხოვნის შედეგად შექმნილი ნაწარმოები შემდგომში იქცა საყოველთაოდ სავალდებულო და უაღრესად პოპულარულ სახელმძღვანელოდ. პოპულარობის ერთ-ერთ ნიშნად მკვლევარს მიაჩნია ტრაქტატის მაკარის ან სიმეონის სახელით ცნობილი ბერძნული, არაბული და სირიული პერიფრაზებები.

მაკარის სახელით ცნობილი „ეპისტოლე მონაზვნებისადმი“, მაშასადამე, გრიგოლის თხზულების პოპულარობის შედეგად შექმნილი ნაწარმოებია. ცხადია, ამ პერიფრაზის ავტორი არ შეიძლება იყოს მაკარი დიდი მეგვიპტელი, რადგან გრიგოლის ტრაქტატი ყველა ნიშნით უნდა დაწერილიყო 390—395 წლებში, ამ დროს მაკარი დიდი უკვე ცოცხალი აღარ იყო.

ვ. იეგერი აქედან გამომდინარე ასე ავითარებს თავის აზრს: „ეპისტოლის მონაზვნებისადმი“ ავტორი V საუკუნის მოღვაწეა (ეს თარიღი უდავოა, რადგან არსებობს ლ. ვილეკურის მიერ აღმოჩენილი 534 წელს გადაწერილი სირიული ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ეპისტოლის მოკლე ვარიანტს). ფსევდომაკარის მიზანი არ იყო გრიგოლ ნოსელის იდეების მითვისება.

ეპისტოლეში, ისევე როგორც ტრაქტატში, ნათქვამია, რომ ავტორს ძმებმა სთხოვეს დაეწერა მათთვის, „თუ ვითარი ცხოვრებაა უკმს, რომელნი-იგი განყენებულ არიან კორციელთა გემოთაგან და მოქალაქობისაგან ამის სოფლისა...“<sup>13</sup> ვ. იეგერის აზრით, შესაძლებელია, ესეც გრიგოლის პერიფრაზა იყოს, მაგრამ უფრო დასაშვებია, რომ ეპისტოლის ავტორს მართლაც მიმართეს ასეთი თხოვნით. ამიტომ მან შექმნა ახალი შრომა, რომელსაც უნდა გაეადვილებინა ბერებისათვის გრიგოლის ტრაქტატის აზრის გაგება. მან მისცა თავის თხზულებას ეპისტოლის ფორმა და ამით უფრო მისაწვდომი გახადა მკითხველთათვის.

ვ. იეგერი თვლის, რომ ეპისტოლე დაიწერა განსწავლული აუდიტორიისათვის, რომელმაც კარგად იცოდა, რომელი თხზულება იყო ეპისტოლეში ქადაგებული იდეების ნამდვილი წყარო. ბერები, ცხადია, იცნობდნენ გრიგოლ ნოსელის შრომას ორიგინალში და ამიტომ გრიგოლის სახელი აღარ ფიგურირებს ფსევდომაკარის ეპისტოლეში.

ეპისტოლის ავტორი კი არ ითვისებს გრიგოლის თხზულებას, არამედ თარგმანებს (კომენტარს) უკეთებს მას და ვ. იეგერის თქმით: „ტრაქტიტის კლასიკური სტილი გადაჰყავს ჰომილეტიკურში, რითაც უშუალო ეფექტს ახდენს მსმენელზე“.

გრიგოლ ნოსელის იდეების გავრცელების მაგალითია ისიც, რომ მოგვიანო პერიოდში გაკეთდა მაკარის „ეპისტოლის მონაზვნებისადმი“ ახალი პერი-

<sup>13</sup> ფსევდომაკარის თხზ. ქართ. ვერსია..., გვ. 157, 21—22.

ფრაზა, რომლის ავტორი არ შეიძლება ყოფილიყო ეპისტოლის შემქმნელი. ეს არის მაკარის სახელითვე ცნობილი ორი სიტყვა: „Περὶ τειλεσιότητος ἔν πνεύματι λόγιος“ და „Περὶ προξενίας λόγιος“<sup>14</sup>. ამ ორი სიტყვის და „ეპისტოლის მონაზვნებისადმი“ ქართული თარგმანის მიმართების სქემა ჩვენ ადრე წარმოვადგინეთ<sup>15</sup>.

სირიულ ეკლესიაზე გრიგოლ ნოსელის იდეათა გავლენის საბუთად ვ. იეგერს მიაჩნია „ეპისტოლის მონაზვნებისადმი“ მოკლე სირიული ვერსიისა და ბერძნული შემოკლებული ტექსტის არსებობა, რომელიც ეფრემ ასურს მიეწერება.

ვ. იეგერი არ იცნობს „ეპისტოლის მონაზვნებისადმი“ ქართულ თარგმანს, თუმცა უშვებს, რომ შეიძლება შემონახული იყოს ამ თხზულების სხვა ვერსიებიც როგორც ბერძნულ და სლავურ, ასევე აღმოსავლურ (უფრო სირიულ და კობტურ) ენებზე.

ვ. იეგერის დასკვნით ფსევდომაკარის „ეპისტოლის მონაზვნებისადმი“ ყველაზე სრულ ტექსტს წარმოადგენს ამ თხზულების არაბული ვერსია.

ვ. იეგერი არაჩვეულებრივი სიზუსტით და დაწვრილებით ადარებს ერთმანეთს ამ ორი თხზულების ბერძნულ ტექსტებს და შედარების შედეგები მას აძლევს ახალ მყარ საბუთებს იმისათვის, რომ ჩათვალოს გრიგოლ ნოსელის ტრაქტატი „ქუშმარიტი ასკეტური ცხოვრების შესახებ“ ფსევდომაკარის „ეპისტოლის მონაზვნებისადმი“ მოდელად. მისი აზრით, ამაზე პირველ რიგში მიუთითებს ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულია მაკარის ეპისტოლეში და რომელთა გავება ხერხდება მხოლოდ გრიგოლის ტრაქტატთან შედარების შედეგად. შეცდომათა წყარო ზოგჯერ ისაა, რომ ეპისტოლის ავტორმა კარგად არ იცის გრიგოლის ბიოგრაფიის ზოგი მომენტი. ზოგჯერ კი არასწორად არის გაგებული რომელიმე სიტყვა. ამ უკანასკნელის მაგალითად ვ. იეგერს მოჰყავს ერთი ადგილი: გრიგოლ ნოსელთან ლაპარაკია ხორცის ქედმალლობაზე (τὸ τῆς σαρκὸς φρόνημα). მაკარისთან φροσιεῖν, φρόνημα-ს ნაცვლად გამოყენებულია სიტყვა φρόνησις, რაც კეთილგონიერებას, სიბრძნეს ნიშნავს. გრიგოლის მიერ ხმარებული სიტყვა — „ქედმალლობა“ გრაფიკული აღრევის ნიადაგზე მაკარისთან იქცა „სიბრძნედ“ (ცხადია, ექვთიმე მთაწმიდელი, რომლის უშუალო წყარო ფსევდომაკარის ეპისტოლეა, ამ ადგილას „სიბრძნეს“ თარგმნის: „რამათა განვეყენეთ ბოროტისა ამისგან და პირუტყუებრივისა სიბრძნისა ჩუენისა“)<sup>16</sup>.

ვ. იეგერი ანაწევრებს ტექსტებს. ყურადღებას ამახვილებს ფრაზის დამწეებ სიტყვებზე, რომლებიც ზოგჯერ იდენტურია, ზოგჯერ სინონიმური.

გრიგოლის და მაკარის ტექსტებში ერთნაირი თანმიმდევრობით მოყვანილ თითქმის იდენტურ ბიბლიურ ციტაციას ახლავს ავტორისეული მსჯელობანი, სადაც ერთი და იგივე აზრი გამოთქმულია სხვადასხვა ენობრივი საშუალებით.

მოვიყვანთ ერთ ნიმუშს მაკარისა და გრიგოლის თხზულებათა ტექსტების შესადარებლად.

<sup>14</sup> P. G., t. 34, გვ. 842—852, 858—866.

<sup>15</sup> ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია..., გვ. 41—42.

<sup>16</sup> ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია..., გვ. 157, 14—15.



მაკარის ეპისტოლე მონაზვნებისადმი“  
(ვ. იეგერის გამოც. 237, 15—19)

ἐπὶ δὲ τῆς ἀνωθιαν ἐκ τοῦ πνεύματος γεννήσεως ὅς ταύτην ἄρῃσιν τῆν ἀκολουθίαν, ἀλλὰ πόνον καὶ ἀγῶνα καὶ ὄραμον μετὰ ἰσομοιῆς πολλῆς τῆ ἀντεξουσίᾳ προαιρέσει τοῦ ἀνθρώπου ξίθητο κατὰ τὸ ἰπὸ τοῦ κυρίου εἰρέον...

მალლიდან (ზეციდან) სულიერი შობის შესახებ არა ამ სახით განუვითარებდა ტანჯვით, შრომით და სრბით (მასწრაფებით) დიდი მოთმინების შედეგად უბრძანებია კაცის თვითმვლობელი ნებისათვის, როგორც თვით უფალი იტყვას.

ამის შემდეგ ორსავე ტექსტში მოსდევს ერთი და იგივე ციტატა სახარებიდან: ლუკა 13, 24, ან მათე 7, 13.

ამგვარად, ვ. იეგერისათვის ექვს ვარეშეა, რომ მაკარის „დიდაქტიკური ეპისტოლის“ მოდელი არის გრიგოლის ტრაქტატი „ჰემმარტი მონაზვნობის შესახებ“. მისთვის ამ უდავო ფაქტიდან გამომდინარე იგი ანალიზებს მაკარის სახელით ცნობილ II ტიპის კრებულს („50 სასულიერო ჰომილიას“), რომელიც ჩვენ სხვა კრებულებთან შედარებით გვიან შექმნილად მიგვაჩნია<sup>17</sup>, და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ყველა თხზულებას აერთიანებს მაღალი, ენთუზიანზმით სავსე სტილი, ერთნაირი თეოლოგიური ლექსიკა, ტერმინოლოგია, ბიბლიიდან ციტირებული მასალა. ყველა თხზულება ქადაგებს ერთსა და იმავე ასკეტურ-მისტიკურ ფილოსოფიას. ძმობის წევრობის ფსევდომაკარისეული გაგება ყველგან ერთია: სრული დამორჩილება ღვთიური ნებისადმი, ლოკვის გამორჩეული სიყვარული, მონანიება.

ვ. იეგერის აზრით, ის თეოლოგიური გადახრები, რომელთაც პირველად ვილგელმმა მიაქცია ყურადღება და რასაც იზიარებს ჰ. დორიესიცი, ე. დარუზესიცი და ზოგი სხვა მკვლევარიც, უმეტესად გამოწვეულია ფსევდომაკარის ჰომილიებისათვის დამახასიათებელი რეალისტური სურათების აღწერით. მკვლევარი ასე ხსნის ამგვარი სახეების არსებობას მისტიკურ თხზულებებში: „ჰომილიათა ავტორი ცდილობს თავისი ღვთიური წარმოსახვები თვალსაჩინოდ დაანახვოს მკითხველს და ამიტომ ანალოგიურს ეძებს რეალურ სამყაროში.

ასეთი ახსნა არაა საკმარისი ამ თხზულებათა ავტორის მესალიანობის ბრალდებისაგან გასანთავისუფლებლად, მაგრამ თუ გრიგოლ ნოსელს მივიჩნევთ ფსევდომაკარის თეოლოგიის წყაროდ, მაშინ ძნელია „მაკარიანულ“ თხზულებათა ავტორის ერეტიკოსად გამოცხადება.

გრიგოლ ნოსელის ტრაქტატი „Περὶ τῶν κατὰ Θεὸν σχοπιῶν καὶ τῆς κατὰ ἀλήθειαν ἀσκήσεως“ ვ. იეგერს გამოცემული აქვს ხუთი ხელნაწერის მი-

გრიგოლ ნოსელის ტრაქტატები  
(VIII, I გვ. 46, 102244) 1919

...τὸ δὲ τῆς ψυχῆς ἐν τῇ τῆς γεννήσεως ἀνανεώσει μέτρον καὶ κάλλος, ὃ παρέχει δὴ τῆς τῶν δεχομένου σπουδῆς ἢ τοῦ πνεύματος χάρις. τῆς ἡμετέρας, ἦρτηται γυνάμης. ὅσον γὰρ ἐκτείνων τοὺς ἄνω τῆς ἐσσεβείας ἀγῶνα, τοσοῦτον καὶ τὸ τῆς ψυχῆς συνεκτείνεται μέγεθος δὴ τε ἀγῶνων καὶ πόνον ἄνω καὶ ὁ κύριος ἡμῶν ἐγκαιεῖται...

რაც შეეხება სულს, მისი შობის დროს აღდგება ზომიერება და მშვენიერება სულიერი სიხარულის მომიწვებელი ზრუნვით, რაც დამოკიდებულია ჩვენ გონებაზე. რამდენადაც მეტს ზრუნავ საღმრთო ღვაწლზე, იმდენად გაიზარდება სულის სიღიაღ ღვაწლით და შრომით, რომლის შესახებ თვით უფალი მოგვიწოდებს.

<sup>17</sup> ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია..., გვ. 29—31.

ხელვით<sup>18</sup>. ითვალისწინებს აგრეთვე 1638 წლისა და მინის P. G. XLVI ტომში დაბეჭდილ ტექსტებსაც. ხელნაწერები დათარიღებულია — ერთი XI საუკუნით (Cod Ambrosianus C 135), ორი XII საუკუნით (Cod Venetus Markianus gr 68; Cod Vat gr 1907), ერთი XIII საუკუნით (Cod Vat gr 1433) და ერთი XVI საუკუნით (Cod Leidensis Gronovianus 12).

უფრო ადრეული ხელნაწერები გრიგოლ ნოსელის ამ თხზულებისა დღე-ისათვის ცნობილი არ არის.

ვ. იეგერი მიუთითებს, რომ გრიგოლ ნოსელის ტრაქტატი „ქეშმარიტი ასკეტური ცხოვრების შესახებ“ არის ამ ავტორის უკანასკნელი ნაწარმოები. ამას ამტკიცებს იგი თხზულების ტექსტის გრიგოლ ნოსელის სხვა ადრეულ ნაწარმოებებთან შედარების შედეგებზე დაყრდნობით. განსაკუთრებით ძლიერი გავლენა ტრაქტატზე მოუხდენია გრიგოლის ორ თხზულებას, ესენია: 1. *Περὶ Παρθενίας* და 2. *Περὶ ἀρετῆς ἡτοῖς εἰς τὸν βίον Μωυσεως*.

ქართულ ხელნაწერებში დაცულია გრიგოლ ნოსელის ყველა მნიშვნელოვანი თხზულების თარგმანი<sup>19</sup>. თარგმნილია ზემოთ მითითებული ორი თხზულებაც. 1. „ქალწულებისათვის“ (A 108, გვ. 147v—151v. 2. „თქუმული, რომელი მიუწერა ძმასა ვისმე, რომელსა ეთხოვა მისგან სწავლა სულიერი სისრულისათვის და მან შემოიღო მოსეს ცხოვრება და მიუწერა“ (A 108, გვ. 175v—235v). ორივე თხზულება უთარგმნია ექვთიმე მთაწმიდელს<sup>20</sup>.

ვ. იეგერის მიერ გრიგოლ ნოსელის უკანასკნელ თხზულებად მიჩნეული ტექსტის („*Περὶ τῆς ἀρετῆς μὲν σιχοπῆς καὶ τῆς ἀρετῆς ἀλήθειαν ἀπαίτησας*“) თარგმანი ქართულ ხელნაწერებში არ ჩანს.

მაკარის სახელით ცნობილი „ეპისტოლე მონაზვნებისადმი“ კი, როგორც ამ ავტორის კრებულის პირველი თავი მთელ კრებულთან ერთად ექვთიმე მთაწმიდელმა თარგმნა თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისში (ექვთიმეს თარგმანთა მისი მამის იოვანეს მიერ შედგენილ ნუსხაში „მაკარის წიგნი“ რიგით მეხუთეა). „ეპისტოლე მონაზვნებისადმი“ (- „სწავლათა“ თავი 1) ჩვენამდე მოღწეულია სამი ქართული ხელნაწერით (Ath 11, 1030 წ. Jer 73, XI—XII სს; ქუთ. 181 XI ს.) და სამსავე ხელნაწერში ტექსტი სრულადაა წარმოდგენილი.

ვ. იეგერმა, იმისთვის რომ აღედგინა ამ თხზულების ბერძნული ტექსტის სრული სახე, გამოიყენა რამდენიმე ბერძნული ხელნაწერი, მათ შორის ეფრემ ასურის თხზულებათა შორის შესული ვერსიაც (იხ. ზემოთ, გვ. 92—93). არც ერთ ვ. იეგერისთვის ცნობილ ბერძნულ ხელნაწერში და არც მოგვიანებით მიკვლეულ Cod Par gr 973-ში, რომელიც ჩვენ ქართული თარგმანის მოდელად მიგვაჩნია, ამ თხზულების სრული სახე დაცული არ არის: ზოგი ხელნაწერის ფურცლებია დაკარგული, ზოგში შემოკლებული ვერსიია შემონახული; ამიტომ ვ. იეგერს ბერძნული ტექსტის სრული სახის წარმოსადგენად დასჭირდა არაბული ვერსიის გათვალისწინება. მის მიერ აღდგენილი ბერძნული კრიტიკული ტექსტი

<sup>18</sup> Gregorii Nysseni, Opera..., VIII, I, გვ. 64—89.

<sup>19</sup> კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის აღწერილობა, A ფონდი, 1, თბ., 1976, გვ. 29—34. აგრეთვე ლენინგრადის ხელნაწერი № 15 და სხვ.

<sup>20</sup> კ. კეკელიძე, ვტულები, ტ. V, გვ. 28; მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 199—200.



თითქმის იდენტურია ქართული ექვთიმე მთაწმიდლის მიერ შესრულებული თარგმანისა.

მოვიყვანო ჩვენ მიერ გამოცემული ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის, ვ. იეგერის გამოცემისა და Cod Par gr 973-ში დაცული ტექსტის ურთიერთმიმართების სქემას:

ვ. იეგერის გამოც.*	ქართ. ექვთიმე** ათონელის თარგ.	Cod Par gr 973*** (ქართული თარგმანის მოდ.)
1	2	3
გვ. 233—235,8	156—158 (§ 1—5)	—
„ 235,8—240,15 (ἐπιστε-	158—162,2 (§ 6—16)	2r—5v 24 (ἐπιστε-
„ 240,15—243,2	162,2—163,29 (§ 16—20)	—
„ 243,2—243,4	—	—
„ 243,4—263,7	163,30—177,11 (§ 20—50)	—
„ 263,7—265,18	—	—
„ 265,18—277,14	177,12—184,21 (§ 50—68)	—
„ 277,14—279,14	—	—
„ 279,15—280,16	184, 12—185,11	—
„ 280, 16*—301,6 (... τας)	185,11—198,8 (70—98)	6 r,1—22v, 12 (... τας)
* 298,21—299,7	196, 15—34 (§ 95—97-მდე) არის ქართულში ბერძნულ- თან შედარებით შემოკლე- ბული	20r, 15—20v, 13 მისდევს ვ. იეგერის გამოცემას

\* Two rediscovered works of ancient christian literature: Gregory of Nyssa and Macarius by W. Jaeger, Leigen, 1954, *Τὸν ἀγιὸν Μακάριον ἐπιστολῆ πρὸς τὴν παρθ. μοιχαῖσιν*, S. 233—301.

\*\* ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია..., სწავლანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაკარი მეგვბტელისანი, თავი ა, გვ. 156—189.

\*\*\* Cod Par gr 973 (1045 წ.).

როგორც სქემაზე ვხედავთ, ვ. იეგერის მიერ გამოცემულ ბერძნულ კრიტიკულ ტექსტთან შედარებით ექვთიმესეულ თარგმანს სამ ადგილას აკლია თითო აბზაცი. ეს არ არის ხელნაწერის დაზიანებით გამოწვეული კლება. ერთგან ქართულში ბერძნულთან შედარებით შემოკლებულია ტექსტი: იგივე აზრი გადმოცემულია ცოტა განსხვავებული ფორმით. რაც შეეხება Cod Par gr 973-ს, ამ ხელნაწერს აკლია დასაწყისი და 5v-ს შემდეგ ტექსტის დიდი ნაწილი (დაკარგულია ფურცლები), თუმცა პაგინაცია მისდევს, ამიტომ ქართულსა და ვ. იეგერის გამოცემულ ტექსტს შორის შემჩნეული სხვაობის შემოწმება ამ ხელნაწერში არ ხერხდება.

ცხადია, ამ სქემაზე მოცემული სურათი ნათელს ხდის, რომ „დიდაქტიკური ეპისტოლის“ ექვთიმესეული თარგმანი ისეთსავე დამოკიდებულებათა გრიგოლ ნოსელის ტრაქტატთან „ქეშმარიტი ასკეტური ცხოვრების შესახებ“, როგორშიც არის მისი წყარო — ამ თხზულების ბერძნული ტექსტი. და ამიტომ ყურადსაღები და დამაფიქრებელია, რატომ მოხდა, რომ ექვთიმე მთაწმიდელმა, X საუკუნის მეორე ნახევრისა და XI საუკუნის პირველი ოცდაათწლეულის ათონის ივერთა მონასტრის განსწავლულმა მოღვაწემ, თარგმნა გრი-

გოლ ნოსელის ორი თხზულება „ქალწულებისათვის“ და „მოსეს ცხოვრება“, არ თარგმნა ამ თხზულებებზე დაყრდნობით შექმნილი ამავე ავტორის დიდი მოცულობის ტრაქტატი, რომელიც, ვ. იეგერის დასკვნით, აჯამებს და აზუსტებს გრიგოლ ნოსელის მრავალწლიანი შრომის შედეგებს, თავს უყრის მის ძირითად იდეებს და შემდგომი თაობებისათვის საყოველთაოდ მიღებულ და აღიარებულ სახელმძღვანელოს წარმოადგენს, და, მეორე მხრივ, იმავე ექვთიმემ, რომელიც შესანიშნავად იცნობდა გრიგოლ ნოსელის მემკვიდრეობას, თარგმნა მაკარის სახელით ცნობილი „ეპისტოლე მონაზვნებისადმი“, რომელიც, ვ. იეგერის დასკვნით, გრიგოლ ნოსელის ტრაქტატის პერიფრაზას წარმოადგენს.

აქ აღარ გავავარძელებთ სიტყვას იმის შესახებ, რომ, უეჭველია, X—XI საუკუნეების მიჯნაზე ცნობილ ბერძნულ ლიტერატურულ წყაროებს ექვთიმე მთაწმიდელი ზედმიწევნით კარგად იცნობდა და, თუ მან არ თარგმნა დიდი ავტორიტეტის მქონე გრიგოლ ნოსელის თხზულება და თარგმნა მისი ლიტერატურული ანალოგია, ამას უთუოდ ჰქონდა თავისი მიზეზი.

ასეთი მიზეზი შეიძლებადა ყოფილიყო ორი: ექვთიმე ან საერთოდ არ იცნობდა გრიგოლის ტრაქტატს „ქეშმარიტი ასკეტური ცხოვრების შესახებ“, ან, თუ იცნობდა, ეეჭვებოდა, რომ იგი გრიგოლ ნოსელს ეკუთვნის, რადგან მისთვის „ეპისტოლე მონაზვნებისადმი“, ისევე როგორც მის მიერ თარგმნილი დანარჩენი 25 „სწავლაც“, ნამდვილად მაკარი დიდ მეგვიპტელს ეკუთვნის, და, ცხადია, ასეთ შემთხვევაში ტრაქტატი უნდა მიეჩნია ფსევდონოსელისეულად და მაკარის ეპისტოლის გადაკეთებად.

აღრევე კარგად ცნობილი აღმოსავლური და ბერძნული და ქართული მასალის გათვალისწინება, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას ვ. იეგერის შესანიშნავად აგებული შრომის გაცნობის შემდეგ გავხაზოთ რამდენიმე ფაქტი, რომელთა არსებობა საკამათოდ ხდის ამ შრომის ერთ-ერთ ძირითად დებულებას — ეპისტოლისა და ტრაქტატის ტექსტთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხს: 1. ზელნაწერებში ფსევდონაკარის ეპისტოლის კვალი 534 წლიდან ჩანს (თარიღი უდავოა), გრიგოლის ტრაქტატი კი — XI საუკუნიდან (თარიღი მიახლოებითაა). 2. ეპისტოლის ტექსტი საგრძნობლად მეტია ტრაქტატზე. 3. ექვთიმე მთაწმიდელმა X საუკუნის ბოლოს თარგმნა მაკარის ეპისტოლე. გრიგოლის ტრაქტატის ქართული თარგმანი არ ჩანს.

თუმცა ვ. იეგერი თვლის, რომ კლასიკური სტილით დაწერილი გრიგოლ ნოსელის ტრაქტატში მისტიკურ-თეოლოგიური იდეები ემყარება გრიგოლის საერთო კონცეფციას და უფრო ზუსტად და მკვეთრადაა ჩამოყალიბებული, ვიდრე მაკარის ეპისტოლეში, მაგრამ რატომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ტრაქტატის ავტორი უფრო განსწავლული თეოლოგი იყო, კარგად იცნობდა გრიგოლ ნოსელის მემკვიდრეობასაც და მაკარის სახელით ცნობილ ეპისტოლესაც და მან შექმნა უფრო უკეთ შეკრული და სტილისტურ-იდეოლოგიურად გაფორმებული თხზულება. მისცა მას ტრაქტატის სახე და ეპისტოლარული სტილით შერბილებულ მოთხოვნებს, წაყენებულს ქეშმარიტი მონაზვნობის მსურველთათვის, კატეგორიულობის ელფერი მიანიჭა?

თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ვ. იეგერის მიერ ჩატარებული ტექსტების შედარებითი ანალიზი გრიგოლ ნოსელის ტრაქტატის პირველადობისათვის მეტ საბუთს იძლევა.

ყოველ შემთხვევაში ვ. იეგერის ამ შრომის გაცნობამ განამტკიცა ჩვენი ადრე მიღებული დასკვნები: 1. ექვთიმე მთაწმიდლის მიერ თარგმნილი 26



სწავლა არ ეკუთვნის მაკარი დიდ მეგვიპტელს. 2. „ეპისტოლე მონაზვნებისადმი“ (ქართულ თარგმანებში „სწავლათა“ I თავი) და დანარჩენი 25 თხზულება ერთი ავტორის შემოქმედების ნაყოფია. 26 სწავლისაგან შედგენილი კრებული და ქართულ ხელნაწერებში მათთან ერთად შეტანილი ორი ეპისტოლე განსხვავდება ერთმანეთისაგან სტილით, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ორი ეპისტოლე არაა 26 სწავლის შემქმნელი ავტორის დაწერილი. 3. ქართულ ხელნაწერებში შემონახულია მაკარი დიდი მეგვიპტელის სახელით ცნობილ თხზულებათა უძველესი კრებულის სრული ვერსია. ამ მასალის გათვალისწინება სრულიად აუცილებელია „მაკარიანულ თხზულებათა“ კვლევის სწორად წარმართვისათვის.

Г. А. НИХУА

### «ДИДАКТИЧЕСКОЕ ПОСЛАНИЕ» ПСЕВДО-МАКАРИЯ И ЕГО ГРУЗИНСКИЙ ПЕРЕВОД

В статье рассматривается высказанное в книге В. Егера „Two rediscovered works of ancient christian literature: Gregory of Nyssa and Macarius“ предположение относительно «Дидактического послания» Псевдо-Макария. Автор книги считает, что «Дидактическое послание» является расширенной перифразой трактата «Об аскетической жизни» Грегория Нисского.

В. Егеру неизвестно существование грузинской версии «Послания» Псевдо-Макария, перевод которого, выполненный ученым X—XI вв. Евфимием Афонским в составе сборника «Поучений» Макария в X в., сохранился в трех рукописях XI—XII вв. В отличие от греческих кодексов, грузинские рукописи содержат полный текст «Послания», который соответствует восстановленному В. Егером греческому оригиналу. Переводя «Дидактическое послание», Евфимий Афонский не сомневался, что оно принадлежит Макарию Египетскому. Следует полагать, что он либо не знал о существовании трактата «Об аскетической жизни», либо воспринимал его как перифразу «Послания». Во всяком случае, среди его переводов этого трактата нет.

Полученные В. Егером итоги и данные грузинской версии еще раз убеждают нас в следующем:

1. «Дидактическое послание» и остальные 25 «Поучений», переведенные Евфимием, принадлежат одному автору.

2. Два послания, приписываемые Макарию и переведенные до Евфимия (не позже IX в.), не принадлежат автору «Дидактического послания» и «Поучений».

3. В грузинских рукописях сохранился древнейший тип полного сборника произведений Псевдо-Макария, данные которого необходимо учитывать при изучении «макарианских произведений».

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება  
წარმოდგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

### ენის მემორიზაციული

## იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა სიმბოლეთა“ მთარგმნელის ვინაობისათვის

დღესდღეობით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილად ითვლება, რომ ჩ. წ.-ის I ს-ის ებრაელი ისტორიკოსის, იოსებ ფლავიუსის თხზულებების — „იუდეველთა სიმბოლეთა“ პირველი თხუთმეტი წიგნის ქართულ ენაზე მთარგმნელი არის XI—XII საუკუნეთა გამოჩენილი ფილოსოფოსი და მწერალი იოანე პეტრიწი.

იოანე პეტრიწის „სათნობათა კიბის“ გამომცემელი ივ. ლოლაშვილი თავს უყრის XVIII ს-ის ტრადიციულ ცნობებს პეტრიწის შესახებ<sup>1</sup>. ირკვევა, რომ იმ მოღვაწეთაგან, რომელნიც დაინტერესებულან ამ უკანასკნელის ბიოგრაფიით და შეუდგენიათ მეტ-ნაკლებად სრული ნუსხა მისი შრომებისა, მხოლოდ დავით რექტორი ასახელებს პეტრიწს, ისიც სათუოდ, „იუდეველთა სიმბოლეთა“ მთარგმნელად: „ივეთნიმე იტყვიან წიგნსაცა იოსიპოსისასა ამის იოანესგან ნათარგმნსა ელინურადამ“<sup>2</sup>. ამ ცნობის თითქმის თანადროულია „იუდეველთა სიმბოლეთა“ ქართული თარგმანის შემცველ XVI ს-ის ხელნაწერ ქუთაის—10-ზე დავით დადიანის<sup>3</sup> ბიძის, თავად გრიგოლ წერეთლის ხელით შესრულებული მინაწერი:

პეტრიწისა გვარი წერილისა განმკვირვებს,  
 ენაშუობისა მისისა სიმარჯულე განმკვირვებს,  
 მსურს მისი იგი ლექსთ-მკობილება,  
 აღნაქესთა მისთა მახარებს მშვენიერ-წყობილება.  
 ის აქ შესაბამ არს  
 თი გრიგოლ წერეთელი.

ეს სიტყვები ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს და დაცულია 1770 წლის მხითარ სევასტიელის „რიტორიკის“ ქართულ რედაქციაში, რომელიც ანტონმა თარგმნა სომხურიდან. ანტონი აღტაცებას გამოხატავს პეტრიწისეული სტილისა და ენის გამო და აქვს სურვილი მიბაძოს მას. როგორც ჩანს, გრ. წერეთელი იზიარებდა ანტონის აზრს პეტრიწის ენის შესახებ. ამ მინაწერის გაკეთება მის მიერ ხელნაწერის აშიაზე სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გრ. წერეთელი ძეგლის მთარგმნელად პეტრიწს მიიჩნევდა. სიტყვებით „ის აქ შესაბამ არს“ იგი, შესაძლებელია, იმას გულისხმობს, რომ ქუთაის—10-ში არსებული ძეგლის თარგმანიც ისეთივე კვალიფიციური მთარგმნელის მიერ

<sup>1</sup> იოანე პეტრიწი, სათნობათა კიბე, გამოსაკვამლ მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1968, გვ. 11—21.

<sup>2</sup> ვ. ბერძენი, დავით რექტორი — ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელელებელი, თსუ შრ., I, თბ., 1936, გვ. 324—325.

<sup>3</sup> დავით დადიანის ინციკტივითა და ხელმძღვანელობით ითარგმნა XIX ს-ში ფლავიუსის თხზულების უკანასკნელი ხუთი წიგნი.





არის შესრულებული, როგორც იყო პეტრიწი. მაგრამ შემდეგ<sup>4</sup> მთავრად ვაწეათათვის პეტრიწის ხსენება ამ ხელნაწერში, როგორც ჩანს, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იოსებ ფლავიოსის თხზულების — „იუდეველთა სიძველეთა“ — ქართული თარგმანი ამ უკანასკნელისათვის მიეწერათ: პეტრიწისეულად მიიჩნევს ამ თარგმანს დ. დადიანის კარის მღვდელი, თხზულების უკანასკნელი ხუთი წიგნის მთარგმნელი — დ. ინანიშვილი<sup>5</sup>. მოსალოდნელია, რომ ამავე ცნობაზე დაყრდნობით წერდა კ. კეკელიძე, რომ მთარგმნელი „მოთხრობათა იუდაებრივისა დასაბამსიტყუაობისაჲს“ არის იოანე პეტრიწი<sup>6</sup>.

ჩვენ შევეცადეთ შეგვემოწმებინა ამ აზრის საფუძვლიანობა ძველის ქართული თარგმანის ენობრივ ანალიზსა და თარგმნის სპეციფიკაზე დაყრდნობით. შესადარებელ მასალად ავიღეთ ის თხზულებები, რომლებიც ნამდვილად იოანე პეტრიწის ხელიდან არის გამოსული და რომელთა ენაც მკვლევართა მიერ საკმარისად არის შესწავლილი. ესენია ნემესიოს ემესელის „ბუნებისათეს კაცისას“ და პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითა“ თარგმანები და ამ უკანასკნელის ვრცელი განმარტება.

**I. სასუბიექტო მიმღობათა წარმოება.** იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში<sup>7</sup> სასუბიექტო მიმღობები შემდეგი აფიქსებით იწარმოება: მ-, მ-არ, მ-არე, მ-ე, მ-ელ, მა-ელ, მე-ელ, მო-, მო-არ, მო-ე, მო-ელ, მო-ურ (მო-ულ), -იელ (დიდ-მ-ბრძობი, მღვდელ-მწიგნობ-არ-ი, თანა-მ-ღებ-არე, მი-მ-ლოდ-ე, შე-მ-წევნ-ელ-ი, მა-რწმუნებ-ელ-ი, ნაცვალ-მე-ტყუ-ელ-ი, მო-ნატრ-ე, მღვდელ-მოძღუ-არ-ი, კეთილ-მო-ქმ-ედ-ი, ნაცვალ-მო-საჯ-ულ-ი, სურგ-იელ-ი).

სასუბიექტო მიმღობის ყველა ამ სახის წარმოება ჩვეულებრივია ძველი ქართულისათვის. რაც შეეხება ისეთ წარმოებებს სასუბიექტო მიმღობებისა, რომლებიც დასტურდება იოანე პეტრიწთან და რომლებიც რამდენაღმე განასხვავებენ პეტრიწის ენას ძველი ქართული ენისაგან<sup>8</sup>, ისინი თარგმანში არ არის. ესენია წარმოება -ო სუფიქსით (სხვადასხვა პრეფიქსთან კომბინაციაში), მა-ე პრეფიქს-სუფიქსით (ძველი ქართულის „მაცხოვნ“-ს პეტრიწი უმატებს „მაუწყე“ ფორმას), მე- პრეფიქსით, რომელიც უძველესი ვითარების ამსახველად არის მიჩნეული<sup>9</sup> და რომელსაც არცთუ იშვიათად მიმართავს პეტრიწი. რაც შეეხება მე-ე პრეფიქს-სუფიქსს, იგი დღეს ხელობის სახელებს აწარმოებს მხოლოდ და თხზულების ქართულ თარგმანშიც სწორედ ამ დანიშნულებით გამოიყენება (მუცლით-მე-ზღაპრ-ე, ნაცვალ-მე-კელოვნ-ე, მღვდელ-მე-წიგნ-ე...), იოანე პეტრიწი კი ამ პრეფიქს-სუფიქსს ურთავს ზმნის სუფთა ფუძეს და მისი მეშვეობით აწარმოებს სასუბიექტო მიმ-

<sup>4</sup> ეს თარგმანი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდში 320—321 და 374—375-ე ნომრებით.

<sup>5</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 286—287.

<sup>6</sup> საანალიზო მასალა ამოღებული გვაქვს ამ თხზულების ქართული თარგმანის უძველესი ნუსხიდან, ხელნაწ. ინსტიტუტის A ფონდის 675-ე ნომრით დაცული XIII ს-ის ხელნაწერიდან.

<sup>7</sup> დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 113—122.

<sup>8</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 126.

ღობებს (მე-ცნ-ე, მე-უწყ-ე, მე-ტრფე-...)<sup>9</sup>. იოანე პეტრიწი სასუბიექტო მიმღებების წარმოებისას იყენებს მი-პრეფიქსსა და მი-ე-პრეფიქს-სუფიქსებს (მი-ყუარი, მი-თაყან-ე), რომლებშიც მას მი-გაგებული აქვს მო-პრეფიქსის შემცვლელად<sup>10</sup>. ფლავიოსის თხზულების ქართველი მთარგმნელი სასუბიექტო მიმღებობათა წარმოებისას ამგვარ ხერხს არ მიმართავს.

ამგვარად, თხზულების მთარგმნელი სასუბიექტო მიმღებების წარმოებისას ძველ ქართულ ენაში არსებულ მაწარმოებლებს არ ხმარობს იმისათვის, რომ ახალი, ენისათვის მანამდე უცნობი ფორმები შექმნას. ამგვარი შემთხვევები კი იოანე პეტრიწთან საქმაოდ ხშირია.

**II. საკუთარ სახელთა გადმოცემა.** შედარებამ გვიჩვენა, რომ საერთო ხმარების საკუთარი სახელები ძირითადად სხვადასხვა ფორმით არის ნახმარი „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულ თარგმანში და იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილ ზემოთ დასახელებულ ორ ძეგლში. „იუდეველთა სიძველეთა“ მთარგმნელი ბერძნული ორიგინალის დიდ გავლენას განიცდის. იგი ნაკლებად უწევს ანგარიშს ტრადიციით დამკვიდრებულ ფორმებს და საკუთარი სახელები ბერძნულიდან ქართულად გადმოაქვს ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი დროის ფონეტიკური ნორმები. რაც შეეხება იოანე პეტრიწის მიერ შესრულებულ თარგმანს „ბუნებისათვის კაცისა“<sup>11</sup> და მის ორიგინალურ თხზულებას — „განმარტებაჲ პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურის ფილოსოფიისათვის“<sup>12</sup>, აქ საკუთარი სახელები ძირითადად იხმარება ქართულ წერილობით ძეგლებსა და ზეპირმეტყველებაში დამკვიდრებული ტრადიციული ფორმით. მაგ.: დავიდი (A—675), დავითი (პეტრიწი); მოვსი||მოვსის (A—675), მოსე (პეტრიწი); ადამოს (A—675), ადამი (პეტრიწი); ეავკლონა (A—675), ბაბილონი (პეტრიწი) და ა. შ.<sup>13</sup>

**III. ნეოლოგიზმები.** ა) -ოდ საერცობიანი ზმნების I კავშირებითი. „იოანე პეტრიწი I კავშირებითის III პირის მრ. რიცხვისათვის არც ერთ შემთხვევაში არ ხმარობს ძველ, -იან სუფიქსიან ფორმას. -ოდინ დაბოლოება მისთვის ერთადერთია (რამდენიმე ახალი -ოდენ დაბოლოებიანი ფორმის გამოკლებით)“<sup>14</sup>.

ოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში -ოდ საერცობიანი ზმნების I კავშირებითში III პ-ის მრ. რ-ში ყველაზე ხშირად სწორედ ძველი, -იან სუფიქსიანი ფორმა გამოიყენება, რომელსაც ასე გაურბის იოანე პეტრიწი (სულ 42-ჯერ). გარდამავალი, -ოდინ დაბოლოება 9-ჯერ გვხვდება, ხოლო ახალი, -ოდენ ფორმა კი — 6-ჯერ:

-ო დ ი ა ნ: „ღმერთმან უბრძანა მათ, რაჲთა უკუეთუ განმრავლდენ, გ ა რ დ ა ი ს ა ხ ლ ე ბ ო დ ი ა ნ, რაჲთა არა მბრძოლ იყვნენ ურთიერთას“

<sup>9</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 121.

<sup>11</sup> ნემსიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ, გაცოცხ. ს. ვარჯიშ, თბ., 1914, საკუთარ სახელთა საქმეები, გვ. 222—228.

<sup>12</sup> იოანე პეტრიწი, პრომები, ტ. I, თბ., 1940, საკუთარ სახელთა საქმეები, შედგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გვ. 233—234.

<sup>13</sup> ზუსტი სია საერთო ხმარების საკუთარი სახელებისა ამ სამი ძეგლის მიხედვით ღართული აქვს ჩვენს სტატიას „საკუთარი სახელები ოსებ ფლავიოსის ერთი თხზულების ქართული თარგმანის მიხედვით, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1980, № 3, გვ. 110—121.

<sup>14</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16.



(წ. 1, თ. 4,1). „... რაათა განწესებულთა სჯულთაებრ შეკრ<sup>გარდასული</sup> და მოქალაქობდენ“ (წ. 14, თ. 10,24). „... რაათა არცა დამაშურალნი განეყენებოდინან კლვასა მბრძოლთასა“ (წ. 5, თ. 1,5). „... რაათა აღესრულებოდინან“... (წ. 14, თ. 10,23) და ა. შ.

-ო დინ: „ხოლო და იმპარხვოდინ და მბრძოლნიცა“ (წ. 4, თ. 8,24). „... ხოლო ექორწინებოდინ... ქალწულთა თავისუფალთა“ (წ. 4, თ. 8,23). „... გულვებადთათს ევედრებოდინ“ (წ. 4, თ. 8,7) და ა. შ.

-ო დინ: „... შემოკრბებოდენ ქალაქსა... სამგზის წელიწადსა შინა“ (წ. 4, თ. 8,7). „ყრმანი... სათნობისა მათისათს წყალობისა უფროასლა ღირს იქმნებოდენ“ (წ. 4, თ. 8,39). „ხოლო არა ჰბრძოდენ მათ, არამედ ... ხედვიდენ, ვითარ ჰბრძოდის მათ ღმერთი“ (წ. 9, თ. 1,2) და ა. შ.

ბ) გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა I თურმეთობითი და სტატიკური ზმნების აწმყო. ძველ ქართულ ენაში გარდამავალ ზმნებს I თურმეობითისა და სტატიკურ ზმნებს აწმყოში ჰქონდათ -იეს დაბოლოება. უკვე ძველსავე ქართულში ამ მწკრივებში ჩნდება ახალი, -ია დაბოლოებიანი ფორმები<sup>15</sup>. IX—XIII საუკუნეთა ძეგლებში ზოგან -ია დაბოლოებიანი ფორმის თითო-ოროლა ნიმუში დასტურდება, ზოგან კი ისინი რაოდენობრივად ძველ, -იეს დაბოლოებიან ფორმებსაც კი უტოლდებიან. აი, რას წერს იოანე პეტრიწის ენაში ამ მოვლენის შესახებ დ. მელიქიშვილი: „გარდამავალ ზმნების I რეზულტატივში<sup>16</sup> იოანე პეტრიწთან საკმაოდ ბევრი მაგალითი გვხვდება -ია დაბოლოებით (მიუხედავად იმისა, რომ შეფარდებით -იეს დაბოლოების ხმარებასთან -ია უფრო მცირეა)“<sup>17</sup>. „თავის თანამედროვე მწერლებთან შედარებით იოანე პეტრიწი ძალიან ხშირად ხმარობს -ია დაბოლოებიან ფორმებს“<sup>18</sup>. რაც შეეხება სტატიკურ ზმნებს, იოანე პეტრიწი, ჩვეულებრივ, ძველს, -იეს დაბოლოებას ხმარობს, თუმცა მისთვის არც ახალი, -ია დაბოლოებიანი ფორმა არის უცხო, რადგან თვით ზმნას „ჰგეის“, რომელიც ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად იხმარება და რომელიც მხოლოდ თითქოს ამ ფორმით გვხვდება საშუალო ქართულში<sup>19</sup>, იოანე პეტრიწი ახალი, „ჰგია“ ფორმით ხმარობს<sup>20</sup>.

ცნობილია, რომ ორპირიან გარდაუვალ ზმნათა III სერიის ორგანული (-იეს, -ია) ფორმები ძველი ქართული ენის ადრინდელ ძეგლებში თითქმის არ დასტურდება და ამიტომ ამ ფორმებს შედარებით გვიან წარმოშობილად მიიჩნევენ<sup>21</sup>. ამ მხრივაც პეტრიწის „განმარტება“ მეტად საინტერესო სურათს

<sup>15</sup> ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანესა და ეფთემეს ცხოვრების მიხედვით, ცხოვრება იოანესი და ეფთემესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჭავჭავაძის მიერ, თბ., 1946, გვ. 78. სინური მრავალთავი 864 წლისა, აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ. 1959, გვ. 318. ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მუშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, გვ. 109. ხ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, თბ., 1957, გვ. 168—175.

<sup>16</sup> ამ ტერმინს ხმარობს მკვლევარი I თურმეობითის აღსანიშნავად.

<sup>17</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 23.

<sup>19</sup> ლ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

<sup>20</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

<sup>21</sup> ს. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, ივე, VII, 1955, გვ. 28.

გვთავაზობს: „თუ XI—XII საუკუნეთა ძეგლებში საგანგებო ძიების შესდეგ მხოლოდ ხუთი ნიმუში აღმოჩნდა ხსენებული ფორმებისა, იოანე პეტრიწის „განმარტებაში“ არა ერთი და ორი შემთხვევა გვხვდება გარდაუვალ ორპირიან ზმნათა I რეზულტატივის ორგანული წარმოებისა და, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ უკვე ახალი, -ია დაბოლოებით“<sup>22</sup>. ამავე დასკვნას აკეთებს ნ. კეკელიძე, შეისწავლის რა პეტრიწისეულ თარგმანს პროკლე დიადოხოსის „კავშირისა“: „არის უხვი ხმარება თურმეობითის ახალი ფორმებისა: დაგიმცვრია, დაგიკინებია...“<sup>23</sup>

რაც შეეხება იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანს, მასში ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული სურათი წარმოგვიდგება:

1. გარდამავალი ზმნების I თურმეობითში, როგორც წესი, იხმარება ძველი, -იეს დაბოლოებიანი ფორმები: დადასტურებული გვაქვს 53 შემთხვევა: მაგ.: „... იფქლი წარუვლინებ იეს მისთვის“ (წ. 15, თ. 6,6). „ანტონოს ... მოუკუდინებ იეს იგი“ (წ. 15, თ. 3,7). „დასასრული ასამონელთა ნათესავისაჲ მოგვლებ იეს“ (წ. 14, თ. 16,4). შეურაცხუყოფიეს (წ. 14, თ. 14,3); ცხად-გვქმნიეს (წ. 13, თ. 1,1); შემირაცხიეს (წ. 12, თ. 2,3) და ა. შ.

მთელ თარგმანში ერთხელ შეგვხვდა ახალი, -ია დაბოლოება გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში: „მე ვიდრემე უკუე, ვითარ ვპოვე სამღვდელთა წიგნთა შინა, ესრეთ თითოეული ამათი გარდმომიცემია“ (წ. 2, თ. 16,5).

2. რაც შეეხება სტატიკური ზმნების აწმყოს, ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანი ამ შემთხვევაშიც ძველ ვითარებას გვიჩვენებს: -იეს და არა -ია დაბოლოება: „მეფემან ... მისცეს ... ყელისზედაჲ ოქროსაჲ... ვითარ და ხალდეველთაჲ მეფეთა ჰმოსიეს“ (წ. 10, თ. 11,2). „... ძალი ღმრთისაჲ ჰგონიეს შესანდობელი შესაძლებელი ცთუნებად“ (წ. 4, თ. 3,4). „რომელმან უწყის თავი თვისი ღირს, სარწმუნოდ ჰგიეს იგი“ (წ. 4, თ. 2,2) და ა. შ.

3. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში ჩვენ ვერ დავადასტურეთ I თურმეობითში გარდაუვალი ზმნის ორგანული (-იეს, -ია) დაბოლოებიანი ვერც ერთი ფორმა.

როგორც ვხედავთ, ფლავიოსის თხზულების მთარგმნელი იოანე პეტრიწთან შედარებით მეტ სიმკაცრეს იჩენს ძველი ქართული სამწერლობო ენის ნორმების დაცვის თვალსაზრისით.

გ) სხვადასხვანეოლოგიზმები. მკვლევრები, რომელთაც უმუშავიათ იოანე პეტრიწის ენაზე, ერთსულოვანი არიან იმაში, რომ პეტრიწი არ გაუბრძის ახალ, მისი დროის სამეტყველო ენაში დამკვიდრებულ ფორმებს და ასახავს მათ თავის თარგმანებსა თუ ორიგინალურ თხზულებებში: „იოანე პეტრიწი მისი დროის მწერლობაში თანაარსებული ორი ფორმიდან ახალს ხშირად აძლევს უპირატესობას“<sup>24</sup>. „რომ პეტრიწის ენა უკვე ახა-

<sup>22</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

<sup>23</sup> ნ. კეკელიძე, პროკლე დიადოხოსის „კავშირისა“, ძველი ქართული თარგმანი (ფილოლოგიური ნარკვევი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1948, გვ. 307.

<sup>24</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.



ლი ქართულის ნორმების გზაზეა დამდგარი, ეს მტკიცდება თავისი მტკიცებითაა მაგალითითაც: ალ- და გან- წარმოდგენილია ახალი ფორმებითაც (ა- და გა-)<sup>25</sup>.

დ. მელიქიშვილს უხვად მოჰყავს მაგალითები პეტრიწის ნაშრომებიდან არს მეშველი ზმნის გამარტივებისა<sup>26</sup>. მსგავსი მაგალითები ბევრი აქვს დადასტურებული სიმ. ყაუხჩიშვილსაც<sup>27</sup>.

ვნახოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენს თარგმანში: სულ რამდენიმე მაგალითი დასტურდება ალ- ზმნისწინის გამარტივებისა: ადგომილი (წ. 14, თ. 15,11); ამკედრებულნი (წ. 1, თ. 9,1); ამლებელი (წ. 6, თ. 7,4; 9,4); ამკედრა (წ. 9, თ. 12,1); აპსნა (წ. 8, თ. 5,3); ავსებულმან (წ. 13, თ. 4,8). რაც შეეხება სხვა ზმნისწინებს, ისინი უგამონაკლისოდ ძველი ფორმით იხმარება.

„არს“ მეშველი ზმნის გამარტივება და შერწყმა სახელთან არ არის დამახასიათებელი თარგმანისათვის (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა).

როგორც ვხედავთ, იოანე პეტრიწი არ გაურბის ახალ ფორმებს და სწორედ ამიტომ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ -ებ-იანი მრ. რიცხვის ხმარების მხრივ იგი საკმაოდ მკაცრია. დ. მელიქიშვილი სულ 24 შემთხვევას ადასტურებს იოანე პეტრიწის თხზულებებში -ებ-იან მრ. რიცხვში დასმული სახელისა. აქედან 20 მაგალითი მოდის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაზე, რომელიც აღდგენილია XVII ს-ის ხუცურით და, ამდენად, მოსალოდნელია, ეკუთვნოდეს გადამწერს. ამ ფაქტის ასახსნელად დ. მელიქიშვილი იშველებს ივ. იმნაიშვილს: „როცა ებ-იან მრავლობითზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ზოგ ძველში იგი შედარებით ნაკლებად იხმარება, ზოგში უფრო მეტად“<sup>28</sup>. „ამ ნაკლებად ხმარებული ებიანი მრავლობითის ერთ-ერთი მაგალითია იოანე პეტრიწის ენაც“<sup>29</sup>.

რაც შეეხება ფლავიოსის თხზულების მთარგმნელს, იგი აქაც განსხვავებულ სურათს იძლევა: თარგმანში 28 შემთხვევაა -ებ-იანი მრ. რიცხვის ხმარებისა, ხოლო ორმაგი მრავლობითის (ებიან-ნარ-თანიანი) — ამაზე გაცილებით მეტი: „ორმაგი მრავლობითის, როგორც არასწორი ფორმის, მწერლობაში შემოტანას ერიდებოდნენ, მაგრამ იგი, როგორც ჩანს, იშვიათად მიიწევა ეპარებოდათ“<sup>30</sup>. განსახილველი თარგმანი შესრულების მაღალი დონით არ გამოირჩევა; სწორედ ამიტომ არ არის მოულოდნელი მასში ორმაგი მრავლობითის ასეთი ხშირი ხმარება. მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს -ებ-იანი და ორმაგი მრავლობითისა: მკედრები (წ. 4, თ. 8,47; წ. 5, თ. 1,1—4; 6,3; წ. 13, თ. 5,6; 13,1; წ. 15, თ. 15,3). სულელები (წ. 6, თ. 14,2; წ. 8, თ. 15,6; წ. 9, თ. 6,6). სოფლები (წ. 14, თ. 13,9; წ. 15, თ. 15,4). სხეულები (წ. 12, თ. 4,1). აღჭურვილები (წ. 14, თ. 15,5). სახელები (წ. 13, თ. 16,2) და ა. შ. მკედრებნი (წ. 7, თ. 10,2). შესამოსლებნი (წ. 9, თ. 4,5). ცოლებთა (წ. 1, თ. 3,2). კარებთასა (წ. 1, თ. 21,1) და სხვ. მრ.

<sup>25</sup> იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. I, ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1940, გვ. LVIII.

<sup>26</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16—17.

<sup>27</sup> ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. VIII.

<sup>28</sup> ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 296.

<sup>29</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 12.

**IV. არქაიზმები მორფოლოგიაში.** დ. მელიქიშვილი (ა)ვ-ის დაბოლოების ვნებითს, -ივ ფორმანტიან მოქმედებითს, „ძნაიდ“ ტიპის ზედსართავებს, აგრეთვე -ო/ვ/ი-ს და -ო-მ-ს დაბოლოებიან ნასახელარ ზმნებს მიიჩნევს არქაიზმებად, რომლებიც აისახნენ იოანე პეტრიწის ენაში ნეოლოგიზმების გვერდით<sup>31</sup>, რადგან იგი იმ პერიოდში მოღვაწეობდა, როდესაც ხდებოდა გადასვლა ძველიდან ახალ ფორმებზე. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანშიც ვხვდებით ყველა ამ არქაიზმს, ოღონდ მათი არსებობა ვერ გამოდგება არგუმენტად თარგმანის იოანე პეტრიწისადმი მიკუთვნებისა, რადგან ეგვიპტე მოვლენები ხშირია გარდამავალი პერიოდის (XI—XIII სს.) მწერლებისა და მთარგმნელების ენაში. თუ ამ არქაიზმებს გვერდში ამოუდგებოდნენ ის სპეციფიკური ენობრივი მოვლენები, რომელთაც აქედან ადგილი პეტრიწთან, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძენდნენ ისინი დამატარე არგუმენტის ძალას. მოვიყვანოთ თარგმანში დადასტურებულ ზოგიერთ მაგალითს:

ა) -ივ: მამულებრივი (წ. 1, შეს. № 3). ღმრთაებრივმან (წ. 2, თ. 12,4). ყრმებრივი (წ. 2, თ. 9,6). ებრაელებრივთა (წ. 1, შეს. № 2).

ბ) „ძნაიდ“ ტიპის ზედსართავი სახელები: მწუხრიად (წ. 7, თ. 9,6). მღუმრიად (წ. 6, თ. 8,1; წ. 5, თ. 2,11). მალიად (წ. 6, თ. 8,1). მალიადი (წ. 4, თ. 8,1). მრგულიად (წ. 3, თ. 7,6). მსწრაფლიად (წ. 2, თ. 16,1).

გ) -ო/ვ/ი-ს, -ო-მ-ს: ცრემლოოდა (წ. 4, თ. 3,3; წ. 9, თ. 1,2). ცრემლოოდეს (წ. 4, თ. 8,3). იგლოოს (წ. 5, თ. 7,10). ცრემლოვაი (წ. 11, თ. 5,5). ცრემლოვანნი (წ. 2, თ. 6,8). ცრემლოანისა (წ. 2, თ. 4,5).

დ) (ა)ვ-ის დაბოლოებიანი ვნებითი: შეიწირვის (წ. 2, თ. 5,2). მოიღებვის (წ. 3, თ. 9,4). აღიძრვის (წ. 2, თ. 15,3). შეიკერვის (წ. 3, თ. 7,3) და ა. შ.

**V. სიტყვათა წარმოება არაბრუნებადი სახელების ბრუნების მეშვეობით.** იოანე პეტრიწის ენის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მკვლევრები გამოყოფენ ახალ სიტყვათა წარმოებას უბრუნველი ან ფორმაუცვლელი სიტყვის ბრუნებით. ამ ზერხს იოანე პეტრიწი ძირითადად ტერმინთა წარმოებისას მიმართავს. დ. მელიქიშვილს და ნ. კეკელმაძეს დასახელებული აქვთ ბევრი მაგალითი: იგი — უიგიოა, მასი, თუთი, იყოსი, იმართებისი, მუნაა, მიერი, შორისი...<sup>32</sup>; იყოა, იყოსი, გამონი, ივარდაოს, ისეობს, მიეგრეობაა...<sup>33</sup>

ოსებ ფლავიოსის თხზულების მთარგმნელმა მხოლოდ ერთხელ მისცათავის თავს უფლება მსგავსი მანიპულაციის ჩატარებისა: ორი ნაგენეტიკარი კუთვნილებითი ნაცვალსახელის შეერთებით მიიღო ახალი სიტყვა, ისევ და ისევ კუთვნილების გამოსახატავად და აბრუნა იგი: „... მრავალთა ნიქთა მიმცემელმან ჩემთვსთაგან, ორთავე სარგებელი ვიზრუნევ“ (წ. 15, თ. 5,3). „ხოლო ექორწინა ცოლსა, ... სახელით იეზაველას, რომლისაგან მისთვსთა ღმერთთა თაყუანისცემაჲ ისწავა“ (წ. 8, თ. 13,1). „ხოლო ძღვევასა არა უმცირეს მათთვსად იტყოდა...“ (წ. 5, თ. 6,6).

ყველა ამ შემთხვევაში მთარგმნელი აკეთებს კალკს: ბერძნულ დედანში შესატყვის ადგილებში ნაცვალსახელის გარდა იხმარება ზნსა ზმნიზედა, რომელიც ნიშნავს „პირადად თავისთვს“.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 25—31.

<sup>32</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 107—108.

<sup>33</sup> ნ. კეკელმაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 279—280.



ამგვარად, ახალ სიტყვათა წარმოება სხვადასხვა საშუალებებითაა შესაძლებელი, ხშირია პეტრიწთან, არ არის დამახასიათებელი ფლავიოსის თხზულების მთარგმნელისათვის.

#### VI. მთარგმნელი აზროვნებს ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციებით.

პეტრიწი თავის თარგმანებში დიდად არ ღალატობს ქართული ენის ბუნებას: აქვს, რა თქმა უნდა, ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციები<sup>34</sup>, მაგრამ ზოგჯერ ისიც შეინიშნება, რომ პეტრიწი ცდილობს თავი დააღწიოს ბერძნული დედნის სინტაქსს და ქართული ენისათვის ბუნებრივად აავოს ესა თუ ის წინადადება. ასე მაგალითად, ნ. კეჭალმაძე თავის გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ ბერძნული პირობითი წინადადების გადმოტანისას ქართულ თარგმანს შემთხვევითა უმრავლესობაში აკლია ბერძნულ ტექსტში არსებული მაპირისპირებელი ზმნისართები: *εἰς τὰς, τῶν τῶν, ἄν τῶν, ἦ* და სხვ. ასეთი წინადადებები მთარგმნელს გადმოაქვს დადებითი მნიშვნელობით, ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე, რადგან მაშინდელი ქართული ენის ბუნებას მაინცადამაინც არ შეეფერებოდა ამგვარ მაპირისპირებელ ზმნისართთან წინადადებები<sup>35</sup>.

ასე ვრცლად ამ საკითხზე მსჯელობა იმისთვის დაგვიჭირდა, რომ ვაჩვენოთ ამ მოვლენის საპირისპირო ვითარება იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში: გარდა იმისა, რომ მთარგმნელი ყოველ ფეხის ნაბიჯზე აკეთებს ბერძნული კონსტრუქციების კალკს, იგი ბერძნული ყაიდის წინადადებებს აგებს მაშინაც, როდესაც უშუალოდ დედანი არ არის დამნაშავე ამაში. მთარგმნელი, როგორც ჩანს, იმდენად არის მიჩვეული ბერძნულ ენას და იმდენად არის დაცილებული ქართულ გარემოს, რომ აზროვნებს ბერძნული კონსტრუქციებით. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

ა) „და“ კ ა ვ შ ი რ ი ს ხ მ ა რ ე ბ ა. როგორც ცნობილია, ბერძნულ *καί*-ს აქვს ორი მნიშვნელობა: „და“ კავშირისა და „ც“ ნაწილაკის. ეს არაერთხელ აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>36</sup>. აღნიშნულა ისიც, რომ ძირითადად ეს განსხვავება სწორად არის გაგებული და *καί*-ც სათანადოდ თარგმნილი ქართულ ენაზე.

იოსებ ფლავიოსის თხზულების მთარგმნელი, რომელიც მიჩვეულია ბერძნულ ენაში *καί*-ს ხმარებას არა მხოლოდ „და“ კავშირის მნიშვნელობით და რომელსაც ბევრი ასეთი წინადადება უთარგმნია ქართულ ენაზე, უკვე ბერძნული დედნისაგან დამოუკიდებლად ხმარობს „და“-ს და ანიჭებს მას სხვადასხვა მნიშვნელობას: „ხოლო დართოს აღსრულდა რაჲ, მიმღებელმან მეფობისამან ყრმამან მისმან ქსერქსი დაიმკვიდრა და მისი და ღმრთისა მიმართიცა კეთილმსახურებაჲ და პატივი“ (წ. 11, თ. 5, 1). ბერძნული დედნის შესატყვის ადგილას (A, 11<sub>120</sub>)<sup>37</sup> არ დასტურდება *καί*. „და მისი“ შეიძლება გავივოთ როგორც „მისიკა“.

<sup>34</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 185—202. ნ. კეჭალმაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 263—275.

<sup>35</sup> ნ. კეჭალმაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

<sup>36</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ვიორჯი ამარტოელის ხრონოგრაფის ქართული თარგმანი, ნაწ. II, გამოკვლევა, ტფილისი, 1926. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 255. ნ. კეჭალმაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 263—265; დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 197—201.

<sup>37</sup> ბერძნულ მაგალითებს ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: Josephus, with an english translation by H. St. J. Thackeray, M. A. and Ralph Marcus, Ph. D. Jewish Antiquities, vol. IV-V-VI-VII-VIII, London, MCMLXI—MCMLXIII.



როგორც ჩანს, ბერძნულ ენაში განკერძოებული განსაზღვრება ხშირად იყენებენ და *καὶ* კავშირით, რომელსაც ამ შემთხვევაში აქვს მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქცია. მაგ.: *οὐ τὸν Βάββα παιδεύεις καὶ παρὰ τῷ πλῆθει θύνατοί, πιστοὶ διατέλουσιν* (A, 15<sub>283</sub>) — ვაჟას ყრმანი, რომელთაც ჰქონდათ ძლიერი გავლენა სიმრავლეზე... ასევე არის გადმოსული თარგმანშიც: „არამედ ვითარცა ვას ყრმანი, და სიმრავლეს შორის შემძლებელნი, მტკიცედ დაადგებოდეს ანტილონოს მიმართ“ (წ. 15, თ. 7, 10). ამგვარი მაგალითები კიდევ არის. ახლა ცხადია, თუ რატომ იწყებს მთარგმნელი განკერძოებულ განსაზღვრებას „და“ კავშირით მაშინაც, როდესაც ბერძნული დედნის შესატყვის ადგილას *καὶ* არ დასტურდება: იგი მიჩვეულია ბერძნულში ასეთ შემთხვევაში *καὶ*-ს ხმარებას: „და განთქმულეზა და უკუე ბრწყინვალე ყოველსა გარემოხსა ქუეყანასა მიდმოჰვლიდა, და მკმობელი სალომონოს სათნოებისა და სიბრძნისა“ (წ. 8, თ. 7, 3). *Φήρη η δὲ λαμπρὰ πᾶσαν ἐν χύκλῳ τῆν Σολομῶνος ἀρετῆν καὶ σοφίαν* (A, 8<sub>182</sub>).

ცალკე უნდა გამოვყოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც „და“ ქართულ თარგმანში თითქოს უადგილოდ არის ნახმარი მაშინ, როდესაც ბერძნული დედნის შესატყვის ადგილას დასტურდება წინდებულობის სიტყვა. ამგვარ შემთხვევებში ქირს იმის გარკვევა, თუ რა მიზნით არის იგი ნახმარი, მაგრამ ხშირად გვრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მთარგმნელი „და“ კავშირის შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით მიმართავს: „იელტოდა უშინავანესისა მიმართ სამეფოთაჲსა და ქუეშეალმდებელმან მისმან და თან-დაიწუა თავი თჳსი“ (წ. 8, თ. 12, 4) ... *συνέβρυχεν εἰς τὸ μυχαίτατον τῶν βασιλείων καὶ ἄποπρήσας ἀντὶ συγκατάκασι-εν ἔαυτον* (A, 8<sub>311</sub>).

საკმაოდ ხშირია „და“ საკუთარ სახელთა წინ. ამგვარ შემთხვევებშიც ძნელია გარკვევა, თუ რა აზრი ჩადო მთარგმნელმა „და“ კავშირში; დააკისრა მას „ც“ ნაწილაკის ფუნქცია, იხმარა შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, სტილისტურ თავისებურებად უნდა ჩავუთვალოთ მთარგმნელს თუ კიდევ სხვა მიზეზი უნდა ვეძებოთ. მაგ.: „ხოლო ღმერთმან ამის უგბილობისათვის მეყუსეულად საჯნა იგინი და პატიენი მიჰკადა და ონიაჲს მოკუდინებაჲ ესრეთ სახედ...“ (წ. 14, თ. 2, 2). „და ისწავა რაჲ ქმნილი იოავოს, მივიდა და ავესსალომოს მიმართ“ (წ. 7, თ. 8, 5). ასეთი მაგალითები კიდევ ბევრია. არც ერთ შემთხვევაში ბერძნული დედნის შესატყვის ადგილას არ არის *καὶ*.

ზედმეტად არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ იოანე პეტრიწის ენის მკვლევრები, ხაზს უსვამენ რა *καὶ* კავშირის რამდენიმე მნიშვნელობას და მათ სათანადო გადმოღებას პეტრიწის თარგმანებში, არაფერს ამბობენ ზემოთ ჩვენ მიერ ნაჩვენებ მოვლენაზე, კერძოდ, „და“ კავშირის რამდენადმე გაურკვეველი ფუნქციით ხმარებაზე თარგმანში ბერძნული დედნის შესატყვისის *καὶ*-ს გარეშე. ვფიქრობთ, ეს მოვლენა მათ არ დარჩებოდათ შეუნიშნავი მისი არსებობის შემთხვევაში.

ბ) ზ მ ნ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს ი ნ ფ ი ნ ი ტ ი ვ ი დ ა მ ი მ დ ე ო ბ ა. როგორც ცნობილია, ბერძნულ ენაში არსებობს ისეთი კონსტრუქციები, სადაც ინფინიტივს აქვს შემასმენლის ფუნქცია. ასეთია *Accusativus cum infinitivo* და *Nominativus cum infinitivo*<sup>38</sup>. ასეთი კონსტრუქციების თარგმნისას ბერძნული წინადადების ინფინიტივი წესით ქართულში პირიანი ზმნით უნდა გადმოვიდეს. ჩვენი ძეგლის მთარგმნელს კი ამგვარი ფუნქციით ნახმარი ინფინიტივი ძალიან ხშირად ისევე ინფინიტივით გად-

<sup>38</sup> ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი ბერძნული ენა, თბ., 1969, გვ. 309—310.





მოაქვს. იგივე შეიძლება ითქვას მიმღეობაზე, რომელსაც ბერძნულში მშვენიერად ზმნის გაგება აქვს და ასევე მიმღეობის ფორმით და ზმნური შინაარსით არის გადმოსული თარგმანში. ეს მოვლენა არ არის იშვიათი ნათარგმნ ძეგლებში, ადგილი აქვს ამას პეტრიწთანაც<sup>39</sup>.

ჩვენი ინტერესის ფარგლებში ამქამად არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ბერძნული დედანი არ არის უშუალო მიზეზი ქართულ თარგმანში ინფინიტივისა და მიმღეობის ზმნური მნიშვნელობით ხმარებისა. მთარგმნელი, როგორც ჩანს, ისე გაუშინაურდა ინფინიტიურ და მიმღეობურ კონსტრუქციებს, რომ ხმარობს მათ მაშინაც, როდესაც ბერძნული დედნის შესატყვის ადგილას ზმნის პირიანი ფორმა დასტურდება. მაგ.: „ნუცა აქა ჰმყოფობ, ნუცა სახედველად ჩემდა შემემთხუევი, არამედ მამულად შენდა წარსრული აგარაკთა შინა ცხორებად“ (წ. 8, თ. 1, 3)... *ζῆμι* (A, 8<sub>10</sub>) = იცხოვრე. „არა ჩემისა მადლისა მიერ მიღებად და ღმრთისა არა მსჯავრისაგან, დასდებს მას საშუვალ განსარჩევლად მნებებელთა“ (წ. 4, თ. 2, 4)... *λαβῶν* (A, 4<sub>29</sub>) = მიიღო. „და ღამე ყოველი მივიდეს ვითსად და მისრულნი ზღუდეთა თანა მბრძოლთასა და შთამომღებელნი სხეულსა საულოჲსასა და ყრმათა მისთასა, მიღებელნი იავისად“ (წ. 6, თ. 14, 8)... *καθελόντες... κομίζουσιν εἰς Ἰσραήλ* (A, 6<sub>37B</sub>) = ...ჩამოიღეს... მიიღეს იავისად.

მთარგმნელი რომ ბერძნული ენის ძლიერ გავლენას განიცდის, ამას ვფიქრობთ, მოყვანილი მასალაც ცხადყოფს. ზემოთ თქმულს შეგვიძლია დავუმატოთ ისეთი მოვლენები, როგორიცაა მეშველი ზმნის ჩაყარვით თარგმანში მისი ბერძნულ დედანში არსებობის პირობებში, ქვემდებარის არასწორი ბრუნვის ფორმით ხმარება იმის გამო, რომ ბერძნულ ენაში ქვემდებარის ბრუნვა მხოლოდ სახელობითია, აზრობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვების გათიშვა ზოგჯერ დედნის გავლენით, ზოგჯერ კი — მისგან დამოუკიდებლად მთარგმნელის ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციებით აზროვნების გამო. საილუსტრაციო მასალის მოყვანის საშუალებას არ გვაძლევს სტატიის შეზღუდული მოცულობა.

**VII. ხარვეზები ტექსტის თარგმნისას.** ბუნებრივია, რომ დიდი მოცულობის თხზულების ბერძნული ენიდან თარგმნისას მთარგმნელი არ არის დაზღვეული დედნის არასწორი გაგებით დაშვებული შეცდომების, ლათსუსებისა და ხელოვნური ფორმებისაგან. არ იყო დაზღვეული ამისგან არც იოანე პეტრიწი. ნ. კეჭალმაძე თავის ნაშრომში გარკვეულ ადგილს უთმობს მსგავს შემთხვევათა აღნუსხვას. იგი აღნიშნავს, რომ „პეტრიწი ზოგჯერ შემდგარ სიტყვას შემადგენელ ნაწილაკებითურთ თარგმნის... ხშირად ეს ხელოვნურია, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსს ზოგჯერ მშვენიერად გადმოსცემს“<sup>40</sup>. მკვლევარს მოჰყავს ისეთი მაგალითიც, როდესაც პეტრიწი რამდენიმე მნიშვნელობის მქონე ბერძნულ სიტყვას ყოველთვის ერთი მნიშვნელობით თარგმნის<sup>41</sup>. უთარგმნელად გადმოიღებული სიტყვებიც გვხვდება პეტრიწთან, მაგრამ ისინი თითზე ჩამოსათვლელია<sup>42</sup>.

<sup>39</sup> ნ. კეჭალმაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 309.

<sup>40</sup> ნ. კეჭალმაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 261.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 260.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 261.

ყოველივე ამას ნ. კეჭალმაძე „დიდ დანაშაულად“<sup>43</sup> არ უთვლის მკვლელობას და უარს არ ამბობს იმ საყოველთაოდ მიღებულ მოსაზრებაზე, რომ პეტრიწი იყო ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ერუდირებული და მაღალი დონის მთარგმნელი.

როგორც ჩანს, ზემოთ აღნიშნული მოვლენები პეტრიწთან ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, თითო-ორთა იყო და საერთო სურათს ვერ ცვლიდა: თარგმანი მაინც სათანადო დონეზე იდგა. რაც შეეხება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანს, მსგავსი მოვლენები აქ ისეთი რაოდენობით არის, რომ ძნელი ხდება მთარგმნელის მაღალ ოსტატობაზე საუბარი. წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას:

1. **რთული სიტყვების კალკირება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში.** მთარგმნელი აკეთებს აბსოლუტურად ყველა რთული სიტყვის კალკს, მაშინაც კი, როდესაც ამგვარი კალკირების არავითარი აუცილებლობა არ არის (და ასეა ძირითადად, რადგან ქართული ენის მდიდარი ლექსიკა მას საშუალებას აძლევდა ბერძნული კომპოზიტივების ნაცვლად ეხმარა მათი შესატყვისი ქართული სიტყვები). მაგ.: ქუეშმოხარკენი — *ἡ ποσειδεις*; კეთილდონიერობა — *εὖ — παρῖα*; უკუნისიტყუა — *ἀνταίσιον* და სხვ. მრ. ძალიან ხშირად კალკირების შედეგად მიღებული ქართული ფორმა ვერ ახერხებს იმ შინაარსის გადმოცემას, რომელიც მას ეკისრება და ქართული ტექსტი ბერძნული დედნის მოშველიების გარეშე გაუგებარი ხდება. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ბევრ სიტყვას აქვს რამდენიმე, ერთიმეორის სრულიად გამომრიცხავი მნიშვნელობა (ზოგჯერ ეს განსხვავებული მნიშვნელობები დასტურდება სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვა პერიოდში, მაგრამ ძირითადად ერთსა და იმავე პერიოდს განეკუთვნებიან). მთარგმნელი, გააკეთებს რა ბერძნული კომპოზიტის კალკს, დააკისრებს მას ყველა იმ მნიშვნელობის გადმოცემას, რომელიც აქვს შესატყვის ბერძნულ ფორმას და აძნელებს ტექსტის სწორ გაგებას. მაგ.: „წინმოუბრუნობა“, რომელსაც ბერძნულ დედანში შეესატყვისება სამი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვა *ἡ πρόνοια*, თარგმანში ამ სამივე მნიშვნელობით იხმარება: ა) წინდახედულება; ბ) ღვთიური განგება; გ) ზრუნვა. ასევე, „ზედმდებარეობა“ წარმოადგენს ბერძნული *ἔχειματι*-ს კალკს და აქვს მისი ორივე მნიშვნელობა: ა) ყოფნა, წოლა და ბ) დაეინებით მოთხოვნა.

ბერძნულში რთული სიტყვის მნიშვნელობას ხშირად არ განსაზღვრავს მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში კალკირებული ქართული ფორმა სწორად ვერ გადმოსცემს აზრს. მაგ.: „ქუეშ-იმოქმედნა“ (წ. 4, თ. 6, 4). *ἡ σπουρῆσαντο* (A, 4<sub>113</sub>) = დახმარება აღმოუჩინა. მსგავსი მაგალითები ბევრია.

2. **კონკრეტული კონტექსტისათვის ბერძნული სიტყვის შეუფერებელი მნიშვნელობით თარგმნა.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნულ ენაში სიტყვას ხშირად აქვს რამდენიმე, ერთმანეთის გამომრიცხავი ან ერთმანეთისაგან ნიუანსურად განსხვავებული მნიშვნელობა. „ბერძენთა ენაჲ“, — ამბობს ეფრემ მცირე, „უფსკრულ ღრმა არს და იგივე და ერთი სიტყვაჲ მრავალსა პირსა აღიარებს“<sup>44</sup>.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 262.

<sup>44</sup> ს. კეჭალმაძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1946, გვ. 199.

8. მაიციანი, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 4



არცთუ იშვიათად ფლავიოსის თხზულების მთარგმნელს გადმოაქვს სათარგმნი სიტყვის არა ის მნიშვნელობა, რომელიც ბერძნული დედნის მოცემულ კონტექსტში აქვს ამ სიტყვას. მაგ.: „ან გაჰრე ბითა ქალაქთადათა“ (წ. 5, თ. 1, 20)  $\pi\lambda\epsilon\omicron\nu\epsilon\zeta\iota\alpha\lambda$  (A, 5<sub>71</sub>) ნიშნავს როგორც „სიხარბეს, ანგარებას“, ასევე „უპირატესობას, უკეთეს მდგომარეობას“. დამოწმებულ ადგილას, რა თქმა უნდა, საუბარია არა ხარბ ქალაქზე, არამედ ბუნებრივი პირობების გამო უკეთეს მდგომარეობაში მყოფზე. „ბოროტი ცხოველები“ არის ნახმარი იქ, სადაც ბერძნულ დედანში ივარაუდება „წმინდა, საკულტო ცხოველები“ (წ. 13, თ. 3, 1; A, 13<sub>67</sub>). ეს გაუგებრობა მოხდა იმის გამო, რომ  $\xi\epsilon\rho\zeta$  ნიშნავს როგორც „საოცარსა და საშინელს“, ასევე „წმინდას, საკულტოს“. ამ კატეგორიის კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

3. ნ ა თ ა რ გ მ ნ ი ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი. ხშირ შემთხვევაში ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში საკუთარ სახელთა თარგმანა აძნელებს ტექსტის სწორ წაკითხვას, რადგან ივარგება საკუთარი სახელის გაება. მაგ.: „...არავთა მეფე, ს ა ჩ ი ნ ო დ მ ყ ო ფ ი“ (წ. 13, თ. 13, 3). ბერძნული დედნის არავთა მეფის საკუთარი სახელი  $\text{Ἀρέτα}$  გაგებულია როგორც საზოგადო სახელი  $\eta\ \acute{\alpha}\rho\epsilon\tau\eta$  = სიმამაცე, ამალღებული თვისებები, თარგმნილია და გადაქცეულია არავთა მეფის ეპითეტად. ასევე, საკმაოდ ძნელი მისახვედრია, რომ თარგმანში „მორკინალის“ ქვეშ (წ. 13, თ. 16, 5) იგულისხმება ადამიანი, რომელსაც ჰქვია პალესტი ( $\Pi\alpha\lambda\alpha\iota\sigma\tau\eta\varsigma$  A, 13<sub>423</sub>). „განმგებელი“ ქართულ ენაზე ნიშნავს „მმართველს“ და ბერძნული დედნის გარეშე მკითხველისათვის გაუგებარია, რომ აქ საუბარია პიროვნებაზე, რომელსაც ჰქვია  $\text{Πρύτανις}$  (A, 14<sub>243</sub>).  $\text{Ἀκτίφ}$  (A, 15<sub>109</sub>) გეოგრაფიული სახელი, რომელიც აღნიშნავს ყურეს აკარნანიაში, ამბრაკიის სრუტის შესასვლელში, მთარგმნელმა მიიჩნია საზოგადო სახელ  $\acute{\alpha}\kappa\tau\iota\omicron\varsigma$ -ად და თარგმნა იგი როგორც „ზღვსპირი“. ასევე, საკუთარი სახელი  $\text{Περαία}$  (A, 13<sub>50</sub>) = ადგილი პალესტინაში მთარგმნელმა წარმოგვიდგინა როგორც „წიად მყოფი“ (წ. 13, თ. 2, 3).

თარგმანიდან საილუსტრაციო მასალის წარმოდგენისას ჩვენ შემდეგი პრინციპით ვხელმძღვანელობდით: 1. მოვახდინეთ ზოგიერთი საერთო ენობრივი მოვლენის შეპირისპირება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანსა და ნამდვილად პეტრიწისეულ თარგმანებსა თუ ორიგინალურ ნაშრომს შორის. აღმოჩნდა, რომ ისინი, როგორც წესი, განსხვავებულად არიან წარმოდგენილნი ამ ძეგლებში. 2. ვაჩვენეთ ისეთი შემთხვევები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ნაკლებად მოსალოდნელია იმ მასშტაბის მთარგმნელთან, როგორც იყო იოანე პეტრიწი.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მთარგმნელი იოსებ ფლავიოსის თხზულებისა „იუდეველთა სიძველენი“ არის არა იოანე პეტრიწი, არამედ სამშობლოდან გადახვეწილი, რომელიდაც შედარებით ნაკლები გაქანებისა და ცოდნის მქონე პიროვნება.

Н. Г. МЕЛИКИШВИЛИ

## კ ვOPოსუ ო გრუზინსკომ პერეოვდჩიკე «იუდეისკიხ დრევნოსთეი» იოსიფა ფლავიი

### Резюме

Дана попытка пересмотра принятой в научной литературе версии принадлежности грузинского перевода труда Иосифа Флавия Иоанну Петрици.

Сопоставление исследуемого перевода с переводами, бесспорно принадлежащими Иоанну Петрици, показало, что переводчик труда Иосифа Флавия в отличие от Иоанна Петрици находится в сильной зависимости от синтаксиса греческого оригинала и что целый ряд языковых явлений в этих переводах представлен по-разному. Кроме того, грузинский перевод изобилует искусственными формами, имеются неточности разного порядка и ошибки, допущенные вследствие неправильного чтения текста подлинника.

На основании вышесказанного мы пришли к заключению, что переводчиком данного памятника не может являться известный грузинский философ и мыслитель, блестящий знаток грузинского и греческого языков Иоанн Петрици.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება  
წარმოადგინა ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

დინა ჟღნტი

### დიალექტიზმები დინა შენგელაიას ენაში

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერალი დინა შენგელაია სამართლიანად ითვლება სიტყვის ნამდვილ ოსტატად. დ. შენგელაიას ენის ერთ-ერთ თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს დიალექტიზმების უხვი ხმარება.

დიალექტიზმები გვხვდება უფრო პერსონაჟთა მეტყველებაში, თუმცა ისინი დადასტურებულია ავტორის ენაშიც. დიალექტიზმებს გარკვეული ფუნქცია აკისრია. დ. შენგელაია მათ მიმართავს პერსონაჟთა მეტყველების კოლორიტის შესაქმნელად, რითაც დიდ ემოციურ ზეგავლენასა და დამაჯერებლობას აღწევს მკითხველში. ბუნებრივია, დიალექტიზმები უფრო სოფლის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში გვხვდება („ბათა ქექია“, „სანავარდო“, „განძი“). დიალექტიზმების სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა რომანი „ბათა ქექია“. ამიტომ ნაშრომში წარმოდგენილი მაგალითების უმრავლესობაც ამ რომანიდან არის მოყვანილი.

დ. შენგელაიას ენაში შენიშნული ცოცხალი მეტყველების თავისებურებანი ემყარება ძირითადად იმერული დიალექტის ფონეტიკურ, მორფოლოგიურსა და ლექსიკურ თავისებურებებს.

ფონეტიკიდან საყურადღებოა ასიმილაციის, დისიმილაციის, სუბსტიტუციის, ბგერათა ჩართვისა და დაკარგვის შემთხვევები და აგრეთვე იმერული-სათვის დამახასიათებელი სხვა ფონეტიკური პროცესები.

დასავლური კილოები მდიდარია ბგერათა ასიმილაციით. ცნობილია, რომ ქართულში მეზობელ ბგერათა შორის დამსგავსება ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ იგი უფრო გავრცელებულია დასავლურ კილოებში — განსაკუთრებით გურულსა და ქვემოიმერულში. „ვინცალა“, „რაცალა“ ნაცვალსახელთაგან პროგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებულია „ვინცხა“ და „რაცხა“, რომლებიც დასტურდება იმერულსა<sup>1</sup> და გურულში<sup>2</sup>. დ. შენგელაიას თხზულებებში ხშირად გვხვდება ეს ფორმები. მაგალითად: დაქცია ვინცხამ შენი ოჯახი: ბ. ქ. 491,11. თხა მოგვპარა ვინცხამ: ბ. ქ. 453,33. მეზობლებო, რაცხა კაი ამბავი არ უნდა იყოს: ბ. ქ. 496,29. რაცხა ღვთის მადლია თუ ღვთის რისხვა: ბ. ქ. 368,31. გაჩუმდი, რაცხა ლენჩურს ნუ პროცტავ: ბ. ქ. 527,21.

იშვიათად შეინიშნება ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები — ზმნისწინის ხმოვნის შეცვლა მომდევნო ქცევის ან ვნებითი გვარის ნიშნით. ეს პროცესი დასავლეთ საქართველოს დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. აი, რამდენიმე მაგალითი, როცა ქცევის ან გვარის ნიშანი იმსგავსებს ზმნისწინისეულ ა-ს: შენი ქირი წეილო ღედაშენმა: სანავ.

<sup>1</sup> ქ. ძო შენიძე, ზემოიმერული კილოკაი, თბ., 1973, გვ. 56.

<sup>2</sup> ვ. თოფურიია, ფონეტიკური დაკორექციონი ქართველურ ენებში, I, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა, თბ., 1926, გვ. 205.

338,31. შეილივით ჩეიყვან: ბ. ქ. 270,16. მიხედვ მაგ გოჭენის დეიწვას: ბ. ქ. 329,34.

იშეიათად დასტურდება აგრეთვე ხმოვანთა სრული რეგრესული ასიმილაციის შემთხვევებიც, რომლებიც აღმოსავლურ კილოებშიც არის შენიშნული<sup>3</sup>, თუმცა ქვემოთ მოყვანილი მაგალითები აშკარად დასავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფორმებია. მაგ.: მამაშენს შამფური გეეკეთებია, ის ერჩია: ბ. ქ. 417,9. შენ დეგეფსო მაი ყურები: სანავ. 316,5.

პროგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა სიტყვაში რავა — რავვარ, რომელიც გავრცელებულია იმერულში<sup>4</sup>. ეს ფორმა დადასტურებულია დ. შენგელაიას თხზულებებშიც. მაგ.: გახსოვს, რავა უყვარდა ცხენზე ჭლომა? სანავ. 321,21. აბა შენ იცი, რავა უპატრონებ: ბ. ქ. 279,26. ბედი ისე რავა გავწვირავს: განძი, 121,5. ისე ხედა შელიამ იცოცხლა, რავარც შენ ინანო: ბ. ქ. 527,23.

ცნობილია, რომ დისიმილაციური გამეღვრების შედეგად პატრონოსაგან წარმოდგარია ბატონი. ამ სახელის ფარდი სიტყვა პატონი (ან პატენი) დღესაც არის მეგრულში<sup>5</sup>. ეს მეგრული ფორმა დასტურდება რომანში „ბათა ქეჭა“. მაგ.: — არ გეძინება, პატონი? ბ. ქ. 302,1. — არა, პატონი ბ. ქ. 302,2.

ბგერათა შენაცვლების შემთხვევის ნიმუშია ხენწიფეში // მ-ნ; რუსხენწიფის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი: სანავ. 380,16. ამ მაგალითში ამავე დროს ბგერის დაკარგვასთანაც გვაქვს საქმე (იკარგება ღ).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ამგვარი შემთხვევები გვხვდება იმერულსა<sup>6</sup> (ხარაგოულის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში) და ქართლურში. ამ უკანასკნელში სწორედ ეს ფორმა დადასტურებული<sup>7</sup>.

ს-ს ენაცვლება შ: ფოშტას ცარცვადეს: ბ. ქ. 440,21. ნურც ნადელს გაიღებთ, ნურც ფოშტის ფულს: ბ. ქ. 521,24. ამგვარი ფორმები ხშირია გურულში.

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთდროულად ხმოვნის ჩანაცვლებაც არის და თანხმოვნისაც (ო-ს ენაცვლება ა, ვ-ს ენაცვლება ნ): ბალშენიკების ხელში... ბ. ქ. 340,19. ეს ფორმაც დიალექტურია.

აფრიკატის რედუცირება ხდება ორი გზით. ერთ-ერთი მათგანია აფრიკატის სპირანტული ელემენტის დაკარგვა<sup>8</sup>. მაგ.: წ>ტ (ტავლა). ეს პროცესი გავრცელებულია დიალექტებში. იგი დასტურდება დ. შენგელაიას ენაშიც: არა აქვს საზღვარი მათ გაცეხას... სასტაულია, სასტაული! (ბ. ქ. 331,4).

როგორც ცნობილია, დ-ს წინ ნ ბგერის განვითარება ნიშანდობლივია ჰანურ-მეგრულისათვის<sup>9</sup>. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნასესხებ სიტყ-

<sup>3</sup> არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 35.

<sup>4</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966, გვ. 168.

<sup>5</sup> აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 24.

<sup>6</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოები, გვ. 43.

<sup>7</sup> გ. თოფურია, ქართლური, არილი, 1925, გვ. 137.

<sup>8</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, გვ. 172.

<sup>9</sup> ს. ელენტი, ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 93.



ვაში დევი ნ-ს ნაცვლად მ არის განვითარებული დ-ს წინ და-შიღვეთულია მ დევი (შდრ. მეგრ. ნდი — დევი). მ დევი დიალექტური ფორმაა. იგი გვხვდება დ. შენგელაის ენაშიც: ცხრათავიანი მ დევე ბი ძრავდნენ ქვე-ყანას: სანავ. 306,25. ეს ფორმა დასტურდება ქართლურში<sup>10</sup>.

ბგერის დაკარგვა უპირატესად გვაქვს ზმნისართებში, სადაც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში შეინიშნება ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დ-ს დაკარგვის შემთხვევები მისი გაყრუების შემდეგ: კარგათ — კარგა, მაგრათ — მაგრა<sup>11</sup>. მაგ.: ყაყანი თ გული კარგა რომ ვიჯერეთ, დავგვიძინა: ბ. ქ. 330,22. იმავე გვერდზე ისე მაგრა ჩაიხუტა: ირ. ნახ. 720,20.

გვხვდება ბგერათა დაკარგვის სხვა შემთხვევებიც: არ გვეროდა ხე მ-წი ფის წყალობა: ბ. ქ. 499,12—13.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, ხე მ წი ფე ფორმა დასტურდება იმერული წარმოშობის დოკუმენტებშიც და ცოცხალი ხალხური მეტყველების თავისებური სტილის შედეგია<sup>12</sup>. რუს ხე ნ წი ფის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი: სანავ. 380,16.

ბგერის დაკარგვის ეს უკანასკნელი შემთხვევა დადასტურებულია გურულშიც<sup>13</sup>. მაგრამ — მარამ — მარა: იმდენს რას გავუქეთებ, მარა, მოხუცია და გაუხარდება: განძი, 127,8. მაცა, ერთი გავძღე მისი აზრებით: ბ. ქ. 376,23. ალბათ ძაან უყვარხარ: ბ. ქ. 366,10. ძაან გლახადა: ბ. ქ. 356,8. იმისა ნ ვეია... რომ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს: ბ. ქ. 406,17.

ბგერის დაკარგვის დასახელებული შემთხვევები დასავლური დიალექტების კუთვნილებია.

შერწყმის ნიმუშია თვარა: თუ არა — თვარა.

დასავლურ კილოებში უა კომპლექსის უ სიტყვაში თუ არა ვ-თია შეცვლილი — თვარა, ისევე, როგორც სიტყვაში რა გუარი უ შეცვლილია ვ-თი (რავარი — რავარი — რავა).

თვარა ხშირად გვხვდება დ. შენგელაის ენაში: სადაა ჩემი წიგნი ახლა, თვარა მე ვიცოდი თქვენი შექცევა: ბ. ქ. 431,23. ოჯახი არ წამიწყმიდოთ, თვარა ფეხშიშველი ვერ გადამასწრებთ ქიშკარზე: ბ. ქ. 491,20.

აქა-იქ დასტურდება ბგერათა შერწყმის დასავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი სხვა შემთხვევებიც: რას შობი მერე აქ, შეკაცო? ბ. ქ. 327,19.

ეა — ია. ცნობილია, რომ ეა ხმოვანთა ჯგუფს აქვს ტენდენცია, რომ ია კომპლექსი მოგვეცეს. ეს მოვლენა შეინიშნება ფშაურსა<sup>14</sup> და დასავლურ კილოებში. იგი იშვიათად გვხვდება დ. შენგელაის ენაშიც. მაგ.: ისე ვიყავი აძიჯიჯებული, რომ მაინც მიამა: ბ. ქ. 420,25. დაეხედე და მიამა: ბ. ქ. 357,22.

დ. შენგელაის პროზაში საკმაოდია სიტყვათა შეუკუმშავად ხმარების შემთხვევები; მოსალოდნელი შეკუმშული ფუძის მაგივრად გვაქვს შეუკუმშავი ფორმები. მაგ.: ლეთის ანაბარად დავტოვებდით? ბ. ქ. 448,15.

<sup>10</sup> ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 136.

<sup>11</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, გვ. 184.

<sup>12</sup> ფ. ქავთარაძე, იმერული დიალექტის ისტორიისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 1975, გვ. 113.

<sup>13</sup> ს. ქლენტო, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965, გვ. 287.

<sup>14</sup> ავ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 28.



საქართველოს  
ლინგვისტიკის  
ინსტიტუტი

ვალავანის იქით ჩოჩქოლი შეიქნა: სანავ. 399,1. არტილერიის ქსელით ჩაჩუმებული: წ. ყ. 522,21. მეგონა ყავარჯენად ამომიდგებოდა: ირ. ნახ. 688,9. პურის არაყის ბოთლი... სუფრაზე მედიდურად ამართულიყო: წ. ყ. 432,21.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბოლოთანხმოვნინი სახელების ნათესაობით, მოქმედებითა და ვითარებით ბრუნვებში ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვისას სიტყვათა შეუკუმშავად ხმარება დასავლური კილოებისათვის არის დამახასიათებელი (იმერული<sup>15</sup>, გურული<sup>16</sup>). აღმოსავლურ კილოთაგან ეს მოვლენა შეინიშნება კახურშიც<sup>17</sup>.

ფონეტიკური ხასიათის დიალექტიზმების განხილვით ცხადი ხდება, რომ დ. შენგელაის თხზულებებში უფრო დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფორმები გვხვდება.

მორფოლოგიური თავისებურებებიდან აღსანიშნავია სახელების კინობითი ფორმების წარმოება -ა და -ია სუფიქსებით: ყარამანა სალანდიას მისჩერებოდა: სანავ. 212,11. ამეკვიატა ყაფლანა სახინჯაია: ბ. ქ. 439,31. ბესარიონა თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდა: განძი, 193,25. ტაგუია რა მოხდა? ბ. ქ. 508,14. რაე არ გრცხვენია, ბათაია: ბ. ქ. 427,30. ლიზიკიას არ ესმის, სძინავს: სანავ. 316,2. ეს ჩემი ოფლია, საბალია: ბ. ქ. 362,26.

შეინიშნება დასავლურ კილოებში გავრცელებული ჩვენებით ნაცვალსახელთა ფორმებიც. მაგ.: აგი ბალანა მყავს ქალაქს ჩასაყვანი: ბ. ქ. 270,15. მაგ ცხენი... იქით მიაყენე: ბ. ქ. 404,9.

ამ ნაცვალსახელებში ორ ხმოვანს შორის ხშირად იკარგება ძირეული ბთანხმოვანი და მიღებულია: აი, მაი და ა. შ. მაი იშვიათად გვხვდება დ. შენგელაის პროზაშიც. მაგ.: ლიზიკია, შენ დეგეფსო მაი ყურები: სანავ. 316,5.

დასახელებული მაგალითების გვერდით, მწერლის სხვა, არა სოფლის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში, შეინიშნება ჩვენებით ნაცვალსახელთა აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ფორმებიც: ეგეთი, ეგრე<sup>18</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეგრე ზმნისართისაგან არის მიღებული ეგეთი, რომელიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში იშვიათად იხმარება, რადგანაც დიალექტურ ფორმად არის მიჩნეული. მაგ.: ეგეთ პირობებში როგორ უნდა ვიმუშაო: წ. ყ. 526,21. — მისი ეგეთი ყოფა რისთვის მიმეწერა... წ. ყ. 455,15. ეგრე ტკილად: წ. ყ. 541,17.

როგორც ცნობილია, ახალი ქართულის დიალექტებში (ქართლ-კახურში, მთის დიალექტებში) ნამყო წყვეტილში ვალ ზმნის მონაცვლედ, ვედ ფუძის გარდა, ველ ფუძეც გვხვდება<sup>19</sup>. ველ ფუძის შემცველი ფორმები, სხვა-

<sup>15</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიერული კილოკავი, გვ. 232.

<sup>16</sup> ს. უღენტო, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, გვ. 290.

<sup>17</sup> არ. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იგვ. VI, თბ., 1954, გვ. 129.

<sup>18</sup> არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964, გვ. 149—150.

<sup>19</sup> ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 173—174.





დასხვა ზმნისწინდართული, მრავლად დასტურდება დ. შენგელის (ძალიან ხშირად რომანში „ბათა ქეჭია“), ძირითადად ნართულ ი მოკვეცილი სახით. მაგ.: საკრეფად რომ აველ: ბ. ქ. 494,31. ფაცხიდან გამოველ: ბ. ქ. 264,2. წყალზე გადაველ: ბ. ქ. 264,2. ბაბასთან მოხველ: ბ. ქ. 326,2. სუფთა ჰაერზე ამოველი: წ. ყ. 503,32 და ა. შ.

გვხვდება იმერულ და სხვა დასავლურ კილოებში გავრცელებული მოვლენა, როდესაც შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელი ფორმანტი ინ თანხმოვანჩამოცილებული სახით არის წარმოდგენილი:<sup>20</sup> რატომ სულს არ გამაცხებიებ: ბ. ქ. 248,1. გაყურებიებ სერის: ბ. ქ. 464,17. ცხენი ახლავე შეაკაზმიე: ბ. ქ. 305,8.

დიალექტური მოვლენა აგრეთვე თემის ნიშანთა მონაცვლეობა. დ. შენგელის პროზაში მრავლად მოიძებნება შემთხვევები, როდესაც -ე თემის ნიშნის ნაცვლად -ო ბ არის წარმოდგენილი. ეს შეინიშნება ძირითადად ადამიანთა, ცხოველთა, ფრინველთა და ბუნების მოვლენათა ხმოვანების გამოხატველ და გარკვევებული ფუძეებისაგან ნაწარმოებ ზმნებში: ფრუტუნობს ქურანა: ბ. ქ. 410,33. ფეხდაბორკილი ქიხვინობს: ბ. ქ. 226,20. ყვავები ყაყანობდენე: სანავ. 320,2. ჩურჩულობენ დედაკაცები: სანავ. 327,34. გასულა და იქ კაკანობს: ბ. ქ. 487,35. მოქაქანობს იგი: ბ. ქ. 430,8. ქარი ზუზუნობს: სანავ. 319,17. ახალგაზრდობაში... ვკისკისობს: ბ. ქ. 401,5.

ეს მოვლენა ხშირია ზემოიმერულ კილოკავსა<sup>21</sup> და გურულში. ამ უკანასკნელში ობ თემისნიშნისეული ბ ყრუვდება და მიღებულია ფ (მიპიროფ, დევიწყოფ)<sup>22</sup>.

ვხვდებით ზმნისწინთა მონაცვლეობის შემთხვევებსაც, რომლებიც კახურისა<sup>23</sup> და ხევსურულისათვის<sup>24</sup> არის დამახასიათებელი. მაგ.: ამბავი მოვასრულე: ბ. ქ. 297,36. ძილი გამიფროხა: წ. ყ. 436,22. დავათავე ლექსით სიტყვა: ბ. ქ. 377,31. რომ დავჩუმებულ იყავი: ბ. ქ. 519,20. გაუხდელად წავვეგდე: ბ. ქ. 445,20. მოდიდებული წყალივით გადმოდის: ბ. ქ. 366,4.

აქა-იქ შეინიშნება თვის თანდებულის ფუნქციით ნანათესაობითარი ვითარებითის გამოყენება სახელებში დანიშნულებისა და მიზეზის გამოსახატავად: ის-და —იზ-და —იზა: საკაბე მინდოდა მეყიდა ცოლიზ: ბ. ქ. 386,35. ბუნტობიზა ციმბირში უკრეს თავი: ბ. ქ. 263,15. ეს სუფიქსი გურულისა და ქვემოიმერულისათვის არის ნიშანდობლივი.

ნაწილაკი. იშვიათად დასტურდება სხვათა სიტყვის ნაწილაკის დასავლეთ საქართველოს დიალექტებში გავრცელებული ფორმაც (—თქვა). მაგ.: უთხარი... შენ რომ ებისკოპოსის წიგნი გაქვს, ის გთხოვა წასაკითხავად. თქვა: ბ. ქ. 356,9. უთხარი, მძიმე ავადაათქვა: ბ. ქ. 356,10.

<sup>20</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 192.

<sup>21</sup> ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 306.

<sup>22</sup> ს. ქლენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, გვ. 295.

<sup>23</sup> არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 90.

<sup>24</sup> აღ. ქინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 95.

ლექსიკაში გამოიყოფა ძირითადად დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფორმები. მაგალითად: კურცხალი, ბეოლა, ძამია, ბალანა და სხვ.

ცალკე უნდა შევჩერდეთ დ. შენგელაიას თხზულებებში დადასტურებულ მეგრელოზმებზე. რომანი „ბათა ქექია“ და ზოგიერთი სხვა მოთხრობა სამეგრელოს ცხოვრებას ასახავს, ამიტომ ავტორს საკმაოდ უხმარია მეგრული გამოთქმებიც, მაგალითად: მე ხომ სიღუ ვარ, ბეჩა, და ნ ე ლ ი ხ ე: ბ. ქ. 563, 28.

-ხე (←ფხე) ფორმა იხმარება ქვემო იმერეთსა და გურიაშიც. იგი ერთეის ქალის გვარს (ქალიშვილისეულს): ჯიქია — ჯიქიხე, თოფურია — თოფურიხე, და ა. შ. ხე მიღებულია -ფხე საგან, რომელიც მომდინარეობს მკვევალ სიტყვისაგან: მკვევალ → ფხე → ხე<sup>25</sup>.

დ. შენგელაია ხშირად იღებს მასალას მეგრულის ლექსიკური ფონდიდან, ასეთები: დოხორე (სასახლე), ბურჭული (წალდი), ჩქიმი (ჩემი), ჯიმა (ძმა), საქორთუო (საქართველო), ძლაბი (გოგო) და სხვ. მაგალითად: ბურჭული შორს წვერით რომ დაერჭო, გამოსწია: ბ. ქ. 537, 27. უთხარით... ჩქიმ ჯიმაღფი, რომ გლახაკი ვარ: ბ. ქ. 281, 16. ნოლელასთან რომ... დაქცეული დოხორეა, ვხედავ: ბ. ქ. 296, 7. შენ რას მიჩჩევ, ძლაბო...: ბ. ქ. 426, 35. რას იზამ, ჯიმა ა: ბ. ქ. 382, 8. იმ ვირიქამია ყინოსქუე ბმა არ გამაწვალონ: ბ. ქ. 265, 33. ესროლა „ვითოჟირი ბერლინ გერმანია“ და მიწაზე უსულოდ დააწვინა: ბ. ქ. 546, 10.

დ. შენგელაიას ენის დიალექტიზმების შესწავლით ირკვევა, რომ დიდი ნაწილი დიალექტიზმებისა გვხვდება დასავლეთ საქართველოს სოფლის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში („ბათა ქექია“, „სანავარდო“, „განძი“). ამიტომ, ბუნებრივია, რომ მწერლის თხზულებებში უფრო დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის (იმერული, გურული) დამახასიათებელი ფორმების სიჭარბე იგრძნობა. მათ გვერდით, შედარებით ნაკლები რაოდენობით, დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს, უფრო ქართლ-კახური, დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფორმებიც. როგორც დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, ზოგჯერ დასავლური და აღმოსავლური დიალექტური ფორმები ერთად არის წარმოდგენილი ერთ რომელიმე ნაწარმოებში („ბათა ქექია“, „სანავარდო“). როგორც ჩანს, აქ მწერალი ბოლომდე ვერ იცავს კანონზომიერებას და დასავლეთ საქართველოს სოფლის ცხოვრების ჩვენების ფონზე აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელ ენობრივ ფორმებსაც ურთავს. მეორე მხრივ, აღმოსავლური დიალექტიზმები დასტურდება ისეთ თხზულებებშიც, სადაც ისინი მოსალოდნელია. ესენია ქალაქის თემაზე დაწერილი ნაწარმოებები (რომანები: „წითელი ყაყაჩო“, „ირმის ნახტომი“). ამ ორი განსხვავებული — აღმოსავლური და დასავლური — დიალექტური ნაკადის არსებობა დ. შენგელაიას ენაში შემთხვევითი როდია. იგი შეიძლება აიხსნას იმით, რომ მწერალი სწორედ ამ დიალექტურ წრეში აღიზარდა (იმერეთსა და ქართლში), რასაც შეუძლებელია, გავლენა არ მოეხდინა მის ენობრივ გარემოზე. დ. შენგელაიამ იმდენად შეითვისა როგორც და-

<sup>25</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 26; И. В. Мегрелидзе, Женские фамильные окончания в южно-кавказских яфетических языках и фольклоре: კრებ. Памяти акад. Н. Я. Марра, М.-Л., 1938, გვ. 152—171.



საქართველოს  
ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

სავლური, ისე აღმოსავლური დიალექტური ფორმები, რომ ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით იყენებს ორივეს. სამეგრელოს ცხოვრების აღწერის დროს მწერალი გვერდს ვერ აუვლიდა წმინდა მეგრულ ფორმებსაც, რომლებითაც განსაკუთრებით მდიდარია რომანი „ბათა ქექია“. მეგრულიზმები ძირითადად ლექსიკაში შეიგრძნობა.

Д. Г. ЖГЕНТИ

## ДИАЛЕКТИЗМЫ В ЯЗЫКЕ Д. ШЕНГЕЛАЯ

Резюме

В статье рассмотрены диалектизмы, засвидетельствованные в художественных произведениях выдающегося грузинского советского писателя Д. Шенгелая.

Частое употребление диалектизмов составляет одну из особенностей языка Д. Шенгелая. Они преобладают в произведениях, посвященных деревенской тематике («Бата Кекиа», «Санавардо», «Гандзи»), в речи персонажей, хотя встречаются и в авторской речи. Диалектизмы выявлены в сфере фонетики, морфологии и лексики.

Изучение диалектизмов показало, что наблюдается более частое употребление форм западногрузинских диалектов, сравнительно реже встречаются формы, характеризующие некоторые восточные (особенно картло-кахетинские) диалекты Грузии.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ში-  
ძიგურმა

თ. შოთურბაიძე, დ. ჩხუბანიანი, ჯ. გიშნაშვილი

### არქაული მოვლენებისათვის ფერეიდნულში (ზმნა)

„არქაულით“ აღნიშნავთ სინქრონულ დონეზე ენის რომელიმე ქვესისტემისათვის სპეციფიკურ ანა თუ იმ მოვლენას, რომელიც ენის განვითარების წინა პერიოდში საერთო იყო მისი ყველა ქვესისტემისათვის. თუ დავრჩებით იმ ქვესისტემის ფარგლებში, რომელშიც დადასტურებულია აღნიშნული სპეციფიკური მოვლენა, არქაიზმი აღარ გვექნება, რადგან ამ მოვლენას უწყვეტი არსებობა აღმოაჩნდება ქვესისტემაში ისტორიულად<sup>1</sup>. ამ თვალსაზრისით არქაულად ვერ ჩაითვლება თანამედროვე ქართული ენისთვის დამახასიათებელი ხარ და მოხვალ ფორმები. ისინი სპეციფიკური არ არის რომელიმე ქვესისტემისთვის, საერთოა ყველასთვის და ისევე თანამედროვე, როგორც პირველი პირის ვ-არ და მო-ღ-ვალ ფორმები. ეს თანადროულობა და ჩვეულებრიობა ამ ფორმებს ახასიათებს მე-5 საუკუნიდან დღემდე. ამის გვერდით რომელიმე აშენებდის — უწყვეტის ხოლმეობითის ფორმა, რომელიც ქვე ქართულში შედარებით გვიანდელია, ვიდრე სუბიექტური მეორე პირის ხ-პრეფიქსიანი ფორმები, მთის კილოებში და ფერეიდნულში არქაულად ჩაითვლება, რადგან იგი სამწერლობო ენასთან ერთად დაკარგეს ბარის დიალექტებში. მაშასადამე, მთის კილოების არქაიზმი ამ შემთხვევაში განპირობებულია იმით, რომ მათ, საპირისპიროდ სხვა დიალექტებისა, შემოინახეს ფორმა, რომელიც განვითარების წინა პერიოდში მთელს ენაში იყო გავრცელებული (მთის კილოებში დღემდე შემორჩენილა, ახასიათებს ფერეიდნულს, ე. ი., უნდა ვივარაუდოთ, ჰქონდა კახურსაც თავის დროზე...).

განვიხილოთ არქაიზმებს, რომელთაც ვხვდებით კახური კილოს ფერეიდნული კილოკავის ზმნურ ფორმებში.

მრავალ მათგანზე მიუთითა არნ. ჩიქობავამ 1927 წელს<sup>2</sup>, კერძოდ, არქაულია: 1. ვნებითი გვარის ზმნათა დაბოლოება აწმყოს მე-3 პირში: გათენდების, ათავდების და სხვ.; 2. მესამე პირის მრავლობითი რიცხვის დაბოლოება ნამყო უსრულში: ჭამდეს, დააკოცდეს და სხვ.; 3. ავ-გვ მონაცვლეობა უწყვეტის ფორმებში: კლევდეს, მალევდეს... (შდრ. ძველი ქართულის ვკლევდიოთ, ხკლევდიოთ; 4. პერმანსივის ფორმები: ასწავლიდის, იცოდინან, გაყიდინან, დააქუჩიან და სხვ.; 5. ვნებითის ნამყო სრულის ფორმებში -ე-ნ სუფიქსების გამოყენება მრავლობით რიცხვში: შემევეყარენიოთ, გაიქცენეს და სხვ.

<sup>1</sup> არქაიზმის რამდენადმე განსხვავებული განმარტება იხ. О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, М., 1966.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტუმ, VII, 1927, გვ. 210 და შემდეგ.



აღნიშნული ფორმები სრულად დადასტურდა ჩვენ მიერ ნახევარსაუკუნის შემდეგ ჩაწერილ ფერეიდნულ ტექსტებში<sup>3</sup>.

ქვემოთ განვიხილავთ იმ არქაულ ფორმებს, რომლებიც არ ყოფილა განხილული აღნიშნულ გამოკვლევებში:

1. მსგავსად ძველი ქართულის აწმყოსი, -ავ და -ამ თემის ნიშნები აწმყოსა და მყოფადის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებში წარმოდგენილია -ვ და -მ ალომორფებით: „სტინ-ნალარას დოოკრვენ“ (დაუკრავენ) (იკე, XXI; 87, 4<sup>4</sup>). „ყათულს მაასა ჰკრვენ“ (ჰკრავენ) (იკე, XXI; 89, 39). „მამჰრწყვენ“ (მორწყავენ) (იკე, XXI, 90, 31). „ჯვენ“ (ჯნავენ „ხნავენ“) (იკე, XXI, 89, 29). „...ათას მანეთ ფულს ვამართვენ“ (იკე, XXI, 86, 40) (<გამართმენ<გამართმენ). „ჩაახმენ ერთ ქოთანჩი“ (ეტიუდები, II; 39, 24<sup>5</sup>). ვარებ შაბმენ და მაჰაპვენ (ეტიუდები, II, 37, 32). „...ქორწილი დაჰკლვენ ერთი ვარსა...“ (ეტიუდები, II, 51).

2. ძველ ქართულში სახელობითის მრავლობით რიცხვში დაყენებული -ნ სუფიქსიანი პირდაპირი ობიექტი ზმნაში აჩენდა -ენ სუფიქსს, რომელიც რეალიზებული იყო -ენ და -ნ ალომორფებით. ეს კარგად არის ცნობილი<sup>6</sup>. ცნობილია ისიც, რომ კონვერსიის შემთხვევაში -ენ სუფიქსი სუბიექტური პირის მრავლობითობის -თ სუფიქსის გვერდით იმავე სუბიექტის სიმრავლეზე მიუთითებს ინ/ენიანი პასივების ფორმებში: დავმალენით, დავიმალენით. აქტივ-პასივის ეს დაპირისპირება დღემდე ჩვეულებრივია მთის დიალექტებში, ქართლ-კახურში კი, და შესაბამისად ამისა სალიტერატურო ქვესისტემაშიც, შემორჩა მხოლოდ პასივის ფორმები, ე. ი. არის დავიმალენით, დავიკარგენით, დავიშალენით და სხვ. მაგრამ აღარ არის დავმალენით, დავკარგენით, დავშალენით... ფორმები. დღევანდელ ფერეიდნულში ვნებითის ეს ფორმები აგრეთვე ჩვეულებრივია (მათზე მიუთითა არნ. ჩიქობავამ) და აქტივები აღარ გვხვდება.

საყურადღებოა, რომ კახურ ისტორიულ საბუთებშიც პასივის ეს ფორმები ჩვეულებრივია მე-17 საუკუნეში, აქტივი კი ნაკლებად გვხვდება. მათი საბოლოო დაკარგვა ფერეიდანში უნდა დამთავრებულიყო.

ამ თეალსაზრისით საყურადღებოა იარა ზმნის ზოგი ფორმა -ნ სუფიქსით: „რაცდა რო იარნე, ვერ მონახეს და თქვეს, რო...“ (ფერ. თავის., გვ. 243<sup>7</sup>); შდრ. იქვე: „რაცდა რო ვიარეთ, თითან ველარ მოვნახეთ“. „...ქალაზი მომეციოთ, რო წელს არ გაიარნეთ იმ სოფელჩი“ (ფერ. თავის., გვ. 231). „პალექი ეგრე მითხარით, სწორს ვიტყვი, დუგუწყოფ, რო დამეგავიარნეთ“ (ფერ. თავის., გვ. 225). „ეს ოცი, ორმოცი სახლი ორი, ხუთი დღეზე წამამარნიანენ-ყე და იმ დროს, ეხლა მოდიან, აწივიან-ყე“ (ეტიუდები, II, გვ. 44). ამ ზმნებთან სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში დგას: „გამარ-

<sup>3</sup> თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის, იკე, XXI, 1979, გვ. 84.

<sup>4</sup> იკე, XXI-ით მიუთითებთ ჩვენ მიერ გამოცემულ ტექსტებზე (იხ. იკე, XXI, გვ. 82).

<sup>5</sup> ეტიუდები, II—მ. თოდუა, ქართულ-საბარსული ეტიუდები, II (ფერეიდნული ტექსტები გამოსაცემად მომზადებულია მია მაქავარიანთან ერთად), თბილისი, 1975.

<sup>6</sup> არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში? ტუმ, IX, 1929.

<sup>7</sup> ფერ. თავის.—არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტუმ. VII, 1927, გვ. 221 (ტექსტები).

ნეთ კაცებმა“<sup>8</sup>, „ხალღმა წამაძარნიან-ყე სახლები“, „ბიჭი გენა  
მაგაძარნეს გზაზე“<sup>9</sup>. სალიტერატურო ქართულით ამ ზმნებს შემდეგი  
მნიშვნელობა აქვთ: იარნეს — „იარეს“, გაიარნეთ — „გაიაროთ“, გა-  
ვიარნეთ — „გავიაროთ“, „წამაძარნიან-ყე — „ჩამოვიღიდნენ ხოლ-  
მე“.

აღნიშნულ ფორმებში -5 სუფიქსი პირდაპირი ობიექტის სიმრავლის ნიშა-  
ნია წარმოშობით, ამჟამად უფუნქციო, როგორც ცნობილ შეხედნა ფორმა-  
ში იმავე ფერეიდნულსა („ოხ, იმან შეხედნა, არა ყენს აგეთი სახლი არა  
აქ“: ქლ, I, გვ. 266<sup>9</sup>) და ხევსურულში.

„ვეფხისტყაოსანში“ ამ ზმნის II სერიის ფორმების ხმარება ჩვეულებრი-  
ვია როგორც -5 სუფიქსით, ისე მის გარეშე. ეს დამოკიდებულია ობიექტის  
რიცხვზე. თუ ობიექტი მრავლობით რიცხვშია, -5 არის წარმოდგენილი, თუ  
ობიექტი მხოლოდ ერთ რიცხვშია, -5 არ იქნება, მაგ.: „ოცი დღე იარა“ (147, 2);  
შდრ. „წინა-უჯანა იარნეს ორნი ღღენი და ლამენი (218, 1). ობიექტად ჩვე-  
ულებრივ ნავარაუდევია დღე ან გზა („ტარიელისკენ იარნა მან გზანი...“  
1330, 2). „ვეფხისტყაოსანში“ ამ ზმნის ხმარებასთან დაკავშირებით ა. შანიძე  
შემდეგს წერს: „I სერიაში ვნებითად მიდის, ერთ-პირიანია, და გარდაუვალი,  
II სერიაში კი საშუალ-მოქმედებითად მიდის და ზოგჯერ ორ-პირიანია და გარ-  
დამავალი“<sup>10</sup>.

მაშასადამე, ფერეიდნულში პირდაპირი ობიექტის სიმრავლის -5 სუფიქ-  
სით გამოხატვა დღეს მხოლოდ ამ ზმნაშია (-არ) შემორჩენილი ფორმალურად.  
ფუნქცია, როგორც ზემოთ ვთქვით, მას უკვე აღარ აქვს.

ქართული ენის დიალექტთაგან ეს ზმნა -5 სუფიქსით დღემდე კარგად  
არის შემონახული მთის კილოებში: „მოყმემან პირშიშველამან შიბზ გაი-  
არნა კლდისანი...“; ასევე ჩვეულებრივია ასეთი გამოთქმა: „დნჯარნა სო-  
ფელნი/სოფლები“.

ამის გვერდით უნდა მივუთითოთ ფერეიდნელი რ. მიქელაძის განცხადებაზე,  
რომ ფერეიდნულში შესაძლებელია ასეთი გამოთქმებიც: „ბიჭი გაძარა“ (ბიჭმა  
გაიარა); „გზაზე ბიჭები გაძარნეს“ (გზაზე ბიჭებმა გაიარეს)... ე. ი. გაძარა,  
გაძარნეს იღებს პასივის გავებას. ასეთი ვითარება ტექსტებშიც დავადას-  
ტურეთ: „ერთი რაქთენს ხანა გაიარა“ (იქვე, XXI, 93, 38); „ათი  
დღე გაძარა“ (ეტ., 11; გვ. 73). ამ პროცესის განვითარებას ფერეიდნულში,  
შესაძლოა, ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ასეთი კონსტრუქციები ჩვეულებ-  
რივია სპარსული სინტაქსისათვის: pesār gozāšt — „ბიჭი გაიარა“, pesāran go-  
zāštānd — „ბიჭები გაიარეს“.

ანალოგიური ვითარება არის თუშურ კილოშიც. იქ ეს ზმნა II სერიაში  
შესაძლოა როგორც აქტივისა და მედიო-აქტივის, ისე პასივის გავებით, მაგა-  
ლითად: „კაცებთ დნჯარეს (დნჯარნეს) სოფლები“. კაცებთ „კაცებმა“ მოთხ-  
რობით ბრუნვაშია, ობიექტის სიმრავლეც გამოხატულია, საქმე გვაქვს აქტივ-  
თან. „ცხრა დღემ გოძარა“ (ცხრა დღემ გაიარა). გოძარა- მედიოაქტივია,  
მაგრამ ამათ გვერდით ვიარ, იარ, ვიარენტ, იარენტ, იარნეს

<sup>8</sup> სუბიექტის ბრუნვა დავადგინეთ ფერეიდნელი რ. მიქელაძის დახმარებით.

<sup>9</sup> ქლ, I — ივ. გიგინეიშვილი, ე. თოფურა, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

<sup>10</sup> ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, თბილისი, 1956, გვ. 17.-არ (2).



ფორმებზე პასივისაა უდავოდ. ვიარ (ე)-ს მნიშვნელობა დაახლოებით შეიქცევა ასე გადმოვცეთ: ს ი ა რ უ ლ ი დ ა ვ ი წ ყ ე.

როგორც ირკვევა, ეს მოვლენა თავს იჩენს ტერიტორიულად დამორბეულ სხვა კილოებშიც, მაგ. ქართულში: „წავიდა ეს ბიჭი, გაიარა რამტელმე დროი“<sup>11</sup>; გურულში: „გეიარა რამდენიმე დღე და მევიდა სასინარულო ამბავი“; ყურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1920, გვ. 10; რაც იმის მარყენებელია, რომ აღნიშნული ტენდენცია საერთოა, ენის შინაგანი განვითარების კანონზომიერების გამოვლინებაა, კერძოდ, უნდა ვიფიქროთ, რომ სადაც -არ ზმნა პასივის გაგებას იღებს (ფერეიდნულში, თუმურში), II სერიის პარადიგმა სწორდება I სერიის პარადიგმაზე — ობიექტის უქონლობის შემთხვევაში სუბიექტი სახელობითი გადადის და ფორმაც პასივად მოიქცევა.

3. აქვე უნდა აღვნიშნოთ ფერეიდნულის არქაული მესამე თვისებაც: ობიექტის (resp. სუბიექტის) სიმრავლის გამომხატველი -5 სუფიქსის მომდევნოდ კავშირებითი კილოს მაწარმოებლად, მგავსად ძველი ქართულისა, მხოლოდ -ე სუფიქსი იხმარება: „...თებსაყე გევე პარნეთ-ყე (ფერ. თავის., გვ. 224); შდრ. გევე პარო. „...ღუგუწყოავ, რო ღამე გავიარნეთ“ (ფერ. თავის., გვ. 225), შდრ. გავიარო. „...რო გზაჩი არმის არ გედეეკიდნეთ“ (ფერ. თავის. 226), შდრ. გედეეკიდო. „...არ ვარგაო, რო ესეები დაიჯოცნენო“ (ფერ. თავის, გვ. 290), შდრ. დაიჯოცო ს. „...ქალაზი მომეციოთო, რო წელს არ გაიარნეთ ამ სოფელჩი“ (ფერ. თავის., გვ. 231), შდრ. გაიარო. „...ახლა უნდა გაიყარნეთო“ (იკე, XXI, 97, 2), შდრ. გაიყაროთ „გავიყაროთ“. „...არ გაიყარნეთო“ (იკე, XXI, 97, 4), შდრ. გაიყაროთ „გავიყაროთ“. „...ქელი კელს მივეციოთო, რო ძმანი ვიყნეთო“ (იკე, XXI, 97, 9); შდრ. ვიყო. „ჩონ წაადეთ, დაამალნეთ“ (ეტ., II, გვ. 75); შდრ.; დაამალო, დაამალოთ. „...ქენ გამოგვიყყე რო სუ ყელგან წაზიდეთ, სუ ყელგანაც იყნეთ“ (ეტ., II, გვ. 48).

ფერეიდნულში ჩვეულებრივია ახალი ფორმები, რომლებშიც აღარც -5 სუფიქსია და შესაბამისად კავშირებითის -ეც აღარ ჩანს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება აქტივის ფორმებს (გამონაკლისი, როგორც აღვნიშნეთ, არ- ზმნის ფორმებია), აქ პროცესი ჩათავებულია, მაგალითად, „...ჩავიდეთ, დავიჭიროთ-ყე (ფერ. თავის., გვ. 236); „თუ იმ'დღეს ქართველებს სწადებიყოყე დავჯოცონ, ბეურ დაჯოცდეს“ (ფერ. თავის., გვ. 233). ჩვეულებრივ გვხვდება პასივის მრავლობითი რიცხვის ფორმებიც ამ -5 სუფიქსის გარეშე და აღარც -ე გვაქვს კავშირებითი კილოს ნიშნად, მაგალითად, ქართულ-სპარსული ეტიუდების მეორე ტომში დაამალნეთ ფორმის (იხ. ზემოთ) გვერდით გვხვდება დაამალონ ნაცვლად მოსალოდნელი დაამალნენ ფორმისა („...ხლა უნდოდის იმამ დაყუროს და ამ სხოებმა დაამალონ“). ეტ., II, გვ. 75). ერთი და იგივე მთქმელი თავისუფლად უნაცვლებს ამ ფორმებს. მაშასადამე, კავშირებითის ფორმათა განვითარება იმავე გზით მიდის ფერეიდნულში, რა გზითაც კახურში წავიდა: დავიმალნეთ შეიცვალა დავიმალოთ ფორმით. მრავლობითი რიცხვისთვის ამოსავალი გახდა მხოლობითი რიცხვის დავიმალოთ, თუმცა წყვეტილში ჭერ კიდევ გვხვდება დავიმალენით ფორმა.

4. ფერეიდნულში შემორჩენილია მყოფადის გამოხატვის ძველი ქართული სებური წესი, კერძოდ, დავადასტურეთ II კავშირებითის ფორმები, რომლე-

<sup>11</sup> ალ. ლონტი, ქართული ზღაპრები, თბილისი, 1975, 70, 1.

ბიც მნიშვნელობით უდრის მყოფადის მწკრივის ფორმებს: „ქენ ააჰკიდეთო და წადითო და ჭოლან ალაგზეო ჩამაჰჯადეთო და მე მოადეო“ (იკე, XXI, 93, 3).

მოიდეო მნიშვნელობით არის მოვლო. -ო სხვათა სიტყვის ნაწილაკია. „ძრინლ დაღალული ვარო, თუ პურ-მური გაქო, შაჰჰამოო“ (იკე XXI, 93, 24). შაჰჰამო-ო — „შეჰჰამ-ო“. ბოლო -ო ორივეგან სხვათა სიტყვისაა. „...დაიყურეთო და ეს მაიხარშების და... იმაში მოქცე-ყე და შეჰამეთო“ (იკე, XXI, 100, 24). უდავოა, რომ მოქცე აქ მნიშვნელობით უდრის მოქცემ „მოგცემ“ მყოფადის ფორმას. -ყე ირიბი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს.

საყურადღებო ის არის, რომ ეს მოქცე „მოგცემ“ ფორმა მთქმელმა იხმარა მყოფადის ჩვეულებრივი ფორმის გვერდით, მისი განმეორებისას. წინადადებას მოვიყვანთ სრულად: „წყალი დეედევა და აღუღებდაო, ემ ყმაწილებს ატყუილებდაყეო, რო დაიყურეთო და ეს მაიხარშების და მოქცემთო, რო რა იყო იმათ დეეძინოსყეო, იმაში მოქცეყე და შეჰამეთო“. მაშასადამე, მთქმელისთვის მოქცემთ და მოქცე ერთი და იმავე მნიშვნელობისა და თანაბრად სახმარი ფორმები ჩანს.

„თაიარაით ხო მიდიან, არა, რაქთენ ფულს იქ მისცემს და იმათ ჩასონ და წაიყუანონ მაქქაჩი“ (იკე, XXI, გვ. 99, 4) იმათ ჩასონ და წაიყუანონ მნიშვნელობით არის მყოფადი: ისინი ჩასვამენ და წაიყვანენ.

ასეთი ფორმები საკმაოდ იშვიათია თანამედროვე ფერეიდნულ მეტყველებაში. ახლა უფრო გავრცელებულია ზმნისწინით ნაწარმოები მყოფადის ფორმები: წავლენ, დაიბანენ, შამაიხვევენ და სხვ.

5. ფერეიდნულის გარკვეული რიგის ზმნათა II თურმეობითის III პირის ფორმები მრავლობით რიცხვში ისეთივეა, როგორც ძვ. ქართულის ამავე მწკრივის აღწერით ფორმებში გვქონდა.

არნ. ჩიქობავა „ფერეიდნულის მთავარ თავისებურებებში“ აღნიშნავდა, რომ „ნამყო წინარე წარსულში ზოგიერთ ზმნათა -ო და დაბოლოებას ფერეიდნულში სცვლის -იყო. მაგალითად, „სწადებიყო (-სწადებოდა), გაჰხარებიყო (-გაჰხარებოდა), გამომყოლიყო (-გამომყოლოდა)... და სხვ. ეგვევ ახასიათებს აღმოსავლურ კილოებს“<sup>12</sup>. სწორედ ამ ტიპის ზმნებში დადასტურდა II თურმეობითის (ნამყო წინაწარსულის) III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმები ძველი ქართულისებური წარმოებით. ეს გასაგებიც არის, რამდენადაც II თურმეობითი ასეთ შემთხვევაში იყენებს ყოფნა ზმნის წყვეტილის ფორმებს; წყვეტილში კი ამ ზმნას ფერეიდნულში შემორჩენილი აქვს ძველი ქართულისებური წარმოება. II თურმეობითის მაგალითები: „სოფელსაყე წასულ იყენეს (ფერ. თავის., გვ. 236), შდრ. „რაქთენჯელ თითან ეს ყენი წასულ იყო და ეს სახლი, რო აკეთებდეს, ენახვა...“ ქდ, I, გვ. 264. „ჩონ ბიჭები რო მაჰყოლი იყენეს“ (ფერ. თავის., გვ. 237). „ჯერ ყაზალები არ მაწადეს, რო მაიყენეს“ (ფერ. თავის., გვ. 237). „ღელე-ღელე ამაბარებ იყენეს“ (ფერ. თავის., გვ. 233).

სხვა პირის ფორმები წერილობით ვერ დავადასტურეთ. რ. მიქელაძის ცნობით, I და II პირში ამათ შესაბამისი ფორმები გვაქვს: I — აჰხარებიყენ-

<sup>12</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტუმ, VII, 1927,





ვით, წასულვიყნევიით „ავპარებოდით, წავსულიყავით“ ან „ავპარებოდით, წავსულიყავით“ არქაული და მათ პარალელურად არსებული თანამედროვე ფორმები ფერეიდანულმა კილოკავმა ადგილგადანაცვლების დროსვე (მე-17 საუკ.) გაიყოლა თან საქართველოდან.

ეს ახალი ფორმები ჩვეულებრივია ამ დროის კახური საბუთების ენისთვის. ამ ძეგლებში, რა თქმა უნდა, ვხვდებით არქაულ ფორმებსაც, რომლებიც კახურის ფერეიდანულ კილოკავს დღემდე შემოუნახავს.

Ф. Г. УТУРГАИДЗЕ, Д. З. ЧХУБИАНИШВИЛИ, Дж. Ш. ГИУНАШВИЛИ

## К АРХАИЧЕСКИМ ГРАММАТИЧЕСКИМ ЯВЛЕНИЯМ В ФЕРЕИДАНСКОМ (ГЛАГОЛ)

### Резюме

Грамматическое явление, которое на синхронном уровне является специфическим для одной или нескольких подсистем языка, называем арханческим, если исторически оно было свойственно для языка в целом, т. е. функционировало во всех его подсистемах.

В статье анализируются архаичные глагольные формы, которые в научной литературе еще не были рассмотрены с этой точки зрения.

1. В глагольных формах ферейданского говора кахетинского диалекта тематические суффиксы -av и -at в третьем лице мн. числа настоящего и будущего времени представлены в виде -v и -m, соответственно, как в древнегрузинском (qn -v -en «пашут», gamaart -m -en «возьмут»).

2. Во второй серии глагольных форм древнегрузинского языка суффикс [-en], который реализуется в виде алломорфов /-en/ и /-n/, выражал множественность прямого объекта и субъекта, соответственно в переходных и непереходных глаголах с префиксом /i- / и /e- /.

Эти формы хорошо сохранились в горских диалектах, в современном кахетинском функционируют лишь формы пассива. В ферейданском в формах глагола -ag «пройти», «идти» хотя и сохранился /-n/, но уже не может выразить множественность прямого объекта, вследствие чего субъект меняет падеж: в основном представлен в форме им. падежа вместо эргатива. Этот процесс — пассивизация активной формы — прослеживается и в других подсистемах грузинского языка.

3. В формах конъюнктива с вышеупомянутым /-n/ множественности показателем наклонения в древнегрузинском всегда выступал суффикс /-e/. Это правило без исключения сохранилось в ферейданском. Однако такие формы в подговоре спорадичны, а в тех формах, где нет /-n/ множественности, показатель наклонения переходит из форм единственного числа.

4. В ферейданском форма сослагательного наклонения спорадически может передать грамматическое значение будущего времени, как в древнегрузинском языке. В основном для будущего времени в подговоре используются превербные формы (преверб + форма настоящего времени), как в современном грузинском.

5. Одноличные и двуличные глаголы во II результативной скриве представлены в формах древнегрузинского языка. Их встречаем и в горских диалектах.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართულ-ენათმეცნიერების განყოფილება; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. შერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინდურ-ირანული ენების განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. შერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

## უჩა ცინელონი

ძიგბანი ძველი ქართულის ლექსიკონი: ჰერი, ბანკარული

I. ჯერი. ძველი ქართული ენის ძველებში ჯერი იშვიათად იხმარება. დავდასტურეთ მისი გამოყენების სამი შემთხვევა, ისიც მხოლოდ ბიბლიურ წიგნებში:

1. და ჰქმნე სასანთლ<sup>1</sup> ოქრომასაგან წმიდისა, ქანდაკებულად ჰქმნე სასანთლ<sup>1</sup> იგი. ჯერი იგი მისი და რტონი და ტაკუქნი და ბირთუნი და შროშანნი მისგანვე იყვნენ **OB<sup>1</sup>**, გამოსლ. 25,30 (31).

სხვა ქართულ ვერსიებში აქ ჯერ<sup>2</sup>ს ცვლის ღერი იკითხვის (AKCS)<sup>2</sup>. რაც შეეხება ბარალელურ უცხოურ ტექსტებს, იქ ასეთი სურათია:

ბერძნ. και ποιήσεις λαχρίαν ἐκ χρυσίου καθαρόν, τρισητήν ποιήσεις τῆν λαχρίαν. ὁ καυλὸς αὐτῆς καὶ οἱ καλαμίαι καὶ οἱ κραινῆρες καὶ οἱ σφαιρωτῆρες καὶ τὰ κρινα ἐξ αὐτῆς ἔσται

სომხ. *և արացես աշխանակ լուսույ սրբոյ. մախարակապ գործեսցես զաշտանակն զի բունն և ստեղունքն և սկարքն և ջուշանքն՝ անդստին ի նամակ.*

2. ესე არს აღმზადებდა სანთელთა (შემზადებდა საბზმაციისა G): მყარი ოქროა ჯერი მისი და შროშანნი მისნი მყარი ყოვლად **ABKSG**, რიცხ. 8,4.

ბერძნ. και αὐτῆ ἦ κατασκευῆ τῆς λαχρίας: σπερὰ χρυσῆ ὁ καυλὸς αὐτῆς, καὶ τὰ κρινα αὐτῆς, σπερὰ ἄλ.

სომხ.<sup>3</sup> *և ալս էր կազմած աշտանակի. ձիւ ոսկի բունն նոր և ջուշանք նորս ձիւք համակ.*

3. და ქმნა სასანთლ<sup>1</sup> იგი, რომელი ენთებოდის მყარი ოქრომასა (+ მტკიცედ ხედ! B) ჯერი იგი და რტონი ორკერძოავე გუერდით მისით მისგანვე რტოთა მისთა გამომცენარედ **BS**, გამოსლვ. 37,17 (7 B).

ბერძნ. και ἐποίησεν τῆν λαχρίαν, ἣ φωνίσει, χρυσῆν σπερὰν τὸν καυλὸν καὶ τοὺς καλαμίαιους ἐξ ἀμφοτέρων τῶν μέρων αὐτῆς.

სომხ. *և արար զաշտանակն լուսույ ձիւ ոսկի բունն և զստեղունս լիկրիցոնց կողմանց նորս.*

საგულისხმოა, რომ მცხეთური ნუსხა<sup>4</sup> ძველი თარგმანის გვერდით იძლევა ამ მუხლის ახალ თარგმანსაც: „ოქრო წმიდა ოფაზი ქმნა სასანთლე, ბუნი

<sup>1</sup> ლიტერების ვახსნა: A—H 207 (XVII ს.) B—ბაქარის ბიბლია, 1743 წლისა, C—A 179 (XVII ს.), F—A 646 (XVI ს.), G—A 1108 (XII ს.) გელათის ბიბლია, J—J 113 (XIII ს.) K—K 28 (XVII ს.), O—978 წლის ათონური ბიბლია, S—A 51 (XVIII ს.), მცხეთური ბიბლია.

<sup>2</sup> Septuaginta id est Velus Testamentum graece iuxta LXX interpretes, edidit Alfred Rahlf, vol. I, Stuttgart, 1952.

<sup>3</sup> *Աստուածաշուք Մատնան ճին և նոր կտակարանաց...*, 'ի Վևենոիկ, 1805.

<sup>4</sup> მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ზუთოიანელის, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოცემულ მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილიძე, თბ., 1981, გვ. 215.

და კერი მისი ყვავილედად აღმოკვეთილად და ბირთვი და შროშანნი მისნი გამოზიდვით მისგანვე“, სადაც ბუნი და კერი ერთმანეთის სინონიმებად ჩანს გამოყენებული.

როგორც ვხედავთ, დამოწმებულ კონტექსტებში ყველგან ლაპარაკია სასანთლის ნაწილებზე: კერი (ზოგჯერ მას დერი ენაცვლება, ერთხელაც საბას ბიბლიაში — ბუნი), რტონი, ტაკუნი, შროშანნი, ბირთუნი. ისიც ირკვევა, რომ კერი ერთადერთია, ყოველთვის მხოლოდით რიცხვშია წარმოდგენილი მაშინ, როდესაც დანარჩენი ნაწილები (რტონი, ტაკუნი, ბირთუნი, შროშანნი) რამდენიმეა, მრავალია. მაშასადამე, კერი (ბუნი, დერი) სასანთლის ისეთი ნაწილი ყოფილა, რომელიც ერთადერთია. ეს გარკვევით ჩანს ბერძნულ-სომხური პარალელური ტექსტებიდანაც, სადაც სამსავე შემთხვევაში შესატყვისად გვაქვს ბერძნ. ἰ χασίς, სომხ. բուն მხოლოდით რიცხვში.

მნიშვნელობით ეს სიტყვები ბერძნულშიცა და სომხურშიც პოლისემიურია: χασίς, ἰ 1. ღერო, 2. ღერძი, 3. ტარი, 4. სახელური და სხვ.<sup>5</sup> բուն 1 საძირკველი, 2. ფესვი, 3. ძირი (ხის, მცენარის), 4. ტარი, 5. სახელური და სხვ.<sup>6</sup>, ხოლო შესიტყვებაში բუნ აჯაანსაჲ სიტყვა ბუნ ნიშნავს 'სასანთლის ღეროს'.

ამგვარად, ბერძნ. χασίς, სომხ. բուն სიტყვებისათვის ამოსავალი მნიშვნელობებია: 'საძირკველი, ძირი, ფესვი; ღერო'.

გამომდინარე აქედან, ქართული კერი<sup>7</sup>, რომელიც აღნიშნულ კონტექსტში მხოლოდ სასანთლესთან კავშირშია წარმოდგენილი, შეიძლება განვმარტოთ როგორც 'სასანთლის ღერო, ღერძი; საყრდენი, ფხი'.

რა ვითარებაა ლექსიკონებში?

ი. აბულაძე კერს განმარტავს 'ზროს' საშუალებით, კაგებში უთითებს პარალელური ტექსტების ღერი იკითხვისაც<sup>7</sup>. ამ სიტყვის საბასეულ განმარტებათაგან კი ჩვენს კონტექსტებს ყველაზე ზუსტად ესადაგება B ნუსხის ჩვენება: ჳ ე რ ი ს ა ს ა ნ თ ლ ე თ დ ე რ ო ა<sup>8</sup>. რაც შეეხება სხვა ნუსხათა განმარტებებს, ისინი დამოწმებულ კონტექსტთან მიმართებით არაა ზუსტი, კონტექსტის თანახმად, როგორც ვნახეთ, კერი სასანთლის ერთადერთი ნაწილია. საბა კი გვეუბნება: ჳ ე რ ი ს ა ს ა ნ თ ლ ე თ რ ტ ო ე ბ ი ა ო Z A.

ეს განმარტება თავის მხრივ დამოკიდებული ჩანს Cab, Cq, D ნუსხებზე: „სასანთლეთა რტოებთა და მისთანათსა იტყვიან „შ ჳ დ-ჳ ე რ ი ო“ ანუ „ხ უ თ-ჳ ე რ ი“ და „ს ა მ-ჳ ე რ ი“. ხოლო განჳ ე რ უ ლ თ ა გაფიცრული რამე გალობილივით Cab. ჳ ე რ ა დ ი თჳ მის გაფიცრულივით რამე; განლობილი—გ ა ნ ჳ ე რ უ ლ ა დ, გინა სასანთლისა და მისთანათა რტოთა ს ა მ-ჳ ე რ ო თ ა და ხ უ თ-ჳ ე რ თ ა გინა შ ჳ დ-ჳ ე რ თ ა ვიტყვით Cq (D)<sup>9</sup>.

როგორც ვხედავთ, აქ B-საგან განსხვავებული თვალსაზრისია გატარებული, კერძოდ კი ის, რომ კერი სასანთლის რტოებსაც შეიძლება ეწოდებოდეს,

<sup>5</sup> И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т. II, М., 1958, გვ. 927.

<sup>6</sup> ჳ. მ. ნ. ა. კ. ა. ნ., ჳაქსენს არძაათოჲსკან რაიარან, II, ხრქიონ, 1926.

<sup>7</sup> ი. ა. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 649.

<sup>8</sup> ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბ., 1968, გვ. 438.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 438.



ხოლო სასანთლე კი შეიძლება იყოს ს ა მ-ჯ ე რ ი, ხ უ თ-ჯ ე რ ი, შ ე დ-ჯ ე რ ი. ამ უკანასკნელს საბა ცალკეც განმარტავს და აზუსტებს, რომ „შ ე დ-ჯ ე რ ი არის შვდრტოედი ZAB. შვდრტოიანი C. შვდშტო D. შვდღერი სასანთლე E“.<sup>10</sup>

შ ვ ღ-ჯ ე რ ი ს საბასეულ ამ განმარტებაში ერთი საგულისხმო ნიუანსიც გამოიკვეთა: ღერი ლექსიკოგრაფს ესმის როგორც რტოს სინონიმი, შდრ.: E ნუსხის განმარტება: შ ვ ღ ღ ე რ ი ს ა ს ა ნ თ ლ ე. ე. ი. ჯერი-ღერი-რტო საბასთვის შინაარსობლივად ერთმანეთის გადამკვეთი, ერთმანეთთან ახლო მდგომი სიტყვებია.

რამ მისცა ს. ს. ორბელიანს ამის საფუძველი? ბიბლიური კონტექსტები ამის საბაბს თითქოს<sup>11</sup> არ იძლევა. ჩანს საბას მხედველობაში ჰქონდა კიდევ სხვა რომელიღაც კონტექსტი, რაკი რამდენჯერმე დაბეჯითებით იმეორებს: „სასანთლეთა რტოებსა და მისთანათასა იტყვიან შ ვ ღ-ჯ ე რ ი ო ანუ ხ უ თ-ჯ ე რ ი და ს ა მ-ჯ ე რ ი“. ყოველ შემთხვევაში, ლექსიკოგრაფი შემთხვევით რომ არას იტყვის, ამას ზედმიწევნით ადასტურებს ანდრეა კრიტელის მეტაფრასული თხზულება „ღეთისშობლის შობისათვის“, რომელშიც წერია: „შენ ხარ წმიდისა წმიდათაჲსა მეორე კრეტსაბმელი... ქერობინი ზესთა დიდებისა მაგრილობელი... შ ვ ღ-ჯ ე რ ი და შ ვ ღ-ლ ა მ პ ა რ ო სასანთლეო შვდთა მათ მადლთა სულისათათა და დღუშრეტელო სანთელო ნათლისა მის ყოველთა განმანათლებელისაო, რომელი-ეგე განიბოზე ზეთითა მით საიდუმლოდ საცხებელითა“<sup>12</sup>.

შესაბამის ბერძნულ წყაროში ‘შვიდ-ჯერის’ ბაღლად *ἑπταχάριος(!)* გვაქვს: *ἢ ἑπταχάριος καὶ ἑπταχάριος τῶν ἑπτὰ χαρισμάτων.*

მიგვაჩნია, რომ ბერძნულ ტექსტში ლაფსუსია ვაპარული და არსებული *ἑπταχάριος*-ის ნაცვლად უნდა იყოს *ἑπταχάριος* იკითხვისი. ეს კომპოზიტი შეიცავს ზემოთ უკვე განხილულ *χαρίος* სიტყვასაც და იშლება ასე: *ἑπτα+χάριος*, რაც ზუსტი შესატყვისია ქართული ‘შ ვ ღ-ჯ ე რ ი ს ა’.

ამგვარად, „ღეთისშობლის შობის“ საკითხავის მიხედვით სასანთლე შ ვ ღ-ჯ ე რ ი ც შეიძლება იყოს. მაგრამ გასარკვევია, რას ნიშნავს შ ვ ღ-ჯ ე რ ი: შვიდრტოს, როგორც საბა იტყოდა, შვიდრტოედს, თუ შვიდღეხას? სხვაგვარად: სასანთლის რომელი ნაწილია ჯერი, ზემოთა, რომელზედაც სანთელი (ან სანთლები) მაგრდება თუ ქვემოთა, რომელსაც სასანთლე ეყარდობა?

ბიბლიურ ტექსტებში, ვნახეთ უკვე, ჯერი ყოველთვის მხოლოდით რიცხვში დგას და გარკვევით არის გამიჯნული სასანთლის სხვა ნაწილებისაგან. მათ

<sup>10</sup> იქვე, გვ. 310.

<sup>11</sup> თითქოსო, ვაშობთ, რადგან შვდსანთლიან, ე. ი. შვდშტოიან სასანთლეებზე ბიბლიურ ტექსტებშიცაა საუბარი, თუმცა ჯერის რტოსთან ვაიგივების საფუძველს იქ ვერ ვხედავთ. სავანგებოდ ემოწმებ საბას ნარედაქციევ მცხეთურ ტექსტს: „და ქმნა სასანთლე ოგი, რომელი ენთებო-ღის (მყარი ოქროსა ჯერი ოგი და რტონი ორკერძოვე გვერდით მისით მისვანე რტოთა მისთა გამომცენარედ გამომატებულ, სამინი—ამიერ და სამინი იმიერ განსწორებულ ურთიერთას. და სასანთლენი მათნი, რომელნი დვენ მწუერვალთა... და დასადგმელი მე შ ვ ღ ე ზედა წვერსა სანთლისა თხემსა ზედა კერძო მყარი ყოველად ოქროსაჲ და შვდნი სასანთლენი მისნი მას ზედა — ოქროსანი და მარწუნნი მისნი—ოქროსანი) ოქროჲ წმიდა ოფაზი ქმნა სასანთლე, ბუნად და ქერი მისი ყვევილედად აღმოკვეთილად და ბირთვი და შრომანნი მისნი გამოზიდეთ მისვანე“ გამოხსლ. 3717. იხ. აგრეთვე რიცხვ. მკ.

<sup>12</sup> მაღლობას მოვახსენებთ ნ. გოგუაძეს, რომელმაც ეს მთავალითი მოამწოდა მაშინ, როცა სტატია დასაბეჭდად იყო გამზადებული. ამ კონტექსტის გათვალისწინებამ სტატიაში გარკვეული კორექტივები შეიტანა.

შორის რ ტ ო ე ბ ი ს ა გ ა ნ ა ც: **ვერი** იგი და **რტონი**—გამოსლ. 37<sub>17</sub>; **ვერი** იგი მისი და **რტონი**—გამოსლ. 25, 30; **ვერი** მისი და **შროშანი**—რიცხ. შკ. **ბუნი** და **ვერი** მისი ყვავილედად აღმოკვეთილად—გამოსლ. 37<sub>17</sub> (S). ისიც ნაჩვენებია იყო, რომ **ვერის** შესაბამისი ბერძნულ-სომხური შესატყვისები (*ααλδ, μμ*) 'ძირს, ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ს, ღ ე რ ო ს' აღნიშნავს, რის საფუძველზეც ქართული **ჭვრიც** სასანთლის ღ ე რ ძ ა დ, ს ა ყ რ დ ე ნ ა დ მივიჩინეთ. მაშასადამე, აქ საეჭვო თითქოს აღარაფერია. **ვერი** (*ααλδ, μμ*) ერთია და, ბუნებრივი იქნება, თუ მას სასანთლის ღერძად, საყრდენ ნაწილად მივიჩნევთ.

ამ ნათელ სურათში ბუნდოვნება შეაქვს „შობის“ საკითხავის ზემოთ დამოწმებულ ციტატას, რომლის თანახმადაც სასანთლე შვდ-ვერიც შეიძლება იყოს. სხვათა შორის, ეს კონტექსტი ორაზროვნების საბაბს იძლევა იმ შემთხვევაში, თუკი „შვდ-ვერსა და „შვდლამპარს“ სინონიმებად ვაგვიგებთ, შდრ.: „შვდვერო და შვდლამპარო სასანთლეო“. ვგებინ, საბასაც ამან მისცა საბაბი, რომ ლექსიკონის ბოლო რედაქციაში მოეცა განმარტება: **ვერი** სასანთლეთ რტოებიაო **ZA**.

ჩანს, მეტაფრასულ საკითხავში დამოწმებული მასალა **B** ნუსხისეულ განმარტებაში ჯერ კიდევ არაა გათვალისწინებული: „**ვერი** სასანთლეთ ღეროა“, რომელიც მხოლოდ ბიბლიურ მასალაზე ჩანს დამყარებული და უფრო ზუსტიცაა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ნ. ჩუბინაშვილიც თავის ლექსიკონში სწორედ ამ უკანასკნელს უცხადებს მეტნდობას: **ხერი** სასანთლეთ ღერო, **Стебель**<sup>13</sup>.

რეალურად **ვერი** „შობის“ საკითხავშიც გამიჯნულია სასანთლის სხვა ნაწილებსაგან: შვდვერი და შვდლამპარი, ბიბლიური კონტექსტების მაგაყსად, სასანთლის სხვადასხვა ნაწილს გულისხმობს, სადაც **შვდვერი** სიტყვასიტყვით შვიდღერძანს, შვიდღერძიანს ნიშნავს. შდრ. მისი ბადალი ბერძნული  $\xi\alpha\chi\alpha\lambda\alpha\varsigma$ , რომელიც ლექსიკონში სწორედ ამგვარადვეა განმარტებული<sup>14</sup>.

ნათქვამი რომ შევაჯამოთ, გამოირკვევა, რომ **ვერი**'ს სინონიმდ როგორც ხელნაწერებში, ისე ლექსიკონებშიც **ღერი** ფიგურირებს. ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ **ვერი** (resp. **ღერი**) სასანთლის ფეხის (ღერძის, საყრდენის) შინაარსით მეორეულია და მომდინარეობს ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობიდან: **ვერი**//**ღერი**//**წრო**. შდრ. საბა: **წრო** მხალთა და ბალახთა გვამი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **ვერ-ღერ** ძირითა ურთიერთმიმართება ფონეტიკურ კანონზომიერებასაც ექვემდებარება. ვ/ღ მონაცვლეობის ზოგიერთი შემთხვევა სხვაც დასტურდება ქართულში, მაგალითად: ჰუეზა და ღუეზელი. ამავე რიგისა უნდა იყოს საჭუმბილ და ღუმელ თანაფარდობაც, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო პრობლემატურ ვირ-ღირ შესატყვისობაზე. ა-ჭირება—ღ-ღირება.<sup>15</sup>

ძნელი სათქმელია, არის თუ არა რეალური სემანტიკური კავშირი **ვერ** ძირსა და თანამედროვე **ხირხალს** შორის: **ვირჯალი** (**ხირხალი**) სხილის ძელით სამ-ოთხრიგად სიგრძელ შემოვლებული (ს.); ძელური ღობე, კიშკარში

<sup>13</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 467.

<sup>14</sup> E. A. Sophocles, Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods, vol. I, New York, გვ. 520.

<sup>15</sup> ამ საკითხზე ყურადღება მიგვაქცევინა პროფესორმა ზ. სარჯველაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებო.



გაყრილი გრძელი ლატანი (ქეგლ)<sup>16</sup>. შდრ. დილაქტური ხირხალა — ჰოკი, მარხილის ჰოკი<sup>17</sup>. ამავე მნიშვნელობით ხერხალი//ხირხალი დადასტურებულია ყოფილა მეგრულშიც. ის ფაქტი, რომ ჯერ ძირი დღესაც დაცულია სვანურში, მრავლის მთქმელია. ერთი კია, ეს ძირი დღეს პროლექტიული წარმოების სიტყვათა რიგს აღარ განეკუთვნება და ხმარების შეზღუდული სფერო გააჩნია. ჯერ'ს უწოდებენ წვრილფეხა საქონლის ტყავის გუდის სამხრეს, სახელოს, სახელურს, რომელიც წინა და უკანა კიდურებზე ჩამოტყავებული ტყავის ერთმანეთზე გადაბმით მიიღება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ დაკავშირებულია მე-ჯარ 'მხარი' სიტყვასთან და მიჩნეულია, რომ ამ უკანასკნელის ა/ა ხმოვანი არაა პირველადი და მომდინარეობს ე-საგან, რაც შემონახულია სწორედ ჯერ 'სამხრე, სახელო' ფორმაში<sup>18</sup>. იქვე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ჯერ სიტყვის ე ხმოვანიც ისტორიულად ა ხმოვნისაგან მომდინარეობს: ჯარი->ჯარ>ჯერ. მაშასადამე, ჯერ ა'ს დავიწროება — ა>ა>ე, ხოლო შემდეგ მისი უკუპროცესი: ე>ა>ა.

დამოუკიდებლად იმისაგან, ხმოვანთა გადაწვევის ზემოთ დასახელებულ პროცესს გავიზიარებთ თუ არა, სემანტიკური სიახლოვე ქართულ-სვანური ძირებისა აშკარაა. სვანურში მნიშვნელობის ერთგვარი დავიწროება — სახელო, სახელური, მეორეული ჩანს. თავდაპირველი მნიშვნელობა კი უნდა ყოფილიყო 'კიდური, ფეხი, საყრდენი'.

ამრიგად, ჯერი ჩვენს კონტექსტებში შეიძლება განვმარტოთ როგორც 'სასანთლის ღერო, საყრდენი ნაწილი, ღერძი'.

II. **განჯერული.** ჯერი'ს საბასეულ განმარტებებში ცხადად გამოიკვეთა კიდევ ერთი ნიუანსი, კერძოდ ის, რომ ჯერ'ს სხვაგვარი მნიშვნელობაც ჰქონია: „ჯერად ითქმის გაფიცრულივით რამეო“, — ამბობს საბა და იქვე დასძენს: „განლობილი — განჯერულადო“ Cq. შდრ. **განჯერულთა** (იტყვიან) გაფიცრული რამე გალობილივით Cab. ამ განმარტებას საბა იმეორებს სხვაგანაც, როცა განსამარტ ერთეულად განჯერული გააქვს (გვ. 149).

რას ემყარება საბა, როცა ამგვარ განმარტებებს გვაწვდის, ჩვენთვის უცნობია. ამ განმარტებებთან საბა წყაროებზე არ მიუთითებს, მაგრამ უსაფუძვლოდ, რაიმე კონკრეტული მასალის გაუთვალისწინებლად საბა რომ არ გაირჩებოდა, ეს სიტყვა შუდ-ჯერ'თან დაკავშირებულმა შემთხვევამაც ნათლად დაგვანახა. ამიტომ, ჩემი აზრით, აქაც გასათვალისწინებელია „მეფეთა წიგნების“ ერთი ადგილი, სადაც საუბარია სოლომონ მეფის მიერ ტაძრის მშენებლობაზე: „და აღაშენა ტაძარი იგი... ას წყრთა სიგრძოა მისი და ერგასის წყრთა სიგრცე მისი და ოცდაათ წყრთა სიმაღლე მისი და სამნაკეცად გარემო სუეტთა მათ ძელითა ფიქუსათა... (4) და დაპრთო ტაძარი იგი ზედა კედელთა მათ და სუეტთა და რიცხუ სუეტებისა მის ორმოცდახუთ და ათხუთმეტგან განჯარულ შინაგან. (5) გარემო და ზედა მოტიხრულ სამნაკეც(ლ)ად განწვალვით“. III მფ. 7, 39—41.

<sup>16</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1964.

<sup>17</sup> მაცდუნებელია ჯერ ძირის დაკავშირება თანამედროვე ხერხეშალთან, რომელსაც ჩუბინა აწეილი ასე განმარტავს: „ზურგის საშუალო ძელი, რომელზედაც მოსხმულ არან წიბონი ან ფერცხალი გვერდთანი ორკერძო“ (გვ. 467).

<sup>18</sup> მ. ქალღანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმაღლესის სისტემა სვანურში, თბ., 1968, გვ. 31.

ეს ციტატი იმთავითვე იმსახურებს რამდენიმე შენიშვნას: 1. კონტექსტი ერთადერთია, სადაც საანალიზო სიტყვა დასტურდება. 2. ჯარ და არა ჯერ ძირი ფიქსირებულია ორ სანდო ნუსხაში—A646-სა და J113-ში. 3. ა გამოვანება რომ აქ შემთხვევითი არაა, ამას საბას ბიბლიაც ცხადყოფს, სადაც განჯარულს ცვლის განჯარულ იკითხვისი, ე. ი. ა გამოვანება აქაც დატულია. 4. ფორმები—განჯარულ//განჯარულ არცერთმა ლექსიკონმა არ იცის.

მაშასადამე, სიტყვის მნიშვნელობა მხოლოდ უცხოურ წყაროებზე დამყარებით შეიძლება გაირკვეს, იქ კი ასეთი სურათია:

ბერძ: και ἐφάρσαθεν τὸν οἶκον ἀναθεῖν ἐπὶ τῶν πλεονῶν τῶν σαύλων. και ἀριμὸς τῶν σαύλων πασοπαχοντα και πέντε ὁ σαύχας (+ ὁ εἰς Zje<sub>2</sub>).

სომხ. *և էլարի գտունն 'ի վերայ կողմանոցս սხանցն. և թիւ սხանցն քառասուն և հինգ, և հնգետասան կարգ.*

შღრ. ებრაელის რუსული თარგმანი: также построил он дом... и покрыт он был кедрами на брусях, что на сорокапяти столбах, по пятнадцати в ряд.

როგორც ვხედავთ, ქართული განჯარულის ბაღლად უცხოურ ტექსტებში აქ გვაქვს ბერძნ. ὁ σαύχ, საუჯდ რივი, მწკრივი, სომხ. *կათგ* (id) ებრ. *פּרָד*<sup>19</sup>. ამითვე უჭერს მხარს სირიელის in ordines 'ჩამწკრივებული' და ერთი გვიანდელი ბერძნული ნუსხის εἰς σαύχας ἰρβυσ<sup>20</sup>. აქედან გამომდინარე, შეიძლება გვეთქვა, რომ განჯარული აქ ჩამწკრივებულის, ჩარიგებულის' მნიშვნელობით იხმარება, ე. ი. „ათხუთმეტგან განჯარული“ იქნება 'თხუთმეტრიგად ჩამწკრივებული' (ლაპარაკია სვეტებზე, რომლებსაც ტაძარი ეყრდნობა). მაგრამ ბიბლიური ტექსტების სხვა ადგილების ანალიზიდან ირკვევა, რომ ბერძნ. ὁ σαύχας, სომხ. *կათგ* იკითხვისების ბაღლად განჯარული მეტად აღარ გვხვდება და მათ სხვაგვარი შესატყვისები ეძებნებათ: სურათი ასეთია: 1. ნაკეცი — III მფ. 6, (36) 34, 7(2) 39, 7(42) 28. 2. ნაკეცი II ჯერი — III მფ. 7(12)49. 3. ჯერი II კარგი — გამოსლ. 36, 17—18—19—20. 4. კარგი II სტიქონი, სტრიქონი — გამოსლ. 28, 17—18—19—20. ძნელი როდია შევამჩნიოთ, რომ აქ წარმოდგენილი ყველა შესატყვისი ერთმანეთის სინონიმია, ამთგან ჯერი და ნაკეცი საკუთრივ ქართულია, ხოლო კარგი და სტიქონი, შესაბამისად, სომხურ-ბერძნული ნასესხობები:

1. ეზოა იგი დიდი გარემო სამ ნ ა კ ე ც ა დ (-ცლად FS) ფიცრიოთა უთლელითა და ჯერი ერთი ფიცრიოთა შედგმულითა (შედგომ...J) FJS, III მფ. 7(12).

ბერძნ. τῆς ἀλλῆς τῆς μέγιστης κήλιος, τρεῖς σαύχας ἀπελεχίτων και σαύχας κελισι.τῆς μέγιστης.

სომხ. *գարահ մեծ շուրջանակի քրքկանցնիսնս յանտաշիւ. և կարգ մի մատուցեալ სկսնափալալ.*

2. და აღაშენა ეზოა იგი შინაგანი სამ ნაკეცად (-ცლად FS) და მოფეტნა ძელითა ფიქსაბათა, FJS, III მფ. 6, (36) 34.

<sup>19</sup> Священные Книги Ветхого Завета переведенные с еврейского текста, Вена, 1877, 33. 563.

<sup>20</sup> The Old Testament in Greek, edited by A. E. Brooke, N. Mclean and H. J. Thackeray, vol. 11, Cambridge, 1930.





ბერძნ. και φχαριστήσεν τήν ἀσλήν τήν ἐσωτάτην, τρεῖς στίχοι *საქონისაჲთაჲთა*,  
και στίχος κατεργασμένης χείρου χρυκλῆθεν.

სომხ. *և շինեաց գորահն ներքին երեքկարգիսան յանտաշից, և պարիսպ գործեալ լիղինափախից.*

3. გამოარჩიეს ოთხი ჯგირი ანთრაკოვანი, თითო იგი ჯგირი სამ-სამ ჯგირითა ან-  
თრაკთა მათგან... პირველი იგი ჯგირი ზმარაკდინონი AK. გამოსლ. 36, 17. -შეჟექ-  
სოვა მას ქსოვილი თითოეული ანთრაკი კარგად კარგად ოთხ სტიქონად კარგი  
ერთი: ქვაჲ, სარდიონი და ტოპაზიონი S, გამოსლ. 39, 10.

ბერძნ. και συσφάσθη ἐν ἀσθῆ σφασμα, κατάλοιπον τετραστίχων. στίχος ἰσῆσθαι  
σάβδου και τσαζῆσθαι, ὁ στίχος εἰς.

სომხ. *և անկաներ ընդ նմին անկուած ակնասկապ չորեքկարգիսն  
ակანցն կարգ առաջին იարդիին.*

ებრ. и вставили в него в четыре ряда камни. рядом: рубин, топаз и  
изумруд: один ряд.

ამგვარად, თითქოს ექვი აღარ რჩება, რომ განკერძოებით მდგომი სიტყვა  
განჯარული, რომელიც კონტექსტში ბერძნულ *στίχος*-სა და სომხ. *կარც*-ს შეე-  
სატყვისება, ძველი აღთქმისავე სხვა კონტექსტებზე დამყარებით იმავე შინა-  
არსს ვადმოსცემს, რასაც ჯგირი, ნაკეცი, კარგი, სტიქონი.

ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იქცევს საბას ნარედაქციევი მც-  
ხეთური ტექსტის ჩვენება, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ნუსხების გან-  
ჯარულ იკითხვის განკარულ ცვლის. ცვლილება ორნაირად შეიძლება აიხს-  
ნას: ა. საბას ბიბლიის იკითხვისი ვადამწერისეულია და მიღებულია გ-სა და კ-ს  
გრაფიკული აღრევის ნადაგზე მხედრულში<sup>21</sup>. ბ. განკარულ იკითხვისი რედაქ-  
ტორის შეგნებული კონიექტურა უნდა იყოს. ამ შემთხვევაში სიტყვაში გამორ-  
ჩენილია ასო გ: განკარულ← განკარგულ, ეს უკანასკნელი კი მომდინარეობს სომხ.  
*კარც* 'რიგი' სიტყვიდან. საბას ლექსიკონში დასტურდება როგორც კარგი 'რიგი',<sup>22</sup>  
ისე მისგან ნაწარმოები განკარგვა 'ვარიგება' და განმკარგველი 'გამრიგებელი' სა-  
ლექსიკონო ერთეულები. უფრო მეტიც, ძველი რედაქციების ჯგირი რიგ შემთ-  
ხვევაში საბას ნარედაქციევი ტექსტში შეცვლილია სწორედ კარგ სინონიმით: გა-  
მოსლ. 39, 10—11—12—13:<sup>23</sup> ასე რომ, მცხეთური ბიბლიის ჩვენებაც, ჩემი აზ-  
რით, იმის სასარგებლოდ ლაბარაკობს, რომ აღნიშნულ კონტექსტში სწორედ  
განკარგვაზე, ჩამწკრივებაზე, ჩარიგებაზე არის საუბარი. არც ის უნდა იყოს შე-  
მთხვევითი, რომ განკარულ//განკარულ იკითხვისი საბას ლექსიკონმა არ იცის.  
იქ, უკვე ვნახეთ, წარმოდგენილია სიტყვა განჯარული, რომელსაც საბა დაბეჯი-

<sup>21</sup> როგორც ცნობილია, საბას ნარედაქციევი „მცხეთური ბიბლიის“ ძირითად წყაროს „მე-  
ფთა რიგებისათვის“ წარმოადგენს XVI საუკუნის მშვენიერი მხედრულით გადანუსხული ხელ-  
ნაწერი A 646-ი; ამდენად, გრაფიკული აღრევის შესაძლებლობა არსებობს.

<sup>22</sup> საგულ ისმობა, რომ ამ სიტყვაზე საბა თავის ლექსიკონში საგანგებოდ ამახვილებს ყურად-  
ღებას. საბას მიანჩია, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაირჩეს კარგი და კარქი: „ქარქი რიგია  
სომხურად და ჩვენს მწერლებს ზოგან გაუსინჯაობით ქარქის ნაცვლად კარგი დაუწე-  
რია: კარგი კეთილს ჰქვია, ხოლო ქარქი — რიგსა.“

<sup>23</sup> „შეჟექსოვა მან ქსოვილი თითოეული ანთრაკი კარგად-აკარგად ოთხ სტიქონად  
კარგი ერთი: ქვაჲ სარდიონი... და მეორე იგი კარგი: ანთრაკი... და მესამე იგი კარგი:  
ლიგური... და მეოთხე იგი კარგი: ოქროქვა“. ძველ რედაქციებში აქ კარგის ნაცვლად  
ვევლადან ჯგირი დასტურდება.

თებით უკავშირებს **კერ** ფუძეს: **კერი** სასანთლეთ რტოები ZA, სასანთლეთ რტოები B... **კერად** ითქმის გაფიცრულივით რამე; განლობილი-განჯერულად **ცე**; სხვაგან საბა დასძენს: **განჯერულთა** (იტყვიან) გაფიცრული რამე გალობილივით **ცაბ**, **განჯერული** გალობილივით ZABE. ეს ფაქტი ძალაუნებურად გვაფიქრებინებს: ბიბლიის ნუსხებში ხომ არა გვაქვს საქმე გადამწერისეულ შეცდომასთან? სხვაგვარად, ხომ არ მოდის FJ ნუსხების **განჯარულ**←**განჯერულ** ფორმისაგან? მსგავსი შეცდომები ხომ არც ისე იშვიათია ხელნაწერებში.

ასეა თუ ისე, ჩვენი კონტექსტის **განჯარულ**, რომელიც უცხო წყაროებზე დაფუძნებით განემარტეთ როგორც 'ჩამწკრივებული, ჩარივებული', და საბასეული **განჯერული** 'გალობილივით, გაფიცრული რამე გალობილივით' მნიშვნელობით ერთმანეთისაგან შორი შორს არ დგას.

У. Е. ЦИНДЕЛИАНИ

## ИЗ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ЛЕКСИКИ (QERI, GANQERULI)

### Резюме

В статье рассмотрены редко употребляемые в древнегрузинском языке лексические единицы qeri и ganqeruli. Опираясь на древнегрузинские тексты, а также на данные различных диалектов и картвельских языков, автор пытается установить как конкретное (данное по контексту), так и общее, основное значение слов qeri и ganqeruli.

Определение с помощью контекста слова qeri как «остов светильника» является вторичным его значением, исходным же должно быть jero (стебель), žiri (основа), pesvi (корень). Производная от qeri причастная форма ganqeruli (→ ganqaruli), засвидетельствованная лишь в III Царств 7,39, означает «поставленный, расположенный в ряд», подобно грузинским словам žeri, nakeci, kargi; ср. gankarguli.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ჯეჯელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება  
წარმოადგინა კ. ჯეჯელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

## კორნელი დანელია

შცხო ენათა ბავშვების კვალი ძველი ქართული წერილობითი  
ძეგლებების ენაში\*

5. ლექსიკურ-სემანტიკური კალკები ბიბლიურ წიგნთა ქართულ  
რედაქციებში

კალკი (ფრანგ. calque) ისეთი ნაწილობრივი სესხებაა, როცა რომელიმე ენაში სხვა ენის სიტყვებისა და ფრაზების (სინტაგმების) მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურის მიბაძვით იქმნება ახალი ლექსიკური ერთეულები და ფრაზები, ან უცხო ენის პოლისემიური სიტყვების ვავლენით სიტყვები იძენენ მეორეულ მნიშვნელობებს. კალკები ენაში მეტწილად თარგმანთა გზით შემოდის, თუმცა შეიძლება ენათა უშუალო კონტაქტების დროს ზეპირ მეტყველებაშიც გაჩნდეს. საერთოდ მორფოლოგიური, სემანტიკური და ფრაზეოლოგიური კალკები თარგმანის ღირსებად კი არ ითვლება, არამედ უფრო ნაკლად, ორიგინალის ტექსტის სპეციფიკური ენობრივი სიტუაციის დაუძლეველბად. მაგრამ ფაქტია, რომ, როცა სათარგმნი ტექსტის ენა გენეტურად და სტრუქტურულად სხვა ტიპისაა, ვიდრე ნათარგმნი ტექსტის ენა, ან ორიგინალში გამოხატული ყოფა და კულტურული გარემო ძალზე თავისებურია, მაშინ აუცილებლად იქმნება შესაძლებლობა თარგმანში კალკების გაჩენისა, მით უმეტეს თუ თარგმანი მიზნად ისახავს ორიგინალთან ფორმალურ-სტრუქტურულ ეკვივალენტურობას<sup>1</sup>. ამიტომ კალკს იმდენად მოპოვებული აქვს მოქალაქეობრიობა, რომ ის ითვლება არა მარტო თარგმნის ერთ-ერთ ტექნიკურ საშუალებად<sup>2</sup>, არამედ ენის გამდიდრების გზადაც<sup>3</sup>.

ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ლექსიკური, სემანტიკური და ფრაზეოლოგიური კალკის მრავალი შემთხვევა მოიპოვება, რაც ქართული სამწერლო ენის ისტორიის შესასწავლი ერთ-ერთი კონკრეტული ობიექტია. კალკების შესწავლას ორგვარი ინტერესი ახლავს: ლინგვისტური და ფილოლოგიური.

\* ამ საერთო სათაურით წინა ოთხი წერილიც დაიბეჭდა ამავე ორგანოში: 1. სინტაქსური კონტამინაცია ძველ ქართულში (1975, № 4), 2. ვიდრე ულტერიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში (1978, № 1), 3. *vav consecutivum*-ის გადმოცემა თანმიმდევრობის „და“ კავშირით (1979, № 3) 4. ბერძნულ ადგილობრივ ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში (1981, № 2).

<sup>1</sup> Ю. А. Найдя, К науке переводить, Принципы соответствий: Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике, М., 1978, გვ. 119—120.

<sup>2</sup> თარგმანის თეორიაში გამოიყოფა თარგმნის შვიდი ტექნიკური საშუალება: 1. სესხება, 2. კალკები, 3. სიტყვისიტყვით თარგმანი, 4. ტრანსპოზიცია, 5. მოდულაცია, 6. ეკვივალენტია და 7. აღაბტაცია: Жан-Поль Вине, Жан Дарбелье, Технические способы перевода: Вопросы теории перевода..., გვ. 157—167.

<sup>3</sup> О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, М., 1966, გვ. 188; შხ. ანდრთნიკაშვილი, ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, გ. ახვლედიანის რედაქციით, თბ., 1972, გვ. 168; ალ. ლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964, გვ. 82—83; ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 370—374.

საქართველო  
საქართველოს  
საქართველოს

ა) **ლინგვისტური** თვალსაზრისით საჭიროა იმის გარკვევა, ბიბლიურ ძეგლებში რა და რა კალკები მოიპოვება საერთოდ და ხმარების როგორი სიხშირე ახასიათებს თითოეულ მათგანს; წარმოშობით რომელი ენობრივი წრისაა ეს კალკები; ქართულმა სამწერლო ენამ ბიბლიურ თარგმანებში ნახმარ კალკთაგან რამდენი, რა გაითავისა და რა ვერ შეიგუა; როგორია ასეთი კალკური სიტყვა-ფრაზებისა და მნიშვნელობათა ხვედრითი წონა ქართული ენის სიტყვაწარმოებასა და ლექსიკაში და სხვა. ცხადია, ამ საკითხის, ისევე როგორც ქართული სამწერლო ენის ისტორიის ბევრი სხვა საკითხის, საფუძვლიან შესწავლას აძნელებს წერილობით წყაროთა ძნელად ხელმისაწვდომობა, ბიბლიურ წიგნთა ქართული რედაქციების სრული ბეჭდური კორპუსის, დიდმნიშვნელოვან ძეგლთა სიმფონიებისა და ისტორიული ლექსიკონის უქონლობა. წინასწარ მხოლოდ შეიძლება ის ითქვას, რომ: როგორც სემიტური (ებრაულ, სირიულ), ასევე ბერძნულ ენობრივ წრეთა ე. წ. ბიბლიური კალკები ქართულ თარგმანში არსებითად ბერძნული, ან ზოგჯერ სომხური ყაიღისაა. ქართული სამწერლო ენა მყარი სისტემისა და ძირძველი ტრადიციის სტაბილურობის გამო ძნელად იგუებდა კალკებს და თარგმანებიდან თავის წიაღში შემოსასვლელად მხოლოდ იმათ უღებდა კარს (და ისიც ვიწროდ), რომლებიც სიტყვაწარმოების, კომპოზიციის საკუთარ მოდელს ესადაგებოდა, როგორცაა, ვთქვათ, სირაქლემი (σαρασαχάμηλος), წინაწარმეტყუელი (πρωφητης), მხოლოდშობილი (μειογενής, მჩაბჩნ), ერისმთავარი /ერისთავი, (მზაძრეჯე, ვირაყილი) ძვრის-მოქმედი (αχαιοποιος, ჯარაყიძ), სულგრძელი (μακαρθαμος, სრკანამჩო) და სხვა<sup>4</sup>.

ბ) **ფილოლოგიური** თვალსაზრისით კალკებს გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიბლიურ წიგნთა ქართული რედაქციების წარმომავლობის დასადგენად, რადგან პირველ ყოვლისა, სწორედ თარგმანის კალკებში ჩანს პირველწყაროს (დენის) უშუალო ენობრივი გავლენა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ნონსენსურ კალკს, როგორცაა, „სრსვილისაგან საძოვრის პოენა“. პავლე მოციქული ტიმოთეს არიგებს, რომ განერიდოს ცრუმოდვართ, რომელთა მწვალებლური სიტყვები დამლუპველია ქრისტიანობისათვის, რადგან საზოგადოებაში „სიტყუამან მათმან ვითარცა სრსკლმან საძოვარი პოვოს“ (2 ტიმ. 2, 17). „სიტყუამან (სრსკლმან) საძოვარი პოვოს“ უხეში ფრაზეოლოგიური კალკია, რომლის მეტაფორული მნიშვნელობა უცხოენოვან წყაროთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია. ბერძნულ პირველწყაროშია: ἄλλοις ἄνευ ἡμῶν ἔχουσιν ἄνοιαν, რომლის კონტექსტური მნიშვნელობა ასეთია: სიტყვა მათი [-მწვალებლების] განგრენასავით მოედება [ქრისტიანული საზოგადოების სხეულსო]. დასახლებული ბერძნული წინადადება კალკური სახითაა გადატანილი არა მარტო ქართულ, არამედ სირიულსა და სომხურ რედაქციებშიც. მთარგმნელთა წინაშე სირითულეს ქმნიდა ორი გარემოება: ა) ბერძნ. ἄνοιαν („კირჩხიბი“ ანუ „კიბო“, „განგრენა“) სიტყვის ფარდი ერთეულის შერჩევა (ამ შემთხვევაში სირიული ḫalādītā და სომხური *քաղկիկ* უკეთ გადმოსცემენ მას, ვიდრე ქართული სრსკლი) და ბ) ილიომური სინტაგმის ἄνοιαν-ის თარგმნა. ეს სინტაგმა

<sup>4</sup> თ. ყაუხჩიშვილი, კომპოზიტები ძველ ქართულში: თსუ-ს შრომები, ტ. 47, 1952, გვ. 59—90; ელ. დოჩანაშვილი, ადრინის ოთხთავის კომპოზიტები: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბ., 1951, გვ. 87—102.





არსს, მისი სათავეების რაგვარობას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველად ბიბლიურ წიგნთა თარგმნას ღვთიური შიშით და კრძალვით ეკიდებოდნენ, ცხადია, ბიბლიის — „ღმრთის სიტყვის“ — ნაციონალურ ენაზე გადმომღებ მორწმუნე ქრისტიან მთარგმნელთ მხოლოდ ის მიზანი ექნებოდათ, რომ მაქსიმალურად ჩასწვდომოდნენ დედნისეულ აზრს და ინდივიდუალური ინტერპრეტაციის გარეშე გადმოეტანათ ის. ურთულესი ბიბლიური ტექსტის უზუსტესად თარგმნის სურვილს არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა ლექსიკურ-სემანტიკური და გრამატიკული კალკები. მართალია, ბიბლიურ წიგნთა ქართულ ენაზე გადმოღების რთულ საქმეში ბევრი რამ წარმატებითაა დაძლეული<sup>9</sup>, მაგრამ არის დაუძლეველი მწვერვალებიც. თუ წარმოვიდგინებთ, რომ სათარგმნი ბიბლიური ტექსტის სპეციფიკური ინფორმაციით დატვირთულობა, ასევე იუდეურ თუ ბერძნულ-რომაულ და ქართულ ყოფით, კულტურულ და ენობრივ სფეროებს შორის არსებული დაშორების გამოწვევაა უმძიმეს პირობებში აყენებდა პირველმთარგმნელთ, მაშინ საკვირველად გამოჩნდება არა ის, რაც დაუძლეველია ქართულ თარგმანში, არამედ ის, რაც წარმატებითაა დაძლეული.

გავრცელებული შეხედულებით<sup>10</sup>, დედანსა და მხატვრულ თარგმანს შორის<sup>11</sup> არსებობს ეკვივალენტურობის ორი ძირითადი ტიპი: 1. ფორმალური (სტრუქტურული) და 2. დინამიკური (მოდულაციურ-ადაპტური). პირველ შემთხვევაში მთარგმნელი ცდილობს მიადწიოს ორიგინალის ფორმალური (ენობრივი) და შინაარსობრივი სტრუქტურის მაქსიმალური სიზუსტით გადმოღებას, რაც ზოგჯერ ძნელად გასაგებს ხდის თარგმანს. მეორე შემთხვევაში კი მთარგმნელი ცდილობს ორიგინალის ფორმობრივი და შინაარსობრივი სტრუქტურა დაუმორჩილოს, შეუგუოს თარგმანის ენის ბუნებრივ გამომხატველობით საშუალებებს, მის კულტურას, რომ მიადწიოს ეკვივალენტურ ეფექტს. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანს, ის ზოგადად შუალედურ ადგილს დაიჭერს ფორმალურ და დინამიკურ თარგმანებს შორის და არსებითად თარგმანის ისეთ სინთეტურ ტიპად წარმოგვიდგება, რომელშიც რამდენადმე უარბობს ფორმალურ-სტრუქტურული თარგმანის ნიშნები (მოგვიანორედაქციებში ასეთი ნიშნები კიდევ უფრო მოხშირებულია) და რაშიც ცნაურდება პირველწყაროთა (ბერძნულის, სომხურის...) ენის გავლენაც.

დღეს, მე-20 საუკუნეში, უფრო დინამიკური თარგმანი იკავებს გზას და ეს ბიბლიის ტექსტზეც ვრცელდება. ამასთანავე შეიმჩნევა, რომ, რაც უფრო დიდია ქრონოლოგიური დისტანცია დედანსა და თარგმანს შორის, მით უფრო იქმნება შესაძლებლობა, მოდერნიზებულ-ადაპტირებული თარგმანი დასცილდეს დედანს. თუ როგორ მიმართებაში არის დედანთან ძველი (ამ შემთხვევაში ქართული) და ახალი (ამ შემთხვევაში ინგლისური) თარგმანები, ერთ მაგალითს დავასახელებთ. მიაჩნიათ, რომ ახალი აღთქმის ფილიპსისეული თარგმანი არის

<sup>9</sup> კ. დანელია, რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან: თსუ-ს შრომები, ტ. 183, თბ., 1978, გვ. 111—141. შლრ. გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბ., 1960, გვ. 62—64.

<sup>10</sup> Ю. А. На й да, К науке переводить..., с. 114—135.

<sup>11</sup> სათარგმნი ტექსტების ტიპები განსაზღვრავს თარგმნის მეთოდს და თვით თარგმანის ტიპსაც: К. Р а й с, Классификация текстов и методы перевода: Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике, М., 1978, გვ. 202—224.



ნიმუში ბუნებრივი (დინამიკური) თარგმანისა (ეს ის ფილიპისა, რომელიც მანუელობითი კრედაა: „თარგმანის მაღალი ხარისხის საუკეთესო დამადასტურებელია ის, რომ იგი არ აღიქმება როგორც თარგმანი“), და აღნიშნავენ: «Филлипс вполне естественно переводит greet one another with a holy kiss (дословно: «приветствовать друг друга святым целованием») как give one another a hearty handshake all around (обменяться сердечным рукопожатием)»<sup>12</sup>. ირწმუნებიან: თუ ფილიპის თარგმანში იქნებოდა დედნის ზუსტი ფარდი holy kiss („წმინდა ამბორი“), მას დასჭირდებოდა შენიშვნის გაკეთება, რომ „წმინდა ამბორი“ ახალი აღთქმის შექმნის უამს იყო მისალმების ჩვეულებრივი ფორმა<sup>13</sup>. ასეა კი? თითქოს ცვლილება ასატანია: ახალი აღთქმისეული აღმოსავლური ყოფის, კულტურის ფაქტი (მისალმება კოცნით) თარგმანში გადმოცემულია დასავლური, ინგლისური კულტურის რელიგანტური მოდუსით (გულითადი ხელისჩამორთმევით). ამ შემთხვევაში თარგმანი ბუნებრივი კი ვახდა, მაგრამ დედნის ტექსტობრივი სპეციფიკა გამოუჩენელი დარჩა. ძველი ქართული თარგმანი კი, რომელიც უფრო ფორმალურ-სტრუქტურულ ტიპს მიეკუთვნება, ზუსტ ცნობებს იძლევა ახალი აღთქმისდროინდელი ყოფის, კულტურის გამოხატვის სპეციფიკაზე. პავლე მოციქული კორინთელ პირველ-მორწმუნეთ სწერს: „მოიკითხვედით ურთიერთას ა მ ბ ო რ ი ს-ყ ო ფ ი თ ა წ მ ი დ ი თ ა“ (II კორ. 13, 12). თუ როგორ ესმოდათ ძველად „წმიდა ამბორის-ყოფა“ და როგორი რელიგიური შინაარსით იყო ის დატვირთული, ამას კარგად გვაუწყებს ეფრემ მცირის მიერ ცნობილ ღვთისმეტყველთა შრომების საფუძველზე შედგენილი სამოციქულოს თარგმანება-კომენტარი: „არს უკუე ზაკუეთითა ამბორის-ყოფაჲ, ვითარცა-იგი იუდაასი ქრისტეს მიმართ, და კჳალად ვითვანმე ვნებულთაჲცა გულის-სიტყჳთა კორცთა ტრფიალებისათა იქმნების ესე. ამისთჳს ორისავე ამისგან განკრძალულსა ეწოდების წმინდა, რაათა უწყადით, ვითარმედ სახედ სულიერისა სიყუარულისა მოცემულ არს ჩუენდა ურთიერთას ამბორის-ყოფაჲ, რაათა ესრეთ ამბორს-უყოფდეთ, ვითარცა მშობელნი შვილთა და ვითარცა ძმანი ძმათა. რამეთუ ვინაჲთგან ვართ ტაძარ ქრისტესსა, ამისთჳს ბაგითა ამბორს-უყოფთ ურთიერთას, ვითარცა თვთ ბჭეთაჲცა ამათ საუფლოასა ტაძრისათა. რამეთუ პირისა მიერ და ბაგეთა მოვიღებთ ზიარებასა ქრისტეს საიღუმლოთასა, რომლითა იქმნების მკვდრობაჲ მისი ჩუენ შორის და ამით გული-სკმის-ყოფითა ჯერ-არს ურთიერთას ამბორის-ყოფაჲ და უზაკუველ იყოს სიყუარული იგი და წმიდა...“ (A-390, 4 r).

მაშასადამე, „წმიდა ამბორის-ყოფა“ ძველად გაიგებოდა, როგორც მზაკვრული და ვნებიანი ამბორისგან „განკრძალული“ სულიერ-პნემატიკური სიყუარულის გამოხატულება, სიმბოლო („სახე“)<sup>14</sup>. უნდა ვითქვითოთ, რომ ეს მნიშვნელობა შეეძლო ალბათ ამოეცნო ძველ ქართველს „წმიდა“ ატრიბუტით გამოხატულ „ამბორის-ყოფაში“, მაგრამ ინგლისური თარგმანის „გულითად ხელის ჩამორთმევაში“ ეს რელიგიურ-სიმბოლური შინაარსი მთლიანად

<sup>12</sup> Ю. А. Найдя, К науке переводить..., გვ. 120.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 119.

<sup>14</sup> ქ. დანელია, ახალი მასალები ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდისა და მისი რედაქციის სამოციქულოს ისტორიის შესწავლისათვის: მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1974, № 4, გვ. 35.

უგულებელყოფილია და თარგმანის ბუნებრიობა დედნისეული სპეციფიკისა და გამოუტანლობის კომპენსაციას სრულებით არ იძლევა.

დედნის შესაძლო სიზუსტით გამოცემის ცდას ბუნებრივად ახლავს კალკებიც და ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანი, ცხადია, სრულებით არ არის დაზღვეული მათგან. ე ბ რ ა უ ლ და ბ ე რ ძ ნ უ ლ-რ-ო-მ-ა-უ-ლი ს-ა-მ-ყ-ა-რ-ო-ს ყ-ო-ფ-ი-თ-ი ს-პ-ე-ც-ი-ფ-ი-კ-ა, ბ-ი-ბ-ლი-თ-უ-რ-ი ტ-ე-ქ-ს-ტი-ს ა-ლ-ე-გ-ო-რ-ი-უ-ლ-მ-ე-ტ-ა-ფ-ო-რ-უ-ლი ხ-ა-ს-ი-ა-თ-ი, დ-ე-დ-ნ-ის პ-ო-ლი-ს-ე-მ-ი-უ-რ-ი ს-ი-ტ-ყ-ე-ბ-ი და ი-დ-ი-ო-მ-ე-ბ-ი ზ-ო-გ-ჯ-ერ გადაულახავ წინააღმდეგობებს უქმნიდა მთარგმნელთ. ეს ბუნებრივად მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ მსგავსი წინააღმდეგობები ხშირად ისე დაუძლეველია ებრაული ძველი აღთქმის ბერძნულ თარგმანში, ე. წ. სეპტუაგინტაშიც კი, რომ ბიბლიოლოგები პირდაპირ აცხადებენ: „ბერძნულ ძველ აღთქმაში არ არის გვერდიც კი, სადაც არ იყოს ებრაიზმები“<sup>15</sup>.

ჩვენ ზემოთაც მოვიყვანეთ უხეში ფრაზეოლოგიური კალკის მაგალითი („სრსვილისაგან საძოვრის პოვნა“; „მოძღვრების შეკრება ყურების ქაილით“). რადგან მსგავსი ფრაზეები არცთუ იშვიათია, აქ მხოლოდ ერთს დავასახელებთ. დაუძლეველია ისეთი სემიტური (ებრაული) წარმოშობის იდიომი, როგორიცაა „წელზე მორტყმა“ ან „წელის შეკვრა“, რაც ნიშნავს მ ზ ა დ ყ ო ფ ნ ა ს: „იყენედ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელნი აღნთებულ“, ლკ. 12, 35: *Ἐτασαν ἄνω αἱ βραχῆες περιζώματα ἡγχιῆς φοιτῆς ἀπ' ἑσθῆος ἐντὸς ἰσθμῶν*. აქ ასე თუ ისე მინც საცნაურია ფრაზის მხატვრული მნიშვნელობა (წელზე ქამრის მორტყმა → გადატ. მზადყოფნა) და კალკიც ასატანია. მაგრამ აუტანელი და აბსურდულია „გონების წელზე მორტყმა“ ან „გონების წელის შეკვრა“: „მო-რ-ტ-ყ-ე-ნი-თ წ-ე-ლ-ნი გ-ო-ნ-ე-ბ-ა-თ-ა თ-ქ-უ-ენ-თ-ა-ნი“. I პეტრ. I, 13. ებრაულიდან ბერძნულში შესული ასეთი კალკი დაუძლეველია არა მარტო ქართულ, არამედ სხვა თარგმანებშიც: *Δὲ ἀναζωοψύχοι τὰς ὀφθαλμοὺς διανοῦναι,...* ირიქ *ყნისხლ ღმჯუა მთაყ ბხრეც*, შდრ. *перепоясав чресла ума вашего [= собраться с мыслями]*. მთარგმნელი რომ გარკვეულიყო იდიომის მნიშვნელობაში, უნდა ეხმარა, ვთქვათ, „მოეგენით გონებათა თქუენთა“, ან „მიიწიენით გულისკმის-ყოფასა თქუენსა“. შდრ. რამდენადმე მსგავსი იდიომის ბუნებრივი თარგმანი: „პეტრე, ვითარცა გ ო ნ ე ბ ა ს ა თ ვ ს ს ა მ ო ე გ ო, თქუა“, საქ. მოც. 12. 11. კალკური იქნებოდა: „პეტრე ვითარცა თავსა შინა თვსსა იქმნა“... *ὁ Πέτρος ἐν ἑαυτῷ ψεύσμενος. ἤκουον ἱερὸς ἰσθμῶν* (შდრ. *Πέτρ, придя в себя...*).

ქვემოთ სწორედ ასეთი სიძნელების შედეგად უცხოენოვანი პირველწყაროების ქართულ თარგმანზე პირდაპირი გავლენის რამდენიმე შემთხვევას განვიხილავთ.

**II. სიტყვათა სემანტიკური გადატვირთვა.** როცა ებრაული ძველი აღთქმა ითარგმნა ბერძნულად და თვით ბერძნულ ენაზე შეიქმნა ახალი აღთქმა, ბევრმა ძველმა ბერძნულმა სიტყვამ ახალი მნიშვნელობაც შეიძინა<sup>16</sup>. ცხადია, ბიბლიის ქართულად თარგმნის დროსაც ბევრი ქრისტიანობამდელი სიტყვა უნდა

<sup>15</sup> Н. Глубоковский, Библиейский греческий язык в писаниях Ветхого и Нового завета, Киев, 1914, გვ. 17.

<sup>16</sup> С. Соболевский, *Κοινή* «Общий» греческий язык (по связи с библейским): Прав. богосл. энцикл., IX, СПб., 1908, გვ. 691—699.





აღჭურვილიყო ახალი, სპეციფიკური, სარწმუნოებრივი შინაარსის მქონე სახეებ კ. კეკელიძე წერდა: „რამდენადაც ქართველებმა ახალი რელიგიური სისტემა ძველ წარმართულ სარწმუნოებაზე დაამყნეს, იმდენად ბიბლიური წიგნების მთარგმნელნი იძულებულნი ხდებოდნენ შეეგუებინათ თავიანთი თარგმანი წარმართული აზროვნებისათვის... და გამოეყენებინათ მარაგი წარმართული საკრალური ენისა...“<sup>17</sup>

წინაქრისტიანული წერილობითი ძეგლების უქონლობის გამო ძნელია სიტყვათა სემანტიკურ ცვლილებებზე თვალის მიდევნება, მაგრამ ზოგი მათგანის „გაქრისტიანება“ უეჭველია. ხუცესი—1. უფროსი, →2. მღვდელი; მოციქული—1. საგანგებო დავალებით წარგზავნილი, →2. ქრისტეს მოძღვრების გამაგრებელი; მღვდელი—1. წარმართულ რიტუალზე მომხმობელი, ქურუმი, →2. ქრისტიანული ეკლესიის მსახური; ნათლის-ღება—1. მზის (ნათლის) კულტთან ზიარება, →2. მონათვლა, ქრისტესმიერად გახდომის სიმბოლური რიტუალი; ხარება—1. ცნობება, შეტყობინება, →2. ქრისტიანული მოძღვრების ქადაგება...; აღდგომა—1. წამოდგომა, აღდგომა, →2. გაცოცხლება (მკვდრეთით აღდგომა), ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული ღვთისმშობელი<sup>18</sup>...

არცთუ იშვიათად ქართულ თარგმანში უცხოენოვანი წყაროს ო რ ი, ს ა მ ი და ო თ ხ ი ერთეულიც კი ერთი სიტყვითაა გადმოღებული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთ შემთხვევაში უცხოენოვანი ერთეულებს შორის არსებული, საერთო, ასე ვთქვათ, სინონიმთა გამაერთიანებელი მნიშვნელობა იყოს ქართულის ერთ სიტყვაში დაუნჯებული. მაგრამ ხშირად ეს ასე არ არის; ქართულ თარგმანს არ მოეპოვება უცხოენოვანი ერთეულების ზუსტი ფარდი და ამიტომ, რომ ზეულ სიტყვას დაკისრებული აქვს, გადმოსცეს ბერძნული 1. *νῆμας*, 2. *ἀρεσεία*, 3. *φιρηχεια*, 4. *δισφιχη*; ნათესავ სიტყვას—1. *σπέρμα*, 2. *γένος*, 3. *ფსღე*, 4. *ξφვის*, ხოლო ტაძარ სიტყვას—1. *ἱερόν*, 2. *ναός*, 3. *οἶκίον*, 4. *πραιτώριον* და 5. *τρίκλιον*-იც კი. შორს რომ არ წავიდეთ, ბოლო მაგალითიც გვიჩვენებს, თუ როგორ უჭირდათ პირველმთარგმნელთ ზოგი უცხოენოვანი ერთეულის ფარდის დაძებნა ქართულში.

1. ტაძარი. ქართულში სპარსულიდან ადრე ნასესხებ ტ ა ძ ა რ სიტყვას (შდრ. ძვ. ირანული *tačara*, საშუალო სპარსული *tazar*<sup>19</sup>) თავიდან შეიძლება დაჰქონოდა მხოლოდ „სახლის“ ან „სასახლის“ (ბერძნ. *οἶκίον*-ის) მნიშვნელობა, როგორც ეს ჩანს „შუშანიკის წამებიდან“: „დაუტევა ტ ა ძ ა რ ი თვის და ღმრთის მოშიშებით ე კ ლ ე ს ი ა დ შევიდა“, სადაც აშკარად უპირისპირდება ტ ა ძ ა რ ი (საერო სახლი) ე კ ლ ე ს ი ა ს (სამლოცველო სახლს). მაგრამ შემდგომ მასვე ეკისრება ს ა მ ლ ო ც ვ ე ლ ო ს შინაარსის (ბერძნული *ἱερόν* და *ναός*-ის) გადმოცემა: „გამოვიდა იესუ ტ ა ძ ა რ ი ს ა მისგან“. მ. 24, 1; „ძალმიც დარღუევად ტ ა ძ ა რ ი ესე“, მ. 26, 61. ბიბლიის ქართული თარგმანის გავლენით ტ ა ძ ა რ ი ს მეორეული მნიშვნელობა შემდგომ ორიგინალურ ძეგლებშიც იკავავს გზას. ამაში არაფერია უჩვეულო. მაგრამ უჩვეულო და არაბუ-

<sup>17</sup> კ. კეკელიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი; ეტ. ტ. I, თბ., 1956, გვ. 186.

<sup>18</sup> კ. დანელია, რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან; თსუ-ს შრომები, ტ. 183, თბ., 1978, გვ. 130—137.

<sup>19</sup> შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 164.



ნებრივია ის ფაქტი, რომ ტ ა ძ ა რ სიტყვას ევალემა გადმოსცეს ორი სპეციფიკური უცხოენოვანი ერთეული (პრეტორიონ და ტრიკლინონ), რომელთა შინაარსის ამოცნობა ტ ა ძ ა რ სიტყვაში მკითხველს არ შეეძლო. *praetorium* (←ლათ. *praetorium*) იყო სპეციალური სახელმწიფო რეზიდენცია პრეტორისა ანუ რომის სახელმწიფოს სამოქალაქო სამართლის განმგებლისა, ან მოგვიანებით რომზე დამოკიდებული ქვეყნების თუ პროვინციათა მმართველისა, მაგრამ რომის სახელმწიფოში არსებული ასეთი სპეციალური დანიშნულების სასახლის აღმნიშვნელი სიტყვა არ ჰქონდა ქართულს (ბერძნულმა კი ისესხა ლათინურიდან) და მთარგმნელი იძულებული იყო, მის გადმოსაცემად ისევ ტ ა ძ ა რ ი გამოეყენებინა: „სტრატოტთა მათ შეიყვანეს იგი [იესუ ] შინაგან ეზოსა მას, რომელ არს ტ ა ძ ა რ ი“, მრ. 15, 16 (+მ. 27, 27; ი. 18, 28-33). სომხურ რედაქციაში ამ შემთხვევაში *თანარ-*ს ენაცვლება *საყარანք* („პალატა“, „სახელისუფლო სასახლე“), ხოლო სირიულში უთარგმნელია: *p'retorion*. ასევე ამოუცნობი იყო ძველადვე აღიშნის ოთხთავის „ტ ა ძ რ ი ს მ თ ა ვ ა რ“ იკითხვისის (ი. 2,9) კონტექსტური მნიშვნელობა (მღრ. ჯრუჟ-პარხლის რედაქციის „პურის უფალი“, ე. ი. სუფრის ზედამხედველი). ამჟამად, რომ „ტაძრის მთავარი“ ლექსიკურ-სემანტიკური კალკია სომხური ვერსიის *თანარაպეტ*-ისა და არა ბერძნული *ἀρχιεπίσκοπον*-ისა, რომელიც აღნიშნავდა სუფრის ორგანიზატორს, მასზე წესრიგის განმგებელს (რადგან ძველ საბერძნეთში ასეთ სუფრებს სამი მხრიდან ჰქონდა შემოსასხდომი [მეოთხე მხარე თავისუფალი იყო მომსახურებისათვის], თვით სანადიმო დარბაზს *ἀρχιεπίσκοπον* ერქვა). ამიტომაც ტ ა ძ ა რ სიტყვის ბოლო ორი მნიშვნელობა სამწერლო ქართულს კი არ მიუღია, არამედ ჯონკრეტული ძეგლების ოკაზიურ ფაქტად დარჩა.

2. **კრებული**. ეს წმინდა ქართული ძირის სიტყვა ძალზე გადატვირთულია ბიბლიური მნიშვნელობებით. მას უპირველესად ევალემა გადმოსცეს ძირითადი (ეტიმოლოგიური) მნიშვნელობა— „გროვა“, „ჯგუფი“: კრებულ (სუხუყუმნავ) რაჲ იყენეს ფარისეველნი“, მ. 22, 41, „იყოს მუნ კრებულ ი (ზღლიჯ) დიდი“, ლკ. 5, 29. ან კიდევ: „რაზმი“ (ჯარისკაცთა): „კრებულ მან მან (საქრეა) და ათასისთავმან... შეიპყრეს იესუ“, ი. 18, 12; მაგრამ ამასთანავე იძულებითად მას უნდა გადმოეცა ი უ დ ე უ რ ი ყოფის ამსახველი სიტყვები, კერძოდ, ა). ს ი ნ ა გ ო გ ა (ებრ. *bet hak'nesset* „საკრებულო სახლი“, ბერძნ. *συναγωγή*, სომხ. *ժողովրդանոց* „საკრებულო“, სირ. *k'nūsta*, რომელიც „სინაგოგასაც“ აღნიშნავს და „სინედრიონსაც“)²⁰. ბერძნულში თავიდან *συναγωγή* აღნიშნავდა წარმართული კულტმსახურებისათვის შეკრებას, შემდგომ კი—ებრაელთა საღვთისმსახურო სახლს, რომელშიც წარმოებდა არა მსხვერპლშეწირვა, არამედ ლოცვა და ძველი აღთქმის წიგნთა კითხვა-განმარტება. იე-ბუსალიმში I საუკუნისათვის 480-მდე სინაგოგა ყოფილა.²¹ ქართულ თარგმანში ს ი ნ ა გ ო გ ი ს ფარად ნახმარ კრებულს-ს (მრ. 12, 39; ლკ. 20, 46; ი. 9, 22...) ხშირად ენაცვლება შ ე ს ა კ რ ე ბ ე ლ სიტყვა (მ. 10, 17; 12, 9; ლკ. 6, 6; 7, 5; ი. 6, 59...): „შ ე ს ა კ რ ე ბ ე ლ ი ჩუენი მან აღმიშენა ჩუენ“, ლკ. 7, 5;

ბ) ს ი ნ ე დ რ ი ო ნ ი (ბერძნ. *συνεδριον*, ებრ. *sanhedrin/synedrin*, სირ. *k'nūšta*, სომხ. *սոսնան*). ბერძნულში აღრე *συνεδριον* (ეტიმოლოგიურად „თანასახდომელი“) აღნიშნავდა ხელისუფალთა საბჭოს, სენატს,

²⁰ W. Jennings, Lexicon to the syriac..., გვ. 103.  
 ²¹ Еврейская энциклопедия... Л. Каценельсона, т. XIV, Пет. (S. L.), გვ. 103.  
 10. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 4



ხოლო შემდგომ—იუდეველთა უმაღლეს კოლეგიურ ორგანოს იერუსალიმში მისი ფუნქციები მოიცავდა იუდეური ყოფის თითქმის ყველა უბანს — პოლიტიკურს, იურიდიულ-სამართლებრივს, საწესჩვეულებო-რელიგიურს. მასში შედიოდნენ ხანდაზმული მწიგნობრები (თავიდან 85, შემდგომ— 72, ე. ი. ექვს-ექვსი იუდეველთა 12 ტომიდან). იუდეაზე რომაელთა ბატონობის დროიდან (ძვ. წ. I საუკუნის შუა წლების აქეთ) დიდი სინედრიონი დაიშალა მცირე (ტომობრივ) სინედრიონებად (სინოდებად). სწორედ ასეთ მცირე სინედრიონებზეა საუბარი ახალ აღთქმაში<sup>22</sup>: „შეკრიბეს მღვდელთ მოძღუართა მათ და ფარისეველთა კ რ ე ბ უ ლ ი“, ი. 11, 47. კ რ ე ბ უ ლ - ის ნაცვლად ზოგჯერ ნახმარია ს ა კ რ ე ბ უ ლ ო; „ადიყვანეს იგი [ე. ი. იესუ] ს ა კ რ ე ბ უ ლ ო - ს ა მას მათსა“, ლკ. 22, 66.

გ) ე კ ლ ე ს ი ა ანუ რელიგიური ძმობა-კავშირი (იგულისხმება პირველყოფილი ქრისტიანული კავშირი, ბერძნ. *ἐκκλησία*, სირ. *ʿēd<sup>h</sup>thā*<sup>23</sup>, სომხ. *էկեղեցի*): „უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კ რ ე ბ უ ლ ს ა; უკუეთუ კ რ ე ბ უ ლ ი ს ა დ ც ა არავე ისმინოს, იყავნ იგი შენდა ვითარცა ხარკის მომძღელი“, მ. 18, 17. სხვაგან კ რ ე ბ უ ლ -ს ცვლის ბერძნულიდან უთარგმნელად გადმოღებული ე კ ლ ე ს ი ა: „იყო უკუე დღეთა შინა დევნულება დიდი ე კ ლ ე ს ი ა თ ა მათ ზედა...“, საქ. მოც. 8, 1 (+20, 28).

ცხადია, პირველმთარგმნელებმა იცოდნენ, რა უცხოენოვან ერთეულთა ფარდად ხმარობდნენ კ რ ე ბ უ ლ -ს, როგორ აუტანლად ტვირთავდნენ მას სემანტიკურად, ოღონდ კი თავი დაეღწიათ სესხებისაგან (ეროვნული ენის ლექსიკის შეუბღალაობის სურვილი თარგმანის უზუსტობასაც იგულებდა), მაგრამ მკითხველთათვის შეუცნობელი რჩებოდა მეორეული მნიშვნელობანი. რატომ? იმიტომ რომ კ რ ე ბ უ ლ სიტყვას სამივე ბიბლიური მნიშვნელობა (სინაგოგა, სინედრიონი, ეკლესია) ძალად ჰქონდა დაკისრებული მ ხ ო ლ ო დ ქართულ თარგმანში და სამწერლო ქართულში მას ასეთი მნიშვნელობანი არ შეუძენია. ამის გამო იყო, რომ ქართულმა ენამ საბოლოოდ ქრისტიანული კავშირის, სამლოცველოს აღსანიშნავად „კრებულ“-ის ხმარებას ამჯობინა ბერძნულიდან ნასესხები „ეკლესია“, რომელიც უკვე დასტურდება V საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლებში — ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერასა და „შუშანიკის წამებაში“. ამიტომაც, რომ თვით უგანათლებულესი სულხან-საბა, რომელიც თავის ლექსიკონის უმთავრეს წყაროდ ბიბლიის ქართულ რედაქციებს იყენებდა, კ რ ე ბ უ ლ -ის განმარტებისას მხოლოდ ძირითად ქართულ შინაარსს წარმოაჩენს და უგულებელყოფს თარგმანში დაკისრებულ ბიბლიურ მნიშვნელობებს. საბათი; **კრებული** (ლევ. 9,5) შეყრილი; **შესაკრებელი** (დაბ. 1,9) ყო(ვ)ელთ(ა) მისასვლელი ადგილი; **საკრებულო** კრებულთ ადგილი.

3. **მოხუცებული**. წმინდა ქართული სტრუქტურის ეს სიტყვა (მო-ხ-უ-ც-ებ-ულ-ი) თავიდანვე ასაკით უფროსს, ხნიერს, ასაკოვანს გამოხატავდა. „შუშანიკის წამებაში“ ნათქვამია, რომ ჰერეთის მკაცრი ბუნების გამო „მოხუცებული არავენ არს მათ ქუეყანათა“. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა ბიბლიურ თარგმან-

<sup>22</sup> იქვე, გვ. 283—287.

<sup>23</sup> სირ. *ʿēd<sup>h</sup>thā* აღნიშნავს რელიგიურ ძმობას, კავშირს, ეკლესიას: W. Jennings, *Lexicon...*, გვ. 159; C. Brockelman, *Syrische Grammatik*, Leipzig, 1962, გვ. 188.



შიცაა ნახმარი. შვილის გაჩენაზე დაქვეებული მოხუცი ზაქარია კითხულობს: ეს როგორ იქნება, „რამეთუ მოხუცებულ ვარ, და ცოლი ჩემი გადასრულ არს ღლეთა მისთა?“ (ლკ. 1, 18). ამასთანავე თარგმანშივე მას ეკისრება სპეციფიკური თანამდებობრივი შინაარსის გამოხატვა, — აღნიშნოს თავიდან ხანდაზმულთა საბჭოს წევრი, მოგვიანებით სინედრიონის წევრი, რომელიც იუდეაში მონაწილეობდა პოლიტიკური, სამართლებრივი და რელიგიური საკითხების გადაწყვეტაში (ებრ. zāqen, ბერძნ. πρεσβύτερος, სირ. kəšēšā, სომხ. ძեր, შდრ. რუს. старейшина). უძველეს ხალხებში მოხუცებულობა ითვლებოდა ღვთიურ პატივად, ღვთისმიერობად და ამიტომ განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ ისინი. მთავან შედგენილი უხუცესთა საბჭო სხვადასხვა დროს იყო საეროსახალხო, სატომო და საქალაქო და იკრიბებოდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გადასაწყვეტად, ხოლო ყოველღვთობის სამოქალაქო საქმეებს განაგებდნენ „მსაჯულნი“ (ათასისთავნი, ასისთავნი...). ახალი აღთქმის ქართულ თარგმანში ნახმარია საერო მოხუცებულო და ხუცესიც: „ზრახვა-ყვეს ყოველთა მღვდელთ მოძღუართა და მოხუცებულთა (ხუცესთა C) ერისათა“, მ. 27, 1; „მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი შეკრებულ იყვნეს“, მ. 26, 57.

მოხუცებულ (ხუცეს) სიტყვას ბიბლიურ თარგმანში დაკისრებული მეორეული მნიშვნელობა სამწერლო ქართულში არ მიუღია. ამიტომ, რომ საბას ქართულ ლექსიკონში „მოხუცებული“ განიმარტება მხოლოდ ქართული მნიშვნელობით, — როგორც „სიბერე-მოწვეწული“.

4. მწიგნობარი. წიგნი, რომლისგან არის ნაწარმოები ეს სიტყვა, თავიდან ნიშნავდა ასოს (ყრჱჱა-ს, რომ. 2, 29; 7, 6; II კორ. 3, 6—7), შემდეგ ყოველგვარ ნაწერს (წერილს თუ წიგნს, ἐπιστολῆ-ს თუ βιβλίον-ს); ამდენად, მწიგნობარიც თავდაპირველად, ალბათ, აღნიშნავდა წერაკითხვის მცოდნეს; „საკმარ იყო მუნ ქარტაჲ და მწიგნობარი და საწერელი“ (სინ. მრავ., 230, 8); „მუნქუესვე მოვიყვანეთ მწიგნობარი, რომელმან იცოდა ჰებრაელებრ, რომელი მოვიდა და აღმოიკითხა წერილი იგი“ (სინ. მრავ. 69, 7); შემდეგ უნდა მიეღო მღივან-გადამწერი, აღმრიცხველის, საქმის მწარმოებლის მნიშვნელობა. ეგვიპტელმა ფარაომ დამონებულ ისრაელელებს აგურის დამზადებაზე მეთვალყურედ დაუყენა საქმის მაწუეველნი (ἐργασίῳται) და მწიგნობარი (ყრჱჱაჱჱეჱ) (გამ. 5, 6—10—15...), და „ასწრაფებდეს მათ საქმის მაწუეველნი იგი ერისანი და მწიგნობარნი იგი“ (გამ. 5, 10).

მაგრამ მწიგნობარს ეკისრება გადმოსცეს იუდეური ყოფის კონკრეტული შინაარსი: ძველი აღთქმის, იუდეველთა სამართლის მცოდნე (ებრ. sōperim, სირ. šāp'rā, ბერძნ. ყრჱჱაჱჱეჱ, სომხ. ყყჩჩჩ—ჟალ. dipir „ყრყჩჩ“<sup>24</sup>); ასეთი მწიგნობრების კორპორაცია სინედრიონში „წმინდა წერილის“ ინტერპრეტაციის საფუძველზე ადგენდა იურიდიულ და საწესჩვეულებო ნორმებს (მასში მტკიცებულ ლეგიტიმულ მდღელთმსახურნი შედიოდნენ). ოთხთავის ქართულ თარგმანში „მწიგნობარნი“ მოსეს შჯულის რეფორმატორ ქრისტეს მოწინააღმდეგედ გამოდიან: „მღღელთ მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მთ-

<sup>24</sup> ჯ. მ. ნ. ა. ი. ა. ნ., ლაქიჩხნი არამოთაქან რათორანი, I, ხრქიან, 1971, გვ. 688.



ავარნი ერისანი ეძიებდეს მას წარწყმედად“, ლკ. 19, 47; იწყეს მწიგნობართა მათ და ფარისეველთა განზრახვად ბოროტისა“, ლკ. 11, 53. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სიტყვას მეორეული ბიბლიური მნიშვნელობა სამწერლო ქართულში არ მიუღია.<sup>25</sup> საბას განმარტებითაც, მწიგნობარი არის მხოლოდ „წერილთ ოსტატი, წერილთ მეცნიერი“.

მაშასადამე, ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებში ზოგი ქართული სიტყვის სემანტიკა გადატვირთულია პირველწყაროთა გავლენით. მაგრამ მიუხედავად ბიბლიური ტექსტის პოპულარობისა, მეორეული მნიშვნელობანი საბოლოოდ შეუთავსებელი აღმოჩნდა ქართულისათვის.

**III. ფსევდოომონიმები თარგმანში.** ენაში ჩვეულებრივი ხმარების სიტყვას შეიძლება გაუჩნდეს იდენტური ბგერითი შედგენილობის, მაგრამ სხვა მნიშვნელობის ცრუ „თანამოსახელე“, ოღონდ არა სამწერლო ენაში, არამედ კონკრეტული თხზულების თარგმანში, რაც დედნის მცდარად გაგების, შედეგია: მთარგმნელი ერთ რეალურად სათარგმნ უცხოენოვან ერთეულს რეგს გარეგნულად მსგავს, მაგრამ სრულებით სხვა მნიშვნელობის მეორე ერთეულში და პირველის (საჭიროს) მაგიერ გამოაქვს მეორე (კონტექსტში არსებული) სიტყვის მნიშვნელობა. მაგალითები:

1. **სიტყუა.** ამისი მნიშვნელობა განმარტებას არ საჭიროებს. მაგრამ თარგმანში ნახმარი სიტყუა პირველწყაროში არსებული „შესაწირავის შეგროვების“ მნიშვნელობას გადმოსცემს: „ხოლო სიტყუსა მისთვის წმიდათაჲსა, ვითარცა უბრძანე ეკლესიათა გალათიაჲსათა, ეგრეცა თქუენ ჰყვით. ერთშაბათად-ერთშაბათად კაცად-კაცადი თქუენი თქუენ თანა დაიკრებდინ და დაიუნჯებდინ, უკუეთუ განმარჯუება რაჲმე იყოს, რაჲთა არა, ოდეს მოვიდე, მაშინლა სიტყუაჲ იყოს“, I კორ. 16,1—2. ბერძნული დედნის მიხედვით, აქ ნათქვამია: წმინდანებისთვის შესაწირავის შეგროვებისას ისე იმოქმედეთ, როგორც ეს გალათიის ეკლესიებისთვის (მორწმუნეთა ძმობათათვის) განმიწყებთ: კვირაობით ყოველმა თქვენგანმა დაზოგოს და მოაგროვოს შესაწირავი, თუ ამის შესაძლებლობა იქნება, რათა, როცა მე მოვალ თქვენთან, მაშინ არ იყოს მიანცდამაინც შესაწირავის შეგროვება.

ცხადია, არც სიტყუა-ს ჰქონია ქართულში ასეთი მეორეული მნიშვნელობა და არც სხვა ომონიმი სიტყუა არსებულა „შესაწირავის შეგროვების“ მნიშვნელობით; შემთხვევით, ბერძნულ წყაროში ნახმარი *λεψια* („შეწირულობის შეგროვება“) ძველ ქართველ მთარგმნელს აღრეგია *ლჳია* („სიტყუა“-ში).

2. **აწ.** ეს ზმნიზედა ნიშნავს: ახლა, ამჟამად. მაგრამ თარგმანში (II ტიმ. 3, 17) აწ ნახმარია სრულყოფილი-ის მნიშვნელობის მქონე უცხოენოვანი ერთეულების ფარდად (*ἄρτις*, *καταρτήσας*, *gl'mir*), ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ ქართულში ფუნქციობდა „სრულყოფილი“-ის შინაარსის აწ სიტყვაჲ. არა. ქართულ თარგმანში შეცდომით გადმოღებულა არა ბერძნული ტექსტის *ἄρτις* („სრულყოფილი“), არამედ მისი მსგავსი სხვა *ἄρτι* („ახლა“) სიტყვა.

3. **ტბა.** ამ სიტყვის შინაარსი ცნობილია, იგი „ზღვა არს მომცრო“ (საბა). მაგრამ თარგმანში ტბა ნახმარია ნავთსადგურის მნიშვნელობის უცხოენო-

<sup>25</sup> შტრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ნაკ. I, თბ., 1948, გვ. 414.



ნოვანი ერთეულის ფარდად: „და ვითარ-იგი უმარჯუ იყო ტ ბ ა ა იგი დასაზამთრებელად, მრავალთა მათგანთა... დაიზამთრეს ტ ბ ა ს ა მას კრეტემასა“, საქ. მოც. 27, 12 ტ 2. ეფრემ მცირეს თავის რედაქციაში ტ ბ ა შეუცვლია ნ ა ვ თ ს ა დ გ უ რ სიტყვით და ხელნაწერის არშიაზე შენიშვნა გაუკეთებია: „შეისწავე: სადაცა ტ ბ ა სწერია, ნავთსადგურისა ნაცვალად სწერია“<sup>26</sup>. მართლაც, ძველ ქართულ თარგმანში შეცდომით ტ ბ ა სიტყვით გადმოღებულია არა ბერძნული პირველწყაროს *λμνη* („ნავთსადგური“), არამედ მისი მსგავსი სხვა *λμνη* („ტბა“) სიტყვა.

4. აეროვ-ნი. ეს სიტყვა ნაწარმოებია ბერძნულიდან ნასესხები ა ე რ (*ἀήρ* „ჰა ე რ“) ფუძეზე -ოვან სუფიქსის დართვით და თითქო სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს, გარდა ჰ ა ე რ ო ვ ა ნ ი ს ა, ა მ ა დ ლ ე ბ უ ლ ი ს ა, ლ ა მ ა -ზ ი ს ა. შდრ. „დიდებულ და ჰ ა ე რ ო ვ ა ნ ხარ წინაშე თულათა ჩემთა“, I მეფ. 26, 240; „შემოვიდა სხუაჲ კაცი ჰ ა ე რ ო ვ ა ნ ი ხილვითა და შუენიერი ხატითა“, 252 რ (H—2251). X საუკუნისათვის ა ე რ ს უკვე ჰქონდა ჰ დართული (I კორ. 9, 26; I თეს. 4, 17), მაგრამ თარგმანში ა ე რ ო ვ ა ნ ი თითქო ნახმარია არქიტექტურული შინაარსით, შენობის (ტაძრის) გა და ა უ ხ უ რ ა ვ ი წ ი ნ -კ ა რ ი ს, კ ა რ ი ბ ჰ ი ს მნიშვნელობით: „განზომა სივრცე იგი ეზოჲსაჲ მის ა ე რ ო ვ ნ ი ს ა მისგან ბჴისა შინაგანისა გარეშე უსართულოდ მიმართ, ესე იგი არს ა ე რ ო ვ ნ ა დ ბჴისა მის...“, ეზეკ. 40, 19<sup>27</sup>. ეს სიტყვა სხვაგანაც (ეზეკ. 40, 14) არის გამოყენებული: „უსართულოჲ და ა ე რ ო ვ ა ნ ი იგი ელა-მისაჲ ბჴისა მის გარეშესაჲ“ ტ. რადგან გელათურ ნუსხაში უ რ თ ა ვ ი („უსახურაგო“) გვაქვს, ოშკურში—ა ე რ ო ვ ა ნ ი, ხოლო იერუსალიმურში—უ ს ა რ -თ უ ლ ო ჲ და ა ე რ ო ვ ა ნ ი, კაცი იფიქრებდა, რომ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვექონდეს ე. წ. ჰენდიადისთან, სინონიმურ წყვილთან<sup>28</sup>. საქმე ისაა, რომ ა ე რ ო ვ ა ნ სიტყვა გადმოსცემს არა ბერძნულ წყაროში ნახმარ *αἰθήρ*-ს (ლათ. *aethium*), რომელიც წინკარს, კარიბჴეს ნიშნავს, არამედ მასთან გარეგნულად მსგავს, მაგრამ შინაარსით სხვა *αἰθήρ*-ს („ჰაერი“) ერთეულს, რომელიც თავის მხრივ *αἰθήρ*-ისგან („ჰაერი“, „ეთერი“) არის ნაწარმოები. იერუსალიმური ვერსიის ავტორს ბერძნული სიტყვა თავიდან სწორად გადმოუღია უ ს ა რ თ უ ლ ო -თი, მაგრამ თარგმანის ეკვივალენტურობაში დაეჭვებულს მცდარად დაუმატებია ა ე რ ო ვ ა ნ ი ც.

5. კულაუფეთილი. ამ გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე სიტყვა შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ „კუდმოჭრილს“ ან „კუდმოკლეს“. მაგრამ თარგმანში მას თითქო დაკისრებული აქვს მ ლ ი ქ ვ ნ ე ლ ი ს, მ ა ბ ე ზ ლ რ ი ს მნიშვნელობის გადმოცემა: „სიტყუა კ უ დ კ უ ე თ ი ლ—ჩუქენი“ (იგავ. 26, 22A). ბერძნულშია: *λῆγαι: ἀεραίωνων μαλακίαι*, რაც უფრო ბუნებრივად თარგმნილი ბაქარისეულ ბიბლიაში: „სიტყუა მლიქნელის — ლბილ“. ამის საფუძველზე ი. აბულაძით, კულაუფეთილი-ი პირმოთენე, „მლიქნელი“<sup>29</sup>, ხოლო ამ უკანასკნელზე

<sup>26</sup> საქმე მოციქულთა, გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1950, გვ. 197.  
<sup>27</sup> ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბ., 1976, გვ. 345.  
<sup>28</sup> ჯ. სილაგაძე, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკონი სინონიმების საკითხები, თბ., 1981, გვ. 106.  
<sup>29</sup> ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 214.



ქართული  
საბავშვო  
საბავშვო  
სინონიმურ

დამყარებით კ უ დ კ უ ე თ ი ლ ი მოხვედრილია ბ ო რ ო ტ ი ს რიგში<sup>30</sup>. ნამდვილად კ ი კ უ დ კ უ ე თ ი ლ ი მცდარი თარგმანია ბერძნული წყაროს *χερᾶπανυ*-ისა. ეს უკანასკნელი ვადმოსცემს ებრ. ტექსტის *გ ა ი ძ ვ ე რ ი ს*, *მ ა ბ ე ზ ლ რ ი ს* მნიშვნელობის სიტყვას (შდრ. რუსული თარგმანი: *СЛО-ВАН А У Ш Н И К А*—как *Л А К О М С Т В О*). თავიდან კი *χερᾶπα* აღნიშნავდა გრძელკუდიან, მაიმუნისმაგვარ მითიურ არსებას. მთარგმნელი ვერ გარკვეულა სიტყვის კონტექსტურ მნიშვნელობაში: კომპოზიტის I ნაწილი „კუდი“-ად უთარგმნია (შდრ. *χερᾶς*, ἦ „კუდი“), მაგრამ II ნაწილს, ᾶψ-ს („სახე“) ვერ მიჰრევია და მთელი სიტყვა მცდარად გაუზარებია *χῆπα* („ვჭრი“, „გვეთ“) ზმნის პერფექტის *χαῖπα* („მოკვეთილ“) მიმღეობად.

ზემოგანხილული მაგალითებიდან გამომდინარეობს, რომ თარგმანში ნახმარი სიტყვის მნიშვნელობა ყოველთვის არ შეიძლება იყოს ეკვივალენტური დედანში ნახმარი ერთეულისა. თუ კრიტიკულად არ იქნა განხილული თარგმანისა და ნათარგმნის სემანტიკური ფარდობა, მთარგმნელის შეცდომა შეიძლება მკვლევრის შეცდომად იქცეს. ამიტომ, ფაქტების მიხედვით რომ ვთქვათ, არ შეიძლება, მაგალითად, ძველი ქართული ენის ან ქართული ენის ისტორიულ ლექსიკონში თუნდაც ნათარგმნი ძეგლების კონკრეტული ადგილების დამოწმებათა საფუძველზე შევიდეს და განიმარტოს, რომ სიტყვა აღნიშნავდა „შესაწირავის შეგროვებას“, აწ — „სრულყოფილ“, ტბა — „ნავთსადგურს“, აეროვანი — „გადაუხურავ კარიბჭეს“, კუდიკუთილი — „მლიქვნელს“ და სხვ. დასახელებულ სიტყვებს აღნიშნული მნიშვნელობანი ქართულში არასდროს ჰქონიათ, რადგან ისინი ვადმოსცემდნენ არა სათარგმნი ტექსტის კონტექსტური ერთეულების შინაარსს, არამედ გარეგნულად მათი მსგავსი, ოღონდ სრულიად სხვა სიტყვებისა. ამიტომ კონკრეტული ძეგლის თარგმანში ნახმარი ასეთი სიტყვები ისტორიულ ლექსიკონში უნდა შევიდეს არა როგორც ჩვეულებრივი ერთეულები, არამედ როგორც სიტყვა-სტატები, სადაც მოკლედ იქნება ნაჩვენები ასეთ სიტყვათა უჩვეულო მნიშვნელობების ისტორია.

IV. დომინანტი სემანტიკის კალკური გამოხატვა თარგმანში. ენაში სიტყვათა დიდ ნაწილს აქვს როგორც ძირითადი, კონტექსტით შეუპირობებელი მნიშვნელობა, ასევე მეორეული, კონტექსტური, სხვა სიტყვებთან მიმართებით შეპირობებული შინაარსი. მთარგმნელის ცოდნასა და ენობრივ ადლოზეა დამოკიდებული, სწორად ამოიცნობს თუ არა ის დედანში ნახმარი სიტყვის რეალურ, კონტექსტურ მნიშვნელობას. ზოგჯერ ეს მიუღწეველია და შეცდომის შედეგად მიიღება: ა) ნონსენსური და არა ნონსენსური ლექსიკური კალკები.

ა) ნონსენსური სემანტიკური კალკის შემთხვევაში თარგმნილ ტექსტში ჩნდება სამწერლო ენაში არარსებული სიტყვა, რომელიც საერთოდ გაუგებარი რჩება (თვით თარგმანშიც კი). მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

1. თესლის-მეტყუელი. პავლე მოციქულს ათინაში ეკამათებია: „რომელთა-მე ეპიკურელთა და სტომასა ფილოსოფოსთა სიტყუა-ყვეს მის თანა, და რომელნიმე იტყოდეს: რა-მე პნებავს თ ე ს ლ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ს ა ამას სიტყუად? საქ. მოც. 17, 18. გიორგისეული რედაქციის თ ე ს ლ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ი ეფ-

<sup>30</sup> ჯ. სილაგაძე, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმის საკითხები, გვ. 60.



რემისეულისაში თ ე ს ლ ი ს მ კ რ ე ბ ე ლ ი თ არის შეცვლილი. აქ ლაპარაკია, რომ ეპიკურელნი და სტოელნი დაცინვით მიმართავენენ პავლეს, როგორც თითქოს სტოელთა ფილოსოფიის სპერმატული პრინციპების მიმდევარს, როგორც სპერმოლოგოსს (παρρησιαλγος-ს), ირონიით კი, როგორც მათთვის მიუღებელი ქრისტიანული მოძღვრების მქადაგებელს, ამაოდ მოლაპარაკეს, მოლაყბეს. ბერძნული παρρησιαლγος-ის კონტექსტური მნიშვნელობა ძველ რედაქციებში კარგად არის გადმოღებული: „რაჲ-მე ჰნებავს მ რ ა ვ ლ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ს ა ამას სიტყუად?“ გიორგისეულსა და ეფრემისეულ რედაქციებში ბერძნული ფარდის კონტექსტური მნიშვნელობის ნაცვლად გადმოღებულია ნომინაცია, კომპოზიტის შემადგენელ ფუძეთა დომინანტი მნიშვნელობა, თანგრძნის „თესლი“ + ლგვჯ „სიტყუა“ ან ლიჯ (მცდარად) „შეკრება“ (სხვათა შორის ეფრემისეული კალკური თ ე ს ლ ი ს მ კ რ ე ბ ე ლ ი ს მსგავსი აგებულები-საა სომხური ვერსიის *սիրմանաբայ*). ალბათ, გიორგი და ეფრემი თ ე ს ლ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ / თ ე ს ლ ი ს-მ კ რ ე ბ ე ლ სიტყვებში ფილოსოფიურ შინაარსს სდებდნენ (შდრ. სახის მეტყუელი, ბუნების მეტყუელი, სიბრძნის მეტყუელი...). ეფრემი ორიგინალურ თხზულებაში თ ე ს ლ ი ს მ კ რ ე ბ ე ლ ს მეტაფორულად ცოდნის შემგროვებლის—მომპოვებლის, სიბრძნის მაძიებლის მნიშვნელობით ხმარობს: „ესე მცირედნი სიტყუანი, ვითარცა თ ე ს ლ ი ს მ კ რ ე ბ ე ლ მ ა ნ, მიმოგანთესულნი წმიდათა წერილთაგან, ერთად შემოვკრიბენ“<sup>31</sup>... მაშასადამე, თ ე ს ლ ი ს-მ ე ტ ყ უ ე ლ ი კონკრეტული თარგმანის ენის ფაქტია, მაგრამ სამწერლო ქართული ენის ფაქტი არასოდეს ყოფილა.

2. საზუაობელი. ზუაობ-ს ზმნის ფუძისაგან ნაწარმოებია მიმღეობები, მზუაობ-არ და სა-ზუაობ-ელ-ი. ზ უ ა ო ბ ა ძველად ნიშნავდა ზ ვ ი ა დ ო ბ ა ს, ა მ პ ა რ ტ ა ვ ნ ო ბ ა ს: „მაგისთვს ნუ ზ უ ა ო ბ“ (აბ., ლექსიკ.); ნუმცა ვართ მ ზ უ ა ო ბ ა რ (αεὐρόβει), გალ. 5, 26. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ს ა ზ უ ა ო ბ ე ლ ს აღენიშნა ს ა ა მ პ ა რ ტ ა ვ ნ ო ბ ა ს. მაგრამ არა, მას ბიბლიურ თარგმანში შეცდომით ეკისრება ბერძნულ წყაროში ძ ვ ი რ ფ ა ს ი ს შინაარსის სიტყვის გადმოცემა: „ს ა ზ უ ა ო ბ ე ლ ი ს ა მის სულნელისა წილ“, ესთ. 14, 2. ოშკის ბიბლიის ამ იკითხვის მცხეთურისაში შეესატყვისება: „დ ი დ ა დ წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა ს უნელთა წილ“. მართალია, ილ. აბულაძის ლექსიკონში განსამარტავ „საზუაობელ“-თან მოყვანილია პარალელური „დიდად წარჩინებული“ იკითხვისი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი „კეთილის“ სინონიმებია<sup>32</sup>. ორივე მათგანი მცდარად, არაკონტექსტურ მნიშვნელობას გადმოსცემს ბერძნული *παρρησιαλγος*-ისას რადგან ნელსაცხებელი („სულნელი“) შეიძლება იყოს არა „საზუაობელი“ ან „დიდად წარჩინებული“, არამედ ძ ვ ი რ ფ ა ს ი (ძველი ქართულით, „პატეოსანი“ ან „დიდფასი“), შდრ. «вместо многоценных вещей». თვით ბერძნული *παρρησιαλγος*-ის მნიშვნელობანია. 1. გამოჩენილი, თვალსაჩინო, ბრწყინვალე (შდრ. „დიდად წარჩინებული“ M); 2. ქედმაღალი, ამპარტავი (შდრ. „საზუაობელი“ O); 3. ძვირფასი, მდიდრული (შდრ. „მრავალ ფერთა ნელსაცხებელთა...“ — ბაქ.).

<sup>31</sup> ეფრემ მცირე, უწყებაჲ მიზესა ქართველთა მოქცევისასა..., ტექსტი გამოკვლე-  
ვითურთ გამოსცა თ. ბრეგვაძემ, თბ., 1959, გვ. 16.

<sup>32</sup> ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 357; შდრ. ჯ. ს. ი-  
ლაგაძე, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმების საკითხები, გვ. 60.





თარგმანის ისტორიისათვის საინტერესო ფაქტია არა მარტო <sup>ქართული</sup> ბერძნული წყაროს ერთი პოლისემიური სიტყვა ქართულ თარგმანში სამი ერთეულითაა გადმოღებული (რაც თავისთავად პოლისემიური სიტყვის თარგმნის სიძნელეზე მეტყველებს), არამედ ისიც, რომ თარგმანში, ასეთვეათ, უკანონოდ გაჩნდა „საზუაობელ“ სიტყვა (ნელსაცხებლის მსაზღვრელად), რომელიც სავარაუდო კონტექსტური მნიშვნელობით არასოდეს ყოფილა სამწერლო ქართულის კუთვნილება.

ბ) **არანონსენსური სემანტიკური კალკის** შემთხვევაში სიტყვის ძირითადი მნიშვნელობით ხმარება არაბუნებრივია, მაგრამ მინც ასატანია. მაგალითები.

1. **სღვა.** ბერძნული **περιπατέω** ზმნა ძირითად (მოძრაობა-სიარულის) მნიშვნელობასთან ერთად ებრაულის გავლენით სეპტუაგინტაში (მერმე ახალ აღთქმაშიც) აღნიშნავს ც ხ ვ რ ე ბ ა ს, ს ა ქ ც ი ე ლ ს, ყ ო ფ ა ქ ც ე ვ ა ს, რაც ამოუცნობია ქართულ სღვა-ში: „არღარა სიყუარულით ჰ ხ უ ა ლ,“ ჰრომ. 14, 15 (**περιπατεῖς, ἡσυχῆς**).: კაცად-კაცადი, ვითარცა იჩინა ღმერთმან, ეგრეცა ვ ი დ ო დ ე ნ“, I კორ. 7, 17. იხ. II კორ. 10, 2; 12, 18; გალ. 5, 16...

2. **შენება.** ბერძნული **οἰκοδομᾶω** ზმნა ძირითად (აგების) მნიშვნელობასთან ერთად (I კორ. 3, 10; 3, 12; 12—14...) ებრაული **bānā**-ს გავლენით იძენს რელიგიურ შინაარსს, გამოხატავს ღმრთისადმი რწმენის გაღრმავება-გაძლიერებას, სულიერ სიწმინდეს, ამაღლებულობას, რაც ქართულ „შენება“-ში ძნელად შესაცნობია: „მშველობასა უკუე შეუღდეგით და ა ღ შ ო ე ბ ა ს ა“, ჰრომ. 14, 19 (**οικοδομηθή, ἡξήσου; benāinā**); „რომელი იტყვნ ენითა, თავსა თვსსა ა ღ ა შ ო ე ბ ე ბ ნ, ხოლო რომელი წინაასწარმეტყუელენ, კრებულსა მას ა ღ - აშენებნ,“ I კორ. 14, 4. ბიბლიური მნიშვნელობის მოდიფიკაციით არის ალბათ მიღებული ამ სიტყვის დღევანდელი გადატანითი შინაარსი — დიდ სიკეთეში ჩაჯარდნა (შდრ. „ა გ ა შ ე ნ ო ს ღმერთმა“).

3. **ნაწლევე** (ბერძნ. **σπλάγγυν**, ებრ. **rahēm**, სირ. **rahmā**, სომხ. **սպիք**) ძირითადი მნიშვნელობით გამოხატავს შინაგან ორგანოებს (გულ-ღვიძლს, თირკმელს, საშოს...), მაგრამ ებრაული **rahēm**-ის გავლენით **σπλάγγυν**-მ სეპტუაგინტასა და შემდეგ ახალ აღთქმაში მიიღო გრძნობა-ფსიქიკის, კ ე თ ი ღ გ ა ნ - წ ყ ო ბ ი ს, თ ა ნ ა გ რ ძ ნ ო ბ ი ს, ს ი ბ რ ა ლ უ ლ ი ს მნიშვნელობა. ოღონდ ასეთი შინაარსის ამოცნობა ქართულ „ნაწლევე“-ში ძნელია: შეიწრებულ ხართ ნ ა წ ლ ე ვ ე თ ა გ ა ნ თქვენთა, II კორ. 6, 12; განუსუენენ ა წ ლ ე ვ ე თ ა ჩემთა ქრისტე იესუსს მიერ, ფილემ. I, 20. მსგავს შემთხვევაში ნ ა წ ლ ე ვ ე ს ზ ო გ - ჯერ ცვლის „თირკმელი“ ან „გული და თირკმელი“: „თ ი რ , კ უ მ ე ლ თ ა მისთა მოწამე არს ღმერთი“, სიბ. სოლ. 1, 6 P (...**τῆν νεφρὸν, ἡρκιδάσιν**, შდრ. **Бог свидетель внутренних чувств**), „მე ვარ უფალი, განმკითხველი გ უ ლ ი - ს ა ღ და თ ი რ კ უ მ ე ლ თ ა ღ“, იერ. 11, 20 (...**δοκιμάζων νεφροῦς καὶ καρδιάς**).

4. **დავარდნა.** ბერძნ. **πίπτω** ზმნა ძ ი რ ს და ც ე მ ი ს მნიშვნელობასთან ერთად ახალ აღთქმაში იძენს გ ა ქ რ ო ბ ი ს, მ ო ს პ ო ბ ი ს შინაარსსაც, რაც ქართულ „დავარდნა“-ში არა ჩანს: „არა ეგრე, ვითარმცა და ვ ა რ და სიტყუა ღმრთისაჲ“, ჰრომ. 9, 6. (სწორი თარგმანით უნდა ყოფილიყო, ვთქვათ ასე: ვითარმცა გ ა ნ ქ ა რ და (ან: წ ა რ ტ და) სიტყუაჲ); სიყუარული არასადა და ვ ა რ დ ი ს, I კორ. 13, 8 (**πίπτει, ἀνկνῆς, nāfel**).

5. **დაცადება** ზმნის მნიშვნელობა თითქო უნდა იყოს „დროის მიცემა, დრო-ვება“ (შდრ. „მ ა ც ა დ ე, აღმოგიღო წუელი თუალისაგან შენისა“, მ. 7, 4; „ა ც ა დ ე თ ყრმებსა მავას მოსლვად ჩემდა“, მ. 19, 14 (ქართ. ცად=მეგ. ჩოდ-ს,

ქართული  
წიგნი

ჩოდ-უ-(6) „სცალია“), მაგრამ ბერძნ. *παύα* ზმნის გავლენით და ცხადდება *დაცალია* ზმნის პირი ვით. ფორმა ძირითადი ლექსიკური და ტვირთ ვის ზმნის ვით. ბრუნვაში დასმულ საწყისთან ერთად გადმოსცემს რაიმე მოქმედების შეწყვეტას: „დააცადეს შიშება და ქალაქი იგი“, დაბ. 11, 8 P (*ἐπαύσθητι ἰσχυροῦσιν*; შდრ. *перестали строить*); და ც ა დ ე ბ ა-ს ასეთ შემთხვევაში ხშირად ენაცვლება და ც ხ რ ი ა: „და წარვიდა უფალი, ვითარცა დააცადა სიტყუა და აბრაჰამისა მიმართ“, დაბ. 18, 33 P (შდრ. დასცხრა სიტყუად O). დააცადა სიტყუად = შეწყვიტა ლაპარაკი.

6. შეძინება. ეს ზმნა თარგმანში ხშირად ნახმარია უჩვეულო კონსტრუქციაში ბერძნ. *παρωμιθεμα*-ის გადმოსაცემად. საქმე ისაა, რომ *παρωμιθεμα* არსებითად გამოხატავს შემატება-შეძინებას (შდრ. „სიმდიდრემან შესძინის [παρωμιθη:] მეგობარი მრავალი“, იგ. 19, 4), მაგრამ ებრაულის გავლენით მას სეპტუაგინტაში (მერმე ახალ აღთქმაშიც) ძირითადი ზმნის ინფინიტივიან კონსტრუქციაში შეძენილი აქვს გამეორების მნიშვნელობა<sup>33</sup>. ამ უკანასკნელი მნიშვნელობის გადმოსაცემად ქართულ თარგმანში ნახმარი შეძინება აშკარა სემანტიკური კალკია, შეძინების მაგიერობას ბუნებრივ თარგმანში გასწევდა კუალად (კვლავ, ისევ) ზმნიზება: „ნოვე განავლინა ტრედი და არლარა შესძინა მიქცევა და მისა“, დაბ. 8, 12 (...*ὅτι παρωμιθετο τὰς ἐπαυρῆστας*. კალკური კონსტრუქციის ბუნებრივით შესაცვლელად საქმარისია ძირითადი ზმნის საწყისი პირიანი ზმნის იმ მწკრივში დასვას, რომელშიც დგას ზედმეტად ნახმარი „შეძინება“ და ეს უკანასკნელი შეიცვალოს კუალად („კვლავ“, „ისევ“) ზმნიზებით: შესძინა მიქცევა და მიქცევა კუალად. სხვა მაგალითები: „არლარა შევსძინო განსხმად ერისამის“, მსაჯ. 2,3 M (= არლარა განვასხნე კუალად); „ნულარა შესძინებთ ცემა და ბზესა...“, გამ. 5, 70 (= ნულარა მისცემთ კუალად ბზესა); „არლარა შევსძინო მერმე წყევა და ქუეყანისა საქმეთათვს კაცთასა, ...არლარა შევსძინო უკუე მოსპოლვა და მერმე ყოვლისა ჳორცისა ცხოველისა“, დაბ. 8, 21 M; „შესძინა უფალმან წოდება და მისა მეორედ“, I მეფ. 3, 6; „შესძინა აბრაჰამ მერმე სიტყუად“, დაბ. 18, 29...

შეძინება მეორეული მნიშვნელობით ოთხთავის თარგმანშიცაა ნახმარი<sup>34</sup>, სადაც ნათქვამია: მუშებმა ვენახის პატრონისგან მიგზავნილი მსახური ცემით გამოაგდეს. ბატონმა კი „შესძინა მივლინება და სხუა კონაჲ“, ლკ. 20, 11 (= მიავლინა კუალად...). საყურადღებოა, რომ მომდევნო მუხლში სრულებით მსგავსი კონსტრუქცია (*παρωμιθετο τριτων πῆλστα*) თარგმნილია ბუნებრივად, „შესძინა“ შეცვლილია პენდიადისური „მერმე კუალად“ ფორმით: „მერმე კუალად მივლინა მესამე“.

გ) სრულმნიშვნელოვანი სიტყვებით თანდებულური და დეკლინაციური ფუნქციის პლენასტური გამოხატვა. ცნობილია, რომ ებრაულში სახელები არ იბრუნვის. მაგრამ ზოგიერთი ბრუნვის შინაარსის გადმოსაცემად სახელს მიერ-

<sup>33</sup> С. Соболевский, *Кетовъ* «Общий» греческий язык: Прав. бог. вѣщ., IX. 1908. გვ. 691.

<sup>34</sup> ეს მნიშვნელობა, სამწუხაროდ, არ არის გამოყოფილი ი. იმანიშვილის მიერ შედგენლ „ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში“, შდრ. გვ. 682.



თვის წინდებული, ვთქვათ, მიცემითის გამოსახატავად ლ (l), ადგილსა და მისი მნიშვნელობის (b), გამოსვლითისათვის- მინ (min), ოლონდ ზოგჯერ ამ თანდებულებით გადმოსაცემი გრამატიკული შინაარსის გამოსატყვის ინტენსივობა გაზრდილია აღამიანის ორგანოს აღმნიშვნელი სიტყვების (ხელის, პირის, თვალის...) მიმატებით. ებრაული ძველი აღთქმის გავლენით ბერძნულ სეპტუაგინტაში (აქედან ახალ აღთქმაშიც) გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ი ს მ ა ი ნ ტ ე ს ი ვ ე ბ ე ლ ი ე ბ რ ა უ ლ ი მ ე ტ ა ფ ო რ უ ლ ი შინაარსის წესიტყვები კალკურად გადატანილ იქნა ლ ე ქ ს ი კ უ რ ა დ ფარდი ერთეულებით. «Иногда употребляется описание, состоящее из предлога и существительных *ძმძღლჯ, პრბჟაპოვ, ძტრჟა, ჯერ* там, где в чисто греческой речи достаточно одного предлога»<sup>35</sup>. მაგრამ ეს ებრაული კონსტრუქცია შევიდა არა მარტო ბერძნულ ტექსტში, არამედ ამ უკანასკნელზე დამოკიდებულ სხვაენოვან თარგმანებში (ქართულში, სომხურში...).

1. **ველი.** საჭურვლითის (-ითა-ს) ან გამოსვლითის (-ით, -ითგან) მნიშვნელობის ოდენ წინდებულის ნაცვლად ებრაულში ნახმარი წინდებულიანი jād „პელი“ ბერძნულ თარგმანში გადმოღებულა პირდაპირ, *ἐν, ἐκ*, ნიძ წინდებულისა *ჯერ* სიტყვით, რასაც ქართულ ტექსტში არსებითად „ველითა“ ან „ველითგან“ გადმოსცემს. თუ ასეთი კალკური კონსტრუქცია რამდენადმე ასატანია ქ მ ნ ს თუ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს შინაარსის ზნებთან, აშკარად აუტანელია ბ რ ძ ა ნ ე ბ ა თ ქ მ ი ს სემანტიკის ზნებთან, სადაც, ვთქვათ, *ველითა მოსესითა* (*b'jad mōseh*), „durch Mose“<sup>36</sup>, ნიძ *ჯერძე* *Μωσῆ* *ἵ ᾧ ἄκουσ ἰσχυρῆ*) კონტექსტურად გამოსატყვის: *მოსეთო*, მოსეს საშუალებით, მოსეს მიერ (შდრ. *чрез Моисея*): „ბ რ ძ ა ნ ა უფალმან თქუნდა მო ვ ე ლ ი თ ა მ ო ს ე ს ი თ ა“, რიცხ. 15, 23. „ე ტ ყ ო დ ა ღმერთი მათ ვ ე ლ ი თ ა მ ო ს ე ს ი თ ა“, ლევ. 10, 11 (იხ. ანგ. 1, 3; 2, 1; 3, 19; საქ. მოც. 2, 23...).

ზოგჯერ ეს სემიტური კონსტრუქცია ზოგ რედაქციაში დაძლეულია: „სიტყუანი უფლისანი, რომელ თქუნა ი ე რ ე მ ი ა წინაწარმეტყუელმან უ ფ ლ ი ს ა მ ი ე რ“, იერ. 37, 2 J. შდრ. ...რომელ თქუნა ვ ე ლ ი თ ა ი ე რ ე მ ი ა წინაწარმეტყუელისათა“, A (*b'jad, ἐν ჯერძე, ἵ ᾧ ἄκουσ*).

იშვიათად ასეთი კონსტრუქცია ოთხთავის აღიშურ ვერსიას ბერძნულის საპირისპიროდ სირიულ-სომხურ რედაქციებთან აახლოვებს: „შჯული იგი ველითა მოსესითა მოეცა“, ი. 1, 17 (*ნიძ Μωσῆς*, სირ. *b'jad mūsē*; სომხ. *ἵ ᾧ ἄκουσ ἰσχυρῆ*). ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ასეთ კონსტრუქციას ა. შანიძე სირიაციზმ-არმენიზმად თვლის<sup>37</sup>.

2. **პირი.** ეს პოლისემიური სიტყვა ქართულ თარგმანში ზოგჯერ სრულეობით დაცლილია ლექსიკური შინაარსისაგან, მაგრამ მაინც იხმარება, რათა ზედმეტი სიზუსტით გადმოსცეს თანდებულის მაინტესივებელი ებრ. *pānē* („პირი“, „სახე“) სიტყვის ბერძნული ფარდი *πρῶτων* (*ძტრჟა*), მსგავსად სომხური ვერსიის *հրես*-ისა: „გ ა მ ო ვ ი დ ა კენ პ ი რ ი ს ა გ ა ნ უფლისა“, დაბ. 4, 16 [პირისაგან უფლისა=უფლისგან, უფლითგან, შდრ. ებრ. *millip'ne c'dōnā*,

<sup>35</sup> С. Соболевский, *Класси «Общий» греческий язык...*, გვ. 694; შდრ. Н. Глюбоковский, *Библейский греческий язык..* გვ. 60—61.

<sup>36</sup> W. Gesenius' *Hebräisches und Aramäisches Handwörterbuch über das Alte Testament*, Leipzig, 1910, გვ. 280—281.

<sup>37</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 169.



სირ. *men q'dam*, ბერძნ. *ἀπὸ παρισῶσαι* სომხ. *ქრხსაყ* ]. „გამოვიტყვეს კობ პ ი რ ი ს ა გ ა ნ ისაკისა“, დაბ. 27, 30; დავით ფარულად ვიდოდა პ ი რ ი ს ა გ ა ნ საულისა“, I მეფ. 23, 26 P; „შვილი ვიყავ“... საყუარელი წ ი ნ ა შ ე პ ი რ ს ა დედისასა“, იგ. 4, 3P.

ახალი აღთქმის ქართულ თარგმანშიც არის „პირი“ ზედმეტად ნახმარი „წინაშე“ თანდებულთან: „წარავლინებ ანგელოზსა ჩემსა წინაშე პ ი რ ს ა შენსა“, მ. 11, 10C (შლრ. *πρὸ παρισῶσαι* *σας*, *αἰσᾶχι* *ρῆσᾶყ* *ϋიყ*. სირ. *q'dam paršūpāk* (ეს უკანასკნელი ბერძნულიდან შესული *παρισῶσαι*-ია); „რამეთუ წარპძლუე შენ წ ი ნ ა შ ე პ ი რ ს ა უფლისასა“, ლკ. 1, 76; „რომელი განუშხადე წ ი ნ ა შ ე პ ი რ ს ა ყოვლისა ერისასა“, ლკ. 2, 31.

3. თუალი. ებრაულ ძველ აღთქმაში *ʿain* „თვალის“, „წყაროს“ თუ სხვა მნიშვნელობის გარდა პლეონასტურად ნახმარია „გან“, „პირისპირ“, „წინაშე“ თანდებულების გასაძლიერებლად. მსგავსი ვითარებაა ბერძნულ სეპტუაგინტასა და მასზე დამოკიდებულ ქართულ თარგმანშიც: „მომაგოს მე უფალმან... სიწმიდითა ჳელთა ჩემთადათა წ ი ნ ა შ ე თ უ ა ლ თ ა ჩემთა“, ფს. 17. 25 (შლრ. ებრაულის რუსული თარგმანი: *пред очами* *Его*. ბერძ. *ἐνώπιον* *τῶν ἁγίων* *αὐτοῦ*).

მაგრამ ხშირად ებრაული პლეონასტური თანდებული მხოლოდ *ἐναντίον*-ით არის გადმოცემული და ამ უკანასკნელის კვალობაზე ქართულშიც ნახმარია „წინაშე“ და არა „წინაშე თუალთა“: „მოსე ქმნნა სასწაულნი წ ი ნ ა შ ე ერისამის“, გამ. 4, 30 (ებრ. *לִפְנֵי הָעָם* «*пред глазами народа*», ბერძნ. *ἐναντίον* *τῶν λαῶν*, სომხ. *լաչս Ժողովրդի*); ანალოგიურია: „მოიგო აბრაამ წ ი ნ ა შ ე ძეთა ქეტისთა“, დაბ. 23, 18; „წ ი ნ ა შ ე ყოველთა მოქალაქეთა მიცემ შენ“, დაბ. 23, 13. პერიფრასტული კონსტრუქცია ნაკლები სიხშირით ახალ აღთქმაშიცაა: „არს საკრველ წ ი ნ ა შ ე თ უ ა ლ თ ა ჩუენთა“, მთ. 21. 42 (+ მრ. 12, 11) (*ἐν ὄψαλμοις ἡμῶν*. *լաչս մեր*, სირ. *bʿajpajj*); ან კიდევ: „აწ დაეფარა თ უ ა ლ თ ა გ ა ნ შენთა“, ლკ. 19, 42 (*ἀπὸ ὀψαλμῶν* *σας*. სირ. *men ʿajnajki*, სომხ. *ქრხსაყ ϋიყ* „პირთაგან შენთა“).

К. Д. ДАНЕЛИА

## СЛЕДЫ ИНОЯЗЫЧНОГО ВЛИЯНИЯ В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ ПИСЬМЕННЫХ ПАМЯТНИКАХ

### 5. Семантические кальки в древнегрузинских версиях библейских книг

В труде заостряется внимание на необходимости изучения данного вопроса с филологической, лингвистической точки зрения. В работе подчеркивается, что древнегрузинский перевод библейских книг является синтетическим, в котором преобладают признаки т. н. формального<sup>1</sup> (структурного) перевода, из-за которого многие грузинские слова семантически перегружены, напр., ტაძარი *tajari* «дворец», → «храм», «пир»; კრებული *krēbuli* «толпа», «отряд», → «синедрион», «синагога», «церковь»; მოხუცებული *moḥusebuli* «старый» (-იკ), → «старейшина» («пресвитер»); მწიგნობარი *mciḡnobaḡi* «грамотный», → «книжник».

В работе особое внимание уделяется псевдоомонимам и калькированной передаче основного значения иноязычных лексических единиц, особенно факту семантизма, когда самостоятельные слова (ჳელი *q'eli* «рука», პირი *piri* «лицо», თუალი *tʿuali* «глаз») употребляются для интенсивного выражения грамматического значения предлогов или падежных форм.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა  
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოსმა  
ა. შანიძემ



### გ ა ი ა ნ ა მ თ შ უ მ ა ლ ი ო ვ ი ლ ი

## ზოგნიერთი თურქული გოტანიკური ტერმინის შესახებ „იადიგარ დაუდში“

სამკურნალო წიგნი „იადიგარ დაუდი“ წარმოადგენს ძველი ქართული მედიცინის შესანიშნავ წერილობით ძეგლს, რომელიც დაწერილია ცნობილი ხელნაწერი „წიგნი სააქიმოსი“ (13 ს.) და „სამკურნალო წიგნი-კარაბადინის“ (15 ს.) შემდეგ, მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა მეფის დავითის მიერ (აღმოსავლურად დაუდ-ხანად წოდებული). თვით ავტორის მიერ მოყვანილი ცნობებიდან ვიგებთ, რომ იგი თავის საქმეებზე გამგზავრებულა სტამბოლს სულთან მურადთან და იქ კონტაქტები დაუმყარებია მწიგნობრებთან, ფილოსოფოსებთან და მკურნალებთან, გასცნობია მათ მდიდარ წიგნთსაცავებს, მათ შორის მრავალ სამედიცინო ხასიათის წიგნს, რის შემდეგაც გადაუწყვეტია დაეწერა ზემოხსენებული შესანიშნავი სამკურნალო წიგნი. ამ მიზნით ავტორს მრავალრიცხოვანი სამედიცინო წიგნებიდან ამოურჩევია ორი სამედიცინო კრებული, გაუერთიანებია ერთ წიგნად და მათი შინაარსი გადმოუცია ქართულად.

ავტორი დაწერილებით აღწერს წიგნის შექმნის პროცესს და გვატყობინებს, რომ გარდა ზემოხსენებული ორი სამედიცინო წიგნის შინაარსის გადმოცემისა, ანუ გადმოქართულებისა, მან ამ წიგნში შეიტანა თავისი საკუთარი დაკვირვებების შედეგი და მის მიერ აღმოჩენილი და დამუშავებული წამლების ფორმულები. ამგვარად, ჩვენ ვიგებთ, რომ აღნიშნული შრომის ავტორი არის მკურნალი, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი რეცეპტები და საკმარისი საექიმო გამოცდილება.

ავტორი წერს, რომ სტამბოლში მან გაატარა მხოლოდ ორი წელი, მაგრამ საექმო, რომ ესოდენ მოკლე ხანში მან შეძლო შეესრულებინა ასეთი დიდი და შრომატევადი სამუშაო. ისეთი კომპეტენტური მეცნიერი, როგორცაა ლადო კოტეტიშვილი, გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: შესაძლოა, რომ აღნიშნული შრომა მეფე დავითმა შეასრულა საქართველოში ადგილობრივი მასალის საფუძველზე, ხოლო სტამბოლში შეამოწმა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შეავსო თავისი ნაშრომი ირანელ და არაბ ავტორთა სამედიცინო წიგნებიდან.

ამ ჰიპოთეზას მხარს უმაგრებს ის ფაქტიც, რომ ეს წიგნი თავიდან ბოლომდე ქართულ იერს ატარებს თავისი საექიმო-ფილოსოფიური კონცეპციებითა და ხალხურ სამკურნალო საშუალებათა შერჩევით.

ეს ჰიპოთეზა, რასაკვირველია, არ გამორიცხავს ამ ნაწარმოებში აღმოსავლურ ტერმინთა არსებობას საკმაოდ დიდი რაოდენობითაც კი. მართალია, ნაშრომში სამედიცინო წიგნთაგან ნახსენებია მხოლოდ არაბულ-სპარსული ლიტერატურა, მაგრამ თურქულ ტერმინთა და სახელწოდებათა სიუხვე მიგვანიშნებს, რომ ერთ-ერთ კომპონენტად შესაძარებელ თუ დასამოწმებელ სამედიცინო ნიმუშებიდან თურქულიც ყოფილა. ქვემოთ მოგვყავს რიგი თურქული გოტანიკური სახელწოდება, რომლებიც დასტურდება „იადიგარ დაუდში“<sup>1</sup>.

I. „ე გ ი რ ი 135<sup>33</sup>, 288<sup>24</sup>, 450<sup>22</sup>, — კოთხოჯი, აირი, ლათინური *Acorus calamus*“, ხოლო „ეგირის ძირი 415<sup>33</sup>, 551<sup>30</sup> — ჯოთხოჯის ფესვი, *Radix Calami Aromatici*“.

სიტყვა ე გ ი რ ი ფიქსირებულია აგრეთვე ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“, ვაჯი // ვაჩი—ეგირი, ჯოთხოჯი.

სიტყვა ე გ ი რ ი დასტურდება თურქულ ისტორიულ ლექსიკონ *Tarama Sözlügü*-ში<sup>2</sup>, სადაც მოყვანილი ციტატები სწორედ სამედიცინო შინაარსის თხზულებიდანაა—*Jadigâr-i ibni Şerif*, რომელიც დათარიღებულია XIV საუკუნით.

ასე: „Füfül, dârifüfül, eğir اكر her birinden onar direm“ — „ბილბილი, დარაბილბილი, ეგირი თითოეული ათი დრამი..“ „Egir اكر dedikleri ot ki yürek ağrısına nâfidir...“ — „ეგირს ეტყვიან ბალახს, რომელიც გულის ტკივილისათვის სასარგებლოა“.

ა. მყაუშვილთან *Acorus calamus* — ნ. კოთხოჯი, კოთხოჯი იქვე ვითხულობთ — ჯოთხოჯი, ჯოთხოჯი, аир, ир, ирный корень *Acorus Calamus*, სპ. ეგირი: მგრ. ქარკვატანა, ჯარკვატანა<sup>4</sup>. ა. მყაუშვილს „ეგირი“ სპარსულ სიტყვად აქვს მიჩნეული. ნ. კოვალიოვას მიხედვით, კოთხოჯი (*Acorus calamy* L.) მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა. ფესურა მსხვილი, შიგნით თეთრი, ღრუბლისებრი, მრავალი განტოტებით. გავრცელებულია სსრკ ევროპულ ნაწილში, კავკასიაში, ციმბირსა და შუა აზიაში<sup>5</sup>. გამოიყენება ძირები, რომლებსაც იღებენ შემოდგომაზე ან ზამთრის დასაწყისში, როდესაც ტენიანობა იკლებს. სუნი არომატული, გემო მოტკბო-მომწარო. გამოიყენება როგორც მადის აღმძვრელი საშუალება. აგრეთვე დადგენილია, რომ ამ მცენარის ექსტრაქტი იწვევს ანალგეზიას და აქვეითებს არტერიულ სისხლის წნევას. ტიბეტურ მედიცინაში გამოიყენება, მატონიზირებლად. გარდა ამისა, ლაბის სახით ხმარობენ გარეგან საშუალებად ზოგიერთ ძვლოვან დაავადებათა წინააღმდეგ. ჩინურ მედიცინაში გამოიყენება როგორც მატონიზირებელი, აღმგზნები, შემკვრელი და რევმატიზმის სამკურნალო საშუალება. ჩინელი ექიმების თვალსაზრისით, ამ მცენარის ნაყენი აუმჯობესებს მხედველობას და სმენას. იხმარება როგორც სიცხისდამწვევი საშუალება.

ვ. რადლოვთან ეგირი — ägir [اكر! (Dsch. C.) | განმარტებულია ასე: «какое-то горькое лекарство» და ახლავს მინაწერი თურქულ ენაზე<sup>6</sup>.

ეგირი სიტყვა დასტურდება მ. რესენენთან: *mtü. äkir 'acorus calamus'*, *äg. ägir 'eine bittere Medizin'*, < pers. *aygar*, gr. *äcorov*, *äcoroç*, lat. *acorus* usw<sup>7</sup>. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ, ავტორს ამ შემთხვევაში მოჰყავს რა ამ სახელწოდების ეკვივალენტები არამონათესავე ენებიდან, გულისხმობს შეხვედრას თუ დამთხვევას ჩვენ მიერ სახანალიზოდ გამოტანილ ეგირ ლექსემასთან.

საბას მიხედვით — „ეგირი (ბალ.) თათრულია, ქართულად კოთხოჯი ჰქვიან“<sup>8</sup>. ეგირი ფიქსირებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. „ძვ. ბოტ. იგივეა, რაც კოთხოჯი. ქართლში ამ ბალახისაგან მუცლის ტკივილის წამალს ამზადებენ“<sup>9</sup>.

ჩვენი ვარაუდით, „ეგირი“ სიტყვა იადიგარ დაუღში თურქული გზით არის შესული. საინტერესოა, რომ იმ მრავალრიცხოვან ციტატებში, რომლებიც მო-



ყვანილია ძველი თურქული წყაროებიდან, „ეგირი“ ყველგან თურქულ სიტყვებად მიჩნეული.

„არმუჯი — mala lectio, უნდა იყოს არღუჯი *Amonum Zingiber L.* არღუჯის ხილი (344<sub>11</sub>, 470<sub>29</sub>) — არღუჯის ხილი *Zingiberis mundata, s. alba*“.

ტექსტი: „ვინცა არღუჯის ხილი ჭამოს ხველისათვის კაი არის“. „არღუჯის ხილი რომე კაცმან ჭამოს, ქარსა (რევმატიზმი) გააქარვებს...“

„არღუჯის ფოთოლი (551<sub>27</sub>)“.

ტექსტი: „ვინცა არღუჯის ფოთოლი ღვინით მოხარშოს და თბილთბილი გველის ნაკბენზედა დაადვას, შხამი და ტკივილი, ორივე გააქარვოს“.

„არღუჯის ხის ღღვილი (518<sub>28</sub>) — წებო, ანუ ფისი, ღღვილ-ახალი ფისი“ (საბა).

ტექსტი: „...ქაჩლისათვის მწოდედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი“ „...და მერმე მოიტანონ ქანგარა, ინა მურღსანგი, ვერცხლის წყალი და არღუჯის ხის ღღვილი...“

ამგვარად „იადიგარ დაუღის“ ტექსტში ფიქსირებული—არღუჯი, არმუჯი, არღუჯი—წიგნზე დართულ ლექსიკონში ერთი და იმავე ეკვივალენტურ სიტყვებადაა მიჩნეული და შეგესატყვისება ლათინურ *Zingiber*-ს და ქართულ კოჭა, სიტყვას ჯანჯაფილ ანუ რუსულად имбирь, инбирь. ჩვენი აზრით, აქ მაინც სიტყვა „არმუჯი“ უნდა იყოს და არა „არღუჯი და არღუჯი“, გაიგივებული არმუჯ სიტყვასთან, რადგან ა. მაყაშვილთან მცენარეთა სახელწოდებების ქართულ სინონიმებში დაიძებნა „არმუჯ“ (მარმუჯი) სიტყვა: მ ა რ მ უ ჯ ი რუს. манжетка, Alchemilla L. თშ. ნამა, დათვთფეხა; ხვს. ფაფანაგა; მსხ. შაფარშუფარა, ლჩხ. არმუჯი<sup>10</sup> და სხვა, ე. ი. განსხვავებული მცენარის სახელწოდებაა, ხოლო „არღუჯი და არღუჯი“ ერთმანეთის ეკვივალენტებია.

თანამედროვე ქართულში—კოჭა (*Zingiber officinale*) ბოტან. ტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარე (სინონ. ჯანჯაფილი), ამ მცენარის ფესვი; ხმარობენ სანელებლად სუნისა და გემოსათვის“ (ქეგლ, IV, თბ., 1955, გვ. 1359).

ჩვენი აზრით, „არღუჯი // არღუჯი“ სიტყვა უნდა იყოს თურქულში ხმარებული *arduç* სიტყვის ფარდი ფიტონიმი, კერძოდ, ძველ თურქულში ხმარებული *artuğ 1. бот. можжевельник (M. K. I 424), artuğ söğüt можжевельник (дерево); artuğ uşuşi можжевельниковые семена*<sup>11</sup>. ახალ თურქულში დადასტურებული *ardıç бот. можжевельник обыкновенный (juniperus communis), ardıç katranı можжевельниковая смола*<sup>12</sup>.

3. რადლოვთან ფიქსირებულია *ардыç [آردیچ (Osm., Ad.)=артыш, арчин] можжевельник; кызыл ардыш — красный можжевельник; чалы артычы — м. обыкновенный; діканлы ардыч — горный кипарис, һинд ардычы (Osm.)—чинар; ардыç сују—можжевельниковая водка; ардыç тохуму — ягода можжевельника; ардыç катраны — какое-то лекарство*.<sup>13</sup>

აღნიშნული სიტყვა ფორმებით *آرتوچ, آردیچ, آرد, ارتوش* — можжевельник აღნიშნული აქვს ლ. ბუდაგოვსაყ<sup>14</sup>. თუ შევადარებთ იადიგარ დაუღის ტექსტის ამონაწერებს, თურქულ ლექსიკონებში გაბნეულ ცნობებს *arduç* სიტყვის შესახებ, დავრწმუნდებით, რომ „არღუჯი, არღუჯი“ ესაა თურქული *ardıç* სიტყვა ლათინური *Juniperus communis* და არა *Zingiber*, როგორც გვთავაზობს საკვლევ წიგნზე დართული ლექსიკონი, იმიტომ, რომ *Zingiber* ბალახოვანი მცენარეა, ქართულად—კოჭა, ანუ რუს. имбирь. გამოიყენება მისი მხო-

ლოდ ფესვები ისიც, როგორც სურნელოვანი ნივთიერება კულინარიამში<sup>16</sup> შინ, როდესაც *Juniperus* ანუ ქართული ღვია—ხეა, „ხე ფოთოლ-ქაცვიანი“<sup>16</sup> საბას მიხედვით. თანამედროვე ქართულში—„ღვია დაბალი ტანის მარადმწვანე ხე ან ბუჩქი, ზოგჯერ მიწაზე გართხმული; აქვს ქერქლოვანი ან წიწვის მსგავსი ფოთლები, მომრგვალო გირჩებით“<sup>17</sup>. „იდიგარ დაუღშიც“ არღუჯი მოხსენიებულია ხედ, რომელსაც აქვს ხილი, წებო და რომლის ფესვები და ფოთლებიც გამოიყენება სამკურნალოდ.

*Juniperus, можжевельник*—ღვია—წიწვოვანი ბუჩქნარი ან ხეებია... ნაყოფი გამოიყენება მედიცინაში, მისგან ხდიან არაყს, და ეთეროვან ზეთს. ქერქლოვანი ფოთლები გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.<sup>18</sup>

*ардыч* სიტყვის დაწვრილებითი ანალიზი მოცემულია ე. სევორთიანის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში.

მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია *ардыч* სიტყვის დაკავშირება თურქულ *arut* სიტყვასთან შინაარსით—ვაწმენდა, გასუფთავება. გარდა ამისა, «Этимология Г. Рамштедта имеет внеязыковую реальную опору в применении можжевельника как дезинфицирующего средства».<sup>19</sup>

თანამედროვე ფიტოთერაპია გვთავაზობს ღვიის მრავალგვარ სამკურნალო თვისებას. მისი მწიფე შავი ნაყოფი, რომელიც არომატულია და მოტკბო გემო აქვს, იხმარება თირკმლების და საშარდე გზების დაავადებათა სამკურნალოდ; გარდა ამისა, ღვიძლის დაავადებათა, რევმატიზმის, ანემიისა და ართრიტის<sup>20</sup> დროს.

ურნალ «Здоровье»-ს 1981 წლის მე-10 ნომერში დაბეჭდილია ვ. მ. საფრონენკოს სტატია «Можжевельник», სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ღვიის სამკურნალო თვისებები (გვ. 32).

„გ ვ ი ა გ ი ო თ ი. იდიგარ დაუღში ფიქსირებულია მცენარის სახელწოდება გ ვ ი ა გ ი ო თ ი (390ა) და მოყვანილია შემდეგი განმარტება — „საკრწყილის ყვავილი, გვირილა, გვიაგი — გვირილა, ოთ(თათ) — ბალახი, აქედან გვიაგი ოთ — გვირილის ბალახი — ნ. ბაბუნაჯი“.

ტექსტი: „გვიაგი ოთი, მხურვალი და ხმელი არის, ვინცა ესა საკრწყილის ყვავილი მოხარშოს და იარაყნიანსა კაცსა ტანზედა და თავებზედა თბილ-თბილი აბანოშიგა შესცხონ, იარაყნისათვის მწოედ კარგია...“

როგორც ვნახეთ, გვიაგი ოთი გაიგივებულია გვირილასთან, თურქული წყაროებიდან კი დასტურდება სხვა მცენარის სახელწოდება. კერძოდ, თურქულ ლიტერატურულ ლექსიკონ *Tarama Sözlüğü*-ში, *güyeğü otu: kekik otu, zater*.

ფრაზაში: „Çörek otu ve güyeğü otu ve eğir her birinden üç direm“ „ჩო-რაქ ოთუ და გუეგუ ოთუ და ეგირი თითოეული სამი დრამი...“ და მითითებულია *Jadigâr, XIV* ს. სიტყვა დასტურდება აგრეთვე *XVI* საუკუნის წყაროებში.

აღსანიშნავია, რომ საილუსტრაციო მასალა საკმაოდ ბევრია და თურქულშიც *güyeğü otu* ფიტონიმადაა მიჩნეული.

თანამედროვე თურქულში იხმარება *güveyk-бот. душица (origanum)*<sup>22</sup>, ხოლო მისი ეკვივალენტი *kekik otu бот. тимьян обыкновенный, боргородская трава (Thymus vulgaris)*<sup>23</sup>.

აღსანიშნავია, რომ ეს ორივე მცენარე (душица და тимьян) ერთი და იმავე ოჯახის მცენარეთა სახესხვაობაა. ვ. რადლოვთან: გვიაგი ოთუ-*كوياسكو*





kyjäre, kyjäre otí-душица, растение. ქართულად—თაფშავა, და ბეგქონდარა<sup>25</sup>, საბასთან—თაფშავა ბალახია, ბეგქონდარა არ დასტურდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ორივე მცენარე განეკუთვნება მცენარეთა ერთ ოჯახს და აღინიშნება როგორც ფიტონიმი.

ორივე შეტანილია ნ. გ. კოვალიოვას წიგნში «Лечение растениями» და აღნიშნულია, როგორც მრავალი სამკურნალო თვისების მქონე მცენარე<sup>26</sup>.

„ბ ა ლ უ ხ ო თ ი. (233<sub>26</sub>) საგალი ბალახი, ნ. მარზანგოშთან“.

ტექსტი: „კურკა გამოღებული შავი ყურძენი და ხმელი მარზანგოში, რომე თათარნი ბალუხ ოთს ეძახიან...“

ძველ თურქულში-„balik otu-(თევზის ბალახი), balik öldüren; sarı sütleğen denilen bitki“.

ერთგვარი მცენარეა. ყვავილები სურნელოვანი (ბოსტნის) კამის მსგავსი აქვს. ფუტკრები მისი წვენით იკვებებიან. ამ მცენარეს, რძიანას ნაირსახეობიდან, ყვითელ რძიანასაც ეტყვიან. ზოგი წითელ რძიანას უწოდებს, ზოგან ძროხის კულსა და თევზის მომაკვდინებელს. თევზის რძიანას სამსალასაც უწოდებენ. როტს მოსჭრიან, წყალში დატოვებენ და ყველა თევზი მასთან მოგროვდება, მას მიეხვევა“.

თანამედროვე თურქულში „balik otu—растение с ядовитыми плодами (используется для глушения рыбы)“<sup>28</sup>.

ვ. ვ. რადლოვთან— балык оты (осм.) 1. Приманка для рыбы; 2. какое то ядовитое растение“<sup>29</sup>.

ფიქსირებულია ეს სიტყვა ლ. ბუდაგოვის ლექსიკონშიც: «باق اوتى» плод дерева индийского опяняющий рын»<sup>30</sup>. საბასთან ბალუხ ოთის სინონიმი საგალი სიტყვაა ახსნილი: „საგალი (ბალ.)-თევზთათვის სამსალა; თევზის სამსალა (ბალ.) ძირნაოტი (ბალ.)“<sup>31</sup>

ამ სიტყვის თურქულობაც ეჭვს არ ბადებს. (თ. balik—თევზი, ot—ბალახი).

„ო ლ ა ნ ა შ ი (343<sub>28</sub>) ჯავაშირი (ირან.) ხის წებოა—Gummi Resina Gallani, მცენარისაგან Ferula Erubescens, Aucher Flog“. „ოლან აში; რომე სპარსნი ჯავაშირსა ეძახიან, მხურვალეა, ხმელია, კაცსა რომე ძველი ხველა ბალღმისა და სივრილისაგან სჭირდეს, იმას უშველის.“

„იდივარ დაუღის“ ტექსტის განსამარტ ლექსიკონში „ოლან აში“- ხის წებოდაა ახსნილი, მაშინ, როდესაც თურქულ წყაროებში ესაა kudret helvasina benzer bir zamk, ანუ რუს. манна, ანუ ქართული მანანა, რაც საბას მიხედვით: „მანანა თეთრი, თაფლებრ ტკბილი, მზე დაადნობდის, ნ. თაფლი ველური; ხოლო თაფლი ველური ესე არს ხე, რომელსა ლათინურად ვრიკა ჰქვიან, ურთხლს(ა) ჰგავს. მისის ხილისა და ხისაგან თაფლივით ჩამოეწვეთების, ვითნი მანანად(აც) უჭმობენ“<sup>32</sup>. ალბათ წებოში ივულისხმება მანანა.

‘ოლან აში’ თურქულიდან ნასესხობად მიგვაჩნია. შედგება ორი თურქული სიტყვისაგან ოლან—ვაჟი, ბიჭი, ხოლო აში—aş-yemek, yiyecek şey, ე. ი. ის რაც იჭმევა, საჭმელი (Турецко-русский словарь, М., 1977). «Tarata Sözlüğü»-ში oğlan aş: „kudret helvasına benzer bir zamk“ „მანანას მსგავსი წებო“ (kudret helvası (a) бот. манна, Aspiciliaesculenta). სიტყვა ფიქსირებულია XIV—XV, XVIII—XIX საუკუნეების თურქულ წყაროებში.<sup>33</sup> შესიტყვება „ოლან აში“ დასტურდება აგრეთვე თანამედროვე თურქული ენის დიალექტებშიც.<sup>34</sup>

1. „იადიგარ დაუდი“, თბ., 1940.
2. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, კარაბადინი, თბ., 1959, გვ. 288.
3. Tarama Sözlüğü, I, Ankara, 1963.
4. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1949, გვ. 172, 26.
5. Н. Г. Ковалёва, Лечение растениями, Очерки по фитотерапии, М., 1972, 85-65.
6. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. I, ч. I, Спб., 1911, 83-700.
7. Martti Räsänen, Versuch eines etymologischen Wörterbuchs der Türksprachen, Helsinki, 1969, გვ. 39.
8. ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1966, გვ. 228.
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1953, გვ. 1279.
10. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 105.
11. Древнетюркский словарь, М., 1969, გვ. 57.
12. Турецко-Русский словарь, М., 1977, გვ. 62.
13. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. I, ч. I, Спб., 1869, გვ. 323.
14. Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, ч. I, Спб., 1869, გვ. 26.
15. Д. А. Муравьёва, А. Ф. Гаммерман, Тропические и субтропические растения, М., 1974, გვ. 71.
16. ს. ს. ორბელიანი, თბზულეზანი, IV, თბ., 1966, გვ. 260.
17. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 1961, გვ. 426.
18. Малая Советская энциклопедия, М., 1931, გვ. 303.
19. Э. В. Севортян, Этимологический словарь тюркских языков, М., 1974, გვ. 173—174.
20. Н. Г. Ковалёва, Лечение растениями, М., 1971, გვ. 175.
21. Tarama Sözlüğü, I, Ankara, 1963, გვ. 1889.
22. Турецко-русский словарь, М., 1977, გვ. 370.
23. Турецко-русский словарь, М., 1977, გვ. 530.
24. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, Спб., 1899, გვ. 1432.
25. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 17, 29.
26. Н. Г., Ковалёва, Лечение растениями, М., 1972, გვ. 103, 252.
27. Tarama Sözlüğü, c. I, Ankara, 1961, გვ. 391.
28. Турецко-русский словарь, М., 1977, გვ. 93.
29. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, Спб., 1899, გვ. 1496.
30. Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, ч. I, Спб., 1869, გვ. 237.
31. ს. ს. ორბელიანი, თბზულეზანი, IV, თბ., 1966, გვ. 24.
32. ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1966, გვ. 300.
33. Tarama Sözlüğü, c. V, Ankara, გვ. 2927.
34. Derleme Sözlüğü, Ankara, 1977, გვ. 3268.

Г. В. ТУШМАЛИШВИЛИ

## О НЕКОТОРЫХ ТУРЕЦКИХ БОТАНИЧЕСКИХ ТЕРМИНАХ В «ИАДИГАР ДАУДИ»

В статье рассмотрены и проанализированы слова турецкого происхождения, вошедшие в лечебную книгу второй половины XVI века «Иадигар Дауди», составленную царем Давидом. Внесены некоторые коррективы и уточнены названия отдельных ботанических терминов: *ეგირი/egir*; *არდუჯი/არჯუჯი-ardıç, arduç*; *გვიაგი ოთი—günyegü otu*; *ბალუხ ოთი—balık otu*; *არმუჯი/მარმუჯი ოღლან აში—oğlan aşu*.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება

წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჭიქიამ

## ნუნუ ზურბანიძე

 თურქულიდან ნასესხებ პატრონიმთა სტრუქტურისა და  
 სემანტიკისათვის ქართულში

პატრონიმები, ისევე როგორც ანთროპონიმები, წარმოადგენენ ენათა ურთიერთმოქმედების ერთ-ერთ სფეროს. ქართული პატრონიმთა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს შედეგს ერთა მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური კონტაქტებისა.

როგორც ცნობილია, უცხო სახელთა ადაპტაციის პროცესი ხდება ყველგან, სადაც კი არსებობს ხალხთა შორის კონტაქტები<sup>1</sup>. ადაპტაციის შედეგად არ იქმნება ახალი სახელი, არამედ წარმოიქმნება მხოლოდ ვარიანტი მოცემული სახელისა. აღმოსავლური წარმოშობის სახელთა ადაპტაცია გამოიხატება მათ მიერ ქართული გრამატიკული პარადოგმებისა და სიტყვათმწარმოებელი ფორმანტების შეთვისებაში, ბგერათა ასიმილაციაში და სხვა.

თურქული ან სხვა აღმოსავლური წარმოშობის სახელის ადაპტაციისა და მისგან ქართული პატრონიმის გაფორმებისას ძირითადად გამოყენებულია ქართულში საყოველთაოდ მიღებული სადერივაციო ფუნქციით აღჭურვილი ფუძე-ფორმანტები: -ძე და -შილი. გარდა ამისა, ნასესხები ფუძეები დაირთავენ მაკერძობებელ -ა სუფიქსს, რომლის ფუნქციას, გარდა კნინობითობის გამოხატვისა, წარმოადგენს ისიც, რომ საზოგადო არსებით სახელს კერძო საკუთარ სახელად აქცევს<sup>2</sup>.

ვარკვევთ რა თურქული, ან სხვა აღმოსავლური წარმოშობის ფუძის მქონე ქართული პატრონიმის მიმართებას ამოსავალ სიტყვასთან, ვადგენთ შესაბამის ტიპებს: I. ეპონიმური პატრონიმები; II. ხელობა — პროფესია-მოსაქმეობის ტერმინთა შემცველი პატრონიმები; III. წოდება-თანამდებობის შემცველი პატრონიმები; IV. ეთნონიმური ტერმინების შემცველი პატრონიმები.

მოცემულ სტატიაში განვიხილავთ I — ეპონიმური წარმოშობის პატრონიმებს; მათვე მივაკუთვნებთ ისეთებსაც, რომელთაც საფუძვლად უდევთ აღმოსავლური წარმოშობის, ძირითადად თურქული მეტსახელები; და II — წოდება-თანამდებობის შემცველ პატრონიმებს.

**I. ეპონიმური პატრონიმები.** ცნობილია, რომ გვარსახელებს ხშირად საფუძვლად უდევთ მითითებები საგვარეულო შტოს დამწყებ პიროვნებათ: ვინაობაზე. ვინაიდან ქართულში ძველთაგანვე იყო გავრცელებული ადამიანთა თურქული პერსონული სახელები, ცხადია, რომ გარკვეული რაოდენობით დასტურდება მათგან წარმოქმნილი პატრონიმებიც. ამასთან უნდა ითქვას ისიც, რომ ბევრი თურქული სახელი დღეს აღარ არის ხმარებაში<sup>3</sup>, მაგრამ მათგან ნაწარმოები პატრონიმები, უკვე გამაგრებული რამდენიმე თაობის ფარგლებში (რასაც ჩვენ მიერ შეგროვილი მასალაც მოწმობს), საკმაო რაოდენობით გვაქვს. ეს პატრონიმები, უმეტეს შემთხვევებში, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გვიჩვენებენ ჯერ სანიან ვარიანტებს (როცა მსაზღვრელ წევრ-

თან ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენახულია), რაც მამაშვილობას გამოხატავს და პირველი საფეხურია გვარსახელის წარმოშობის გზაზე<sup>4</sup>, და უფრო გვიანდელი პერიოდის უსანო ვარიანტებს; შდრ. ასლან-ის-შვილი (1528 წ., დოკ.), ასლანაშვილი (1736, 1733, დოკ. IV), ასლანიშვილი („თბ.“, 27.1.1979). შდრ. შესაბამისად ქართულში:

1. აივაზ-ი-შვილი-ი (1784, დოკ. 11; თბ., 20.V; 21.VI.80); სიარქივო მასალებში, თავიღური ა→ე მონაცვლეობით დასტურდება აგრეთვე ეივაზასშვილი (1802, დოკ. IV; 1852, დოკ. V), შდრ. ანთრ. აივაზი←თ. ayvaz 'მისახური'; თურქულ ხალხურ ფოლკლორში საკუთარი სახელი Ayvaz)<sup>5</sup>; შდრ. აგრეთვე სომხური პატრონიმი აივაზოვი, აქედანვე Айвазовский და აივაზიანი, თურქმ. аваз, აზერბ. Эйваз; უზბ. Авез←არაბული авад (სპარს. аваз), ნიშნავს 'შეცვლას'. ასე არქმევდნენ ბავშვს, რომელიც დაიბადებოდა მკვდარი შვილის შემდეგ.

2. ბ ა ი ნ დ უ რ — (1730, 1448, 1—2415; ეორდ., 11, 702, საქ. სიძვ., 11, 128, ლ. 53); პატრ. ბაინდურაშვილი (გომარეთი, დმანისი); ეგვეე პატრონიმი გვხვდება 1783 წლის საარქივო მასალებშიც (1448, 1—2415)←თ. bajandur←ბაი (იხ. Broch., Doerb., II, 714). ან.სამოილოვიჩი თვლიდა, რომ ბა :მ ეტიმოლოგიურად მონათესავეა ბა:р ~ бар ~ бар, მანჯურ. bajan-ისა, აგრეთვე ტომის სახელწოდებისა Bajandur. Bay, bayan, payan სიტყვებს აქვთ მნიშვნელობა, 'მდიდარი'; რომელიც არ უნდა იყოს პირველადი. ცნობილია, რომ თურქ სელჯუქთა ძირითად მასას წარმოადგენდნენ ოღუზები და თურქმენები. ამ წარმოშობის მრავალ ტომთაგან ერთ-ერთი იყო ბაინდურის ტომიც. ქართულში ანთროპონიმი 'ბაინდური' ძველ ქრონიკებში გვხვდება. მისგან ნაწარმოები პატრონიმი კი (ბაინდურაშვილი) ამჟამადაც გვაქვს საქართველოში.

3. ანთრ. დემურ-ა//ი-ი პატრ. დემურიშვილი (1821, დოკ. IV), დემურია (ქ. ცხაკაია)←თ. ლიტ. demir, თ. დიალექტ. demur<sup>6</sup>, ძვ.თ. temür 'რკინა'<sup>7</sup>; სიტყვის ძველი თურქული ფორმიდანვეა ქართულში საკუთარი სახელი, 'თემური'.

4. სულეიმან-ა-ს-შვილი-ი (თბ., 14.3.80), შდრ. ანთრ. სულეიმან (აქარა)←თ. ანთრ. Süleyman, რომელსაც მუსლიმანურ ქვეყნებში გვაძლევს ბიბლიური ანთროპონიმი 'სოლომონი'.

5. სკანდარ-აშვილ-ე-ბ-ი (1800 წ., დოკ. 1.), ისკანდარ-ა-შვილი (თბ., 4.11.80); I ვარიანტში თავიღური -ი ხმოვანი დაკარგულია. როგორც ცნობილია, ბერძნული წარმოშობის საკუთარი სახელი ალექსანდრე თურქეთში Iskander ფორმით გვაქვს, რის მიზეზადაც მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ანთრ. ალექსანდრე-ს თავიღური ალ (Al) მარცვლი მუსლიმანმა მიიღო არაბულ განსაზღვრების Al არტიკლად (ცნობილია, რომ ზოგიერთი არაარაბული წარმოშობის საკუთარი სახელებიც დაირთავენ Al არტიკლს, მათ შორის საკ. სახ. ალექსანდრეც, შდრ. Al Iskandar

ცნობილია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ თურქულისთვის მიუღებელია სიტყვის დასაწყისში ორი თანხმოვნის თავმოყრა, რის გამოც მათ შორის ჯდება ვიწრო i ხმოვანი. მოცემულ შემთხვევაშიც ანთროპონიმი ალექსანდრე დამკვიდრდა 'ისკანდერ' ფორმით. ანთროპონიმის გათურქულებული ფორმა უდევს საფუძვლად ზემოთ ხსენებულ პატრონიმსაც. შდრ. აქ. ანთრ. სკენდერი, ისკანდერი.

6. უსეინ-ა-შვილი (თბ. 20.1.80; 7.4.80); ინლაუტის ი ხმოვნის დაკარგვით უსეინ-ა-შვილი-ი (თბ., 31.3.80), შდრ. ანთრ. უსეინი სამივე შემთხვევაში ქართულ ნიღადაზე დაკარგულია თავიღური ჰ თანხმოვანი, შდრ. სალიტ. თურქ. Huseyn,

თურქ. დიალექტ. Huseyn, საიდანაც ქართულის აქარულ დიალექტში გვაქვს ხუსეინ-ა//ხუსეინ-ი<sup>9</sup>.

ეპონიმურ გვარსახელებს მივაკუთვნებთ აგრეთვე ისეთებს, რომელთაც მეტსახელები უღვეთ საფუძვლად. ისინი არ უკავშირდებიან გენეალოგიური ხასიათის შინაარსს. მათგან წარმოქმნილ პატრონიმებს ორ ჯგუფად ვყოფთ:

ა) მარტივფუძიან და ბ) რთულფუძიანებად.

ა) ნასესხებ მარტივ ფუძეთაგან შემდგარ პატრონიმებს თავისთავად ვყოფთ შემდეგ ნაწილებად: 1. ფუძედ გამოყენებულია არსებითი სახელები. XVI—XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ჩანს ზოონიმური წარმოშობის პატრონიმი 7. ასლან-ის-შვილი-ი (ასლან-ა-შვილი-ი), ასლან-ი-შვილი-ი (1528, 1733, 1736, დოკ. IV), ასლანაძე, ასლანიკაშვილი<sup>10</sup>, შდრ. ანთრ. ასლან-ი//ასლან-ა (18 ს., 1786, დოკ. III)←თ. aslan, ძვ. თ. arslan, საკ. სახ. Arslan<sup>11</sup>, მონღ. araslan<sup>12</sup>. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში-არსლანა (130); შდრ. აგრეთვე ანთროპონიმები აზერბ. Асланов, პოლონური Аслановичев<sup>13</sup>.

8. ალთუნა-ა-შვილი-ი (თბ., 1.7.80; 14.3.80; 9.6.80); ანთრ. ალთუნა, //ალთუნა (←თ. altin, ძვ. თ. altun, თ. დიალექტ. altun ანთროპონიმსა და ტოპონიმში სიტყვის ძველი თურქული ფორმაა შერჩენილი. ეგვევ სიტყვა ქალის საკუთარ სახელად დასტურდება ოსურშიც: „ალთუნი-ოვისის ქალი, მეფე დავით VI მეუღლე“. იხ. იქვე ოსური ქალის სახელი Zærinai, 'ოქრო'<sup>14</sup>, შდრ. ქართულშიც საკუთარი სახელი "ოქრო", „ოქრუა“, „ოქროპირი“, პატრ. ოქროპირი-ძე, ოქრუაშვილი და სხვა.

8. დონგუზ-ა-შვილი-ი (თბილისი, კასპი) სიტყვის თურქული დიალექტური ფორმიდან donuz 'ღორი'<sup>15</sup>, ძვ. ფორმა (donguz 'ღორი'); ეგვევ პატრონიმი ქართულში დასტურდება ng-ს სხვა, კერძოდ გ რეფლექსითაც; დონგუზ-ა-შვილი-ი (თბ; 8.5.80); სიტყვის თურქული ლიტერატურული ფორმაა domuz; შდრ. ანთრ. დონგუზა, მეტსახელი (ლლ.).

9. ზოონიმური ხასიათის პატრონიმს წარმოადგენს აგრეთვე საქართველოში გავრცელებული გვარი ყაფლან-ის-შვილი-ი (1795, დოკ. VI, 1733, დოკ. IV); სინაინ ფორმითვე იხსენიება ეს გვარი „თბილისის დაპყრობის წიგნშიც“ (გვ. 21 68)<sup>16</sup>. ყაფლან-ი-შვილი-ი (1804, დოკ. II, 1980, თბ.); შდრ. ანთრ. ყაფლანი (ლლ.)←თ. kaplan←kana+ilan 'ვეფხვი'; შდრ. ქართ. ვეფხია, თუშ. ვეფხოა<sup>17</sup>, პატრ. ვეფხიაშვილი და ვეფხვაძე.

10. იასალ-ა-შვილი-ი (თბ; 1.3.80, თბ; 8.1.80). ეგვევ პატრონიმი დასტურდება s←შ მონაცვლეობითაც, რასაც კომპონენტ შვილის თავკიდური შ თანხმოვნის გავლენას მივაწერთ; იხ. იაშალაშვილი (თბ., 21.1.80)←თ. yasak 'აკრძალვა', კანონი; 'სასჯელი', jacak-i-ები ერქვათ იმათაც, ვინც თვალყურს ადევნებდა კანონების დაცვას<sup>18</sup>.

11. დოლენჯი-ს-შვილი-ი (1713. დოკ. V. 1723, დოკ. V), დოლენჯიშვილი (1789. დოკ. VI; 1723. დოკ. V); დოლენჯა-შვილი-ი (თბ; 8.5.80); შდრ. აგრეთვე ანთროპონიმი დოლენჯი (ან ლ. 74)←თ. dilenci 'მათხოვარი', i-ო(dilenci→დოლენჯი) ბგერათციკლილება აიხსნება თურქულ ენათათვის დამახასიათებელი სინპარამონიული პარალელიზმის არსებობით (შდრ. თ. dilmaç, რუს. толмач და სხვ.)<sup>19</sup>.

12. იარალი-ს-შვილი-ი (1690, დოკ. V; 1745, დოკ. VI), იარლ-ის-შვილი-ი (1786, დოკ. VI), იარალაშვილი (1768, დოკ. VI); სომხ. პატრ. იარალოვი (1834. დოკ. III), შდრ. ანთრ. იარალა (1797 დოკ. VI, გვ. 26, ლლ.)←თ. yarali

(თ. yara 'ჭრილობა', აქედან ქართ. იარაჟი-თურქულში ქონების მანქანების მანქანის) — 'დაჭრილი', 'დაკოდილი', 'შეყვარებული'.

15. უზუნა-ს-ძე (უზუნისშვილი) — კალმახელი სასაფლაოთა (და) მონასტერთა უზუნისშვილისა აქუს<sup>20</sup>. ჩვენი ვარაუდით, ხსენებული პატრონიმის ფუძეს უნდა წარმოადგენდეს თურქული ზედსართავი სახელი uzun (გრძელი)<sup>21</sup>, შდრ. ანთრ. უზუნა (ლ.), შდრ. ეგვეე ძირიდან წარმოქმნილი სომხური პატრონიმი Узуниан, აგრეთვე ანალოგიური შინაარსის ქართული პატრონიმები გრძელიძე, გრძელიშვილი და სხვ.

16. ჩირქინ-ა-ს-შვილი-ი (1637, დოკ. V; 1634, დოკ. V) ← თ. çirkin 'უშნო', 'ულამაზო';

17. ქოქრა-შვილი-ი (თბ., 21. IV. 80; 11. 4. 80; 26. 3. 80) ← თ. kükre//kök-re — 'გაბრაზებული', 'გალიზიანებული';

18. პატრონიმის ფუძედ გამოყენებულია თურქული წარმოშობის ზმნიზედა yalğuz, ძე. თ. jalanguz 'ერთი', 'ერთადერთი', 'მარტო': იალღუზ-ი-ძე (1806, დოკ. IV).

19. ერთ შემთხვევაში ნასესხებ პატრონიმის ფუძეს წარმოადგენს თურქული წარმოშობის რიცხვითი სახელი ekiz ← iki + z — (წყვილეულთა მაწარმოებელი აფიქსი) — 'ტყუპი', 'წყვილი'<sup>22</sup>; აქედან ქართულში პატრონიმი: ექიზ-ა-შვილი-ი (თბ. 14. 1980), შდრ. ანთრ. ექიზა (ლ.).

ბ) შერქმეული კომპოზიტური გვარსახელები.

20. ახ-ვერდ-ა-შვილი-ი (კომ. 21. 3. 80), ახ-ვერდ-ოგი (1809, დოკ. II). პროფ. ნ. ა. ბასაკოვი აღნიშნავს, რომ რუსულში დადასტურებული გვარი Ахвердов თარიღდება 1852 წლით, წარმოდგება საკუთარი სახელიდან ახვერდი-ალავერდი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს არაბულ-თურქულ კომპოზიტს: არ. Allah — 'ღმერთი' + თ. verdi 'მოგვცა', სიტყვისიტყვით 'ღმერთმა მოგვცა'<sup>23</sup>.

ვიზიარებთ რა აკად. ს. ჯიქიას აზრს, მოცემული პატრონიმის წარმოშობის შესახებ, ვთვლით, რომ კომპოზიტის პირველ კომპონენტს წარმოადგენს არა არ. სიტყვა Allah, სადაც ძნელად დასამტკიცებელი იქნებოდა II ბგერათკომპლექსის სრულად ამოვარდნის მიზეზები, არამედ ასევე პარიზმატული შინაარსის შემცველი არაბული სიტყვა hak 'ქეშმარიტება', 'სიმართლე', (ღმერთი), სადაც თავიღური h-ს დაკარგვა ადვილად აიხსნება ქართული ნიადაგით.

21. ქართულში დასტურდება ანთრ. ალავერდა, რომელიც იხსენიება ჯერ კიდევ 1799 წლის ძველი საბუთების დედნების კოლექციაში (დოკ. VI). ეგვეე ანთროპონიმი, უკვე პატრონიმად ქცეული, მოხსენიებულია 1799, 1756, 1758, 1743 წლებში (დოკ. V, VI). 1793 წელს ფიქსირებულია ალავერდ-ა-ს-შვილი-ი, ცნობილია შემდგომდროინდელი ტენდენცია უსანო ვარიანტების გაბატონებისაკენ<sup>24</sup> და დღეს დასტურდება პატრონიმი ალავერდაშვილი (თბ. 19. 2. 80). შდრ. ანალოგიური შინაარსის რუსული პატრ. Богданов, ტოპ, Богдановка და სხვა.

22. ასეთივე შინაარსის პატრონიმს წარმოადგენს ხუდავერდასშვილიც (1738, დოკ. VI) ← სპ. Huda 'ღმერთი' + verdi 'მოგვცა'.

23. შა (3)-ვერდ-ა-ს-შვილი-ი (1799, დოკ. VI). შა(3)-ვერდ-ა-შვილი-ი (1823, დოკ. III; 1699, დოკ. VI). შავერდოვი (1857, დოკ. VI) და ამჟამად: შავერდაშვილი (თბ., 24. 4. 80; 10. 11. 81), შახ-ვერდ-ა-შვილი-ი (ს. აქ. 2. X. 80) ← სპ. şah 'შაჰი' + verdi 'მოგვცა'.

24. შახ-ვერდ-ა-შვილი-ი (1766, დოკ. VI) ← არ haz 'სიამოვნება', 'სიხარული'.



სხვ.), უმთავრესად XVI საუკუნიდან შემოდის შაჰის, ან სულთნის კარიკულა და ლეთა აღსანიშნავი აღმოსავლური ტერმინები, რაც მიუთითებენ ქართლისა და ოსმალურ-ირანულ წესწყობილების გარეგნულ მსგავსებაზე<sup>26</sup>. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ აღმოსავლური ქვეყნების სახელმწიფოებრივ არედან მომდინარე სამოხელეო სახელები უპირატესად დარბაზის რიგის მოხელეობაში იყო გავრცელებული<sup>27</sup>. დროთა განმავლობაში ეს სამოხელეო, თუ სოციალური ტერმინები საფუძვლად დაედო ქართულ პატრონიმებსაც. ნასესხებ ფუძელ პატრონიმებში ხშირად გვხვდება შუა საუკუნეების თურქული სოციალური ტერმინები: ბეგი, ხანი, სულთანი, ყული, ალა და სხვა.

35. ბეგ-ი: (←თ. bey 'თავადი', 'ფეოდალი', სხვა თურქულ ენებში: აზერბ. *бег*, ყაზახ *бей*, ენისელისა და ორხონის ენებში *ber*)<sup>28</sup>. ქართულში იგი მიუთითებს პიროვნებათა საპატრონო გამგებლობის ადგილს და მამაკაცის საკუთარ სახელადაც ქცეულა<sup>29</sup>, რომელიც თავისთავად დასაყრდენს წარმოადგენს საქართველოში გავრცელებული პატრონიმებისათვის: ბეგ-ა-შვილ-ი (1722, დოკ. V; თბ., 10. 5. 80), ბეგ-ა-ძე (თბ., 1. 7. 80), ბეგ-ი-ა-შვილ-ი, ბეგ-ო-შვილ-ი; თურქულში მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი -lar სუფიქსით: ბეგ-ლარ-ი-შვილ-ი (თბ., 14. 6. 80), ბეგ-ლარ-ა-შვილ-ი (თბ., 20. 3. 80), შდრ. ანთრ. ბეგლარი←თ. *beg+lar*. ბეგ-თა-ბეგ-ის-შვილ-ი (1794, დოკ. III), ბეგ-თაბეგი-შვილი (1757, დოკ. VI), შდრ. ანთრ. ბეგთა-ბეგ (ბეგთაბეგოვი, 1808, დოკ. 1). ანთროპონიმად ბეგა ფიქსირებულია ჯერ კიდევ 1710 წელს ძველ სიგელ-გუჯართა კოლექციებში (1821. დოკ. 1). ნ. ა. ბასაკაოვი თვლის, რომ რუსული გვარი ბეგთაბეგოვი (Бектабеков) ქართველ თავადთაგან წარმოადგება და ჩანს 1783 წელს სრულიად რუსეთის მიერ ერეკლე II-სთან დადებულ ტრაქტატში და, როგორც გენეალოგიურ ცნობაშია ნათქვამი, წარმოადგენს თათარ თავადთა ტიტულს. საფუძვლად გვარს ფეოდალური ტიტული *beg-ler-begi* უდევს<sup>30</sup>. საქართველოში გავრცელებული ბეგთაბეგი ნ. ა. ბასაკაოვს მიაჩნია *bektärbegi*-დან ნაწარმოებად<sup>31</sup>. ჩვენი აზრით, ბეგ-თა-ბეგ-ში, „თა“-ქართული თანიანი მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი აფიქსია და ბეგთაბეგოვი იდენტურია თურქული *beglerbeg*-ისა. შდრ. რუს. პატრონიმი *Беглербеков*. რუსულში პატრონიმი *Бектабеков*-ი საქართველოდან შესულად უნდა მივიჩნიოთ.

36. ქართულ ონომასტიკონში ფიქსირებულია, აგრეთვე რიგი რთულფუძიანი აღმოსავლური წარმოშობის ეპონიმური პატრონიმები, რომელთა ერთ-ერთ კომპონენტს ბეგ ელემენტი წარმოადგენს: ათა-ბეგ-ა-შვილ-ი (←თ. *atabeg* ←თ. *ata* 'მამა'+თ. *beg* 'ბეგი', შდრ. ქართ. ანთრ. ათაბეგა (ლლ.).

37. აბდულ-ა-ბეგ-ის-შვილ-ნი (1653, XVII ს.), უფრო გვიანდელი ფორმით აბდულ-ა-ბეგ-ი-შვილ-ი (1765, დოკ. I)←არაბ. *abd allah* 'მსახური', 'ღვთის მონა' ანთრ. 'აბდულა' (ლლ), შდრ. რუსული პატრონიმი *Авдуллоз*<sup>32</sup>; აზერბ. *Абдуллаев* და სხვ.

38. ალი-ბეგ-ა-შვილ-ი (1770, დოკ. VI, თბ., 23. 11. 80); შდრ. ანთრ. ალი. ხევს. ალბეგა, სვან. ალი, ალიბეგ, ალიბეგა (ლლ), არ. ანთრ. *Ali* +თ. *beg*.

39. დასტურდება აგრეთვე პატრონიმი ბეგ-ალი-შვილიც (კომ., 21. 5. 80).

40. ასან-ბეგ-ი-შვილ-ი (XVIII ს. დოკ. V)←თ. საკ. სახ. *Hasan*←არ. *Hasan*, შდრ. ანთრ. ხასანბეგ შერვაშიძე (1832, დოკ. III), აჭარ. ანთრ. ხასანა, პატრონიმის წარმოებისას თავიიდური ჰ თანხმოვანი დაკარგულია, რაც ქართული ნიადაგით აიხსნება.





41. ადი-ბეგ-ა-შვილ-ი (თბ., 18. 6. 80), ანთრ. ადიბეგი (1783, დოკ. VI) ← თ. adi 'სახელი მისი' ← თ. beg 'ბეგი';
42. ყაზი-ბეგ-ის-შვილ-ი (1812, დოკ. III), ყაზიბეგიშვილი (1799, დოკ. VI), შდრ. ანთრ. ყაზიბეგი (1812, დოკ. I), პატრ. ყაზ-ბეგ-ი (18ს. დოკ. VI) ← თ. qazi 'გმირი' + beg 'ბეგი'.
43. ურდუ-ბეგ-ა-შვილ-ი (1832, დოკ. I) ← თ. urdu 'ურდო' 'ჯარი' + ბეგ-ა-შვილ-ი. შდრ. ქართ. ურდო, რუს. орда.
- ასევე, ჯერ ანთროპონიმად, შემდეგ კი პატრონიმის შემადგენელ ნაწილად ქცეულა თურქული სოციალური ტერმინის აღმნიშვნელი სიტყვა ხან-ი (← თ. han ხალხ. хан 'ხანი')<sup>22</sup>, რომელიც თურქულ ენებში წარმოადგენს ქალთა და მამაკაცთა სახელის შემადგენელ ნაწილს (შდრ. ოსურში ალიხან, ამირხან, დუნეთხან ზელიმხან, ზალიხან და სხვ.)<sup>23</sup>.
44. ძველ საბუთებში ალიხან-ი (ალიხან-ა (1775, დოკ. VI) ← ანთრ. Ali + han 'ისტ. ტიტული ხანი' → პატრ. ალი-ხან-ა-შვილ-ი (თბ., 14. 4. 80; კომ., 21. 5. 80), ალი-ხან-ი-შვილ-ი (თბ., 19. 3. 80), სიტყვის პირველი კომპონენტის ი ხმოვნის დაკარგვით—ალი-ხან-ი-შვილი, (ახ. კომ., 14. 5. 80), ამირ-ხან-ა-შვილ-ი (თბ., 15. 2. 80) ← არ. amir 'უფროსი', 'მეთაური', 'მბრძანებელი' + han.
45. დურმიშ-ხან-ის-შვილ-ი (1736, XVIII ს.), შდრ. საქ. სახ. დურმიშხან. ყ უ ლ-ი. ცნობილია, რომ ყ უ ლ ე ბ ი (← თ. kul 'მონა') საქართველოში მეფის პირადი მცველები და ზედამდგომელები იყვნენ<sup>24</sup>. ძველ საბუთებში ყული დასტურდება როგორც ანთროპონიმად, ასევე მისგან ნაწარმოებ პატრონიმადაც: პარიზმატული შინაარსისაა პატრონიმი:
46. ალი-ყულ-ი-შვილ-ი (1793, დოკ. V., VI) ← არ Allah × kulu 'ალაჰის მონა მისი', შდრ. ანთრ. ალიყულა (1803, დოკ. III), ალიყულ-ი (1812, 1803, დოკ. VI).
47. შაჰ-ყულ-ა-ს-შვილ-ი (1805, დოკ. VI), შაჰ-ყულ-ა-შვილ-ი (1734., დოკ. II). ამჟამად პატრონიმი დასტურდება შაჰ კომპონენტის ბოლოკიდური ჰ თანხმოვნის დაკარგვით: შაყულაშვილი (თბ., კავთისხევი); შდრ. ანთრ. შაყულია (1695, დოკ. VI) ← სპ. sah 'შაჰი' + kul-ი 'მონა' მისი. ძველ საბუთებში ფიქსირებულია აგრეთვე გვარი ყულასშვილი (1751, დოკ. V; 1848, დოკ. III); დასტურდება ანთრ. ყულიც (ყული ყარასქე გვდდ 108). შდრ. ეგვევ წარმოშობის პატრონიმი შახულოვი (თბ., 22. 1.80). ცნობილია, რომ საქართველოში როსტომ ხანმა მონათუხუცესს უწოდა ყულარაღასი. ქართველი ყულარაღასი ყულების, ე. ი. მეფის მცველების, მთავარი ხელმძღვანელი იყო<sup>25</sup>. შდრ. ქართ. ანთროპონიმი ყულარაღას (ან. ლ.) ← თ. kul 'მონა' + -lar-თურქ. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი აფიქსი + aḡa-si 'ბატონი მისი'.
48. ხურდაყულ-ა-შვილ-ე-ბ-ი (1677, დოკ. II); ჩვენი ვარაუდით, ხურდაყულაშვილის პირველი შემადგენელი ნაწილი ხურდა ← სპ. huda 'უზენაესი' და ინლაუტში ო თანხმოვანი განვითარებულია სპარსულივე წარმოშობის hurda ('ძველმანი', წვრილმანი) სიტყვის ანალოგიით.
49. მურსაყულ-ის-შვილ-ე-ბ-ი (1805, დოკ. II); ვფიქრობთ, რომ ხსენებულ პატრონიმშიც ხურდაყულაშვილის მსგავსად განვითარებულია r თანხმოვანი და მურსა უნდა წარმოადგენდეს წინასწარმეტყველ Musa-ს სახელწოდებას.
50. მაჰმადალიაშვილი (1809, დოკ. II) საქ. სახ. Mahmad + Ali + Aga-შვილი;
51. სოლაღა-შვილ-ე-ბ-ი (1753, დოკ. VI; 1720, დოკ. II); პარალელურად დასტურდება სოლოღა-ს-შვილიც (1783, დოკ. VI; 1679, დოკ. VI), სადაც აღა-



ოლა შედეგი უნდა იყოს სიტყვის პირველი კომპონენტის (სოლ) ო ხმოვნის გაცვლილობის შედეგად. აღნიშნული სიტყვა უნდა იყოს სიტყვის პირველი კომპონენტის (სოლ) ო ხმოვნის გაცვლილობის შედეგად. აღნიშნული სიტყვა უნდა იყოს სიტყვის პირველი კომპონენტის (სოლ) ო ხმოვნის გაცვლილობის შედეგად. აღნიშნული სიტყვა უნდა იყოს სიტყვის პირველი კომპონენტის (სოლ) ო ხმოვნის გაცვლილობის შედეგად.

55. ეშიკალა-ს-შვილი-ი (1815, დოკ. VI); შდრ. ანთრ. ეშიკალა (1753, დოკ. VI); (დლ.) თ. eşik 'ზღურბლი' + ağza 'ბატონი მისი'. როგორც პროფ. ვ. ვაბაშვილი აღნიშნავს, ეს სამოხელეო სახელი, ისევე როგორც მისი უფროსის ეშიკალასბა-შისა, ქართულ სამოხელეო წყობილებაში პირველად XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩნდება და თანამედროვეობით მარტორთუხუცესს უტოლდება<sup>38</sup>. ხსენებული პატრონიმიც აქედან წარმოდგა. სიტყვა ალა მხოლოდ თხზულ პატრონიმა შემადგენელ ნაწილს როდი წარმოადგენს. იგი თავადაც გამოდის ეპონიმის როლში. შდრ. აღიაშვილი (1806, დოკ. II, VI).

ბ ა შ-ი: 56 ყორჩი-ბაშ-ის-შვილი-ი (1710, 1736, 1779, დოკ. V, 1739, დოკ. VII); ყორჩიბაშიშვილები (1798, დოკ. VI); პროგრესული ასიმილაციით შ→ჩ. დადასტურებულია აგრეთვე პატრონიმი ყორჩიბაშიშვილი (1739, დოკ. III). ვახუშტის აზრით, ყორჩიბაში ძველი მსახურთუხუცესის შეცვლილი სახელია<sup>39</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ მსახურთუხუცესის, ე. ი. ყორჩიბაშის, საკითხავი იყო სასახლის შინაური მეურნეობის დაწესებულებები<sup>40</sup>. აკად. ბარტოლდი აღნიშნავს, რომ მონღოლურად 'ყორჩი' მოისარსა და მშვილდოსანს, მშვილდის და ისრების მტარებელს ეწოდებოდა<sup>41</sup>. ქართ. ყორჩი წარმოადგენს თ. ზმნის kogumak-ის(დაცვა, მფარველობა) ფუძეს+ -ci -თურქული ხელობა-მოსაქმეობის მნიშვნელობის მაწარმოებელი აფიქსი, k→ç კი ქართულ ნიადაგზეა მომხდარი.

57. უზ-ბაშ-ი-შვილი-ი (1800, დოკ. III), უზბაშ-ის-შვილი-ი (1745, დოკ. IV), საბუთებში იხ. ზაქარია უზბაში (1755, დოკ. IV) ← თ. yüz 'ასი' + baş-i 'თავი მისი', yüzbaşı 'ასისთავი', 'კაპიტანი'.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ •

1. А. Шетинин, Обзор ответов на анкету о славянских именах в иноязычном окружении, Перспективы развития славянской ономастики, М., 1980, გვ. 381.
2. ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია, თბილისი, 1979, გვ. 35.
3. მ. ჯიქია, თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, აღმოსავლური ფილოლოგია, III, 1973, გვ. 211.
4. ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, გვ. 27.
5. ლ. ჩლაიძე, ქოროლის ეპოსის ქართული ვერსია, თბილისი, 1978, გვ. 110.
6. Türkiye'de Halk Ağzından Derleme sözlüğü IV, ანკარა, 1941, გვ. 1420.
7. Древнетюркский словарь, Л., 1969.
8. Х. К. Баранов, Арабско-русский словарь, М., 1962, გვ. 667; Б. М. Гранде, Курс арабской грамматики в сравнительно-историческом освещении, М., 1963, გვ. 290.
9. ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბილისი, 1973, გვ. 126.
10. მ. ჯიქია, თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, გვ. 212.
11. Древнетюркский словарь.
12. Э. Н. Наджип, Историко-сравнительный словарь тюркских языков XIV века, М., 1979.
13. Н. А. Баскаков, Турецкие фамилии русского происхождения, М., 1979, გვ. 231.



14. შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივმატიკის შესახებ, თბ., 1966, გვ. 132.
15. Tarana Sözlüğü, ანკარა, 1965.
16. А. М. Щербак, Названия домашних и диких животных. Историческое развитие лексики тюркских языков, М., 1961., გვ. 90.
17. ა. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 203.
18. А. Магазаник, Турецко-русский словарь, М., 1945.
19. შ. ჭიქია, თურქული წარმოშობის ანთროპონიმები ქართულში, გვ. 216.
20. მამრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), თბილისი, 1961, გვ. 35, 177.
21. Э. Н. Наджип, Историко-сравнительный словарь тюркских языков, გვ. 324.
22. Н. А. Баскаков, Турецкие фамилии русского происхождения, გვ. 250.
23. ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, გვ. 19.
24. ბ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, გვ. 100.
25. ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, აკად. ნ. შარის სახელობის ვნის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIII. თბილისი, 1943, გვ. 161.
26. ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით.
27. იქვე, გვ. 165.
28. Н. К. Дмитриев, О тюркских элементах русского словаря, Строй тюркских языков, გვ. 528.
29. ალ. ლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი, 1967, გვ. 56.
30. Н. А. Баскаков, Русские фамилии тюркского происхождения, გვ. 238.
31. იქვე, გვ. 225.
32. Э. Н. Наджип, Историко-сравнительный словарь тюркских языков XIV века, გვ. 86.
33. З. Г. Исаева, Основные пласты осетинской антропонимии, Ономастика востока, М., 1980, გვ. 56.
34. სარგის კაკაბაძე, საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა 1500—1810 წწ.), ტფილისი, 1922, გვ. 53.
35. ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, გვ. 200.
36. იქვე, გვ. 200.
37. ა. ახვლედიანი, აჭარის საემირო საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, 1970, გვ. 170.
38. ვ. გაბაშვილი, დასაბ. შრ., გვ. 185.
39. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 16.
40. ივ. ჯავახიშვილი, ქართლის სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. I, თბ., 1928, გვ. 182—190.
41. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, ч. II, М., 1963.

### შ ე მ ო კ ლ ე ბ ე ბ ი

1. დოკ. I—1448. III—საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, საბუთები ძველი ხანისა და XIX საუკუნის დასაწყისისა, ფონდი 226 (III) საინვენტარო აღწერა.
2. დოკ. II—1448, 1—2415—საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართული ისტორიული დოკუმენტების პირთა კოლექციის 1449 აღწერილობა, წ. I, № 1—2418.
3. დოკ. III—1448—226. III—საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, საბუთები ძველი ხანისა და XIX საუკუნის დასაწყისისა, წიგნი II,
4. დოკ.—IV—1440. III—საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, ძველი ხანის და XIX საუკუნის საბუთების პირები, საინვენტარო აღწერა, წ. II, 419.
5. დოკ. V—1451. 230 (5) — ძველი საბუთების რეგისტრები, სასაინფო კანტორის რეგისტრები, შინაგანი აღწერა.
6. ლლ. — ალ. ლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი, 1967.



7. დოკ. VI — 1448. 226(II) — საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ძველ სიველ სიველ-გუჯართა კოლექცია.
8. დოკ. VII 1449 (II) — საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, ძველი ნანის და XIX საუკუნის საბუთების პირები.
9. თბ. — გაზეთი „თბილისი“.
10. ს. აჭ. — გაზეთი „საბჭოთა აჭარა“.
11. გ. ვ. დ. დ. — ს. ჭიჭია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი, წიგნი II, თბილისი, 1941.

Н. А. ГУРГЕНИДЗЕ

О СТРУКТУРЕ И СЕМАНТИКЕ ЗАИМСТВОВАННЫХ  
ИЗ ТУРЕЦКОГО ЯЗЫКА ПАТРОНИМОВ

Резюме

Статья посвящена проблеме формирования грузинских исторических фамилий восточного, главным образом, турецкого происхождения, причиной существования которых являются грузинско-османские многовековые отношения.

В статье рассмотрен процесс адаптации заимствованных патронимов, оформленных грузинскими деривативными формами.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ს. ჯიშია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

## ალმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან,\* II

1960 წელს ამავე სათაურით ჩვენ გამოვაქვეყნეთ სტატია: „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომებში“, რომელშიაც ნათქვამია: „ქვემოთ წარმოდგენილია ცნობები ქართულ ენაში დამკვიდრებული რამდენიმე ალმოსავლური წარმოშობის საკუთარ და ზოგად სახელთა შესახებ. კარტოთეკაში დაგროვილი მასალიდან ამჯერად ჩვენ შევარჩიეთ სიტყვათა ერთი ჯგუფი, რომელთათვისაც აქ ნაჩვენებია წარმომავლობის წყარო და განხილულია ფონეტიკურ-სემანტიკური ვითარება. ვფიქრობთ, რომ ჩვენ კიდევ გვექნება შემთხვევა ამგვარი ლექსიკური მასალის განხილვისა“ ([1], გვ. 1). ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ამ თემაზე კიდევ მოგვიგროვდა მასალა, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო (თვალების დაავადება), მისი დამუშავება და გამოქვეყნება აქამდე ვერ მოხერხდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი მშობლიური ენის მეცნიერულად და სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებლად საჭიროა, სხვათა შორის, ქართველ ალმოსავლეთმცოდნეთა ინტენსიური მუშაობა იმ მიმართულებით, რომ სათანადო სიზუსტით გაირკვეს და გამოვლინდეს მახლობელი ალმოსავლეთის ხალხებთან საუკუნეთა განმავლობაში მკიდრო პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობათა შედეგად ქართულ ენაში დაფუძნებულ არაბულ-სპარსულ-თურქულ-სომხურ ლექსიკურ ნასესხობათა გარკვეული ფენა ([2], გვ. 34). ასეთი ხასიათის სამუშაო ფრიად შეუწყობს ხელს აგრეთვე დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მქონე, მაგრამ საკმაოდ დაკვიანებული ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენისა და გამოცემის საქმეს\*\*.

ხსენებულ ჩვენს წერილში ([1], გვ. 1—13) ეტიმოლოგიურად შესწავლილია შემდეგი სიტყვები: სურამ-ი/ზურაბ-ი, ბეგ-ი (ბეგლარ-ი, ბეგთაბეგ-ი, ბეგლარ-ბეგ-ი, ათაბეგ-ათაბაგ-ი, დიამბეგ-ი, ყაზბეგ-ი, ბეგუმ-ი), ალლო და ახ-ი („ახია მასზე“). ამჟამად ჩვენ გვაქვს ერთი ახალი მასალა, რომელიც გვინდა დავუმატოთ ჩვენი უკვე დაბეჭდილი 1-ლი წერილის იმ ადგილს, სადაც მსჯელობაა ზურაბ-სურამის შესახებ. ვფიქრობთ, დამაჯერებლად დადგინდა, რომ სპარსული სამყაროდან მომდინარე პერსონული სახელები ზურაბ-ი და სურამ-ი სპ. **سورام**-ის სხვადასხვა ეპოქასა და ენობრივ კოლექტივში კანონზომიერად მოდიფიცირებული პერსონული სახელებია. მაგალითად იმისა, რომ სურამ პერსონული სახელი ძველად ფაქტობრივად არსებობდა ქართულში.

\* წაკითხულ იქნა მოხსენებად აკად. გ. ახვლედიანის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. ალმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში 1977 წ. 18. X-ს. აქ იბეჭდება ცოტაოდენი ცვლილებით.

\*\* უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია პროფ. შხია ანდრონიკაშვილის შრომა: „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966.

ჩვენ მოგვექონდა (სხვა მონაცემების გარდა) საგვარეულო სახელი 'სურამელი-შვილი', სადაც სურამ'ს დართული აქვს „ელა“ აფიქსი მსგავსად, მაგ., 'მაქსიმ-ელ-აშვილი'სა (-მაქსიმ-ელა), გიორგი—გიორგ-ელა-შვილი (იხ. გაზეთ „თბილისი“, 18.06.1980 წ.). ამჟამად კი ჩვენ მოვიპოვეთ მასალა, რომლითაც დასტურდება, რომ ზურაბის გარდა არსებობდა ჩვენში წმინდა და უაფიქსო ფორმითაც პერსონული სახელი ს უ რ ა მ ი ც. ასეა, მაგ., გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 1974 წ. 2 სექტემბრის ნომერში, სადაც წერია: „ქალაშვილი ნათელა ს უ რ ა მ ი ს ასული“. დოც. ვ. ჯანგიძის გადმოცემით, ს უ რ ა მ სახელი კახეთში ახლაც გავრცელებული ყოფილა. სოფ. ზემო ხოდაშენში არის თურმე მოქალაქე ს უ რ ა მ ჩანგაშვილი.

1. მაგრამ. აკად. ა. შანიძე 'მაგრამ' სიტყვის უფრო ადრინდელ ფორმად თელის 'მაგრა', ს: „მაგრამ მიღებულია, 'მაგრა', საგან მანის დართვით ('მაგრა' ჩვეულებრივია „ამირანდარეჯანიანში“, „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანში“. მაგ. 'მაგრა იტყვის: ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი', „ვეფხ.“ 15)“ ([3], გვ. 606). ვფიქრობთ, ქვემოთ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ქართულში არსებული მაპირისპირებელი კავშირი მ ა გ რ ა მ არ არის ქართული წარმომავლობის სიტყვა, იგი ნასესხებია სპარსულიდან. სპარსული *گر* გახმოვანებით *māgār* ([4], გვ. 905) ქართულში საცხებთი კანონზომიერად მოდიფიცირებული და გადმოსული მ ა გ ა რ ფორმით. *ā*—და ე ხმოვანთა საშუალო ხმოვანი სპარსულიდან და სხვა აღმოსავლური ენებიდან ა-დ გადმოდის ხოლმე: აზერბაიჯანული გზით შემოსულმა არაბულმა *جر* *cāhār* 'რიყრაჟმა' ქართულში სა არ-ი მოგვცა / „დილის საარი“ (ხმოვანთა შორის ჰ-ს ჩვეულებრივი ჩავარდნით), სპ. *ჯა* // ფანჯ-ქ. ფანჯ-ი, სპ. *ჯა* // ფანდ → ქ. ფანდ-ი, სპ. სანგარ → ქ. სანგარ-ი ([4], გვ. 476...) და სხვა მრავალი. ამრიგად, სპ. მგვარ → ქ. მაგარ სიტყვას ქართულში დაერთო ამ (ა და მ) წანაზარდი ფუძისეული მეორე ა' ს: ჩავარდნით და მივიღეთ მ ა გ რ ა მ. ასეთი წანაზარდები ქართულში ჩვეულებრივია სხვა მსგავს სიტყვებშიც. ა). აკად. ა. შანიძის მიხედვით „თ ო რ ე მ მიღებულია თ უ ა რ -საგან; უ ა ჯგუფისაგან შერწყმის გზით ო მივიღეთ და ბოლოს დაერთო მ (როგორც მაგრამ-ში): თუარა-მ → თორა-მ → თორემ“ ([3], გვ. 606). ჯერ → ჯერამ და ჯერემ ([5], გვ. 398), ჯერამ ლიტ. ჯერ пока еще ([6], გვ. 383). მ ა გ რ ა მ სიტყვის სესხებას ქართულში სემანტიკური ხასიათის დაბრკოლება არ ხედება. ერთი მისი სპარსული მნიშვნელობა (но) ზუსტად ემთხვევა ქართულის მნიშვნელობას. ეს არის მიღებით *māār-razve* только; н о; кроме; если; может быть ([4], გვ. 905). საინტერესოა, რომ ანალოგიური ფორმითა და მნიშვნელობით გვხვდება ეგ სიტყვა თურქულ დიალექტებში: *magar man korkhiram ne vakt yetaram dostime ävina* 'Aber ich furchte, dass ich zu spät in dass Haus meines Freundes kommen werde ([7], გვ. 50), *magar mewa burde yokh* 'Aber es gibt nicht kein Obst (იქვე). თურქული დიალექტოლოგიური მასალებიდან ამოწერილი მაქვს, მაგ., *māgārām* ფორმა მ ა გ რ ა მ სიტყვისა, რომელიც ექვსაც არ ტოვებს ჩვენი მ ა გ რ ა მ და სხვა ენებშიც ნასესხებ ამ სიტყვის სპარსული წარმომავლობის შესახებ. ცნობილია ისიც, რომ ძველად ჩვენში მ ა გ რ ა მ'ის ფუნქციას გ ა რ ნ ა ასრულებდა ([8], გვ. 91).

2. ბარე, ბარემ აგრეთვე სპარსული წარმომავლობისად ჩანს. *bari, bare* . რს . , *хотя бы, по крайней мере* ([9], გვ. 95). ფრიად ცნობილ თურქ ლექსიკოგრაფს შამსედ-დინ სამი'ს სპარსულიდან თურქულში ნასესხები ამ სიტყვისათვის მ-დართული



კარს-ბარემ (ხალხური) ფორმითაც აქვს მოყვანილი. ([10], გვ. 262) სიტყვის სპარსულიდან წარმომავლობა არც ფონეტიკურად და არც სემანტიკურად საეჭვო არ არის.

3. **ქილიფთარ-ი**. გურიაში (მახარაძის რ-ნი) გავრცელებული გვარსახელი. საფუძვლად უდევს ბერძნულიდან ნასესხები kleidos სიტყვა, რომელიც ბევრ ენაში გვხვდება და მათ შორის ქართულშიც „კლიტე“ (გურული „კილტე, დუკილტავი“). თურქულსა და სპარსულში ეს სიტყვა კილ-ქილით-ქილიდ-ის ფორმით გვაქვს. აქედან სპარსული კილ-ქილიდ(თ)დარ-ი—ключарь при храме или гробнице ([4], გვ. 677). kilid+dar-ში dar სპ. დაშთან ზმნიდან საქმიანობის, პროფესიის, რისამე მქონებლის მნიშვნელობით სიტყვათმარმოებელია. (შდრ. ქართული 'ხაზინადარ-ი', 'ხაზინის გამგე'; 'იჯარადარ-ი', 'მოიჯარე', დახლიდარ-ი და სხვ. kiliddar ამრიგად 'მეკლიტური', კერძოდ „მეკუქნავე“, საერთოდ კაცი, რომელსაც რაიმე საგანძურის გასაღები, კლიტე აბარია. სპარსულში ამ სიტყვას ასეთი მნიშვნელობებიც აქვს: Смотритель, хранитель (обычно храма или гробницы святого); тюремщик, тюремный надзиратель, сторож ([11], გვ. 346).

აქ უნდა აღინიშნოს, რომ თურქულში ბოლოკიდური მკერბ-ზმული თანხმოვნები უსათუოდ ყრუვდებიან და იმავე რიგის ყრუ თანხმოვანს გვაძლევენ: kitab→kitap 'წიგნი'; meded→medet 'დახმარება'; aded→adet 'რიცხვი' და სხვ. ამდენად თურქულსა და შემდეგ ქართულში ჩვენ გვაქვს არა ქილიდ 'კლიტე' და არა kiliddar, არამედ ქილით და ქილითდარ→ქილითთარ-ი. ქილითთარ-ი უნდა ყოფილიყო ქართულში, კერძოდ გურულში, „მეკლიტური“, „მეკუქნავე“. კერძოდ, ქართულში და საერთოდ სხვა ენებშიც ჩვეულებრივია გვარსახელები, რომლებიც თანამდებობისა და პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვათაგანაა წარმოშობილი. მაგალითი ამისი ბევრია: მზარეულაშვილი, ხაზაზიშვილი (რაც „მეპურიშვილს“ ნიშნავს), მემარნიშვილი, ვეზირიშვილი, ამილახვარი და სხვ. მრ. ამრიგად ქილითთარ-ი უნდა ყოფილიყო მთავრის სასახლეში ან რომელიმე მდიდარი კაცის ოჯახში საკუქნაოს უფროსი, რომელსაც ჰქონდა გასაღები და იყო მეკლიტურისა და მსგავს თანამდებობაზე. ქილითთარ-იდან ქილიფთარ-ამდე ფონეტიკურად რთული გზა არ არის გასავლელი. ხშირ ხმარებაში ქილითთარ-ში ორი ზედიზედ ხშული დენტალისაგან ერთი განემსგავსა მეორეს და გადავიდა ამ შემთხვევაში უფრო მარტივად წარმოსათქმელ ბავისმიერ ფ-ში, მივიღეთ ქილითთარ-ი→ქილიფთარ-ი. ეს სიტყვა ასეთი ფორმით საერთოდ სხვაგანაც დადასტურებულია. მაგ., ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქულ თარგმანებში წერია: 'სალაროთ მოლარე' ქილითდარ ([12], გვ. 170), ხოლო 'ქილიფთარის' ფორმით იგი საერთო ქართულშიც ყოფილა. მაგ., იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 7, გვ. 324: „ქილიფთარ-ი—(ძვ.) ღვინისა და, საერთოდ, სასმელების მწე; პირის მეღვინე (მეფეთა და დიდებულთა სასახლეებში)“. დავუმატებ იმასაც, რომ მოხსენების დროს მითხრეს „ქილიფთარი საერთოდ 'ხელმოჭერილი' კაცს, ნიშნავსო“.

4. **ყირქესალიშვილი**\*. გვარსახელი მესხური წარმომავლობისაა. აწ განსვენებული ივანე ყირქესალიშვილი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი იყო. გვარსახელი მასალობრივად თურქულ-სპარსული ელემენტე

\* ზოგჯერ ძლიერ დამახინჯებულად გვხვდება ეს გვარსახელი: „ლენა კირკესალი“, ეს შემოკლებულად თუ არის, „ყირქესალი“ უნდა იყოს (იხ. ვახუთი „თბილისი“, 1978 წ. 18. 01), აგრეთვე 'კირკესალოვა' ფრანცისკა პეტრეს ასული—პენსიონერი, „თბილისი“, 1977 წ. 11. 11).

ბისაგან შედგება: ყირ. თურქ. kirk, დიალექტური kirx-ყირხ, (ქართულში ს-ს ჩავარდნით) ყირ- 'ორმოცი', ქესა←სპ.-თურქ. kise კისე „ქისე“, -ლი თურქ. li— აფიქსი ქონებისა = ქართ. -'იანი', ე. ი. მთლიანი ზუსტი თარგმანი ყირქესალი სიტყვისა— 'ორმოციქისიანი', 'ორმოცი ქისის მქონე'.

საქმე ისაა, რომ თურქულში ქისა სიტყვა ნიშნავდა არა მარტო 'ქისას'; 'პარკს', (ტყავისა ან რაიმე ქსოვილისა) ფულის ან სხვა წვრილმანი ნივთებისათვის, არამედ ოსმალებთან ქისა იყო ოქრო და ვერცხლის ფულის დიდი და დროთა მსვლელობაში ცვალებადი რაოდენობის ერთეულიც. მაგ., სულთან მეჰმედ ფათიჰის დროს—XV ს-ში ერთი ქისა 30 ათას ახჩას აღნიშნავდა, XVI ს-ს შუა წლებში — 20 ათასს, ხოლო XVII ს-ს აგრეთვე შუა ხანებში ერთი ქისა შეადგენდა 40 ათას ახჩას ([13], გვ. 344). ფულის დიდი ერთეულის აღმნიშვნელი ეს ქისა სიტყვა ოსმალთა მიერ დაპყრობილ ქართულ ტერიტორიაზედაც ყოფილა ხმარებული ამ აზრით: „ლექებთან მისი მტრობით ისარგებლა შერიფ-ფაშამ, საბითოს თავის მოსაკვეთად 60 ქისა ფული გაიღო და 1802 წ. შერიფისაგან მოსყიდულმა ლექებმა საბითოს თავი მოჰკვეთეს“ ([14], გვ. 64). ყირ-ქესალი-ში ყირ — თურქ. kirk, დიალექტური ყირხ „ორმოცი“, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თურქულში kirk მარტო 40-ს კი არ ნიშნავს, არამედ ნიშნავს აგრეთვე „ბევრს“. kirk kerre söyledim ზუსტად ნიშნავს არა „40-ჯერ ვთქვი“, არამედ „ბევრჯერ (ქართულად რომ იტყვიან ათასჯერ) ვთქვი“, ([10], გვ. 1063). ამდენად 'ყირ(ხ)ქესალი, ნიშნავს მრავალქისიანს, ე. ი. 'ძლიერ ბევრი ფულის მქონე მდიდარ კაცს. ერთი ქისა, რომ ვთქვათ, 30000 ახჩიანი ფულის ერთეულია; ორმოც ან მრავალქისიანი კაცი ხომ უზომოდ მდიდარ კაცად მიიჩნევა. საინტერესოა, რომ პროფ. შ. ლომსაძის მიერ გამოცემულ „ახალციხურ ქრონიკებში“ ყირქესალი იხსენიება პერსონულ სახელად: „13 თიბათ. ყირხქესალი გაუმეღავენეს. ფაფაზოლი მამაჯანაც გაუმეღავენეს“ ([15], გვ. 197). აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ წყაროში ყირქესალი კი არაა, ყირხქესალია, ე. ი. უფრო ზუსტადაა თურქული 'ყირხ' სიტყვა მოცემული. ჩვენ აქ მოვიყვანთ რუსი მეცნიერის ა. დ. ელტიაკოვის აზრს „ქისას“ შესახებ, რომელიც სასვებით შეესაბამისა „ქისას“ აქ დაღვენილი შინაარსისა: Кошелек — по-турецки кесе или кисе (русск. кисет). Кошелек для хранения золотых и серебряных денег и в то же время определенная их сумма. Иногда термин кесе употреблялся только для акче и для курушей, а для алтунов—сурре. В 1660—1661 гг. в одном кошельке было 40 тыс. акче, в 1688 г.—50 тыс. курушей. В финансовых операциях имели хождение три кошелька: румелийский кошелек (кесе-и руми), равный 500 курушам, или 40 тыс. акче, кошелек дивани (дивани кесе) — 416 курушей, или 33,120 акче, и египетский кошелек (мысыр кесе) — 600 курушей, или 48 тыс. акче. Последний обращался только в Египте, а наиболее распространенной расчетной единицей был румелийский кошелек. Европейцы имели дело только с ним, почему во всех европейских словарях размер кесе определяется всего в 500 курушей, или пиастров ([16], гв. 283). ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ისტორიკოს დ. ბაქრაძის მიერ ქისებში ნაანგარიშევი თანხა რუსული ფულებით: «Таким образом, вся пенсия, пожертвованная по сему фирману роду Тавдгиридзе, составляет в месяц 4 кисы (киса 25 руб.), равняющаяся 100 рублям серебром на наши деньги» ([17], გვ. 168).





## ლიტერატურა

1. ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, I, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, III, თბილისი, 1960.
2. გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თსუ სამეცნიერო სესიები, № 1, მოხსენებათა კრებული (2—4. III. 46), თბ., 1947.
3. აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 1973.
4. Миллер В. В., Персидско-русский словарь, М., 1950.
5. ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, თბ., 1975.
6. კ. დონდუა, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1967.
7. T. Kowalski, Sir Aurel Stein's Sprachaufzeichnungen im Ainalü—Dialekt aus Südpersien, Krakow, 1937.
8. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
9. Турецко-русский словарь, Москва, 1977.
10. ۱۳۱۷، در سادات، ترکی، قاموس ترکی، شری، سامی، شری، ۲.
11. Персидско-русский словарь, под редакцией Ю. А. Рубинчика, т. 2. М., 1970.
12. ც. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბ., 1968.
13. O. S. G ö k u a y, K ä t i p G e l e b i ' d e n S e ç m e l e r, İstanbul, 1968.
14. ხ. ახვლედიანი, ოთხმოცი წლის წინათ, „ლიტერატურული აქარა“, 4, 1958.
15. შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979.
16. Желтяков А. Ф., Эвлия Челеби. Книга путешествия (извлечения из сочинения турецкого путешественника XVII века), перевод и комментарии. Выпуск I. Земли Молдавии и Украины, М., 1961.
17. Бакрадзе Д. З., Кинтришский участок, ქართული ისტორიოგრაფია, III, თბ., 1915.

С. С. ДЖИКИА

Академик АН Грузинской ССР

## ИЗ ИСТОРИИ СЛОВ ВОСТОЧНОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ, II

### Резюме

В статье, являющейся продолжением статьи напечатанной в 1960 году (Труды Института языкознания АН Грузинской ССР, серия восточных языков, т. III) изучены происхождение, фонетика и семантика заимствованных в грузинском из восточных языков слов: magram, barem, kiliftar и kirkesalj.

## ნათელა შვანიძე

## ჰომორგანულ თანხმომავნათა დისტრიბუცია ტიგრეში

ეთიოპურ სემიტურ ენაში ტიგრეში თანხმომავნათა შემდეგი რიგებია<sup>1</sup>: ლარინგალები:  $\text{z}$ ,  $\text{h}$ ; ფარინგალები:  $\text{c}$ ,  $\text{h}$ ; ველარები:  $\text{g}$ ,  $\text{k}$ ,  $\text{q}$ ; ლიკვიდები:  $\text{l}$ ,  $\text{r}$ ,  $\text{n}$ ; დენტალები:  $\text{d}$ ,  $\text{t}$ ,  $\text{t}'$ ,  $\text{z}$ ,  $\text{s}$ ,  $\text{s}'$ ; პრეპალატალები:  $\text{š}$ ,  $\text{d}'$ ,  $\text{t}'\text{z}$ ; ლაბიალები:  $\text{m}$ ,  $\text{b}$ ,  $\text{f}$ .

ტიგრეში ძვ. ეთიოპურმა ლაბიოველარებმა დაკარგეს ლაბიალი ელემენტი: მაგ. ძვ. ეთიოპურმა  $\text{k}^{\text{w}}\text{h} \rightarrow \text{khl}$  'წაისვა სურმა';  $\text{k}^{\text{w}}\text{nn} \rightarrow \text{knn}$  'გაასამართლა';  $\text{q}^{\text{w}}\text{s}\text{q}^{\text{w}}\text{s} \rightarrow \text{qsqs}$  'ქურქელი';  $\text{g}^{\text{w}}\text{r} \rightarrow \text{gr}$  'ყელი' და სხვა. რამდენიმე ძირეული მორფემა ლაბიოველარით, რომელიც ტიგრეს ლექსიკაში გვხვდება შემოსულია ეთიო-სემიტური ენიდან—ტიგრინიდან: მაგ.,  $\text{g}^{\text{w}}\text{ll}$  'აწაცალკევა' ან ქუშიტური ენიდან—ბილინიდან: მაგ.,  $\text{hg}^{\text{w}}\text{g}^{\text{w}}$  'გააშრო' (დურრა),  $\text{g}^{\text{w}}\text{g}^{\text{w}}\text{r}$  'გაქურდა',  $\text{tk}^{\text{w}}\text{m}$  'დაიცვა',  $\text{g}^{\text{w}}\text{t}'$ , 'შეეხო'.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ტიგრეშიც უნდა ყოფილიყო ლაბიოველარები. მათ კვალს ვარაუდობენ შემდეგ სიტყვებში:  $\text{haqo} < \text{haq}^{\text{w}}\text{a}$  'შემდეგ',  $\text{konat} < \text{k}^{\text{w}}\text{anat}$  'შუბი';  $\text{qoslā} < \text{q}^{\text{w}}\text{aslā}$  'დაჩირქდა',  $\text{qora}$  'ბაყაყი'  $< \text{q}^{\text{w}}\text{ar}^{\text{w}}$  (ტიგრინი)<sup>4</sup>. აქ უნდა განხორციელებულიყო  $\text{ya} > \text{o}$ ,  $\text{ya} > \text{o}$ ,  $\text{yā} > \text{o}$  პროცესი.

ჰომორგანულ თანხმომავნათა დისტრიბუცია შესწავლილია 1744 სამთანხმოვნიან ძირეულ მორფემაში ( $\text{R}_1\text{R}_2\text{R}_3$ ) ე. ლიტმანისა და მ. პოფნერის ლექსიკონის მიხედვით<sup>5</sup>.

$\text{z}$ ,  $\text{h}$  ლარინგალები ქმნიან კომბინაციებს პირველ-მესამე პოზიციაში,  $\text{h}^{\text{w}}$  მიმდევრობით: მაგ.,  $\text{hd}'$  'აჩქარა',  $\text{hm}$  'შეიწოვა'. პირველ-მეორე პოზიციაში ერთადერთი ძირია  $\text{hl}$  ('astā'hälä'—ში) 'იყო ღირსი'.

ფარინგალები 'და  $\text{h}$  ძირში მხოლოდ პირველ-მესამე პოზიციაში დასტურდება: მაგ.  $\text{ht}'$  'დაფარა',  $\text{ht}'$  'მოისურვა'.

ორი სხვადასხვა ველარით ორი ძირეული მორფემა პირველ-მესამე პოზიციაში;  $\text{klq}$  'შექმნა'<sup>6</sup> და  $\text{krq}$  'წვიმდა (კოკისპირულად)'.<sup>7</sup>

<sup>1</sup> Ullendorff E., The Semitic Languages of Ethiopia, London, 1955, გვ. 33—34  
Ferguson Ch., The Ethiopian Language Area, Journal of Ethiopian Studies, V, VIII  
№ 2, Addis Abeba, July, 1970.

<sup>2</sup> Cohen M., Études d'Éthiopien méridional, Paris, 1931, გვ. 16, შტრ. Ullendorff E., დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

ტიგრეში აღნიშნული პრეპალატალები ფონემებს წარმოადგენენ, ისინი წარმოიქმნენ შესაბამისი დენტალებსაგან:  $\text{s}'$  'დაახველა',  $\text{š}$  'შეილება';  $\text{dhr}$  'იყო პატარა';  $\text{d}'\text{hr}$  'დაიტრიახა';  $\text{t}'\text{lc}$  'გააგზავნა';  $\text{t}'\text{lc}$  'გაიქცა'. ადგილი აქვს პალატალიზაციას, როდესაც დენტალებზე დამთავრებულ სახელებს დაერთვის პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი: მაგ., 'ადე'; 'ქვეყანა', 'ad'd'e' 'ჩემი ქვეყანა'  $\text{ha}j\text{ät}$  'სურვილი',  $\text{neiät}'\text{t}'\text{e}$  'ჩემი სურვილი'  $\text{samät}$  'გვერდი'  $\text{samät}'\text{t}'\text{ä}$  'ჩემს გვერდით';  $\text{be'as}$  'ქმარი';  $\text{ba'as}^{\text{w}}$  'ჩემი ქმარი'  $\text{s}' > \text{t}'$   $\text{gās}$  'სახე',  $\text{gät}'\text{t}'\text{e}$  'ჩემი სახე'.

<sup>3</sup> Reinisch L., Die Bilein Sprache, II, Wörterbuch, Wien, 1887.

<sup>4</sup> Ullendorff E., დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

<sup>5</sup> Littmann E., Höffner M., Wörterbuch der Tigrē Sprache, Wiesbaden, 1962; Leslau W., Short Grammar of Tigrē, JAOS, 1945, გვ. 1—26.

12. მ ა ც ე ნ ე, ე ნ ის ა დ ა ლ ი ტ რ ა ტ უ რ ის ს ე რ ი ა, 1984, № 4



ლიკვიდების კომბინაციები სამივე პოზიციაში დასტურდება. <sup>მარჯვნივ</sup> შეთავსებადობა მხოლოდ პირველ-მესამე პოზიციაშია წარმოდგენილი l, r და n-ს შორის. მაგ., lsn 'შეაქო', nhl 'დააიწყდა': rkn 'დაიბანა', nfr 'ახტა'. კონტაქტურ პოზიციებში მათი შეთავსებადობა ერთი რიგის ფონემათა მიმდევრობით არის წარმოდგენილი: მაგ., lnm 'ააცვა', nrr 'შეურია', hln 'ფიქრობდა', mrr 'დაწნა (ძაფები)'.

რაც შეეხება დენტალთა ურთიერთმიმართებას, დენტალი ხშულების დისტრიბუცია მხოლოდ ორ ძირეულ მორფემაშია მოცემული: y td 'დააყენა' და trd 'იყო მაგარი'.

ორი სხვადასხვა დენტალი ფრიკატივით ძირეული მორფემები არ დასტურდება.

დენტალი ხშულები და ფრიკატივები თავისუფლად კომბინირებენ ერთი ძირეული მორფემის ფარგლებში. უფრო ზშირია მიმდევრობა ფრიკატივი + ხშული. შედარებით მაღალი სიხშირით ხასიათდება s და დენტალი ხშულების დისტრიბუცია. სრული შეთავსებადობაა s და d, t' ფონემებს შორის პირველ-მეორე პოზიციაში: მაგ., dss 'შეეხო', sdr 'გაზომა', t'ss 'მოეფერა' და st'h 'გაქიმა'. ყველა დანარჩენი მაგალითი გულისხმობს ნაწილობრივ შეთავსებადობას: s'df 'ჩამოვარდა'; str 'დაფარა'. ანალოგიური ვითარებაა მეორე-მესამე პოზიციაში. d და s ორივე თანმიმდევრობის კომბინაციებს ქმნიან: მაგ., fds 'გადაწყვიტა', hsd 'შეშურდა'. ერთი რიგის მიმდევრობები დასტურდება შემდეგ ძირეულ მორფემებში: kst 'გახსნა', bzt 'ჩეჩავდა (მატყელს)', mst 'აღფრთოვანდა', 's'd 'მომაკა', h's't' 'თიბავდა'.

საწყის და პოსტვოკალურ პოზიციებში დენტალი ხშულები და ფრიკატივები ორივე რიგის მიმდევრობას ქმნიან, არ გვხვდება მხოლოდ tz და ts' მიმდევრობები.

ტიგრეში არ არის წარმოდგენილი ძირეული მორფემები არაიდენტური პრეპალატალებით.

ორი სხვადასხვა ლაბიალის დისტრიბუცია წარმოდგენილია მხოლოდ დისტანტურ პოზიციაში. ჯმdb 'მოკლა (ბევრი), bhm 'იყო მუნჯი', flm 'გატეხა', fdb 'შეემატა (გამბედაობა)'<sup>7</sup>.

ტიგრეს სამთანხმოვნაიანი ზმნური ძირეული მორფემის ანალოზი ჰომორგანულ ფონემათა დისტრიბუციის თვალსაზრისით იძლევა რიგ შეზღუდვებს: დაუშვებელია შემდეგ თანხმოვანთა შეხამება: g-q, k; r-l; d, t-t'; s-z, s'; z-s'; ჯ-d, t'.

<sup>6</sup> არაბული ḥalaqa → keliq ბეჟაში, kalqi სილამში. ამ შემთხვევაში kliq ძირი ტიგრეში უნდა იყოს ქუმიტურიდან შემოსული. ეთიოპურ სემიტურ ენებში არაბულიდან შემოსულ სიტყვებში ḥ → k (იხ. Leslau W., Arabic Loan-Words in Geez, Jssvol, 3, № 2 1958, გვ. 153-154).

<sup>7</sup> ევ. ეთიოპურში მხოლოდ ერთი სახელური ძირეული მორფემა ორი არაიდენტური ველარით: qgs 'გველი'. გრინბერგის მიხედვით პროტო-არაბულში ოთხი ზმნური ძირეული მორფემაა. gq, kg, kq, qg, მიმდევრობით (იხ. Greenberg J., The Patterning of Root Morphemes in Semitic., Word 6, 1950, გვ. 171, 164-165). სირიულში ერთი ზმნური ძირეული მორფემაა: għk 'გაციანა' (იხ. გა ბ რ ი ე ლ ვ ა ა., უკანაინსიფერ თანხმოვანთა დისტრიბუცია სირიულში, სემიტოლოგიური შტუდიები, I, თბ., 1981, გვ. 196).

<sup>7</sup> f და h ფონემათა შეთავსებადობა სემიტურ ენებში არ დასტურდება. რაც შეეხება სხვა ეთიო-სემიტურ ენებს და ქუმიტურს, მათი თანხმოვანთა შეთავსებადობის მაგალითები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

არ დასტურდება თანხმოვანთა შემდეგი მიმდევრობები: 'h, qh, dt, ts', t's', bf.

შეთავსებადობათა სიხშირე შემდეგ სურათს გვიჩვენებს: p და r (25); d და s (18); l და n (14); t' და s (10); t და s (8); d და s' (5); f და m (4); b და m (3); d და z (2); t' და s' (2); t' და z (1); f და b (1).

ლოკალური რიგის ფარგლებში თანხმოვნები სიხშირის კლებადობის მიხედვით ცალკეულ პოზიციებში შეიძლება შემდეგნაირად დალაგდნენ:

საწყისი პოზიცია: h, ' ; h, ' ; q, k, g ; n, l, r, d, t', t' ; s, s' z ; š, d, t'' ; m, b, f.

ინტერვოკალური პოზიცია: h, ' ; h, ' ; g, q, k ; r, l, n ; d, t, t' ; s, s', z ; š, d, t'' ; m, b, f.

პოსტვოკალური პოზიცია: ' ; h ; h ; q, k, g ; r, l, n ; d, t, t' ; s, s', z ; š, d, t'' ; m, b, f.

Н. А. ЖВАНИЯ

## ДИСТРИБУЦИЯ ГОМОРГАННЫХ СОГЛАСНЫХ В ЯЗЫКЕ ТИГРЕ

### Резюме

В трехсложных глагольных корневых морфемах (изучено 1744 корня по словарю Литманна Э. и Хёфнера М.) выявлены следующие ограничения совместимости гоморганных фонем.

Недопустимы сочетания: в веларном ряду g и q, k; в ряду ликвидов r и l; в дентальном ряду d, t и t'; s и z, s'; z и s'. Нет корней с неидентичными препалатальными.

Не встречаются последовательности dt, ts', t's', bf.

Устанавливаются следующие показатели частотности сочетания: p и r (25); d и s (18); l и n (14); t' и s (10); t и s (8); d и s' (5); f и m (4); b и m (3); d и z (2); t' и s' (2); t' и z (1) f и b (1).

В пределах локального ряда согласные по степени убывания частотности в отдельных позициях дают следующую картину:

Начальная позиция: h, ' ; h, ' ; q, k, g ; n, l, r, d, t', t' ; s, s' z ; š, d, t'' ; m, b, f ; , , .

Интервокальная позиция: h, ' ; h, ' ; g, q, k ; r, l, n ; d, t, t' ; s, s', z ; š, d, t'' ; m, b, f.

Поствокальная позиция: ' ; h ; h ; q, k, g ; r, l, n ; d, t, t' ; s, s', z ; š, d, t'' ; m, b, f.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის სემიოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა აკად. გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

## ც ე მ ბ ე ბ ი ლ ა ე ე ბ ი ე ზ ე ბ ი

О. В. ЦКИТИШВИЛИ

### О ТАШКЕНТСКОМ СПИСКЕ ГЕОГРАФИЧЕСКОГО ТРУДА ИБН АЛ-ФАКИХА АЛ-ХАМАДАНИ

Настоящая статья была написана для научной востоковедной общест­венности Запада<sup>1</sup>, которой интересующая нас рукопись не была известна, хотя ее краткое описание было дано еще в начале 50-ых годов текущего века<sup>2</sup>. Сейчас эту же статью предлагаем вниманию советских исследователей.

Как известно, значение труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани в свое время высоко было оценено М. де Гье, несмотря на то, что до нас дошел, к сожалению, только его сокращенный вариант, очевидно, состав­ленный неким Абу ал-Хасаном Али ибн Джафаром аш-Шайзари (пер­вая половина V/XI вв.). В предисловии к своему изданию труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани М. де Гье писал: «Я думал, что некоторые вы­держки (труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани — О. Ц.) были бы доста­точные, но более подробное изучение заставило меня изменить мое мн­ение. Этот труд вносит очень важный вклад в историю культуры вто­рой половины III/IX вв. ...он содержит большое количество географич­еских и исторических деталей, которые до сих пор не были известны или недостаточно известны. Он заслуживает изучения потому, что Му­каддаси заимствовал у него много материала и потому, что он явля­ется одним из главных источников Йакута»<sup>3</sup>.

Однако известно также то, что ко времени издания М. де Гье гео­графического труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани были известны всего три списка: одна берлинская и две лондонские рукописи. По этим трем рукопи­сям и было осуществлено выдающимся голландским востоковедом единст­венное пока издание труда этого арабоязычного географа, помещенного им в пятом томе известной серии „Bibliotheca Geographorum Arabicorum“.

В 1923 г. в библиотеке мечети-мавзолея имама Али Риза в Маш­хаде турецким востоковедом А. З. Валиди Тоганом была обнаружена еще одна рукопись в сборнике, составляющем труды трех арабских авторов — самого Ибн ал-Факиха ал-Хамадани, Ибн Фадлана и Абу Дулафа<sup>4</sup>.

<sup>1</sup> См. „Journal of the Economic and Social History of the Orient“, vol. XXIII, p. 3, 1980, с. 304—308.

<sup>2</sup> См. ниже.

<sup>3</sup> BGA, Y, Lugduni-Batavorum, 1885, с. XIV.

<sup>4</sup> Справедливости ради следует отметить, что этот сборник был известен еще по каталогу этой библиотеки, составленному в 1312/1894—1895 г. На этот сборник указал В.

После обнаружения сборника Машхадской рукописи труда арабских авторов, интерес к труду Ибн ал-Факиха ал-Хамадани, можно сказать, особенно возрос. Тем более, что сопоставление текстов Ибн ал-Факиха ал-Хамадани по изданию М. де Гье и Машхадской рукописи труда того же автора по главам, данное А. З. Валиди Тоганом, а также изложение ее краткого содержания обнаружили значительное различие текстов обоих вариантов труда арабоязычного географа.

Поэтому, учитывая различие текстов издания М. де Гье и Машхадской рукописи, нельзя не сказать, что оба варианта сокращенной редакции труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани в известной мере дополняют друг друга.

Несмотря на интерес исследователей, текст сочинения Ибн ал-Факиха ал-Хамадани по Машхадской рукописи до сих пор остается неизданным, а предпринятое Е. Брейнлихом полезное начинание по новому изданию труда арабоязычного географа<sup>5</sup>, по-видимому, навсегда осталось неосуществленным, в то время как труды двух других арабских авторов Ибн Фадлана и Мисара ибн Мухалхила издавались неоднократно<sup>6</sup>.

Однако отдельные извлечения и главы труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани по Машхадской рукописи постоянно привлекали внимание специалистов и публиковались в различных научных изданиях, а также отдельной книгой<sup>7</sup>.

Иванов в 1920 г. (см. W. Ivanow, A Notice on the Library, Attached to the Shrine of Imam Riza of Meshhed, JRAS, London, 1920, с. 553). Но первое сравнительно подробное описание этой рукописи и сопоставление ее с изданным М. де Гье текстом труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани дал А. З. Валиди Тоган (см. А. З. Валидов, Мешхедская рукопись Ибн-аль-Факиха (представл. акад. В. В. Бартольд), ИРАН, VI серия, № 1—II, 1924, с. 237—248). Обзор литературы о Машхадской рукописи по 1939 г. см. в книге «Путешествие Ибн-Фадлана на Волгу», перевод и комментарий под редакцией акад. И. Ю. Крачковского, М.—Л., 1939, с. 172—174.

<sup>5</sup> C. Brockelmann, CAL, SB, I, с. 406.

<sup>6</sup> Помимо указанного выше труда под редакцией И. Ю. Крачковского см. также А. П. Ковалевский, Книга Ахмеда Ибн Фадлана о его путешествии на Волгу в 921—922 гг., статья, переводы, комментарии, Харьков, 1956; вновь предпринятое ученым издание труда Ибн Фадлана по Машхадской рукописи ставило цель установить критический текст и сопоставить данные Якута ал-Хамави и персидских авторов Наджиба Хамадани и Амина Рази; A. Z. Validi Togan, Jbn Fadlan's Reisebericht, AKM, XXIV, 3, Leipzig, 1939; K. Czegledy, Zur Meschheder Handschrift von Jbn Fadlan's Reisebericht, AOSN. 1, 2—3, Budapest, 1951, с. 217—260 (фотокопии с. 244—260); было предпринято также восточное издание этого текста по фотокопиям, опубликованным К. Czegledy, принадлежащее Sami ad-Dahhan, Risala Ibn Fadlan, Dimask, 1959. Первую записку Абу Дулафа издал A. von Rohr-Sauer, Das Abu Dulaf Bericht über seiner Reise nach Turkestan, China und Indien, Neue übersetzt und untersucht, BOS, 26, Stuttgart, 1939, вторую записку сперва опубликовал V. Minorsky, Abū Dulaf Mis'ar ibn Muhāhbil's Travels in Iran (circa A. D. 950), Arabic Text with English Translation and Commentary, Cāiro, 1955, затем ее издали П. Г. Булгаков и А. Б. Халидов—Вторая записка Абу Дулафа, издание текста, перевод, введение и комментарии П. Г. Булгакова и А. Б. Халидова, М., 1960.

<sup>7</sup> См. V. Minorsky, Tamīm ibn Bahr's Journey to the Uyghurs, BSOAS, Vol. XII, p. 2, 1948, с. 275—305. В работе подробно анализируются сведения



В новом издании «Энциклопедии ислама» в содержательной статье, опубликованной в 1971 г., ее автор, ныне покойный профессор А. Массэ, касаясь кратко, по не зависящим от него причинам, биографических данных Ибн ал-Факиха ал-Хамадани и роли его географического труда в истории арабской культуры второй половины III/IX вв., упоминает отмеченные выше только четыре списка этого труда<sup>8</sup>.

Таким образом, современная наука располагает теперь слишком малым количеством рукописей сочинения Ибн ал-Факиха ал-Хамадани. В таких условиях, нам кажется, нетрудно определить известную ценность для науки любой другой рукописи труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани независимо от ее содержания.

В 1952 г. был издан первый том научного каталога восточных рукописей Академии наук Узбекской ССР, инициатива по составлению которого принадлежит А. А. Семенову и А. Э. Шмидту<sup>9</sup>. Именно в этом томе каталога дано крайне краткое описание пятой по счету Ташкентской рукописи и упомянуты уже широко известные к тому времени все четыре списка труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани (с. 301).

о путешествии Тамимо ибн Бахра к орхонским уйгурам, видимо, при халифе ал-Мамуне в 821 г., сохранившиеся в главе о тюрках. Даны, возможно, переписанный самим автором текст арабский текст и подробные комментарии. Арабский текст В. Ф. Минорским сопоставлен с данными трудов некоторых арабских авторов, имеющих непосредственное отношение к труду Ибн ал-Факиха ал-Хамадани; С. Волин, Материалы по истории туркмен и Туркмении, т. I, М.—Л., 1939, с. 151—155. На этих страницах помещен русский перевод сведений Ибн ал-Факиха ал-Хамадани из той же главы о тюрках о Мерве, Балхе, Бармакидах, гузах и так называемом дождевом камне; А. С. Жамкочян, Неизвестная глава об ас-Саваде в «Ахбар ал-Булдан» Ибн ал-Факиха, Вестник Ереванского университета, 1971, № 3, с. 141—153. В работе дан русский перевод главы, его же, Харадж Хорасана по материалам Мешхедской рукописи Ибн ал-Факиха «Ахбар ал-Булдан», Историко-филологический журнал Академии наук Армянской ССР, 1971, № 3, (54), с. 174—182. Даны русский перевод главы, краткие примечания и факсимиле текста главы; его же, Город Самарра по материалам Мешхедской рукописи, там же, 1973, № 2, (61), с. 275—294. В данной работе также даны русский перевод текста, краткие примечания и факсимиле текста главы; О. В. Цкитишвили, К истории города Багдада (материалы к истории возникновения и развития феодального города на Ближнем Востоке), Тб., 1968. Опубликованы факсимиле главы о Багдаде и указатели текста этой главы, его же, Город Васит по Машхадской рукописи труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани, сб. «Очерки по истории городов Ближнего Востока», II, Тб., 1970, с. 272—355. В работе помещены наборный арабский текст главы, русский перевод и примечания, а также факсимиле текста; его же, Ас-Савад и Табаристан по Машхадской рукописи труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани, Тб., 1977. В работе даны русский перевод арабского текста глав и примечания преимущественно историко-географического характера, наборный арабский текст, а также факсимиле текста.

<sup>8</sup> E I, NE, III, 761—762. М. А. Массэ осуществлен французский перевод труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани по изданию М. де Гье (см. Ibn al-Fagin al-Hamādanī Abzégé du livre des pays, tz, de l'Arabe par H. Masse, Damas, 1973; ср. EI, NE, там же, с. 762).

<sup>9</sup> Собрание восточных рукописей Академии наук Узбекской ССР под редакцией и при участии А. А. Семенова, т. I, Ташкент, 1952. Сейчас уже опубликовано несколько томов каталога.

В настоящее время мы располагаем не только микрофильмом, но и изготовленными по этому микрофильму фотокопиями<sup>10</sup>.

Вследствие этого нам была предоставлена хорошая возможность самим лично сопоставить текст Ташкентской рукописи с текстами по изданию М. де Гюе и Машхадского списка труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани, сделать ее предварительное описание и прийти в основном к тем же выводам, к каким в свое время пришли составители каталога.

Рукопись занимает 164 листа. Размер страницы  $15,5 \times 17$ . По предположению составителей каталога, список должен быть переписан во второй половине XVI в., и страницы, по их же указанию, обведены цветными и золотыми линиями. Почерк — мелкий, очень четкий наск; в начале — унван.

Как было сказано выше, тексты издания М. де Гюе и Машхадской рукописи труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани обнаружили значительное различие между собой и они, таким образом, можно сказать, в известной мере дополняют друг друга. Тексты же издания М. де Гюе и Ташкентского списка такого существенного различия не выявляют, если судить по главам, представленным в обоих вариантах. Разница состоит только в том, что в Ташкентской рукописи отсутствует глава о Табаристане, представленная в издании М. де Гюе и в Машхадском списке, а глава о Хорасане, также имеющаяся со значительными отклонениями как в опубликованном тексте, так и в той же Машхадской рукописи, занимает всего несколько строк, полторы страницы фотокопий рукописи, слово в слово копируя текст издания М. де Гюе. Однако говорить об утере последующих страниц не приходится. Несмотря на то, что текст прерывается, можно сказать, на полуслове — ва хунā ка судūr, переписчик достаточно красочно оформил окончание текста треугольником с подчеркнутой под ним горизонтальной линией почти на всю страницу, одновременно заполнив его симметрично расположенными друг за другом словами. Вне треугольника, вправо от него, рядом, наискось, почти в углу треугольника и горизонтальной линии, ясно написано «Малк фқйр ркн'алм». Главе о Хорасане Ташкентского списка недостает с. 315,14—21—330 текста издания М. де Гюе.

Значительно сокращена также глава о Фарсе<sup>11</sup>. В этой главе повторяются только первые шесть строк и последние 19 строк той же главы опубликованного текста. Следовательно, в Ташкентском списке отсутствуют восемь страниц текста издания М. де Гюе — с. 194,15—22—204,1—2.

В опубликованном тексте Ибн ал-Факих ал-Хамадани перечисля-

<sup>10</sup> Выполняя приятный долг от имени дирекции Института востоковедения им. акад. Г. В. Церетели Академии наук Грузинской ССР мы выражаем глубокую благодарность дирекции Института востоковедения имени Абу Райхана Беруни Академии наук Узбекской ССР, любезно откликнувшейся и своевременно изготовившей микрофильм текста Ташкентской рукописи.

<sup>11</sup> Лл. 108—109.





ет названия ряда областей, городов и народов, вероятно, в надежде рассказать о них ниже в тексте<sup>12</sup>. Тем не менее своего намерения он не выполняет полностью, вполне очевидно, из-за вольного обращения с текстом труда со стороны редактора сокращенного варианта<sup>13</sup>, можно без преувеличения сказать, нанесшего немало вреда оригиналу труда, нарушив, вероятно, его целостность и композицию. Это обещание содержит также Ташкентский список<sup>14</sup>. Однако наблюдается та же картина. Например, помимо указанных выше изъятых мест, в Ташкентском списке нет главы о тюрках, имеющейся в Машхадской рукописи, но отсутствующей в изданном тексте, отдельной главы о Сиджистане, так же, как нет ее ни в тексте издания М. де Гье, ни в Машхадском списке. Видимо, текст Ташкентской рукописи переписан с дефектного экземпляра, либо он вновь пострадал от руки переписчика.

Учитывая идентичность текстов издания М. де Гье и Ташкентской рукописи по главам, нам кажется, нет необходимости их сопоставления ни друг с другом, ни с текстом Машхадской рукописи.

Ташкентский список не дает ответа также на вопрос о том, како было на самом деле заглавие труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани, так как у рукописи отсутствует титульный лист, а, следовательно, и заглавие. Известно, что М. де Гье озаглавил свое издание на основе указания Ибн ан-Надима, автора «ал-Фихриста». Машхадская рукопись носит заглавие «Ахбār ал-булдāн». («Вести о странах»). Аналогичное заглавие упомянуто также в самом конце этой же рукописи, текст которой завершается следующими словами: «Вот здесь закончилась эта книга с прославления аллаха всевышнего, сочинение Ахмада ибн Мухаммада ибн Исхака ал-Хамадани, известного под прозвищем Ибн ал-Факиха, из книги «Ахбār ал-булдāн». Слава аллаху, господу миров. Да благословит аллах своего пророка Мухаммада, последнего из пророков, и посланника господина миров».

Таким образом, если Ташкентский список и в самом деле является вариантом текста издания М. де Гье, нетрудно предположить, что его редактором должен был быть тот же Абу ал-Хасан Али ибн Джафар аш-Шайзари. На это обстоятельство ссылались еще составители научного каталога.

<sup>12</sup> BGA, V. с. 192—193.

<sup>13</sup> Еще одно неоспоримое свидетельство того, что должен был существовать не дошедший до нас пространный оригинал географического труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани.

<sup>14</sup> Лл. 106—107.

## კ რ ი ტ ი კ ა ლ ა ბ ი ბ ლ ი თ გ რ ა ფ ი ა

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ერთი  
მნიშვნელოვანი ფურცელი

„ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია“, თბილისი, 1982 წ., ტექსტი  
გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ

ბიზანტიური ლიტერატურის ნებისმიერი თხზულების ძველი ქართული თარგმანის პირველი გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისათვის. ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თუკი პირველად ქვეყნდება ბიზანტიური მწერლობის უძველეს თხზულებათა ქართული თარგმანი, შესრულებული უდიდესი ავტორიტეტის მქონე ქართველი მთარგმნელის მიერ. მხედველობაში გვაქვს მაკარი მეგვიპტელის (300—390 წწ.) სახელით ცნობილი 28 მორალურ-ასკეტიკური თხზულების ქართული თარგმანები, რომელთაგან 26 X ს. ბოლოს უთარგმნია ექვთიმე მთაწმიდელს, ხოლო დანარჩენი ორი თხზულება კიდევ უფრო ადრე, არაუგვიანეს IX ს. შესრულებია უცნობ მთარგმნელს. სწორედ ამ თარგმანთა შემცველი ქართული კრებულის შესწავლას ეძღვნება გულნარა ნინუას მიერ 1982 წ. გამოქვეყნებული წიგნი: „ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია“ (რედაქტორი ელ. მეტრეველი, გამომცემლობა „მეცნიერება“), რომელიც ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლაში ჩაწერილი კიდევ ერთი საყურადღებო ფურცელია.

მაკარი მეგვიპტელის ლიტერატურული მემკვიდრეობის დადგენა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი რთული და ჭეղჩეობით გადაუჭრელი საკითხია. მაკარის ავტორობით წარწერილი თხზულებათა დიდი რაოდენობა (100-ზე მეტი პოშილია და ეპისტოლე) წარმოდგენილია ბერძნულ ხელნაწერებში, ხოლო მათი მეტ-ნაკლები ოდენობა — ქართულ, არაბულ, სირიულ, ეთიოპურ თარგმანებში.

დასავლეთ ევროპულ ბიზანტინოლოგთა ფილოლოგიურ-ტერმინოლოგიური კვლევის შედეგად გამოიკვეთა ამ თხზულებათა შემცველი ბერძნულ ხელნაწერთა ოთხი ძირითადი, ერთმანეთისაგან განსხვავებული შედგენილობის კრებული, რომელთა ჩამოყალიბება ხელნაწერთა ჩვენების საფუძველზე X—XI სს-ის ქრონოლოგიური ჩარჩოებით განისაზღვრება. დღეისათვის ყველა მათგანის კრიტიკულად დადგენილი ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებულია და მეცნიერთა შორის მიღწეულია თანხმობა, რომ მაკარი მეგვიპტელის სახელით ცნობილი თხზულებანი არ ეკუთვნის ერთი ავტორის კალამს, რომ დღემდე მოღწეული ამ ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნაში შეინიშნება სხვადასხვა დროის, სტილისა და ნაწილობრივ სხვადასხვა იდეოლოგიის მწერალთა მონაწილეობა. მაკარი მეგვიპტელის ავტორობა თანამედროვე მკვლევრებს გამორიცხულად მიიჩნეოდა და თვლიან, რომ არქეტაპის შექმნისას უცნობმა ავტორმა საფარველად გამოიყენა მაკარის დიდი პოპულარობა, ავტორიტეტი და თავისი თხზულებები მას მიაწერა მათში წარმოდგენილი ორთოდოქსალური სარწმუნოებისაგან განსხვავებული აზრების დაუბრკოლებლად გავრცელებისა და დამკვიდრების მიზნით. მაკარი მეგვიპტელის ავტორობისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის ირგვლივ დასმული რთული პრობლემების გადასაჭრელად მართოდენ ბერძნული ხელნაწერების ჩვენება საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან საკვლევ თხზულებათა შექმნის დროსთან დაკავშირებით ისინი სულ ცოტა ექვსი-შვიდი საუკუნით გვიანდელი არიან. მეცნიერებმა, ბუნებრივია, ამ თხზულებათა უცხოენოვან თარგმანებსაც (სირიული, არაბული, ეთიოპური, ლათინური) მიმართეს, რამაც გარკვეული შედეგიც გამოიღო, მაგრამ ძველი ქართული თარგმანების გაუთვალისწინებლობამ, რაც გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ დღემდე მათი უბღლოკაცია არ არსებობდა, ჩატარებულ კვლევა-ძიებას ბევრი რამ დააკლო თუნდაც იმიტომ, რომ მაკარის სახელით ცნობილი თხზულებათა შემცველი ქართულად თარგმნილი კრებულის ხელნაწერები უფრო ადრინდელია, ვიდრე ბერძნული კრებულებისა და მათი უცხოენოვანი თარგმანების ნუსხები (გარდა სირიული ერთი კრებულისა,



რომელიც 534 წ. ეკუთვნის — ბრტ. მუხ. 727 — და მხოლოდ 12 თხზულებას შეიცავს. ამდენად, ქართულ თარგმანებს შეუძლიათ გარკვეული წვლილი შეიტანონ „მაკარის“ პრობლემატიკის კვლევის საქმეში.

სწორედ ეს აზრი ამორჩავებდა გ. ნინუას, როდესაც მან ხელი მოჰკიდა მაკარის სახელით ცნობილ თხზულებათა ქართული თარგმანის პირველი გამოცემის რთულ საქმეს, რომელიც სანიმუშო ფილოლოგიურ დონეზე შეასრულა, ხოლო გამოკვლევაში, რომელიც ერთვის დასახელებულ თხზულებათა გამოცემას, ავტორი შეეცადა გამოველინებინა ქართული თარგმანის თავისებურებანი, ეპოვება მისი უშუალო წყარო და გაერკვია ქართული თარგმანის დამოკიდებულება შესაბამის ბერძნულ და მისიგან ნათარგმნ უცხოენოვან ტექსტებთან.

გ. ნინუას გამოცემული წიგნი „ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია“ (412 გვ.) ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: გამოკვლევა რეზიუმეზოტორ რუსულ და გერმანულ ენებზე (108 გვ.) და კრიტიკულად დადგენილი ტექსტები (109—413). ტექსტებში წარმოდგენილია მაკარის სახელით წარწერილი 28 თხზულება, რომელთაგან პირველ ორს „ეპისტოლენი წმიდისა და ნეტარისა მ. ჩ. მაკარისნი“ ეწოდებოდა (გვ. 109—155), ხოლო დანარჩენ 26-ს საერთო სათაური აქვთ: „სწავლანი წ. და ნეტ. მ. ჩ. მაკარისნი“ (156—402) და დაყოფილია 26 თავად.

ეპისტოლეთა კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის გამოყენებულია 5 უძველესი, ანუ დღეისათვის ცნობილი ყველა ხელნაწერი (A — ლიტერით წარმოდგენილია Ath. — 21, 1030 წ.; B-Jer. — 73. XI—XII სს.; C — Sin.-35. 907 წ.; D — ქუთ. 181, XI ს.; E — Sin.-25. X ს.), ხოლო „სწავლანის“ ტექსტისათვის სამი (იგივე, გარდა C და E ლიტერებისა), რადგან მხოლოდ სამი ხელნაწერი (Ath. — 21. Jer — 73 და ქუთ. 181) შეიცავს უკლებლივ 28-ვე თხზულებას. ხოლო 2 ხელნაწერი (Sin. — 35 და Sin. — 25) მხოლოდ ზემოდასახელებულ ორ ეპისტოლეს. „ეპისტოლეთა“ ტექსტში გამოცემაში წარმოდგენილია გამბეული ტექსტით, ისევე, როგორც ხელნაწერებშია, ხოლო „სწავლანის“ ტექსტი, რომლებიც ხელნაწერებში ასევე გამბეული არის წარმოდგენილი თითოეული თავის ფარგლებში, გამოძიებულს მუხლებად დაუყვია, რაც, მისივე შენიშვნით, აუცილებელი იყო ბერძნულ მასალასთან შესადარებლად.

ტექსტების გამოცემა თანამედროვე ფილოლოგიის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გამოცემის შესანიშნავი ინიციატივა გამოცემას სქოლიოებში მიუთითებანი ტექსტის ადგილები. რომლებსაც შესაბამისი ექებებთან სხვა ავტორთა თხზულებებში (გრიგოლ ნოსელი, ეფრემ ასური, მარკოზ განსორბეული). აგრეთვე ის ადგილებიც, რომლებიც იმეორებენ ან მსგავსებას იჩენენ ამავე კრებულში შესულ სხვა რომელიმე თხზულების გარკვეულ ადგილებთან. შრომატევადი სამუშაო ჩატარებია გამოცემელს, რომ ვარიანტული კითხვა-სხვაობების სისტემა სტრიქონთა სათვალავის პრინციპზე აეგო, ტექსტს თავში ერთვის „ტექსტისათვის“, რომელშიც ნაჩვენებია კრიტიკული ტექსტის დადგენისა და გამოცემის ძირითადი პრინციპები, ხოლო ზოგის — არქაულ სიტყვათა ლექსიკონი, რომელშიც 300-ზე მეტი ერთეულია განმარტებული სათანადო კონტექსტის ჩვენებით.

მაკარის სახელით ცნობილი თხზულებათა ქართული თარგმანის შესწავლას გ. ნინუამ ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა. საცვლევი თემატიკის მრავალფეროვნებას გამოკვლევის თავების მართოდან ჩამოთვლივ კი ეხადყოფს: 1. წერილობითი წყაროები მაკარი მეგვიპტელის შესახებ;

2. მაკარი თუ ფსევდომაკარი; 3. მაკარის სახელით ცნობილ თხზულებათა ბერძნული კრებულები; 4. ქართული ვერსიების მიმართება ბერძნულ წყაროსთან; 5. ქართული თარგმანის შეხვედრები არაბულ და სირიულ თარგმანებთან; 6. მაკარის სახელით ცნობილ თხზულებათა ქართული თარგმანები (ქვეთავები: ა. სწავლანი; ბ. ეპისტოლეები); 7. ფსევდომაკარის თხზულებათა პარალელები სხვა ავტორებთან; 8. ძირითადი ხელნაწერები (ქვეთავები: ა. „სწავლათა“ და ეპისტოლენისა, ბ. ეპისტოლეთა ნუსხები; გ. ფრაგმენტების შემცველი ნუსხები); 9. „სწავლათა“ ქართული ნუსხების ურთიერთმიმართების შესახებ; 10. ენობრივი მიმოხილვა (ქვეთავები: ა. ეპისტოლეთა ტექსტებისა; ბ. „სწავლათა“ ტექსტებისა).

გამოკვლევის პირველ თავში გ. ნინუას ზედმიწევნით სისრულით მოჰყავს ყველა საყურადღებო ცნობა, რომელიც კი ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში მაკარი მეგვიპტელის შესახებ მოიპოვება. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ერთ-ერთი პატერიკის ქართულ თარგმანზე, რომელიც 907 წლის ხელნაწერით არის შემონახული (Sin — 35) და რომელშიც მაკარი მეგვიპტელი მონაზვნებისადმი მიწერილი ბერძნული ეპისტოლეთა ავტორად არის გამოცხადებული (მაშა აპოლოს თხრობაში). ეს ადგილი შესაბამისს ბერძნულ ტექსტში არ დასტურდება. გ. ნინუა სამართლიანად ვარაუდობს, რომ ქართული თარგმანის ცნობა უმკველად ძველი ბერძნული ხელნაწერიდან მომდინარეობს, რომელიც დღეისათვის უკვე აღარ ჩანს, ხოლო ბ. უტეის მიაჩნია, რომ პატერიკის ქართული თარგმანის წყარო VII ს. აღრიხდელი ბერძნული პატერიკი უნდა ყოფილი-

ყო. ამავე ქართულ ხელნაწერში შეტანილია ორი ეპისტოლე, რომელთა სათაურში ავტორი დასახელებულია გ. ნინუას მართებული დაკვირვებით, პატრიკიული თხოვნის შინაარსი ესადაგება დასახელებულ ეპისტოლეთა თემატიკას, ე. ი. პატრიკიულ თხოვნაში ამ ეპისტოლეთა შესახებ უნდა იყოს ლაპარაკი. ექვს არ იწვევს ავტორის დასაცნა. რომ ქართულ წყაროებში დადასტურებულ ცნობას მაკარის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ დიდი სიახლე შეიქვს მაკარის ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევის საქმეში. აქვე შევნიშნავთ, რომ ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში ცნობები მაკარის მემკვიდრეობის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე მეტად მცირეა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ თხზულებათა სათაურებში დადასტურებულ მის სახელს, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ბიზანტინოლოგთა მიერ ექვსი ქვეშ არის დაყენებული). მაკარის მემკვიდრეობის ავტორობის საკითხს ეხება გამოკვლევის მთელი თავი. გამოკვლევის ავტორი დაწერილობით ცნობებს გვაწვდის სამეცნიერო ლიტერატურაში მაკარის ავტორობის წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებათა შესახებ და გვიჩვენებს კვლევის რა შედეგებს ეყრდნობა თითოეული მათგანი. მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში მაკარის ავტორობის საწინააღმდეგოდ პირველად XX ს. დასაწყისში გამოითქვა აზრი (ლ. ვილკური), თითქოსდა მისი სახელით ცნობილ თხზულებებში მესალინური დებულებების არსებობის ნივთიერება, რაც მაკარის არ შეიძლება ეყუთროდეს, მაგრამ ისაკ ასურის ერთი პოპილიის შინაარსიდან ჩანს, რომ ასეთი უკვე VII ს. უნდა არსებულყო: VII ს. მწერარი ამბობს, რომ მაკარის მემკვიდრეობის „მონაზვნებისადმი ეპისტოლეში“ არაფერია არაჰემპარიტი და სარწმუნოებისათვის მიუღებელი. გ. ნინუა მახილგონიერულად შენიშნავს, რომ „ასეთი მტკიცების საჭიროება, ცხადია, ლაპარაკობს საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობაზე“ (გვ. 10). ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ისაკ ასური „მონაზვნებისადმი ეპისტოლეს“ ავტორად მაკარის მემკვიდრეს დასახელებს, ე. ი. ისევე როგორც ქართული წერილობითი წყაროები. მართალია, მაკარის სახელით ცნობილ თხზულებებში მესალინური აზრების არსებობის მტკიცების მიმდევრებიც გამოვლინდნენ, მაგრამ ბოლოდროინდელ (1970 წ.) გამოკვლევებში (გ. მეიენდორფი) საწინააღმდეგო აზრი გამოითქვა, რომ არაფერი მესალინური ამ თხზულებებში არ არის. მიუხედავად ამისა, მაკარის ავტორობა მაინც არაფერია აღიარა. გამოითქვა ვარაუდი (პ. დორიესი და ვ. შტროიტმანი), რომ მაკარის სახელით ცნობილი თხზულებების ნამდვილი ავტორი უნდა იყოს მესალიანთა ბელადი სვიმეონ მესობრამიელი (IV ს.), რომელიც მაკარის დიდ ავტორიტეტს ამოეფარა თავისი მწველელური ავტორის გასაგრძელებლად. ეს აზრი შეექმნა მაკარის სახელით ცნობილი „ამ პოპილიის“ ბერძნულ-არაბული ვერსიის გამოცემლებს, რადგან ზოგიერთ არაბულ ხელნაწერში თხზულებათა ავტორად სვიმეონ მესვეტეა დასახელებული. მართალია, სვიმეონ მესვეტის ავტორობა გამოიმტკიცებდა აზრით გამოირჩეულია, მაგრამ აქ მათ სხვა სვიმეონი იკვლისმებს, აგრძობს მესალიანთა ერესიარქი სვიმეონ მესობრამიელი, რომელსაც თეოდორიტე ახსენებს თავის „საეკლესიო ისტორიაში“ (V ს. შუა წლები). ერთი სიტყვით, ჯერჯერობით მაკარისა და ფსევდომაკარის საკითხი ფსევდომაკარის სასარგებლოდ გადაიჭრა. ნათელია გ. ნინუას პოზიცია, რადგან მან თავის წიგნს „ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია“ უწოდა.

მაკარის სახელით ცნობილ თხზულებათა შემცველი ბერძნული კრებულების ჩამოყალიბების ისტორიას ეძღვნება გამოკვლევის მესამე თავი. გამოკვლევაში მიმოხილულია სხვადასხვა დროის და შედგენილობის ოთხი ძირითადი ტიპი ბერძნული კრებულებისა, რომელთა ხელნაწერები მოღწეულია X—XIII სს. ნუსხებში. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ნუმერაციით I ტიპის კრებული 64 პოპილიის შეიცავს, უძველესი ხელნაწერი XIII ს-ისაა, გამოცემულია 1973 წ. II კრებული — 50 პოპილიას. უძგ. ხელნაწ. XI—XIII სს., პირველი გამოცემა 1559 წ. ბოლო — 1964 წ. III — 43 პოპილიას, უძგ. ხელნაწ. XI ს. გამოცემულია ის ნაწილი, რომელიც ახალი პირველი ორი ტიპის კრებულთან შედარებით — 1966 წ. IV კრებული შეიცავს 26 პოპილიას, უძველესი ხელნაწერი 1045 წ., შედის I ტიპის კრებულის გამოცემაში (პირველი პოპილიის გამოკვებით). გამოკვლევაში მოცემულია ბიზანტინოლოგ მეცნიერთა კვლევის შედეგები ამ კრებულებში შესულ თხზულებათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მკვლევარი მართებულად ვარაუდობს, რომ უძველესი, არქეტიპთან შედარებით მიახლოებულ უნდა იყოს IV ტიპის კრებული, რომელსაც მისივე შენიშვნით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული თარგმანის შესასწავლად.

მაკარის სახელით ცნობილ თხზულებათა ქართული თარგმანების მიმართება ბერძნულ წყაროებთან ნაშრომის მიმოხე თავში წარმოდგენილი კვლევის საგანია. ავტორი თავიდანვე აცხადებს, რომ ქართულად თარგმნილი კრებულის მხოლოდ „სწავლანი“ არის ბერძნულ წყაროებთან შედარების ობიექტი, რადგან სხვა მასალა — ორი ეპისტოლის ტექსტი მხოლოდ ქართულ წყაროებში არის შემორჩენილი, ხოლო ე. წ. „მამა ესაიას თხოვნას“ აქ საერთოდ არ განიხი-



ლავს (მისი შესწავლა მკვლევარს ცალკე ჰქონდა განზრახული), რადგან იგი ბრძანდებოდა სახელით ცნობილ თხზულებათა რიგში. „სწავლანის“ ქართული თარგმანის წყაროს დასადგენად მკვლევარს შრომატევადი სამუშაო ჩაუტარებია — ქართული კრებულის მასალა საგულდაგულად შეუდარებია სამი ბერძნული კრებულის გამოცემებისათვის და IV რედაქციის კრებულის შემცველი უძველესი (1045 წ.) ხელნაწერის ფოტოპირისათვის. ავტორმა ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად დაადგინა, რომ „სწავლანის“ ქართული თარგმანის უძველესი წყარო არის IV ტიპის ბერძნული კრებული. ასეთ დასკვნამდე მკვლევარი მიიყვანა რთულმა ტექსტოლოგიურმა ძიებამ: ბუნებრივია, მან ჯერ გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტებს მიმართა, შეუდარა ქართული ტექსტი პირველი, მეორე და მესამე ტიპის ბერძნულ კრებულთა პუბლიკაციებს (IV ტიპის კრებული ცალკე არ არის გამოცემული, ის მთლიანად შედის I ტიპის კრებულის პუბლიკაციაში). I ტიპის კრებულის გამოცემასთან შედარებისას მან შენიშნა, რომ აქ წარმოდგენილი 64 ჰომილიათა შორის აღმოჩნდა 26 ჰომილია, რომელთა ტექსტები ზედმეტწევითი სიზუსტით ემთხვეოდა ქართულად თარგმნილ 26 სწავლის ტექსტებს. გამოცემის ვარიანტულ კითხვა-სხვაობებში ამ ჰომილიებთან მითითებულმა ხელნაწერმა გ. ნინუა დაარწმუნა, რომ აქ ქართული კრებულის („სწავლანის“ ფარგლებში) ზუსტ შესატყვისთან ჰქონდა საქმე. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან მიღებულმა ხელნაწერის მიკროფილმმა საესებით დაადასტურა მკვლევრის ვარაუდი: 1045 წ. ბერძნულ ხელნაწერში 26 ჰომილია ზუსტად იმავე თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი, როგორც ეს ქართულ კრებულში გვაქვს. ამრიგად, გასწორდა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმული ვარაუდი, რომლის მიხედვით ქართული თარგმანი თითქოსდა სიახლოვეს იჩენს „50 ჰომილიის“ შემცველ ბერძნულ კრებულის (შემდეგში II ტიპი) მასალასთან (კ. კეკელიძე). ამ უზუსტობის მიზეზი კი ის იყო, რომ ამ ვარაუდის დაშვების დროს სხვა ტიპის ბერძნული კრებულები გამოცემული არ იყო. გ. ნინუა ცდილობდა დაახსენოს II ტიპის კრებულის ჩამოყალიბების დრო და გამოირჩიოს იგი ქართული თარგმანის შესაძლებელი წყაროებიდან. II ტიპის კრებულის შექმნის საგარაუდო თარიღად X—XI ს. დასახლეს, ხოლო რედაქტორად სვიმეონ ახალი ლეთისმეტყველის (ვარდ. 1032 წ.) დროის ათონის მთის ან კონსტანტინოპოლის მიღამოებში მოღვაწე მთარგმნელს. გამოკვლევის ავტორი სამართლიანად ვარაუდობს, რომ II ტიპის კრებული X ს. და XI ს. დასაწყისში ვერ შეიქმნებოდა თბილისში, ცხადია, ექვთიმე ამ კრებულს თარგმნიდა, როგორც უფრო მწყობრსა და დახვეწილს (გვ. 30). მკვლევრის აზრით, II ტიპის კრებული XI ს. I ნახევარზე ადრე არ უნდა იყოს შექმნილი.

ცალკე თავი (მეხუთე) ეძღვნება ქართული თარგმანების მიმართებას საკვლევ თხზულებათა არაბულ და სირიულ თარგმანებთან, არაბული ხელნაწერებიდან მკვლევრის ყურადღებას იპყრობს 1055 წ. ნუსხა, რომელიც გარკვეულ მსგავსებას იჩენს IV ტიპის ბერძნულ კრებულთან, ე. ი. ქართულ თარგმანთანაც (10 საერთო ჰომილია). დანარჩენი შედარებით გვიანდელი (XIII—XVII სს.) ხელნაწერები მნიშვნელოვანია იმით, რომ ზოგიერთი თხზულების ავტორად ისინი სვიმეონ მესციეტს ასახელებენ, რომელთა შესატყვისი თხზულებები ბერძნულ ხელნაწერებში მაკარი მეგვიპტელის სახელით არის ცნობილი. სწორედ ამ არაბულმა ხელნაწერებმა წარმოშვეს ეუთი, რომ თხზულებათა ავტორი ხომ არ უნდა ყოფილიყო სვიმეონი, თონის არა მესციეტე, არამედ მესობოტამიელი, IV ს. მეღალიანელთა მეთაური.

განსაკოტრებული მნიშვნელობა ენიჭება 534 წ. სირიულ ხელნაწერს, რომელიც შეიცავს მაკარის სახელით ცნობილ 4 ჰომილიას და 8 ეპისტოლეს და უძველესია დღემდე მიკვლევულ ხელნაწერთა შორის, რომელმაც კი მაკარის სახელით ცნობილი რომელიმე თხზულება შემოგვიწინა. ეს ინტერესი გასაგებია გახლავთ თუ ვიტყვით, რომ სირიული თარგმანის ერთი თხზულება — მესამე ჰომილია ემთხვევა ქართული თარგმანის მე-18 ჰომილის ტექსტს. ხოლო ქართული თარგმანის პირველი ჰომილიის დასაწყისი ნაწილი სირიული თარგმანის მეორე თხზულებას, როგორც ამას გამოკვლევის ავტორი გვაძენობს.

ნაშრომის ძირითადი თავი (მეექვსე) მაკარის სახელით ცნობილ თხზულებათა ქართული თარგმანების განხილვას ეძღვნება. მკვლევარი აღნიშნავს, რომ მაკარის სახელით ცნობილ თხზულებათა შემცველი ქართული კრებულის ზუსტი შესატყვისი კრებული ბერძნულ წყაროებში და მისგან თარგმნილ უცხოენოვან ხელნაწერებში არ მოიპოვება. ქართული კრებულის შედგენის ისტორია მკვლევარს ასე აქვს წარმოდგენილი: კრებულის უდიდესი ნაწილი — „სწავლანის“, რომელიც 26 ჰომილისაგან შედგება, X ს. ბოლოს ექვთიმე მთაწმიდელს უთარგმნია, რასაც ადასტურებენ ამ თხზულებათა კრებულის შემცველი სამივე ხელნაწერის მინაწერები. ერთი მათგანი (Ath. — 21), როგორც ჩანს ყველაზე ადრინდელი, გადაწერილია 1030 წ. აქვე ნაჩვენებია, რომ ექვთიმე მთაწმიდელმა სრულად თარგმნა ის, რაც მის ბერძნულ დედანში

იყო წარმოდგენილი, მხოლოდ 26 ჰომილიის შემცველი IV ტიპის ბერძნული კრებულში — საიდან გაჩნდა ქართული თარგმანების შემცველ კრებულში დამატებით მაკარის სახელით წარწერილი ორი ეპისტოლე და ე. წ. „მამა ესიას სწავლა?“ ცხადია, ქართულ კრებულში ექვთიმეს სწავლანის თარგმანთან ერთად კრებულის შემდგენელმა შეიტანა ექვთიმეს თარგმანზე გაცილებით ადრე, არაუგვიანეს IX ს-ისა, თარგმნილი მაკარის სახელით ცნობილი ორი ეპისტოლე, რომელთა ქართული თარგმანის ტექსტები პირველად 907 წ. ხელნაწერებში (Sin. — 35) არის დადასტურებული, და „მამა ესიას თხრობა“, ე. ი. კრებული ქართულ ნადაგზეა შედგენილი. გ. ნინუას სამართლიანი ავტორშენი, „სწავლანის“ 1030 წლის ხელნაწერსა და ექვთიმე მოაწმინდელის მიერ თარგმნილ ავტორგაფულ ნუსხათა შორის სულ ცოტა ერთი შუალედური ხელნაწერი მაინც იგულისხმება. მკვლევარი სამართლიანად მიუთითებს ანაქრონიზმზე, რომელიც დაშვებული იყო ლიტერატურისმოცდენობაში, როდესაც ქართულ კრებულში „სწავლანთან“ ერთად შეტანილი ორი ეპისტოლის მთარგმნელად ექვთიმე მოაწმინდელს ასახელებენ (კ. კეკელიძე, რ. ბლეიკი). მნიშვნელოვანია ავტორის დაკვირვებები ეპისტოლეთა ქართულ თარგმანზე. ამ ეპისტოლეებს არც ბერძნულ ხელნაწერებში და არც უცხოეთიდან თარგმანებში შესატყვისი თხზულებები არ მოგვპოვებათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გვიანდელ ეთიოპურ ხელნაწერს, რომელსაც მეორე ეპისტოლის ქართულ თარგმანთან მხოლოდ პირველი ნაწილი აქვს საერთო, ე. ი. ქართული კრებულის პირველი ეპისტოლე მხოლოდ ქართული წყაროებით არის ცნობილი, ხოლო მეორე თავდაპირველი სახით აგრეთვე მხოლოდ ქართულ თარგმანშია დადასტურებული (ორი 907 წ. და X ს. ხელნაწერი). მართოდენ ამ ფაქტს უდიდესა მნიშვნელობა აქვს ბიზანტიოლოგიისათვის მაკარის ლიტერატურული მემკვიდრეობის დადგენის საქმეში, მაგრამ გ. ნინუა უფრო შორს მიდის და ვარაუდობს, რომ ამ ორი ეპისტოლის ნამდვილი ავტორი შეიძლება. მართლაც, მაკარი მეგვიპტელი იყოს, როგორც ეს ამ თხზულებათა სათაურებშია მითითებული. ამ ვარაუდის საბაბს მკვლევარს აძლევს ის საგრძნობი განსხვავება, რომელიც შეიმჩნევა „ეპისტოლეთა“ და „სწავლანის“ ტექსტებში: ეპისტოლეები უფრო მარტივი და სადაა, „სწავლანი“ კი რთული და აზრობრივად დატვირთული. მკვლევრის აზრით, აქ ვასათაღისწინებელია ისიც, რომ „ეპისტოლეთა“ ქართული თარგმანები შესრულებულია პალესტინაში, სადაც მაკარი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა და მთარგმნელისათვის მაკარის ავტორობა უუკველი იყო.

ერთი სიტყვით, გამოკვლევის ავტორის აზრით, „სწავლანი“ მართლაც ფსევდომაკარისა უნდა იყოს, ხოლო ორი ეპისტოლის ავტორად მაკარი მეგვიპტელი შეიძლება მივიჩნიოთ, თუკი გავიხსენებთ ბიზანტიოლოგიაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც მაკარის ავტორობას საერთოდ გამორიცხავენ, ნათელი გახდება გ. ნინუას მოსაზრების მასშტაბურობა და მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, ეს ვარაუდი უფრო კონკრეტული არგუმენტებით შემავარგვას საჭიროებს, მაგრამ შეიძლება ამ ვარაუდმა გამოიწვიოს ახალი კვლევა-ძიება მაკარი მეგვიპტელის ავტორობის დასადასტურებლად. მართლაც, წარმოდგენილია, რომ ასეთ დიდ საეკლესიო მოღვაწეს ლიტერატურული მემკვიდრეობა არ დარჩენოდა და მისი სახელით მოღწეული 100-ზე მეტი თხზულებიდან არაფერი იყოს მისი.

გამოკვლევის მეშვიდე თავში ავტორი განიხილავს „სწავლანის“ ტექსტის გარკვეული ადგილების დამთხვევის შემთხვევებს ცნობილი საეკლესიო მამების — გრიგოლ ნოსელის, ეფრემ ასურისა და მარკოზ განსწორებულის თხზულებათა გარკვეულ ადგილებთან და ცდილობს ბიზანტიოლოგიაში ამ საკითხის კვლევის შედეგებს ქართული მასალა მიუსადაგოს. მართალია, ბიზანტიოლოგთა შორის ურთიერთსაწინააღმდეგე აზრებია გამოთქმული, თუ ვინ ვისი თხზულებით ისარგებლა, მაგრამ ამ საკითხის საბოლოო გარკვევას დიდი მნიშვნელობა მიენიჭება საკვლევ ჰომილიათა კრებულების ჩამოყალიბების ისტორიის დასადგენად.

ცალკე თავი ეძღვნება ქართული თარგმანების შემცველი ხელნაწერების აღწერილობას და დახასიათებას. ვრცელად არის აღწერილი სამივე სრული კრებული (Ath. — 21, Jer. — 73 და ქუთ. 181) და „ეპისტოლეთა“ შემცველი 2 ხელნაწერი (Sin. — 35 და Sin. — 21). გადატანილია ხელნაწერთა ყველა ადრინდელი თუ გვიანდელი მინაწერი და ზოგ მათგანს ავტორისეული კომენტარიც ახლავს (განსაკუთრებით ქუთ. 181). განხილულია საკვლევ თხზულებათა ფრაგმენტების შემცველი ადრინდელი (Sin. — 34) და გვიანდელი (H — 834 და A — 112) ხელნაწერებიც.

მნიშვნელოვანი შედეგებია მოცემული გამოკვლევის მომდევნო, მეცხრე თავში, რომელიც „სწავლანის“ ქართული ნუსხების ურთიერთმიმართებას განიხილავს. გ. ნინუამ ვაარკვია, რომ ათონური (Ath. — 21) და იერუსალიმური (Jer. — 73) ხელნაწერები ერთი და იგივე უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობით, ხოლო ქუთაისური № 181) წარმოადგენს „სწავლათა“



ადგილ-ადგილ შემოკლებულ ტექსტს და გვაძლევს სინონიმურ კთხევა-სხვაობებს, ე. ი. აშკარაა ეჭვითმის ნათარგმნი ტექსტის რედაქტირების კვალი უცნობი პირის მიერ. გ. ნინუა ფიქრობს, რომ ტექსტის შემოკლება გამოწვეული შეიძლება იყოს იმ მიზეზით, რომ ამ ხელნაწერის დედანი დაზიანებული იყო, რამაც მოითხოვა ახალ ნუსხაში ტექსტის შემოკლება და ძნელად გასარჩევი ადგილების ისე ამოღება, რომ დარჩენილი ნაწილები აზრიანად გადაბმონდა ერთმანეთს“ (გვ. 85). ამ მიზეზით უნდა აიხსნას ხელნაწერის ტექსტში დაშვებული აშკარა შეცდომები, რომელიც, ალბათ, ცუდი ამოკითხვის შედეგია. აქვე მოცემულია ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს, რა ადგილები აკლია ქუთაისურ ხელნაწერს ათონურთან და იერუსალიმურთან შედარებით.

გამოკვლევის ბოლო, მეათე თავში ცალ-ცალკე მოცემულია „სწავლათა“ და „ეპისტოლეთა“ თარგმანების ტექსტთა ენობრივი მიმოხილვა, რაც გამართლებულია, რადგან კრებულში შესულია სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანები. ზემოთქმულიდან ნათელია, რომ გ. ნინუას მიერ გამოცემული წიგნი „ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია“ ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძინა და მას ვარკვეული წვლილი შეაქვს მაკარი მეგვიპტელის ლიტერატურული შემკიდრების ირგვლივ ბიზანტინოლოგიაში დასმული პრობლემების კვლევის საქმეში. ქართულ თარგმანთა პირველი პუბლიკაცია ავსებს იმ დიდ ხარვეზს, რომელიც ამ პრობლემების კვლევაში ბერძნული და მისიან ნათარგმნი უცხოენოვანი ტექსტების გვერდით ქართული თარგმანების გაუთვალისწინებლობას ახლდა. მაღალ ფილოლოგიურ დონეზე გამოცემულ ქართულ თარგმანთა მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტები დიდ სამსახურს გაუწევს „მაკარის პრობლემის“ მომავალ ფილოლოგიურ კვლევას.

გ. ნინუას მიერ შესრულებული რთული და შრომატევადი ფილოლოგიური ტექსტოლოგიური ძიება თვალსაჩინოს ხდის არა მარტო ბიზანტინოლოგიაში დღეისათვის მიღწეულ შედეგებს ამ პრობლემასთან დაკავშირებით, არამედ ქართული თარგმანის განსაკუთრებულ ადგილს ამ პრობლემების კვლევაში. ბიზანტინოლოგიაში მაკარი მეგვიპტელის ავტორობის წინააღმდეგ გამოთქმული ერთობილოვანი ვარაუდის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გ. ნინუას თვალსაზრისი, რომ ორი ეპისტოლის ავტორი შეიძლება მაკარი მეგვიპტელი იყოს, რაც შესაძლოა დასაწყისი ვახდეს მაკარის, როგორც ავტორის, რეაბილიტაციისა და ნამდვილად მისი სხვა თხზულებების გამოვლინების საქმეში.

ნაშრომის მიმართ გვაქვს რამდენიმე, ძირითადად არაარსებითი, შენიშვნა.

1. ტექსტების სათაურები გამოცემაში ისევე უნდა დატოვებინა გამოცემელს, როგორც მათ ხელნაწერები უჩვენებენ: „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაკარის ეპისტოლჳ პირველი“; „ეპისტოლე მაკარისი მეორე“; „სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარისა“ და თითოეული თავის დასათაურება, მაგ.: „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარისი თავი დ“ და ა. შ. გამოცემელს სათაურების სრული ჩვენება სქოლიოში ჩაუტანია. ხოლო ტექსტში გამარტივებული სახით წარმოდგენია: ეპისტოლე 1, ეპისტოლე 2. სწავლანი: თავი 1, თავი 2 და ა. შ. ტექსტებისადმი ასეთ თავისუფალ დამოკიდებულებას ქართული ტექსტოლოგიის ტრადიცია არ ადასტურებს, თუმცა დასავლეთეუროპულ ტექსტოლოგიაში ჩვეულებრივი მოვლენაა. უნდა აღინიშნოს ტექსტის გამოცემის ერთი ტექნიკური ნაკლიც: საჭირო იყო თითოეულ ნაბეჭდ გვერდს გაეთებოდა ქუდი, რაც გააადვილებდა თითოეული თხზულების, განსაკუთრებით „სწავლათა“, თავების მოძებნას, რადგან თავები სარჩევში გატანილი არ არის.

2. გამოცემის კრიტიკული ტექსტის დასადგენად გამოყენებული ხელნაწერების ჩამოთვლისა აღინიშნულია, რომ „ეპისტოლეთათვის ძირითად ნუსხად აღებულია Sin. — 35 ხელნაწერი, 4 ნუსხა გამოყენებულია კრიტიკული ტექსტის დასადგენად და მათი ჩვენება ასახულია სქოლიოებში“ (გვ. 107). ჭერ ერთი, სქოლიოში ნაჩვენებია ყველა ნუსხის, მათ შორის ძირითადი ხელნაწერის, წაკითხვებიც, თუკი ისინი სხვაობენ ძირითად ტექსტში წარმოდგენილ ერთადერთ სწორ წაკითხვასთან, რომელსაც ზოგჯერ შეიძლება გვაძლევდეს არაძირითადი ხელნაწერი. მეორეც, თუკი „ეპისტოლეთა“ ტექსტისათვის ძირითადი ხელნაწერი Sin. — 35 არის, მაშინ ის A ლიტერით უნდა იყოს აღნიშნული და არა C-თი, რადგან ძირითად ხელნაწერს ეძლევა A ლიტერი. თუკი გამოცემელმა აქცენტი თხზულებათა შემცველ სრულ კრებულზე გადაიტანა, ხოლო Sin. — 35 კი მხოლოდ ორ ეპისტოლეს შეიცავს, მაშინ თანმიმდევრობა მაინც უნდა ყოფილიყო დაცული: პირველი ლიტერები მიეცა სრული კრებულებისათვის (A—Ath-21; B—Jer-73, C—ქუთ. 181), ხოლო შემდეგი მარტო ეპისტოლეთა შემცველი ხელნაწერებისათვის (D—Sin.-35 და E—Sin-25), გამოცემაში კი C ლიტერით აღნიშნულია Sin. — 35, ხოლო D ლიტერით—ქუთ. 181.

3. გამომცემელმა წიგნს „ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია“ უძველესი მკვლევარები კი გამოთქვა ვარაუდი, რომ ორი ეპისტოლის ნამდვილი ავტორი შეიძლება მაკარი მეგვიპტელი იყოს. ასეთ ვაურკვეველ სიტუაციაში ხომ არ აჯობებდა, მკვლევარს გვერდი აეგვლო ავტორის ვინაობის დაკონკრეტებისათვის („ფსევდომაკარი“, უცნობ, მაგრამ მინც კონკრეტულ ავტორს გულისხმობს და გამორიცხავს მაკარი მეგვიპტელის ავტორობას), ხოლო, ეთქვათ, ასეთი სათაური „მაკარი მეგვიპტელის სახელით ცნობილ თხზულებათა ქართული ვერსია“ კი ყოველგვარ უხეჩხულობას მოხსნიდა.

4. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „1 ეპისტოლის ნაწყვეტი შედის მესამე ძველ სინურ ხელნაწერში — ლიტურგიკულ კრებულში Sin. — 34. რომელიც X ს. შუა წლებშია გადაწერილი“ (გვ. 47), ხოლო თვით ხელნაწერის აღწერილობაში (გვ. 62) უფრო კონკრეტულად უჩვენებს, 1 ეპისტოლის რა ფრაგმენტებია შეტანილი ხელნაწერის „ჟამნის“ ნაწილში, რომელთაც აქ მაკარის ლოცვები (ორი) ჰქვია. ამ მნიშვნელოვან ფაქტს უფრო სრული კვლადიკაცია ესაპირობებოდა. ცხადია, ლოცვების ტექსტი 1 ეპისტოლიდან არის აღებული, მაგრამ საინტერესოა გაირკვეს, ეს გაკეთდა ქათულ ნიადაგზე, ქართველი რედაქტორის მიერ, თუ მას შესატყვისი ბერძნული წყარო აქვს. პირველ შემთხვევაში ლოცვების ტექსტი, ალბათ, აღებული იქნება ეპისტოლის ქართული თარგმანიდან (შესაძლოა, Sin. — 35, 907 წ. ნუსხიდან), ხოლო, თუ მას უშუალო ბერძნული წყარო დაეძებნა, მაშინ იგი ქართულ წყაროებზე უფრო ძველი ტრადიციის ამსახველი უნდა იყოს და, მართლაც, ერთ-ერთ ძირითად საბუთად გამოდგება პირველი ეპისტოლის ავტორის ვინაობის დასადგენად, ე. ი. მაკარის ავტორობის დასამტკიცებლად. ასეთი ძნელი და სპეციფიკური სამუშაოს ჩატარება ნამდვილად გამართლებული იქნება დასმული პრობლემების დიდი მნიშვნელობის გამო.

5. სვიმეონ მესოპოტამიელის (IV ს.) გამოცხადება ფსევდომაკარის თხზულებათა ავტორად, რაც ბიზანტიანოლოგიაში ერთ-ერთი გაერცელებული ტექსტებია. ძალზე ნაძალადეგ შთაბეჭდილებას ტოვებს. არადამაჯერებელია ვერცერთე მაკარი მეგვიპტელის ავტორობის სრულიად გამორიცხვაც, როგორც ეს ერთსულოვნად აღიარებულია ბიზანტიანოლოგთა ნაშრომებში. კარგი იქნებოდა გ. ნინუას თავისი დამოკიდებულება გამომცემლავებზენა პირველ პრობლემასთან დაკავშირებით, ისევე როგორც მან ეს გააკეთა მაკარის შესაძლებელ ავტორად გამოცხადებით. სვიმეონის ავტორობის იდეა, როგორც ცნობილია, არაბულ ხელნაწერებში ავტორად სვიმეონ მესეციტის დასახელებამ წარმოშვა. გ. ნინუა აღნიშნავს, რომ „სახელი სიმეონი მაკარის სახელით ცნობილ თხზულებათა ბერძნულ ხელნაწერშიც ჩანს“ (გვ. 16). ალბათ, საპირო იყო, რომ მკვლევარს არსებული ლიტერატურის საფუძველზე მეტი ცნობები მოეყვანა ამ ბერძნული ხელნაწერის შესახებ: რა თხზულებები არის ამ ხელნაწერში წარწერილი სვიმეონის სახელით, რა დროის ხელნაწერია, გვაქვს თუ არა ამ თხზულებათა ქართული თარგმანი და ა. შ. ამ ცნობებს, ალბათ, გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა საკვლევი პრობლემებით დაინტერესებული ქართული სამეცნიერო წრისათვის.

6. მკვლევარი აღნიშნავს, რომ მესალიანობა შეაჩვენა ეფესოს მსოფლიო კრებამ (431 წ.). როგორც ჩანს, დასახელებულ კრებაზე განმეორებით იყო მსჯელობა ამ ერეტიკული მიმდინარეობის წინააღმდეგ, მანამდე კი 390 წ. სილის ადგილობრივმა კრებამ ამფილოქე იკონიელის თავმჯდომარეობით პირველად შეაჩვენა მესალიანობა.

7. სირიული ხელნაწერი 534 წ.ისა, როგორც გ. ნინუა აღნიშნავს, უძველესია იმ ხელნაწერთა შორის, რომელიც მაკარის სახელით ცნობილ თხზულებებს შეიცავს. მას ნაჩვენები აქვს, თუ რა საერთო მასალა აქვს სირიულ ხელნაწერებს ქართულ თარგმანებთან. კარგი იქნებოდა, მკვლევარს ეჩვენებინა სირიული ხელნაწერის დანარჩენ თხზულებათა მიმართების სურათი ბერძნულ წყაროებთან, თუკი ეს საკითხები დამუშავებულია, რადგან ამ უძველესი ხელნაწერის მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაკარის ლიტერატურული მემკვიდრეობის დადგენის საქმეში. ალბათ, სირიული ტექსტების გამოცემა (რაც ჯერ არაა გაკეთებული) ბევრ სიახლეს შეიტანს მაკარის პრობლემის კვლევაში.



## ქართველურ ენათა დიაქრონიული მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ

1978 წ. დაბეჭდილ ნაშრომში<sup>1</sup> ჩვენ კრიტიკულად მიმოვიხილეთ დ. მელიქიშვილის ერთ-ერთ სტატიამ<sup>2</sup> წამოყენებული დებულებები. ამას მოჰყვა საპასუხო წერილი<sup>3</sup>, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ავტორი (დ. მელიქიშვილი) ცდილობს საკუთარი დებულებების დაცვას, ხოლო მეორეში — ჩვენი წიგნის რეკონსტრუქციას.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დ. მელიქიშვილის მიერ წამოყენებული „დებულებები მიღებულია არა ლინგვისტური მეთოდების (შინაგანი რეკონსტრუქცია, შედარებითი რეკონსტრუქცია) გამოყენებით, არამედ ავტორისათვის მისაღები ლოგიკური კრიტერიუმებიდან ამოსვლით“ (გვ. 239).

დ. მელიქიშვილი არ უარყოფს, რომ ამ შენიშვნაში სწორად არის ასახული ფაქტობრივი ვითარება, მაგრამ იგი (ეს შენიშვნა), მისი აზრით, მიიწვევს მიუღებელია, რადგანაც „ენობრივ მოვლენებს ხშირად ფსიქიკური ფაქტორები უდევს საფუძვლად. ენის განვითარების შინაგან კანონებს ხშირ შემთხვევაში ადამიანის აზროვნების კანონზომიერებანი განსაზღვრავენ. ამიტომ ენის შესწავლა როგორც ჩაკეტილი, მკაცრი სისტემისა ნაკლებოვანია. ზოგადენობრივ მოვლენათა და, არცთუ იშვიათად, კერძოენობრივ მოვლენათა გააზრება ამგვარი ფაქტორების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია (მით უფრო, როცა საქმე ეხება ისეთი სიტყვების მოვლენებს, რომელიც მიმართა ლინგვისტური მეთოდების გამოყენება ენობრივი მასალის არასაკმარისობის გამო ვერ ხერხდება)“. სწოლია კი ნათქვამია: „გრამატიკული ანალოგია სინამდვილეში ფსიქიკური პროცესის ენობრივი გაფორმებაა. პოლიპერსონალური ზმნის სისტემაში პირის ნიშანთა ინვერსიაც ფსიქიკური პროცესის გამოხატულებაა... ორობითი რიცხვის დაკარგვას ამა თუ იმ ენაში ლინგვისტური საფუძველი ვერ დაქმნდება“<sup>4</sup> (ხაზი ჩვენია. — ა. ო.).

სრულიად უდავოა, რომ ლინგვისტური ანალიზი მხოლოდ ლინგვისტური მეთოდებით არის შესაძლებელი (სულ ერთია, საანალიზოდ ახალი მასალა ადებული, ძველი თუ უძველესი) და, ამდენად, ლინგვისტური დებულების შემუშავება მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც ლინგვისტური მეთოდების გამოყენება ხერხდება; ენაში ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტი მხოლოდ ის არის, რაც ლინგვისტურია, არაღინგვისტური კი (ფსიქიკური, ფილოსოფიური...) სათანადო დისციპლინების (ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის...) შესწავლის ობიექტია და არა ლინგვისტიკისა.

არაღინგვისტური მეთოდოლოგიური პრინციპებიდან ამოსვლით მისაღებ ლინგვისტურ დებულებებს, რასაკვირველია, ვერ მივიღებდით. ამაში დასაწმუნებლად განვიხილოთ დ. მელიქიშვილის საპასუხო წერილში აღძრული საკითხები ცალ-ცალკე. დავიწყოთ წერილის პირველი ნაწილით:

1. ჩვენს წიგნში გაკეთებულია შენიშვნა: „ავტორი (დ. მელიქიშვილი, — ა. ო.) მისთვის მისაღები წმინდა ლოგიკური (და არა ლინგვისტური) წინამძღვრებიდან ამოსვლით დასკვნის „ინკლუზივის უნდა ჰქონოდა ნიშანი, ექსკლუზივის კი არა“ (გვ. 240). დ. მელიქიშვილი საპასუხო წერილში, ფაქტობრივად, ადასტურებს ამ აზრს, რამდენადაც, როგორც თვითონვე აღვნიშნავს, მას აინტერესებდა, თუ „რა ფსიქიკურ-ლოგიკური (ე. ი. არაღინგვისტური. — ა. ო.) საფუძველი შეიძლება დასდებოდა ქართულ ზმნაში ინკლუზივის ფორმირებას“<sup>5</sup> (გვ. 184)

<sup>1</sup> ა. ო. ნიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, განათლება, 1978, გვ. 239—243.

<sup>2</sup> დ. მელიქიშვილი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1977, № 4.

<sup>3</sup> დ. მელიქიშვილი, ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი სადავო საკითხის გამო, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, № 4.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 184.

და რომ ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას იგი ამოდიოდა „ლოგიური (ე. წყვეტილი) ლინგვისტიკური. — ა. თ.) საფუძვლებიდან“ (გვ. 184), ამიტომ უწოდებს ის თავის დებულებას „ლოგიურ დაშვებას“ (გვ. 185). ავტორის ეს ფაქტობრივი აღიარება იმ თვალსაზრისის ბუნებრივი გარძელებაა, რაზეც ზემოთ იყო საუბარი და რაც ჩვენი მეცნიერების განვითარების თანამედროვე საფეხურზე აშკარა ანაქრონიზმად გამოიყურება.

ლინგვისტურ ნაშრომში ლინგვისტიკური ზრახვებისა და კრიტიკიუმების ლოგიკური თეორიული დაუშვებელია (მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტიკის, ისევე როგორც ყოველი სხვა მეცნიერების, შიგნით ლოგიკის პრინციპთა დაცვა სავალდებულოა). სრულიად ბუნებრივია ამიტომ, რომ დ. მელიქიშვილის ამავე დებულების ასეთივე შეფასება, ჩვენგან დამოუკიდებლად, მოცემულია სხვა ავტორის — მ. შერეველის — ნაშრომში. აი, ისიც: „ავტორის (დ. მელიქიშვილის. — ა. თ.) მსჯელობა ზოგადი, თეორიული ხასიათისა და..., რაც მთავარია, მიუღებელი ჩანს მხოლოდ ლოგიკურ მსჯელობაზე დამყარებულ გამოტანაში დასკვნა, რომ საკუთარი ნიშანი უნდა ჰქონოდა ინკლუზივს, ექსკლუზივს კი — არა“ (გვ. 162), რადგან ენობრივი მასალის აღწერითი ანალიზი სწორედ რომ საწინააღმდეგო დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა. ენობრივი მასალის ანალიზი კი მსგავსი დასკვნის გამოტანისათვის აუცილებელია“<sup>5</sup>.

ამოკლებულად მართებული დახასიათება და ეს დახასიათება საესებით საქმარისა განსახილველი დებულების უარსაყოფად. ჩვენ კი, ამის მიუხედავად, შევეცადეთ ამ დებულების არამართებულობა ლინგვისტურადაც დაგვესაბუთებინა. ამ მიზნით მიემართეთ ბაცებურს და მიეუთითეთ, რომ აქ ვითარება ზემოაღნიშნული „ლოგიური დაშვების“ საწინააღმდეგოა, რამდენადაც „ნიშანი აქვს არა ინკლუზივს, არამედ სწორედ ექსკლუზივს, ინკლუზივი კი მას ამ ნიშნის უქონლობით უპირისპირდება“ (გვ. 240).

რას ჩანს, მაშასადამე, სადავო? სადავო არის ექსკლუზივის ფორმის საკითხი, ე. ი. საკითხი იმის შესახებ, ნიშნის იყო იგი ქართულურ ენებში, თუ — უნიშნო? სადავოა ეს საკითხი იმდენად, რამდენადაც ერთი მხრივ (უკლებლივ ყველა მკვლევარი, გარდა დ. მელიქიშვილისა) მას ნიშნისად მიიჩნევს, ხოლო მეორე მხარე (დ. მელიქიშვილი) — უნიშნოდ. ინკლუზივის ფორმაში კი არაფერია სადავო. ქართულურ ენებში მას ორივე მხარე (სხვებთან ერთად დ. მელიქიშვილი) ნიშნისად თვლის. მაშასადამე, სადავო საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ბაცებური ექსკლუზივის ფორმას: თუ იგი ნიშნისაა, მაშინ ერთ მხარეს დაუჭერს მხარს (ყველას, გარდა დ. მელიქიშვილისა), თუ — უნიშნო, მაშინ — მეორეს (დ. მელიქიშვილს). რადგანაც ბაცებური ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს არა თავისთავად, არამედ ქართულურ ენებთან მიმართებაში, ამიტომ მის შესახებ მსჯელობა ბაცებურ ექსკლუზივის ნიშნისად-უნიშნობის საკითხის გარკვევისათანვე უნდა შეწყვეტილიყო. ინკლუზივის ნიშნისად-უნიშნობის კი (ბაცებურში) სადავო საკითხის გადაწყვეტისათვის არაკითხი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ის ნებისმიერ შემთხვევაში ერთნაირ მიმართებაში აღმოჩნდება ორივე მხარის თვალსაზრისთან (რამდენადაც ქართულურ ენებში მას, როგორც ითქვამს, ორივე მხარე ნიშნისად თვლის).

„ლოგიკური დაშვება“, თუ ის მართლა ლოგიკის პრინციპებს ემყარება, ერთნაირად უნდა ასახავდეს ყველა ენის (და ერთი და იმავე ენის განვითარების ყველა საფეხურის) ვითარებას. და მაშინ, საქმარისა აღმოჩნდეს ენა, ან ენობრივი ფაქტი, სადაც ვითარება სხვაგვარია, რომ აღნიშნული „ლოგიკური დაშვება“, თუ ლოგიკის პრინციპებს არ დავარდევთ, მთლიანად უკუსაგდები გახდება.

ამ მხრივ საყურადღებოა ის, რომ ნიშნის (/-/ პრეფიქსით გამოხატული) ექსკლუზივის ფორმა არსებობს თვით სუანურში, როგორც ამას დ. მელიქიშვილიც აღიარებს<sup>7</sup>. ეს კი სრულიად საქმარისა „ლოგიკური დაშვების“ არალოგიკურობის საჩვენებლად და მის უარსაყოფადც, მაგრამ დ. მელიქიშვილი ასეთ გამოსავალს პოულობს: ექსკლუზივის უნიშნობა სავალდებულო იყო მხოლოდ „თავდაპირველად“, „ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩა-

<sup>5</sup> ავტორი აღიარებს ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საერთო-ქართულურიდან მომდინარეობას, „ინკლუზივის ფორმირებას“ კი, რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, მაინც „ქართულ ზმნაში“ ეძებს.

<sup>6</sup> თ. შერეველი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისათვის ძველ ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 23, 1980, გვ. 190.

<sup>7</sup> დ. მელიქიშვილი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის..., გვ. 161.



მოყალიბების საფეხურზე“, ე. ო. „ამ დაპირისპირების გაჩენის დროს“ და არა უკეთესად ვიდრე ეტაპებზე“ (კურონი იქნებოდა, ამას რომ ასეთი ქრონოლოგიური შეზღუდვა არაა, მისი დადგენის დებულება შეეხება მხოლოდ ადრე წარმოქმნილ და არა გვიანდელ საუკუნეებში გაჩენილ დაპირისპირებებს. საბედნიეროდ, ამ დებულებას ასეთი შეზღუდვა არ ახლავს).

თავი დაუანებოთ იმას, რომ ლოგიკურად შეუძლებლად არის მიჩნეული ის, რაც ენობრივ სისტემაში დადასტურებულია ფაქტობრივ, იმასაც, რომ დ. მელიქიშვილის მიერ რეკონსტრუირებული ექსკლუზივის ფორმა, თუ მას სწორი ლინგვისტური კავშირები აქვს მივსკომი, ნიშნაინა და არა — უნიშნო<sup>8</sup>, ნუ ვიციოთხვეთ ნურც იმას, თუ საიდან აიცილავთ ავტორმა ენის განვითარების უძველესი საფეხურის ლოგია ასე მტკიცედ და დავსვათ უბრალო კითხვა: რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ თანამედროვე ბაცებურში? განვითარების რა საფეხურზე იმყოფება იგი? დ. მელიქიშვილის პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: „ბაცებურ ზმნაში პიროვანი უღვლილება ჩამოყალიბების პროცესშია“<sup>9</sup>, „... პირისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ბაცებურ ზმნაში თანადროულად ყალიბდება“<sup>10</sup>.

რა გამოდის? გამოდის, რომ ბაცებურში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ჩამოყალიბების პროცესშია, ე. ო. ისეთ საფეხურზეა, როცა ექსკლუზივის „ლოგიკური დაშვების“ მიხედვით, ნიშანი არ უნდა ჰქონდეს. სინამდვილეში მას ასეთი ნიშანი აქვს, ექსკლუზივის ფორმა ბაცებურში ნიშნაინა, როგორც ამას დ. მელიქიშვილიც უყოყმანოდ აღიარებს<sup>11</sup>. აქედან კი ცალსახად გამოიყვანება დასკვნა: ექსკლუზივის უნიშნობა ლოგიკური აუცილებლობა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის „ჩამოყალიბების პროცესში“ ფიქტია.

ასეთ ვითარებაში გაუგებარია, დ. მელიქიშვილის განცხადება: „... ბაცებურის მონაცემები... არ ეწინააღმდეგება ჩვენს ვარაუდს იმის შესახებ, რომ ქართულში თავდაპირველად შეიძლებოდა მარტივებული ყოფილიყო ინკლუზივის ფორმა. ბაცებური ზმნის ამ მონაცემებიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ერთი და იგივე კატეგორიის ფორმირება ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ენობრივ კონტექსტში შეიძლება სხვადასხვა ხასიათის მოვლენებით იყოს მოტივირებული და განსაზღვრული“<sup>12</sup>. ეს განცხადება გაუგებარია იმიტომაც, რომ „ლოგიკური დაშვება“ ინკლუზივისა და ექსკლუზივის შორის არსებულ შინაარსობრივ სხვაობას ემყარება, ისეთ სხვაობას, რომელიც ქართველურ ენებსა და ბაცებურში აბსოლუტურად ერთნაირია. მეორე მხრივ კი, სრულიად გაუგებარია ბაცებური ექსკლუზივის ნიშნაინობის აღიარების შემდეგ „ლოგიკური დაშვების“ ასეთი თავგამოდებულობა და ცვა და დავის მთელი სიმძიმის გადატანა ბაცებური ინკლუზივის ნიშნაინობის დამტკიცებაზე, ე. ო. ისეთ საკითხზე, რომელსაც სადავო პრობლემის გადაწყვეტისათვის, როგორც ითქვა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

აქ შეიძლება მაინც შევეცადოთ, ვუპასუხოთ კითხვაზე: მოეპოვება თუ არა მართლა ბაცებურ ინკლუზივის სუფიქსური მორფოლოგიური ნიშანი? ამ კითხვაზე პასუხი საკვირის იმიტომ, რომ მას საპასუხო წერილში, როგორც ითქვა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: ავტორი ცდლობს დაამტკიცოს, რომ პოსტპოზიციური ვაჲ, პრეპოზიციური ვაჲ ნაცვალსახელისაგან განსხვავებით, ინკლუზივის მორფოლოგიური გამოიშატველია („ფორმანტია“) და არა — ლექსიკური (გვ. 185—186).

ფორმაში ხეტო-თხ ეკითხულობთ —/თხ/ ექსკლუზივის (აგრეთვე მრავლობითი) მორფოლოგიური გამოიშატველია, ისევე როგორც —/თ/ არის მრ. რიცხვის მორფოლოგიური გამოიშატველი ფორმაში ვკითხულობთ. ფორმაში კიათხ ხეტო-თხ „ჩვენ ვკითხულობთ“ ექსკლუზივის ორი გამოიშატველია წარმოდგენილი: 1. ლექსიკური — ექსკლუზივის ათხ ნაცვალსახელი და 2. მორფოლოგიური —/თხ/ სუფიქსი<sup>13</sup>. ამის მსგავსად ფორმაში ვკითხულობთ მრ. რიცხვის ორი გამოიშატველია მოცემული: 1. ლექსი-

<sup>8</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 161; დ. მელიქიშვილი, ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი სადავო საკითხის გამო, გვ. 185, 187.

<sup>9</sup> ამის შესახებ დაწერილებით იხ. ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, გვ. 141—143; შლრ. დ. მელიქიშვილი, ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი სადავო საკითხის გამო, გვ. 189—190.

<sup>10</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 186.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 185—186.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 186.

<sup>14</sup> რომელიც ისტორიულად ათხ ნაცვალსახელისაგან არის მიღებული.

სიკური — ჩვენ ნაცვალსახელი და 2. მორფოლოგიური — /-თ/ სუფიქსი. ათხ ბეტოთხ ფორმისაგან განსხვავებით, შეუძლებელია ვაა ბეტო ვაა ფორმა, ისევე როგორც მრავლობითის გამომხატველად არის ქართულში შეუძლებელი ჩვენ ვკითხულობ ჩვენ ფორმა. რატომ? იმიტომ, რომ ერთ ზმნისთან ერთად კატეგორიის ორი გამომხატველის კომბინაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ეს გამომხატველები სხვადასხვაგვარია (ვთქვათ, ერთი ლექსიკური, მეორე — მორფოლოგიური), მაგრამ შეუძლებელია, თუ ორივე ერთნაირია (ვთქვათ, ორივე ლექსიკური, ან ორივე მორფოლოგიური). ეს ნიშნავს: პოსტპოზიციური ვაა ნაცვალსახელი (ბეტო ვაა) ისევეა ინკლუზივის ლექსიკური გამომხატველი, როგორც პრეპოზიციური (ვაა ბეტო), ამიტომ არის შეუძლებელი მისი კომბინაცია პრეპოზიციურ ვაა ნაცვალსახელთან — ინკლუზივის უდავო ლექსიკურ გამომხატველთან. ინკლუზივის ფორმა, ამრიგად, ექსკლუზივისას უპირისპირდება არა ვაა სუფიქსით, არამედ /-თხ/ სუფიქსის უქონლობით. ეს არის, არსებითად, ნათქვამი ი. დუმერევის ჩვენ მიერ დამოწმებულ და დ. მელიქიშვილის მიერ ციტირებულ ადგილას და არა ის, რაც ციტირების ავტორს ჰგონია.

2. ზემოაღნიშნული თვალსაზრისიდან ამოსვლის (და არა იმდენად მანამდე არსებული შეხედულების გაზიარების) საფუძველზე (იხ. საპასუხო წერილი. გვ. 186) დ. მელიქიშვილი აცეთებს დასკვნას: ინკლუზივის „ფორმაში იგულისხმება I და II პირი — ნიშნაც ორივე პირისა იყო წარმოდგენილი“. ე. ი. გჰ\*გმ<0გგ-+0კმ-15. თუ ამ დასკვნას ლოგიკურ თანმიმდევრულობას მივანიჭებთ, მაშინ ექსკლუზივის ფორმაშიც, რომელშიც აგრეთვე აუცილებლად „იგულისხმება“ ორი პირი (I და III), სავალდებულოა ვეძებოთ ორი პირის ნიშნის კომბინაცია, როგორც ამას /ხტ/-ს შესახებ თავის დროზე ფიქრობდნენ კადეც (მაგ. პ. შუხართი).

ასეთ ვითარებაში ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, რომ ავტორი უშვებს აუცილებლობას, ერთი მხრივ, ინკლუზივის ნიშნის ორი პირის ნიშნის კომბინაციისაგან მომდინარეობისას, ხოლო, მეორე მხრივ, ექსკლუზივის ფორმის უნიშნობისას.

მაგრამ დავსვათ, ამის მიუხედავად, კითხვა: არის თუ არა ინკლუზივის /გჰ-/ ორი პირის ნიშნის კომბინაციით მიღებული? და შევეცადოთ მოვანახოთ ამ კითხვის ლინგვისტურად გააზრებელი პასუხი; პასუხი, რომელიც ენობრივ მოვლენათა ლინგვისტურ ანალიზს დაემყარება: „სუბიექტის ინკლუზივის“ ლ- პრეფიქსს, როგორც დ. მელიქიშვილი აღნიშნავს: „... ვერავითარი ლინგვისტური მანიპულაციით ვერ ჩავთვლით მიღებულად ორი პრეფიქსისაგან“<sup>16</sup> (მეცნიერებაში მანიპულაციები დაუშვებელია საერთოდ); როგორც ლიტერატურაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, ვერც ექსკლუზივის /ხტ/-ს (ისევე როგორც /ნ/-ს) მივიჩნევთ ამგვარი კომბინაციის საფუძველზე მიღებულად<sup>17</sup>. ამ მხრივ ვითარება ასეთივეა ბაცებურშიც.

თუ მეთოდოლოგიურ პრინციპებს არ დავარდევთ და ლინგვისტურ დასკვნებს ენობრივი ფაქტების ანალიზიდან ამოსვლით გვაყვებით, მაშინ აღნიშნული ფაქტების ჩვენება საფუძველს გვაძლევს, ვამოვირცხოთ ინკლუზივის პრეფიქსის ორი ნიშნის კომბინაციისაგან მომდინარეობის მტკიცების აუცილებლობა და, ამდენად, არც /გჰ-/ პრეფიქსი მივიჩნევთ ასეთი კომბინაციის საფუძველზე მიღებულად.

დ. მელიქიშვილის შრომებში კვლევის ეს პროცედურა შებერუნებულია: დიაქრონიული დასკვნები გამომდინარეობს არა ენობრივი ფაქტების ლინგვისტური ანალიზიდან, არამედ — უბრალო დაშვებებიდან, ისეთი დაშვებებიდან, რომლებიც ლინგვისტურ ანალიზს არ ემყარებიან. დაშვებით წარმართება, ამდენად, კვლევა-ძიება და არა — ფაქტების ლინგვისტური ანალიზით, ანალიზს დაშვება ცვლის. ენობრივ ფაქტებსა და დაშვებას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში კი უპირატესობა დაშვებას ეძლევა, დაშვებასთან შეფარდებით ზღვება ფაქტების დახასიათება და არა ფაქტების ჩვენების მიხედვით დაშვების შეცვლა. ასე, მაგ., რადგანაც დაშვებას, რომლის მიხედვითაც /გჰ-/ პრეფიქსი ორი ნიშნის კომბინაციით არის მიღებული, ეწინააღმდეგება ექსკლუზივის ნიშნებია და „სუბიექტის ინკლუზივის“ /ლ/-ც, ამიტომ ამ დაშვების დასაცავად მის საწინააღმდეგო ფაქტებს ავტორი ასე იცილებს თავი-

<sup>16</sup> დ. მელიქიშვილი, ინკლუზივექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის..., გვ. 162.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 163.

<sup>18</sup> იხ. ე. თ. ფურია, შრომები, I, თბ., 1967, გვ. 29; კ. დონდუა, რჩეული ნაშრომები, 1967, გვ. 100, 280—285.



დან: ექსკლუზივის ფორმისათვის „საგანგებო ნიშნის“ უქონლობა საეკლუზივის ფორმისათვის მხოლოდ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბების საფუძვლზე<sup>18</sup>, „სუბიექტურ უღვლილებაში“ კი ამ კატეგორიის მიხედვით დაპირისპირება უფრო გვიან უნდა იყოს გაჩენილი<sup>19</sup>.

გარდა იმისა, რომ აქ შებრუნებულია ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები, დარღვეულია ლოგიკის ჩვეულებრივი ნორმებიც: თუ წარმოქმნის მომენტში ინკლუზივის ორი ნიშანი უნდა ჰქონოდა, მაშინ რატომ არ ჰქონდა იგი ასეთსავე მომენტში „სუბიექტის ინკლუზივის“? (ისიც ზომ როდისდაე წარმოიქმნა), ხოლო, თუ ამ უკანასკნელს იგი (ორი ნიშანი) არასდროს არ ჰქონდა, მაშინ რა უფლება გვაქვს ორი ნიშნის არსებობის აუცილებლობა ვამტკიცოთ „ობიექტის ინკლუზივის“ ფორმაში?

თუ ამგვარი დებულების წამოყენება, ისიც განსაკუთრებული მოკრძალებით, ვასაგები იყო ნახევარი საუკუნის წინ, ქართველური დიაქრონიული ლინგვისტიკის განვითარების გარიგებულზე, გაუგებარია იგი ახლა, ჩვენი მეცნიერების განვითარების თანამედროვე საფეხურზე, გაუგებარია მით უფრო, რომ იგი ასე კატეგორიულად არის წამოყენებული.

3. ჩვენ მივუთითებთ, რომ სვანურში /ლ-/ პრეფიქსის (ლ-ი „არის“, ლა-ლმე „შექადა“...) უფუნქციო ელემენტად მიხნევა მიუღებელია (ეს ითქმის მით უფრო, რომ ამ /ლ-ს/, როგორც დამაჯერებლად აჩვენა მ. ქალღანა, უმარავ ზემნასთან მოეპოვება ფონოლოგიურად შეპირობებული /ნ-/ და /ა/ ვარიანტები). საპასუხო წერილში დ. მეღვიშვილი აღრმავებს თავის აზრს და ქართ. S<sub>2</sub> /ხ-/საც ისეთსავე კვალიფიკაციას აძლევს, როგორსაც სვან. /ლ-/ს (გვ. 187—188).

ეს შეცდომა პირდაპირი მითითების შემდეგ მაინც შეუძლებელია არ დანახულიყო. მის დუნახავობას კი, როგორც მოსალოდნელი იყო, შემდეგად მოჰყვა ამ მცდარი დებულების უნებლიე უარყოფა. აი, ისიც: „...პრეფიქსი ლ-... როგორც პირის ნიშანი (ე. ი. არა „უფუნქციო-დაკარგული პრეფიქსი“. — ა. ო.), დღეს გადმონაშთის სახით დაცულია ცნობილ ხუთ ზმნაში“<sup>20</sup>.

მცდარი დებულების დაცვისაკენ მისწრაფებამ საპასუხო წერილში არაერთი აშკარა წინააღმდეგობა და შეუსაბამობა განაპირობა, დავასახელოთ ზოგი მათგანი:

ა) ქართ. ხ- და სვან. ლ- „მას შემდეგ, რაც მათ დაკარგეს ზოგადი გაგება მოქმედი ფორმანტისა, შეეზარდნენ რამდენიმე განსაზღვრულ ფუძეს და მხოლოდ ამ ფუძეებში ქმნიან ოპოზიციას დანარჩენ ორ წევრთან“ (გვ. 188).

დაკვირვებული მკითხველი ადვილად დაინახავს შეურიგებელ წინააღმდეგობას ამ დებულების პირველ და მეორე ნაწილს შორის: თუ ეს პრეფიქსები „შეეზარდნენ ფუძეს“, მაშინ ისინი უკვე ფუძის ელემენტები არიან და არა—პირის ნიშნები, მაგრამ თუ ისინი „ქმნიან ოპოზიციას დანარჩენ ორ წევრთან“, მაშინ პირის ნიშნებია და არა ფუძის ელემენტები. რომელ ერთს დაუჯეროთ? (შდრ. ამ თვალსაზრისით ერთმანეთს აგრეთვე ორი ურთიერთგამომრიცხველი დებულება: 1. „...პრეფიქსი ლ-... როგორც პირის ნიშანი, დღეს გადმონაშთის სახით დაცულია ცნობილ ხუთ ზმნაში“ და 2. ქართ. ხ- და სვან. ლ- პრეფიქსები „შეეზარდნენ რამდენიმე განსაზღვრულ ფუძეს“).

ბ) „...ინკლუზივის ფუნქციით შეიძლება დატვირთულიყო ფუნქციოდაკარგული პრეფიქსი ლ-, რომელიც, როგორც პირის ნიშანი, დღეს გადმონაშთის სახით დაცულია ცნობილ ხუთ ზმნაში“ (გვ. 187). აქაც იმავე წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე: თუ ლ- პირის ნიშანია იქ, სადაც ის მოიპოვება (ხუთ ზმნაში), მაშინ სადაა „ფუნქციოდაკარგული“ ლ-? სხვაგან ხომ ის არ არსებობს? მაგრამ როცა იგი სხვაგანაც არსებობდა, მაშინ ხომ ის იქაც S<sub>2</sub>-ის ნიშანი იყო? „ფუნქციოდაკარგული“ ლ- სვანურში, მაშასადამე, ფიქციაა.

აქვე უნდა ითქვას შემდეგი: ინკლუზივის ნიშანი I პირსაც გამოხატავს, ამდენად, II და III პირის ნიშნები მას ისევე უპირისპირდებიან, როგორც — ერთმანეთს. ამიტომ არ არის მართებული მტკიცება (მტკიცება უსაბუთო), რომლის მიხედვითაც ოპოზიციის ერთი წევრის (I პირის) ნიშანი წარმოქმნილია მისი საპირისპირო წევრის (III პირის) ნიშნისაგან. მსგავსი რამ ქართველური ენებისათვის (და არა მარტო ქართველური ენებისათვის) აბსოლუტურად უცხოა. ესეც რომ არ იყოს, III პირის ნიშანი I პირის (ინკლუზივის) ნიშნად რომ ქცეულიყო, მაშინ III პირის ფორმაში ის მთლიანად უნდა გამქრალიყო.

<sup>18</sup> დ. მეღვიშვილი, ქართული ენის გრამატიკის ზოგერთი სადავო საკითხის გამო, 33-187.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 187.

და კიდევ: თუ ამ პრეფიქსთა წარმომავლობით ერთმანეთთან დაკავშირება განვიხილოთ, მაგრამ რადგანაც ეს ასე არ არის და ქართულში II პირის ფორმა I და III პირთა ფორმებს /b-/-თი უპირისპირდება, ხოლო სევანურში III-ისა, I-სა და II-ს — /l-/-თი, ამიტომ სათანადო პარადიგმაში ისინი პირის გამოხატველი ჩვეულებრივი პრეფიქსებია. ამიტომ მიიჩნევა ამ პრეფიქსებს პირის ნიშნებად უკლებლივ ყველა მკვლევარი, ვინც კი მათ როდესმე შეხება (ა. შანიძე, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა, გ. დეეტერსი, პ. ფოტი, გ. მაჭავარიანი, გ. კლიმოვი, მ. ჯალდანი და ბევრი სხვა).

დ) დ. მელიქიშვილი ცდლობს მკითხველი დაარწმუნოს, რომ აღნიშნულ პრეფიქსთა შესახებ თითქოს ვ. თოფურიასაც იგივე აქვს ნათქვამი, რაც დ. მელიქიშვილს, და რომ „...ამასვე ამბობს თვითონ ალ. ონიანიც, როცა ეს მას სკირდება“ (გვ. 188).

გამოდის, რომ ამ პრეფიქსებს ვ. თოფურიაცა და ა. ონიანიც, დ. მელიქიშვილის მსგავსად, „უფუნქციო“ („უფუნქციოდაარსებულ“) ერთეულებად მიიჩნევენ, სხვაგვარად ეს კამათი გაუგებარი იქნებოდა (ჩვენი შენიშვნა ხომ მხოლოდ ის იყო, რომ ლ-ს უფუნქციოდ მიჩნევა არ არის სწორი!).

ვ. თოფურია სპეციალურად მსჯელობს თანამედროვე სევანურის „ენობილ ხუთ ზმნაში“ დადასტურებულ /l-/- პრეფიქსის ფუნქციის შესახებ და მიდის სრულიად განსაზღვრულ დასკვნამდე; აი, ეს დასკვნაც: ლ- პრეფიქსი „მხოლოდ და მხოლოდ პირის ნიშანი, ამაში გვარწმუნებს შემდეგი გარემოება: (და ავტორს შიშვეს სათანადო არგუმენტები. — ა. ო.)- ჩანს, ლ- თავისუფალი ყოფილა დროისა და რიცხვის კატეგორიების აღნიშვნისაგან, ამდენად იგი შესაძლოა პირის ფორმანტად ჩაითვლებად“<sup>21</sup>. ცილისწამების ტოლფასია მკვლევარს ამის შემდეგ საწინააღმდეგო დებულებაც მოაწერო და მოაწერო იგი იმავე ნაშრომის მომდევნო გვერდზე წამოყვებული ისეთი დებულების საფუძველზე, სადაც არაფერი მსგავსი არ არის ნათქვამი; აი, ეს დებულებაც, დ. მელიქიშვილის მიერ ციტირებული: „ლ-ი, ლ გ ლ-ს ტ... ლა-ლ-მ და ლა-ლ-გ ზმნებში დატული ლ- ნიშანი ნაშთად უნდა მივიჩნიოთ III სუბ. პირისა“<sup>22</sup>.

ნაშთი, რომელსაც დ. მელიქიშვილი გახაზავს, ნიშნავს არა ფუნქციის არმქონე ელემენტს, როგორც ეს ციტირების ავტორს ჰგონია, არამედ ელემენტს, რომელსაც იგივე ფუნქცია აქვს, რაც იმ მორფოლოგიურ ერთეულს ჰქონდა, რომლის ნაშთიც ის არის. ნაშთი, ამდენად, მას ეწოდება არა იმიტომ, რომ ფუნქცია აღარა აქვს, არამედ იმიტომ, რომ ზმნათა მთელი სიმრავლიდან, სადაც ის III პირს გამოხატავდა, ამ ფუნქციით მხოლოდ ხუთ ზმნას შემორჩა. ვინა თქვა, რომ რაიმე რიცხვთა ნაშთი რიცხვი არ არის?!

ძნელი წარმოსადგენია სპეციალისტი ვერ მიხვდეს, რომ ამასვე ნიშნავს (და არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც დ. მელიქიშვილი ფიქრობს) ჩვენ მიერ ნახვარი ისეთი გამკვირვალე ტერმინი, როგორიცაა „ისტორიული ნორმის ნაშთი“, აგრეთვე ტერმინები: „არქაიზმი“, „გამონაკლისი“ და „ანომალია“. ეს ითქმის მით უფრო, რომ მათი არსი ჩვენს წიგნში საგანგებოდ არის განმარტებული (იხ. გვ. 12—13).

4. დ. მელიქიშვილის ნაშრომში ვკითხულობთ: „თუ ამგვარი სქემა სინქრონიულ ასპექტში გამართლებულია (ლაპარაკია ისეთ ვითარებაზე, როცა I პირის ნიშანი ექსკლუზივსად გამოხატავს. — ა. ო.), ამოსავალში ამგვარი სქემის დაშვება შეუძლებელია“<sup>23</sup>. სრულიად უდავოა, რომ ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე („ამოსავალში“) ავტორი შეუძლებლად მიიჩნევს ისეთი ვითარების დაშვებას, როგორც ფაქტია თანამედროვე საფეხურზე. ამის გამო შევნიშნავდით ჩვენ: „...სწორედ ლოგიკური გამართლება არ ეძებნება მტკიცებას, რომლის მიხედვითაც ენის განვითარების ერთი საფეხურისათვის შეუძლებელია ისეთი ვითა-

<sup>21</sup> ვ. თოფურია, შრომები, I, 1967, გვ. 2.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>23</sup> დ. მელიქიშვილი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის..., გვ. 161.



ქართული  
ლიტერატურის  
სამეცნიერო ცენტრი

რების დაშვება, როგორც ფაქტია მეორე საფეხურზე... სანამ არ მოხერხდება ამ დებულების დამაჯერებელი ლინგვისტური არგუმენტაცია“ (გვ. 239).

ჩვეთვის სრულიად მოულოდნელია ამის საპასუხოდ ნათქვამი: „უხანაია, ასეთ დისკვენს არაერთიარო ლოგოციური გამართლება არ ექნება, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იგი სრულიადაც არ გამოძინარეობს ჩვენი მსჯელობიდან“<sup>24</sup>.

5. საპასუხო წერილის პირველ ნაწილში წამოყენებულ სხვა დებულებებშიც ვითარება, არსებითად, ისეთივეა, როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ამიტომ ყველა მათგანს აქ არ განვიხილავთ, აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს:

დ. მელიქიშვილი ამტკიცებს „აგლუტინაციის პირველადობას ქართული ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემაში“ (ქართული ენის შიგნით ავტორი რატომღაც სვანურსაც გულისხმობს), ამიტომ, მისი აზრით, შეუძლებელია /ხტ-/ პრეფიქსს ორი ფუნქცია ჰქონოდა — I პირთან ერთად ექსკლუზივიც გამოეხატა. ისეთ ფორმებში, როგორც არის, მაგ., ხტ-ა თ ტ რ ი დ „ვასწავლით“ (ექსკლუზივი), /ხტ-/, ამდენად, მხოლოდ I პირს გამოხატავდა, ექსკლუზივის ნიშანი კი /Ø/ ალომორფი იყო (გვ. 189—190).

მაგრამ მაშინ ისმის კითხვა: რას გამოხატავდა /ლ-/ ისეთ ფორმებში, როგორც არის ლ-ა თ ტ რ ი დ? დ. მელიქიშვილის პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: — ინკლუზივის. მაგრამ /ლ-/ აქ ხომ I პირსაც გამოხატავდა! და მაშინ ფორმა ლ-ა თ ტ რ ი დ „ვასწავლით“ (ინკლუზივი) ფლექსიური გამოდის და არა — აგლუტინაციური. თუ ასეთ ვითარებაში დ. მელიქიშვილი თავისი დებულების დაცვას იმის მტკიცებით შეეცდებოდა, რომ I პირის ნიშანი აქ /Ø/ იყო, /ლ-/ კი მხოლოდ ინკლუზივის გამოხატავდა (ამ დებულების დაცვის სხვა გზა არც არსებობს), მაშინ გამოვა, რომ ფორმებში ხტ-ა თ ტ რ ი დ — ლ-ა თ ტ რ ი დ /ხტ-/ და /ლ-/ არ არიან ერთმანეთის საპირისპირო პრეფიქსები (რამდენადაც, ამ თვალსაზრისის მიხედვით, ერთი მათგანი მხოლოდ I პირს გამოხატავდა, ხოლო მეორე — მხოლოდ ინკლუზივის). ეს უკვე ლინგვისტური კვალიფიკაციის ყოველგვარ წესს ეწინააღმდეგება და, ამდენად, თვალსაზრისი, რომელიც ლიტერატურაში მანამდეც არსებობდა და რომლის მიხედვითაც ქართველურ ენებში ისტორიულად მხოლოდ აგლუტინაციასთან უნდა გვექონოდა საქმე, ჩინით მთავრდება.

დაბოლოს, დ. მელიქიშვილის აზრით, /ხტ-/ რომ ფლექსიურად (ე. ი. ორა ფუნქციის მქონად) მივიჩნით, მაშინ /გ-/ პრეფიქსიც „გ ხ ა ტ ა ე (მე შენ) ფორმაში... ფლექსიური შინაარსისა გამოვა და O<sub>2</sub>-თან ერთად შესაბამისად დაიტვირთებოდა S<sub>1</sub> პირის ნიშნის ფუნქციითაც, რაც გამორიცხებულია...“ (გვ. 189).

ეს დებულება ეწინააღმდეგება ფლექსიურობის არსს: ფლექსიური მორფოლოგიურა ერთეულები გამოხატავენ ენაში ერთმანეთის გვერდით არსებულ სხვადასხვა კატეგორიას (ორს ან მეტს), მაგრამ არაერთარ შემთხვევაში ერთი კატეგორიის შიგნით მოცემულ ოპოზიციის წევრებს (ვთქვათ, სუბიექტსა და ობიექტს).

დ. მელიქიშვილის საპასუხო წერილის მეორე ნაწილი, როგორც ითქვა, ჩვენი წიგნის რეცენზირებას ისახავს მიზნად.

განვიხილოთ შენიშვნები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენი წიგნის შეფასებას:

1. „წიგნის შესავალ ნაწილში გადმოცემულია თანამედროვე დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში შემუშავებული ლინგვისტური კვლევის, სტრუქტურული ანალიზის პრინციპები...“ და „ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში დიდი ხნის წინათ შემუშავებული და რიგ თანამედროვე უცხოელ თუ საბჭოთა ენათმეცნიერთა შრომებში განვითარებული და დახვეწილი ლინგვისტური რეკონსტრუქციის მეთოდები და ხერხები, რომლებიც საფუძვლად დასაძლება ალ. ონიანის ნაშრომს...“ (გვ. 190).

გარდა იმისა, რომ რეცენზენტი უგულვებლყოფს ამოსავალ მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომლებიც ჩვენი წიგნის შესავალ ნაწილშია ჩამოყალიბებული (გვ. 6—18), იგი ნაკლად მიიჩნევს ლინგვისტიკაში არსებულ მეთოდოლოგიური მიღწევების ამგვარ გამოყენებას.

2. „ნაშრომის ძირითად ნაწილში... პირისა და რიცხვის მორფემათა... ანალიზი ძალიანად ემყარება ქართველ ენათმეცნიერთა მიერ მოპოვებულ მასალას და მათს გამოყენებას“

<sup>24</sup> დ. მელიქიშვილი, ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი სადავო საკითხის გამო, გვ. 189.



(ძირითადად ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურას, ი. ყიფშიძის, გ. მაქავარიანის სხვათა შრომებს). აქ, როგორც მოსალოდნელი იყო ახალი არაფერია ნათქვამი: ფაქტები დიდი ხანია დადგენილი იყო, ოღონდ ავტორმა ... შეცვალა ტერმინოლოგია და მორფემათა ჩაწერის წესები“ (გვ. 190).

ამ საკითხებზე მსჯელობა ჩვენთვის, მართალია, უხერხულია, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ შემდეგი:

ა) საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ მეცნიერული ანალიზი ფაქტის დადგენის შემდეგ იწყება.

ბ) ენობრივი ფაქტები კი, ე. ი. პირისა და რიცხვის ნიშნები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხანმეტი და პემეტი ტექსტების ვითარებას), არსებითად, ჯერ კიდევ მანამდე იყო ცნობილი, სანამ რეცენზენტის მიერ დასახელებული მკვლევრები გამოვიდოდნენ სამეცნიერო ასპარეზზე. პატივცემული რეცენზენტის ლოგიკას რომ წაყვევთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ არც ამ მკვლევრებს აქვთ ნათქვამი რაიმე ახალი (ასეთი სამწუხარო შედეგი მუდამ ახლავს არაობიექტურ და არაკვალიფიციურ მსჯელობას). ამას რომ თავი დავანებოთ, რომელი ენობრივი ფაქტი აღმოაჩინა თვითონ რეცენზენტმა, რომელსაც ასეთი პრეტენზიები აქვს რთულ დიაქრონიულ საკითხთა გადაწყვეტაში?

გ) ჩვენს ნაშრომში მოიპოვება ალბათ სადავო დებულებები (სხვაგვარი ნაშრომის შექმნის პრეტენზია ჩვენ არც გვქონია). ამ დებულებათა ავტორის ჩვენება და შეცდომა-ნაკლოვანებათა მიუდგომელი კრიტიკა, რასაკვირველია, რეცენზენტის პირდაპირი და საპატიო მოვალეობაა. მაგრამ რეცენზენტის განცხადებით, განსახილველ ნაშრომში „ახალი არაფერია ნათქვამი“, რაც, ფაქტობრივ, იმას ნიშნავს, რომ აქ არც არაფერია განსახილველი (რატომ დავობს მაშინ პატივცემული რეცენზენტი?).

უხერხულობის მიუხედავად თავს ნებას მივსცემთ ვიკითხოთ: სად ნახა პატივცემულმა რეცენზენტმა ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხთა იმგვარი გადაწყვეტა, როგორც ჩვენს წიგნში მოცემული?

1. S<sub>3</sub> პირის მორფემის აღმორფთა განაწილების წესები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (გვ. 57—63).
2. ზმნისწინთა და პირის მორფემათა აღმორფების განაწილების წესები თანამედროვე სვანურში (გვ. 75—93).
3. არგუმენტაცია ცვლილებისა /ხ-/ > /ჰ-/ ქართულში (გვ. 121—141).
4. პირის მორფემათა შინაგანი რეკონსტრუქცია სვანურში (გვ. 142—155).
5. S<sub>1</sub> მორფემის /\*ხტ-/ არქტიპის შედარებითი რეკონსტრუქცია საერთო-ქართველურში (გვ. 155—166).
6. S<sub>3</sub> მორფემის დიაქრონიული ანალიზი ქართველურ ენებში (გვ. 166—185).
7. S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> პირთა მრავლობითობის ნიშნის საერთო-ქართველური არქტიპის (/•სით/-ს) რეკონსტრუქცია (გვ. 196—206).
8. ექსკლუზივის /\*მ/-ს (> /ნ/) რეკონსტრუქცია სვანურში (გვ. 229—230) და ბევრი სხვა.

ჩვენ შორსა ვართ მტკიცებისაგან, რომ ამ (და სხვა იმგვარ) საკითხთა ჩვენს წიგნში მოცემულ გადაწყვეტასთან დავა შეუძლებელი იყოს, მაგრამ გაუგებარია, სპეციალისტმა აქ ვერ დაინახოს საკითხთა ახლებურად დასმისა და გადაწყვეტის ცდა (უდავო თუ სადავო).

3. რეცენზენტი, როგორც თვითონ აღნიშნავს, განიხილავს „... დიდი ხანის წინათ და დგენილი ფაქტების იმ ახალ ინტერპრეტაციებს, რომელთაც ავტორი (ა. ონიანი. — ა. ო.) გეთავაზობს თავისი ნაშრომის ძირითად ნაწილში...“ სადაც კარგად ჩანს ალ. ონიანისათვის დამახასიათებელი კვლევის სტილი<sup>25</sup> (ზაზი ორივეგან ჩვენია. — ა. ო.).

ჩვენი წიგნის „ძირითადი ნაწილი“ შედგება 43 პარაგრაფისაგან, რეცენზენტი კი აქ ეხება მხოლოდ ერთ მათგანს, ისიც ისეთს (1.02.2), სადაც ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, რასაც ნაშრომი ეძღვნება, ჯერ არ განიხილება. რატომ ცდილობს მკითხველის შეცდენას პატივცემული რეცენზენტი? (მკითხველს ვთხოვთ, ამ კითხვას საგანგებოდ დაუფიქრდეს).

<sup>25</sup> დ. მელიქიშვილი, ქართული ენის გრამატიკის ზოგერთი სადავო საკითხის გამო, გვ. 190.





ქართული  
ლიტერატურის  
ქრონოლოგიური  
ინდექსი

აღნიშნულ პარაგრაფში აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით რეცენზენტმა შემდეგ შენიშვნებს აკეთებს:

ა) ტერმინების სავალდებულო ანუ ობლიგატორული პირის ნიშანი და არასავალდებულო ანუ არაობლიგატორული პირის ნიშანი „შემოტანის იგი (ა. ონიანი. — ა. ო.) დასაშვებად მიიჩნევს იმ მცდარი დასკვნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც თითქოს „ქართულში (ისევე როგორც სხვა ქართველურ ენებში) არ არსებობს ზმნის პირიანი ფორმა, რომელიც არ შეიცავდეს /ვ/-ს რიგის ნიშნათა რომელიმე წარმომადგენელს, მაშინ როდესაც იმავე ფორმაში /მ/-ს რიგის ნიშნის არსებობა სავალდებულო არაა — ზმნის ფორმაში ის შეიძლება არსებობდეს, შეიძლება — არა“<sup>26</sup>. და სჭოლი-ოში შენიშნავს: „ამასთან დაკავშირებით ავტორი (ა. ონიანი. — ა. ო.) იმოწმებს ა. შანიძის „საფუძვლების“ 172 და 180 გვერდებს, სადაც სულ სხვა რამაა ნაგულისხმევი, მაგრამ ამაზე მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანდა“<sup>27</sup>.

ჩვენ მიერ მითითებულ გვერდებზე ა. შანიძე წერს: „სუბიექტური პირი საზოგადოდ ყოველგვარ ფორმაშია ნაგულისხმევი, ობიექტური კი — მხოლოდ მაშინ, თუ ფორმაში ორი ან სამი პირია გამოყვანილი“ (გვ. 172), „...თუ ფორმაში ობიექტური პირია გამოხატული, აღნიშნულია აგრეთვე (თუ რეალურად არა, ფორმალურად) სუბიექტური პირიც, ურომლისდაც საზოგადოდ ქართული ზმნის ფორმა წარმოუდგენელია“ (გვ. 180). ამ ნათლად ფორმულირებულ დებულებებში სხვა არაფერია „ნაგულისხმევი“, გარდა იმისა, რისთვისაც ისინი ჩვენ დავიმოწმეთ! ვერ გაიგო ეს ნათელი დებულებები პატივცემულმა რეცენზენტმა?

არის თუ არა მაინც „მცდარი“ ა. შანიძის ეს „დასკვნა“, რომელიც ჩვენ საყრდენად გამოვიყენეთ?

/ვ/-ს რიგის ნიშანს ზმნის ყოველგვარი პირიანი ფორმა შეიცავს — რელატიურიც, აბსოლუტურიც, ისეთიც კი, რომელიც მისი აღსანიშნი. ფაქტობრივ, არაფერია (მცევა, მძინავს, მირბენია, წვიმს-ს.), შეიცავს სეგმენტური ერთეულის ან ნულოვანი ალომორფის სახით. /მ/-ს რიგის ნიშნის არსებობა, ამისგან განსხვავებით, მხოლოდ რელატიურ ზმნებშია სავალდებულო, აბსოლუტურ ზმნებში კი ის, ჩვეულებრივ, არ მოიპოვება. ამიტომ ვუწოდებ პირველს სავალდებულო (ობლიგატორული), ხოლო მეორეს — არასავალდებულო (არაობლიგატორული) პირის ნიშანს.

სად არის აქ შეცდომა? არავითარი შეცდომა აქ, რასაკვირველია, არ არის. შეცდომასა და საქმეში გაურკვევლობაზე დამყარებული სწორედ ამის საწინააღმდეგო შენიშვნაა, შენიშვნა, რომელიც რეცენზენტის მიერ ასე არის ფორმულირებული: „ქართულში ობიექტური პირი, თუკი ის საერთოდ არსებობს, ისევე ობლიგატორულია, როგორც სუბიექტური“<sup>28</sup>.

საქმე ის არის, რომ აღნიშნულ პირს არასავალდებულო (არაობლიგატორული) პირი ჩვენ ვუწოდებ არა იმიტომ, რომ, სადაც ის არის, იქ არ მივიჩნევდეთ მის არსებობას სავალდებულოდ (ეს ხომ კურიოზი იქნებოდა!), არამედ იმიტომ, რომ მის შემცველ ზმნათა გვერდით მოიპოვება ისეთებიც (აბსოლუტური ზმნები), რომლებშიც იგი, როგორც წესი, არ არის მოცემული. ნუთუ ასე ძნელია ამ უმარტივეს საკითხებში გარკვევა?!

ბ) „ა. ონიანი ოსტატურად ათამაშებს სიტყვებს, მაგრამ სიტყვათა ამ წრეში ტრიალიდან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ალ. ონიანის მიერ შემოთავაზებული ტერმინები — „სავალდებულო“, ანუ „ობლიგატორული“, პირი და „არასავალდებულო“, ანუ „არაობლიგატორული“, პირი — მთლიანად ემთხვევა და ფარავს შესაბამისი ტრადიციული ტერმინების — „მორფოლოგიური სუბიექტი“ და „მორფოლოგიური ობიექტი“ — გაგებას“<sup>29</sup>.

ცნება „მორფოლოგიური სუბიექტისა“ (ისევე როგორც „მორფოლოგიური ობიექტისა“) შინაგანი წინააღმდეგობის დასაძლევად მოითხოვს, ერთი მხრივ, „რეალური სუბიექტისა“ და „რეალური ობიექტის“ ცნებათა შემოტანას, ხოლო, მეორე მხრივ, ინვერსიის დაშვებას; არაფერი მსგავსი ჩვენ მიერ შემოტანილ ცნებებს არ სჭირდება. მარტო აქედანაც კარგად ჩანს, რომ ცნებათა ამ ორი რიგის „გაგება“ არათუ ემთხვევა და ფარავს, არამედ პრინციპულად უპირისპირდება ერთმანეთს. თუ ყოველივე ამას რეცენზენტი მსჯელობიდან ვერ მიხვდა,

<sup>26</sup> იქვე, გვ. 191.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 191. შდრ. აგრეთვე, გვ. 193—194.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 192.



პირდაპირი მითითების საფუძველზე მაინც უნდა მიმხვდარიყო; აი ისიც: პირის „არც ერთი ეს სახესხვაობა (ვ-/ს რიგის ნიშნით გამოხატული და /მ-/ რიგის ნიშნით გამოხატული. — ა. ო.) არ არის აუცილებლად მოქმედი, არც აუცილებლად სამოქმედო..., ამიტომ მათ აღნიშვნელად ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორცაა „სუბიექტური პირი“, „ობიექტური პირი“, არ არის ბუნებრივი. ამ ტერმინთა იმ პირობით დატოვება, რომ პირველს არ მოეთხოვებოდეს, იყოს აუცილებლად მოქმედი (აქტიური), ხოლო მეორეს — იყოს აუცილებლად სამოქმედო (პასიური), პრინციპულად შეუძლებელი არ არის, რამდენადაც პირობითობა გარკვეული დონით ტერმინთა დიდი ნაწილისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა ეს ტერმინები პირდაპირი მნიშვნელობითაა დამკვიდრებული, ასეთ პირობითობას მრავალი გაუგებრობის გამოწვევა შეუძლია. ამიტომ უმჯობესია მათი სხვა ტერმინებით შეცვალო“ (ჩვენი წიგნი, გვ. 40). ამ ადგილის წაკითხვისა და სწორად გაგების შემთხვევაში რეცენზენტის მიერ გაკეთებული შენიშვნისათვის ადგილი, რასაკვირველია, არ რჩება.

საქმეში გაურკვევლობის შედეგია რეცენზენტის მტკიცება, თითქოს ჩვენ მიერ განხილული საკითხი „ჭერ კიდევ 1928 წელს“ გააანალიზა არნ. ჩიქობავამ და „შემდეგ სინტაქსურ ცნებებში გადმოსცა: კოორდინაცია, ძირითადი კოორდინატი, მცირე კოორდინატი“ (გვ. 193). გარდა იმისა, რომ სინტაქსის საკითხებს ჩვენ საერთოდ არ ვანიშნავთ და, ამდენად, ჩვენს საკვლევ პრობლემატკასთან მას არა აქვს კავშირი, აქ არასწორად არის გაგებული (უფრო ზუსტად, არ არის გაგებული) თვით არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი: ერთი რიგის ცნებებში არაა კოორდინაცია, ძირითადი კოორდინატი და მცირე კოორდინატი. კოორდინაცია ზოგადი ცნებაა, იგი შეიცავს ობოზაციის წევრებს, მაგრამ არა ორს (ძირითად კოორდინატსა და მცირე კოორდინატს), როგორც ეს დ. მელიქიშვილს ჰგონია, არამედ ოთხს (ძირითად კოორდინატს, დიდ კოორდინატს, მცირე კოორდინატსა და უმცირეს კოორდინატს). რატომ არის გამოტოვებული დიდი კოორდინატი და უმცირესი კოორდინატი? რეცენზენტს ერთი და იგივე ზომ არ ჰგონია, ერთი მხრივ, ძირითადი კოორდინატი და დიდი კოორდინატი, ხოლო, მეორე მხრივ, მცირე კოორდინატი და უმცირესი კოორდინატი?

გ) რეცენზენტი თავის საპასუხო წერილში შენიშნავს: „ნუთუ მართლა ჰგონია ალ. ონიანს, რომ გარდამავალი სამპირიანი ზმნა III სერიაში ორპირიანად იქცევა? განა მან არ იცის, რომ ისტორიულად III სერიის ფორმა და მიიწერია მე ი ს მიღებულია მიიწერია ის მე რეალატურ-გარდაუვალი ზმნის ინვერსიის გზით და არა ვ წერ ფორმის ინვერსიით, მით უფრო კონვერსიით? და რომ არავითარი გადაქცევა სამპირიანი ფორმის ორპირიანად არ ხდება?“ (გვ. 194).

ვნახოთ, რა წერია V—VI კლასების სახელმძღვანელოში: „სამპირიანობა ზმნას მარტო I-სა და II სერიაში ექნება, III სერიაში კი სამპირიანი ზმნაც ორპირიანად იქცევა. მაგ., მიიწერია მან მის (წყვეტილი) — მიიწერია მის იგი (I თურმეობითი)“<sup>30</sup>. და ეს არის საყოველთაოდ გაზიარებული დებულება<sup>31</sup>, თანაც დებულება სინქრონიული, და არა დიაქრონიული, ხასიათისა.

არ არის ეს დებულება სწორი? შეცდომას უშვებენ მკვლევრები (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა და სხვები), როცა თანამედროვე ქართულში მიიციემ, ვასწავლი, ვსთხოვ, ვუგზავნი... სამპირიან ზმნათა I თურმეობითად მიმიციცა, მიიწავლებია, მიიხოვია, მიიგზავნია... ორპირიან ფორმებს მიიწვენენ?

არა, შეცდომა ეს არ არის; ამიტომ, შეცდომა ისაა (თანაც შეცდომა მეთოდოლოგიური ხასიათისა), როცა ენობრივ ფაქტებს სინქრონიული კვალიფიკაცია ეძლევა არა სინქრონიული, არამედ დიაქრონიული მონაცემების მიხედვით, როცა ენობრივი ფაქტებისა და მათი ურთიერთმიმართების დიაქრონიული შეცვლის მიუხედავად ცდლობენ ძველი ვითარების ამსახველი კვალიფიკაცია თანამედროვე ვითარებისათვისაც უცვლელად შეინარჩუნონ (აღმანი თუ მიმდინარეან მომდინარებს, ამიტომ აღმანი მიმდინარეა?).

ეს ნიშნავს: სწორია რომ იყოს III სერიის ფორმათა ისტორიის მელიქიშვილისეული ახსნა<sup>32</sup>, ის მაინც არ გამოდგებოდა I და II სერიის ფორმებთან მათი სინქრონიული მიმარ-

<sup>30</sup> ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. I, V—VI კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1967, გვ. 133, 1920 წ. გამოც. გვ. 139.  
<sup>31</sup> იბ., მაგ., არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქველი, I, თბ., 1950, გვ. 957, ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 81—179 და სხვა.  
<sup>32</sup> დ. მელიქიშვილი, „მიჯრის“ ზმნა და მასწავლებლის გასაქრია, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1978, № 4, გვ. 81—93.

თების დასადგენად, ამ მიმართების შესახებ არსებული მართებული შეხედულების უარსაყოფად. და, მიუხედავად ამისა. მთავარი ამ შემთხვევაში მაინც ის არის, რომ ამ სახით მიუღებელია თვით აღნიშნული დიპტონიული ახსნა; მიუღებელია, რადგანაც იგი შედგება არა ენობრივ მოვლენათა ლინგვისტური ანალიზისა, არამედ — დაუსაბუთებელი დაშვებებისა.

ცნობილია, რომ III სერიის ფორმათა წარმოება, არსებითად, ერთნაირია ყველა ქართულ ენაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ვითარება პრინციპულად ასეთივე უნდა ყოფილიყო საერთო-ქართველურ ფუძე-ენაშიც. და მაშინ, III სერიის ფორმათა წარმოშობა უნდა ვეძებოთ სწორედ ფუძე-ენაში და არა ცალკეულ ქართველურ ენებში, სადაც იგი საერთო-ქართველურიდან მომდინარეობს და სადაც, ამდენად, III სერიის ფორმათა წარმოქმნა არ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, ამ შესაძლებლობის არგუმენტირებულად გამოიცილების გარეშე III სერიის ფორმათა წარმომავლობის ცალკეულ ქართველურ ენებში ძიება მეთოდოლოგიური შეცდომაა. ამიტომ, რასაკვირველია, არ არის სწორი, როდესაც რეცენზენტი, ამ სამუშაოს ჩატარების გარეშე, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას ქართლის შიგნით ცდილობს (ვანსხეავებით ნ. ნათაძესაგან, რომელიც, ქართლის გარდა, სხვა ქართველურ ენათა მსახლასაც ემყარება<sup>33</sup>).

დავანებოთ თავი ყოველივე ამას და გავითვალისწინოთ, რომ ცნობილი დებულება — „სამპირიანი გარდამავალი ზმნა III სერიაში ორპირიანად იქცევა“ საყოველთაოდ გაზიარებული დებულებაა და მას სხვებთან ერთად ა. შანიძეც იცავს. დებულება კი „ისტორიულად III სერიის ფორმა... მიღებულია... რელატიურ-გარდაუვალი ზმნის ინვერსიის გზით“ დ. მელიქიშვილს ეკუთვნის და ის, მისი აზრით, გამოიცილავს პირველ დებულებას<sup>34</sup>. გავიმეორებთ ახლა ზემოთ მოყვანილი ციტატა და ყურადღება გადავიტანოთ ეთიკურ მხარეზე: „ნუთუ მართლა ჰგონია ალ. ონიანს, რომ გარდამავალი სამპირიანი ზმნა III სერიაში ორპირიანად იქცევა? განა მან არ იცის, რომ ისტორიულად III სერიის ფორმა... მიღებულია... რელატიურ-გარდაუვალი ზმნის ინვერსიის გზით?...“

დ. მელიქიშვილი, როგორც ვხედავთ, განცვიფრებულია იმით, რომ ა. ონიანი იზიარებს ა. შანიძის, ვ. თოფურის, არნ. ჩიქობავას და სხვათა შეხედულებას, იზიარებს მაშინ, როცა ამ საკითხის შესახებ არსებობს საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რომელიც დ. მელიქიშვილს ეკუთვნის, და ლამის დანაშაულად უთვლის მას (ა. ონიანს) ასეთ მოქმედებას.

ღ) ჩვენი ნათქვამი — „სამპირიანი გარდამავალი ზმნა III სერიაში ორპირიანად იქცევა“ რეცენზენტს უფლებას აძლევს დაასკვნას: „ალ. ონიანს არასწორად ესმის ინვერსიის არსი და... კონვერსიაში ურევს მას“ (გვ. 194). ამ დასკვნას რომ დავუფეროთ, მაშინ გამოვა, რომ ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ საკითხს შეხებია, ასევე ურევს ერთმანეთში ინვერსიასა და კონვერსიას. ასე გამოვა, რადგანაც ზემოაღნიშნული დებულება, რომლის საფუძველზეც დ. მელიქიშვილმა ეს დასკვნა გააკეთა, როგორც ითქვა, საყოველთაოდ გაზიარებული დებულებაა და არა — ა. ონიანის კუთვნილება.

ჩვენივის სრულიად გაუგებარია აგრეთვე, თუ რა კავშირი არსებობს ჩვენ მიერ წამოყენებულ დებულებასა — „ქართველურ ენებში სუბიექტისა და ობიექტის დაპირისპირების გამოხატვა გვარის კატეგორიის საპირისპირო ფორმებს აკისრია“ — და ამ დებულების საფუძველზე დ. მელიქიშვილის მიერ გაკეთებულ დაუსაბუთებელ განცხადებას შორის: ა. ონიანმა „კონვერსია და ინვერსია აურთა ერთმანეთში“ (გვ. 192)!

ალექსანდრე ონიანი

<sup>33</sup> ნ. ნათაძე, შესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, ივე, VII, თბ., 1955, გვ. 81—98; შდრ. დ. მელიქიშვილი, „მიჯობს“ ზმნა..., გვ. 81—93.

<sup>34</sup> სხვა საფუძვლისათვის ანალოგიური დებულება წამოყენებული აქვს ნ. ნათაძესაც (იხ. ივე, VII, გვ. 81—98), მაგრამ მასთან, დ. მელიქიშვილისაგან განსხვავებით, მეორე დებულება არ გამოიცილავს პირველს.

## ქ რ ო ნ ი კ ა ლ ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

### ე ვ ნ ა ტ ე ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი ს ს ა ი უ ბ ი ლ ე ო დ

მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ჩატარდა გამოჩენილი ქართველი კლასიკოსის ევნატე ნინოშვილის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სხდომა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ. მან ილაპარაკა თანამედროვე ეტაპზე ევნატე ნინოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის მნიშვნელობასა და პოპულარობაზე.

„ევნატე ნინოშვილის რეალიზმი“ — ასეთი იყო ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ნოდარ ჭოლოყაძის მოხსენების თემა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მწერალმა თავის ნაწარმოებებში გამოავლინა ეპიკური პორტრეტების გამოსახვის არაჩვეულებრივი ნიჭი. მხატვრული აზროვნების განსაკუთრებული სიღრმე, დიდი მხატვრული სიმართლე, დამახაიათებელი ნინოშვილის პროზისათვის, განაპირობებუდა პერსონაჟთა ქცევის მოტივირებას, ცნობიერი და არაცნობიერი საწყისების ურთიერთდამოკიდებულების რეალისტური გააზრებათ.

თემა ცხოვრება, რომელსაც ასახავდა, აძლევდა საფუძველს მწერალს გამოეყენებინა სინამდვილის კონტრასტებით, შუქ-ჩრდილებით ჩვენების ხერხები. რომელთაც იგი შესანიშნავად ფლობდა. ნაროდნიკი მწერლებისგან განსხვავებით, რომლებიც იმავე პერიოდში მოღვაწეობდნენ, ნინოშვილი, როგორც ყველაზე ფხიზელი რეალიზმის თვალსაზრისის ერთგული მწერალი, არ ახდენდა გლეხობის იდეალიზირებას.


ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ბენო დობოჯგინიძემ თავის მოხსენებაში — „ევნატე ნინოშვილის ესთეტიკურ-კრიტიკული ნააზრევი“ — ხაზი გაუსვა, რომ ე. ნინოშვილს საინტერესო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ესთეტიკისა და ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის ცალკეულ საკითხებზე, თუმცა ამ მიმართებით მას სპეციალური წერილები არ გამოუქვეყნებია. თემის გაშუქებისათვის მომხსენებელმა გამოყო სამი ძირითადი მომენტი: ა) ე. ნინოშვილის პროგრესულ-რევოლუციური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისიდან გამომდინარეობს მწერლის მოსაზრებანი ხელოვნებისა და ლიტერატურის არსისა და საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ; ბ) მწერალი და მთავრობენ იბრძოდა მხატვრული ლიტერატურის შემდგომი დემოკრატიზაციისთვის, რაც ცხოვრებისეული ტიპური ხასიათების ტიპურ სოციალურ გარემოში წარმოსახვით უნდა განხორციელდეს; გ) ესთეტიკურ-მხატვრული, ნინოშვილისეული ვაგებით, პრინციპულად უპირისპირდება რელიგიურ ეთიკასა და ცრურწმენებს და თავის შეგენებითა და აღმზრდელობით მნიშვნელობას დღევანდელ ინარჩუნებს.

პროფესორმა გიორგი მერკვილაძემ ილაპარაკა ევნატე ნინოშვილის მხატვრული ოსტატობის ფენომენზე. „პალიასტომის ტბის“ მავალითვე მან ნათელყო, თუ რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს გამოჩენილი ქართველი კლასიკოსი თავისი მოთხრობების, ნოველების, რომანის მთავარი იდეის გასახსნელად. ევნატე ნინოშვილის ნაწარმოებთა დიდ პოპულარობას, მის ღრმა სოციალურ ასპექტთან ერთად, განაპირობებს სწორედ მალაი მხატვრული ოსტატობა, რომელიც მწყობრად ჩამოყალიბებული ესთეტიკური სისტემის სახით ვლინდება მოელ მის შემოქმედებაში.

პროფესორმა შალვა გოზალიშვილმა თავის მოხსენებაში — „ევნატე ნინოშვილი თანამედროვეთა მოგონებებში“ — აღნიშნა, მწერლის თანამედროვეთა ლიტერატურულ-მემუარული და პუბლიცისტურ-ეპისტოლარული მემკვიდრეობა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა მიმეხსულიერი განწყობილებით უხდებოდა ყოველდღიური ცხოვრება დაუღველებელი ბუნებისა და მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანს. ცხოვრების მიმეხ, აუტანელი ხვედრის მიუხედავად, ევნატე ნინოშვილმა სამწერლო ასპარეზზე ოთხიოდე წლის მოღვაწეობით მშობლიური ხალხის ერთსულოვანი აღიარება და სიყვარული მოიპოვა.

ევნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმში დაცული საინტერესო მასალები გაცნო სამეცნიერო სხდომას მუზეუმის დირექტორმა მ. ვადაჭკორიამ.

**ივანე ლოლაშვილი**



ჩვენმა საზოგადოებრიობამ და ლიტერატურათმცოდნეობამ დიდი დანაკლისი განიცადა, მხოლოდნელად გამოგვეცალა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ალექსანდრეს ძე ლოლაშვილი — ფართო დიპლომატიური და ინტერესების მქონე აკადემიური სტილის უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მშობლიური მწერლობის შესწავლაში.

ი. ლოლაშვილი დაიბადა 1918 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში.

ომის შემდეგ მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სწავლულ მდიანად, მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მთავარ ბიბლიოთეკარად. 1957 წლიდან რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, ხოლო 1971 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებას.

ი. ლოლაშვილი მან მონოგრაფიისა და ორასამდე ნარკვევის ავტორია. მისი დაარსებულა სერია „ძველი ქართული ფილოსოფიური ძეგლები (ტექსტები და ძიებანი)“. მასვე ეკუთვნის ძველი ქართული მწერლობის ძეგლების მაღალი მეცნიერული დონის პუბლიკაციები შეხაფერისი სამეცნიერო აპარატით. აკ. გაწერელიასთან ერთად სანიმუშოდ გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი.

უნივერსიტეტსა და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეცურსებს. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი დისერტაცია.

დიდი ამაგი დასდო ი. ლოლაშვილმა სულხან-საბა ორბელიანის შესწავლას. მკვლევარის დაუწყებელი შრომის შედეგად მკითხველმა 1963 წელს პირველად იხილა სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“. მან დიდი ენერჯია შეაღია გარეჯის ლიტერატურული ცენტრის შესწავლას და სწორედ იქ ამ დიდი კერის შესახებ წაკითხული საქარო ლექციის დროს დაუქა სამუდამოდ თვალი...

უაღრესად ფასეულია განხვეწებულის ღვაწლი არეომაგიატიკისა და რუსთველოლოგიურ კვლევის ხედვაში.

ი. ლოლაშვილმა შარშან ხელნაწერთა მკვლევარობიდან ამოშვიტა დღემდე უცნობი თექვსმეტმარცვლოვანი საბოტო ლექსების იშვიათი ნიმუშები, რითაც გადაშალა ახალი ფურცელი ქართული პოეზიის ისტორიაში. იგი თანაავტორია ქართული ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეულისა, აღსანიშნავია მისი შემუარული ხასიათის ნაშრომი „ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან“.

ი. ლოლაშვილის ფართო განათლება, კვლევის სიღრმე იმის საწინდარია, რომ მისი მეცნიერული მემკვიდრეობა მუდამ ანგარიშგანაწივ იქნება მკვლევართათვის.

განუშოვლად დასანანია, რომ შემოქმედებითი აღმავლობის უამს შეწყუდა ამ საშაგალითო, გულისხმიერი, ჩუმი და უპრეტენზიო მეცნიერ-მამულიშვილის მაჯისცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საზუალო საბიბლიოთეკის განათლების სამინისტრო, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, საზოგადოება „ენისა და ლიტერატურის სერია“.

ი ვ ა ნ ე ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე



ქართულმა ენათმეცნიერებამ მძიმე დანა-  
ლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა  
მორჩენილი ქართველი ენათმეცნიერი, თბილის-  
ის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი  
ხელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული  
ენის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეც-  
ნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტი-  
ტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, მეც-  
ნიერების დამსახურებული მოღვაწე, სკკპ წევ-  
რი 1947 წლიდან, პროფესორი ივანე იოსების  
ქავთარაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამ-  
აგრების შემდეგ აკად. ვ. თოფურიას წარდგე-  
ნით მან სწავლა განაგრძო საქართველოს სსრ  
ცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის ას-  
პირანტურაში. 1945 წელს, საკანდიდატო დი-  
სერტაციის დაცვის შემდეგ იწყებს მუშაობას  
შტრის მეცნიერ თანამშრომლად მეცნიერება-  
თა აკადემიის ენის ინსტიტუტში, პარალელუ-  
რად — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-  
ში ახალი ქართული ენის კათედრაზე უფროს  
მასწავლებლად. აქედან მოყოლებული ი. ქავ-  
თარაძე სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა  
ქართულ ენათმეცნიერებას როგორც მეცნიერი  
და როგორც პედაგოგი: 1946 წლიდან ის უკვე  
ენის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრო-  
მელია, 1976—1982 წლებში ენათმეცნიერების  
ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების  
ვაგე.

სალოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქარ-  
თული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს.,  
I“ ი. ქავთარაძემ დაცვა 1965 წ.

მრავალმხრივი იყო მისი სამეცნიერო ინ-  
ტერესები და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.  
მას გამოქვეყნებული აქვს 170-მდე ნაშრომი,  
აქედან 5 მონოგრაფია და ერთი სახელმძღვა-  
ნელო. ამ გამოკვლევებში დამუშავებულია ქარ-  
თული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის  
პრობლემები, ქართული ენის გრამატიკული  
წყობის, ლექსიკოლოგიისა და ეტიმოლოგიის  
საკითხები, ქართველ მწერალთა ენისა და  
სტილის თავისებურებანი. მონაწილეობა აქვს  
მიღებული არაერთ საუნივერსიტეტო, რესპუბ-  
ლიკურ, საკავშირო სესიასა და კონფერენციაში.

დიდა ი. ქავთარაძის ღვაწლი ახალგაზრდა  
მეცნიერ მუშაკთა აღზრდასა და დაოსტატება-  
ში. კითხულობდა ლექციებს ქართული ენის  
გრამატიკაში, ქართული ენის შესწავლის ისტო-  
რიასა და ქართულ დიალექტოლოგიაში უნი-  
ვერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე, ხელ-  
მძღვანელობდა თსუ სტუდენტთა საენათმეც-  
ნიერო წრეს, მისი ხელმძღვანელობით დამუ-  
შავდა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენ-  
ციებზე გახილ იქნა 100-მდე მოხსენება, მო-  
მზალდა 20-მდე ასპირანტი, დაიწერა საკანდი-  
დატო და სალოქტორო დისერტაციები. მისი  
რედაქტორობით გამოიცა რამდენიმე მონოგრა-  
ფია და სახელმძღვანელო. ამასთან ერთად  
წლების განმავლობაში რედაქტორობდა უფრ-  
ნალ „სკოლა და ცხოვრების“ მეთოდურ დამა-  
ტებას „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლა-  
ში“, თსუ სამეცნიერო შრომების კრებულს —  
ენათმეცნიერების სერიას, იყო „ქართული  
ხალხური სიტყვიერების“ სრული კორპუსის  
შთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, საზო-  
გადოება „ცოდნის“ წევრი. თბილისის უნივერსი-  
ტეტის საკანდიდატო სამეცნიერო ხარისხების  
მიწინააღმდეგე სპეცსაბჭოს თავმჯდომარე, უნი-  
ვერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტის სპეცსაბჭოების  
წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს-  
თან არსებული ქართული სალიტერატურო  
ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო  
კომისიის წევრი.



აკად. ვ. თოფურიას აღზრდილი და მისი უახლოესი თანამშრომელი, გულისხმიერი აღმზრდილი და დავიკრებული მეცნიერი, ი. ჭავჭავაძე ყოველთვის ცდილობდა ეხელმძღვანელა თავისი მასწავლებლის პრინციპებით — ყოფილყო ობიექტური და სამართლიანი ადამიანებთან ურთიერთობისა და სპექტაკი თავისი მეცნიერული სინდისის წინაშე. მუდამ ჰყავდა მას ბევრი დამფასებელი და თავჯანსიყვემელი, ამიტომ სარგებლობდა ავტორიტეტითა და სიყვარულით თავის მოწაფეთა და კოლეგათა შორის, რომელთაც ყოველთვის ემახსოვრებათ

ძვირფასი მასწავლებელი და მეგობარი ივანე ქავთარაძე.

საპარტველო უმაღლესი და საშუალო საპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის შრომის წითელი ღრუვის ორღანოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი, საპარტველოს სსრ მაცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ი. გოგუაშვილის სახელოვის პედაგოგური მაცნიერებათა საპეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი

ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის 1984 წლის ნომრების შინაარსი

- საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი — № 1, გვ. 5.
- სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნეცკოს სიტყვა — № 1, გვ. 6.
- სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის სიტყვა — № 1, გვ. 12.
- კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნეცკო — № 3, გვ. 14.
- სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართეა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს — № 1, გვ. 15.

წერილები

- არველაძე ბ., საიათნოვა და იონა ხელაშვილი — № 2, გვ. 47.
- ბარამიძე ა., მესხი მელექსის გარშემო — № 1, გვ. 69.
- ბედიანიძე დ., პასტორალური ფორმის ზოგადრთი საკითხისათვის დავით კურამიშვილის „ქაცვია მწყემსში“ — № 3, გვ. 78.
- ბოჩკოვა ლ., ალექსანდრე ცაგარელი — პროზაიკოსი — № 3, გვ. 25.
- ბუზოლი მ., სიტყვიერების ნორმატიული თეორიების კრიტიკა ბ. გ. ბელინსკის მიერ — № 3, გვ. 51.
- გამსახურდია ზ., რუსთველი და ანტონი I — № 1, გვ. 75; № 3, გვ. 95; № 4, გვ. 42.
- გაჩეჩილაძე მ., ვ. კოტეტიშვილი ლიტერატურის კრიტიკოსი და მკვლევარი — № 2, გვ. 5.
- გაწერელია ა., ავგუსტინე და საქართველო — № 1, გვ. 88; № 2, გვ. 79.
- გიუნაშვილი ჯ., იხ. უთურგაიძე თ. და სხვ.
- გოცირიძე მ., „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანი, როგორც თანამედროვე ებრაული ენის ლექსიკის გამდიდრების წყარო — № 3, გვ. 133.
- გურგენიძე ნ., თურქულიდან ნასესხებ პატრონიმთა სტრუქტურისა და სემანტიკისათვის ქართულში — № 4, გვ. 162.
- გურგენიძე ტ., მრავლობითობის კატეგორია პირის ნაცვალსახელებში და მისი წარმოების ზოგადი პრინციპები — № 2, გვ. 114.
- დანიელია კ., უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. 5. ლექსიკურ-სემანტიკური კალეები ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებში — № 4, გვ. 138.
- თუშმალიშვილი გ., ზოგიერთი თურქული ბოტანიკური ტერმინის შესახებ „იადიგარ დაუღში“ — № 4, გვ. 156.